

**წიგნი გამოიცემა დემოკრატიის ეროვნული  
ფონდის (გაშინგტონი, აშშ) საბურჟებით**

Publication of this book was made possible thanks  
to the National Endowment for Democracy  
(Washington DC, USA).

# Society and Politics

(Series in Social and Political Studies)

I

CAUCASIAN INSTITUTE  
for PEACE, DEMOCRACY & DEVELOPMENT



TBILISI 1996

# საზოგადოება და პოლიტიკა

(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)

I

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების  
პამპასიური ინსტიტუტი



თბილისი 1996

რედაქტორი: გია ჭუმბურიძე

# სპეციალური სამსახური

## ნისტორია: (მმამარსი, ანალიზი, განსხვავდებული ხედება)

1. მაშუა ბიჭაშვილი - „რუსეთი ერთი, რუსეთი ორი...“ ..... 7  
2. კახა კაციტაძე - „ისტორიული გამოწვევის არსი“ ..... 45

## გეოპოლიტიკა

1. ავთო ჭოხაძე - „გეოპოლიტიკური პარალელი“ ..... 68  
2. ირაკლი მჭედლიშვილი - „კავკასიაში გეოპოლიტიკურ ძალთა განაწილების შესახებ“ ..... 94  
3. მაშუა ბიჭაშვილი - „საქართველოს გეოპოლიტიკური მდგრამარეობისათვის“ ..... 113

## ეპონიმიკა

1. პოლ ჭონსონი - „მაინც, რა დაემართა სოციალიზმს?“ ..... 137  
2. გიორგი ახვლედიანი - „კოლუმბიური ნარკობიზნესი“ ..... 142

## კოლონიალური ანალიზი, რეპრეზენტაციები, პროგნოზი

1. ზბიგნევ ზიეჟინსკი - „დიდი ცვლილებები“ ..... 169  
2. კახა კაციტაძე - „რატომ არ გვიღებენ ნატოში?!“ ..... 188  
3. გაგა ნიკორაძე - „კატასტროფების თეორია და პოსტკომუნისტური სამყარო“ ..... 196  
4. დავით დარჩიაშვილი - „მშვიდობისდაცვითი ძალები ეთნიკურ და ნაციონალურ კონფლიქტებში“ ..... 199  
5. გ. გომაძე, გ. მაისურაძე - „შეკითხვები პოლიტელიტას“ ..... 208

## კოლეგიკის გაპირობება..

- გია ნოლია, ფრანსის ფუკუამა, შლომო ავინერი ..... 221

## იყო და არა იყო რა...

- ერთი, ჩვენთვის „უცნაური“ ამბავი, თუ როგორ უდგებიან რიგითი ამერიკელები მოქალაქეობის სტატუსის საკითხს. ..... 265

- SUMMARIES ..... 266

„აღმათ უკვე გაეცნობოდით სპეციალური ლიტერატურის სიახ, რომელიც დერეფანშია გამოკრული; ოღონდ იქ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოების დამუშავებას მე არ მოვთხოვთ - ჩემთვის მთავარია დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევა გამოვიძუშავოთ“ - გვითხრა პოლიტიკურ მეცნიერებათა ლექტორმა პირველსავე ლექციაზე.

განაწყენებულმა იმით, რომ არცთუ იოლად ნაშოვნი ფულიდან \$22,50 დოლარი გადამიყრია წყალში, წამოვდექი და ვეკითხები: „სერ, ასე გამოდის, ამ წიგნების შეძენა სულაც არ ყოფილა სავალდებულო!“

„ჩედავთ?“ - მიათითა მან ჩემზე - „ეს კაცი უკვე დამოუკიდებლად აზროვნებას იწყებს...“

ერლ ჰენსლი  
(„რიდერს დაიჭესტი“, 1992, ოქტ.)

მამუკა ბიჭაშვილი

## რუსეთი მოთი, რუსეთი მოთ...“

„России нет, есть Российская империя“  
გრაფი ვიტტე

ერთხელაც უმაღლესი ძლიერების საფეხურზე მყოფი ზესახელმწიფოს ლიდერებმა მოულოდნელად გამოაცხადეს, რომ ქვეყანა ღრმა კრიზისის წინაშე იმყოფება და თუ დაუყოვნებლივ არ გატარდა რეფორმები, კოლაფსი გარდაუვალია. ჩეფორმებს სათავეში ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჩაუდგა, რაც საგვებით ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ უზვეულო იყო თვით რეფორმების კურსი და ორიენტაცია. ცოდვებით დამძიმებულმა რეეიმბა „მონარქიება“ დაიწყო, არამედ იმგვარი რეფორმებიც, რომლებშიაც დამკვირვებელთა გამოცდილი თვალი თვითმეგლელობის ცუდად შენილბულ სურვილს ამჩნევდა(7). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია მისი მემკვიდრე შეიქნა. რუსეთის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა დემოკრატიული გარდა ქმნების კურსს თავის ქვეყანაში, ხმამაღლა გამოაცხადა, რომ რუსეთი აღარ არის იმპერია და ამიერიდან სურს ყველასთან ცივილიზებული და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს. ეს იძლეოდა იმედს, რომ არცთუ შორეულ მომავალში რუსეთში შეიქმნებოდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც წელს გაუმაგრებდა გაუთავებელი ექსპერიმენტების შემდგომ ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარი კოონკრიტური. ფიქრობდნენ, რომ დასავლეთის პოლიტიკური სამყარო, „გორბიმანიის“ ფონზე, ხელებგამლილი მოელოდა უძლები შვილის დაბრუნებას. ვარაუდობდნენ, რომ დასავლეთი რუსეთისათვის შეიმუშავებდა რაღაც მარშალის გეგმის მსგავს პროგრამას, რომელიც თუ ქვეყანას არ აუყვავებდა კონმიტეს, დაწყებული რეფორმების შეუქცევადობის გარანტია მაინც იქნებოდა (8). საჭირო იყო მოკლე, ოთხი-ხუთი წლის ვადაში მიეღწიათ იმგვარი შედეგისათვის, რომელიც უზურნველყოფდა აღებული კურსის შემდგომ მხარდაჭერას. მაგრამ რაც უფრო დიდი დრო გადის, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ოპტიმიზმისათვის ჩაალური საფუძველი არ არსებობდა. წარმატებული შედეგების მოპოვების პირველი ვადა ერთობ შემჭიდროებული აღმოჩნდა და ახლა უკვე პჲარაა, რომ ჩეფორმების რეალურ წარმატებაზე დღეს ნაადრევია საუბარი. საკითხი

იმის შესახებ თუ საბოლოოდ როგორი შედეგით დასრულდება რეფორმა, გერაც ლიადაა დარჩენილი.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს თან ახლდა შესაბამისი იდეოლოგიური ფონი, დასაწყიში უფრო იმედიანი და შემდგომ კი სკეპტიკური შეფასება ქვეყნაში მიმღინარე მოვლენებისა. თუმცა, რუსეთი არასძროს განიცდიდა იმგვარი ადამიანების ნაკლებობას, ვინც ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის ვესტერნიზაციას. რუსული პოლიტიკური აზრისათვის ახალი არ არის ქვეყნის დასავლური და არა-დასავლური გზის ალეტერნატივა. ისევ რუსეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც ოფიციალურ სამთავრობო წრეებში ერიდეობდნენ წარსულის ჩხრეკასა და მომავლის თამამ პროგნიზირებას, ამგვარი საკითხების ანალიზი მწერლებმა ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და სხვა „თავისუფალი პროფესიის“ ადამიანებმა ითავსე. შედეგად, რუსეთმა და მისმა კოლონიებმა, სადაც მალე გააგრცელდა მსგავსი პრაქტიკა, შეიძინეს არამხოლოდ ყველაზე უფრო პოლიტიზირებული მწერლობა, არამედ, საკმაოდ მოკლე ღრმში, სოლიდური მოცულობის პოლიტიკური ლიტერატურაც. ეს ლიტერატურა, უმთავრესად ისტორიული ხასიათისა, წარსულს იაზრებდა არა მწინდა ანალიზიდან გამომდინარე, არამედ პრაქტიკული დანიშნულებით. განიხილებოდა როგორც რუსეთის არსებული რეალობის წარსული ფესვები და გამომწვევი მიზეზები, ასევე ის შესაძლო პრაქტიკული ნაბიჯებიც, რომლებიც ქვეყანას სასურველი მომავლის გარანტიას მისცემდა.

სწორედ ამგვარი კალევისა და ანალიზის პროცესში ჩამოყალიბდა რუსული პოლიტიკის „სლავიანოფილური“ და „დასავლეთური“ ორიენტაციები. ძველი დავა სლავიანოფილებსა და დასავლეთელებს შორის დღესაც გრძელდება რუსეთში, თუმცა მას არამდენადმე სახეცვლილი ფორმა აქვს. თუ დასავლეთელები „დემოკრატებად“ მოინათლნენ, ყოფილ სლავიანოფილებს ალარ გააჩნიათ ერთიანი სახე. მას შემდეგ, რაც ნათლად გააცნობიერეს ჩიგი სლავური წარმოშობის ხალხების (პოლონელების, ჩეხების, სლოვაკების, და ა. შ.) კულტურების კათოლიკური ძირები და ერთიან სლავურ (თუ რუსულ) სახელმწიფოში ინტეგრაციის შეუძლებლობა, სლავიანოფილები დამშალნენ „პატრიოტებად“, „ნაციონალისტებად“, და „ეგრძიშიელებად“, ხოლო ყველაზე უფრო გულწრფელნი კი „დერჟავნიკებად“ ან „იმპერიალისტებად“ (2,4). ამგვარი დაყოფისდა მიუხედავად, ყველა მათგანისათვის საერთოა ძველი სლავიანოფილური იდეა რუსეთის და მის მიერ განვლილი ისტორიის უნიკალობის შესახებ.

კარგადაა ცნობილი სლავიანოფილების არგუმენტაცია, რომელიც უცვლელი ჩატარდა დღემდე. ამ არგუმენტებზე შეჩერება არ ღირს. უფ-

რო საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იგივე პუნქტში, ე. ი. რუსეთის სახელმწიფოს უნიკალობის მტკიცებასთან დაკავშირებით, ხშირად ერთ-მანეთს ემთხვევა ზოგიერთი სლავიანოფილის და დასავლეთელის შეჩი. აღიარებული დასავლეთელი ბერდიაევი, მაგალითად, სლავიანოფილი ოპონენტების მსგავსად თვლიდა, რომ რუსეთის ისტორია თვალსაჩინოდ განსხვავდება ყველა სხვა ქვეყნის ისტორიისაგან, განსაკუთრებით ევროპული ქვეყნების ისტორიისაგან. ამგვარი თვალსაჩრიის დაზუსტებას საჭიროებს. მტკიცება იმისა, რომ რუსეთის ისტორია განსხვავდება სხვა ქვეყნების ისტორიისაგან, თავისთვალი, არაფრისმთქმებია. ნებისმიერი ქვეყნის ისტორია განსხვავდება რომელიმე სხვა ქვეყნის ისტორიისაგან: ჩინეთის ისტორია არაფრითა შეგავს ავსტრიის ისტორიას, ხოლო ჰოლანდიისა კი შვეციის ისტორიას. ამიტომ, როდესაც რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების შევლევარები რუსეთის ისტორიის უნიკალობას ამტკიცებენ, მათ მხედველობაში გაცილებით მრავლისმეტყველი აზრი აქვთ, ვიდრე უბრალო ტრუიზმია იმის შესახებ, რომ რუსეთის ისტორიას სპეციფიური ნიშნები გააჩნია.

საქმე ეხება ფართო, ზოგადფილოსოფურ გაგებას ისტორიის ზოგადი კანონზომიერებების შესახებ. როგორც სლავიანოფილები, ასევე დასავლეთელები ფიქრობენ, რომ არსებობს ისტორიის ზოგადი კანონზომიერებები. ლაპარაკია იმზე, რომ ყოველი ქვეყნის ცხოვრებას განსაზღვრავს როგორც ამ ქვეყნის ინდივიდუალური ნიშნები, ასევე ზოგადი ისტორიული კანონები. როდესაც შევლევარები მსჯელობენ ფეოდალიზმზე, კაპიტალიზმზე და ა. შ. ამით ისინი აღწერენ ზოგად ისტორიულ ფზებს, რომლის ჩარჩოებშიაც მოძრაობდა ყოველი ქვეყნის ისტორია. ძველი სლავიანოფილური თქმისი რუსეთის ისტორიის განუმეორებლობის შესახებ გულისხმობდა, რომ რუსეთის ისტორია წარიმართება არა ამგვარი ზოგადი კანონზომიერებებით, არამედ იმ სპეციფიური უცნაურობებით, რომლებიც აყალიბებენ სპეციფიურად რუსეთის ისტორიას. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი თვალსაჩრიისის ჩვენამდე მოღწევას, მის სიცოცხლისუნარიანობას დასავლეთელმა პოლიტოლოგებმაც შეუწყეს ხელი, რომლებიც გამუდმებით ლაპარაკიზენ სოციალიზმისა თუ კომუნიზმის სპეციფიურად რუსული სახეცვლილებების შესახებ. ასე რომ, ჩვენი დროის რუსი პატრიოტები აღარ არიან ორიგინალური დღეს, როდესაც ისინი მიუთითებენ დასავლური კომუნისტური იდეოლოგიისა და სისტემის რუსულად „გადახარშვის“ შესახებ.

ამში ხედავენ რუსეთის სახელმწიფოს სპეციფიკას ან, ბოლოს და ბოლოს, რით არის ეს პრობლემა აქტუალური დღეს? უკანასკნელი კითხვის პასუხი ნათელია: პერესტროიკა, ისევე როგორც მისი შემდგომი რეფორმები რუსეთის ფედერაციაში, წარმოადგენს რუსეთის მო-

რიცი ვესტერნიზაციის მცდელობას. თუ კლასიკური სლავიანოფილური თვალსაზრისი სწორია, მაშინ ჩემორმების კურსი რუსეთში იმთავითვე განწირულია დასალუბად ან, უკეთეს შემთხვევაში, ის მოიტანს დასაცლური თეორიებისა და აღმოსავლური ცხოვრების წესის მახნი სიმბიოზს. აქედან ყველა ხალხმა და ქვეყანამ, ვისთვისაც სულერთი არ არის რუსეთის მომავალი, სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს და შესაბამისი თადარიგიც დაიჭიროს. ამრიგად, რუსეთის სახელმწიფოს ისტორიული წარსულის კვლევა ჩვენთვისაც პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს. რაც, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ თუკი ჩვენ ამგვარი კვლევა წამოვიწყეთ, მშინ *a priori* მიღებული გვაქვს თვალსაზრისი, რომელის მიხედვითაც ნებისმიერი სახელმწიფოს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრულია არა მხოლოდ თანადროული, არამედ გარდასული მოვლენებით და, მშასადამე, საბოლოო ჯამში წარსული ცხოვრებითაც. მხოლოდ ასეთი თვალსაზრისი განაპირობებს ისტორიული კვლევის, ან უკეთ, ისტორიულ მოვლენათა ანალზის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

რაც შეეხება პირველ კითხვას რუსეთის სახელმწიფოს სპეციფიკის შესახებ, ამ კონკრეტულ კითხვაზე ყველა სხვადასხვაგვარ პასუხს იძლევა, რომელთა შორის გვსურს ცალკე გამოყვოთ ნ. ბერდიაევის თეორია „მრავალი რუსეთის შესახებ“ (1), როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორიგინალური თვალსაზრისი, ოლონდ შემდგომ მრავალთა მიერ სულ სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა ვარიაცებით განმეორებული...

## მოძღვრება მრავალ რასეთზე

ბერდიაევის აზრით, რუსეთის ისტორიის სპეციფიკას მისი წყვეტა-დი ხასიათი განაპირობებს. არ არსებობს ქვეყნის ისტორიის ორგანული მთლიანობა. ნაცვლად ერთი ქვეყნის წარსულისა, ისტორიულად არსებობდა ხუთი სხვადასხვა რუსეთი: კიევის რუსეთი, მონოლოთა რუსეთი, მოსკოვიტური რუსეთი, ბეტტე დიდის რუსეთი, დაბოლოს, რუსეთის იმპერია. აღნიშნული ხუთი ფორმა ბერდიაევმა გამოჰყო იმ მიზნით, რომ შეესწავლა მექქსე - საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩვენს თვალწინ ჩაბარდა წარსულს და ჩვენ მომსწრენი ვართ კიდევ ერთი, უკეთ მეშვიდე რუსეთისა. რამდენად არსებითია განსხვავებანი რუსული სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმებს შორის? ფილიპ ლამზის დროინდელი საფრანგეთი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რიშელიეს დროინდელი საფრანგეთისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი პირველი ფრანგული რესპუბლიკისაგან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არავინ ლაპარაკობს მრა-

ვალი საფრანგეთის შესახებ მაშინ, როდესაც ბერდიაევი არაორაზროვნად მიუთითებს იმაზე, რომ განსხვავება რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმებს შორის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი საერთო ნიშნები და რომ, ფაქტიურად, არსებობს არა სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმები, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოები.

ყველასათვის, ვისაც ცხოვრება მოგვიხდა საბჭოურ და შემდეგ პოსტსაბჭოურ კვეყნებში, მხოლოდ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული თეორიული დასაბუთების გარეშეც სავსებით ნათელია განსხვავება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთს შორის. უნდა ვითქმიროთ, რომ დაახლოებით მსგავსი განსხვავებები აქვს ნავარაუდევი ბერდიაევს, როდესაც იგი ლაპარაკობს რუსეთის სხვა სახელმწიფოებრივი ფორმების განსხვავებაზე, რადგან ცნობილია, რომ მნიშვნელოვან ცვლილებებს პოლიტიკურ სტრუქტურებში მოჰყვება შესაბამისი განსხვავებანი ცხოვრების წესშიაც; მაშასადამე, ხომ არ შეიძლება რუსეთის სახელმწიფოებრივი ფორმების ურთიერთდამკიდებულება აქსნათ რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის წესით? წარმატების შემთხვევაში, ეს საშუალებას მოგვცემდა გველაპარაკა-კა ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმების „დიალექტიკურ მთლიანობაზე“. მაგალითად, ჩვენ შეგვეძლო გვეოქვა, რომ ქვეყნის შინაგან, ბაზისურ სტრუქტურებში მიმდინარე განუწყვეტელი ცვლილებების რაღაც ეტაპზე, ხდება ზედნაშენური სახელმწიფოებრივი ფორმების ნგრევა, იშლება ძველი სახელმწიფოს და წარმოიშვება ახალი პოლიტიკური ერთობა. კიევის რუსეთი პეტრეს რუსეთი თუ ბოლშევიკური რუსეთი სწორედ ასეთი ნგრევისა და შენების მიჯნებს გამოხატავენ. მოუხედავდერთვარი დამაჯერებლობისა, რაც თან ახლავს შემოთავაზებულ არგუმენტაციას, აღნიშნული კანონი, რომელიც მეტ-ნაკადები სიცხადით გვიხსნის ევროპულ სახელმწიფოებში მიმდინარე ცვლილებების მექანიზმს, როგორც ჩანს, არ გამოდება რუსეთის ისტორიის ასახსნელად. თუკი რუსეთის ისტორიას რაიმე სპეციფიკა აქვს, უპირველეს ყოვლისა ის, რომ ამ ისტორიას არ ერგება რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლის წესი, რაღაც რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლის ამ წესს აუცილებლად თან ახლავს პროგრესის იდეა. ამ იდეის გარეთ, კონტექსტიდან ამოგლევილად, აღნიშნული კანონი „არ მუშაობს“, ან აშეარად მოიკოჭლებს. პროგრესის იდეა კი თავისთავადაა უაღრესად საკამათო რამ, მაგრამ ამ ფართო თემასაც რომ თავი დავანებოთ და პროგრესის არსებობა ურყვე ფაქტად მივიჩნიოთ, ყველა როდი დაგვეთანხმება თითქოს რუსეთის სახელმწიფოს ყოველი მომდევნო ფორმა უფრო პროგრესულია, ვიდრე წინამორბედი. სლავიანოფილების ეთრ-ერთი მთავარი სათქმელი ხომ ის გახლდათ,

რომ პეტრე I-ის რეფორმები არა და არ ჩაითვლება პროგრესის მატარებლად, ან, მაგალითად, გავიხსენოთ სოლუენიცინი, რომელიც მსგავსადევ სთვლილა, რომ ბოლშევიკური რუსეთი ნიკოლოზ II-ის რეენძონან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯი იყო და ამ იდეას ბევრი სხვა მომხრეც ყავს.

მეორე მხრივ, პროგრესის არარსებობა იმასაც ნიშნავს, რომ რუსული სახელმწიფო გრაფიკის სხვადასხვა ფორმებს შორის არ არსებობს მემკვიდრეობითობა. ზოგგერ ამბობენ ხოლმე, - საფრანგეთის რევოლუციამ დასრულა პროცესი, რომელიც წამოიწყო მონარქისტული საფრანგეთის ისეთმა თვალსაჩინო მოღვაწებ, როგორიც რიშელიე, რევოლუციურ ეპოქაში დასრულდა ქვეყნის ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის და ფრანგი ერის თვითცნობიერების ჩამოყალიბება. გენერალ დიუმურიეს სიტყვები - „გაუმარჯოს ერს“ - რევოლუციური არმიის პირველი წარმატების საწინდარი და ამგვარი თვითცნობიერების გარკვეული მიზნა. თუ ეს თვალსაჩინის სწორია, მშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მემკვიდრეობითობაზე ფრანგული სახელმწიფოს ორ ისეთ საპირისპირო ფორმას შორის, როგორიც მონარქია და რესპუბლიკაა. ამისაგან განსხვავებით, თუ ბერლინის დავუჭრებთ, გაგვაჭირდება მემკვიდრეობითობაზე ვილაპარაკოთ რუსული სახელმწიფოებრიობის ისეთ ფორმებს შოის, როგორიცაა, მაგალითად კიევის და მონგოლოების დროინდელი რუსეთი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთი და სხვ. რა მემკვიდრეობითობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როდესაც დემოკრატიული რუსეთის საფუძვლების შენება საბჭოური ცხოვრების წესის ისევ ტოტალური კრიტიკით დაიწყო. მანამდე კი გავიხსენოთ, როგორი ინტენსიონით „ურცხავდნენ ტვინს“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საბჭოთა მოქალაქეებს და ვიკითხოთ - რა გაღმოეცა მემკვიდრეობით დღევანდელ რუსეთს საბჭოური ლირუბულებებისა და პოლიტიკური სტრუქტურებისაგან? ჩვენი ღრმა რწმენთ, ჭირ ამ კითხვაზე რაიმე კონკრეტულის დასახელება გარდა ერთია: ეს ერთი გახლავთ „დერჟავა“, რომელიც ყოველი რუსული სახელმწიფოს ფუნდამენტი და, როგორც შედგომ თანდათნობით უფრო ცხადი გახდება, მისი გვირგვინა.

კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გაუმართლებელია „მრავალი რუსეთის“ სახელმწიფოებრივი ფორმების მონაცვლეობის რაოდენობრიობის და თვისობრიობის ტერმინებში აღწერა, ასეთი გახლავთ: „რაოდენობრიობით“, როგორც წესი, აღინიშნებოდა ყოველი საგნის, მათ შორის სახელმწიფოს სტრუქტურების დინამიური, ცვალებადი ელემენტები (საწარმოო ძალების, ტექნიკური პოტენციალის და საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების გამომხატველი მოვლენები), ხოლო „თვისობრიობით“ კი შედარებით კონსერვატიული, სახელმწიფოს სო-

ციალურ-პოლიტიკური ფორმა, როლის ჩარჩოებშიც მიმღინარეობდა რა-ოდენობრივი ცვლილებები. იდეის მიხედვით, იგულისხმებოდა, რომ ქვეყ-ნის საწარმო-ტექნიკური პოტენციალის წინსვლა, „დაგროვება“ მუდაშ წინ უსტრებს არსებული პოლიტიკური რეჟიმის ახალ ფორმას და ამი-ტომ, მისი განახლების წყარო ხდება. უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ამ-გვარი ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მოდელი შემუშავდა ეგ-როპაში მიმღინარე მოვლენების გათვალისწინებით, ევროპული გამოც-დილების საფუძველზე და იგი მეტ-ნაკლები დამაჯირებლობით გვიხსნის ეკრაპის ისტორიის შინაგან მექანიზმებს. მაგრამ იგივე მოდელი სრუ-ლიად უვარებისა რუსეთის ისტორიის გასამზრებლად. „მრავალი რუსე-თის“ ფორმათაგან, არც ერთ მომდევნოს არ შეუცვლია წინამორბედი ამგვარი სქემის მიხედვით. ვითარება სწორედ საპირისპიროა. რუსეთში პოლიტიკური სტრუქტურების ცვლილებათა ერთ-ერთი მთავარი ამო-ცანა, ძირითადად ქვეყნის დაბალი სამრეწველო და ეკონომიკური მდგო-მარეობის გაუმჯობესება იყო. წამოწყებული პოლიტიკური რეფორმა თუ რევოლუციური გარდაქმნა მმართველ წრების ჭირდებოდათ ჩამორჩენი-ლი მურნეობის არსებულ მსოფლიო სტანდარტებთან გასათანაბრუებლად. სწორედ ამიტომაა რუსეთი გრანდიოზული სოციალურ-პოლიტიკური ექ-სპერიმენტების ქვეყანა, რომელშიაც ფართო გასაქანი აქვთ „დიდ არ-ქიტექტორებს“ და „ექსპერიმენტატორებს“.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვთქვათ რუსეთის ისტორიის ნაგულისხმები თავისებურება. კერძოდ, „მრავალი რუსეთის“ თთევული ფორმა შემუშავებულია არა ქვეყნის შინაგანი სტიმულებიდან გამომდი-ნარე, არამედ თავისმოხვეულია გარედან და მთასახლეობის ფართო ფე-ნების მიერ აღიქმება როგორც უცხო. ეს სავსებით ბუნებრივია, რად-გან ახალი ცხოვრების წესისათვის ხალხი არც მატერიალურად და არც სულიერად არ არის მზად, ის მტრულად უყურებს ნებისმიერ სიახლეს და ხელს არ უშეიძლოს მის დაწერგვას.

ჩა განსაზღვრავს საბოლოო ჯამში რუსულ სახელმწიფოთა ყოფას ან, იქნებ მართლაც არ არსებობს ამგვარი ერთიანი ფაქტორი და სხვა-დასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ვითარება იყო განმსაზღვრელი? თვით ბერდიაევი ფიქრობდა, რომ ძირითადი გასაღები რუსი ხალხის რელი-გიურ საწყისებში ძეგს, რომელმაც გამოჩარდა რუსეთის დოგმატური სული. დოგმატიზმითვე, რომელიც ყოფით სიტუაციებში გარდატყდება როგორც მაღემრწენობა, გვიხსნის იგი რუსებისათვის დამახასიათებელ, მათთვის შეთავაზებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური სტრუქტურე-ბის ბრძან მიღევნების თვისებას, ამ სტრუქტურების კრიტიკული, რა-ციონალური შეფასების უუნარობას.

ბერდიაევის ამ მოსაზრებას უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ. თუ-

ცა, ნაჩქარევ დასკვნებს ვამჯობინებთ ჯერ განვიხილოთ „მრავალი რუ-სეფის“ ყველაზე მნიშვნელოვნი, რელიეფური ფორმები და მხოლოდ ამის შემდეგ ცცაღოთ შევაჭამოთ მოპოვებული შეღეგები.

## პიევის რესემის თაობაზე

ერთი გავრცელებული ოვალსაზრისით, რუსთა სახელმწიფოს საფუძვლი ჩაუყარა სამა ნორმანმა ძმამ - რიურიკმა, ტრუვორმა და სი-ნეუსმა. დღევანდელი რუსეთის პატრიოტული პრესა, რომელშიაც გულ-მოდგინება გაანალიზებული რუსეთის წარსულის თითქმის ყველა კუთხე-კუნძული, ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს. რუს პატრიოტებს თა-ვიანთი სახელოვანი სახელმწიფოს დაფუძნების ამგვარი თეორია მაინ-ცდამანც არ მოსწონთ. თუმცა, თავისთვალი, არაფერია დასაძრახი იმა-ში, რომ რომელიმე ერის სახელმწიფო ცხოვრების სათავეებთან უცხო-ტომელები იდგნენ. ცნობას ვარიაგების რუსეთში მოწვევის შესახებ გვაწვდის კიევ-პეჩორის მონასტრების ბერი ნესტორი (XI-XII ს-ები). ნესტორის მიხედვით, ვარიაგები თავად სლავებს მოუწვევიათ თავიანთ ბატონებად იმ მოტივით, რომ „ქვეყანაში არ არის წესრიგი“. ამ ფაქტს ბოროტი ენები იყენებენ რუსული სახელმწიფოებრივი ტრადიციის გან-ქიქების მიზნით, რაც პატრიოტების ბუნებრივ გაღიზიანებას იწვევს. ჩამდენად შეეფერება ნესტორის ცნობა სინამდვილეს სხვა საკითხია, მაგრამ უტყუარი ფაქტია ის, რომ ვარიაგებმა გადამწყვეტი როლი შე-ასრულეს რუსეთის სახელმწიფოს ფორმირებაში და რომ თვით სახელი „რუსი“ სწორედ ვარიაგებთანაა დაკავშირებული.

შედეგად კიევის რუსეთის მოსახლეობა შედგა სამი ძირითადი ეთ-ნიური ჯგუფისაგან - სლავების, ფინელების და ნორმანებისაგან. სლავ-თა თავდაპირებელი ფიქსირებული საცხოვრისი მდინარე ღუნას საც-ხოვრისი იყო: „დასხდნენ სლავები ღუნაზე, სადაც დღეს უნგრელთა და ბულგარელთა მიწაა“ - გვიყვება რუსი მემატიანე. როგორც შემ-დგომ იჩვევეა, ამ საცხოვრისიდან სხვადასხვა, უცხო ტომების დაწო-ლის გამო, სლავები იძულებული იყვნენ რამდენიმე მიმართულებით გა-ფანტულიყვნენ. სლავების ერთმა ნაწილმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი, და სწორედ ამ სლავთა ტომებმა შეადგინეს მომავალი კიევის სახელმწიფოს ძირითადი ეთნიური ბაზისი, როდესაც ისინი და-სახლდნენ მდინარე ღნეპრისა და ილმენის ტბას შორის.

შემდეგი ეთნიური ჯგუფი, როგორც ითქვა, სლავების გარდა, ფი-ნური ჯგუფი იყო. ფინური სახელმწიფოს ღერეგანდელი გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. ფინური გან-

სახლების სამხრეთი საზღვარი და ფინელთა შეხების ხაზი სლავურ ტომებთან მდინარე მოსკოვზე გადიოდა. „IX საუკუნის ნახევარში - წერს ამის შესახებ სკრიფტი სოლოვიოვი - ფინური ტომების საზღვართან შეგვიძლია გავაგლოთ მდინარე მოსკოვის ჩაიონში, სადაც ფინელები სლავურ ტომს, ვაიტჩებს უნდა შეჯახებოდნენ“ (6. 1. 110). საერთოდ კი ფინური წარმოშობისაა ისეთი „ძირძველი რუსული“ ტომები, როგორიცაა ჩუდი, მერია, იამი, ჩერემისი, პერია, პერმი და ა. შ.

და ბოლოს, მესამე ჯგუფი მოსახლეობისა ნორმანული იყო. როგორც რუსი მემატიანე გადმოგვცემს, სლავი ელჩების მოწვევას სამი ჩრდილოელი ძმა გამოეხმაურა, რომელიც ქვეყანში საქმაოდ ძლიერი რაზმით შემოვიდნენ. უფროსი ძმა რიურიკი (Hrörekr) ნოვგოროდში დამკიცდრდა, სინეუსი ბელონზეროს მიდამოებში, ხოლო ტრუვორი (Thorvardr) კრივიჩების ქალაქ იბბორსკში. სინეუსისა და ტრუვორის სიკვდილის შემდეგ, უფროსმა ძმამ თავისი ძალაუფლება მათ სამფლობელოებზედაც გაავრცელა და ქვეყნის მომავალ მმართველთა გვარს დაუდო სათავე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკანდინავიულმა ტომებმა დაიპყრეს როგორც აღმოსავლელი სლავების, ასევე სამხრეთელი ფინელების სამკვიდრო. სამივე ეთნიურმა ჯგუფმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ეთნიურ ერთიანობას - რუსებს, რომელთა ქვეყანას შემდგომში რუსეთი ეწოდება. ვიდრე პოლიტიკური მოწყობისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თვით სახელმწიფება „რუსის“ შესახებ.

დღეს, რომელსაც პოტსაბჭოურ სივრცეში მეტად გამწვავებულია ერთაშორისი ურთიერთობანი, რუსებსა და უკრაინელებს შორის გამართულ დისპუტებში ხშირად საუბრობენ „კიევის რუსეთზე“ როგორც დღევანდელი რუსებისა და უკრაინელების საერთო სამშობლოზე. ეს რა თქმა უნდა სავსებით სწორია, მაგრამ შეიძლება ბევრისათვის უცნობი იყოს ის ფაქტი, რომ IX-X საუკუნეებისათვის „რუსი“ სულაც არ ყოფილა სლავური წარმოშობის ტომების ზოგადი აღმნიშვნელი სახელი. ბერი წესტორი, ოლეგის ბიზანტიიზე ლაშქრობის აღწერისას უყოფ-მანოდ ანსხვავებს ერთმანეთისაგან სლავებსა და რუსებს (9). რუსებად, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, დასაწყისში იწოდებოდნენ არა სლავები, არამედ მათი დამპყრობი ვარიაგები. კლუჩევსკი პირდაპირ მიუთითებს, რომ მათ, ვინც დასაწყისში სლავებად იყვნენ ცნობილნი, შემდგომში ვარიაგების სახელი - რუსები - მიიღეს (5. 1. 109). სხვაგან ისევ კლუჩევსკი აღნიშნავს, რომ აღმოსავლელ სლავებს შორის სახელი რუსი არ ფიგურირებს საერთოდ VIII საუკუნეში, ხოლო IX-X საუკუნეებში, „რუსებს“ ჯერ კიდევ არ ხმარობდნენ სლა-

ვების მიმართ და რუსი გამოირჩევა სლავისაგან ისევე, როგორც მოსული და გაბატონებული ტომი გამოირჩევა ადგილობრივი და დამორჩილებული მოსახლეობისაგან (5. 1. 143). „ვარიაგები“ და „რუსები“ ერთიდაიგივე სკანდინავიური ტომის სახელწოდებაა. უბრალოდ პირველი სახელით მათ სლავები იხსენიებენ, ხოლო მეორეთი კი სამხრეთში მცხოვრები - ბიზანტიელები, არაბები, ხაზარები. ბიზანტიელებისათვის, მაგალითად, რუსი არის სკანდინავიული ნახევრად ყაჩაღი და ნახევრად კომერსანტი, მეომარი, რომელთა გრძელი ნავები ჭერ კიდევ რიურიკების შემოსვლამდე ესტუმრებოდნენ ხოლმე იმპერიის საზღვრებს ჩრდილოეთიდან. ამრიგად, შეგვიძლია საბოლოოდ დაგასკვნათ, რომ „რუსი“ იმ სკანდინავიული ტომის სახელწოდება იყო, რომელიც რიურიკების თაოსნობით შემოვიდა სლავებისა და ფინელების მიწაზე.

განვიხილოთ ახლა შემოსული სკანდინავიელების პოლიტიკური ორგანიზაცია. თუმცა, გამოთქმა „პოლიტიკურმა ორგანიზაციამ“ არ უნდა შეგვიქმნას ილუზია, თითქოს სლავების ტერიტორიაზე შემოსული ნორმანები მოქმედებდნენ კარგად მოფიქრებული და ნათელი პროგრამის მიხედვით, მიზანდასახულად აგებდნენ სახელმწიფოს და ა. შ. ამ მხრივ სკანდინავიელები არ ყოფილან ადგილობრივ მოსახლეობაზე მეტად დაწინაურებულები. რეალურად მოხდა უფრო მარტივი რამ: ნორმანებმა დაიყრეს ქვეყანა, რომელზედაც გაავრცელეს საკუთარი ძალაუფლება და სოციალური ორგანიზაცია. დამპყრობთა ურთიერთობების მარებულიერებელი ტრადიციები, ამ პირობებში, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის განმსაზღვრელი „ნორმები“ აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ რუსეთში ჩამოყალიბებულ პილიტიკურ სტრუქტურებს ანალოგია არ მოექმნებათ არც ერთ ქვეყანაში. გაბატონებული, მმართველი ფენის წარმომადგენერლთა - მთავრების - უფლებების რეგლამენტაცია, პირადად ჩვენ, ძალზე გვაგონებს საბჭოთა რუსეთში კომპარტიის სხვადასხვა რეგიონების მდივნების ფუნქციების განმაზღვრელ წესს. ეს შედარება არც ისე გადაჭარბებულია, როგორც შეიძლება ვინმეს ეჩვენოს. ამ უნიკალური პოლიტიკური წყობის საფუძველს უფროსობის რიგითობა (очередь старшества) წარმოადგენდა. რუსმა ვარიაგებმა მოახერხეს შუა საუკუნეებში შეექმნათ სახელმწიფო, რომლის მმართველ ფენას - მთავრებს - მიწაზე არ ჰქონიათ საკუთრების უფლება. პირველი რუსული სახელმწიფოს ამგვარი „სტიქიური კომუნიზმი“ ჩამოყალიბდა, როგორც ახლახნან აღვნიშნეთ, ვარიაგების ცხოვრების წესიდან გამომდინარე. ეს წესი კი გვაროვნულ ყოფას და ამ ყოფის თანმხლებ ელემენტს - კოლექტიურ საკუთრებას ემყარებოდა. რუსი ხალხისანები ბევრს წერდნენ რუსეთის გლეხობის სოციალისტური ინსტინქტებისა და რუსული თემის შესახებ, მაგრამ მათ, როგორც წესი,

ავიწყდებოდათ იმის აღნიშვნა, რომ არა მხოლოდ რუსი გლეხია „ბუნებით სოციალისტი“, არამედ რომ პირველი რუსი-გარიაგი მთავრები, რომელთა შთამომავლებიც შემდგომ უზარმაშარ მამულებს ფლობდნენ, არ იცნობდნენ წარმოების ძირითად საშუალებაზე - მიწაზე - კერძო საკუთრებას. რა თქმა უნდა, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს პირდაპირი კაუზალური კავშირი გავაბათ რუსეთის პირველ პოლიტიკურ ორგანიზაციასა და ხალხის ფსიქიურ წყობას შორის, მაგრამ ვერც იმაზე დაცხუჭავთ თვალს, რომ რუსებში ძალზე ძლიერია კოლექტივისტური ინსტინქტები.

პირველი რუსული პოლიტიკური რევოლუციის განმსაზღვრელია შემდეგი თავისებურებანი: (ა) გაბატონებული საზოგადოების ნაწილის „სტიტური კოლექტივიზმი“, კერძო საკუთრების არარსებობა. (ბ) უმაღლესი ხეისუფლების კრებითი ხასიათი, რომელიც განეკუთვნებოდა არა ერთ პერსონას, არამედ მთელ გვარს; (გ) ცალკულ მთავართა მიერ ქვეყნის სხვადასხვა ოჯქის დროებითი და ადგილმონაცვლეობითი ფლობა; (დ) მკვეთრი იერარქია როგორც თვით მთავართა, ასევე იმ გეოგრაფიულ რეგიონებს შორის, რომელთაც ეს მთავრები ფლობდნენ. ვცადოთ მოკლედ დავახასიათოთ აღნიშნული რეჟიმი.

ამა თუ იმ ქალაქის, ოჯქის ფლობის მემკვიდრეობა რუსეთში, მსგავსად ევროპასა და ჩვენში გავრცელებული სისტემისა, ემყარებოდა ქმებს შორის უფროს-უმცროსობას. ამ წესით უპირატესობა უფროს ქას ეკუთვნის, მაგრამ რუსეთში გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ამა თუ იმ რეგიონის ფლობის მემკვიდრეობა გადადიოდა არა მამიდან შვეიცარი (ე. ი. უფლროსი ქმის შთამომავლებზე), არამედ უფროსი ქმიდან მომდევნო უმცროს ქმაზე. მაგალითად, მეოთხე იაროსლავის ძის, ვიაჩესლავის გარდაცვალების შემდეგ (1057 წელს), მისი საგანმგებლო ქალაქი დაიკავა არა მისმა უფროსმა ვაჟმა, არამედ ქმამ იგორმა, რომელიც, თავის მხრივ, ვოლინში მთავრობდა. ვოლინში გამოთავისუფლებული ადგილი კი დაიკავა არა იგორის ვაჟმა, არამედ უფროსმა ქმისშვილმა. იგორის გარდაცვალების ან მორიგ ქალაქში „დაწინაურების“ შემთხვევში, სმილენსკის მართვა მის რიგით მომდევნოს, როსტისლაგს ეკუთვნოდა.

ადგილმონაცვლეობა გულისხმობდა უფროს-უმცროსების მკაცრ იერარქიას, რომელიც განისაზღვრებოდა არა ასაკობრივი განსხვავებით, არამედ გვაროვნული კავშირებით. მამის შემდგომ პირველი სამი ქმა ითვლებოდა უფროს თაობად, მომდევნო ქმები ითვლებოდნენ მეორე თაობად, რომლებიც რანგით მისიშვილებს უთანაბრდებოდნენ. ამასთან უფროსი ქმისშვილი მეოთხე ბიძას უტოლდებოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ბიძა ასაკით გაცილებით უფრო პატარა იყო, ვიდრე ქმისშვილი, რაც შემდეგ

გომში გამეფებულ შინაომებს და სამემკვიდრეო ქაოსს კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს აძლევდა. კიევის რუსთში ძირითადი კონკურენტები მმართველის პოსტზე იყნენ არა ძმები, არამედ ბიძა-ძმისშვილები.

მთავარია ამგვარ იერარქიას შეესაბამებოდა ქვეყნის ქალაქებისა და რეგიონების იერარქიაც, ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მნიშვნელობისა თუ შემოსავლის მიხედვით. მაგალითად, იარისლავის დროს სამ მთავარ ქალაქები ითვლებოდა კიევი, ჩერნიგოვი და პეტრიასლავი. ქალაქებს შორის უფროს-უმცროსობა ეხებოდა როგორც ძველ, ასევე ახლადაშენებულ ქალაქებსაც. ახლადაშენებული ქალაქები უფროს-უმცროსობის მიზართებში შედიოდნენ ძველებთან, ითვლებოდნენ მათ გარე რეგიონებად და უნდა დამორჩილებულიყვნენ მათ გადაწყვეტილებას.

ვფიქრობთ, ახლა უფრო გასაგები უნდა იყოს თუ რა გვქონდა მხედველობაში, როდესაც კიევის რუსეთის მთავრებს კომუნისტური პერიოდის საოლქო მდივნებს ვადარებდით. ძველი რუსი მთავრები არ ყოფილან ფეოდალები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი ფაქტურად მხოლოდ ოლქის მმართველები ან, შესაძლოა უკეთესი იქნებოდა გვეთქვა, ხელისულების მოხელეები იყვნენ, რომლებიც განსაზღვრული დროის მონაკვეთში განაგებდნენ რეგიონს და მსგავსად კომუნისტ ილქის მდივნებისა, სარგებლობდნენ ამ ოლქის ყველა სიკეთით. მთავრებს მაინც ჰქონდათ საკუთრების რაღაც გაგება, თუმცა ერთობ სპეციფიური. იგი ეხებოდა არა რომელიმე რეგიონს, არამედ მთელ რუსეთს, რომელიც, ამასთან, ცხადდებოდა არა რომელიმე, თუნდაც დიდი მთავრის საკუთრებად, არამედ საკუთრებად მთელი გვარისა. ასე რომ, XII საუკნის დასასრულამდე მთავრებს არ შეუწყვეტიათ იმ აზრის გადმოცემა, რომ მთელი მათი ერთიანობა, მთელი გვარი, დაუნაწევრებლად, რიგ-რიგობით უნდა განაგებდეს მამა-პაპის მემკვიდრეობას (5. 1. 184). კიევის მმართველი, დიდი მთავარი არ ყოფილა მონარქი. კიევის რუსეთში ქვეყნას განაგებდა მთავართა გვარი, რომლისათვისაც არც ერთ გენეალოგიურ ხსნა არ ჰქონდა სხვებთან რაიმე უპირატესობა. გვარის ყოველ წევრს ჰქონდა უფლება ყოფილიყო დიდი მთავარი, მჯდარიყო მთავარ რუსულ ქალაქში - კიევში. აქედანაა ტოლძალოვანი მთავარ-ნათესავებისათვის საკუთარი მამულის არსებობა; მამული ხომ მთელი რუსეთის მიწა იყო. აქედანვე აგრეთვე ის თავისებურებაც, რომ მთავართა მთელი შინა ომების პეტრიოდში არც ერთი სამთავროს საჩლვრები არ გაფართოებულა შესამჩნევად სხვების ხარჯზე. მთავრებისათვის ხომ აზრი არ ჰქონდა ზრუნვას იმ რეგიონის გაფართოებიაზე, რომელიც შემდეგ სხვისათვის უნდა დაეთმო. ყოველი მთავრის „კარიერის“ საბოლოო მიზანი კიევში მთავრობა იყო და ამ პოსტისათვის მთავართა ბრძოლა არ ამცირებდა გვარის ერთი-

ანობის შეგნებას, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული და მჭიდროდ უკავშირდებოდა კერძო სამთავროების არარსებობას.

საერთოდ თქმა იმისა, რომ მთავრების სამთავროები მათ საკუთრებას არ წარმოადგენდნენ, სტანდარტული ვითარების დესკრიპციას ახდენს და სულაც არ გამორიცხავს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ესა თუ ის როურიკი საკუთრებაში იღებდა მიყრუებულ რეგიონს. მესაკუთრეთა რაოდენობა შემდგომში დომინანტური გახდა, მაგრამ კიევის რუსეთში ისინი ან მოხალისე კოლონისტები იყვნენ, ან განდევნილი მთავრები (κνιάζι იზგი), რომელებიც მამის სიკვდილის შემდეგ განიდევნებოდნენ ხოლმე მთელი გვარის მიერ აღილმონაცვლეობით მართვის სისტემიდან.

მთავრების მოღვაწეობა მოუწყვეტელი იყო მათი რაზმებისაგან (Аружина). მათი ურთიერთდამოკიდებულება მსგავსია როგორც დიდი მთავრის, ასევე ჩემი რეგიონების მთავრების შემთხვევაში. თუმცა საბრძოლოდ გასულ მთავარს ჩშირად თავის რაზმთან ერთად თან ახლდა სახალხო ლაშქარი, ამ უკანასკნელს მაინც დამხმარე, დაქვემდებარებული ფუნქცია ჰქონდა. რაზმის დაყოფა, სამხედრო სტრუქტურა მსგავსია მარტივი შეიარაღებული ფორმირებებისა: ათასეული, ასული, ათეული, მაგრამ საინტერესოა ის, რომ რაზმს სამხედროსთან ერთად გარკვეული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფუნქციაც ჰქონდა. ამ მიმართებით ის იყოფდა უფროს და უმცროს რაზმელებად. რუსეთის ისტორიიდან კარგად ცნობილი ბოიარები, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ როგორც მთავრის კარჩე სათათბირო ხმის შქონე პირებს, დასაწყისში მხოლოდ მთავრის უფროსი რაზმელები იყვნენ. თუმცა, მნიშვნელოვან საკითხებში მრჩევლის ფუნქცია, გარდა სამხედრო ვალდებულებისა, მათ თავიდანვე ჰქონდათ. ამის გამო, ბოიარები მთავრის ძირითად საგანმგებლო ქალაქში ისხდნენ მშინ, როდესაც უმცროსი რაზმელები (мужи кнечецикие) გაფანტული იყვნენ სამთავროს სხვადასხვა აღმინისტრაციულ პუნქტებში და კონკრეტულ დავალებების აღსრულებას ადევნებდნენ თვალს. მთავრის დრუჟინა დასაწყისში ნორმანებისაგან შედგებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელნი გასლავდნენ (სხვათა შორის საკაონდ სწრაფად და უმტკიცნეულოდ) რაზმის უფროს წევრებად გხედავთ როგორც სლავური წარმოშობის პირების, ასევე სხვადასხვა ეთნიური ჯგუფების წარმომადგენლებსაც.

აღწერილი პოლიტიკური რეჟიმის სურათი არადამაქმაყოფილებელი იქნება, თუკი ორიოდე სიტყვა არ ითქვა ქვეყნის ეკონომიკური ყოფის შესახებ. მთავრების დამოკიდებულება მიწათმოქმედებთან განსაზღვრული იყო ე. წ. კორმლენი-თი, ანუ მარჩენლობით. მთავრები ახორციელებდნენ ქვეყნის იარაღით დაცვას და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამ სამსახურისათვის ისინი მოსახლეობისაგან იღებდნენ ხარჯს

განსაზღვრული ჩაოდენობით. სხვათაშორის სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე, ე. ი. გამომდინარე იქედან, რომ შემოსულ ნორმანებს ძალით არ მოუტაცებიათ მიწები, არ ჰქონდათ მიწზე საკუთრების სურვილი და თავიანთ ძირითად ფუნქციას ქვეყნის მართვასა და დაცვის ხედავდნენ - ნატურით ანაზღაურებისა და სხვადასხვა სამსახურის გაწევის ფასად, ჩანს, რომ ნორმანები მართლაც მართვისა და დაცვისათვის მოევლინენ ქვეყანას და არავითარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის იდეა მათ არ ჰქონიათ. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ მოწვეულები თანდათან გაბატონდნენ და ფაქტიურად ქვეყანა დაიპყრეს. რაც შეეხება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ ხერხებალს, იგი უდავოდ ვაჭრობას ემყარება. ამ ვითარებისათვის ხაზგასმა აუცილებელია, თუ გვინდა გავიგოო კიევის რუსეთის დაკინინებისა და დაცემის მიზეზები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნორმანებმა სამხრეთისაკენ გზა ძირითადად ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობისათვის გაიკაფეს. ისინი უმთავრესად მდინარეებით სარგებლობდნენ, რომლებზედაც ძალზე ოსტატურად იყენებდნენ ნავებს. პირველი რუსი მთავრები ცუდ ცხენოსნებად ითვლებოდნენ და სამხედრო ექსპედიციებში, როგორც წესი, ნავებით მიემართობოდნენ. ნავები იყო ვითარებისძა მხედვით ზოგჯერ სავაჭრო-სატრანსპორტო, ზოგჯერ სამხედრო საშუალება ისევე, როგორც თავად რუსი-ვარიაგები ერთდროულად ვაჭრებიც იყვნენ და ყაჩალებიც. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ბიზანტიაში მიმავალი სავაჭრო ქარავანი გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიდა სტეპების მომთაბარეებისაგან და სხვა ყაჩალებისაგან. რუსეთი მდიდარი იყო ბეჭვეულით, ხე-მასალით, ტყავით, თაფლითა და სანთელით. ამ და მსგავს პროდუქციას ეგატებოდა როგორც ჩრდილოეთი და დასავლეთი რეგიონებიდან შემოტანლი, ასევე აღმოსავლეთის სტეპებიდან შემოსული საქონელი. ამგვარმა საქონელბრუნვამ რუსულ ქალაქებს, განსაკუთრებით კიევს, გვარიანი სიმდიდრე შესძინა.

კიევის რუსეთის ასეთი ეკონომიკური აგებულება, რომელიც სამხედრო-სავაჭრო ქვეყანას ჩამოჰყავდა, სრულ თანხმობაში მოღიოდა ქვეყნის რეგიონების პოლიტიკურ მოწყობასთან, რეგიონალიზაციასთან. როგორც ვიცით, რუსეთის ქალაქებს შორის იყო უფროს-უმცროსობის იერარქია, რომელიც შეესატყვისებოდა იგივე ქალაქთა მმართველების უფროს-უმცროსობას. გასაგებია, რომ რაც უფრო ახლოს იყო ქალაქი შემოსავლის ძირითად წყაროსთან - სამხრეთის საზღვართან ან საზღვარგარეთულ ბაზრებთან, მით უფრო დიდი მნიშვნელობის და სიმდიდრის მფლობელი იყვნენ მისი მცხოვრებლები. იგივე ქალაქი, სამხრეთის სტეპებში მონავარდე მომთაბარეების განუწყვეტელი თავდასხმების გამო, რუსეთის ყველაზე რთულ და სტრატეგიული თვალსაზრისით სა-

პასუხისმგებლო უბანს წარმოადგენდა. მთლიანი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, უმჯობესი იყო ამგვარ ქალაქში მმართველად მჯდა-რიყო ბრძოლებსა და პოლიტიკურ ინტრიგებში გამობრძედილი კაცი, რომელსაც სოლიდური ფინანსური ძალა ექნებოდა. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი საგანმგებლო ქალაქი გამოიარა მთავარმა. ცხადია, რომ ჩაც უფრო მეტი იყო ასეთი ქალაქების ჩაოდე-ნობა, მით უფრო მეტი სიმდიდრის იყო მთავარი და უფრო დიდი სამ-ხედრო რაზმის ყოლა შეექლო მას, რომელიც ყოველი მორიგი „დაწინა-ურების“ ღრას თან მიშევებოდა მთავარს ახალ საგანმგებლო ჩეგიონში.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წესის გამო, როგორც მთავრის, ისე მთელი ქვეყნის კეთილდღეობა და სიმდიდრე დამტკიდე-ბული იყო არა იმდენად ცალკეული ოლქის მუსურნეობის გამართულო-ბაზე, არსებული რესურსების მაქისალური ინტენსივობით ათვისებაზე, არამედ ექსტრემულ ფაქტორებზე, შიდა და შეძლებისდაგვარ მომიწ-ნავე ჩეგიონების სავაჭრო-სახმელეთო და სამდინარო გზების უსაფრთ-ხოებაზე. აი, ამ პირობებში შეუწყო ხელი კიევის რუსეთში იმ თავი-სებური პოლიტიკური ჩეგიმის განწტევიცებას, რომელსაც ანალოგია არა ჰქონია სხვაგან.

კიევის რუსეთში გაბატონებული პოლიტიკური სტრუქტურები ერ-თი მხრივ უზრუნველყოფა ქვეყნის მთლიანობას და ფეოდალური დაქ-საქსულობის არარსებობას, მაგრამ მხრივ მაინც ქვეყნის შიდა-შილილობის მიზეზად იქცა. ფეოდალიზმი, მისი კლასიკური ეგრძობული ფორმით, ფეოდალიზმი როგორც სენიორისა და გასალის ურთიერთო-ბაზე აწყობილი სტრუქტურა, როგორც ვნახეთ, რუსეთში არ არსებობდა. ამისდა მიუხედავად, ქვეყანა მაინც ვერ გადაურჩა შინააშლილო-ბას, რისი მიზეზი იგივე ადგილმონაცვლეობით მთავრობის ინსტიტუტი იყო. საქმე ისაა, რომ ადგილმონაცვლეობის ეფექტური გამოყენება გუ-ლისხმობდა მმართველი გვარის გენელალეგის უშეცდომო ცოდნას. და-საწყისში, ვიდრე მთავართა გვარის წევრთა ჩაოდენობა არც ისე მრა-ვალრიცხვანი იყო, ამგვარი რამ კიდევ შეიძლებოდა დიდი დაგისა და კამათის გარეშე, მაგრამ IX-XII საუკუნეებში რიურიკების მოდგმაშ იმდენი განშტოება შეიძინა, რომ თითქმის შეუძლებელი იყო ცალსა-ხად გაერკვიათ, თუ რომელ გვარიშვილს რომელი ჩეგიონის მართვა ერგებოდა. ამან კი დიდ არეულ-დარეულობა გამოიწვია და ხელი შე-უწყო მთავართა დაგის იარაღის ძალით გადაწყვეტია. შინაომები უდა-ვოდ ასუსტებდა კიევის რუსეთს, მაგრამ ამ ქვეყნის დაცემის ძირითა-დი მიზეზი მაინც სხვა იყო.

## მონაცემთა რესეტის თაობაზე

XII საუკუნეში ქვეყანას მძიმე ხანა დაუდგა. ერთ დროს აყვავებული კიევი, რომელიც განთქმული იყო თავისი სილამშითა და სიმდიდრით, თანდათანობით კარგავს პირველობას რუსულ ქალაქებს შორის. თუ ადრე ყოველი რუსი-ვარიაგი მთავრისათვის დოდი მთავრობა საკუთარი პოლიტიკური კარიერის უმაღლესი მწერერვალი იყო, ახლა ეხედავთ, რომ დიდ მთავრის ტიტულის მქონე პირები კიევის ნაცელად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში სხედან. კიევის დაწინება მხოლოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ შეხებია. მნიშვნელოვნად იკლო ვაჭრობამ, გაუფასურდა ვერცხლი, სამხრეთი რუსეთი თანადათანობით დაიცალა მოსახლეობისაგან.

მიზეზები მთლად ნათელი არ არის. მკვდევარები ასახელებენ სამ მთავარ მიზეზს (5.I): (I) კიევის რუსეთში არსებობდა მონობა და მონური შრომა კი უაღრესად არაეფექტური იყო. სამხრეთ რუსეთის მოსახლეობა ცდილობდა გაქცეოდა თავის ძალზე მძიმე სოციალურ მდგომარეობას და ამჯობინებდა საცხოვრებლად მეზობელ რაიონებში გადაბარებულიყო; (II) გვარის ერთიანობის გრძნობა არასაკმარისი აღმოჩნდა მთავართა შორის შულლის მოსახლეობად - შინაომები, რომებიც ყველაზე მეტად მშვიდობიან მოსახლეობას ჰარალებდა, აიძულებდა მათ დაეტოვებინათ რეგიონი და უფრო წყნარი ადგილი ექვებნათ; (III) დაბოლოს, კიდევ ერთი მზეზი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, იყო სამხრეთის სტეპებში ახალი ძლიერი მტრის - ყივჩაყების - გაჩენა. რუსა მთავრებმა, რომლებიც მანამდე ეფექტურად იბრძონენ სხვა სამხრეთი მომთაბარეების წინააღმდეგ, კერძოდ ხაზარების და პაჭანიკების წინააღმდეგ, ვერაფერი მოუხერხეს ყივჩაყებს, რომლებიც XI საუკუნის დასაწყისიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მზარდი ინტენსივობით იწყებენ დაწყლას კიევზე. ყივჩაყთა ხანმა ბონიაქმა კინაღამ ქალაქიც აიღო. სტეპებსა და მდინარეების გასწვრივ მომთაბარეთა განუწყვეტელი თარეშის გამო, სავაჭრო მგზავრობა ბიზანტიისაკენ, რომელიც კიევის რუსეთის ეკონომიკის მაცოცხლებელი წყარო იყო, თითქმის შეუძლებელი შეიქნა.

კიევის რუსეთის მოსახლეობიდან მასიური დაცლა მოდის XII-XIII საუკუნეებშე, რაც საბოლოოდ მონლოლთა შემოსვებმა დაასრულეს ისე, რომ მონლოლთა კიევზე ლაშქრობის შემდეგ, რუსეთში მოგზაურმა პლანო კარპინიმ კიევში სულ ორასამდე სახლი დათვალი. მაგრამ არ ვიქნებით სწორი, თუკი მონლოლებს მივიჩნევთ კიევის პირველ ამღებად და ამ ქალაქის აღმინისტრაციულ-პოლიტიკური ფუნქციის მომშლელებად. მონლოლთა შემოჭრამდე თითქმის საუკუნით ადრე ქალაქი შტურმით აიღეს ჩრდილოსლავურმა ტომებმა მთავარ ანდრეე ბოგოლიობსკის და მისი მოკაშმირეების ინიციატივით. ამ მოვლენის შემდეგ კიევი ვეღარ გასწორდა წელში და სამუდამოდ დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. მონლოლებმა

უბრალოდ დაასრულეს ქალაქის და მთელი კიევის რუსეთის დაწყებული ნგრევა. ვინ იყვნენ ეს ჩრდილოელი სლავური ტომები? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ჯერ უნდა ვიკითხოთ თუ საით წავიდა მასიურად აყრილი სამხრეთ რუსეთის მოსახლეობა. კიევის რუსეთის მოახლეობა, რომელშიაც სლავური ელემენტი ღომნანტური იყო, დღევანდელი რუსებისა და უკრაინელების საერთო წინაპრები იყვნენ. XII-XIII საუკუნეებში მათი ერთი დიდი შტო დასავლეთისაკენ გადავიდა, ხოლო მეორე კი უფრო ადრე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. დასავლეთში გადასულნი კონტაქტში შევიდნენ დასავლეთის სლავების ტომებთან და საბოლოო ჭამში მაღლოროსული ჯგუფი შეადგინეს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით გადანაცვლებულები შეერწყნენ ფინურ ტომებს, რამაც ზეგავლენა იქონია მათ ენაზე. ამ მოსახლეობამ საბოლოოდ შეადგინა ველოკორნოსთა ტომი, რომლებიც თავიდან განსახლებულნი იყვნენ ვლადიმირისა და მის შემოგარენში. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი იმ ხალხებს, ვისაც ჩენ რუსებისა და უკრაინელების სახელით ვიცნობთ დღეს. თუ მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებთ, შევგიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთში გადახვეწილი ძველი კიევის მოსახლეობის შთამომავლები, მას შემდეგ რაც კიევის შემოგარენში მონღლოლების გამანადგურებელი თარეში თანდათან მწყნარდა, ხოლო დასავლეთში კი გაძლიერდა პოლონეთი და ლიტვა, პოლონელი შლიახტიჩების თაოსნობით ისევ დაუბრუნდნენ მამა-პაპისეულ აღგილებს და აღმოაჩინეს, რომ მათსა და რუსებად წოდებულ სხვა სლავი ტომების ენებს შორის საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავება არსებობდა. სამხრეთის რუსეთის ეს ახალი მოსახლეობა, ისევე როგორც ქალაქი კიევი, პოლონელების კონტროლს დაქვემდებარა მოსკოვიტური რუსეთის ხანაში.

მას შემდეგ რაც ბოგოლიუბსკიდ კიევი დალაშქრა, ამ ქალაქის როგორც ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა საბოლოოდ მოიშალა. რუსეთის ცხოვრების ცენტრი გახდა ვლადიმირი, რომელშიაც იჯდა დიდი მთავარი. ვლადიმირის ირგვლივ წარმოშვა ქალაქების მთელი ჯგუფი და სავარაუდოა, რომ მონღლოთა ლაშქრობა რომ არ ყოფილიყო, სწორედ ვლადიმირი და არა მოსკოვი იქნებოდა რუსეთის პირველი ქალაქი. ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსეთის პოლიტიკურ დაწყნაურებაზე ნათლად მიგვითითებს რუსეთში შემოსული მონღლოლების პირველი დარტყმის მიმართულება. მონღლოლებმა, როგორც ცნობილია, ჯერ ვლადიმირი და მის ირგვლივ არსებული ქალაქები მოახრეს, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით ილაშქრეს ყიბაყებშე და მხოლოდ ამის შემდეგ კიევს მიმართულებით.

პოლიტიკური ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადანაცვლება ცხოვრების განსხვავებული წესით წარმართვასაც ნიშნავდა. ველიკორუსული გაერთიანება, განსხვავებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ვერ იქნებოდა ისეთივე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტუ-

რების შემცველი, როგორიც კიევის რუსეთში არსებობდა. ჩრდილო-აღმო-სავლური სამთავროების ეკონომიკური ცხოვრება ეყარებოდა არა ვაჭ-რობას, არამედ მიწათომშემოქმედებას, რასაც ხელს უწყობდა ყამირი მიწის დიდი ფართობები. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მთავ-რებმა მესაკუთრის თვალით დაუწყეს საკუთარ სამთავროებს ცეკრა. ამგ-ვარი დამრაიდებულების ნიმუშს ვლადიმირის დიდი მთავარი უჩვენებდა. ჯერ ამ მთავრებმა და შემდგომ კი სხვებმაც დაიწყეს მემკვიდრეობითობის ადგილმონაცველობითი ძველი სტრუქტურების ნგრევა, რის შედეგა-დაც თანდათანობით იმრავლა იმგვარი სამთავროების რიცხვმა, რომელში-აც ფეხი მოიკიდა მხოლოდ ერთმა გრძელოგზურმა შტომ. მმართველებმა დაიწყეს თავიანთი შთამომავლობისათვის სამთავროების ოფიციალურად სა-კუთრებად დამტკიცება. მონღოლთა ხანებმა, რომლებიც შემდგომ თავი-ანთ თავზე იღებდნენ საკუთრების დამამტკიცებლის მისიას, მხოლოდ ხე-ლი შეუწყეს ამ საქმეს. სამთავროს, რომელიც რომელიმე წარჩინებულის საკუთრებად იქცეოდა, წილის გრძელი სამთავრო (УДЕЛЬНОЕ КНЯЖЕСТВО) ეწოდებოდა. საინტერესოა, რომ ეს ტერმინი რუსეთის მასობრივი ინ-ფორმაციის სპეციალებების მიერ დღეს უაღრესად ნეგატიური მნიშვნელო-ბით გამოიყენება. გამოთქმა - რაზით უძლიერი კავშირის მიერ გამოგრილება, რომ ამგვარი, ნეგატიური შეფასება ტერმინისა, გამოწვეული იყოს არა იძღვნად სახელმწიფოს ერთიანობის გულშემატკივ-რობით, რამდენადც უფრო ღრმა კოლექტივისტური მენტალიტეტით, ფა-რული თუ შეკარა მტრობით ყოველივე კერძოსა და ინდივიდუალურის მიმართ. შეკარაა, რომ კოლექტივისტური მენტალიტეტი, რომელიც კიე-ვის რუსეთში ჩამოყალიბდა და სუპერ-რეალიზაციას საბჭოთა რუსეთში მო-აღწია, დღემდე მყარადა გამგდარი არა მხოლოდ უბრალო რუსი ხალხის ცნობიერებაში. როგორც ჩანს, რუს რეფორმისტებს კიდევ დიდი დრო დაჭირდებათ მის გადასალახავად.

მაგრამ დაუუბრუნდეთ რუსეთში შექმნილ სიტაუციას. მისცა თუ არა რაიმე დადგბითი ქვეყნას საკუთრებითი ურთიერთობებისა და ინდივი-დუალიზმს ნიშნების ჩასახვა? უნდა ითქვას, რომ ზემოაღწერილი, რუ-სეთის ეს წარსული მოვლენები, რაღაცით ჰგავს იმას, რაც დღეს მიმ-დინარეობს (ან, ყოველ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს მაინც) რუსეთში. საბჭოთა კავშირში გაბატონებული იყო საკუთრების და პოლიტიკური ხელმძღვანელობის კოლექტური ფორმა. საკუთრების მფლობელი იყო „საბჭოთა რუსი ხალხი“, ხოლო ამ საკუთრების გამგებელი და ქვეყნის პოლიტიკური წარმმართველი - კომუნისტური პარტია. ე. წ. „სახალხო საკუთრება“ ყველასი და ფაქტურად არავისი არ იყო. კიევის რუსეთში ამის მსგავსად, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელი და მესაკუთრე ერ-

თი კოლექტივი - რიურიკების გაბატონებული გვარი იყო. მშინდელი რუსული მიწა ეკუთვნოდა მთელ გვარს და კონკრეტულად კი არც ერთ მთავარს. მსგანსად კომპარტის მდიგებისა, არც ერთი მთავარი არ იყო დაანტერესებული პიროვნულად მისი საგანმგებლო რეგიონის აყვავებით. პირადად მას, ისევე როგორც მრავალ საოლქო კომიტეტის მდივანს საბჭოთა პერიოდში, აინტერესებდა დაკავებული იქრარქიული საფეხურის სწრაფი გავლა და მაქსიმალური მოგების მოპოვება აღგილზე. არც ერთ პერიოდში ჰქონის კუთხებს, რეგიონებს არ ჰყავდა კონკრეტული მეურვე. ორივე შემთხვევაში არსებობდა მხოლოდ კოლექტიური, აბსტრაქტული პასუხისმგებლობა ზოგადად მთელი ქვეყნის მიმართ, რაც ამ ქვეყნის განვითარებას სულაც არ უწყობდა ხელს. მას შემდეგ, რაც რუსეთში წილხვედრი სამთავრობო წარმოიშვა, შეიცვალა მთავართა დამოკიდებულება საგანმგებლო ტერიტორიის მიმართ. ამ ტერიტორიებს უკვე მთავრები თავიანთ საკუთრებად და შემისავლის ერთადერთ წყაროდ განიხილავდნენ. ისინი დაანტერესებულნი იყვნენ როგორც შრომის ნაყოფიერების, ასევე სამთავროს ტერიტორიული ზრდით, გაფართოებით. ამ პერიოდში ხდება მუზენიერიობრიობის ინტენსურ მოდელზე გადასვლა, რომელიც შრომის ნაყოფიერების ზრდას არა მონათა რაოდენობის მომატებით ცდილობს, არამედ იმგვარი ბერკეტების გამოყენებით, რომლებიც შრომის სტიმულირებას გამოიწვევდა. ამგვარ სტიმულად, გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ითვლება გლეხისათვის, თუნდაც გასხვისების უფლების გარეშე, მიწის პატარა ნაკვეთის გადაცემა. წავიდოდა თუ არა ამ იმმართულებით რუსეთში საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება, სხვა საკითხია. იმ პერიოდში კი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ერთადერთი მესაკუთრენი მთავრები ხდებოდნენ. ამასობაში რუსეთის ისტორიის „ბუნებრივ განვითარებაში“ მონლოლები ჩაერიცნ, რომელთაც ქვეყნის განვითარებას სპეციფიური იქრი შესმინქს.

მონლოლები წინ არ აღდგომიან მთავართა რეგიონების მფლობელებად გახდომას, მაგრამ მოსპეს ადგილმონაცვლეობის ქველი რუსული წესი. დაიკავებდა თუ არა ამიერიდან რომელიმე მთავარი რეგიონს, დამოკიდებული იყო არა მის ნათესავურ კავშირებზე, არამედ დიდი ყავნის ნება-სურვილზე და პოლიტიკურ გემოვნებაზე. ადგილმონაცვლეობის მოსპობა, რა თქმა უნდა, არ იყო მყისიერი. იგი კიდევ დიდხანს არსებობდა და მონლოლები თითქოს ითვალისწინებდნენ მას, მაგრამ საბოლოო გადაწყეტილებას მაინც ყავნი იღებდა. მონლოლებმა დააანგრიეს პრაქტიკა ადგილმონაცვლეობისა, მაგრამ სამაგიეროდ დანერგეს ახალი, შემძგომ საბჭოთა რუსეთში ესოდენ ხშირად გამოყენებული წესი, როდესაც „ყმა“ თუ „ვასალ“ მდივნებს გამოიძახებდნენ ხოლმე მოსკოვში. მონლოლებამდე არც ერთ დიდ მთავარს არ გამოუძახებია „დასამტკიცებლად“

ამა თუ იმ რეგიონის გამგებელი. ყაენის სანახავად უზარმაშარი სივრცის გადაკვეთას, ამგვარი მეზავრობით გამოწვეული მრავალი უსიამოვნების გარდა, თან ახლდა სიმღაბლისა და მორჩილების გრძნობა. ქროამი ყაენის სასამართლოში გამოცხადებულის ყველაზე სოლიდური არგუმენტი ყიო. ამაში გვარწმუნებს არაერთი შემთხვევა, როდესაც ორი პრეტენდენტიდან თითოეულის ჩასვლას ყაენთან საქმის მის სასარგებლოდ გადაწყეტა მოსდევდა ხოლმე. მთავრები საკუთარი ინტერესბიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, ყაენი კი საკუთარიდან. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, ერთადერთი ვინც მუდამ დაზარალებული იყო, რუსეთის მოსახლეობა და მთლიანი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები გახლდათ. ყაენთან გამგზავრებული მთავარი შინ ბრუნდებოდა არა მხოლოდ ყაენის სიგელით, არამედ მას, როგორც წესი, დამატებით არგუმენტად თან ახლდა ხოლმე მონღოლთა სოლიდური სამხედრო ძალა. ივანე კალიტამ, მაგალითად, რომლის დიდ მამულიშვილობაში გულწრფელადაა დარწმუნებული ზოგიერთი რუსი მკვლეევარი, მონღოლთა რაზმებით მიწასთან გაასწორა მისი მეტოქე ტვერის სამთავრო, რაც არ ყოფილი იშვიათი მოვლენა. ასევე იტცუოდნენ სხვა მთავრებიც. მთავართა „სიარულმა“ დიდ ყაენთან არარად აქცია თვით დიდი მთავრის ინსტიტუტი. თუმცა, ნომინალურად ეს ტიტული კი არ გამქრალა, არამედ პირიქით - იმრავლა: ტვერელებს თავისი დიდი მთავარი ყავდათ, როსტოველებს თავისი, იაროსლაველებს თავისი და ა. შ. ასეთ პირობებში ქვეყნის ერთიანების გარანტი ისევ მონღოლთა ყაენი იყო.

რუსეთის ამგვარ მდგომარეობაში ვერაფერ საგალალოს ხედავს ლ. გუმილიოვი. მისი აზრით, მართოებული იქნება ვილაპარაკოთ არა იმდენად რუსეთის დაპყრობაზე მონღოლთა მიერ, არამედ ორი ქვეყნისა თუ ხალხის კაშვირჩე: „.... მონღოლები, რომლებიც რუსეთში მოდიოდნენ, ნახევრიდან ორ მესამედამდე ქრისტიანები იყვნენ<sup>1</sup>. და მხოლოდ 1313 წელს მიიღო უზურპატორმა ხანმა უზბეგმა ისლამი როგორც სახელმწიფო რელიგია და გამოცხადა, რომ ყველა, ვინც უარს იტყვის ისლამის მიღებაზე მონღოლთა შორის, სიკედლით იქნება დასჭილი. ის, ვისაც არ სურდა გაეცვალა საკუთარი სინდისი სიცოცხლეშე, იტლებული იყო გაქცეულიყო. ...ისინი რუსეთში გარბოდნენ. აქ მათ სიამოვნებით ღებულობნენ. ... სწორედ აქ დაიწყო სლავების თათრებთან ის აღრევა, რომლესაც ჩვენ ვუწოდებთ სიტყვა „უღელს“. ...ვინ გაათათრა, საერთოდ რომ ვთქვათ, სლავები? სასიძოებმა და საპატარდლოებმა. საპატარდლოები ურდოში მიყავდათ, სასიძოები თავად ჩამოდიოდნენ როსტოვში (უმეტესწილად სწორედ როსტოვში) და იქ იწერ-

<sup>1</sup> ლაპარაკია მონღოლთა შორის გავრცელებულ ნესტორიანელობაზე.

დნენ ჯვარს. არა მონღოლურმა თუღმა, არამედ ჯვარმა აქცია უჩვე ბასიონარული შეღების შედეგად ამოწვეტამდე მისული ქვეყანა ახალ, რუსულ-თათრულ ქვეყანად მართლმადიდებლური რწმენით“ (3.155-156). სწორედ მონღოლური წარმოშობის გვარებმა - კუტუზოვმა, სუვოროვმა, ტიუტჩევმა, შერემეტიევმა და სხვ. - შესძლეს ქვეყნის ისტორიაში გადამწყვეტი როლის შესრულება (3.157). ამრიგად, დაიპყრეს თუ არ დაიპყრეს რეალურად რუსეთი მონღოლებმა, იმის თქმა მაინც დანამდვილებით შეგვაძლია, რომ რუსი ერის მაკონსტიტუირებელ ეთნოსებს XIII საუკუნიდან მონღოლების სახით კიდევ ერთი ეთნოსი შეემატა.

### მოსკოვიტური რესემის თაობაზე

1486 წელს ვინშე გერმანელ პოპელს, რომელიც ერთ დროს ევროპაში გავრცელებული წესის მიხედვით სარაინდოდ დაეხეტებოდა უცხო მხარეში, გზა აებნა და მოსკოვში ამოჰყო თავი. პოპელის გაკვირვებას საჩღარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ გარდა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი რუსეთისა, რომელსაც ევროპელები ასე თუ ისე იცნობდნენ, არსებულა კიდევ ერთი რუსეთი - მოსკოვიტური. სამშობლოში დაბრუნებული რაინდი მიიღო გერმანიის იმპერატორის III, რომელიც იძულებული გახდა საუბრის შედეგ მნიშვნელოვანი კორექტივები შეეტანა მისთვის ცნობილ პოლიტიკურ გეოგრაფიაში. პოპელი ხომ ჭიუტად ამტკიცებდა, რომ პოლონეთ-ლიტვის აღმოსავლეთით მონღოლთა უკიდევანო საბრძანებელი კი არა, ქრისტიანული სამეფო, მოსკოვიტიაა, რომლის მბრძანებელიც ძალითა და ქონებით არ ჩამუვარდება სხვა ცნობილ ქვეყნებს. იმპერატორს სამუალება მიეცა დარწმუნებულიყო ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, როდესაც ივანე III-ისაგან დამოკრების სანაცლვოდ შეთავაზებულ კარლის ტიტულზე თავაზიანი, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო: დამოუკიდებელი მოსკოვიტის ხელმწიფე საკუთარი ხელისუფლების ღვთიურ-ბიზანტიური წარმოშობით კმაყოფილდებოდა და ეგრძელი მონარქების ხელდასხმას არ საჭიროებდა. ამ უცნაური განცხადების საფუძველს ქვემოთ ვიხილავთ.

ამ დრომდე მოსკოვის სამთავრო დიდად გაფართოვდა. გარდა ტერიტორიების დაუოკებელი ზრდისა, მას დაჲყვა კიდევ ერთი სპეციფიური ნიშანი, რომელზედაც ღირს ცალკე შეჩერება. მონღოლების პერიოდში დაკავებულ სამთავროზე „საკუთრებითი გრძნობის“ გაღვივების გამო, მოსკოვის მთავრები და შემდგომ მეფეებიც, თავიანთი სამთავროსა თუ სამეფოს მიწებს აღიქვამდნენ არა როგორც სახელმწიფო ტერიტორიას, არამედ როგორც პირად მამულს. ამგვარი დამოკიდებულე-

ბა ქვეყნისაღმი, რომელიც კალიტას დროს არ გასცილებია მოსკოვის სამთავროს და შექნილ თუ წართმეულ მიწებს, თანდათანობით სხვა ტერიტორიებზედაც გაგრცელდა მას შემდეგ, რაც დიძიტრი დონელმა ვოტჩინური უფლებით დაიწყო ვლადიმირის დიდი მთავრის ტიტულის მითვისება. ეს უცნაური თავისებურება მოსკოვიტის ერთ-ერთ სპეცი-ფურ ნიშანად იქცა და მან ნებატიური როლი შეასრულა ქვეყნისათვის რიურიკების მმართველი გვარის გენეალოგიური შტოს დასრულებისას.

ნიშავს თუ არა ეს იმას, რომ მოსკოვის მმართველები თავისთავის ვერ ასხავებდნენ მესაკუთრესა და პოლიტიკულ მოღვაწეს? ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ დადგინთი პასუხი არ იქნება სწორი, მაგრამ მოსკოვის მთავარს (მაგალითად ივან კალიტას) მაინც ვერ მივიჩნევთ ხელმწიფედ, ამ სიტყვის ნამდვილი პოლიტიკური მნიშვნელობით, რადგან (ა) მოსკოვის სამთავროს სიგრცე მთავრის მაჟულად ითვლებოდა და არა სახელმწიფო ტერიტორიად და (ბ) ამ უკანასკნელის სახელისუფლე-ბო უფლებები (державные права) და მისი შემადგენელი უმაღლე-სი ხელისუფლების შინაარსი ნაწილდებოდა (მაგალითად შვილებზე) და გასხვისდებოდა მაშულთან ერთად სამეურნეო საბოძვარის ტოლად (5.II.31). ვფიქრობთ ამ ვითარებიდან უფრო რადიკალური დასკვნების გაეთხობის საფუძველი არსებობს და, რომ მოსკოვიტური რუსეთის ერთ-ერთი სპეციფიკა იყო უმაღლეს ხელისუფალში მმართველისა და მესა-კუთრის უფლებების შერწყმა-გაუმიჯნაობა. მმართველის ფუნქციების პრი-მატი მესაკუთრებზე თვალსაჩინო ხდება უფრო გვიანი პერიოდის მოსკო-ველ მთავრებთან და ის თითქმის არ იგრძნობა საწყის პერიოდში.

ჩვენ უკვე ვიცით თუ რა პროცესები უძლოდა წინ მოსკოვიტური რუსეთის ევროპელთათვის ესოდენ მოულოდნელ აღზევებას. მოსკოვიტურ რუსეთში დასრულდა ველიკოროსების, ე. ი. იმ ხალხის სახელმწიფოებ-რიგი ფორმირების პროცესი, ვისაც დღეს ჩვენ რუსების სახელით ვიც-ნობთ. ივანე III-ის პერიოდში, მოსკოვიტის საზღვრები დაემთხვა ამავე პერიოდში ველიკოროსთა განსახლების არეალს. მაგრამ გარკვეული დრო-ის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ცალკეული სამთავროების შემომტკიცე-ბის პროცესი, დღევანებლ რუსულ პატრიოტულ პრესტი ესოდენ დაფა-სებული „собирание земель русских“ მხოლოდ ერთი ლოკალუ-რი ეპიზოდი ყოფილა ახლადწარმოშობილი ქვეყნის, უფრო ზუსტად სა-ხელმწიფოსათვის, რომლის უსაკუთრივესი ბუნება ტერიტორიების განუწ-ყვეტელ ზრდაში მდგომარეობს. რამდენადაც ეს ტენდენცია ბოლო დრომ-დე განმსაზღვრული აღმოჩნდა რუსული სახელმწიფოებრიობისათვის, გვმართებს მეტი უურადღება მიგაბყროთ მოსკოვიტის ისტორიის ეტა-პებს, ვნახოთ თუ რა პოლიტიკური და იდეოლოგიური პოსტულატები დაედო საფუძვლად ამ ქვეყნის ფუნდამენტს.

მასკუვიტური რუსეთი მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო, მაგრამ შესაბამისი პოლიტიკური ინტერესებისაცის გარეშე, - ჩელიგია თავისთავად არ განსაზღვრავს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ორიენტირებას და გამოყენებით პოლიტიკას. საკითხი იმის თაობაზე თუ რა მიმართულებას ისრჩევდა მოსკოვიტის სახელმწიფო კათოლიკურ და-სავლეთსა და ისლამურ აღმოსავლეთს შორის მაშინ, როდესაც სამხრეთში უკვე დაეცა ბზანტია, იმთავითვე როდი იყო ნათელი. ამ იმ-მართებით კი პროგრამული მნიშვნელობა აქვს ფსკოველი ბერის, ფილოფეის „მესამე რომის“ ოცნრიას. ფილოფეის სიტყვები, რომლებმაც ესოდენ სათუთად მოვლილმა და შენახულმა მოაღწია ჩვენამდე, წარმოადგენს სიმბოლურ გასაღებს, რომელმაც ნათელი უნდა გახდოს ველიკორუსული სახელმწიფოს ძირითადი იდეა. მოსკოვის სახელმწიფო ბიზანტიის მემკვიდრის პრეტენზით მოევლინა მსოფლიო ისტორიას. ნაკისრი ვალდებულება კი გარდა პოლიტიკური ლიდერობისა, ქვეყნის მესვეურთავან მოითხოვდა დიდ კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას, მაგრამ რუსეთს არ აღმოაჩნდა საამისო პოტენციალი. იმაში, რომ ღვთის მსახური კაცი საკუთარი ქვეყნის მემკვიდრეობას ეძებს არა ათენში ან იერუსალიმში, არამედ რომში, როგორც იმპერიული ძალა-უფლების სიმბოლოში, კარგად ჩანს თუ რას მოხმარდა რუსეთის შემდგომი თაობების ცნობიერი თუ არაცნობიერი ძალისხმევა.

„მესამე რომის“ იდეა იმ საქმიანობის დასრულებას წარმოადგენს, რომლის პოლიტიკური სახის მიმცემი რუსეთში გახდათ ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის მძის შვილი, სოფთა პალეოლოგი. სწორედ მისი წყალიბით მიეცა მოსკოვის მთავრების მიერ ახალი ტერიტორიების შემომტკიცების ჩვევას გამოკვეთილი პოლიტიკური მშანი და დანიშნულება.

სოფთა პალეოლოგის მოღვაწეობის შეფასებისას რუსი ისტორიკოსები საკმაოდ თავშეეკავებულნი არიან. აქ, როგორც წესი, ხაზი ესმევა იმას, რომ ივანე III-ის მუზლეს რაიმე პოლიტიკური უფლებები არა ჰქონია და რაიმე სერიოზული ცვლილებების მისაღწევად მას ერთადერთი საშუალება - ქრისტიანი ჩაგრინება - ჰქონდა. მაგრამ მოგხსენებათ, რომ ჰქვიანი და ცბიერი ცოლის ხელში ეს უკანასკნელი სამინელი იარაღია, ხოლო სოფთა პალეოლოგი, მისი თანამედროვე რუსი წარჩინებულებისა და უცხოელი დამკვირვებლების საერთო აღიარებით, დიდი ალლოთი და შორსმჭვრეტელობით გამოიჩინდა. ამ მხრივ, ალბათ, მოსკოველ ბოიარებს უფრო დაეჭერებათ, რომლებიც კარგად იცნობდნენ დიდი მთავრის ცხოვრების წესს როგორც პირველი, ასევე მეორე ცოლის ხელში და რომლებიც ივანე III-ის ხასიათის ცვლილებას და ბევრ ბოიარებისათვის არასასიამოვნო წამოწყებას მთავრის მეუღლეს მიაწერდნენ.

სოფთას პოლიტიკური ღირსება ის გახდათ, რომ იგი, როგორც

ბიზანტიის იმპერატორების ოჯახისშვილი, ცხადდებოდა დაცემული ბიზანტიური ტახტის მემკვიდრედ, რომელმაც მოსკოვში გადმოიტანა ბიზანტიის სახელმწიფო ძალაუფლება და მას ახლა მეუღლესთან ერთად ინაწილებს. იგი ელჩებს წარუდგებოდა არა როგორც დიდი მთავრის მეუღლე (Великая княгиня), არამედ როგორც კონსტანტინოპოლელი დედოფალი (Царевна Царегородская). რა თქმა უნდა, სრულიად სხვა საკითხია სცნობრენ თუ არა სხვა სახელმწიფოები მოსკოვიტიას ბიზანტიის სამართალმემკვიდრედ, მაგრამ სანქტერესოა თვით კრემლის მესვეურების ორიენტაცია: ფაქტია, რომ იბადება ახალი იმპერიის იდეა, რომლის მმართველ წრეებს აღარც კი ახსოვთ (ან აღარ სურთ ახსოვდეთ) კიევის რუსეთის სახელოვანი წარსული. საბუთი ამ სიტყვებისა გახდავთ ორთავიანი არწივის ძევლი ბიზანტიური გერბი, რომელიც სოფია პალეოლოგმა მემკვიდრეობით გადაულოცა ახალ იმპერიას. არამხოლოდ თავად დედოფალი გნასახიერებდა უშმალო კავშირს მოსკოვიტიის მმართველ გვარსა და ბიზანტიის იმპერატორების ოჯახს შორის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მისი ვაჟიშვილი, რომელიც ივანე II-ემ ხელმწიფის ტახტზე აიყვანა უფროსი (პირველ ცოლითან შექნილი) ვაჟის ნაცვლად. სოფიას შვილი ვასილი იყო პირველი მოსკოვიტიის მმართველებს შორის, ვინც ოფიციალურად ეკურთხა მეფედ (ცარად, ანუ ცეზარად, კეისრად), რითაც მემკვიდრეობა ორ იმპერიის შორის „დე იურე“ გაფორმდა. მოსკოვის დედოფალმა მნიშვნელოვნად შესცვალა სასახლის ეტიკეტი და კოსტიუმირება: ბოიარები, რომლებიც აქამდე ულაზათოდ ელაზილნდარებოდნენ და შეხუმრებულნი იყნენ ხელმწიფესთან, ამიერიდან მიღებებზე მთხოვნელთა გრძელ რიგებში უნდა ჩამდგარიყვნენ. ხელმწიფის საზოგადოებაში გამოჩენა მოვლენად იქცა: ბიზანტიურთან მიმსგაცებულ გრძელ ნიფთანებს, სასულიერო წრდების თანხლებას და ზარების გუგუნს, საზეიმო და ამაღლებული სახე უნდა მიეცა ხელმწიფის პროცესისათვის.

მოსკოვიტიის სახელმწიფოს განხილვა უმჯობესია დავიწყოთ სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრდის ტენდენციით. მას შემდეგაც, რაც ქვეწის საზღვრები ველიკოროსების განსახლების არეალს დაემთხვა, როგორც ითქვა, მოსკოვიტიას არ შეუწყვეტია ზრდის პროცესი. ივანე III-ის და მისი მემკვიდრეების ხელში მოსკოვიტიამ თავი გამოავლინა როგორც უაღრესად აგრესიულმა სახელმწიფომ, რომელიც კონფლიქტში იმყოფებოდა დოთიქმის ყველა მეზობელთან. ამგვარ პოლიტიკას ძნელია ვუწოდოთ საპატიო „себириание земель русских“. ტერიტორიის გაზრდის მცდელობა ყველა მიმართულებით იყო - მოსკოვიტები ექებდნენ სუსტ გეოპოლიტიკურ რეგიონს, საითაც შესაძლებელი იქნებოდა ექსპანსიური პოლიტიკის განვითარება. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 1492-1595 წლებში მოსკოვიტებმა გადაიხადეს სამი ომი შვე-

ციასთან, შვიდი კი პოლონეთ-ლიტვასთან და ლივონიასთან. ამ ომებს მთლიანობაში დაჭირდა 50 წელი, რის საფუძველზედაც შეიძლება ითქვას, რომ 103 წლიანი მონაკვეთიდან, მოსკოვიტები თითო წელს იმობდნენ და თითოსაც ისვენებდნენ (5.II.196), თუ, რა თქმა უნდა, ამავე დროს არ იმობდნენ სხვა მიმართულებით. არადა სამხედრო კონფლიქტები სამხედროულ და ომისავლურ სახანოებთან (ყოფილ ოქროს ურდოსთან), იგივე პერიოდში თითქმის არ შეწყვეტილა. უცხოელი დამკვირვებლები მოსკოვიტის უწოდებდნენ ქვეყანას, რომლისათვისაც მშვიდობაა შემთხვევითი მოვლენა და არა ომი. ეს არ ყოფილა ველიკო-როსების იმგვარი „აფეთქება“, რომელსაც გუმილიოვი „პასონარულ ბიძგს“ უწოდებდა და რომელმაც არაბები, მონღოლები ან სხვა ხალხები, გარკვეული დროით, უზარმაზარი მიწების მბრძანებლებად აქცია. არა, ეს იყო არა სპანიანური, არამედ მიზანშიმართული პოლიტიკა, რომელიც მეთოდური თანმიმდევრულობით ხორციელდებოდა.

განუწყვეტელმა სამხედრო კონფლიქტებმა მოსკოვიტია ალყაშემორტყმულ სამხედრო ბანაკს დაამსგავსა. ძალზე სწრაფი ტემპით დაიწყო სამხედრო-სამოსამსახურეო საზოგადოებრივი ფენის ჩამოყალიბება, საზოგადოების მილიტარიზაცია. სამხედრო სამსახურიდან მხოლოდ მეფის სპეციალური სიგელით ხდებოდა გათავისუფლება. ყველა სხვა შემთხვევაში „დეზერტირი“ მკაფიად ისჯებოდა. სამხედრო-სამოსამსახურეო ფენა (ამ ორ სამსახურს მაშინ არ გამიზანდნენ ერთმანეთისაგან) დალაგდა გარკვეული იერარქიული კიბის სახით, რომლის სათავეში მეფე იმყოფებოდა.

XVI საუკუნიდან სამხედრო სამსახური უკვე არისტოკრატიული ფენის მემკვიდრეობითი და სავლებულო საქმიანობა გახდა. ამავე პერიოდში დაუკავშირდა იგი მიწისმფლობელობას. ყველა, ვნოც კი მეფისაგან მიწას იღებდა, სამხედრო-გადამდებული ხდებოდა. მაგრამ მიწა, რომელსაც ხელისუფლება ამა თუ იმ პირს აძლევდა, კიევის რუსეთისა არ იყოს, აქაც არ წარმოადგენდა საკუთრებას. აკრძალული იყო მიწის გაყიდვა, გაჩუქრება ან თუნდაც მემკვიდრეობით გადაცემა. მიწა მაშინვე ჩამორჩითებოდა მფლობელს, თუკი იგი საკუთარი ნებით დასტოვებდა სამსახურს. მემკვიდრეობის საკითხებს კი სპეციალური კომისია იკვლევდა. მამიდან შვილზე მიწა სპეციალური ნებართვით გადადიოდა. მოსკოვიტიაში მოხდა ისე, რომ მიწა, რომელიც მისი მფლობელის დამოუკიდებლობის წყარო უნდა ყოფილიყო, მისი შეზღუდვის საფუძვლად იქცა: ჩაკი სამხედრო სამსახური მიწისმფლობელისათვის საგალდებულო გახდა, მას აკრძალა მიწის თვითნებური მიტოვება და რამდენადაც ამგვარი მიწები არ სცილდებოდნენ მოსკოვიტის საზღვრებს, აკრძალა სახელმწიფოს გარეთ თავისუფალი გასვლაც. მოსკოვიტის ამგვარ „დახურულ“ საზოგადოებად წარმოდგენა ვინმეს ჩვენი ფარგზის ნაყოფი რომ არ ეგონოს, ნება მოგვეცით საბუთად მოვიტანოთ პა-

ტარა დიალოგი რუსეთის ელჩობასა და პოლონელ შლიახტიჩებს შორის. პოლონელები გააოცა თავისუფლალი გადაადგილების რუსულმა წესებმა: „ეს რაღა თავისუფლებაა, რომელიც ჩვენს ხალხს თქვენთან ჩამოსვლის უფლებას აძლევს, ხოლო თქვენებს კი ჩვენთან ჩამოსვლა მხოლოდ ხელმწიფის სათანადო ნებართვის შემდეგ აქვთ? თუ ხელმწიფი ნებას არ დართავს, მშინ ხომ არც არავინ ჩამოვა?“ რჩებაც ასეთი პასუხი მიიღეს: „თქვენთან, თქვენს სახელმწიფოში ადამიანებს უფლება აქვთ ყველა ქვეყნებში იარონ; მოსკოვის სახელმწიფოში კი ათაბაბადან არავისა აქვს უფლება ხელმწიფის ნებართვის გარეშე, თავისი სურვილით იმოგზაუროს და ასემც იქნება უკუნითი უკუნისამდეო“ (6.IV.215).

ამრიგად მოსკოვიტიაში ერთადერი გამოკვეთილი რეალობა, რეალური პოლიტიკური ინსტიტუტი სამეფო ხელისუფლება იყო, რომელთან მიმართებაშიც ყველა, ზოგი ჩინიანად და ზოგიც უჩინოდ, რაღაც ვალდებულებას იხდიდა.

ნიკოლაი ბერდიავე შენიშნავს, მოსკოვიტია ტოტალიტარული სახელმწიფო იყო (I.10). ბერდიავეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ესმოდა, რომ ტოტალიტარიზმი მხოლოდ მეოცე საუკუნის პირმშოა, მაგრამ ბევრები ძალზე ძლიერია ცდუნება პარალელები გავავლოთ მსგავს ისტორიულ ცდომილებებს შორის. პოლიტიკური და ეკონომიკური ძალის ერთ ხელში თავმოყრა მუდამ აღინიშნება მართალია არა იდენტური, მაგრამ მსგავსი მოვლენების თანხლებით. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს თუკი ბევრ საერთოს ვნახავთ სტალინური რეპრესიების პერიოდსა და ივანე მრისსანეს აპარიჩინას შორის. სახელმწიფოში თავისი ძალაუფლების განმტკიცების გზზე მდგარ დესპოტის ხომ არასროს გამოელევა „მოდალატე“ და „ხალხის მტერი“ საკუთარ მოსახელობაში: „... დიდი ნოვგოროდის ცოცხლად დარჩენილო მცხოვრებლებო! - მიმართავდა ხუთკირიანი რეპრესიების თავზე ივანე მრისსანე მოსახლეობას - შესთხოვეთ უფალ ღმერთს, მის უწმინდეს დედას და ყველა წინმდანს ჩვენი ღვთისმოსავი სამეფო ძალაუფლების, ჩემი კეთილმორწმუნე შვილების, მთელი ჩვენი ქრისტიანული მხედრობის თაობაზე, რათა უფალმა ღმერთმა გვიწყალობის ჩვენ გამარჯვება და ყველა ხილული და უხილავი მტრის ძლევა. ხოლო დასახა უფალმა აქ ჩემი და თქვენი საერთო მოღალატე, მუსფე პიმენი, მისი ბორბოტი მრჩევლები და მომხერები: მთელი ეს სისტემი მათ, მოღალატეებს მოეკითხებათ; შესწყვიტეთ აწ ამაზე თქვენ ჭმუნვა და მადლიერად იცხოვრეთ ნოვგოროდში“ (6.III.542).

შეარაა, რომ როდესაც სხვისი შვილების გამელეტი მათ მშობლებს საკუთარის დალოცვას თხოვს, ამგვარი თხოვნა მერყეობს უდიდეს ცინიზმსა და ღრმა სულიერ პშლილობას შორის. თუმცა, ორივე ფენომენი უმტკივნეულოდ ერწყმის ერთმანეთს ტირანში პერსონიფიცირებულ

უსაზღრო ძალაუფლებაში. მართლაც, უფრო მშვიდ პერიოდებში, კურ-ბსკისთან წერილობითი დისკუსიის უამს, მეფე გამოსთვამდა ღრმა რწმენას, რომ სწორედ მისი პერსონაა მოსკოვის სახელმწიფოს ბურჯი, რომელიც ქვეყანას ქაოსისა და ბოიარების თვითნებობისაგან იცავს. უბე-ღურება ისაა, რომ ივანე IV-ის ეს მოსაზრება, რომელსაც უმნიშვნელო კორექტივებით იმეორებს ყველა დროის დიქტატორი, სრული ჭეშმარი-ტებაა შესაბამისი პოლიტიკური რეჟიმებისათვის, რაღაც სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლად უქცეს არა მოქალაქეთა საერთო თანხმობა, არა-მედ ძალადობა, ვერ იარსებებს აბსოლუტური ძალაუფლების დეფიციტის პირობებში. მოსკოვიტის შინაშლილობაშ (смутное время) დაღას-ტურა ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

### რასეპთის მაპარის თაობაზე

პეტრე I-სა და პეტრეს შემდგომი რუსეთის იმპერია მოსკოვიტი-ის შემკვიდრე მხოლოდ პერალდიკური სიმბოლიკით იყო. განუწყვეტე-ლი ტერიტორიული ზრდის პროცესი, რომლითაც რუსეთის იმპერია გამოიჩინა, როგორც ვნახეთ, უკვე მოსკოვიტიში დაიწყო; დევზი „собирание земель русских“, პოლიტიკურ პრაქტიკაში ერთობ სპეციფიურად იქნა გაგებული. (მოსკოვმა დაიყრო 1552 წელს ყაზა-ნის, 1556 წელს ასტრახანის, ხოლო 1598 წელს ციმბირის სახანოე-ბი). მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებრიობის ვოტჩინური მნიშვნელობა შეიცვალა წმინდა იმპერიულით და მეფისაღმი მსახურება პეტრემ მყვეთობად გამიგნა სახელმწიფოს სამსახურისაგან, შეიცვალა დევზიც, რომელშიაც ყოფილი მეფის მამული (отчина) სამშობლოდ გადაქცა - „приумножение земель отечественных“. ორივე დევზი, როგორც ვხედავთ, ფარული თუ ლია სახით, ქვეყნის ტერიტორიულ ზრდას გულისხმობს სხვა ქვეყნების ხარჯე, მაგრამ მეორე მათგანში, როგორც ამის შესახებ უფრო ფართოდ შემდეგ თავში ვისაუბრებთ, ჩანს რუსული იმპერიის სპეციფიური ნიშანი - დაპყრიბილი, ინკორპო-რირებული ტერიტორიის სამშობლოდ ქცევისა.

ამბობენ, რომ პეტრე პირველის რეფორმები უმთავრესად სამხედრო საჭიროებით იყო გამოწვეული. ახალგზარდა მონარქი თავისი წინამორბედების ლირსეული შთამომავალი გამოდგა, რომელმაც მთელი თავისი მეფობა იმებში განვლო. 1724 წელი იყო ერთადერთი, რომელიც პეტრემ უომრად გაატარა. მეფობის დანარჩენი 35 წლიდან არ შეგროვდება მშვიდობიან 13 თვეზე მეტი. მაგრამ, ამჯერად რუსებს ბრძოლა უწევდათ არა ურღოებთან, არამედ აწყობილი სამხედრო სტრუქტურების მქონე სახელმწიფოებთან, კერ-

ძოდ შვედებთან და თურქებთან, რომლებიც საფრანგეთთან ერთად განსაზღვრავდნენ მშინდელ პოლიტიკურ კლიმატს. პირველმა სახედრო კონფლიქტმა აჩვენეს, რომ რუსებს სამხედრო რეფორმების გაჩქმე სერიიშვლი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ფაქტოურად უნდა შექმნილიყო თანამედროვე წყობის მქონე არმია, ნაცვლად არავითარი წყობის არმქონე რუსული ლაშქრისა (5.IV. 59). რამდენადაც რუსეთს საზღვაო სახელმწიფოდ ყოფის პრეტეზია ჰქონდა, ამდენად შესაქმნელი იყო საზღვაო ფლოტი, რაც კიდევ უფრო რთული და ძირი საქმე იყო. არმიისა და საზღვაო ფლოტის შექმნის ამოცანებმა განსაზღვრა ჰეტრეს ყველა სხვა ძირითადი რეფორმა და წამოწყება: სავაჭრო და მანუფაქტურული საქმიანობის ხელშეწყობა, სასრგებლო წიაღისულის მიერისა და სამთო-მომპოვებელი მრეწველობის დანერგვა, ტულის იარაღის ქარხნების გამართვა, სწავლა-განათლებაზე ზრუნვა და მრავალი სხვა. ქვეყნის ეკნომიკური მოღონიერებისაკენ გადადგმული ნაბიჯები სწორედ სამხედრო საჭიროებათა კარნახით ხდებოდა. მეფე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელოსნობასა და დასავლური ტექნიკური მიღწევების ათვისებას. იგი მრავალ ოსტატს ქირაობდა საზღვაორგარეთ და რუსეთში მაღალ ანტლაურებასა და სხვადასხვა შეღავათებს უზიშნავდა. არადა თავად ჰეტრე ხელოსნობის ცნობილ ექსპერტად ითვლებოდა. გერმანელი პრინცესების მტკიცებით მეფემ ზედმიწევნით კარგად იცოდა თოთხმეტამდე ხელობა. ჰეტრეს გარდაცვალების შედეგ დარჩენილი უამრავი ნახელავი - სკამბი, სათუთუნები და სხვა ნივთები - მნახველს დაარწმუნებს იმში, რომ ეს დახასიათება არ ყოფილა ლიტონი ქათინური. ამგვარა წარმატებებმა ხელოსნობაში მეფეს განუმტკიცა პრი, რომ არ არსებობს მკვეთრი ზღვირი ხელიდან გამოსულ არც ერთ საქმეს შორის. საკუთარი ხელგამრჩევების საფუძველზე მეფეს სერიოზული პრეტეზია ჰქონდა იმისა, რომ უებარი კბილის ექიმი და გამობრძმედილი ქირურგი იყო. როგორც ამბობენ, სასახლის ბინადართ, დაავადებულებს იმგვარი სნეულებით, რომელიც ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა, შიშით აცახცახებდათ იმის გაფიქრებაზე, რომ მეფე, თუკი ის უურს მოჰკრავდა მათი ავადმყოფობის ამბავს, სკალპელითა და სხვა ინსტრუმენტებით აღჭურვილი მოაკითხავდა სნეულს და თავის სამსახურს შესთავაზებდა. ამგვარ შიშს კი, როგორც ჩანს, რეალური საფუძველი ჰქონდა, რასაც ადასტურებს ამობრდოვნილი კბილების მთელი ტომარა, როგორც ჰეტრეს ხელმარჯვეობის უტუკეარი დასტური (5.III.30).

ჩვენ შეგნებულად არ განვიხილავთ ჰეტრეს რეფორმებს, რომლებიც გამიზნული იყო სახელმწიფოს პოლიტიკური სხეულის სრულყოფისათვის. რუსეთის სახელმწიფოს ღერძი - მეფის აბსოლუტური ძალა-უფლება ამ რეფორმებით მაინც უცვლელი რჩებოდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მეფის შეუზღდველი ძალა-

პერიოდში, სახელმწიფოს, იმპერიის მთლიანობის გარანტი იყო. შემთხვევითი როდია, რომ რუსული მონარქია ემსხვერპლა პირველივე პოლიტიკურ ინსტიტუტს, რომელსაც მეფემ გაუნაწილა ხელისუფლება - ღუმას. აქ უკვე ნათლად გამოიკვეთა ალტერნატივა, რომლის წინა-შეც იდგა რუსეთი: ან იმპერია და ავტორიტარიზმი, ან რეჟიმის ლი-ბერალიზაცია, იმპერიის მსხვევების რისკის ფასად. ბოლშევიკური რეჟი-მის სახით, რუსეთმა არჩევანი იმპერიის სასარგებლოდ გააქეთა.

პეტრეს, ეკატერინე II-ის და რუსეთის სხვა პოლიტიკური მოღვა-წეების მიერ გადადგმულ ნაბიჭებს რუსეთის იმპერიის განსამტკიცებ-ლად, თან სდევდა ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც გა-მორჩეულად რუსეთის იმპერიის სპეციფიური ნიშანია: ქვეყნის ტერი-ტორიის განუვაკეტელი ზრდა და გაფართოება რუსეთში წარმოშობდა ტენდენციებს, რომელთა პერმანენტული ხასიათი საშუალებას გვაძლევს, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად ვილაპარაკოთ „გეო-პოლიტიკურ კანონზე“ რუსეთის იმპერიისათვის. ეს „კანონი“ გვეუბნე-ბა, რომ რაც უფრო ფართოვდება რუსეთის იმპერიის ტერიტორია, მით უფრო ძლიერი პოლიტიკური რეჟიმია საჭირო ამ ფართობის შე-სანარჩუნებლად, და რაც უფრო ძლიერდება პოლიტიკური რეჟიმი, მით უფრო უარესდება მეტროპოლიის მოსახლეობის მდგომარეობა.

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სხვადასხვა სახელმწიფო დავთ-რების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსული სოფელი მკვიდრადაა დასახ-ლებული გლეხებით, რომელიც განსაკუთრებით პომესტიებსა და საეკლე-სიო მიწებს ეტანებიან. მე-16 საუკუნის უცხოელი მოგზაურის წერილებში, რომელმაც გაიარა მანძილი იაროსლავლიდან მოსკოვიდე, დადასტურებულია, რომ ეს მხარე ხალხით სავსე სოფლებითა და კარგად დამუშავებული მიწებით გამოიჩინა. მაგრამ უკვე საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგო-მარეობა მკვეთრად იცვლება. ცენტრალური რეგიონები მეჩერად დასახ-ლებული და მიტოვებული სოფლებით ივსება. როგორც ქალაქად, ასევე სოფლად ჩნდება აქვამდე არნახული ასოდენობის მიტოვებული ქმოები, ჩაქ-ცული შენობები... რვა წლის განმავლობაში მხოლოდ მურომის მხარეში 587 დაბეგრილი ნაკვეთიდან, აღნიშნულ პერიოდში შემორჩენილი იყო სამი.

აქ გასაჩევევია ორი საკითხი: ა) რატომ აიყარა მასოურად მოსახ-ლეობა და ბ) სად წავიდა ის? მოსახლეობის აყრის ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, ხენებული შინააშლილობა (смутное время) და მის შედეგად ქვეყნაში გამეფებული ძარცვა-მკვლელობები იყო. მაგრამ ში-ნააშლილობა არ ყოფილა ძირითადი მიზეზი, რომელმაც მოსახლეობის მასიური გადასახლება გამოიწვია: აყრის პროცესი გაგრძელდა მშვიდო-ბიანობის დროსაც. ძირითადი და განმსაზღვრელი იყო დაპყრობილი ტე-რიტორიების ათვისების პროცესი. მთელი აყრილი მოსახლეობა სამ-

რეთ-აღმოსავლეთი საზღვრებისაკენ დაიძრა, სადაც ჭერ კიდევ სუსტი იყო ცენტრალურ ასიონებში განმტკიცებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურები. ინტენსიურად დაიწყო ოქის და დონის ზემოწელის, ვოლგის შეა და ქვემოწელის ათვისება რუსული მოსახლეობის მიერ. მაგრამ განსახლების ამგვარმა განაწილებამ გამოიწვია ცენტრალური რეგიონების მშრომელი მოსახლეობის როგორც სამუშარენო, ასევე იურიდიული მდგომარეობის გაუარესება. გაიზარდა გლეხის სამამულეო და სახელმწიფო ვალდებულებანი. რაც უფრო იქლებდა რეგიონში მუშახელი, მით უფრო მეტ ვალდებულებას დაებდნენ დარჩენილებს. სახელმწიფო ზრდა ბეგარას, ხოლო მემამულე გლეხთან გარიგებისას იმდენად მაღალ პროცენტს აწესებდა, რომ ჩვეულებრივი გლეხები მათი გადამხდელები არ იყვნენ. ცენტრალურ ასიონებში დარჩენილთა მდგომარეობას აუარესებდა ისიც, რომ ახლადშემოერთებულ რეგიონებში, როგორც წესი, ახალგაზრდობა მიედონებოდა. მმიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, ცენტრში მცირდებოდა დამუშავებული მიწის ნაკვეთები. ვფიქრობთ, ანალოგია ჩვენს ღრმსთან აქაც აშკარაა.

აღნიშნულ პერიოდში რუსეთმა შემოიერთა ყაზანის და ასტრახანის სახანოები. ახალი ტერიტორიების შემოერთებები შემდგომშიც გაგრძელდა. შედეგად, მართალია, განაპირა რეგიონებში გაშლილი მოსახლეობა თავიდან გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ პოლიტიკური ხელისუფლების სრულყოფის შემდეგ, სახელმწიფო ვალდებულებანი განმტკიცდა განაპირა რეგიონებშიც. რუსეთმა დაიწყო განვითარება „не в ширь, а в даль“, ანუ შეიმუშავა ეკონომიკის ექსტენსიური მოდელი. თუ საილუსტრაციოდ ავიღეთ მხოლოდ ეკატერინე II-ის დაკავებულ ტერიტორიებს, ამგვარი სურათი გვექნება: სამხრეთში, დაკავებულ ტერიტორიაზე შეიქმნა სამი გუბერნია - თავრიდის, ხერსონის, ეკატერინოსლავლის. დასავლეთში, პოლონური მიწების ხარჯზე ჩამოყალიბდა რვა გუბერნია (ვიტებსკის, კურლანდიის, ვილნის, მინსკის, გრიდნის, ვოლინისა და ბრაცლავის). ამრიგად, მაშინდელი რუსეთის 50 გუბერნიიდნ, 11 მხოლოდ ეკატერინეს მოპოვებული იყო. ჩამოყალიბებულ გუბერნიებში ჩატარდა მოსახლეობის არამდენმე აღწერა, რათა „რევიზული სულის“<sup>1</sup> ზუსტი რაოდენობა დადგენილიყო. შე-5 რვეზის შემდეგ დადგინდა, რომ იმპერიის შენაძება შეადგინა ორივე სქესის 34 000 000-მდე რევიზული სული. ეს ნომნავს, რომ მოსახლეობის რაოდენობა, ეკატერინეს ომების წყალობით, გაიზარდა 3/4-ით, რაც იმეპრიის ფინანსური შემოსავლის ზრდასაც მოასწავებდა. მართლაც, თუ 1762 წელს (მე-3 რევიზია) იმპერიის ხაზინის მოელმა შემოსავალმა შეადგინა 16 000 000

<sup>1</sup> „რევიზული სული“ - პეტრესდროინდელი სულადობრივი დაბეგვრის ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი.

რუბლი, 1796 წელს (მე-5 რევიზია) ეს შემოსავალი 68.5 მილიონამდე ავიდა. ამით კი გაზიარდა სახელმწიფოს, მაგრამ არა მისი მოსახლეობის ეკონომიკური ძლიერება, რაღაც ტექნიტონის გაფართოება და მოსახლეობის ახალი მასების დაბეგვრა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მატერიალური შემოსავლის ნორმალურ წყაროდ.

მოსახლეობის გამჭჩერებულ რეგიონებში საჭირო იყო მაღალეფექტური მუსურნეობის წესის დაწერგვა, შრომის ინტენსიფიკაცია არა რომელიმე არამედ გაცილებით უფრო ეკონომიკური სშუალებებით. საჭირო იყო თავისუფალი შრომის სტიმულირება, სიღრმისეული სტრუქტურების ფორმირება და არა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაშვა სივრცეში. პეტრემ დასავლეთში მოგზაურობისას თავისი თვალით ნახა თუ რა ეფექტს იძლეოდა ამგვარი სტრუქტურების მშენებლობა. სხვა საკითხია, თუ როგორ შეაფასა ნანახი ახალგაზრდა მეფემ, მაგრამ ფაქტია, რომ შინ დაბრუნების შემდეგ, იგი ისევე როგორც არავინ მანამდე, ცდილობდა ტრადიციული მუსურნეობის მოდერნიზაციას, მანუფაქტურული საწარმოების ამოქმედებას და ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი (სხვათა შორის, ძირითად დაპყრობების შედეგად აღმოჩენილი) რესურსების ათვისებას. მიუხედავად აღნიშნული მიმართულებით მოპოვებული მნიშვნელოვანი შედეგებისა, რეკიმის ძალისხმევა, საბოლოო ჯამში, ნაკლებეფექტური გამოდგა და ქვეყანამ გააგრძელა სივრცეში განვითარება.

მიხედვი იმისა, თუ რატომ ვერ გააართლა ქვეყანაში გატარებულმა რეფორმებმა, რატომ ვერ ჩამოყალიბდა დასავლეური ტიპის მუსურნეობა, მრავალი შეიძლება იყოს. მათ შორის, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია რეფორმების დირექტიული, იმპერატორული ხასიათი. ხელისუფლება ცდილობდა ძალატანებით მიერო ისეთივე შედეგი, როგორსაც მხოლოდ თავისუფალი შრომა, კონკურენცია და შემოქმედება იძლევა. მთავრობის ამგვარი მოქმედების ტაბიური ნიშვნია მანუფაქტურულ საწარმოებზე და სხვადასხვა ქარხნებზე მუშახელის პრობლემების გადასაჭრელად ყმა გლეხებით დასახლებული მთელი სოფლების მიწერა. რა გასაკვირია, რომ მონურ შრომას არ შეეძლო ისეთივე ეფექტის მოტანა, როგორსაც დაქირავებული შრომ იძლევა. ნაცვლად კინკურენციის სტიმულირებისა, ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საწარმოები „სათბურის“ პირობებში, ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ყოლოდა. ამიტომ, არაფერია გასაკვირი იმში, რომ პეტრეს ბევრი წამოწება მისი გარდაცვალების შემდეგ ჩაკვდა. გადარჩა ძირითადად ის, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებთან, როგორც, მაგალითად, სამხედრო-საზღვაო დღოტი, რომელიც ძლივს გადაარჩინა კვდომას ეკატერინე II-მ, ისიც თურქეთთან ომის გამო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთ ევროპის მსგავსად სტრუქტურული

გარდაქმნების იმპულსი საზოგადოების ფართო ფენებიდან რომ წამოსულიყო, ხელისუფლება, ალბათ, ვერ გაიგებდა ამ „თვითნებობას“ და შეაფასებდა მას როგორც მორიგ „ბუნტს“. მაგრამ ქვემოთან არავთარი ინიციატივა არ ყოფილა. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა მშვიდი ინერტულობით აგრძელებდა ძველებურად ცხოვრებას, ხოლო განაპირა რეგიონების მკვიდრინი, განსაკუთრებით კაზაკობა, რეჟიმის გამკაცრებას დროდადრო პასუხობდა ყველაფერის დამანგრეველი ამბოხებებით, რომლებიც წარიმართებოდა არა რამდენიმე, თუნდაც ბოლომდე გაუაჩრებელი პროგრამებითა თუ მოთხოვნებით, არამედ თავისუფლების ქვეცნობიერი ინსტიტით.

აღწერილ მოვლენებს გვინდა დაგმატოთ ერთი, ჩვენი პრიორი, მნიშვნელოვანი მოვლენა რუსეთისათვის. კერძოდ, იმპერიის პერიოდში ჩამოყალიბდა მესაკუთრეთა ფენა თავადაზნაურობის სახით. აქ ადგილი არ არის იმის აღწერისათვის თუ რამ აიძულა ჯერ კიდევ ძველი მოსკოვიტის ახალი დინასტია რომანოვებისა მსახური თავადაზნაურობისათვის საკუთრებაში გადაეცა მამულები. შევგიძლია უბრალოდ დავა-ფიქსიროთ ფაქტი და ვიგულისხმოთ, რომ ქვეყანაში წარმოიშვა ფენა, რომელიც არა მხოლოდ მესაკუთრე იყო, არამედ იყო თავისუფალი ყოველგვარი სახელმწიფო ვალდებულებისაგან. ეკატერინე II-ემ გამოსცა სპეციალური დეკრეტი, რომელიც თავადაზნაურობას ათავისუფლებდა ყველა სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისაგან. ამან კი, ეთრი მხრივ, წარმოშვა რუსეთში გოგოლის „მქედარი სულების“ პერსონაჟები, მაგრამ, მეორე მხრივ, ე. წ. ვოლნოლუმსტვოც გააჩინა, რაც სოციალური რეფორმებისა თუ რევოლუციების უშრეტი წყარო შეიქნა.

რაც შექება ზრუნვას იმპერიის განმტკიცებისათვის, იგი მხოლოდ ბოლშევიკებისათვის არ ყოფილა დამახასათებელი. საკმარისია გავეცნოთ დეკაბრისტების ან სხვა შემდგომი რუსი მოაზროვნების შრომებს, რომ იოლად დავრწმუნდეთ - ამ შრომებში ყველაზე სუსტად ლიბერალური ტრადიციაა წარმოდგენილი. ჩევულებრივ, რევოლუციონერები მეფეს, მთავრობას ებრძონენ არა იმდენად რეჟიმის ლიბერალისაცის, რამდენადაც სრულყოფის მიზნით. რევოლუციონერების ამგვარი დამკიდებულება განსაზღვრული იყო ქვეყნის არსებულ საზღვრებში შენარჩუნებისა, რომელსაც ყველა სოციალურ-პოლიტიკური იდეალი ეწირებოდა.

## მეპარმის დასასრული?

პეტრესა და ეკატერინე II-ის მოღვაწეობის წყალობით ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის ძირითადი კონტურები, რომელთაც, თუ არ ჩავთვლით

1861 წლის რეფორმას, მნიშვნელოვანი ცვლილებები აღარ განუცდია. 1917 წლამდე, ხოლო 1861 წლის რეფორმა კი არ შეხებია პოლიტიკურ ძალა-უფლებას.<sup>1</sup> რუსეთში განტეკიცდა ავტოკრატიული რეჟიმი, რომლის მეთაურიც განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდა. იმპერატორი ქვეყნის მართვისას ემყარებოდა ფართო ბიუროკრატიულ სტრუქტურებს, რომელთა იდენტიფიცირება თავადგანარუობასთან ეკატერინე II-ის შემდგომ შეუძლებელი გახდა; მას შემდეგ, რაც თავადაზნურობამ პირად სარგებლობაში მიიღო უზარმაზარი, ყმა გლეხებით დასახლებული მამულები და იმპერატორის „წყალობით“ გათავისუფლდა სავალდებულო სახელმწიფო სამსახურისაგან, იგივ აქტიურად ქვეყნის პოლიტიკური მართვისაგან ჩილოირებული აღმოჩნდა. თავადანაურობას არ გააჩნდა საკუთარი პოლიტიკური ნების გამოხატვის არავითარი სამართლებრივი სშეუალებები და თუ დეკაბრისტების გამოსვლას გამოვრიცავთ, რომლის მნიშვნელობაც რევოლუციონერთა შემდგომი თაობების მიერ გადაჭარბებით ფრეკლამირებულად გვეჩენება, თავადანაურობას არც უცდია მოეპოვებინა პოლიტიკური უფლებები. ეკონომიკურად ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ამ ფენის კეთილდღეობას ვერც ბიუროკრატია ემუქრებოდა ევროპის მსგავსად და ვერც დამონებული გლეხების ბუნტები. ქვეყნაში არ არსებობდა პირობები, რომლებიც გაბატონებულ ფენას ტკბილი მცონარებიდან გამოიყვანდა და აიძულებდა თუნდაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის აქტიურად ებრძოლა.

რუსული პოლიტიკური და სოციალური ძრი, რომელიც განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ძირითადად ტრადიციულ ჩარჩოებში მოძრაობდა. რუსეთში ყოველთვის ეჭვის თვალით უურებდნენ დასავლურ დემოკრატიებს, რომელთაც ალიკვადნენ ან როგორც ერეტიკოსების საბუდებელს და ან როგორც ექსპლოატაციის ფარისევლურ იარაღს „მომაკვდავი და ლპობადი კაპიტალიზმისა“. ალნაშნულ პერიოდში რუსეთში ითურჩენებოდა ერთი მხრივ სოციალისტურ-კომუნისტური ან ანარქისტული, ხოლო მეორე მხრივ მართლმადიდებულრ-მონარქისტული ლიტერატურა, რომლების ფონზე ლიბერალური ტრადიცია შეუდარებლად მწირადაც წარმოდგენილი. ფაქტია, რომ „ერთობინი და განუყოფელი“ რუსეთის არსებობა, რომელიც ფაქტიურად იმპერიას წარმოადგენდა, თეორიტიკოსების უმრავლესობას ვერ წარმოედგინათ რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ავტორები საქმაოდ რეალისტურად აფასებდნენ ვითარებას. რატომ არ შეიძლებოდა რუსეთში რეჟიმის ლიბერალიზაცია? რუსეთის იმპერია, როგორც ვნახეთ, ჩამოყალიბდა მოსკოვის სამ-

<sup>1</sup> რუსეთის იმპერიული ბუნების შესახებ იხ. К. Крижановский: Диагноз - империя. Новое время 39 сентябрь 1993

თავროს თანდათანობითი ზრდისა და გაფართოების ნიადაგზე. გარკვეულ პერიოდაშე, ამ ტერიტორიულ ექსპანსიას ამართლებდა „რუსული მიწების შემზღვროვების“ („собирание земель русских“) საქვეოლოზუნგი, სადაც „რუსული მიწების“ ქვეშ სლავური ტომებით დასახლებული მალოროსიული თუ ბელოროსიული ტერიტორიები იგულისხმებოდა; მაგრამ შემდგომ, რუსეთის შემადგენლობაში ინკორპორირებული აღმოჩნდა სრულიად განსხვავებული კულტურულ-ისტორიული წარსულისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნები, განსხვავებული ეთნიური შემადგენლობითა და სარწმუნობით. რუსეთის იმპერია მოიცავდა მთელი დედამიწის 1/6-ს, სრულიად განსხვავებული ფზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით და აქედან გამომდინარე, გულისხმობდა მეურნეობის გაძლოლის სრულიად სხვადასხვა წესს. ჩაც უფრო ფართოვდებოდა იმპერიის საზღვრები, მით უფრო ძლიერი ხელისუფლება იყო საჭირო განაპირა რეგიონების დასაქვემდებარებლად, რადგან სხვადასხვა რეგიონს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის დონე უაღრესად დაბალი, ხოლო იმპერიის შიდა საბაზრო უთრიერობობანი კი განუვითარებელი იყო. ამ საკითხის წინ წამოწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი ჩვენ გვსურს რუსეთის იმპერიის სპეციფიკა დავინახოთ: ინგლისის, ესპანეთისა თუ საფრანგეთისაგან განსხვავებით, რომელთა კოლონიებიც ძირითადად „ზღვისგაღმა“ მიწებზე იყო გაშლილი, რუსეთი მკაცრად კონტინენტური იმპერია იყო, რომლის ყოველი ახალი კოლონიური შენაძენი, ყოფილი მეზობელი ქვეყნისა თუ ხალხის მიწა-წყალს წარმოადგენდა. ასე აღმოჩნდა რუსეთის საზღვრებში ბელოროსია და მალოროსია, ბალტიის სანაპიროები და პოლონეთის ნაწილი, შეა ახალი, კავკასია და მონტენეტია დიდი საბრძანებლის დშლის შედევად წამროშმბილ სახანოები თუ მცირე ურდოები: ყირიმის სახანო, ასტრახანის სახანო, ყაზანის სახანო, ნოღაი (იაიგზე), თეთრი ურდო (ირტიშზე), ცისფერი ურდო (ტიუმენში) და სხვა. ყოველივე ამან თავისებური სახე მისცა რუსეთის იმპერიას. უზარმაზარ საზღვრებში მოქცეული მთელი ტერიტორია რუსების მიერ რუსეთად აღიქმებოდა. „რუსეთი“ პოლიტიკური საზრისის მქონე სახელწილება იყო, ხოლო „საქართველო“, „აზერბაჯანი“ ან „თურქეთიანი“ გეოგრაფიულ ტერიტორიებად იქცნენ. რუსეთისაგან განსხვავებით, ევროპელთა მიერ საკუთარი კოლონიური სამფლობელოების ჰერეტია სრულიად სხვაგვარი იყო. ისინი „ზღვისგაღმა“ შექენილ ტერიტორიებს არასოდეს აიგვებდნენ საკუთარ ქვეყანასთან. ინდოეთი, აღბათ, ბრიტანეთის იმპერიის ყველაზე ძვირფასი და მნელად დასათმობი შენაძენი იყო, მაგრამ ის ყოველთვის ჩატარებული იყო და მნელად დასათმობი შენაძენი იყო, მაგრამ ის ყოველთვის არასოდეს აიგვებდნენ საკუთარ ქვეყანასთან. ინდოეთი, აღბათ, ბრიტანეთის იმპერიის ყველაზე ძვირფასი და მნელად დასათმობი შენაძენი იყო, მაგრამ ის ყოველთვის არასოდეს და აღმოსავლეთის განსხვავების შესახებ, არასოდეს დავიწყებით ევროპელებს, მშინ როდესაც რუსები ვერ

ელეოდნენ ართავ მხარეს მომზირალი არწივის ძველ ბიზანტიურ გერბს.

ამგარმა სპეციფიურმა დამოკიდებულებამ კოლონიებთან, თავი რომ და-  
ვანებოთ საკითხის ეთნოურ, კულტურულ და რელიგიურ ასპექტებს, დღი  
ზეგავლენა იქნია რუსეთის ეკონომიკურ სტრუქტურებზეც. ევროპელები კო-  
ლონიალიზმის გზას დაადგნენ ეკონომიკური სარგებლიანობის მოტივის კარ-  
ნახით. ეჭვი არ არის, ესპანეთის მეფეს რომ უზარმაშობი სარგებელი არ  
ენახა სამხრეთ ამერიკაში ისევე, როგორც ოსტინდოეთის კომპანიას ინდოეთ-  
ში, არც პირველი მოექცეოდა ესპანეთის კოლონიური მმართველობის ქვეშ  
და არც მეორე - ინგლისისა. თუ ახლა ამას შევადარებოთ რუსეთის იმ  
საჩიქებს, რომელიც მან გაიღო თუნდაც კავკასიში თავისი ყოფნის უზრუნ-  
ველსაყოფად და რომელსაც ოდნავაც ვერ დაფარავს ვერც ბაქოს ნავთობი  
და ვერც ჭიათურის მარგნეცი, აშკარა გახდება, რომ ეკონომიკური ინტე-  
რესები რუსული კოლონიალიზმისათვის არასრუს ყოფილა დომინანტური. ჩვენ  
გვიშირს სხვა რამებ რაციონალური მოტივის დასახელება გარდა სამხედრო-  
პოლიტიკურისა, რომელიც დამატაყოფილებელ ახლანას მისცემდა რუსეთის ექ-  
სპანისას. ყოველ შემთხვევაში, ახალ-ახალი ტერიტორიების შემოსამტკიცებ-  
ლად ჰუდოვი შზადყოფნა მშინ, როგორაც საკუთარი ძირძელი მაწაწყალი  
ასათვისებელია და მოსახლეობისაგან იცვლება, სხვა მხრივ გაუგებარია. ინ-  
გლისელებმა თავი ანებეს ინდოეთს, ისევე როგორც ბოლოს და ბოლოს  
ფრანგებმა ალჟირს, როგორც კი მისი ფლობა წმმგებიანი გახდა. რუსეთი  
კი დღემდე ვერ ელევა ყოფილ კოლონიებს და ცდილობს ისინი ნაციონა-  
ლური ძალების უკიდურესი დაძაბვით შეინარჩუნოს.

რამდენადაც რუსეთის იმპერია, დასაცლეთის ქვეყნებისაგან განსხვავე-  
ბით, ჩამოყალიბდა როგორც საკუთარი კოლონიებისაგან „ერთიანი და გა-  
ნუყოფელი“, ამგვარი ერთიანობა რუსეთის ეკონომიკური სისუსტის დამატე-  
ბით წყაროდ იქცა. არც ერთი მეტროპოლია არ ზრუნავს კოლონიური  
სამფლობელოების აყვავებაზე. ასევე იქცეოდა რუსეთიც, მაგრამ რამდენა-  
დაც მისი კოლონიები „ზღვისგარმა“ ტერიტორიებს კი არ მოიცავდნენ,  
არამედ თვით რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სხეულის „ორგა-  
ნულ“ ნაწილებს, ამით სუსტდებოდა რუსეთიც. ქვეყანა გადაიქცა ნახევრად  
იმპერიულ და ნახევრად კოლონიურ სახელმწიფოდ, რომელიც საკუთარ თავს  
უწევდა ექსპლოატაციას. ქვეყანაში არ არსებობდა არც ერთიანი სამურ-  
ნეო სისტემა და არც მეტა-კლებად განვითარებული რეგიონთაშორისო სა-  
ბაზრო ურთიერთობა. განსხვავებული გეოგრაფიული გარემოსა და განსხვა-  
ვებული კლიმატური პირობების მქონე რეგიონებს შორის მრეწველობის,  
ვაჭრობის და საერთოდ, ეკონომიკური თანაცხოვრების სუსტი დონე ვერ  
გამოდგებოდა ქვეყნის ერთიან სამურნეო სისტემად ქცევის ფაქტორად. ამი-  
ტომაც, რაც უფრო ფართოვდებოდა იმპერიის საზღვრები, მით უფრო ძლი-  
ერი პოლიტიკური ხელისუფლება იყო საჭირო განაპირა რეგიონების და-

საქვემდებარებლად. პოლიტიკური ხელისუფლების გასაძლიერებლად კი რუ-სეთში ჭელთაგანვე აპრობირებული იყო მარტივი, მაგრამ ფრიად საიმედო საუშალება - ამ ხელისუფლების ცენტრალზაცია, რომელიც ჩეგიონებში წარმოდგენილი იყო ძლიერი ბიუროკრატიული სტრუქტურებით. ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში ეს ბიუროკრატია თავისი სახელმწიფობრივი ატრიბუტიკით (ჯარი, პოლიცია, სასამართლო) იყო ძირითადი სპეციალისა, რომელიც უზრუნველყოფდა ჭვევნის მთლიანობას. როგორც კი მეტის გადადგომამ საფუძველი გამოაცალა მას, დაიწყო იმპერიის დეზინტეგრაცია, რომლის შენარჩუნებაც სრულად დემოკრატიული სტრუქტურების არსებობის პირობებშიც კი ლეგიტიმური სპეციალებებით აღარ მეტად ძნელი იქნებოდა. საინტერესოა, რომ ვიდრე ბოლშევიკები ხელახლა დაიპყრობდნენ ყოფილ კოლონიებს, ჭვევანა დაიშალა სხვადასხვა რეგიონად, რომელთა შორის ერთ-ერთი - მოსკოვით წარმოდგენილი ცენტრი - თითქმის დაბრუნდა ძეველი მოსკოვიტი „ბუნებრივ“ საზღვრებს. ჭვევნის დანარჩენი დეზინტეგრარებული ნაწილები დალაგდნენ იმგვარ პოლიტიკურ „თანამეჯობრობებად“, რომელთა ელემენტებს შორის რეალური კულტურული, ისტორიული და რაც მთავარია, უკრონიმიკური კაშირები არსებობდა: ცალკე გამოიყო უკრაინა, პოლონეთი, კავკასია, შუა აზა, ციმბირის რესპუბლიკა, შორეული აღმოსავლეთი და სხვ. დეზინტეგრაცია შეეხო არა შხოლოდ განაბირა რეგიონებს, არამედ მომავალი რესენტის ფედერაციის მხარეებსაც. ამგვარი დანაწილება არ ყოფილა არც ჭვევნის შიდა არეულობისა და არც დასავლეთის მტრული ხრიკები ნაყოფი, რაზედაც მიგვანიშნებს ის, რომ „პერესტროიკის“ უამს ზუსტად იგივე რეგიონებმა მოინდომე დამოუკიდებელი არსებობა.

ბოლშევიკების დამსახურება იმპერიის წინაშე შესაძლოა იმდენად დაკარგული მიწების დაბრუნებაში კი არ გამოიხატება, რამდენადაც ინდუსტრიალიზაციის სტალინურ გეგმაში. ბოლშევიკებმა ნათლად გააცნობიერეს, რომ ჭვევნის ერთიანობა შისველი პოლიტიკური ხერხებით შეუძლებელი ხდებოდა და ამიტომაც გევრი გააკეთეს ერთიანი სამეურნეო სტრუქტურისა და ეკონომიკის შესაქმნელად. ეს ეკონომიკა, რომლის გეგმაზიერი, სოციალიზმად წოდებულ ღირებული ხსიათი სრულ ჰარმონიაში იყო საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმთან, პოლიტიკურ და სამხედრო საშუალებებთან ერთად ამორჩნდა არანაკლებ ქმედითი, ამჯერად უკვე ეკონომიკური იარაღი, რომელიც უზრუნველყოფდა კოლონიების ერთიან იმპერიულ სივრცეში ყოფნას. შესაძლოა ეს უფრო დამაჯერებელი ხდება დღეს იმ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც გარდა სამხედრო-პოლიტიკური და სპეცსამსახურების აქტიური დაწოლისა, ეკონომიკურ ზეწოლასაც განიცდიან. ამ ეკონომიკურ სტრესს დროდადრო ენაცვლება შემჩარა-

ვი ტონით გაკეთებული განცხადება რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა - „აღვადგინოთ ქველი ეკონომიკური კავშირები“. ეს ლოზუნგი, რომელიც ერთობ უცხაურად გაისმის იმ ქვეყნის ლიდერთა პირიდან, რომელიც საბაზრო ურთიერთობებისაკენ მიდის, მკვეთრ იმპერიალისტურ უერადობას შეიძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქველი კავშირები“ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის იმგვარი ეკონომიკური ბადეა, რომლის სათავეებიც ერთ ცენტრში, ერთ ხელში იყრის თავს და მხოლოდ აქედან იმართება. სხვა შემთხვევებში, წმინდა საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ამ „ქველ კავშირებს“ არავითარი აზრი არა აქვს. ისინი უბრალოდ ვერ იმშავებენ, რაგინდ ტოტალიტარული სისტემის ორგანულ-ეკონომიკურ პლასტს წარმოადგენდნენ. აშკარაა, რომ ქველი ეკონომიკური კავშირების აღდგენის მომხრენი შინ თუ გარეთ, საბოლოო ჯამში იმპერიის აღდგენის მომხრენი არიან. რუსეთის იმპერია და საბჭოთა ტოტალიტარიზმი ამ ასპექტში ერთმანეთს ემთხვევა.

ყოველივე იქნან, რაც ქველ ეკონომიკურ კავშირებსა და იმპერიის თაობაზე ახლახან ითქვა, ნათელი ხდება, რომ საყვედური, რომელიც ეროვნული მოძრაობის მიმართ დროდალრო გამოითქმის ხოლმე, ბრალდება, რომ ამ მოძრაობამ დაანგრია საქართველოს ეკონომიკა მაშინ, როცა ვალდებული იყო მამულის სიყვარულის კარნახით მაინც განემტკიცებინა სოციალისტური ქვეყნიდან მემკვიდრეობით მიღებული, თუნდაც მცირედი, სინამდვილეში გაისმის როგორც უმაღლესი ქათინაური, რომელიც კი შეუძლიათ შექმნილ სიტუაციაში გამოიმეტონ. ეს უკანასკნელი დაუდევარი ქართული გულუსხობითაც კია გამოთქმული. იგი ცხადია, ქება არა სპილენძის მავთულების თუ ხსინის ქურდებს, არამედიმათ, ვინც საქართველოს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შესაცვლელად სულ ჩამდენიმე ნაბიჯის გადაღმას ცდილობს. ასე;თი ადამიანები კი „პერესტროიკას“ შემდეგ ყოველთვის იყვნენ საქართველოს მთავრობაში და არიან დღესაც. ჩვენი ღრმა ჩრდებით, მათი ეკონომიკური პროგრამა სულაც არ ივიწყებს რუსული ბაზირის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისათვის - პირიქით, ისინი სწორედ საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით აპირებენ მოქმედებას. ამ მიმართულებით კი, არა მხოლოდ აუცილებელია „ქველი კავშირების დანგრევა“, არამედ ძირის სვიანად უნდა შეიცვალოს პრიორიტეტები და ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა.

ყოველივე იქნან, რაც რუსეთის ისტორიზე ითქვა, ცხადია, რომ იმპერია, „დერჯავა“ რუსთა უმრავლესობისათვის „რუსეთთან“ და „სამშობლოსთანა“ გაიგივებული, რომლის დიდებასაც შეალია ამ ხალხმა საკუთარი თავისუფლება და ეკონომიკური კეთილდღეობა. პრობლემაზ - იმპერია თუ დემოკრატია - რუსებისათვის სრულიად სხვა ჟღერადობა შეიძნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მას შემდეგ, რაც უკვე რუსეთის ფედე-

რაციის რეგიონებმა მოინდომეს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, პრობლემური გახდა - იმპერია თუ შემდგომი დეზინტეგრაცია.

ისე, წმინდა სამხედრო-პოლიტიკური მოსახრებებით ახალ-ახალი ტერიტორიების დამყრობთათვის გასათვალისწინებელი უნდა იყოს ერთი ისტორია, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ყვებიან: ძლევამოსილ ხელმწიფეს, რომელიც მეზობელ ქვეყანაზე სალშექროდ ემზადებოდა, ქვეშევრდომთა შორის ყველაზე გონიერი მოუხმია და რჩევა უკითხავს. „რისთვის აპირებ ამ ქვეყნის დაყრობას, ხელმწიფელ?“ - უკითხავს მრჩეველს. ეს კითხვა ხელმწიფელ ერთობ გაიკვირვა გონიერი კაცისაგან და მას მოთმნებით აუქსნა: „ამ ქვეყნის დაკავებით, ძალზე ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნება შემდეგ სამეფოზე დასაცემად, მეორესაც რომ დავიპყრობ, მერე მესამეზე, მეოთხეზე... ვიღმარებ და ბოლოს და ბოლოს მთელი ქვეყნიერების მბრძანებელი ვიქნებიო“. „შემდეგ?“ - დაიყინა მრჩეველმა - „შემდეგ რას აპირებ?“ „შემდგომ ამისა დავჭიდები მშვიდად და ბედნიერად ვიცხოვრებ“ - უბრძანებია ხელმწიფეს. „ძეულეო“ - უთქვამს ბოლოს ბრძენებაც - „ახლა ვინ გიშლის ხელს, მშვიდად იძევ და ბედნიერად მართო ქვეყანა, მშინ როცა, თუკი შენსას არ მოიშლი, წნებ მრავალი განსაცდელი და შესაძლოა უბედურებაც კი გელოდება?“ როგორც ამბობენ, ხელმწიფემ გამზიარა მრჩევლის საზრისი და მას მერე უდრტვინველად მართავდა ქვეყანას. გაჰყვებიან თუ არა მის კვალს დღეს ნეოიმპერიალისტურ იშტაზე მყოფი რუსეთის პოლიტიკური წრეები, ეს ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს...

## ლიტერატურა

1. Н. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма.
2. Ю. Бородай, Тоталитаризм: хроника и лихорадочный кризис. "наш современник" №7, 1992
3. Л. Гумилев, Ритмы Увразии.
4. А. Казинец, Ересь жидовствующих, "Наш современник" №9, 1992
5. В. Ключевский, Сочинения (в девяти томах) Изд. "Мысль" М.
6. С. Соловьев, Сочинения (в восемьнадцати книгах) Изд. "Мысль" М.
7. Ch. Fairbanks, The Nature of the Beast, in: The National Interest, Spring 1993.
8. ზბიგნევ ბჟეზინსკი, დიდი ცვლილებები. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ობ. 1994
9. Повесть временных лет в кн: Русская лит. XI-XVIII в. Изд. "Худ. литература" М. 1988.

## მსტორიული გამოწვევის არსე

ერის ეროვნულობა სრულიადაც არ არის ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული რამ. ყოველი ერი, ისტორიული არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, საკუთარი ყოფიერების რაობის ახლებურად გააზრებას და საკუთარი ყოფიერების ახლებურად ჩამოყალიბებას ახდენს. მისი არსებობა გარკვეულ დროულ-სივრცულ არეალში რეალიზდება. ამგვარი რეალიზაციის პროცესში თავად ამ პარამეტრებს რამდენადმე განსხვავებული როლი ენიჭებათ: სივრცული პარამეტრების მეშვეობით ერი საკუთარი არსებობის ობიექტივაციას ახდენს, ხოლო დროულ პარამეტრებთან მიმართებით საკუთარ ეროვნულ ცნობიერებას იყალიბდებს<sup>1</sup>. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველი ერი, სპეციფიკური აზრით, „გადაგდებულია“ ისტორიაში. როგორც წესი, ის არ ირჩევს საკუთარი საცხოვრისის მდებარეობას<sup>2</sup>, არ ირჩევს იმ გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეალიებს, რომლებშიც მას უწევს ცხოვრება. და ბოლოს, ის არ ირჩევს იმ დროს, რომელშიაც მან საკუთარი, ინდივიდუალური და განუქმორებელი ყოფიერების რეალიზაცია უნდა მოახდინოს.

რამდენადაც ერის ყოფიერებაზე, შიდაეროვნული ფაქტორების გარდა მნიშვნელოვანი გავლენას ახდენენ ისეთი რეალიები, რომლებიც უშუალოდ ეროვნული ინტერესებიდან არ გამომდინარეობენ, ერის ყოფიერება თავისებური გამოწვევის სახეს იღებს. „გამოწვევა“ ნიშნავს, რომ ერმა საკუთარ თავსა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, უნდა გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც მის წინაშე დაუყენებია ეროვნული ყოფიერების „გადაგდებულ“ ხასიათს (ე. ი. იმას, რომ ის, როგორც წესი, არ ირჩევს საკუთარი არსებობის დროსა და არეალს).

ასეთი გამოწვევა შეიძლება სრულიად განსხვავებულ სახეს იღებდეს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოწვევა გულისხმობს მხოლოდ იმის საჭიროებასა და უცილებლობას, რომ ერმა უბრალოდ შეინარჩუნოს თა-

<sup>1</sup> წარმოდგენილ სტატიაში ეროვნული ყოფიერების აღწერისათვის ჩვენ ძირითადად ტრადიციულ ფილოსოფიაში დამკვიდრებულ სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებებს ვიყენებთ. ეს რასაკვირველია არ გამორჩეავს იმას, რომ ეროვნული ყოფიერების აღწერისათვის არაპროდუქტული იქნება ის მიღება, რომელიც არატრადიციულმა ფილოსოფიურმა მიღებამ (მაგალითად პაილეგერმა) გამოიმუშავა.

<sup>2</sup> ეს კოთარება გეოპოლიტიკურ რეალიათაგან ისტორიულად გაწვალებულმა ფინელებმა გამოხატეს მახვილგონივრული ანდაზით: „ირჩევენ მეგობრებს, და არა მეზობლებს.“

ვისი ეთნიკური სახე, ზოგ შემთხვევაში კი გამოწვევა ერის წინაშე გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ამოცანას სახავს, ვიდრე უბრალო თვითგადაჩჩენაა. ძნელია გამოძებნო ამგარ გამოწვევათა ლოგიკა, მით უფრო ძნელია იმის გარკვევა, არსებობს აქ რაიმე კანონზომიერება, თუ საქმე უბრალოდ ისტორიის თამაშთან გვაქვს. და მაინც, ამგვარი გამოწვევის არსებობა უკველია, ვინაიდან მხოლოდ იგი აყენებს ადამიანთა ერთობის წინაშე ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტის დროსაც შეძლება ერმა იარსებოს ვითარცა ერმა. არ არის აუცილებელი, რომ ამ ამოცანების გადასაწყვეტად შეკავშირებული ერი მაინცა და მაინც ერთი ეთნიკური ჯგუფისაგან შედგებოდეს: შვეიცარიელთა მაგალითი კარგი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან შემდგარმა ხალხმა ითანამშრომლოს იმ საერთოეროვნული პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც სახელმწიფოს წინაშე დაგას. და თუკი ადამიანთა ერთობას ვერ გამოუნახავს ის საერთო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც ერთ მთლიან ორგანიზმად გააერთიანებს, ეს ერთობა ერად ვერც ჩაითვლება.

საკუთარი ისტორიის მანძილზე ყოველი ერი სხვადასხვაგვარად წყვეტს მის წინაშე მდგარ გამოწვევას. ზოგჯერ ის ახერხებს წარმატებული პასუხი გასცეს მას, ხოლო ზოგჯერ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მზად არაა აღეჭვატური რეაგირებისათვის და უბრალოდ ქრება, ვითარცა საკაცობრიო ისტორიის სუბიექტი.

ამასთან გამოწვევა ყოველთვის ინდივიდუალურ და განუმეორებელ ხასიათს ატარებს. თვით ერთი შეხედვით მსგავს შემთხვევებშიც კი, ერთიდასიავე ერის წინაშე აბსოლუტურად იღენტური ამოცანები როდი დაგება. დღვევანდელი საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანა - ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა - ჩვენს ისტორიაში რამდენჯერმე დამდგარა, თუმცა მისი გადაწყვეტის (თუ ვერგადაწყვეტის ფორმები) იგივეობრივი როდია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის ამოცანა, რომელიც წარმატებით გადაჭრეს ფარნავაზმა ან ბაგრატიონებმა (IX-X საუკუნეებში) იმის იღენტური როდია, რომელიც ისტორიაშ დაუსახა დღევანდელ ქართველობას. განსხვავებას განაპირობს ის ისტორიული, იდეოლოგიური, ტექნოლოგიური, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფონი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ამ ამოცანის (იგულისხმება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღმშენებლობა) გადაწყვეტის სპეციფიკას ჩვენს ერამდე IV-III, ჩვენი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეებში და 20-ე საუკუნის მიწურულს.

შეგვიძლია კი დღევანდელ გამოწვევაზე აღეკვატური რეაგირება? იქნებ ჩვენ მართლაც განწირული ერთი ვართ, რომელსაც ისტორიულ გამოწვევაზე პასუხის გაცემა არც ძალუდს? ბოლოს და ბოლოს, ამგ-

ვარ გამოწვევაზე აღექვატური პასუხის უქონლობაშ ხომ თვით ისეთი ერები გადააშენა, როგორებიც იყვნენ ძველი ბერძნები და რომაელები, ბიზანტიილები ან ევროპის დამკარიბი მონოლოგები? თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ ერების გადაგვარების უმთავრეს მზებს წარმოადგენდა შეუსაბამობა მათ (ანდა ისტორიის) მიერ დასმულ ამოცანას - მსოფლიო იმპერიის შექმნასა და ამ ამოცანისათვის საჭირო არსებული ერების შორის. იქნება ამიტომაცაა, რომ დიდი იმპერიების შემქმნელი ერები, როგორც წესი, ქრებიან ისტორიული ასპარეზიდან, მანი როდესოაც ის ერები, რომელთა წინაშე უფრო მოკრძალებული ამოცანები დგას, ხანგრძლივად არსებობენ ვითარცა ისტორიის სუბიექტები...

ეს კითხვები პასუხს მოითხოვს. ალბათ ძეგლია პასუხი ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი იყოს და მაინც, თუ ერს ერად არსებობა სურს, ვერ გაქცევა ამ კითხვათა გაზრების აუცილებლობას. ამასთან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორია ის მსაჭული არაა, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი განაჩენი გამოაქვს და რომ ყოველი ერი, ასე თუ ისე, თავისუფალი სუბიექტია, რომელიც თვითონვე განსაზღვრავს იმას, თუ რა სახით იარსებებს და რით უპასუხებს გომოწვევას.

იგივეა ჩვენს შემთხვევაშიც: ქართველი ერის წინაშე დღეს შემდეგი გამოწვევა დგას: იარსებოს, როგორც სუვერენულმა ერმა, რომელსაც დამოკიდებელი სახელმწიფოებრიობა გააჩნია, თუ იცხოვროს როგორც სხვისი ხელის შემყურე და სხვის სახელმწიფოებრიობში ჩართულმა ეთნოსმა (თუგინდ ყველა იმ უფლებით, რომელსაც თანამდებროვე საერთაშორისო სამართალი ანიჭებს ეთნიკური თვითმყოფადობის მქონე ჯგუფებს). ამ გამოწვევზე გაცემული პასუხი დიდი ხნით განსაზღვრავს ჩვენი ერის ბედს, განსაზღვრავს იმას თუ რანი ვიქებით ჩვენ, ჩვენი შვილები, შვილიშვილები... ყველაზე შემაშფოთებული კი ისაა, რომ ჩვენს ერს (ყოველ შემთხვევაში მის იმ ნაწილს, რომელსაც ინტელექტუალური ელიტის პრეტენზია აქვს) ოდნავადაც კი ვერ გაუზრებია ამ გამოწვევის თავად არსებობაც კი, მასზე აღექვატური რეაგირების აუცილებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამას თავისი მიზეზები აქვს. ზოგიერთ მათგანს წარმოადგენილ პუბლიკაციაშიც შევხებით, მანამდე კი აუცილებლად მიგვაჩნია გავაქარწყლოთ ერთი ილუზია, იმ მრავალ ილუზიათა შორის, რომელნიც ისტორიის გამოწვევზე სათანადო პასუხის გაცემში გვიშლიან ხელს. ეს ილუზია ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობას ეხება. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეხება იმ ილუზორულ დასკვნებს, რომლებიც ხშირად კეთდება ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისას.

## საპრატენდი სიმრიცე და გეოპოლიტიკა

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმოშობამ საქართველოში მთელი სიმწვავით დააყენა კითხვა: შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა (თუგინდ ეკონომიკური თვალსაზრისით). მაშნდელი მმართველი პარტოკრატიის დაკვეთით ორდენისანგა პროფესორებმა ერთხმად დაიწყეს მტკიცება, რომ არავითარი დამოუკიდებელი არსებობა საქართველოს არ ძალუს. მათი არგუმენტაცია ნაჩეარევად შეკოწიწებულის და უსუსურის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სამწუხაროდ, არგუმენტაციის სიღრმით ვერც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები გამოიჩინავნენ. „წითელ“ პროფესორთა მტკიცებებს ისინი ასეთ არგუმენტებს უპირისპირებდნენ: ჯერ დამოუკიდებლობა მივიღოთ და შემდეგ ჩვენი ჩაი (მინერალური წყლები, კურორტები) შეგვინახავენ. ყველაზე სოლიდური არგუმენტი ასე უღრდა: „ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა შეგვინახავს“. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გამოხდა ხანი და გამოირკვა, რომ პოსტეროვნულ ხელისუფლებში მოკალათებულმა ნაცად კამუნისტთაგან შემდგარმა ნეონომენტურამ მინერალური წყლების ზღვაც შეხვრიაბა, და ზედ იმდენი ჩაიც დააყოლა, რომ თურქენეთისაგან გაზი ვეღარ შეგვიძენია. ამავე ნომენკლატურული „ბრძნული“ პოლიტიკის მეშვეობით კურორტთა დიდ ნაწილს სეპარატისტები დაეგატრონენ. ასე რომ, შიმშილით გაწამებულ ხალხს იმის იმედადლა დარჩენია ყოფნა, რომ ჩვენ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა მაინც შეგვინახავს.

თუმცა კი საქმეში ჩაუხედავ მკითხველს გაუკვირდება: როგორ შეიძლება ერი მდებარეობამ შეინახოს. ამაზე მას მშვიდად აუხსნიან, რომ ჩვენი მდებარეობა უბრალო მდებარეობა როდია, რომ ჩვენ იმ სივრცეში, დედამიწა რომ ჰქვია, „განსაკუთრებულად ხელსაყრელი“ ადგილი გვიჭირავს. სამწუხაროდ იმავე საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა ყოველთვის როდი იცის, რომ ფართომასშტაბური პოლიტიკა წერილმანი ქურდაბულა არაა და ამ უკანასკნელთაგან განსხვავიბით, იმას კი არ ეტანება, რაც ცუდად დევს, არამედ სწორედ იმას, რასაც კარგი მდებარეობა აქვს. ასე რომ, კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობა თავისთავად ვერ გახდება ერის ბედნიერების გარანტი. პირიქით, ხელსაყრელმა მდებარეობამ შეიძლება ერს უბედურებაც კი მოუტანოს, განსაკუთრებიც მაშინ, თუ ამ ერს არ გააჩნია სამოქალაქო აზროვნება და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, ე. ი. ყოველივე ის, რაც აუცილებელია ხელსაყრელი მდებარეობის სათანადოდ გამოყენებისათვის. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის განსჯისას ერ-

თი ფუნდამენტური ვითარებაცაა გასათვალისწინებელი: გეოპოლიტიკურ პარამეტრებზე საუბრის დროს მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ორი მომენტი: ერთის მხრივ გეოპოლიტიკური ვითარების მდიექტური პარამეტრები, რომლებიც სივრცობრივი მახასიათებლებით არიან განპირობებული და, მეორეს მხრივ, თუ როგორ ხდება ამ მახასიათებელთა აღქმა ეროვნული მენტალიტეტის მიერ, რაც უპირველეს ყოვლისა ისტორიული და კულტურული, ე. ი. უმეტესწილად დროითი ხასიათის პარამეტრებითავა განსაზღვრული. რასაკვირველია, რეალურ ეროვნულ ისტორიაში ეს ორი ფაქტორი ერთმანეთზე განუყრელად არის გადაჭავეული. გეოპოლიტიკური მდებარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ეროვნულ მენტალიტეტს, ე. ი. იმას, თუ როგორ ხდება საკუთარი მდებარეობის აღქმა და გააჩრება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შვეიცარელთა „ნეიტრალისტური“ მენტალიტეტი, რომელიც ამ ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განაპირობა (სახელდობრ იმან, რომ შვეიცარიას თავისი მდებარეობის გამო უწევდა ლავირება საფრანგეთსა და ავისტრიას, აგრეთვე გერმანიასა და იტალიას შორის). ამგვარი „ნეიტრალისტური“ მენტალიტეტი არა მარტიმ ნეიტრალიტეტის პოლიტიკაში ვლინდება, არამედ იმაშიც, რომ სხვადასხვა სახის გამოკითხვები და რეფერენცუმები აჩვენებენ შვიერარელთა სურვილს არ მიიღონ მონაწილეობა გაეროსა და ევროგაერთიანების სტრუქტურებში. მეორეს მხრივ, საკუთარი მდებარეობის გააჩრება ამა თუ იმ ერის მიერ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ არის ორგანიზებული გეოპოლიტიკური სივრცის ესა თუ ის მონაკვეთი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ამ სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ როლს. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა კარგი მაგალითია იმისა, რომ ეფექტური გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყანა ვერ მოახერხებს ამ მდებარეობის გამოყენებას, თუ არ მოახდინა გეოპოლიტიკური სივრცის გარკვეული მონაკვეთის მოცვა რეალური სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით.

ამრიგად, მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაგინდ ხელსაყრელიც არ უნდა იყოს იგი, ვერ „შეგვინახავს“. თავისთავად გეოპოლიტიკური არეალი ცარიელი ფიზიკური სივრცეა, რომლის მნიშვნელობას მექანიკური ფაქტორები კი არ განსაზღვრავს, არამედ ის, თუ ვინ და როგორ ცხოვრობს ამ სივრცეზე.

ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცის განსაკუთრებულობის თავისებური განცდა ქართულ მენტალიტეტში არ არის მხოლოდ დღევანდელობით განპირობებული რეალია. მას ფესვები წარსულის სიღრმეში აქვს გადგმული. იმ დროში, როდესაც საქართველო „კურთხეულ“ ქვე-

ყანად გაიაზრებოდა. შუა საუკუნეების აზროვნების წესის პირობებში ასეთი მიღვომა სრულიად გასაგები და შუასაუკუნეებრივი მენტალიტეტისათვის სრულიად გამართლებული იყო. საქმე ისაა, რომ შუასაუკუნეებრივი ადამიანი სივრცეს სრულიად სხვანაირად აღიქვამდა და იაზრებდა, ვიდრე დღევანდელი. დღევანდელი ადამიანი სივრცეს ერთიან, უსაზღვრო „საცავად“ აღიქვავს, რომელშიც ათვლის წერტილად სივრცის ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება იქნეს აღებული და რომლის არც ერთ მონაკვეთს არ ენიჭება გამორჩეული ადგილი სხვა მონაკვეთებთან შედარებით. მაგრამ შუა საუკუნეებში სივრცის სხვაგარი გაგება ბატონობდა: ამ გაგების თანახმად სივრცის მონაკვეთებს შორის მიმართება იერარქიულ ხაისათ ატარებდა და გარკვეულ მიზეზთა გამო სივრცის ერთი მონაკვეთი შეძილებოდა უფრო ღირებული („კურთხეული“) ყოფილყო ვიდრე სხვა. ამ გაგებიდან ბუნებრივად გამომდინარეობდა ის, რომ სივრცის ზოგიერთი (უმეტესწილად მშობლიური) მონაკვეთი უფრო მაღალი ღირებულების მქონედ ცხადდებოდა, ასევე ბუნებრივი იყო, რომ ამ განსაუთრებულობის საილუსტრაციოდ ამ მონაკვეთისათვის დაბახსიათებელ რასე ნიშანზე გაემახილებინათ ყურადღება (ვთქვათ ზომიერ ბუნებაზე, ნაყოფიერ მიწაზე, ერთი სიტყვით ყოველივეზე, რაც სივრცის ამ მონაკვეთს „კურთხეულად“ აქცევს).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სივრცის რომელიმე მონაკვეთის გამორჩეულობის (საკრალურობის) იდეა შუა საუკუნეებში როდი გაჩენილა. მას ფესვები ქველ აღმოსავლებში აქვს გადგმული<sup>1</sup>.

მითოსური პზროვნება სივრცის საკრალულობას მასზე ამა თუ იმ ღვთაების პატრონობას უკავშირებდა. მაგალითისათვის შეგვიძლია ქველი ბაბილონი ავილოთ. მისი, როგორც სივრცის საკრალური მონაკვეთის გაზრება მოცემულია „ხამურაბის კანონების“ პრეამბულაში: „მაღალმა ანუმ, ანუნაქთა ხელმწიფე, და ენლილმა, ცათა და ხმელეთის უფალმა, ქვეყნის ბედის დამსაჩრდელმა... ბაბილონის მაღალი სახელი გამოაცხადეს, სამყაროს კიდეთა მიმართ განაცრცელეს და მის წიაღმი დაუდგინეს მარადიული მეუფება, რომლის საფუძველი, მსგავსად ცათა და ხმელთა, მტკიცეა“<sup>2</sup>. ბაბილონის სივრცის საკრალური

<sup>1</sup> სივრცის ზოგიერთი მონაკვეთის სხვაზე აღმატებულობის იდეა ფილოსოფიურადაა დაფუძნებული არისტოტელეს მიერ, ოდონდ ქველაღმოსავლურიდან სრულიად განსხვავებულ კონტექსტში. სწორედ არისტოტელეს თვალსაზრისი, ქრისტიანული ინტერპრეტაციით, საფუძვლად დაედო სივრცის შუასაუკუნეებრივ გაეჭბას.

<sup>2</sup> იხ. „ხამურაბის კანონები“, თბილისი, „მეცნიერება“, 1988

და სხვაზე აღმატებული კურთხეულობის დემონსტრირება ყოველწლიური რიტუალის მეშვეობით ხორციელდებოდა. ყოველი წლის მარტ-აპრილში, მთვარის კალენდრის ახალ წელს ბაბილონში წმინდა ნავით შემოჰქმდათ ხოლმე ღვთაების კერპი. ამ კერპს შემდგომ ესგილუს ტაძარში გადაიტანდნენ. ამის შემდეგ სამეფო ინსიგნებებით აღჭურვილი მეფე შედიოდა ტაძარში და სათანადო რიტუალის შემდეგ, შეეხებოდა რა ღვთაება ბელის ხელს, სიმბოლურად განაახლებდა თავის ხელ-მწიფობას, ე. ი. მისი სამეფოს გამორჩეულობასა და კურთხეულობასაც.

ბაბილონის დამპყრობმა ასურელებმა, ბაბილონის ტერიტორიის კურთხეულობის შემუსვრის მზნით, ბელის კერპი ნინევიაში გადაიტანეს, რის შედეგადაც ბაბილონში შეუძლებელი გახდა ახალი წლის რიტუალის ჩატარება, მეფის გა-ხელ-მწიფება და შესაბამისად ბაბილონმა, როგორც კურთხეულმა სივრცემ, არსებობა შეწყვიტა.<sup>1</sup>

ცხადია ეს ფაქტი შეიძლებოდა მხოლოდ ისტორიული კურიოზის მაგალითად მოგვეყვანა. მაგრამ ასეთი მსოფლმხედველობა თითქმის ყველა ძეველ ერში არსებობდა.

ძველმა ბერძენმა პინდარემ სპეციალური სიტყვა *dzōtheos* შექმნა იმ საკრალური ადგილების აღსანიშნად, სადაც ღვთაებათა ღვთაებრიობა მაქსიმალური ინტენსიონით ვლინდება. სივრცის გარკვეული მონაკვეთის საკრალურობის აღიარება მოიპოვება მცხეთის იმ დახასიათებაში, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ გახვდება: „სადა ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. ამგვარი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ჩვენს მიზანს ეს კი არ წარმოადგენს, არამედ იმ სამწუხარო ფაქტის კონსტატირება, რომ გეოპოლიტიკური სივრცისადმი ამგვარ მიღომას ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებაში. თუმცა ეს სრულიადაც არ არის ბრალი ქართველთა განსაკუთრებული დაკომპლექსებულობისა (როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ ოფიციოზის მხარდამჭერი ჟურნალისტ-პუბლიცისტები). ამგვარი მენტალიტეტი, საკუთარი მიწის და მდგბარეობის კურთხეულობის ჰიპერტროფირებული განცდა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სახელმწიფოებრივი არსებობის წყვეტასა და მისგან გამომდინარე შედეგებს უკავშირდება.

<sup>1</sup> თანამედროვე პოლიტიკოსები გაცილებით უფრო მარტივად უდგებიან ასეთ პროცესებს. როცა დაპყრობილი ქვეყნის ანექსირება სურთ, ისინი ამ ტერიტორიაზე აჩერებენ ადგილობრივი კონსტიტუციის მოქმედებას და მოსახლეობას საკუთარ კანონებს ახვევენ თავს.

## პლიტიანი ფსიქოლოგია და გეოპლიტი- პრიზ ფენომენი

ერთი საცხოვრისის გეოპლიტიკური მდებარეობის ხელსაყრელად გამოყენება შეუძლებელია, თუ ამ საცხოვრისზე არ ფუნქციონირებს რამდენადმე ეფექტური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემა. ამგვარი სისტემის არარსებობის შემთხვევაში ეს ტერიტორია აღრე თუ გვიან ერთვება სხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი სისტემის მოქმედების არეალში. სხვაგარად რომ ვთვათ, ეს ქვეყანა კარგავს დამოუკიდებლობას და აქედან გამომდინარე, შესაძლებლობას ისარგებლოს თავისი ხელსაყრელი გეოპლიტიკური მდებარეობით. ამ მდებარეობიდან გამომდინარე დივიდენდებს ამ შემთხვევაში დამპყრობელი სახელმწიფო განაგებს.

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემა საქართველოში მთლიანად არ გამქრალა. ამგვარმა სისტემამ შეწყვიტა ფუნქციონირება საერთო-ეროვნულ დონეზე, მაგრამ აგრძელებდა არსებობას (თუმცა ფრიად შესუსტებული სახით) იმ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში, რომლებიც ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოიქმნებ. ყველა ეს „სახელმწიფო“ უცხო ძალების გავლენის სფეროს წარმოადგენდა (იჩანის, თურქეთის), მაგრამ მათ გააჩნდათ ისეთი სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, როგორიც იყო სახელმწიფო ხელისუფლება (აღგილობრივი დინასტიები), აღგილობრივი სა-სამართლო სისტემა, შეიძრალებული ძალები, ფულის მოჭრის უფლება, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნულ სიმბოლიკაზე. მოსახლეობა ემორჩილებოდა ადგილობრივ კანონებს და აღამინისტრაციას, რომლებიც შეიძლებოდა ყოველთვის მისაღები არ ყოფილიყო მისთვის, მაგრამ გასაგები კი იყო. ერთი სიტყვით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, ავად-თუ კარგად, ფუნქციონირებდნენ, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მოსახლეობის მენტალიტეტზე.

1801 წლის ანგქისის უმშიმეს შედეგს სწორედ ამგვარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაშთების მოშლა წარმოადგენდა. შეწყდა მმართველი დინასტიის პოლიტიკური როლი, საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო უცხო სახელმწიფოს კანონთა მოქმედება, რომელთა უმრავლესობა ხალხისათვის აბსოლუტურად გაუქებარი იყო. ადგილობრივი აღმინისტრაცია, რომელსაც ასე თუ ისე, შეეძლო გაეგო მოქალაქეთა სატკივარი, შეიცვალა აღმინისტრაციით, რომელსაც არც ადგილობრივი სპეციფიკა ესმოდა და არც მოსახლეობის პრობლემები. გაუქმდა ეროვნული სიმბოლიკა (რაც ერთ თვითცნობიერების განსაზღვრის ერთ-ერთი ფაქტორია). ამ უბედურებას ზედ მეორეც დაერთო. საქართველო ჩართული იქნა იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტრუქტურში, რომელშიაც (განსხვავებით ევროპულ სახელმწიფოთაგან) არ

სებობდა სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახიც კი. რუსეთის იმპერიაში მიქმედი კანონების უმრავლესობა „ზევიდან“ მოდიოდა და გაუგებარი იყო არა მხოლოდ „ტუშემცებისთვის“, არამედ „სამოღრუჟეცის“ ქვეშ-ვერდომთაოვისაც. მოსახლეობა იძულებული იყო დამორჩილებოდა იმ კანონებს, რომელთა მიღებაში არავითარ მონაწილეობა არ მოუღია (ამი-სათვის ხომ აუცილებელია, რომ კანონებს საჭაროდ იღებდეს მოსახ-ლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო). რეპრესიული აპარატის მთელი მცდელობების მიუხედავად, მოსახლეობის ერთი ნა-წილი ახერხებდა გვერდი აევლო მოქმედი კანონმდებლობისათვის. ამ პროცესს ინტეგრირი ხსაიათი ჰქონდა, ხოლო იმპერიის პერიფერიულში - მასიური (აღსანიშნავია, რომ მეტროპოლის მიერ დანიშნული რუსი ჩინოვნიკები პირადი გამდიდრების მიზნით თავადვე უწყობდნენ ხელს იმპერიის მიერ მიღებული კანონების დარღვევას).

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მოშლამ, რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახების არარსებობამ ქართვე-ლებში თავისებური მენტალიტეტი ჩამოაყალიბა და თვითიდენტიფიკა-ციის ერთადერთ საშუალებად წარსულზე მიმართება დაგვიტოვა („ოდეს-ლაც ღილი ყოფილა საქართველოს“ ტიბისა); ამასთან, წარსულისადმი ასეთ დამოკიდებულებას ჩასაკირველია არ შეეძლო თანადროული რე-ალიების გადაწყეტა, რეალიებისა, რომელთა სპეციფიკას სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახების სრული უქონლობა და შესაბამისად, სრული სოციალური დაუცველობა განსაზღვრავდა. ეს ვითარება თავდაპირვე-ლად ჩვენმა პოეტმა - რომანტიკოსებმა გაიცნობიერეს (იხ. მაგ.: „თა-მარ მეფის სახე ბეთანის ეკლესიში“, „იარალი“ და სხვ.). შემდგომ ამისა გამჭრალ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ადგილს სა-ზოგადოების მოწინავე წარმომდაგენერლთა შეგნებაში ერზაც-სახელმწი-ფოებრიობა, თბილისური, ძველებულ-დარღიმანდული მოტივები იყავე-ბენ (ამ მიმართებით ისინი საზოგადოება „თბილისელის“ შორეულ წინაპრებად შეიძლება ჩაითვალონ), რომელიც შემდგომ ასევე ბუნებ-რიგად გადადიან რუსის იმპერატორის მიმართ „ვერნოპოდდანიჩესკი“ „პოკლონებში“<sup>1</sup> (შდრ. ორბელიანის დასახლებულ მემკვიდრეთა პრაქ-ტიკას). ყოველივე ეს ქართულ მენტალიტეტში უცნაურად თანსდევს „სხვა საქართველო სად არის“ -ის იდეალს, რომლის ავტორიც უკვე

<sup>1</sup> იხ. რუსეთის იმპერატორისადმი მიძღვნილი სტრიქონები „სადღეგრძელოდან“: „ხელმწიფებ ჩვენო, ძლიერო ბრძენო, ზიკოლოზ დიდო სულგრძელობით! მხე-დარნი შენნი, ერთგულნი, მხენი, ვჰსვამთ შენს სადღეგრძელოს მოწიწებითა“. საინტერესოა, რომ ეს სტროფი შეტანილი არ არის „სადღეგრძელოს“ სასკო-ლო გამოცემებში.

ეროვნული მოძრაობის იმ წარმომადგენელთა წინამორბედად გვევლინება, რომელიც საქართველოს ხსნას ჩაით, ციტრუსებით, კურორტებითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით აპირებდნენ.

ასეთი მენტალიტეტი მარტოოდენ ქართველთა კუთვნილება როდია. იგი დამახასიათებელია ყოველი ერისათვის, რომელსაც განვითარებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიცია გააჩნდა მაგრამ შემდეგ, რაღაც მზეზთა გამო, დაჲკარგა ეს ტრადიცია. მაგალითისათვის საქართველოსაგან სრულიად განსხვავებული ქვეყანა - ინდონეზია შეიძლება ავიღოთ, რომელიც 20-ე საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიის კოლონიას წარმოადგნდა. ინდონეზიური ნაციონალიზმის მამამთავარი სუკარნო 20-იანი წლების ერთ-ერთ მიტინგზე ამბობდა: „ჩვენი მიწა ისე მდიდარია, რომ მასში ჭობიც რომ ჩაარჭო, ხე ამოვა. მაგრამ ჩვენი ხალხი ლატაკია... და იცით რატომ? იმიტომ რომ კოლონიზატორებს არ სურთ ჩადონ ფული იმ მიწაში, რომლიდანაც სიმდიდრეს იღებდნ. თუმცა ისინი მაინც ანაყოფიერებენ ამ მიწას! რით?! შიმშილით დახოცილთა გვამებით!“<sup>1</sup>

მაგრამ მიწის ზემოსხერნებული „კურთხეულობის“ იდეა, მისი კლასიკური ფორმით, უპირატესად აგრარულ საზოგადოებაში შეიძლებოდა ყოფილიყო გაბატონებული. ინდუსტრიის განვითარებამ, რაც გამოიხატებოდა სატრანსპორტო კომუნიკაციების მნიშვნელობის განუზომლად ზრდაში, თანდათანობით მოახდინა ამ იდეის ტრანსფორმირება გეოპოლიტიკური მდებარეობის კურთხეულობის იდეად. ჩასაკვირველია, მიწის „კურთხეულობა“ შენარჩუნებულია (წინააღმდეგ შემთხვევაში იმის მტკიცება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩაი და ციტრუსები შეგვინახავენ); მეტიც, მას ემატება ინდუსტრიული განვითარებისათვის საჭირო ნედლეულით კურთხეულობის იდეა (გაუთავებელი ლაპარაკი უმდიდრეს წიაღისეულ სიმდიდრეებზე, რომელიც რუსეთი საქართველოს წიაღში მოიპოვება), მაგრამ გეოპოლიტიკური კურთხეულობის ლაიტმორტივი მაინც წამყვანი ჩეხება (კიდევ ერთი „კურთხეულობა“ გამოიხატება ოფიციოზის და მასმდინარეობის გაუთავებლ მტკიცებებში, „საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის“ შესახებ). ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კურთხეულობის იდეა დღევანდელ საქართველოს უშუალოდ 19-ე საუკუნიდან კი არა, არამედ ტოტალიტარულ-კომუნისტური იდეოლოგიით გაშუალებულად ერგო.

ამ ჩეევიმა კუთრხეულობის იდეას მეტად თავისებური სახე მისცა. მარქსიზმის თანახმად კურთხეული შეიძლება იყოს არა მხოლოდ პიროვნება, ერი ან მიწა, არამედ მთელი სოციალური კლასი - პრო-

<sup>1</sup> იხ. მ. კაპიცა, ნ. მალეტინი. „სუკარნო“. მოსკოვი, 1980 გვ. 25.

ლეტარიატი. პროლეტარიატის კურთხეული მისის განხორციელება ხდება დედამიწის ერთ მექანიზმზე და მოხდება მთელი მსოფლიოს მაშტაბით. მაგრამ ამ ერთ მექანიზმზე სხვადასხვა ერები ცხოვრიბდნენ (რომელთა უმრავლესობას არც კი გაეგონა ისეთი ეგზოტიკური არსების შესახებ, რომორიცაა პროლეტარიატი). ამიტომ საერთო, პროლეტარული გამორჩეულობის იდეასთან ერთად კომუნისტები, მართლია არაოფიციალურად, მაგრამ მაინც ინარჩუნებდნენ ეროვნული კურთხეულობის იდეას (რასაკვირველია, უაღრესად მახინჯი ფორმით და მხოლოდ მათთვის საჭირო ფარგლებში). რუსების მიმართ ეს ვლინდებოდა რუსული პროლეტარიატის განსაკუთრებული მისის მტკიცებში, ხოლო „ტუშებიცების“ მიმართ იმ ფარული სიამაყის დანერგვში, რომლის თანახმადაც „რუსები იდიოტები არიან“ და ჩვენ შეიძლება რუსების დაპყრობილნი ვართ, მაგრამ მაინც მათზე მაღლა ვდგავართ. ეს იდეოლოგია განსაკუთრებით იყო გავრცელებული კავკასიის ხალხებში, რომლებსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორიული ტრადიცია გააჩნდათ.

ამასთან კომუნისტურ-ტოტალიტარულმა რევიზმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ლიკვიდაციის პრაქტიკა თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა, ხოლო არასამოქალაქო საზოგადოება ანტისაზოგადოებრივად აქცია (სწორედ ამგვარი ანტისამოქალაქო საზოგადოების სურათია დახატული ჯორჯ არუელის ანტიურობაში „1984“). ტოტალიტარულ-კომუნისტური სისტემა ოსტატურად ახერხებდა ყოველივე ამის შენიღბას „იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების“ მეშვეობით. განსხვავებით რუსეთის იმპერიისაგან, რომლის პირობებშიც არარესი ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების არარსებობა თვალშისაც იყო, კომუნისტურმა მმართველობამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ერზაცის ილუზის შექმნა შეძლო. ხალხი, მოკლებული ყოველგვარ ნამდვილ საზოგადოებრივ სტრუქტურებს, მცხოვრები არასამართლებრივ სახელმწიფოში, ე. ი. სრულიად დამოკიდებული ტოტალიტარული სისტემის ყველა რანგის ჩინოგნიერა თვითნებობაზე, ამ ხალხს სიამაყის გრძნობას უნერგავდნენ „ეროვნული კულტურის“ თუ „ეროვნული სპორტის“ მორიგ გამარჯვებათა გამო (სხვათა შორის, ჩვენს ზემოხსენებულ „ინტელექტუალურ პოტენციალს“ სწორედ ეს გამარჯვებულნი და გამარჯვებათა პროპაგანდისტები შეადგენდნენ, რომელთა უმრავლესობამ კარგად დაამტკიცა საკუთარი უნარ-შესაძლებლობანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში)...

80-იანი წლების დასასრულს, როდესაც ტოტალიტარულ-კომუნისტური სისტემის კრაში უეჭველი გახდა, დაიწყო დისუსიები საქართველოს მომავლის შესახებ: ბუნებრივი იყო, რომ აღწერილ ვითარებაში

ჩამოყალიბებულ ადამიანთა (თუგინდ „ინტელექტუალური პოტენციალის“ მქონეთა) მენტალიტეტს უჭირდა იმის გააჩჩება, რომ ადამიანი აქტიური სუბიექტია, რომელმაც თავისი მოქმედებით უნდა შექმნას საკუთარი საცხოვრისი, აითვისოს მისი მიწის თუ წიაღისულის ნაყოფიერება და გამოიყენოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. ამგვარი მიღვოძა თავისუფალ აზროვნებას საჭიროებს, „ინტელექტუალური პოტენციალის“ მფლობელებს კი ეს არ გააჩნდათ. მათვის უფრო ადვილი იყო იმის წარმოდგენა, რომ კურთხეულ მიწასა და კურთხეულ მდებარეობას კურთხეული ლიდერი აამოქმდებდა (არა აქვს მნიშვნელობა ეს ლიდერი მესიად გაიზირებოდა თუ მხოლოდ დიდ პოლიტიკოსად). ამგვარი აზროვნების შედეგები სახეზეა და მათი აქ ჩამოთვლის არავითარი საჭიროება არაა.

კრიზისიდან გამოსვლის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: შეძლების-დაგვარად მალე უნდა განვთავისუფლდეთ ამგვარი აზროვნებისაგან. საჟართველოს მხოლოდ მაშინ ეშველება, როდესაც ხალხში სამოქალაქო და სახელმწიფო მენტალიტეტი განვდება (არადა ჩვენი პოლიტიკოსები და მასიაბრივი ინფორმაციის ოფიციალური არსების წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ, რომ ასეთი საზოგადოება და მენტალიტეტი არ ჩამოყალიბდეს). ჸართველები, თუ შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივ ერად უნდა ჩამოვყალიბდეთ. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ ერთ დამით დავიძინებთ და სხვა ერად გამოვილიყდებთ. ჩვენი ჸართველობის კულტურული და გენეტიკური პარამეტრები უცვლელი დარჩება, უნდა შეიცვალოს მხოლოდ ჩვენი მიმართება სამყაროსადმი, შეიცვალოს ჩვენი საკრალური დამოკიდებულება ტერიტორიული მდებარეობისადმი და განვდეს იმის გაფება, რომ ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობას მხოლოდ მაშინ გამოიყენებ, როდესაც ამ სივრცეს ეფექტური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით მოიცავ და სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით ჭეშმარიტ საცხოვრისად აქცევს.

ჸართველებს არაერთხელ დაგვიკარგია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მაგრამ არაერთგზის შეგვემნია იგი. შექმნის ყოველი აქტის შემდეგ ჸართველები სხვა ერად ვიქცეოდით ვიდრე მანამდე ვიყვავით (სხვაობა ვიქეორებთ, ეხება არა კულტურას ან ენას, არამედ ერის დამოკიდებულებას თავისი საცხოვრისის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისადმი). ეს აზრი ერთი შეხედვით პარადოქსად შეიძლება ეღერდეს, მაგრამ იგი ჩვენს მიერ არ არის პირველად გამოთქმული. იგი ცნობილ ჸართველ ისტორიკოსს, ნიკო ბერძენიშვილს ეუფორის და ჩვენი პოზიციის საილუსტრაციოდ შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ მისი შეხედულებები აღნიშნულ საკითხე.

თავის წიგნში „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიი-

სავის“ ნიკო ბერძენიშვილი იმის გარკვევასაც ცდილობს, თუ რა იგულისხმებოდა (და უნდა ვიგულისხმოთ) სიტყვა საქართველოს შესაბამის რეალობაში. პატიოსანი ობიგატელი შეიძლება კითხვის ასეთი დაყენებისას აღშფოთდეს კიდევ: განა თავისთავად ცხადი არ არის რას ნიშნავს საქართველო? (მაგ. „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო... სხვა საქართველო სად არის... და ა. შ.). თუმცა უფრო სიღრმისეული დაკვირვების შემდეგ მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვა დასმის უფლებას მაინც ინარჩუნებს.

ცხადზე ცხადია - საქართველო გარკვეული ტერიტორიაა. მაგრამ როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს: „ისტორიული ტერიტორია“, „ისტორიული ქვეყნა“ - ეს ფიზიურ-გეოგრაფიული ტერიტორია, ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვეყნა კი არ არის, არამედ ადამიანთა საზოგადოების შემოქმედების არე (ხოლო შემდგომ, ამ შემოქმედების ნაკვალევი) ამა თუ იმ ფაზიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, ქვეყნაზე... ყოველი საზოგადოება რეალურად გრძნობს თავისი დროის ქვეყნას (ისტორიულ ტერიტორიას) და ამ საზოგადოების არსებობისათვის ეს ქვეყნა სრულიად აუცილებელია, ეს ქვეყნა ამ საზოგადოების ორგანული ნაწილია. ყოველ საზოგადოებას თავისი შესაფერისი ქვეყნა ახასიათებს“!<sup>1</sup>

ერთ, საზოგადოება ისე როდი მყოფობს გარკვეულ ტერიტორიაზე, როგორც ვთქვათ, ჰქია დგას მაგიდაზე. ეს ტერიტორია მხოლოდ მაშინაა ერთს სამშობლო, თუ იგი ათვისებული და მოცულია სახელმწიფოებრივი, სოციალური, კულტურული და სხვა სახის სტრუქტურებით. ამიტომ ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „ქვეყნა“ ამა თუ იმ საზოგადოების საარსებო მიწა-წყალია. მაგრამ „ქვეყნა“ შემვეღილი გეოგრაფიული სივრცე („უდაბნო“, „უშენი“) კი არაა, არამედ საზოგადოების მიერ ათვისებული მთავარი საწარმოო საშუალება. ამდენად „ქვეყნა“ თვით საზოგადოების შენამოქმედია. ამიტომ თითოეულ საზოგადოებას, როგორც აღვნიშნეთ, თავისი შესაფერისი „ქვეყნა“ გააჩნია. „ქვეყნების“ ეს სხვადასხვაობა გეოგრაფიული სივრცის სხვადასხვაობამიც ვლინდება, თუმცა ეს ნიშანი გარდაუვალი არაა. ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სივრცეშე, როგორც აღვნიშნეთ, არაერთი მაგალითი მოიპოვება, გვარიც არსებულა და ტომიც, ხალხიც და ერიც, ასე რომ „ქვეყნების“ ურთიერთისაგან განმასხვავებელი უმთავრესი ნიშანი ამ ტერიტორიის ათვისების ხასიათშია. სამამასახლისო, სახევისუფლო, სამოქალაქო, საცხისთავო, საერისთავო, სამეფო - ყველა ესენი სხვადასხვა ღროსა და ვითარებაში წარმოქმნილი, უთრიერთისაგან განსხვა-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბილისი, მეცნიერება, 1990, გვ. II

ვებული ხარისხის ქვეყნებია“.<sup>1</sup>

ამრიგად ქვეყნის „ქვეყნობას“ ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ან თავისებურებანი კი არ განსტოვრავს, არამედ ის, თუ ჩოგორ არის ათვისებული, ე. ი. რა სტრუქტურებით არის მოცული ეს ქვეყანა. ამ თვალსაზრისით არ არსებობს უწყვეტი განვითარება საქართვლეოს ტე-რიტორიაზე. 1801 წლის ანექსიაც იმიტომ წარმოადგენდა გარკვეულ წყვეტს საქართველოს ისტორიაში, რომ ეს მიწა-წყალი სრულიად სხვა სტრუქტურებმა მოიცვეს (სხვა პოლიტიკურმა, სამხედრო, ეკონომიკურ-მა, კულტურულმა, სოციალურმა).

ამ მტკიცებას უფრო მეტი ძალა აქვს ტოტალიტარიზმის ხანის საქართველოს მიმართ. საზოგადოების ორგანიზაციის გარკვეულ ტაბს (ფაშისტურს, კომუნისტურს), „ტოტალიტარულს“ იმიტომ უწოდებენ, რომ ამ ტიპისას ტოტალიტარული სტრუქტურები მთლიანად მსჭვალა-ვენ და მოიცავენ საზოგადოების თუ ინდივიდის არსებობის ყველა დონეს. ცხადია, ეს სტრუქტურები მთლიანად მოიცავნენ საქართველოს ტერიტორიას. ამ აზრით ჩვენს ისტორიაში სრულ წყვეტს ჰქონდა აღგილი, ვინაიდან ტოტალიტარული სტრუქტურებით მოცულ ტერიტორიას არაფერო შეიძლებოდა ჰქონდა საერთო იგივე ტერიტორიის ათვისების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სახესთან (ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის სტრუქტურებს), ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე საერთო ჩვენი ტერიტორიის ათვისების იმ ფსევდო-სახელმწიფოებრივ სახეს, რომელ-საც „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესუბლიკა“ ეწოდებოდა და იმავე ტერიტორიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ათვისებას შორის. ეს ვერ გაუგიათ (ან არ სურთ გაიგონ) ტოტალიტარიზმის ხანიდან მოყოლილ პოლიტიკოსებს, რომელთაც სურთ ჩვენს ტერიტორიაზე ერთდროულად არსებობდეს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემაც და ტოტალიტარიზმიდან გადმოყოლილი ელემენტებიც. მაგრამ შეუძლებელია სანახევროდ იყო ფეხმიმე. ეს ტერიტორია რომელსაც საქართველო ჰქვია, ან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით იქნება ათვისებული (რაც ტოტალიტარიზმის სრულ დემონტაჟს გულისხმობს) ან საერთოდ შეწყვიტავს არსებობას, როგორც ერთიანი მთელი...

მაგრამ ერის საცხოვრისის ახლებული ათვისება (ხაზს ვუსვავთ: არა ასალი, არამედ ახლებური) ფაქტიურად ამ ერის ფერისცვალებას გულისხმობს. ერი, რომელსაც ახლებური მიმართება აქვს თავის სამშობლოსთან, ტრანსფორმირებული ერია.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 20-21

ზემოთქმულის შემდეგ პასუხი დაგვრჩა გასაცემი კიდევ ერთ კითხვაზე - რა ზეგავლენას ახდენდა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა ქართული სახელმწიფო ორგანიზაციის ბეჭინისა და მდებარეობა იქნება მართალია იმათი თვალსაზრისი, ვინც ამტკიცებს, ჩვენ იმდენად მნიშვნელოვანი მდებარეობა გვაჭირავს, რომ ამ რეგიონში დომინირების მსურველი ყოველი დღიდი სახელმწიფოს მეთაური დღე-და-დამ იმის ფიქრში იქნება, ასეთი მდებარეობის მქონე ქართველებს როგორმე სახელმწიფო ავუშენოვ! თუმცა ჩვენი ისტორია სრულიად საპირისპიროს ადასტურებს: საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ეფექტიანი რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდებოდა, თუ ხორციელდებოდა ეფექტიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა. საქართველოს მთელი ისტორია ადასტურებს, რომ გეოპოლიტიკური ვითარების რაგინდარა სასიკეთო შეცვლას თავისთავად აროდეს გამოუწვევია საქართველოს სახელმწიფოებრიობის სასიკეთო მიმართულებით წარმართვა.<sup>1</sup>

ამ მტკიცების კარგ ილუსტრაციას წარმარება, როდესაც პირველად მოხდა ქართული სახელმწიფოს შექმნა, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა გაანალექრა სპარსეთის სახელმწიფო, რომის შემადგენლობაშიც იყო ინკორპორირებული ქართველი ტომების უმრავლესობა. თუ სახერძნეთ-სპარსეთის მანამდელმა დაპირისპირებამ იმდროინდელი გეოპოლიტიკის ცენტრი დასავლეთ მცირე აზიაში გადაიტანა, ალექსანდრეს ექსპანსიამ მსოფლიო გეოპოლიტიკური აქტივობის ცენტრად აღმოსავლეთი, სახელდობრ მესოპოტამიის რეგიონი აქცია. ცნობილი რუსი ორიენტალისტის, მ. დიაკონოვის შენიშვნით: „ალექსანდრეს აზრით მესოპოტამია ახალი სახელმწიფოს ცენტრი უნდა გამხდარიყო, ხოლო ბაბილონი მისი დედაქალაქი. ამ მიმართებით ის მართალი იყო. მესოპოტამია, ახლო აღმოსავლეთის ქველი კულტურული ცენტრი, რომელიც საქარავნო გზებით დაკავშირებული იყო ირანთან, კავკასიასთან და ხმელთაშუაზღვისპირეთთან, ხოლო საწყლოსნო გზებით - სპარსეთის ყურესთან, არაბეთთან და ინდოეთის ოკეანესთან, ყველა დღიდი ახლოაღმოსავლური სახელმწიფოს ცენტრად დარჩა თვით შეასუკუნეებამდეც კი“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მაგალითისათვის: გეოპოლიტიკური ვითარების საქართველოსთვის ხელსაყრელად შეცვლამ, რაც გმირისატა ჭვარისუნილი ლაშქრობების დაწყებით, დიახაც შეუწყო ხელი დავით აღმშენებლის საქმიანობას, მიმართულს ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ, მაგრამ თავისთავად ეს ცვლილება ალბათ ვერავითარ მნიშვნელოვანი შიდასახელმწიფოებრივი რეფორმები არ გაეტარებინა.

<sup>2</sup> ისტორია დრევნებო მირა, ტ. II, ს. 300, მთსკვა, 1989

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის გააფ-  
თრებული ბრძოლა ატყდა მემკვიდრეობიდან მაქსიმალური წილის მი-  
სალებად. ხანგრძლივი ბრძოლების და ინტრიგების შედევად მესოპოტა-  
მიაზე კონტროლი დაამყარა ალექსანდრეს ერთ-ერთმა მთავარსარდალ-  
მა, სელევკმა. სელევკმა და მისმა მემკვიდრეებმა სახელმწიფო განავ-  
რცეს მცირე აზიდან შუა აზიამდე. მათვე მიიღოთ სომხეთის დიდი  
ნაწილი. მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით ექვსანსი-  
ისას ისინი შეეგანენ ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ ჩამოყალიბე-  
ბულ მეორე სახელმწიფოს - პონტოს.

პონტოცა და სელევკიდების სამეფოც ცდილობდნენ კონტროლის  
დამყარებას მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე. ამგვარი მცდე-  
ლობისას მათი ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა კავკასიაშიც.  
როგორც ვარაუდობენ, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბრძოლა  
ბერძნების მიერ ხელდასხმულ აზოსა და სელევკიდების მოკავშირე ფარ-  
ნავაზს შორის, სწორედ ამ მეტოქეობის გამოძახილს უნდა წარმოად-  
გენდეს.

ამ ბრძოლაში, როგორც ვიცით, ფარნავაზმა გაიმარჯვა და ლეონ-  
ტი მროველის სიტყვებით: „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერ-  
თა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“.<sup>1</sup>  
მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ფარნავაზმა სახელმწიფო ერგები  
სტრუქტურების შექმნაც დაწყო. ლეონტი ასე აღწერს ამ პროცესს:  
ფარნავაზმა „განამრავლა ყოველი მხედარნი ქართლოსიანნი“ ე. ი. შექ-  
მნა ისეთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა, როგორიც არმია. შემდეგ  
მან: „განაწესნა ერისთავი რვანი და სპასეტი“ ე. ი. სახელმწიფო  
აღმინისტრაციულ ერთეულებად დაჰყო, მიუჩნდა მათ ხელმძღვანელები.  
მეფის შემდეგ უმაღლეს ხელისუფლად დაწესდა სპასეტი: „ესე სპას-  
პეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა და მთავრობით განაგებდა ყო-  
ველთა ერისთავთა ზედა“. ფარნავაზმა უფრო დაბალი რანგის ჩინოვ-  
ნიკური აპარატიც შექმნა: „ხოლო ამათ ერისთავთა ქუქშე, ადგილთა  
და ადგილთა განაჩინა სპასალარნი და ათასისთავენი“. ამ უკანასკნე-  
ლებს, როგორც ჩანს, არა მხოლოდ სამხედრო ფუნქცია ევალებოდათ,  
არამედ ფინანსურ-ეკონომიკური, სახელდობრ გადასახადების აკრეფა:  
„და მათ (სპასეტებისაგან და ათასისთავებისაგან კ. კ.) ყოველთაგან  
მოვიდოდა ხარკი სამუშაო და საერისთავო“ (საყურადღებოა, რომ ხარ-  
კის სისტემა დიფერენცირებულია და ცენტრალური ხელისუფლების, ე.  
ი. სამეუფო ხარკი განსხვავდება ადგილობრვით ხელისუფლების ე. ი.  
საერისთაო ხარკისაგან. ასეთი საგადასახადო სისტემის დამკვიდრება სა-

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ.I, გვ. 24

ქართველოში დღეს ვერა და ვერ მოხერხდა).ამის შემდეგ ფარნავაზმა შექმნა არმაზის კერპი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბრიობის სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენდა (გავიხსენოთ მარდუქის კერპის მნიშვნელობა ბაბილონში) მართალია, ეს ღონისძიებანი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე მიმდინარეობდა: „ვერლარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, ჩამეთუ უცალო იყვნეს ბერძენი ბრძოლისაგან ჰრომთასა“.<sup>1</sup>

მაგრამ ცხადია, რომ მისი რეფორმების გარეშე ამ ვითარების გამოყენება შეუძლებელი გახდებოდა. ფარნავაზის რომ სახელმწიფო სტრუქტურებით არ მოეცა საქართველოს ტერიტორია (ჯარით, აღმინისტრაციული დაყოფით, გადასახადების სისტემით, სახელმწიფო კერპით, რომელიც მოსახლეობის მენტალიტეტში ამ სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობას აფიქსირებდა და ა. შ.) იგი ვერ მოახერხებდა ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის სათანადოდ გამოყენებას, ხოლო ეს მდებარეობა რომ კარგად იქნა გამოყენებული, ლეონტის შემდეგი სიტყვები ადასტურებენ: „ოცდშვილისა წლისა მეფე იქმნა, და სამოცდაშური წელ მეფობდა ნებიერ. და მსახურობდა იგი ანტიოქიეს (ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ფარნავაზმა ისეთი სტრატეგიული მოკავშირის მონახვაც შეძლო, რომელსაც ჩვენთვის პირი არ გაუტეხია - კ. კ.) მეფესა ასურასტანისასა. და ყოველი ღლენი მისნი, ჩაი დაგდა, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი“.<sup>2</sup>

სხვათა შორის, ლეონტისთან ისიც კი არის დაფიქსირებული, რომ პირველმა ქართულმა სახელმწიფომ თავისი სტრუქტურებით ვერ მოიცვა ქართველთა მთელი საცხოვრისი. იგი წერს: „ხოლო ეგრის წყლის ჭუემოთ დარჩა ბერძენთა, ჩამეთუ მკვიდრთა მის აღგიღლსათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“.<sup>3</sup> თუმცა ამგარი ვითარება დიღხანს არ გაგრძელებულა. საქართველომ ეფექტიანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების არსებობის პირობებში სწრაფად მოახერხა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება.

გასაკვირი არაა, რომ ყოველივე ამის შემდეგ „... ყოველსა ქართლსა ზედა... იტყოდეს ამას ყოველნი: „ვჰმადლობდეთ სუესა ჩვენსა, ჩამეთუ მოგვიცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“.

თუ ფარნავაზისდროინდელი საქართველოს და ჩვენი ქვეყნის დღეგანდელ მდგომარეობას შევადარებთ, შედარება 20-ე საუკუნის ქართ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 25

<sup>2</sup> იქვე, გვ. 25

<sup>3</sup> იქვე, გვ. 24

ველ პოლიტიკისთა სასარგებლოდ არ მეტყველებს. ფარნავაზის ღროს ქვეყანას ყავდა ჯარი, რომელიც ახერხებდა მის წინაშე მდგომი ამო-ცანების გადაწყვეტის, დღევანდელ საქართველოს - არა. ფარნავაზის ღროს ქვეყანას გააჩნდა აღეჭვატური აღმინისტრაციული დაყოფა, დღე-ვანდელს - არა. ფარნავაზის ღროს ხერხდებოდა გადასახადების აქ-რეფა (თუგინდ ნატურით), დღეს - არა. ფარნავაზის ღროს სახელმ-წიფოებრივ სიმბოლოს რეალური ქმედითობა ჰქონდა, დღევანდელ სიმ-ბოლიკას - არა. ფარნავაზმა ეფექტურად გამოიყენა წინააღმდეგობა მეზობელ სახელმწიფოებს შორის, ჩვენ - ვერა. მის ღროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა კონიუნქტურული კი არა, თანამიმდევრული იყო და არ გადაუხვევია სელევკიდებთან სტრატეგიული კავშირიდან (თა-ნამედროვე ტერმინოლოგიით), ჩვენ - ყოველ წუთას ვიცვლით სტრა-ტეგიულ მოკავშირებს. ფარნავაზმა ეროვნული კულტურის ხსნის ყო-ველგვარი კომიტეტების გარეშე მოახერხა ქართული მწიგნობრობის შექმნა (რაც არ უნდა იგულისხმებოდეს ამ ტერმინში) და მიაღწია იმას, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთადერთი ენა იჩრახებო-და (მანამდელი შეიძის ნაცვლად).

ეს ვითარება დღევანდელ ქართველთათვის ერთდროულად კური-ობულიცაა, რამდენადმე კომიკურიც და ტრაგიზმით აღსავსეც. თუმცა დღევანდელ დღეთა დამცველნი (ასეთებს კი ყოველთვის „მედროვე-ნი“ ეწოდებოდათ ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) იმას იტყვიან, რომ ფარნავაზის შესახებ მოთხრობა მითია, ლეონტი მროველის მიერ X თუ XI საუკუნეში შეთხვული. მაგრამ ასეც რომ იყოს, არაფერი იცვლება. ლეონტი იმ ხანში ცხოვ-რობდა და მოღვაწეობდა, როდესაც მეორე ქართული სახელმწიფო იქმნებოდა. ფარნავაზზე მოთხრობა რომც შეეთხა, ერთი რამ მაინც უქმდელი რჩება: ლეონტის ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორი უნდა იყოს და რა სახის სტრუქტურებს უნდა ემყარებოდეს ეფექტუ-რად მოქმედი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემა. მან უწყოდა, რომ ამგვარ სისტემას მოეთხოვბა არმია და აღმინისტრაცია, გადასახადე-ბის აკრეფა და ეროვნული სიმბოლიკა, თანამდევრული საგარეო პო-ლიტიკა და ერთგული მოკავშირები. XX საუკუნის მაღალი ინტე-ლექტუალური პოტენციალის მქონე ქართველთათვის ვერაფერი და-მამშვიდებელი ფაქტია, რომ ის, თუ როგორ მოეწყოს და იმართოს საქართველო, ჩვენმა წინაპრებმა ჩვენს ერამდე III საუკუნეში კი არა (ანუ ფარნავაზის ხანში კი არა) არამედ მხოლოდ X-XI საუკუნეებ-ში ისწავლეს!

## ჩვენ და დასაპლატი ანუ „ჩვენისთანა ბეჭიერი პილვა არმ საღვა მომ...“

თუმცა ჩვენი გეოპოლიტიკური ფეტიშიზმის დამცველნი უკანასკნელ არგუმენტს წამოაყანებენ და იტყვიან, რომ შეუძლებელია დღევა დასავლეთსა და სელევკიდების სახელმწიფოს ეთრიდაიმავე საზომით მიკუდგეთ. რომ „გომზ“ სელევკიდებს (რომლებმაც მართალია უწყოდნენ ჩვენი მდებარეობის ფასი), თავში აზრად არ მოსვლიათ ჩვენს მაგივრად აქშენებინათ ჩვენთვისვე უცილებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, მაგრამ დღევანდელი დასავლეთი ხომ ასე არ მოიქცევაო! ჩვენ ხომ იმისთვის მნიშვნელობა გვაქვს, დასავლეთი პირდაპირ ჩაგვიხუტებს გულში და ჩვენს მაგივრად გააკეთებს იმას, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინაო. ისლა იყო დარჩენილი, ისეთი პირი გამოვენახა, ვინც საქმეს გააწყობ-გააჩალიერებდა და დასავლეთს აღიარებინებდა - საქართველო ჩვენი ორგანული ნაწილიაო. ამის შემდეგ ხომ ინვესტიცია და ფორმირანი კამფეტები არ მოგვაკლდებოდა!

ჯერ იყო და გამსახურდიას მოდგნენ, რატომ ვერ ახერხებ ამასო. ახლაა და მის ანტაგონისტ შევარდნაქესაც იგივე უუბნებიან, რატომ ვერ დაარწმუნე დასავლეთი, ჩვენთვის ეპატრონაო. თუმცა ამ დროს თავში არავის მოსდის კითხვა - კი მაგრამ, რა გაგვაჩნია ან რას ვიქმთ ისეთს, რის გამოც დასავლეთმა უნდა თავის ნაწილად გვცნოს და გვიპატრონოს? უფრო ზუსტად, კითხვა კი მოსდით, მაგრამ მათზე იმგვარი მზა და ტრაფარეტული პასუხები მოეპოვებათ, რომ საკითხის უფრო გაღრმავება მერქელობადაც კი მიაჩნიათ. თუ განვეყენებით ამ კითხვაზე პასუხის ოდიოზურ დაკავშირებას ჩვენს მდებარებასთან, ეს პასუხია: საქართველოს დასავლეთმა უნდა უპატრონოს იმიტომ, რომ ჩვენც თავად დასავლეთის ნაწილი ვართ (ძველი ცნობილი „რაც კარგები ვართ...“-ის გეოპოლიტიკური ინტერპრეტაცია), იმიტომ რომ დასავლური ორიენტაციის ხალხი ვართ, სხვანაირად ვეფხისტყაოსანს როგორ დავწერდითო და ა. შ. და ა. შ. ამას ისეთი დაჯერებულობით ამბობენ, თითქოს ბავშვობიდნ სულ ის ეკვლიოთ, რა არის დასავლეთი.

სიტყვა „დასავლეთი“ არ გულისხმობს ოდენ გეოგრაფიულ რეგიონს. ავტსრალია, ახალი ზელანდია და იაპონია ისეთივე „დასავლეთია“, როგორც იტალია ან კანადა. „დასავლეთი“ არც „ფირმა“ მანქანების, ვიდეობარების და ა. შ. ტრაფობას ნიშნავს. ასე რომ იყოს, ქართველები ამერიკა-გერმანელებზე მეტი „დასავლეთი“ ვიქწებოდით. დასავლეთი არც რაღაც უწყვეტ კულტურულ მთლიანობასაც არ გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხერხდებოდა თანამედროვე ვი-

დეოკლიპები ბახის, ვაგნერის ან ბეთჰოვენის შემოქმედებიდან ამოჩრ-დილად წარმოგვედგინა. „დასავლეთი“ არც მხოლოდ მაღალგანვითარე-ბული ტექნოლოგიებია, ვინაიდან საკითხი, თუ რატომ გახდა დასავ-ლეთი ტექნოლოგიურად მოწინავე, თავად საჭიროებს ახსნას.

მაშ რა არის დასავლეთი? იქნებ ამ კითხვაზე პასუხი დაგვეხმა-როს ჩვენს უბედურებათა სათავის გარკვევაში?

დასავლეთი უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული სტრუქტურებისა და მენტალიტეტის მე-ტად სპეციფიკური ერთიანობაა. პოლიტიკურ სფეროში იყო დასავლე-თი ნიშნავს: ქვეყანა იმართებოდეს კანონების და არა ცალკეული პი-რების ხუშტურით. ამის განხორციელებისათვის დასავლეთში ერთმანე-თისაგან გამიჯნულია საქანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართ-ლო ხელისუფლება. საკანონმდებლო ხელისუფლებას შეადგენენ მოსახ-ლეობის მიერ საყოველთაო და სამართლიანი არჩევნების შედეგად არ-ჩეული წარმომადგენლები, რომელებიც იღებენ კანონებს, რომელთა თა-ნახმადაც იმართება ქვეყანა. ამ კანონების ცხოვრებაში გატარებას აღ-მასრულებელი ხელისუფლება უწევს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება თვალყურს ადგენებს კანონების ცხოვრებაში გატარების სიზუსტეს. პო-ლიტიკურ სფეროში იყო დასავლეთი ნიშნავს: საჯაროდ განიხილებო-დეს ყველა ის საკითხი, რომელიც მოსახლეობას აღელვებს, საღაც პო-ლიტიკური ლიდერები ვალდებული არიან საჯაროდ იმსჯელონ იმაზე, რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება ან საერთოდ დაანებონ თავი პოლიტიკას. იყო დასავლეთი პოლიტიკურ სფეროში ნიშნავს სა-მოქალაქო ხელისუფლების სრულ კონტროლს შეიარაღებულ ძალებზე, უშმიროების და წესრიგის დაცვის ორგანოებზე. ამ ორგანოთა ხელ-მძღვანელები, როგორც წესი, სამოქალაქო პირები არიან. ამასთან შე-იარაღებული ძალები თავისი უშუალო ფუნქციებით ისაზღვრებიან და არაფერი აქვთ საერთო ჩარჩობასთან, ბენზინით ვაჭრობასა და მით უფრო რეკეტთან. იყო დასავლეთი პოლიტიკურ თვალსაზრისით, ნიშ-ნავს, რომ პოლიტიკოსისთვის მთავარია არა რაიმე თანამდებობის მიღწევა და ნებისმიერი საშუალებებით მისი სიკვდილამდე შენარჩუნე-ბა, არმედ გარკვეული პროგრამის წარდგენით ამომრჩეველთაგან სა-თანადო მანდატის მიღება და ამ პროგრამის ცხოვრებაში გატარება, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში - ყოველგვარი ისტერიკის გა-რეშე გადადგომა.

იყო დასავლეთი სოციალური თვალსაზრისით ნიშნავს გქონდეს სა-მოქალაქო საზოგადოება. ეს გულისხმობს ყველა მოქალაქის თანასწო-რობას კანონის წინაშე, როდესაც გამორიცხულია, რომ ნემსის ქურდი სასტიკად ისჯებოდეს, ხოლო აქლემის ქურდი ეროვნულ გმირად ცხად-

დებოდეს. სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ კანონის ფარგლებში ინდივიდს არ უშლიან ხელს აკეთოს ის, რაც სურს. სამოქალაქო საზოგადოების როგორც სოციალური სტრუქტურის უმთავრესი ნიშანია ის, რომ მასში ღიდად სჭარბობს ე. წ. საშუალო კლასი, ანუ შეძლებულ (თუგინდ არამილიონერ) პირთა ფენა, რომელიც დაინტერესებულია სახელმწიფოში სტაბილური ვითარების შენარჩუნებით.

იყო დასავლეთი ეკონომიკური თვალსაზრისით ნიშნავს გაგარდნეს საბაზრო ეკონომიკა. ეს უკანასკნელი გულისხმობს მეურნეობრიობის ისეთ ტიპს, რომლის დროსაც სახელმწიფო მხოლოდ აუცილებელი ნიშვნის ჩარჩოებში ერთვება ეკონომიკის მართვის სფეროში დაკავებულ პირთა დანიშვნა-არდანიშვნაზე (შესაბამისად, სახელმწიფო ჩინოვნიკები ვეღლარ ახერხებენ ქრთამის აღებას სამუშაოებო თანამდებობის მაძიებელთაგან) ამგარა ეკონომიკში სახელმწიფო ცხოვრობს იმ შესაძლებლობების და თანხების ჩარჩოებში, რაც მას გააჩნია. ასეთი ეკონომიკა სოციალური დაცვის სათანადო მექანიზმებით ეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მაგრამ არამც და არამც არავის აძლევს სახელმწიფო ხაზინის გაძარცვის საშუალებას.

იყო დასავლეთი კულტურული თვალსაზრისით ნიშნავს მასობრივი ინფორმაციის თავისუფალი საშუალებების სისტემას, როდესაც ჟურნალისტითვის მთავარია მკითხველამდე ან მსენერლამდე მიიტანოს ინფორმაცია ამა თუ იმ მოვლენის, ან ვინმე პიროვნული განწყობის შესახებ და მინიმალურად გამოხატოს თავისი პოზიცია. ეს გასაგებიცაა. დასავლელი აღამინი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნობს თავს, თუ ვინმე (პირველ რიგში კი მთავრობა) შეეცდება მოვლენების საკუთარი ხედვა მოახვიოს თავს. იყო დასავლეთი კულტურული გაგებით ნიშნავს კულტურის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას და არა მის მიმდევ სახელმწიფო მანქანასთან პირადი ხელისუფლების განმტკიცების მჩნით.

არის საქართველო „დასავლეთი“ ყველა ზემოჩამოთვლილი პარამეტრების თვალთახედვით? რასაკვირველია არ! ეს ქვემომოტანილი ტაბულადანაც ნათლად ჩანს, ამიტომ სანამ ჩვენი სტრუქტურები და შესაბამისად, აზროვნება (ან, თუნდაც პირიქით) მეტ-ნაკლებად არ მიუახლოვდება დასავლურს, მანამდე ჩვენ დასავლეთის ნაწილი ვერ გავხდებით, ვერც გეო და ვერც პოლიტიკური გაგებით და საქართველოს ვერავითარი პატრონი თუ მეგობარი ვერ მოახერხებს იმის ჩაწყობებას, რომ დასავლეთმა საქართველო თავის ნაწილად აღიაროს.

1. ხელისუფლება აღრეულია. როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ ხელშია თავმოყრილი. არ არსებობს ხელისუფლების სხვა შტო-თაგან დამოუკიდებელი ხელისუფლება.
2. ქვეყანა იმართება ცალკეული პირების სურვილისამებრ.
3. ქვეყნის ჭველა შეიარაღებული ძალა იმყოფება სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლს გარეთ, დაუსჯელად თარეშობენ სხვადასხვა „თოფოსნები“.
4. პოლიტიკური ხელისუფლება თვითმმწნურ ხასიათს ატარებს და ემსახურება ნებისმიერი საშუალებებით ხელისუფლების შენარჩუნებას.
5. საზოგადოება არასამოქალაქოა. კანონები ისეთი ხასიათისაა, რომ მათი დაცვა არ შედის საზოგადოების ინტერესებში.
6. სოციალური უთანასწორობა უკიდურეს ზღვარზეა. უმცირესობის გამდიდრება (ძირითადად ყაჩაღობით ან სხვადასხვა კანონთა დარღვევით) ხდება აბსოლუტური უმრავლესობის გალატაკების პირობებში. საშუალო ფენა კატასტროფული სისტრაფით განიცდის ლუმპენიზაციას ანუ გამათხოვრებას.
1. ხელისუფლება დანაწევრებულია საკანონმდებლოდ, აღმასრულებლად და სასამართლოდ. არც ერთ შტოს არა აქვს უბირატესობა მეორის წინაშე.
2. ქვეყანა იმართება კანონების შესაბამისად.
3. ჭველა შეიარაღებული ძალა სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლქეშ იმყოფება.
4. პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსვლა არის გარკვეული პოლიტიკური კურსის გატარების საშუალება.
5. საზოგადოება სამოქალაქოა და სოციალურად ფენებად დაყოფილი. ადამიანები იმიტომ ემორჩიდებიან კანონებს, რომ ეს უკანასკნელი მათ ინტერესებს გამოხატავს.
6. სოციალური უთანასწორობა მინიმუმამდეა დაყვანილი. საზოგადოების უდიდეს ნაწილს შეადგენს საშუალო ფენა, რომელიც ყოველმხრივ არის დაინტრესებული სტაბილურობით.

7. სახელმწიფო ცდილობს მთლიანად დეცენტრალიზებულია. სახელმწიფო ეკონომიკის მართვას ანხორ-ციელებს არაპირდაპირი ზემოქმედებით (ბიუჯეტი, საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო კრედიტი).

8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმრავლესობის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მათი ამოცანაა არა ინფორმაციის მიწოდება, არამედ მოსახლეობის დარწმუნება მთავრობის კურსის სისწორეში.

7. ეკონომიკა მთლიანად დეცენტრალიზებულია. სახელმწიფო ეკონომიკის მართვას ანხორ-ციელებს არაპირდაპირი ზემოქმედებით (ბიუჯეტი, საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო კრედიტი).

8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ამოცანაა მოპოვებული ინფორმაციის მიტანა ფართო საზოგადოებამდე.

ავთო ჭოხაძე

## გეოპლიტიკური პარალელი

(მემკვიდრეობის I)

აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეტოქეობა უწყვეტ ხასიათს ატარებს და წითელ ზოლად გასდევს ისტორიას. მაგნიტის დადებითი და უარყოფითი პოლუსების მსგავსად, რომლებიც უერთმანეთოთ არ არიან, არც დასავლეთი არსებობს აღმოსავლეთთან საერთო ველის გარეშე და არც აღმოსავლეთი - უდასავლეთოდ. ორივე მხარე განწირულია ერთმანეთთან ბრძოლისა და ერთმანეთთით თვითდადგენისათვის; და როგორც მაგნიტის შუა წელზე გადის პოლუსებს შორის ჟულმინაციური დაძაბულობის და წინასწორობის ზოლი, ისე დედამიწის პოლიტიკურ რეკასაც ყოველთვის აჩნია ერთგვარი გამყოფი ღერძი, სადაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხლა ხდება. მართალია, ეს ღერძი მაგნიტის ზოლისაგნ განსხვავებით უძრავი არ არის, მაგრამ ძირითადად მანც ერთი და იგივე დიაპაზონის ფარგლებში გადაადგილდება. იგი მერიდიანულია (შვეიცავი) და განედური (თარჩიული) მიმართულებით მოძრაობს: ბოსფორ-დარდანელის სრუტეებიდან ხან ბალკანეთისაკენ გადავა, ხანაც საპირისპირო მიმართულებით, ამიერკავკასია-პალესტინის ზოლამდე გადმოიშვეს ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ამ ღერძის მოძრაობის მიმართულება თანმიმდევრულად იკვლება და მისი ეს მოწესრიგებული, ძუღმივად განძეორებადი მომუქცევა დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის უნივერსალური, ჯერ კიდევ ჰერკლიუტეს დროიდან ცნობილი კანონზომიერების ისტორიის სფეროში გამოვლენის ფაქტად მიგვაჩნია. და თუ რომელიმე ძალა ამ „ქრისტიანული დეკრიტი“ ზემოთ მითითებული დიაპაზონის ფარგლებს გარეთ გადაწევას შეეცდება, რაც ისტორიული კანონზომიერების წინააღმდეგ „აჯანყებას“ და „საბეჭდისწერო სამანის“ გადალახვას - ის აუცილებლად შეიმუშარება. ეს ფაქტი, რომლის ილუსტრაციასაც ქვემოთ გთავაზობთ, გვიბიძებს მეტი ყურადღებით მოვცეკიდოთ აზრს ისტორიაში „პროვიდენციის“ არსებობის შესახებ.

მოქლედ მიმოვიზილოთ ევრაზიული ურთიერთობის ძირითადი ისტორიული პერიოდები: თუ თავს გავანებებთ ისტორიული მეცნიერებისათვის ბურუსით მოცულ პერიოდს და ათვლას სარბიელზე ბერძნების გამოჩენიდან

დავიწყებთ, მაშინ დავინახავთ, რომ ჯერ ბერძნებმა დაიპრეს ტრია და მოახდინეს აღმოსავლეთის კოლონიზაცია<sup>1</sup>, ხოლო ამის პასუხად აღმოსავლეთმა პარიის მეშვეობით წმიოწყო შეტევა დასავლებზე<sup>2</sup> „მერიდიანულმა ღერძმა“ დასავლეთით, ბოსფორ-დარდანელის სრუტეების მიდამოებში გადაწია. დასავლეთმა გაუძლო ამ შემოტევას, ხოლო შემდეგ მმოქცევის პრინციპის თანახმად „მერიდიანული ღერძის“ მოძრაობის მიმართულებას ალექსანდრე მაკედონელმა კეთი აღმოსავლეთისკენ შეუტრუნა. „მერიდიანული ღერძის“ გასცდა ჩვენს მიერ აღნიშნული დიაპაზონის ფარგლებს და ინდოეთამდეც კი ჩააღწია. ეს სწორედ ზემოთხეხენბული „საბედისწერო სამანის“ გადალახვის ის ფაქტია, რომელიც სასწრაფოდ კორექტორიდება ისტორიის უჩინარი მექრის მიერ: ალექსანდრეს იმპერია შექმნისთანავე დაიშალა; მის ნანგრევებზე აღმოცენებულ იმ ელინისტურ სახელმწიფოებში, რომელიც „საბედისწერო სამანს“ გარეთ, აღმოსავლეთით დარჩა, დასავლური ელემენტი სუსტად იყო წარმოდგენილი, ხოლო ე. წ. ელინისტური სამყაროს საერთო სივრცის შექმნა აღმოსავლურ ელემენტს, რომელიც სხვა-დასხვა ხალხთა იდეურ-პოლიტიკური ტრადიციების უზარმაშარი სტიქიის სახით არსებობდა, გზას უქსინიდა დასავლეთისაკენ. აღმოსავლეთის ეს კონ-

<sup>1</sup> ბერძნული კოლონიზაცია, რასაკვირველია, დასავლეთისკენაც იყო მიმართული, მაგრამ „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“ პოლიტიკურ ლექსიკონში მეტს აღნიშნავს, ვიღრე გეოგრაფიულ მხარეს. უპირველეს ყოვლისა ისინი ღირებულებითი ორიენტაციის მანიშნებელი ცნებებია. დასავლეთი პოლიტიკურ თავისუფლებას გულისხმობს, აღმოსავლეთი - დესპოტიას; ბერძნული კოლონიალიშის ეპოქში ქვეყნად ერთადერთი „დასავლეთი“ არსებობდა - ბერძნული პოლისი, ყველა სხვა პოლიტიკური გაერთიანება „აღმოსავლეთს“ განეუთვევებოდა (დანარჩენი ხალხები „ბარბარისები“ იყვნენ). რამდენადმე ანალოგორი ვთთარება დღესაც. დღესდღეობით, მაგალითად, ისეა გაფერებული სინამდვილე დასავლური ლიტერატურებით, ვთქვათ, იაპონიაში, რომ ეს ქვეყანა უფროა „დასავლეთი“, ვიდრე თურქმენეთი ან თურქაც სკართველო, თუმცა ეს სახელმწიფოები იაპონიაშე გაცილებით დასავლეთით მდებარეობენ.

<sup>2</sup> ჰერიდა თუ არა გაცნობიერებული ამა თუ იმ ხალხს ან პიროვნებას, ვთქვათ ქსერქსეს, თავისი საქმიანობა მანცა და მანც დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდი შეტოქეობის განასერში, ამას არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ჰეგელის ცნობილი თეზისი „აბსოლუტური გონის ცბიერების“ შესახებ - როცა ცალკეული პიროვნები თავთავიანთი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, ხოლო საერთო ჭამში კეთდება არა ის, რაც მათ ჩაიფიქრეს, არამედ - რაც აბსოლუტურ გონს სურს, ანუ - რაც იმთავითვე წინასწარ იდო, კანონზომიერების სახით, მოსახდენ მოვლენაში - ჰეგელს ეს აზრი აქ მსოფლიო ისტორიის უჩინარი მეხრის ცბიერების იმ თეზისად შეიძლება გავიზროთ, რომელსაც სხვადასხვა პიროვნება (და სხვადასხვა ხალხი) სხვადასხვა ღოზით იცნობიერებს და მშინ გასაგებია, თუ რა პირობითი შინაარსის შემცელიცა ჩვენი გამოთქმა: „პართიის მეშვეობით აღმოსავლეთმა წმიოწყო შეტევა დასავლეთზე“.

ტრშეტევა - არა იმდენად სამხედრო-საომარი, არამედ უფრო კულტურულ-იდეური - ასე ვთქვათ, წყალქვეშა დინების სახით, ვფიქრობთ, საკუთრივ დასავლეთში შეღწევის და გაბატონების შესაძლებლობასაც გულისხმობდა.<sup>1</sup> ასე რომ, ალექსანდრეს ლშექრობებით დასავლეთმა არამცო „საბედისწერო სამანს“ გარეთ ვერ უზრუნველყო თავისი ჰეგემონობა, არამედ ბიძგი მისცა დიალექტურად საპირისპირო პროცესს და აღმოსავლურმა სინდ-რომში გზა დასავლეთისაკენ გაიკაფა. წყალქვეშა დინებას, რასაკირველია, სამხედრო-საომარი შეტევებიც მოჰყვა. მითრიდატე პონტოელი აზიდან უტევდა დასავლეთს, რომლის ცენტრმაც საბერძნეთიდან უკვე რომში გა-დანაცვლა. „მერიდიანულმა ღერმა“ კი კვლავ ეგეოსის არქეპელაგმდე გაღმოიწია. მიმოკევის პრინციპის თანახმად ახლა დასავლეთის ჭერი იდ-გა. რომაელთა დაპყრობებმა „მერედიანული ღერმი“ ისევ აღმოსავლეთით, კავკასია-პალესტინის ზოლამდე გაღმოსწია. ცხადია, ეს უზარმძალი იმპერიის შექმას გულისხმობდა და ამ იმპერიის საზღვრებით მონიშნული სიგ-რცის შიგნით აღმოსავლური რევანშის აუცილებლობაც ბუდობდა, რადგან იმპერია გამორიცხავს მასების თავისუფალ მონაწილეობას პოლიტიკურ მმარ-თველობაში. რომის იმპერიის დასავლურობას რომაელი მოქალაქეს (ე. ი. თავისუფალი მოქალაქეს) სტატუსის მატარებელი ფერის არსებობა გნაპი-რობებდა. რომში შექმნა სამართალი და ამდენად იქ აღამიანის უფლებათა გარანტიის რაღაც მინიმუმი მაინც არსებობდა.

რასაკირველია, რომი არ იყო წმინდაწყლის დასავლეთი (პოლიტ-იკური თავისუფლების საყოველთაობა მხოლოდ უახლოეს ისტორიაში იქნა რეალიზებული) და აღმოსავლურ ელემენტს, როგორც აღვნიშნეთ, იმპერია იმანენტურად შეიცავდა. ბოლოს და ბოლოს რომი მონათმფ-ლობელური სოციალური წყობის სახელმწიფო იყო. რომაული სახელმ-წიფოებრიობის შემუსვრას იმპერიის დასავლეთ ნაწილში ფერდალური წყობილების დამყარება და ისევ პოლიტიკური თავისუფლების რეანი-მაცია მოჰყვა, ჯერ პატრიანუმობისძროინდელი იერაჩექული უფლება-მოსილების ინსტიტუტების შექმნით, ხოლო შემდეგ ქალაქებში თავისუ-

<sup>1</sup> არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის დაპირისპირებას თავისი გამოვლენის ისტორიული სახესხვაობები ახასიათებს: პოლიტიკურ მმართველობაში საყოველთაო მონაწილეობა და - უუფლებობა; მეადაოება (ტრადიციონალიზმი) და - რეფორმიზმი; ქრისტიანობა, როგორც პიროვნების თავისუფლების გარანტი და - ისლამური დესპოტია; დასავლური კათოლიკიზმი და - აღმოსავლური ორთოდოქსია - ყველა ეს წყვილი ამ დაპირისპირების მოდიფიკაციური სახეცვლილებებია. თანაც სავალდებულო როდია დასავ-ლეთის და აღმოსავლეთის დაპირისპირების ამა თუ იმ სახესხვაობის მაინც ორ ქვეყნას შორის არსებობა, ხშირად ეს პოლარობა ერთ რო-მელიმე ქვეყნის შიგნითაც მყარდება და მშინ იქ ადგილი აქვს შიდასოცია-ლურ კატაკლიზმებს: რევოლუციებს, გადატრიალებებს, სამოქალაქო ომებს...

ფალ მეწარმეთა და მოქალაქეთა ფენის ჩამოყალიბებით.

თუმცა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი რთულ შინაგან მეტამორფოზის განიცდიდა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამყოფი „მერიდიანული ლერძი“ მანც თვალსაჩინოდ იკვეთებოდა. ახლა აღმოსავლეთის ჭერი იღდა და არაბთა ხალიფატიც დიდი წარმატებით ავიწროვებდა რომს.<sup>1</sup> ამ წინააღმდეგობის „მერიდიანული ლერძი“ ერთი პირობა სადღაც წინა აზიაში გადიოდა, ხოლო მეორეს მხრივ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროდან შემოვლის გზით არაბები გასცდნენ „საბედისწერო სამანს“, რასაც, როგორც უკვე ვიცით, უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა მათი მისის საპირისპირო შედეგები. მართლაც, როდესაც ხალიფატმა თავისი პოლიტიკური ძლიერების და კულტურული აყვავების ზენიტს მიაღწია, აღმოჩნდა, რომ მისი შინაგანი მასაზროვებელი ერთი მძლავრი იდუური ნაჯადი ელინისტური კულტურა ყოფილა (არისტოტელეს ფილოსოფია ევროპელებმა შემდგომში არაბების მემკვებით „აღმორაჩინეს“). ძელია გადაჭარბებით შეაფასო ხალიფატისადმი დასავლური სინდრომის შეყრის საქმეში ევროპის დაპყრობილი ნაწილის (კორდოვა, გრანადა, ვალენსია...) როლი. ხალიფატის ასეთი გადასავლეთება შინაგან წინააღმდეგობას აძლიერებდა და მის პოლიტიკურ ძლიერებას ასუსტებდა. ამ ფარული დასავლური ექსპანსიის ფონზე ბიზანტიის სამხედრო წარმატებაც სულ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა.<sup>2</sup> მერიდიანულმა ლერძმა სადღაც ამიერკავკასიის ფარგლებამდე

<sup>1</sup> არაბთა ლიშტრობები სპარსეთისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით „მიზნად ისახავდა“ ალექსანდრეს ლიშტრობების დროიდან ამ მხარეში შეჭრილი დასავლური, ელინისტური ნშთების საბოლოო აღმოფხვრას. დასპოტიასთავ შერწყმული ისლამის გავრცელებით მალე ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა. აქაც უნდა ალინშნოს, რომ არა აქვს მნიშვნელობა არაბთა სარდლებს უმოდათ თუ არა თავინთი „აზროვილენციალური“ მისისა, მისია, თუ რას წარმოადგინდა მათი დაპყრობები დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდ დაპირისპირების კონტრაშემში.

<sup>2</sup> ბიზანტიის და საერთოდ ქრისტიანული სამყაროს არაბებთან დაპირისპირება რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის დაპირისპირების ფორმა, ამში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს. მართალია, ბიზანტიაც იმპერიაა და იქ ინდივიდის პოლიტიკური თავისუფლება გვაჩანანად შეზღუდულია, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა განსხვავებული რელიგიების იდეოლოგიური დედა-ასი. ისლამი მონოფილური რელიგიაა - ის არ ცნობს ღმერთის კაცობრივ ბუნებას, ამდენად ჰერმანიშმი, რაც პიროვნების პოლიტიკური თავისუფლების იდეური საყრდენია, ანუ ინდივიდის მიჩნევა უზენაეს ამეცენიურ ლირებულებად ისლამური ორთოდოქსისათვის არ არის მაინცა და მაინც აქტუალური. „არაბულ რენესანსს“ ნასესხები საყრდენები ჰქონდა და დაუძლეველი შინაგანი მოწინააღმდეგე ჰყავდა შარიათის სახით, მშინ როცა დიოფიზიტური აღმსარებლობის ქრისტიანობა, პირდაპირ - მთელი თავისი ლოგიკური დედაარსით - მოითხოვს პიროვნების პოლიტიკურ (და არა მარტო პოლიტიკურ) გათავისუფლებას.

გადმოიწია. არაბები სულ უფრო თმობდნენ პოზიციებს.

შემდეგ ისევ აღმოსავლეთის ჭერი დადგა. ცენტრალური აზიდან თურქელჭუები შემოიქნენ. სელჭუების შემოტევას დასავლეთმა გააროსნლი ლაშქრობებით უპასუხა. ერთხანს თითქოს სტაბილური წონასწორობის პერიოდი იდგა. მომთაბარე თურქები თანდათან „მორჯულდნენ“ - ბინადარ ცხოვრებშე გადავიდნენ. მაგრამ ისლამური დესპოტია და იმპერიალიზმი საერთო ჯაში სელჭუებს პოლიტიკური თავისუფლების დაუძინებელ მტრად აქცევდა. ოტომანთა იმპერიის დაწოლის შემდეგ მერიდიანული ღერძი ბოსფორი-დარდანელიდან დასავლეთით წაცოცდა და ლამის „საბედისწერო სამანსაც“ კი გასცდა, როცა თურქებმა შუაგულ ევროპში ვენა მასკუებს ალყაში.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს მონოლოთა შემოსევების შესახებაც. მოუხედავად დიდი დამანგრეველი ძალისა, ეს აღმოსავლური ტალღა დასავლეთს მთლიანობაში არც კი შეხებია. არსებითად ის მხოლოდ ევროპის ფორმოსტებს - საქართველოს და რუსეთს დაატყდა. რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩევნოს, მონღოლების სახით აღმოსავლეთი კი არ უტევდა დასავლეთს, არამედ თავს იცავდა უტეხი და ფარული დასავლური გავლენისაგნ, ხელახლა აფუქნებდა და აღზევებდა ტირანის. პროვიფენციალური თვალსაზრისთ მონოლოთა შემოსევები აღმოსავლეთის გაევროპულების საფრთხისაგან გადარჩენის მისიას ემსახურებოდა. მონღოლები ახალ აღმოსავლეთს ახლო აღმოსავლეთში ჰედნენ და დასავლეთის სილრმეში არ შედიონდნენ. თუ რამდენად რეალური იყო აღმოსავლეთის გაევროპულება, ამას თურქეთის ისტორიულ მეტამორფოზშე დაკვირვებაც გვითვალსაჩინოებს. მომთაბარე სელჭუები უკვე ბინადარი ხალხი გამხდარიყო, მონღოლთა შემოსევების პერიოდისათვის უკვავდნენ და სწრაფად ვითარდებოდნენ ქალაქები, საძირკველი ეყრდნობა ცივილიზაციას; შარიათის პრინციპები და დებულებები ასეთ ღროს სამართლის ყოვლისმომცველი კოდექსის როლს ვეღარ ასრულებს და ზოგადმეთოდოლოგიური დოგმების ხასიათსღა თუ ინარჩუნებს. ერთი სიტყვით, რელიგიური აღმასრებლობა ვეღარ არის ქვეყნის „აღმოსავლეთად“ და „დასავლეთად“ კვალიფიკაციის ძირითადი საფუძველი. დღევანდელი თურქეთის მაგალითშეც ეს თვალსაჩინოდ ჩანს: ისლამის მიუზედავად ის დასავლური ტაბის სახელმწიფო. აქ უკვე დასავლეთმა „დაიბყრო“ აღმოსავლეთში დიდი ტერიტორია ანატოლიის ნახევარუნძულის სახით. მონღოლებმა კი თავიანთ პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეული ქვეყნები ახალ აღმოსავლეთად შეადუღაბეს და დიდი სამომავლო მისიისათვის მოამზადეს; რუსეთი და მასზე მოგვიანებით მიტმასნილი საქართველო აღმოსავლეთის ფორმოსტებად ჩამოყალიბდნენ. მონღოლური მექევიდრეობის მოცილება ორივე ქვეყნისათვის უაღრესად მტკივნეულ პროცესადაა ქცეული, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

თურქთა ევროპის შუაგულში შეჭრას კი, როგორც მოსალოდნელი

იყო, ისტორიის უჩინარი მეხრის მიერ საქმის კორექტირება მოჰყვა. აღ-მოსავლეთის ძალებში მოხდა განხეოვილება და ოსმალეთის ზურგში ახ-ლადწარმოქმნილმა თურქულ-ყიზილბაზურგა სახელმწიფომ (და ეგროპული სახელმწიფოების შეთანხმებულმა მოქმედებამ) აიშულა ოსმალეთი ევროპა დაეთმო და ისტორიული კანონზომიერების წინასწარ განჩინებულ ფარ-გლებში ჩატეულიყო. ეს ერთი მხრივ მეორე მხრივ მონღლოების და თურქების სახით აღმოსავლეთმა ისეთი გადაულახავი ჯებირი აღმართა წინა აზიში, რომ იქ დასავლეთის შეღწევა შეუძლებელი გახდა და ევ-როპამაც გრძელი, შემოვლითი გზით მიაღწია „ინდოეთამდე“. ოსმალე-თისაგან შევიწროვებული და მიჩინული დასავლეთი აქერიკის კონტინენ-ტზე გაფართოვდა და რაკი დედამიწა მრგვალია, ახლა უკვე აღმოსავ-ლეთის მხრიდან მოადგა თავის მოწინააღმდეგეს. დაბირისპირებასა და შეხვედრას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ამიერიდან არა მარ-ტო ახლო, არამედ შორეულ აღმოსავლეთშიც აქვს აღგილი. მართალია ამ ჩეგიონში დაპირისპირებულ მხარეთა დიდი ოკეანით გამიგვინის მიზე-ზით გამორიცხულია მოძრავი მერიდიანული ღერძის არსებობა, მაგრამ თანამედროვე სანავიგაციო ტექნიკის პირობებში მეტანები არა მარტო მო-რიშორებს, არამედ აკავშირებს კიდეც კონტინენტებს და ქვეყნებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში აღმოსავლეთმა თითქოს ფარხმალი დაყარა დასავლეთის წინშე და დაძაბულობაც, „მე-რიდიანული ღერძის“ მიმჯცევის ტრადიციული სექტორიდან (ახლო აღ-მოსავლეთიდან) შორეულ აღმოსავლურ სეგმენტზე ერთგვარი გადანაწი-ლების გამო, განელდა. მაგრამ მშრიყ-მაღრიბის ბრძოლის ისტორია ჯერ არ დამთავრებულა და რაიმე კაპიტულაციზე ლაპარაკი ნააღრევია. უბ-რალოდ, რუსეთის ახალი ფაქტორის წარმოქმნამ „მერიდიანული ღერძი“ ტრადიციულ ზონში ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ ააგრძელა და ძირითადი დაძაბულობაც დროებით ღერძის ამ ახალ მონაკვეთზე, საუთრივ კვრო-ბის ტერიტორიაზე და შევ რუსეთში აღინიშნა. ევროგაერთობანების ჩა-მოყალიბებით და საბჭოთა რუსეთში რეფორმების დაწყებით დაპირისპი-რების გეომეტრიული ნახატიც გართულდა და დაძაბულობაც „მერიდია-ნული ღერძის“ ტრადიციულ სეგმენტში (ბალკანეთი-ამიერკავკასია) სულ უფრო მზარდი ხდება, ოღონდ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვე-მოთ, თანამედროვე ვითარების გარშემო მსჯელობისას ვისაუბრებთ.

\*

\*

\*

მსოფლიო ისტორიის ამ სქემატური მიმოხილვის ფონზე უპრიანია დაგვათ კითხვა - რას უქადის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის

ქალთა ასეთი გამუდმებული მი-მო-ქცევა იმ ქვეყნებს და ხალხებს (მათ შორის საქართველოს), რომლებიც „მერიდიანული ღერძის“ გადაადგი-ლების ზონაში ან ზედ „მერიდიანულ ღერძზე“ მდგებარეობენ?

ამ ქვეყნების ბეჭს სახარბიელოს ნამდვილად ვერ უწოდებ კაცი. ორივე მხრიდან უზარმაზარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონტინენტა-ლური წნების ქვეშ მოყოლილი ეს სახელმწიფოები ერთი მეორის მი-ყოლებით იმსხვრევიან. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დე-დამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი რეგიონი, სადაც ამდენი სახელმწიფო წარმოქმნილა და განადგურებულა. უძველეს ხე-თას, მაგალითად, ბოლო ბერძნების თუ ეტრუსკების წინაპრებმა, ე.წ. „ზღვის ხალხებმა“ მოუღეს. ამ ხალხებს პირობითად პროტოდასავლე-თი შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ისინი უფრო ადრე უნდა გამოსუ-ლიყვნებ მითოსის ტყვეობიდან ან, ყოველ შემთხვევაში, გულუბრყვილო მითოლოგიის საფეხური უკვე გავლილი უნდა ჰქონოდათ და რაციონა-ლიზმისა და ინდივიდუალიზმისაკენ მიმავალ გზაზე დაწინაურებულიყვ-ნენ. მაგრამ მოვემგათ წინაისტორიას. ჩვენი მოსაზრების დასტურად მარტო სომხეთის მაგლითიც იქმარებს. საარაუკ ძალისხმევის მიუხედა-ვად, ჩასაც ეს ხალხი თავისი სახელმწიფოებრიობის ფორმირებასა და შენარჩუნებისათვის ბრძოლას აგერ უკვე ორი ათასწლეულია ახმარს, სომხეთი, როგორც აბსოლუტურად სუვერენული პოლიტიკური ერთეუ-ლი, სინამდვილეში არასოდეს არსებულა. შეიძლება ვინმე შემოვვედა-ვოს: კი მაგრამ - ბიზანტიილები? ისინი ხომ დიდ ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას სწორედ „მერიდი-ანული ღერძის“ გადაადგილების ზონაში; იგივეს თქმა შეიძლება თურ-ქების შესახებაც.

თუ ისტორიულ სინამდვილეს კარგად დავაკირდებით, ბიზანტიე-ლების და თურქების მაგალითიც მხოლოდ ჩვენი მოსაზრების წისქვილ-ზე ასხამს წყალს და არა ჩვენი შესაძლო ოპონენტებისა.

ბიზანტია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მოქცეული როდი იყო, ის თვითონ იყო ამ დაბირისპირების ერთ-ერთი სუბიექტი. ბიზანტია ჯერ იგივე დასავლეთია (რომია), მაგრამ შემდეგ, გარკვეული შენაგნი მეტამორფოზების გზით, თანდათან აღმოსავლურდება. როცა დასავლეთ-აღმოსავლეთის ჭიდილმა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრებიდან მის შიგ-ნით გადმოინაცვლა, რაც შეუ საუკუნეების ბიზანტიური ქრისტიანობის დასავლურისაგან გაუცხოებასა და ე. წ. „აღმოსავლურ ქრისტიანობად“ ფორმირებაში გამოიხატა, ეს ქვეყანაც თანდათან მოექცა ზემოხსენებული ორმაგი წნების ქვეშ: ჯვარისნებიც (დასავლეთი) და თურქებიც (აღმოსავ-ლეთი) ორივენი ბიზანტიის მეტოქენი გახდნენ. რაღაცნაირ აღმოსავლურ დასავლეთად თუ დასავლურ აღმოსავლეთად ამ სახელმწიფოს გადაგვარე-

ბა, მისი ეს შინაგანი გაორება (ორთავიანი არწივის სიმბოლოთიც რომ არის დადასტურებული), დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ბალანსი-რების პოლიტიკის გატარების პრაქტიკული შეუძლებლობა გახდა სწორედ ბიზანტიის, როგორც სახელმწიფოს „შებრკოლების ლოდი“, რომელზედაც იგი დაიმსხრა. ბიზანტიის აღგვა მიწის პირისაგან სწორედაც რომ კიდევ ერთი დამატებითი საბუთია წინა აზიაში სახელმწიფოს მშენებლობის უაღ-რესი პრობლემატურობის საილუსტრაციოდ.

იგივეს ადასტურებს თურქების ისტორიაც. ჩას განასახიერებდა ამ კონ-ტექსტში ოტომანთა იმპერია - დღევანდელი თურქეთის რესუბლიკის წი-ნამორბედი? - რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის. ჩას განასახიერებს დღევან-დელი თურქეთი? - რა თქმა უნდა, პოლიტიკურ დასავლეთს; ის სულაც ევროგაერთიანების (თუმც ჭერჩერობით არასრულულებიანი) წევრი სახელ-მწიფოა. მაგრამ თურქეთის გადასავლეთება ერთბაშად არ მომხდარა. სწო-რედ გარდამავალ პერიოდში, როცა ის დასავლეთიც იყო და აღმოსავლე-თიც, ან სხვაგვარად - აღარც აღმოსავლეთი იყო და აღარც დასავლეთი, დესპოტური მმართველობის საფუძვლებიც მოერყა და დემოკრატიულიც ვერ განეტუკებინა - მისი, როგორც სახელმწიფოს, არსებობის საკითხი რამ-დენჭერმე ბეწვე ეკიდა. თურქებს რომ შინაგანი მეტამორფოზის ანუ რეფორმატორული უნარი არ აღმოჩენდათ, მაშინ ანატოლიაში აღმოცენე-ბული ახალი სახელმწიფო თუ სახელმწიფოები, უბრალოდ, თურქული<sup>1</sup> აღარ იქნებოდა. თურქების გაევროპელება კი იმის დასტურია, რომ წინა აზიაში გადაიშალა ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი და სახელმწიფო ისმალეთის ისტორიისაც წერტილი დაესვა - თურქეთი არ არის ისმალეთი!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ: „მერილიანული ღერძის“ მიმოქცევის ფარგლებში მცხოვრებმა ხალხმა კარგად უნდა გა-იცნობიეროს ერთი პოსტულატი: ასც შეიძლება სრულფასოვნად განა-კუთხოს თავი (სახელმწიფო წყობით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეჯებით) ან აღმოსავლეთს - ან დასავლეთს - თუ სურს შეინარჩუ-ნოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. შიდაპოლიტიკური გა-ორება მას ორ მოქავშირეს კი არ შესძენს, არამედ უმოკავშირეოდ დასტოვებს და მისი ქვეყანა ორივე მხრიდან გაიწევება.

ყოველთვის უნდა გვასოვდეს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადო-ებრივი ფორმაციის ყოველი მკვეთრი ცვლილება, მაშრიყ-მაღრიბის მარა-დოული დუელის ამ სახელმწიფოს შიგნით შემოჭრის ერთგვარი გამოხა-ტულებაა. როდესაც „საბედისწერო სამანებს“ შორის მოქცეული ქვეყანა გაორებულია, მის შიგნით იმავე ძალებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს,

<sup>1</sup> გასათვალისწინებელია, რომ ანატოლიის ნახევარკუნძულზე თურქები დიდხანს ეთნიკურ უმცირესობას შეადგენდნენ.

რა ძალებიც ამ ქვეყანას გარედანაც აწვებიან; ვერც ერთი სასწაულთ-მოქმედი პოლიტიკოსი ვერ შეძლებს თავისი ქვეყნის შიგნითაც არსებული ანალიზური ძალების ამ გარეშე ძალებისაგან იზოლაციას. აქ აუცილებლად ექნება ადგილი პოლიტიკურ რეზონანსს ორივე მხრიდან - რეზონან-სი კი, მოგეხსენებათ, დამანგრევევლი ძალაა. თუ ასეთი სახელმწიფო შე-ეცდება ითამაშოს დაპირისპირებულ ძალთა იქითა-აქეთ გამტარის როლი (ანუ მელაკულურ, ორმაგ დიპლომატიას მიმართავს, ხოლო თვითონ ში-ნაგანად გაორებული დარჩება), საპირისპირო ძალთა შეჯახება პირველ რიგში მის შიგნით მოხდება და თავის ტერიტორიას ის დიდ, კონტინენტალურ ძალთა შეჯახების მუდმივ თვატრად აქცევს. ვერავითარი ენობისა და ხალხი ამ დაწოლას ვერ გაუძლებს და თუ მხოლოდ სახელმწიფოებ-რიობა დაენგრა, ხოლო ეროვნული და ეთნიკური არსებობა შეინარჩუნა, კიდევ რაღაც შეცდებისათვის მიუღწევია, თორემ გაქრობა და ისტორიი-დან გასვლა მისი რეალური პერსპექტივა. „მერიდიანულ ღერძზე“ ხანგ-რძლივი ჯდომაც კი უკვე ნიშანია ამ ქვეყნის შინაგანი გაორებისა - ორ-თავიანობის, ორხელისუფლებიანობის და მომავალი სამოქალაქო შეხლა-შემოხლებისა. როგორც კი შინაგან გაორებას ბოლო მოედება და ერთ-ერთი ძალა გაიმარჯვებს, მშინვე „მერიდიანული ღერძი“ ამ ქვეყნის ან დასავლეთ, ან აღმოსავლეთ საზღვარს გარეთ გადაიწევს და მისი საგა-რეო პოლიტიკური მდგომარეობაც მკვეთრად გაუმჯობესდება.

აქედან კიდევ რამდენიმე პოსტულატი თვალსაჩინოვდება: თუ რო-მელიმე ქვეყანა თავისი ისტორიული ბედის გამო „მერიდიანული ღერ-ძის“ მოძრაობის დიაპაზონშია მოქცეული, მისი პოლიტიკური მმართვე-ლობა მაქსიმალურად უნდა ეცადოს იარის პოლიტიკური და ეკონო-მიკური რეფორმების გზით (ცხვდია, ეს არც ერთ ქვეყანას არა სწყენს, მაგრამ ღერძის ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია) და საქ-მე არასოდეს არ მიიყანოს ძველ და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ძალებს შორის კრიტიკულ დაპირისპირებამდე (რასაც სამოქალაქო ომე-ბი და რევოლუციები მოსდევს), ხოლო თუ საქმე აქამდე მაინც მივი-და, მაშინ ყოველგვარი ყოველისა და ბალანსირების გარეშე უნდა გა-აქეთოს არჩევანი ან „მარჯვნივ“, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში ასეთი ქვეყანა დამანგრეველ ინტერვენციას თვეიდან ვერ აიცი-ლებს. რომელიმე სხვა განაპირა ქვეყანაში, ვთქვათ ბრიტანეთში, ინ-ტერვენცია შეიძლება საერთოდ არ მოხდეს - საქმარისია მისი იზო-ლაციაც; შუაში მოქცეულთათვის კი (ე. ი. საქარველოსათვის) - პი-რიქით: აქ შემოჭრილი თუ დამკიდრებული ყოველი გარეშე ძალა გან-საკუთრებულ შეურიგებლობას და სისასტიკეს გამოიჩენს, რასაც ასე დაბეჭითებით გვიდასტურებს ჩვენი ისტორია.

\*

\* \* \*

ქართულ პოლიტიკურ წრეებში, ეტყობა, ოდიოგანვე სწორად აფა-  
სებდნენ ჩვენი ქვეყნის მართლაც რომ განსაკუთრებულ გეოპოლიტი-  
კურ მდებარეობას.

საქართველო „სეპედისწერო სამანებს“ შორის მოქცეული სახელმ-  
წიფოა და „მერიდიანული ღერძზე“ ჯდომაც ხშირად უწევს ხოლმე,  
მაგრამ უნიკალური მდებარეობის წყალობით ის „მერიდიანული ღერ-  
ძის“ გარეთაც იმყოფება. თუ საკითხს გეომეტრიული ნახაზის დონემდე  
გავამარტივებთ, „მერიდიანულ ღერძს“ შვეული ხაზი გამოხატავს, ხო-  
ლო საქარველოს - ამ ღერძის თავზე გავლებული თარაზული წრფე.  
საერთო ჯამში ნახაზს ლათინური T-ს მაგვარი ჯვრის ფორმა აქვს.  
საქართველო გეოპოლიტიკურად ჯვარზე მიკრული. ჯვრის პარადოქსულ  
სიმბოლოში ნაგულისხმები მოკვდინება-აღდგომის დიალექტიკის დარად,  
ღერძთან შეხება და იმაგდროულად მის გარეთ ყოფნა მკვეთრადაც  
ზრდის ისედაც დიდ საგარეო დაწოლას და იმავე დროს ქვეყნის თავ-  
დაცვისუნარიანობასაც მნიშვნელოვან ელემენტს მატებს: დასავლეთის და  
აღმოსავლეთის შეგახება საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლი-  
თაც შეიძლება, მაგრამ როგორც წონასწორობაში მყოფი სასწორის რო-  
მელიძე პინაზე ერთი პარტაზე კენჭის დაგდებაც კი კმარა, რომ პინაშ  
გადასძალოს, ასევე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საქართველოს  
გვერდის ავლით სამხედრო დაპირისპირებაშიც გადასძლევდა ის, ვისაც  
მეომარ ძალთა უძილესობის დაძაბვის (ანუ წონასწორობის) მოქმედები  
საქართველო მიემსრობოდა. ეს „პრივილეგია“ საქართველოს ძალიან  
ძირი დაუჭდა. მისი, როგორც „ხტრატეგიული საბიოწონის“ დაუფ-  
ლება ორივე მეომარი მხარის უბირველეს საზრუნავს წარმოადგენდა.  
თუ რომელიმე მხარე შეძლებდა საქართველოში თავისი სამხედრო ჰე-  
გემონობის დამყარებას, მშინ მოწინააღმდეგებს აუცილებლად უკან უნ-  
და დაეხია, რათა ჩვენი ნახაზის ლათინური T-ს ჰორიზონტალური ხა-  
ზის ქვეშ, ანუ ფლანგებიდან შემოვლის თუ დარტყმის მუდმივი საფ-  
რთხის წინაშე არა მდგარიყო.

ამიტომ საქართველო ერთი პირობა დასავლეთის და აღმოსავლე-  
თის მუდმივი ცილობის ობიექტი ხდებოდა, მეორეს მხრივ - მუდმივი  
და თან არმტრივი დაწოლის მიუხედავად - საქართველოს გეოგრაფი-  
ული პირობები ქმნიდნენ თავდაცვის უზრუნველყოფის არაჩვეულებრივ  
შესაძლებლობას. სომხეთისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად ამი-  
ერკავგასისის გარეთ მდებარეობდა და ოთხივე მხრიდან ღია იყო, სა-  
ქართველო დაპირისპირების ვექტორიდან განზე, ამიერკავკასიის ძნე-

ლად მისადგომ სიღრმეში იყო შეწეული და ბუნებრივი ჯებირებით და-ცული: ჩრდილოეთით დიდი კავკასიონი, აღმოსავლეთით და დასავლე-თით ზღვები; სამხრეთიდან სამხედრო შეღწევა კი მხოლოდ ორიოდე ვიწრობის გავლით შეიძლებოდა: არზრუმ-ყარსის და განჯა-თბილისის მიმართულებით. ეს აიოლებდა მის თავდაცვას, ოღონდ საჭირო იყო სახელმწიფო ძალაუფლების მთელ ამ თავდაცვის სისტემაზე ანუ ამი-ერკავკასიაზე გავრცელება; ამიერკავკასია პრაქტიკულად ერთი მთლი-ანი, სამხედრო გეოგრაფიის თვალსაზრისით განუყოფელი თავდაცვითი სისტემაა. ორივე ხალხი - ქართველებიც და სომხებიც, როგორც ჩანს, სრულფასოვნად აცნობიერებლნენ ამ ფაქტს. ამიერკავკასიში ეთნიკუ-რი, პოლიტიკური და სამხედრო ჰეგემონისათვის ბრძოლამ უაღრესად პრინციპული, მრავალსაუკუნოვანი წინააღმდეგობის ხასიათი მიიღო. რო-გორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი განმარტავს, ამ რეგიონში ძირი-თადად ორი ხალხი - ქართველები და სომხები ეცილებოდა ჰეგემონო-ბას სხვებს და ერთმანეთს; ასევე ორმა ხალხმა მოახერხა მეტანაკლე-ბად ხანგრძლივად მიეღწია ამ მიზნისათვის - ქართველებმა და რუსებ-მა (არაბების და მონღოლების გავლენა ამიერკავკასიის დასავლეთ ნა-წილში არ იყო ხოლმე ხანგრძლივი და მტკიცე). ქართველების უბირატესობა არმდენიმე წინაპირობით იყო შემაგ-რებული. სომხების მხრიდან ასიმილატორული პოლიტიკის ერთგარი წარმატების მიუხედავად, ქართველები ამიერკავკასიში ყველაზე მრა-ვალრიცხვან და გაბატონებულ ეთნოსს წარმოადგენდნენ. ქართველე-ბი, შეიძლება ითქვას, უკვე იდგნენ ამიერკავკასიის ციტადელში (ეს მემკვიდრეობით მიღებული ფორა იყო), რაც თავდაცვას ასე თუ ისე აიოლებდა, სომხები კი მხოლოდ ცდილობდნენ ამ ციტადელის სიღრ-მეში შემოჭრას და დამკვიდრებას და, მაშასადამე, უფრო რთული ამო-სავალი წერტილიდან უცდებოდათ მთავარი პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლა.

ამას გარდა, გახშირებულ გარეშე შემოსევათა შედეგად დანგრეული მეურნეობის აღდგენა საქართველოში უფრო სწრაფად და იოლად ხდე-ბოდა. ამას შედარებით ტენიანი კლიმატი და ბუნებრივი სარწყავი რუ-ების სიუხვე განაპირობებდა. სომხეთში კი მიწათმოქმედებისათვის აუცი-ლებელი საირიგაციო სისტემები ხელობრურად იყო ნაშენები და სახელ-მწიფოს მიერ ირგანიზებული დიდი კოლექტივების შრომას და დიდ სახ-სრებს მოითხოვდა. ამიტომ დანგრევის შემთხვევაში მისი განახლება იო-ლად ვერ ხერხდებოდა, ქვეყანას სამურნეო საფუძველი, მიწა ეცლებო-და...

სახელმწიფო ძალაუფლების ორზღვათმორისზე გავრცელების საჭირო-ება და აუცილებლობა ქართულ პოლიტიკურ წრეებში წინათ საყოველთა-

ოდ იყო აღიარებული<sup>1</sup>. დავით აღმაშენებელმა მხოლოდ ამ იდეის ჩეა-ლიზაცია მოახდინა. მანამდე კი ეს მისწრაფება არა ერთხელ გამომულავ-ნებულა და ამას ახალი მიწების დაყრობის თუ ტერიტორიული გაფარ-თოების სურვილი ან რომელიმე კლასის სიხარბე კი არ ასაზროვებდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-სტრატეგიული და თავდაცვითი აუცილებლობა.

სამხედრო თვალსაზრისით ამიერკავკასიაში რამდენიმე უმნიშვნელო-ვანესი წერტილი გამოიყოფა: დიდ კავკასიონზე გადასასვლელი უღელ-ტეხილები და მასთან მისასვლელი ვიწრობები (ხეობები); ზღვისაზრის დერეფნები (საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სამხრეთიდანაც და ჩრი-დოეთიდანაც, როგორც შავ, ისევე კასპიის ზღვას მხოლოდ ვიწრო დერეფნები ჩაუყვება, შედარებით ფართო მისადგომები კი მხოლოდ ამი-ერკავკასიის შიგნით იხსნება); და ამიერკავკასიის სამი „ციტადელი“: თბილის-თრიალეთი, განჯა და ყარსი.

თრიალეთის მაღალი ზეგანი არის უმნიშვნელოვანესი პლატფარმი, სა-იდანაც შეტევა შეიძლება განვითარდეს ამიერკავკასიის ნებისმიერი მი-მართულებით და თუმცა გაშლილი, ტრიალი (აქედან „თრიალეთი“?) ვე-ლია, იქ ფეხის მოკიდება გარეშე ძალთავის არც ისე იოლია, რადგან კლდეკარისა და სამშვილდის ციხეებით არის დაცული; უმთავრესი ციხე-ქალაქი კი, რომელიც თრიალეთის განშტოობას ეკვრის, არის თბილისი. ის რეგიონის ყველა გზების ფოკუში მდებარეობს, ბუნებრივი ციტადე-ლებით კარგადაა მოზღვული და ამავე დროს, რაღაც გეოგრაფიული სასწაულის ძალით, უაღრესად მარჩვედ უკაშირდება არა მარტო ამიერ-კავკასიის ვაკის მთავარ მაგისტრალებს, არმედ მთიან რეგიონებსაც. ამი-ტომ ის მარტოოდნენ ციხე და სატრანსპორტო-საგზაო კვანძი კი არ იყო, არამედ უმსგანესი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრიც და, მშეასაღამე, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის უმნიშვნელოვანესი ბურჯიც. თრიალე-თან ის ერთიან სამხედრო-სტრატეგიულ კვანძს კრავს და მისი აღება-ვერალება ისევ და იქნებ უფრო მეტად მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე ბრძო-ლის ველზე გამარჯვება და სივრცეების გაკონტროლება. მთლიანაობში მთელი ამიერკავკასიის მშეტაბით თბილის-თრიალეთი ერთ - თანაც უპირ-ველები მნიშვნელობის - სტრატეგიულ წერტილად განხილება.

ვისაც უპირვერია თბილისი, ის ამიერკავკასიის ცენტრში ბატონობს;

<sup>1</sup> ეს იდეა მაშინაც კი ბატონობდა ქართულ საზოგადოებაში, როცა მის ხორ-ცმესხმას უკვე ჩერალური სამხედრო და პოლიტიკური საფუძვლები გამოცლი-ლი ჰქონდა. მაგალითად, ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოს ანგარიშის შემდეგ იმპერიის იდეოლოგიური სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ჩე-გიონში დასახულ იქნა ამოეშანთათ ქართველების შეგნებიდან პზრი, რომ მათი სამშობლო ზღვიდან ზღვამდეა. ეს ამოცანა ცარიშმა წარმატებით გადაჭრა.

ვისაც უპყრია განჩა, ის ამიერკავკასიის ცენტრისაკენ აღმოსავლეთიდან მიმავალ გზას კეტავს (ან ხსნის); ვისაც უპყრია ყარსი, ის ამიერკავკა-სიში დასავლეთიდან შემოსასვლელ გზას აკონტროლებს და გაბატონე-ბულია მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. თუ რომელიმე სახელმწიფო სა-მივე ამ სტრატეგიულ წერტილს განაგებს, ის მოელ ამიერკავკაშიაშია დამკვიდრებული და პრაქტიკულად მანამდე არ ემუქრება რაიმე სამხედ-რო საფრთხე, სანამ ერთ-ერთ მათგანს (ყარსს, განჩას, თბილისს) არ დაჰკარგავს. ეს, შეიძლება ითქვას, სამხედრო-სტრატეგიული აქსიომებია.

არც ერთი ამ სტრატეგიულ წერტილთაგან დავით აღმაშენებელს მექვიდრეობით არ ჩატარდა. როგორც ეტყობა, მშონ ქართული სახელ-მწიფო ჯეროვნად ვერც დიდი კავკასიონის ულლეტეხილებს აკონტრო-ლებდა. „დიდმა თურქობამ“ ქართული სახელმწიფო, კაცმა რომ თქვას, გაანადგურა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა.

დავით აღმაშენებელმა სამხედრო რეფორმებით დაიწყო. და თუმცა არც ერთ მცირე თუ დიდ შეტაკებაში სელჩუკებს მასთან არ გუმარ-ჯვნიათ, თავდაპირველად ეს რაიმე შეშფოთების საბაბს მათ არ აძლევ-და. საქართველოს მიერ სულთნისათვის ხარჯის შეწყვეტაც კი არ გამ-ხდარა მათი მხრიდან განსაკუთრებული რეაგირების საგანი. მაგრამ თურქებს თვალი მალე აეხილათ. მათ დაინახეს, რომ მცირე ზომის, ოლონდ ბრწყინვალედ ორგანიზებული სახელმწიფო და სამხედრო მან-ქანა ამიერკავკასიის მთავარ ციტადელს, თბილის უახლოვდებოდა!

ამიერიდან ქართველებსა და თურქებს შორის საომარი მოქმედებე-ბის დედააზრი დიდი სტრატეგიული წერტილებისათვის ბრძოლა იყო.

ინტერესმოქლებული არ იქნება გავიხსენოთ, როგორ მოაზარა მათ შორის უმნიშვნელოვანესის - თბილისის აღება დავით აღმაშენებელმა.

დავით მეფემ ჯერ თრიალეთის გასაღები, კლდეკარის ციხე იგდო ხელთ (1097) ხოლო შემდეგ შეტევის მიმართულებას გეზი უცვალა და ზედაზნის ციხე აიღო (1101), რასაც მალე (1104) კახეთ-ჟერეთის შემოქრება მოჰყვა. ამ ნაბიჯებით თბილისი თანდათან ექცეოდა რკალ-ში. თურქთა რეაქციაც შესატყვისი იყო და სულთნის დიღმოხელის, განძის ათაბაგის საქართველოში გამოიშექრებით გამოიხატა. ერწრუსის ომში (1104) დავით მეფემ დაამარცა ათაბაგი.

„მესიის მახვილი“ შეტევას მონაცემებით - ხან აღმოსავლეთის და ხან სამხრეთის მიმართულებით ავითარებდა და თბილის დიდ რკალ-ში აქცევდა. ამ მონაცემებით ის მოწინააღმდეგეს ერთგვარად თავგ-ზას უბნევდა, რათა ერთი რომელიმე მიმართულებით ძალთა კონცენტ-რაციით მისი წინააღმდეგობისუნარიანობა არ გაეზარდა. საქმე ის გახ-ლავთ, რომ ამავე პერიოდში მისი ჭარი თურქთა მოძრავ ბაზებსაც (ელეგებს) მუსრავდა ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხეში. ეს საომარ მოქ-

მედებებს ერთი შეხედვით უსისტემო შეტევითი ოპერაციების სახეს აძლევდა და მორიგი დარტყმის მიმართულების ამოცნობას კიდევ უფრო აძნელებდა, მაგრამ თუ ციხე-ქალაქების აღების ოპერაციებს ცალკე, ყველა სხვა სახის სამხედრო მოქმედებისაგან განყენებით განვიხილავთ, მაშინ აშკარად გვეცემა თვალში მისი გეგმიზომიერება და მიმართულებათა მოწესრიგებული მონაცვლეობა. ერწრუხის მიმი შემდეგ მეფემ კახი აღმოსავლეთიდან სამხერთისაკენ იბრუნა და 1110 წელს დიდი ციხე-ქალაქი სამშვილდე აიღო (ამით ის, ფაქტოურად, თრიალეთში გახატონდა). თრიალეთის პლატფარმის დაკარგვით გააფორებულმა თურქებმა კოალიციური 100 000-იანი ჯარი შემოაგზავნეს საქართველოში, მაგრამ დავით მეფემ ამ ჯარს, რომ იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა. 1115 წელს აღმაშენებელმა პირი ისევ აღმოსავლეთისაკენ იბრუნა და ჩუსთავის დაქალამორის ციხეები აიღო, 1117-ში კი გიში; მერე ისევ შემობრუნება სამხერთისაკენ - (ლორე 1118); თბილისის გარშემო ჩაალი თანდათან ალყად ყალიბდება. ამ ვითარებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა სელ-ჭუქთა მხრიდან რაიმე გადამჭრელი ნაბიჯი. მართლაც, ახლა უკვე საქმეში სულთანი (თურქთა უზენაესი პოლიტიკური ხელისუფალი) და ხალიფა (თურქთა რელიგიური ლიდერი) ჩაერია, რასაც დიდგორის ცნობილი ომი მოჰყვა, მანამდე კი კიდევ ორი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა აღნიშვნის ღირსი.

მას მერე, რაც რუს-ურბნისის საეკლესიო კრების შედეგად (1103), დავით მეფემ ეკლესია - რომელიც მანამდე, ფაქტოურად, განცალკევებული სახელმწიფოებრივი ერთეული იყო - სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა, ერთიანი, უნიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანები ელემენტის, ქალაქების შემომტკიცებაღა აკლდა. ქალაქთა უმრავლესობა მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მდებარეობდა. ამას გარდა ქალაქებში მშინ ძლიერი იყო თვითმმართველობის და ავტონომიური განვითარების მიღრეკილება. ქალაქები მათხე გაბატონების მოსურნე ფეოდალების წინააღმდეგ იბრძოდნენ და მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას ემხრობოდნენ, მაგრამ მას მერე, რაც დავით მეფემ ერთი-მერის მიყოლებით აიღო ციხე-ქალაქები, იქიდან თურქული გარნიზონები მოაცილა და თავისი ჩააყენა, მტკიცე, თვითმპყრობელური სახელმწიფოს მშენებლობის ლოგიკის ძალით, ისინი „სამეფოდ დაიჭირა“. ეს არაფრად ეპიტნაგა თბილისის და ამიერქავკასიის ზოგი სხვა დიდ ქალაქის პოლიტიკურ ზედაფენას. მის მიერ ქალაქების მოახლოებულ გათავისუფლებაში მათმა კლასობრივმა ალლომ ისევ ფეოდალი მებატონის უღელი დალანდა. ქალაქები შეკავშირდნენ და პოლიტიკური ორიენტაცია თურქებზე აიღეს. მათი ვარაუდით თურქთა მშესვრელი დავით მეფის წინააღმდეგ სელ-ჭუქთა მოკავშირედ ქცეულ ქალაქებს თურ-

ქები უკვე მოუფრთხილდებოდნენ და დიდად აღარ შეაჭირვებდნენ. მა-შესაძამე ამიერკავკასიაში ერთიანი, არამონეთინიკური სახელმწიფოს მშე-ნებლოის პროცესში ქალაქი-სახელმწიფო ობილისი და მისი მოკავშირე ქალაქები (განდა, ღმანისი) ან თურქების უმთავრეს სამხედრო საყრდენე-ბად დარჩებოდნენ დავით მეფის წინააღმდეგ, ან საერთო სახელმწიფო-ებრივ ქსოვილს მესამე უმნიშვნელოვანეს ფენად ჩაეკერებოდნენ (ფეოდა-ლურ მონარქიასა და ეკლესიასთან ერთად) და უაღრესად დიდი ძალას შემატებდნენ. ეს კიდევ უფრო დიდი ფასს სდებდა ობილისს, როგორც ამიერკავკასიის გეოპოლიტიკურ დედაქალაქს.<sup>1</sup>

იბილისის აღება ერთიანი, უნიტარული სახელმწიფოს მშენებლობის უნიშვნელოვანესი ეტაპიც იქნებოდა და ამიერკავკასიაში შემოჭრილ თურქებს უმთავრეს სამხედრო-სტრატეგიულ საყრდენსაც გამოაცლიდა. ცოცხალი თავით ამას თურქები ვერ დაუშვებდნენ. მათთან გენერალუ-რი შეტაქება გარდაუგალი ჩანდა. ეს ერთი.

მეორე: თურქთა სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების წყაროს მათი მექოგე-ძომთაბარე ელეგი წარმოადგენდნენ. ეს იყო „მოძრავი სა-ხელმწიფო“, დედაშულით მარები სამხედრო ერთეული, ბანაკი, რომე-ლიც თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა. აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკების ზონაში (მტკვრის, ივრის, ალაზნის ჭალებში) ზამთრის საძოვრებზე ელეგის ჩამოდგომა მათი სამეურნეო აუცილებლო-ბით იყო ნაკარნახევი. დავით აღმშენებლმა ამ ელეგის დედაბუდინად განადგურება თავის სტრატეგიულ მიზნად დაისახა. საამისოდ კი საჭირო იყო გადამწყვეტი სამხედრო და სადაზვერვო უპირატესობის მოპოვება. დავით მეფის მსტორებებს გამუდმებით მოპერნდათ ინფორმაცია მოწინა-აღმდეგის არა მარტო ბაზირების, არამედ მათი გადაადგილების შესახე-ბაც. ბრწყინვალედ ორგანიზებული დაზვერვა მტერს, ასე ვთქვათ, დინა-მიკაში უთვალთვალებდა. ეს გარემოება და ის, რომ აღმაშენებელმა ჩვე-ულებრივი სამობილიზაციი ერთეულები ტაქტიკურ ერთეულებად გადაა-კეთა, მტრის მოძრავ ბაზებზე პირდაპირი (ყოველგვარი წინასაშეტევო გადაჯგუფება-დისლოკაციების გარეშე) იერიშის მიტანის შესაძლებლობას იძლეოდა, რამაც განაპირობა ომების ისტორიაში ის უნიკალური ფაქტი, რომ მოწინააღმდეგებ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოასწრო საბრძოლო წყობის მიღება. ამან მათთვის კატასტროფული შედეგები გამოიღო,

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა თბილისში მრავალრიცხვობი გარნიზონის ჩაყენებას არც ერთი მხარე არ ჩქარობდა და ეს უფრო წინდახედულობას ჰგავდა, ვიღრე რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეულ მოვლენას - გარნზონის ჩაყენება გადამწყვე-ტი შეტევის სიგნალი იწნებოდა. მართლაც, თბილისის საკითხი მხოლოდ გე-ნერალური შეტაქების მერე და გადაწყდა, დიდგორის ომამდე კი ქალაქი, ფაქ-ტურად, დამოუკიდებელ ჩესპუბლიკად ჩეხებოდა.

სელჩუკები იქლიტებოდნენ და ტყვედ უვარდებოდნენ ქართველებს. „რა-მეთუ მოიმსტოვარნის მეფემან, რომელთა მოსვრა ეგებოდის (ე. ი. ელე-ბის) და უგრძელებულად დაესხნას და მოსწყვიდნის და ესე არა ერთგზის, ანუ ორგზის, გინა სამ - არამედ მრავალგზის“.


ქართული სახელმწიფო მანქანა ზღვიდან-ზღვამდე მთელ ამიერკავ-კასიში მუსრავდა სელჩუკებს. დავით მეფემ, რომ იტყვიან, არ იღამა და არ ითენა: მისი ჯარი სამაგალითო იყო საბრძოლო მანევრების უნარით. ამ ჯარს და მის სარდალს მარტო ერთ 1123 წელს 4000 კმ-მდე მანძილი აქეს საბრძოლო მანევრებით გავლილი. ასე სხვა წლებ-შიც. თურქებს ან უნდა გაენადგურებინათ ეს არმია, ან გასცლოდნენ და ციტადელებში გამაგრებოდნენ მას.

თავის მხრივ დავით მეფესაც თანდათან, მეთოდურად მიჰყავდა საქ-მე იმ გენერალური შეტაკებისაკენ, რომელშიც სასურველი იყო არა მარტო გაემარჯვნა, არამედ მოწინააღმდეგის არმიის სრული განადგუ-რებისათვის მიერწია, რადგან ცოცხალი თავით, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, სელჩუკები თბილის არ დათმობდნენ.

მოძრავი ბაზების და თბილის-თრიალეთის საკითხმა განაპირობა დიდგორის გენერალური ომი. ამ ოში, რომელსაც მემატიანე საკვირ-ველ ძლევას უწიდებს, სელჩუკთა კალიციური, ნახევარმილიონნიანი არ-მიის ცოცხალი ძალის 90% ლიკვიდირებულ იქნა! (კიდევ ვიმეორებთ: ცოცხალი თავით სელჩუკები არ თმობდნენ თბილისს). თურქთა სამ-სედრო ძლიერება შეიძგა. თბილისი აღებულ იქნა. 33-წლიანი ომი (1089-1122) უპირველესი მნიშვნელობის სტრატეგიული წერტილისათ-ვის წარმატებით დამთავრდა.

მალე აღმაშენებლმა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული წერტილი დარღუბანდი აიღო და კასპიის კარიც ჩაეეტა. შეუვალი ორ-ზღლვათმორისის კონტურები უკვე გამოიკვეთა. რჩებოდა განჯა და ყარსი.

ამ სტრატეგიული წერტილების შემომტკიცება არ იყო იოლი. გან-ჯა და მისი მიღებარე არანი დავით IV-მ დაარბია, ხოლო ყარსის პორბლემას, თუ შეიძლება ითქვას, ალტერნატიული გადაწყვეტა მოუ-ძებნა. არზრუბ-ყარსის დერეფნის ბოლოს ყარსის პირისპირ დიდი ქა-ლაქი ანისი მდებარეობდა. ანისი დავით მეფე აიღო 1124 წელს. ყარ-სი თურქების სამხრეთ-დასავლეთ პლაცდარმად რჩებოდა, ოღონდ სა-ქართველოში ამ გზით შემოჭრის შემთხვევაში მათ ზურგში ანისი ექ-ცეოდა, რაც გამორიცხავდა თურქთა შეტევით სტრატეგიას ანისის აუ-ღებლად. მეორეს მხრივ ყარსის თურქების ხელში ყოფნა აბრკოლებდა საპირისპიროდ მიმართულ ქართულ შეტევით სტრატეგიას. დაშვარდა ერთგვარი წონასწორობა, რის შემდეგაც ბრძოლა განხისა და ყარსის



მიმართულებებზე გასაბატონებლად ლამის მთელი საუკუნე გაგრძელდა. ქართველები განჩას და მის მიმღებარე არანს თანდათან აქცევდნენ რეალში, განჩა საქართველოს ყმაღნაფიცი და მოხარეე ხდებოდა, მაგრამ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო.

საინტერესოა ერთი დეტალი. დავით აღმაშენებლის გამეფებიდან (1089) გიორგი-ლაშას გამეფებამდე (1213) გავიდა 124 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ქართველებსა და თურქებს შორის 136 საომარ შეტაკებას ითვლიან. ქართველებმა გაიმარჯვეს 131-ჯერ, თურქებმა - 5-ჯერ. თანაფარდობა დამთარგუნველია, მაგრამ ბრძოლა უმთავრესად მაინც ჯერ საქართველოს ტერიტორიაზე, მერე კი მის უშუალო მისაღვმებთან იმართებოდა, ე. ი. შეტევითი ინიციატივა მაინც თურქების ხელთ იყო. საქმე იმაში გახლავთ, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველო სამხედრო თვალსაზრისით პრაქტიკულად შეუდწივადი გახდა და და თურქებისათვის უაღრესად საშიშ ქვეყნად იქცა: სანამ საქართველო თავს იცავდა, კიდევ არა უშავდა, მაგრამ თუ ის თავდაცვით სტრატეგიას შეტევითი სტრატეგიით შეცვლიდა, მაშინ ზემოხსენებული „აეროპოლიტიკური საპირწონის“ უფექტუს გამო მის გამოჭრას ამიერკავკასიის ციტადელიდან თურქებისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა. ამ პერსექტივის თურქები შესანიშნავად ხედავდნენ, ამიტომ მათ საქართველოს მიმართ გამუდმებული თავდასმებით თავდაცვის სტრატეგია აირჩიეს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან კარგად ჩანს, რომ თურქთა თითქმის ყოველი გამოლაშერება საქართველოშე მარცხიანი იყო, მაგრამ მათ ეს როდი მიაჩნდათ დიდ ბედენად, მთავარი იყო საქართველოს თავდაცვაზე უზრუნა და ამიერკავკასიის ციტადელიდან გარეთ არ გამოხედა; ამ უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ საქმეში როგორც ფინანსურ, ისე ცოცხალი ძალის დანახარჯს სელჩუკები არ ერიდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ განჯის და ყარსის კარიბშეებს ისინი გააფიქრებული იცავდნენ. ერთ ხანს მთ წარმატებას მიაღწიეს ანისისი გარშემო ამტყდარ გაუთავებელ ომებში - ქართველებმა ანისში თავიანთი აღმინისტრაცია ვეღარ შეინარჩუნეს და ყმადნაფიციას დასხერდნენ, მაგრამ მერე მდგომარეობა გამოსწორდა.

თამარ მეფის დროს განჯა-არანის მხარეში ქართველთა ჰეგემონობა უკვე მკვეთრად წარმოიჩნდა. ამას თურქთა მორიგი კოალიციური გამოლაშერება მოჰყვა - 1195 წლის 16 ივნისს მათი 400 000-იანი ლაშქარი ქართველებმა შამქორში დამარცხეს და სამხრეთ მიმართულებაზე საბოლოოდ გაბატონდნენ. 1204 წელს კი ყარსის საბოლოო შემოერთებით საუკუნოვანი ბრძოლა დიდი სტრატეგიული სამჯუთხედი-სათვის დასრულდა. მართალია რუმის სულთან რუქნადინის თავში ეს ჰეგემარიტება მანამდე შევიდა, სანამ ბასიანის ომში ამ თავს ხმლით

გაუჩებდნენ, მაგრამ მან მაინც სცადა უკვე წაგებული საქმის ცხელ კვალზე გამოსწორება და თურქთა კოალიციური ლაშქარი ბასიანს მოჰყარა. ყარსის დაკარგვით აფორიაქტულმა რუმის სულთანმა და ბაღდადის ხალიფამ უზარმაზარი სახსრები გაიღეს ამ 400 000-იანი ლაშქრის შესაკრებად. დიპლომატიის ისტორიას შემორჩა ამასთან დაკავშირებული ერთი კურიოზი:

რუქანადინმა შეურაცხმყოფელი წერილი გამოუგზავნა მეფე თამარს და დარბაზს: „ყოველი დიაცი რეგვენია... აწ მოველ, რათა განგრუართო შენ და ერთ ეგე შენი არასოდეს აღებად ხრმლისა, რომელიც ომერთისა ჩვენდა უბოძებია“ და მისთ. კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო ის სიტყვიერი დანაბარები, რომელიც რუქანადინის ელჩია წერილის გადაცემის მერე გააცნო დარბაზის ერს - დანებების შემთხვევაში რუქანადინი თამარ მეფეს ხარჭობის პატივს აღუთქვამდა... ეს ყოველივე არ იყო მიზანშრაფვას მოკლებული გულუბრყვილო ფახი-ფუხი. საქმე ის გახლავთ, რომ თურქთა უზარმაზარი არმია ყარსის დაკარგვის შედეგ ამიერკავკასიის ციტადელში ვეღარც ერთი გზით ისე ვეღარ შეაღწევდა, ხაფუნგში რომ არ გამოწყვდებულიყო. თურქთა რეაქცია ყარსის გამო, როგორც აღვნიშნეთ, უკვე დაგვიანებული გახლდათ. კოალიციურ არმიას მხოლოდ საქართველოს საზღვრებამდე შეეძლო მოლწევა. ამის შემდეგ მას ან თვითონვე უნდა მოესპონ თავისი რიცხობრივი უპირატესობა და ასამდენი ნაწილად დაქაქსული მისდგომოდა ვიწრო ხეობებს - ფაქტურად ხაფანგებს, ანდა საქართველოს მაშინდელ საზღვრებს გადაღმა, ბასიანის გაშლილ ზეგანზე დაბანაკებულიყო და ქართველების იქ მისვლას დალოდებოდა. ქართველები, რა თქმა უნდა, სულაც არ იყვნენ ვალდებულები თავიანთი ქვეყნის გარეთ წინასწარ გამაგრებულ პოზიციებზე მდგარ მტრის უზარმაზარ ჭარს მიხტომონენ. რუქანადინს მოწინააღმდეგის ხელსაყრელ პოზიციებზე გამოტყუება ჰქონდა განზრახული და მისდა საუბედუროდ ეს მან შეეძლო კიდეც ზემოხსენებული დიპლომატიური ხრიკის გამოყენებით, მაგრამ ბასიანის ომში ქართველებმა კიდევ ერთხელ დამარცხეს თურქთა კოალიციური ჭარი და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ წინა აზიში ძალთა კონიუნქტურა მკვეთრად შეიცვლა.

ქართველების მიერ ყოველი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული წერტილის დაკავებას თურქები უზარმაზარი, კოალიციური არმიის თავდასხმით პასუხობდნენ ე. ი. თბილისის, განჯის და ყარსის დაცვას თურქები პირველხარისხოვან მნშვნელობას ანიჭებდნენ და თავიანთი უზარმაზარი სამხედრო შესაძლებლობების მაქსიმუმს ახმარდნენ. აქედან ცხადია, თუ რა იმალებოდა ამ სამი წერტილისათვის ბრძოლის უკან: დიდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონტინენტალურ (ევრაზიულ) შეხლა-

შემოხლაში გადამწყეტი წარმატების გასალების კი, უპირველეს ყოვლისა, ამ სტრატეგიულ სამუშაოებში გაბატონებით თავ-დაცვითი სტრატეგიის ძირული ამოცანა გადაიჭრა. საქართველო სამ-ხედრო ოვალსაზრისით შეუვალი ქვეყანა გახდა. დაიწყო მეორე, შეტე-ვითი სტრატეგიის ეტაპი. საქართველო, როგორც „გეოპოლიტიკური“ საპირწონე“ დამოკლეს მახვილივით გამოეკიდა „მერიდიანული ღერძის“ თავშე. (ლათინური T-ს კონიუნქტურა)

შეტევითი სტრატეგიის მთავარი მიმართულება, რაღა თქმა უნდა, იერუსალიმი იყო.

ორჩილვათშორიშიში გამაგრებული ქვეყნის გეოპოლიტიკური უპირა-ტესობა მართლაც რომ თვალში საცემია. როგორც წინა თავშიც ავ-ღნიშნებ, დასავლეთი და აღმოსავლეთი განწირული არიან ერთმანეთ-თან ბრძოლისა და ერთმანეთით თვითდადგენისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვერც დასავლეთი დაიბრუბს საბოლოოდ აღმოსავლეთს, და ვერც აღმოსავლეთი - დასავლეთს. ე. წ. „მსოფლიო ბატონობა“, მა-შასაღამე, შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ორივე მხარის - რო-გორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, ერთგვარი „მოთვინიერება“. ყველაფერს ხომ თავისი „სუსტი წერტილი“ აქვს. ხარს, მაგალითად, რქებში ხელის მოვლებით მნელად თუ ვინმე დაიმორჩილებს, მაგრამ საკმარისია ნესტორების ხრტილში რგოლი გაუყარონ და თოკით მოქა-ჩინ - საითაც სურთ, იქით წაიყვან-წამოიყანენ. ევრაზიული მთელი-სათვის ეს „სუსტი წერტილი“ სწორედ მათი შეხლის „მერიდიანული ღერძია“. საქართვისია „განზე მდგარამა“ და ამავე დროს ამ ღერძთან უშეალო შექებრი მყოფა სახელმწიფო (რომელსაც ლათინური T-ს ზედა, ჰორიზონტალური ხაზი გამოსახავს) თავისი ჰეგემონობა ან თუნ-დაც ძლიერი გავლენა ღერძის ტერიტორიაზე მყოფ ქვეყნებზე გაავრ-ცელოს და ეს სახელმწიფო სწორედ რომ ნესტორებში ჩაავლებს ხარს; მას მანიპულირების ბრწყინვალე შესაძლებლობები ექმნება და ორივე მეომარი თუ დაპირისპირებული მხარე მასთან „კეთილმეზობლობას“ არჩევს. ასე ხდება ის უმთავრესი საგარიო ღერეფნის მებაჟე, უმთავ-რესი სტრატეგიული რეგიონის გამაკონტროლებელი და ორ ურთიერ-თდაპირისპირებულ მხარეს შორის სამხედრო თუ ეკონომიკურ ურთი-ერთობების რეაგულატორი. იერუსალიმში გმილილი ღრიშებით შესვლის უფლება, რომელიც მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ მინიჭებული, ამ უპირატესობის სიმბოლური გამოხატულება იყო.

„მერიდიანულ ღერძზე“ გაბატონება არის „მსოფლიო ბატონობის“ თავისებური ფორმა - არა აზის ძიერ ევროპის შთანთქმა, ან ევრო-პის ძიერ აზის დაზოქება, არამედ მათი „უთრიერთობის რეგულირე-ბა“ არის ის ერთადერთი, რაც შეიძლება ასე თუ ისე მოითმინოს


როგორც ერთმა, ისე მეორე მხარები. ნათქვაში სულაც არ გამორიცხავს, რომ ამა თუ იმ ისტორიულ მომენტში „მესამე ძალაშ“ ორიდან ერთ-ერთ დაპირისპირებულ ძალასთან მეტი სისხლოვე გამოაშენავს. ძალთა დაბალანსებამდე ის, ცხადია, უფრო სუსტი პოზიციების მქონე მხარის სამხედრო მოკავშირე იქნება, როგორც ეს სელჭუკების და ჯვარისნების დაპირისპირებისას საქართველოს ჯვარისნებთან კავშირის შემთხვევაში იყო, სამომავლოდ კი ეს კავშირი მეტოქეობის რაღაც ელემენტსაც აუცილებლად შეიძნება, მაგრამ მანამდე საჭირო იყო შეტევითი სტრატეგიის ამოცანის განხორციელება და სამხედრო ჰეგმონთის მოელ „მერიდიანულ ღერძზე“ (იერუსალიმში) დამყარება.

მაშინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მცდელობა სწორედ აქეთ იყო მიმართული. საქართველოს, როგორც სახელმწიფო-ტერიტორიული ერთეულის გარშემო არ დარჩენილა არც ერთი ღიობი; ყველა მოსაზღვრე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოს დაქვემდებარებაში მოექცა. ისინი ორ კატეგორიას ქმნიდნენ: პირველში შედიოდნენ პროტექტორატები - ანუ ის პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც სცნობდნენ რა საქართველოს პოლიტიკურ სიუზერენიტეტს, ვალდებული იყვნენ: ა. არ დაემყარებინათ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი სხვა სახელმწიფოებთან; ბ. გამოიყვანათ ჯარი საქართველოს სასარგებლოდ. თავის მხრივ საქართველო მათ ანიჭებდა ე. წ. „შემოხვეწებული“ ქვეყნის სტატუსს და მუდმივი ზავის (საქართველოს მხრიდან) და თავდაცვის (გარეშე სახელმწიფოების მხრიდან) გარანტიებს. ფაქტიურად ეს იგივე საქართველოს ტერიტორიებია თვითმმართველობის უფლებით.

მეორე კატეგორიის ქვეყნებს (იხ. დანართი) შეადგენდნენ საქართველოს ვასალები, რომლებიც ასევე სცნობდნენ რა საქართველოს პოლიტიკურ სიუზერენიტეტს, ვალდებული იყვნენ: ა. არ დაემყარებინათ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი საქართველოს მოწინააღმდეგ პოლიტიკურ ერთეულებთან; ბ. საქართველოს სასარგებლოდ ეხადათ ხარკი. საქართველო ამ ქვეყნებს აძლევდა „ზავის სიმტკიცეს მათგან შეუცდომლობასა შინა“, ანუ მუდმივი ზავის გარანტიას ვასალური ვალდებულებების დაურღვევლობის შემთხვევაში, მაგრამ თავდაცვის („მტერთაგან უზრუნველყოფის“) გარანტიას - არა.

საქართველოს სშინაო პოლიტიკური თავისებურება ახალი ერთეულების სრული შემოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. საქართველოს სამეფო უასს ამბობდა შემდგომ ტერიტორიულ გაფართოებაზე და „მერიდიანულ ღერძზე“ ჰეგმონთის დასამყარებლად სხვა ფორმებს ეძებდა.

როგორც პირველი, ისე მეორე კატეგორიის ქვეყნები ერთად აღებული ქმნიდნენ ერთიან სარტყელს, ყველა მათგანი შეხებაში იყო სა-



ქართველოს საზღვრებთან. მოსაზღვრე ქვეყნების გადაღმა მდებარე პოლიტიკურ ერთეულებზე ანუ მეორე ქველონის ქვეყნებზე კი სამხედრო შეტევა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული: ოურქულ-არაბულ-ისლამური სამყაროს სიღრმეში შეჭრა შორეულ სამხედრო კამპანიებისათვის საგანგებოდ მომზადების გარდა აუცილებლად საჭიროებდა ფლანგების და ზურგის უზრუნველყოფასაც. ზურგი პირველი ქველონის ქვეყნებით ასე ისე, უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ რაც უფრო ღრმად შეიჭრებოდნენ ქართველები სამხერეთში პალესტინის მიმართულებით, მით უფრო იჩრდებოდა ფლანგებიდან მოწინააღმდეგის შემოტევის და პიზიციურ ალყში მოქცევის აღბათობა. ერთი სიტყვით, „ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად“ გადამწვეტი შტურმის წამოწყების წინ საჭირო იყო ფლანგებიდან კონტრადარტყმის შესაძლებლობის გამორიცხვა. ამ მიზნით ორი დიდი სამხედრო კამპანია იქნა მომზადებული და ჩატარებული. ერთი დასავლეთით - შავი ზღვის სამხერეთ სანაპიროს გაყოლებით, რის შედეგადაც ტრაპიზონის იმპერია დაარსდა (1204) და მეორე - აღმოსავლეთით, თავრიზ-ყაზინის მიდამოებში კასპიის ტბის სამხერეთ სანაპიროს გასწრივ (დღევანდელი გილანის და მაზანდარანის პროვინციების გაყოლებით). ქართველმა იქ თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს (1210). ამ დაპყრობითი კამპანიის უკიდურესი წერტილი - რომ-გური კასპიის ტბის სამხერეთ-აღმოსავლეთ ნაპირობა მდებარეობს. აშკარაა, რომ სამხერეთში წინ წაწულ ქართულ სამხედრო ნაწილებზე ხორებმის მხრიდან იერიშის მიტანის შემთხვევაში, ხორებმის ცენტრალურ ოლქებთან უშუალო სიახლოეს მყოფი ეს დაპყრობილი ტერიტორიები ამ ქვეყნის დარბევის პლატფარმადაც გამოდგებოდა (რაც ხორებმის ჭარს აიძულებდა უკან მიბრუნებულიყო და თავისი ქვეყნი-სათვის მიეხედა), და საჭირო შემთხვევაში, ქართველების ფლანგებიდან შეტევის მოსურნე ხორებმის სამხედრო ნაწილებზე ზურგიდან კონტრარტყმის საუკეთესო ამოსავალ პიზიციადაც.

ამავე დატვირთვის იყო ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორია ცენტრალურ ანატოლიაში გამაგრებულ თურქთა წინააღმდეგ.

ფლანგები უზრუნველყოფილ იქნა. არსებობდა არაზეულებრივად ხელსაყრელი იდეური მოტივირება - ქრისტიანულ ერს უნდა დაეხსნა წმინდა ქალაქი. იყო ყოველნაირი - ფინანსური, მატერიალური საშუალებანი, ბრწყინვალედ გაწვრთნილი და ძლევამოსილი ჭარი... არის ცნობები, რომ იერუსალიმის მიმართულებით ზოგიერთი შეტევითი ოპერაცია ქართველებმა აღრევე ჩაატარეს. რომის პაპი პონორიუს III და ჭვაროსანთა მთავარსარდალი კარდინალი პელაგიუსი აჩქარებდნენ საქართველოს სამეფო კარს. ლაშა-გიორგი გენერალური შეტევისათვის ემზადებოდა. დასავლეთის და აღმოსავლეთის დიდ დაპირისპირებაში თვი-

სობრივად ახალი ეტაპი იწყებოდა – აღმოსავლეთი, ერთი შეხედვით, აშკარად თმობდა პოზიციებს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქართველო მთელი საუკუნე იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის დიდი დაპირისპირების ერთ-ერთი უძთავრესი და სულ უფრო მზარდი მონაწილე, რამაც ის ამ დაპირისპირების გორდიას კვანძად აქცია – კვანძის გახსნა კი ერთბაზად მოხდა. აღმოსავლეთი გააფთრებული ებრძოდა საქართველოს არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ – და ეს არის საყურადღებო – სოციალურ სიბრტყეშიც. სამწუხაროდ, ამ მეორე ფრონტზე XIII საუკუნის საქართველო დამარცხდა:

ქართულ ეკლესიში ვერ გავიდა გიორგი ათონელის ჩეფორმა – ეს ერთი;

ბატონიყმურმა მონობაზ სამოქალაქო ომის გზით დათრგუნა თავისუფალი მეწარმეობის პრინციპის დამცველი „მესამე წოდება“ – ეს ორი;

ბატონიყმურმა ბარმა ასევე ომის გზით დააჩიქა საქართველოს არა-ბატონიყმური მთიანეთი – ესეც სამი.

საქართველო სოციალურად „გააღმოსავლურდა“. ზემოთ უკვე ავღნინეთ „მერიდიანულ ლერძზე“ მგლომი სახელმწიფოსათვის თუ რა კატასტროფული შედეგების გამოღებაც შეუძლია შენაგან გაორებას. სოციალური გააღმოსავლურების მიუხედავად საქართველო რაღაცნაირი ინერციით თავს დასავლეთის მოკავშირედ თვლიდა და ნაწილობრივ დასავლეთადაც რჩებოდა. საქმე ის გახსნავთ, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის დაპირისპირების ძირითად ფსიქოლოგიურ მუხტს ამ პერიოდში რელიგიური სხვაობა ქმნიდა. წინდახედული პოლიტიკოსების (დავთ IV, თამარი) მიერ ტოლერანტული პრინციპების გატარების მიუხედავად საზოგადოების წამყვნი ფენის ძირითადი პათოსი მაინც, რასაკირველია, „ურაგულოთაგან ქრისტეს საფლავის გამოხსნა“ იყო...

სწორედ ამ გაორებამ, დასავლეთისაგან – სოციალურმა, ხოლო აღმოსავლეთისაგან ფსიქოლოგიურმა გაუცხოებამ, გამოიწვია „ოქროს ხანის“ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს კატასტროფა; ასეთი გაორება სულაც არ გამოდგა ოქროს კვეთი.

ევროპულობა, დასავლურობა თავისი ისტორიას – როგორც ეს პირველ თავშიც გაკვრით ავლნიშნეთ – ბერძნული პოლისიდან იწყებს. პირველად იქ დაიწყო პიროვნების მითოსურ-კოლექტივის ტური ფსიქოლოგიისაგან გამოთავისუფლების და ინდივიდის დაბადების მტკიცნეული სოციალური პროცესი. სახელმწიფოებრიობის უკვე ათას ხუთას წლოვანი ისტორიის მქონე მაშინდელ საქართველოში ეს პროცესი ადრევე, თვით ანტიკური ხანიდან იღებს დასაბამს. XIII საუკუნის ქართულ საზოგადოებაში ინდივიდუალისტური ფსიქიკა უკვე საკმაოდ ფართოდ დაღმად იყო გამჭდარი. სოციალურ სიბრტყეშე აღმოსავლეთთან წარ-

მოებულ ომში საქართველოს სამიცე ზემოხსენებული ფრონტით დამარცხებამ გამოიწვია სრული შეუსაბამობის დამყარება ერთის მხრივ ინდივიდუალისტურ (დასავლურ) ფსიქიკასა და მეორეს მხრივ ტირანულ-ბატონიშურ (აღმოსავლურ) იდეოლოგიას და მმართველობას შორის. სახელმწიფოს სიმტკიცე, ცხადია, შეიძლება დესპოტიის გზითაც იქნეს მიღწეული და ეს ქაოსს სჭიბია, მაგრამ აღმოსავლური დესპოტია, როგორც მმართველობის ფორმა, მასების კოლექტივისტურ-მითოსურ ფიქოლოგიას ეყრდნობა, საქართველოში კი სწორედ ამ მკეთრად გამოხატული ინდივიდუალისტური ფიქოლოგიის ფართოდ გავრცელებულობის გამო დესპოტია ვერ ახერხებს განმტკიცებას; სხვა საკითხია, რომ საუკუნოვანმა აღმოსავლურმა ძალადობამ (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან) ბოლოსდაბოლოს სათანადო ფსიქიკაც აღაზევა და ინდივიდუალიზმთან ერთად ქართულ სოციალურ ფსიქოლოგიაში ცრუებითოსური განწყობილება დაამკვიდრა, მაგრამ ეს უფრო მოვაინებით მოხდა.

ამ გაორების შედეგად ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. ჯალალ-ედინს ჯერ გახელმწიფოებულმა (ერთიანი სახელმწიფოსაგან გაორგულებულმა) მემაშულებმა დაუთმეს გარნისის ომში გამარჩვება (სწორედ რომ დაუთმეს)<sup>1</sup> ხოლო შემდეგ მუსლიმანებმა (ქრისტიანული და ამ აზრით დასავლური ქვეყნის აღმოსავლურმა ელემენტმა) გაულეს თბილისის კარიბები.

თოხი თაობის სისხლით და ოფლით შედუღაბებული ამიერკავკა-სიული ციტადელი შიგნიდან გატყდა. „აღმოსავლეთს“ რომ ქვეყნის შიგნით სოციალურ სფეროში არ გაემარჩვნა და ქვეყანა შინაგანად არ გაორებულიყო, ის პოლიტიკურ კრიზისებს და ქაოსს თავიდნ აიცილებდა და ვერავითარი ჯალალი მას ვერ დაამარცხებდა. მაგრამ მოსახდენი მოხდა.

ამის შემდეგ საქართველო მხოლოდ მძიმე თავდაცვით ომებს ეწეოდა. ქართველებისათვის ამ ომების ძირითადი შინაარსი ერის ფიზიკური გადარჩენა იყო, ისტორიის მეხრისათვის კი ამ გზით „გეოპო-

<sup>1</sup> „მთებზე იერიში არ მიაქვთ“ – ამბობდა თურქე ნაპოლეონ ბონაპარტე. ჯალალმა დიდი ყოყმანის მერე გააფორმებული იერიში მიიტანა სიმაღლეზე, რომელსაც ქართული ჯარის მხოლოდ მეტინავე ნაწილი იცავდა. როდესაც მთელი მისი ძალები ამ სიმაღლის ასაღებად იყო გადაძაბული, ამ გადამწყვეტ მომენტში ფლანგებიდან დარტყმის წინასწარდაგეგმილი ოპერაცია ივ. მხარგელმა არ განახორციელა და მეწინავეთა სარდლობა (ძმები ახალციხელები) მტერს შეატოვა – შურითო, არაორგზროვნად წერს მემატიანე. პირველკაცობის, განხელმწიფების დაუოკებელი სურვილი, ბატონიშურ-დესპოტური ფსიქიკა – აღმოსავლური სინდრომი, რომელიც მშინდელი საქართველოს მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის ფენას მოედო – აი, რა გახდა მარცხის მიზეზი.

ლიტიკური საპირწონის“ მისია საქართველოშ თავის ჩრდილოელ „ერთმორწმუნე“ ქვეყანას, რუსეთს ესტაფეტასაგოთ გადასცა.

თუ არ ვცდები, ეპისკოპოს კირილს უნდა ეკუთვნოდეს იდეა, რომელიც მერაბ კოსტავამაც გაიმერა. ისლამური იმპერიის ალყში მოქცეული საქართველოს ხუთსაუკუნველი თავდაცვით ომს, მის ამ დაუმორჩილებლობას და გაუტეხლობას ობიექტურად, მსოფლიო ისტორიის თვალსაწიერიდან დანახული, ის შედეგი მოჰყვა, რომ ოტომანთა იმპერიამ ვერ შეძლო ერთიანი, უწყვეტი ფრონტალური ხაზის შექმნა ჩრდილოეთის მიმართულებით. საქართველო მას სუნიტურ ჩრდილოეკავკასიათან უშუალო მისავლელებს უკეტავდა და კაზაკურ ბარიერებზე შეტევთი სტრატეგიის წარმართვას უბრკოლებდა. ამან რუსთა დრო მოაგდინა. ტერიტორიული სიღილის მიუხედვად ის მშინ ჯერ კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ ისმალეთის ვასალმა, ყირიმის სახანომ მარტო საკუთარი ძალების ხარჯზე სხვადასხვა ღრის მრავალი და გადაწვა მოსკოვი.

ასე იყო თუ ისე, „ოქროს ხანის“ საქართველოს ისტორიული გამოცდილება უფლებას გვაძლევს შემდეგი ხასიათის ზოგადი დასკვნა გავაკეთოთ:

როდესაც „მერიდიანული ღერძი“ უძრავია და ლათინური T-ს კონიუნქტურა იქმნება, მაშინ იმ სახელმწიფოს შიგნით, რომელსაც „გეოპოლიტიკური საპირწონის“ მისია აკისრია, (საქართველო. რუსეთი) და-სავლეთ-აღმოსავლეთის წინააღმდეგობის გამწვავება (ანუ ამ ქვეყნის განვითარების ევოლუციური ვარიანტის ნაცვლად რევოლუციური პროცესების გაღვივება) მით უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მას, რაც უფრო რეალური იქნება მისი პრეტენზია „მერიდიანულ ღერძზე“ ჰეგიმონბის. თუ ამ ჰეგიმონბის პრეტენზით ორივე მხარის (მაშრიყის და მაღრაბის) ინტერესები ერთნაირად ილახება, მაშინ ორივე მხარე ასევე ერთნაირი გულმოდგინებით შეეცდება ანგარიში გაუსწოროს ასეთ სახელმწიფოს.

## გავპასიაში გეოპოლიტიკურ ქაღალდების შესახებ

სტატიის მიზანია კავკასიში არსებულ გეოპოლიტიკურ ძალთა გან-ლაგების აღწერა, ერთგვარი რელიეფის შექმნა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება განისაზღვროს საქართველოსათვის საგარეო პო-ლიტიკის ორიენტირები. ამგვარი წინასწარი მოსაზრებების, გათვლების საშუალებით შევძლებთ ერთმანეთისაგან გამოვყოთ უცხო ქვეყნები ჩვენ-თვის მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მიხედვით, შევარჩიოთ მათ შორის გრძელვადიანი სამედო პარტნიორები.

სტატიის აქტუალობას ადასტურებს კონფლიქტების სიმრავლე კავ-კასიში, რაც ნაწილობრივ შედეგია იმისა, რომ საქართველოსა და კავკასიის სხვა პოლიტიკური ერთეულების მიერ არ ხდება რეგიონის შესატყვისი პოლიტიკის გატარება.

### მსოფლიოული მიმოხილვა

უძველესი დროიდან საქართველოს სახელმწიფო მეწობელ სახელმ-წიფოებთან ინგტენსიური ურთიერთებების ფონზე ყალიბდებოდა.

საქართველოს სამხრეთით გავლენის სფეროებისათვის იბრძვის ორი დიდი იმპერიული სახელმწიფო: ირანი და ოსმალეთი. საქართველოს ჩრდილოეთით კი თანდათან ყალიბდება რუსეთის იმპერია. ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად, ხდება მისი კავკასიისაკენ წამოწევა.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, რომელთა ავტონომიური ადგილი რეგიონულ პოლიტიკურ სურათში ჯერ არ არის გამოკვეთილი, უდგე-ბათ რუსეთისაგან თავის დაცვის პრობლემა. რაც შეეხება საქართვე-ლოს, იგი არამყარი წონასწორობის მდგომარეობაშია. ირანი ცდილობს თავის ველში ჩაითრიოს საქართველო, ოსმალეთი კი მის თავის გავ-ლენის სფეროში დაფიქსირებას ლამობს.

ჩრდილოეთ კავკასიში, რუსეთისაგან იდეოლოგიურად გამიჩვნის აუ-ცილებლობამ ისლამის გავრცელება გამოიწვია. ეს შემთხვევითი აქტი არაა და მხოლოდ ოსმალეთისა და ირანის მცდელობით არ აისწება. სიტუაცია მსგავსია იმ ვითარებისა, როდესაც საქართველოში ქრისტი-ანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს აქტი საქართველოში პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და ქართველი პოლიტიკოსების მომ-ზადებული იყო, რათა საქართველო გამიგნოდა მაზდეანურ ირანს და

რომთან კავშირი განემტკიცებინა. მოგვიანებით, სამხრეთელი მეზობლების წაქეზებით გაძლიერება იწყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების თავ-დასხმებმა საქართველოზე. ამის გამოვლენა ლეკანობაც. გასაგებია, რომ საქართველოს უნდა მოექმნა რაიმე საშუალება, რათა გაეწონას-წორებინა ორმხრივი დაწოლა. სწორედ ამით აიხსნება ქართველი მე-ფების სწრაფვა რუსეთისაკენ. სწორედ რუსეთთან კავშირით უნდა მომ-ხდარიყო ქრისტიანული და მაშმადიანური ძალების გაწონასწორება კავ-კასიში. იმას, რომ რუსეთთან კავშირი თვითმიშანი არ ყოფილა და წარმოადგენდა მრავალმხრივი ძიების შედეგს, ეგროპაში პოლიტიკური მხარდაჭერის სამიებლად სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობაც ადას-ტურებს. ამგვარად, რუსეთთან კავშირით კავკასიაში შეიქმნებოდა ქრის-ტიანული და მაშმადიანური ძალების ზოლოვანი განლაგება: სამხრე-თით მაშმადიანური ფრონტი, შემდეგ ქრისტიანული საქართველო, შემ-დეგ მაშმადიანური ჩრდილოეთ კავკასია, და ბოლოს - ქრისტიანული რუსეთი. როგორც ვხედავთ, კავკასია წარმოადგენს ბუფერულ ზონას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, სადაც რეალიზებულია როგორც მაშმადიანური სამხრეთის, ისე ქრისტიანული ჩრდილოეთის ინტერესები.

ე. ი. სამხრეთისა და ჩრდილოეთს გეოპოლიტიკური ველები ერთმა-ნეთთან შეხებისას ქმნიან არა უშუალო საზღვარს, არამედ გარკვეული აზრით რთულ სტრუქტურას, ზოლოვან განლაგებას, სადაც ხდება ამ ძალების გაწონასწორება.

კავკასიურ კვანძზე წარმოდგენა სრული არ იქნება, თუ მას გან-ვიხილავთ მხოლოდ სამხრეთის მაშმადიანური და ჩრდილოეთის ქრის-ტიანული გეოპოლიტიკური ძალების დაბირისპირების თვალსაზრისით. კავკასია ასეთივე დიდ როლს თამაშობდა ირანულ-ოსმალურ, შიიტურ-სუნიტურ დაპირისპირებაში.

სომხეთ-ზერბაიჯანი ირანისა და თურქეთის გეოპოლიტიკური ვე-ლების შეხების ადგილზე ქმნიან ძალთა ისეთივე განაწილებას, რო-გორსაც საქართველო-ჩრდილოეთი კავკასია მაშმადიანური და ქრისტი-ანული ველების შეხების ადგილას.

ოსმალეთია და მის მონათესავე თურქულენოვან პეტრბაიჯნელებს შორის მოქცეულია სომხეთი, რომელიც წვრილი ყელით უკავშირდება ირანს და ამავე დროს ეს წვრილი ყელი ჰყოფს აზერბაიჯანს და ის-მალეთს ერთმანეთისაგან. ე. ი. გვაქვს ასეთი განლაგება: ისმალეთი, შემდეგ ირანული ორიენტაციის სომხეთი (სომხეთისა და ირანის ტრა-დიციული მოკავშირების ნიშანია სომხეთის მონოფიზიტობა, რომელიც ირანის ხელშეწყობით ვრცელდებოდა კავკასიში, რათა ამით კავკასია გამიჯვნოდა ბიზანტიას), შემდეგ პეტრბაიჯანი, რომელიც მართალია ირა-ნის გავლენის სფეროა, მაგრამ ეთნიკურად და ენობრივად თურქეთის

მონათესავეა და ბოლოს ირანი. ხშირად გაოცებას იწვევს, თუ როგორ არ წალეკა ოსმალეთმა სომხეთი და ვერ დაუკავშირდა აქერბა-იჯანს. საქმე ისა, რომ ამას არ დაუშვებდა ირანი, რადგან მამინ იგი ჩრდილოეთიდან მთლიანად მოექცეოდა თურქულ რკალში. როგორც ცნობილია, ირანს ჩრდილოაღმოსავლეთიდან აწიოკებდნენ თურქენები. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება ხელს აძლევდა სომხეთსაც. მისთვის ირანთან კავშირი თვითგადარჩენის საშუალება იყო.

როგორც ვხედავთ, კავკასია ისტორიულად ჩამოყალიბებული როული პოლიტიკური კვანძია, სადაც რეალიზებულია სამი დიდი გეოპოლიტიკური ძალის: რუსეთის, თურქეთის, ირანის ინტერესები. თითოეული ამ ძალის გაძლიერება კავკასიაში იწვევდა საწინააღმდეგო, გამაწმნასწორებელი ძალების გაძლიერებასაც. ჩამოთვლილ სამ დიდ გეოპოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობა არა მხოლოდ აისახებოდა კავკასიაზე, არამედ კავკასია, თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობდა ამ ურთიერთობათა რეგულირებაში.

## დღევანდელი ვითარების ანალიზი

დღეისათვის, დიდი გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, კავკასიაში გვაქმს სამი სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი, აქერბაიჯანი და ამათ გარდა, რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებმიც თანათან ძლიერდება დამოუკიდებლობის ტენდენციები. ყოველ მათგანს გააჩნია უამრავი პრობლემა, რომლებიც პოლიტიკური კლიმატის მქვეთრი ცვლილებითაა გამოწვეული. ასეთ ვითარებაში კავკასიის ხალხები ცდილობენ საიმედო პარტნიორები მონახონ ძლიერი ქვეყნების სახით, რომლებიც მიექმარებიან მათ ამ პრობლემების გადაჭრაში, განდებიან მათი უსაფრთხოების გარანტები, დააჩქარებენ მათ მსოფლიო პროცესებში ჩართვას.

თავის მხრივ, დიდ რეგიონულ ქვეყნებს - რუსეთს, თურქეთს და ირანს საკუთარი ინტერესები გააჩნიათ კავკასიის მიმართ.

ირანისათვის, მისი ნედლეულის ქქსპორტისათვის ევროპაში, კავკასიის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სატრანზიტო მაგისტრალს. ირანისათვის ეს ერთ-ერთი უმოქლესი სავაჭრო მარშრუტია. ასეთი ურთიერთობით საქართველო დიდად მოიგებს.

თურქეთს, სომხეთისა და საქართველოს საშუალებით, შეუძლია დაუკავშირდეს აქერბაიჯანს, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიას, გოლგისპირეთისა და შუა აზიის თურქულენოვან მოსახლეობას.

რუსეთის ეროვნული ინტერესები ჩამოყალიბების პროცესშია. მიუ-ხდავად ამისა, თუ რუსეთში რეფორმები ნორმალურად წარიმართება, შეგვიძლია ვიგარაუდოთ მისი შესაძლო ინტერესები: ესაა რუსული კა-ბიტალის მინიმალური დაბრკოლებით მოძრაობა ირან-ინდოეთის მიმარ-თულებით შესაძლებლობისდა მიხედვით კონტროლი კავკასიაზე, რო-გორც პლატფარმზე წინა აზიაში მიმდინარე მოვლენებზე აქტიური ზე-მოქმედებისათვის.

დღეს კავკასიაში მოვლენები ვითარდება რუსეთის წინააღმდეგობ-რივი შინაგანი პროცესების ძლიერ ფონზე და ორიენტაციებზე ცალსა-ხად მსჯელობა ძნელია. მიუხედავად ამისა, ჩეგიონულ ღონიშვი, მანც შეგვიძლია დავაკვირდეთ შემდეგ ტენდენციებს:

აზერბაიჯანში ყალიბდება თურქული ორიენტაცია, ეს თითქოს ბუ-ნებრივია. სომხეთში კი, კავკასიის სხვა რეპუბლიკებთან შედარებით, ძირდება ირანთან ურთიერთობის ინტენსივობა და ხარისხი. რაც შე-ექება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, ისინი რუსეთისგან გამიჯნის მიზ-ნით ცდილობენ გამონახონ კავშირები თურქეთთან და არაბულ სახელ-მწიფოებთან. (მაგალითად, ჩენენტის ლიდერის - ლუდავის შეხვედრები თურქეთისა და არაბეთის რიგი სახელმწიფოების ლიდერებთან 1993 წლის შემოდგომაზე, რასაც რუსეთის მწვავე რეაქცია მოჰყა). რაც შეექება საქართველოს, მას კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით პო-ლიტიკური მანევრირების, თავისუფლების მეტი ხარისხი გააჩნია, რად-გან მას გეოგრაფიული მდებარეობის გამო კავშირების ყველაზე დიდი არჩევანი აქვს. მიუხედავად ამისა რუსეთის განსაკუთრებული დაინტე-რესება საქართველოთი, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ფინანსური-ური პრიოტენური წრეების განსაკუთრებულ ყურადღებაში, აგრეთ-ვე თეორეტიკოსთა რაღიკალურ მსჯელობებში იმის შესახებ, რომ „რუ-სეთ სჭირდება ერთანი, ძლიერი, დემოკრატიული საქართველო“ თუ „დანაწევრებული სინთეტიკური სახელმწიფო“, რათა უზრუნველყოს თა-ვისი ინტერესების უსაფრთხოება სამხრეთის მიმართულებით) შეიძლება განმსაზღვრელი აღმოჩნდეს საქართველოს ორიენტაციის ჩამოყალიბები-სას რეგიონულ ღონიშვი.

საინტერესოა აგრეთვე ფაქტი - მშინ როდესაც საქართველო ცალ-მხრივად ორიენტირებულია „დემოკრატიულ“ რუსეთშე - პრეზიდენტზე, ჩრდილოეთ კავკასიელებს ძლიერი პოზიციები გააჩნიათ რუსეთის „რე-აქციულ“ ნაწილში - პარლამენტში. დაპირისპირება „ორ რუსეთს“ შო-რის იწვევს დაპირისპირების ზრდას კავკასიელებს შორის. თავის მხრივ, კავკასიაში დაპირისპირება იწვევს რუსეთის აღნიშნულ ორ ბანაკს შო-რის წინააღმდეგობათა გამწვავებას. (მაგალითად: 1992 წელს, მაისში,

ოსეთის კონფლიქტის გამწვავებას მოყვა რუსეთში „რეაქციონურების“ პიზიციების დასუსტება. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებას - „დემოკ-რატების“ მიერ ინიციატივის დაკარგვა). ანუ ჩრდილოეთ კავკასიელები და ქართველები ისევე როგორც ოდესლაც, ღღესაც სხვადასხვა - ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკებში ვიმყოფებით.

კავკასიაში ისტორიულად ჩაგდებული მექანიზმი ასახავს დაპირისპირების ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. საქართველო-ჩრდილოეთ კავკასია ასახავს ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებას, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანი - აღმოსავლეთ-დასავლეთის (ირან-თურქეთის) დაპირისპირებას. მართლაც, თუ დავაკვირდებით დევანდელი საკონფლიქტო ზონების განლაგებას, დავნიხავთ, რომ ისინიც ამ დაპირისპირებებს ასახავენ: აფხაზეთ-ოსეთი ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ხოლო ყარაბაღი - აღმოსავლეთ-დასავლეთის, ირან-თურქეთის დაპირისპირებას. აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ საქართველოს რაიონებში იყო კონფლიქტის ესკალაციის რამდენიმე მცდელობა. მოუხედავად ამისა, კონფლიქტებს ქართველებსა და სომხებს, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მძაფრი სახე არ მიუღიათ.

როგორც ვხედავთ, რეგიონში ძალთა განაწილების ისტორიული სურათი კვლავ აქტუალურია. მცირე რეგიონი, კავკასია, წარმოადგენს რთულ ნერვულ კვანძს. ხოლო კავკასიაში პოლიტიკური კლიმატი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამ ღია რეგიონალურ ქვეყანაზე: რუსეთ-ზე, ირანზე და თურქეთზე. კავკასიის როლი, შიდაკავკასიური კონფლიქტების მოწესრიგების პარალელურად, რუსეთის, ირანის და თურქეთის ურთიერთობების რეგულირებაში კიდევ უფრო გაიზრდება.

### საზოგადოები რეგიონული პავარობისათვეს

როგორც ვნახეთ, კავკასია წარმოადგენს ფუნქციურად გამოყოფილ პოლიტიკურ რეგიონს. ახლა განვიხილოთ საკითხი, არის თუ არა საჭირო კავკასიაში გარკვეულ დონეზე ერთიანი პოლიტიკის გატარება. ხომ არ უქმნის საფრთხეს კავკასიის სტაბილურობას ამ რეგიონში მოვლენების თვითდინებაზე მიშვება.

ამისათვის შევხედოთ კავკასიაში მიმღინარე პროცესებს არა რუსეთთან, თურქეთთან ან ირანთან დაპირისპირების თვალსაზრისით, არა-მედ სხვა მხრიდან, თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ, თვითგადარჩენის მიზნით სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში მოხვედრილ კავკასიის ხალხებს ერთმანეთთან.

ისტორიიდან ცნობილია როგორ აწიოკებდნენ, ირანისა და თურქეთის წაქეზებით მოქმედი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები საქართველოს. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ კი, რუსეთის არმიის ქართველმა ოფიცრებმა იწყეს ანგარიშის გასწორება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. მას შერე, რაც რუსეთმა ფეხი მოიკიდა კავკასიაში, რუსები საქართველოში წესრიგის დამყარებისათვის ჩრდილოეთ კავკასიელებს იყენებდნენ.

როგორც ვხედავთ, შეიქმნა უაზრო მდგომარეობა - ხალხებს, რომლებსაც ერთი პრობლემა ჰქონდათ - როგორმე გადაერჩინათ თავი, შეენარჩუნებინათ ოვითმყოფაღობა, შეეჩერებინათ, ერთის მხრივ, რუსეთის, ხოლო, მეორეს მხრივ, ირან-თურქეთის დაწოლა, იქცნენ იარაღად სხვის ხელში, რომელსაც ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ.

გარკვეული პრიოტივი იგივე სურათი მეორდება დღესაც. კავკასიის შიდა კონფლიქტებს აძლიერებს ან სულაც წარმოშობს გარეშე გავლენა. არსებობს ასეთი კონფლიქტების რაოდენობის ზრდის საშიშროება.

ასეთი მდგრადარეობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ გარკვეულ შიდაკავკასიურ პოლიტიკაზე, შიდაკავკასიურ მოლაპარაკებაზე. ამ მოლაპარაკებების იდეა მარტივია: მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციისა და სიმპათიებისა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სახელმწიფოს საზღვრებში შედის კავკასიის ესა თუ ის ხალხი, კავკასიის ხალხებმა ერთმანეთს არ უნდა შეუქმნან დესტრაბილიზაციის საფრთხე. ყველა კონფლიქტი უნდა წყდებოდეს შიდაკავკასიური მოლაპარაკებით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასიაში ჩადებული მექანიზმის გამო, აუცილებლად მოხდება კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია. ასეთ შემთხვევაში კი ყველა წაგებული იქნება.

ახლა ვაჩვენოთ რას მისცემს ასეთი შეთანხმება კავკასიას.

შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში კავკასია მოექცევა პოლიტიკურად ოპტიმალურ მდგომარეობაში: რუსეთის ენერგია, რეალიზებული ამიერკავკასიაში, მოხმარდებოდა კავკასიაზე მაპმაღიანური სამხრეთის დაწოლის გაწონასწორებას, ხოლო მაპმაღიანური სამხრეთის ენერგია, რეალიზებული ჩრდილოეთ კავკასიაში, მოხმარდებოდა რუსეთის დაწოლის გაწონასწორებას კავკასიაზე. ამით შესაძლებელი გახდებოდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაწოლის ერთმანეთით გაწინასწორება.

ამგვარად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ენერგია, რეალიზებული კავკასიაში, მოხმარდება არა შიდაკავკასიურ ომებს, რომელიც დაასუსტებს კავკასიას, არამედ იმუშავებს კავკასიის სასიკეთოდ, დაიცავს მას, შექმნის სტაბილურობის გარანტიებს კავკასიაში.

ამ თქმა უნდა აღწერილი მექანიზმი სინამდვილეში გაცილებით

როულია და ნორმალური მუშაობისათვის მრავალი ვარიანტის გათვლა-სა და სიტუაციაზე მუდმივ თვალყურის დევნას ითხოვს. მიუხედავად ამისა, იგი არაა რეალურ საფუძველს მოკლებული და მსგავსი შექანიშების მუშაობას შეგვიძლია დავაკვირდეთ ბევრგან. მაგალითად:

საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე ცხოვრობს ორი ეთნოსი - ბასკები და კატალონიელები. ისინი თითქმის ერთნაირ გეოპოლიტიკურ პირობებში იმყოფებიან. ერთის მხრივ, განიცდიან ესპანეთის, ხოლო, მეორეს მხრივ, საფრანგეთის გეოპოლიტიკური ველის ზემოქმედებას. ბასკების უძველესი ქვეყანა ამ ველების ზემოქმედების შედეგად აღმოჩნდა გახლებილი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, ხოლო ამავე პერიოდში კატალონიის ტერიტორიის ნაწილზე, საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე, შუა საუკუნეებიდან ჩამოყალიბდა კატალონიური პოლიტიკური ერთეული ანდორა, რომელიც დღემდე მოვიდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამის მიზეზი იმაშია, რომ ბასკები ებრძოდნენ როგორც ფრანგებს, ისე ესპანელებს. ბუნებრივია, საბოლოო ჯამში ისინი ვერ შეაკავებდნენ ასეთ ორმხრივ დაწოლას. საფრანგეთისა და ესპანეთის ველები შეიძლება მხოლოდ ერთმანეთის საშუალებით გაწონასწორებულიყო. მარლთაც ასე მოხდა. საფრანგეთისა და ესპანეთის ველები ერთმანეთთან უშუალო შეხებაში მოვიდნენ და ჩამოყალიბეს საზღვარი, რომელმაც თავის მხრივ ბასკეთი ორ ნაწილად გაყო.

ანდორას შემთხვევაში მოხდა სხვაგვარად. ანდორაში, ერთი მხრივ, იყო ესპანეთის ეპისკოპოსთა, ხოლო, მეორეს მხრივ, ფრანგი გრაფების სამფლობელოები. შემდეგ ანდორაში გამოცხადდა ორმაგი სუვერენიტეტი, ანუ საფრანგეთმა და ესპანეთმა მოაქციეს ანდორა ორმაგი დაქვემდებარების ქვეშ. ე. ი. მოხდა საფრანგეთისა და ესპანეთის გეოპოლიტიკურ ველებს შორის არა უშუალო საზღვრის ჩამოყალიბება და ამგვარად მათი გაწონასწორება, არამედ შეხების ადგილზე გარკვეული რთული სტრუქტურის ჩამოყალიბება, გეოპოლიტიკური ველების გადაფარვა და ამგვარად გაწონასწორება. ესპანეთის ენერგია, რეალიზებული ანდორრაში, აკავებდა ანდორაშე საფრანგეთის დაწოლას, ხოლო საფრანგეთის ენეგია, რეალიზებული ანდორრაში, ჩეარდებოდა ესპანეთის დაწოლის გაწონასწორებას. ასეთი მდგომარეობა ანდორას გარკვეულ ფარგლებში მანევრირების საშუალებას უტოვებდა. შედეგად, ანდორა დღეს დამოუკიდებელი რესტუბლიკაა, კატალონიური სახელმწიფო ენით, თავისი პოლიტიკური ინსტიტუტებითა და პარტიებით.

როგორც გხედავთ, საფრანგეთისა და ესპანეთის ველებმა ერთმანეთი გააწონასწორეს ისე, რომ მათ შორის შესაძლებელი გახდა ერთგვარი თავისუფალი პოლიტიკური სივრცის წარმოქმნა, რომელიც კატალონიურმა სახელმწიფომ - ანდორრამ შეავსო. სავარაუდოა, რომ თუ

ბასკები შესძლებდნენ მოქმდინათ, ერთის მხრივ, საფრანგეთის, ხოლო, მეორეს მხრივ, ესპანეთის ინტერესების ჩატარებული თავიანთ ქვეყანა-ში, როგორც ერთიანში, ისე, რომ არ დაჩღვეულიყო მათ შორის ბალანსი, მშინ ბასკები, ისევე როგორც ანდორრელები, შეინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას.

მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ კავკასიაში, შინაგანი თანხმობის პირობებში, შესაძლებელია ამჟამადეს მსგავსი მექანიზმი. ასეთ შემთხვევაში, შიდაკავკასიურ მოვლენებზე შემცირდება გარეშე გავლენა, რაც ხელს შეუწყობს კავკასიის სტაბილიზაციას. აქვე აღვნიშნოთ, რომ საქართველოში, მართალია, თავის მხრივ, ჩატარებულია ჩეგიონში მოქმედი სამი დიდი გეოპოლიტიკური ძალის ინტერესი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ძალთა სტაბილური ბალანსისათვის. საქართველოს პოლიტიკა ვერ იქნება ამოგლეჭილი კავკასიური სურათიდან, რადგან სრულად მხოლოდ კავკასიშია, როგორც მთელში, რეალიზებული სამივე გეოპოლიტიკური ძალის ინტერესი.

### პილებ ცოტა რამ პაპასმაღლი პროგლომების უმსახუ

ხშირია აზრი იმის შესახება, რომ საჭირო არაა რაიმე განსაკუთრებული მიღობა კავკასიური პრობლემებისადმი. სომხეთ-აზერბაიჯანთან ურთიერთობა უნდა იყოს ისეთივე, როგორიც სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, მისი რუსეთისაგან გამიზენა საერთოდ არ უნდა ხდებოდეს და პრობლემა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ჩარჩოებში უნდა განიხილებოდეს. არის მეორე უკიდურესობაც, როდესაც კავკასიურ ერთობას წარმოგვიდგენენ როგორც დეტერმინირებულ განსაკუთრებული ისტორიული, ან უნიკალური ეთნიკური საწყისით. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კავკასიური ერთობა არაა თვითმიშანი. მისი საჭიროება მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებებს ყერდნობა; კერძოდ - დღეს ჩრდილოეთ კავკასია გავლინება თავისთავადი ინტერესების მქონე, გამოკვეთილ გეოპოლიტიკურ ძალად, რომელიც უშუალოდ ახდენს გავლენას საქართველოს სტაბილურობაზე, საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე. ეს ჩეალობაა. ამიტომ ჩვენ იძულებულები ვართ ამ ძალის მიმართ გამოვიმუშაოთ გარკვეული პოზიცია. გავითვალიშინოთ ისინი პოლიტიკურ გათვლებში. თვალის დახუჭვით ამ პრობლემას თავს ვერ ავარიდებთ. სწორედ ამ პზრით განიხილება სტატიაში კავკასიური ერთობა და არა ერთობა იმისათვის რომ, ვთქვათ, ყველაზი „რასობრივად კავკასიელები“ ვართ.

ცალკე განხილვის საგანია, თუ როგორ შეხედავენ კავკასიურ რეგიონალურ კავშირს რუსეთი, ირანი და თურქეთი. წესით ასეთი კავშირი მომგებიანი უნდა იყოს ყველასათვის. ასე თუ ისე, კავკასიური კავშირი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ამ ქვეყნებთან აქტიური კონტაქტისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთფორმირების გზით.

რუსეთს უჭირს კონტროლი ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესზე, ამიტომ მას არ შეუძლია სრული გარანტიების მოცემა, რომ საქართველოს უშუალო ჩრდილოეთის საზღვრები საქართველოსათვის არ იქნება დესტაბილიზაციის წყარო. ამის პრეცედენტი უკვე დღეს არსებობს, მაგალითად ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობა სამაჩაბლოს - სამხრეთი თავის კონფლიქტში, ან ჩეჩენეთის მიერ გამსახურდის მომხრე ტერორისტული ჯგუფებისათვის თავმესაფარის მიცემა და მათი აქტიური მხარდაჭერა. აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიელთა მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტში.

წყვილი, საქართველო - ჩრდილოეთ კავკასია, დიდ როლს თამაშობს ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირების ჩეგულირებაში. ისევე, როგორც სამხრეთის დაწოლა ჩვენზე გაძლიერებს ჩვენს კავშირს რუსეთთან, დაწოლა ჩრდილოეთ კავკასიაზე ყოველთვის გაძლიერებს მის სწრაფვას მაშინადანური სამხრეთისაკენ. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ვოლგისპირეთის თათრული მოსახლეობის გააქტიურებას, საქართველოზე ჩრდილოეთ კავკასიის დაწოლის გაძლიერებას. ასეთი ვითარება წამებიანია როგორც საქართველოსათვის, ისე რუსეთისათვის. ამგვარად რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიისათვის, რომ არ მოხდეს კავკასიური პრობლემების ინტერნაციონალიზაცია, კავკასიური ველი კავკასიაშივე უნდა ჩაიკეტოს.

და ბოლოს ასეთი კავშირი მომებიანია როგორც კავკასიისათვის და ე. ი. საქართველოსათვის, ისე რუსეთისათვის, რადგან თუ კავკასიელები დაინახავნ, რომ რუსეთი მათ თვითმყოფაღობას საფრთხეს არ უქმნის, მაშინ მოიხსება მათი მაშინადიანურ სამყაროსკენ სწრაფვის აუცილებლობა. კავკასიელთა პრობლემები სხვაა, ხოლო მაშინადიანური სამხრეთისა - სხვა. კავკასიელებს მაშინადიანური, „სამხრეთული“ პატრიოტიზმი იმდენად აღელვებთ, რამდენადაც ეშინიათ რუსეთის ექსპანსიისა და თავიანთი უსაფრთხოების გარანტისა ხედავენ მაშინადიანურ სამხრეთში. ამდენად რუსეთი უზრუნველყოფს თავისი სამხრეთის საზღვრების სტაბილურობას და მოხსნის კონფლიქტების პროვოცირების შესაძლებლობას.

მსგავსი არგუმენტაციის მოყვანა შეიძლება ირანისა და თურქეთის შემთხვევაშიც.

როგორც ვხედავთ დღეს ასეთი კაშვირის შექმნა საჭიროა რეგი-

ონში სტაბილურობის მიზნით. ამას გარდა არის შესაძლებლობა სა-ქართველოს პოლიტიკაშ დაიწყოს ამ მხრივ მუშაობა ისე, რომ არა თუ ზიანი არ მოუტანოს დიდი მეზობლების ინტერესებს, არამედ, პირიქით, მოუტანოს სარგებელი - ჩამოყალიბდეს ასეთი კავშირი მათთან აქტიური ურთიერთქმედების გზით.

### პაზპაზია და არარეგისტრული ჰემები

დამუშავებული ისტორიული მასალები იმის შესახებ, თუ რანაირი ურთიერთობა იყო საქართველოსა და არარეგისტრულ, კერძოდ ევროპის სახელმწიფოებს შორის, არა გვაძეს. მუშაობა ამისა, თუ დავვყრდნობით საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს არარეგისტრული და რეგონული (რუსეთი-თურქეთი-ირანი) ქვეყნების ურთიერთობის შესახებ, შეგვიძლია გავაკეთოთ მიახლოებითი დასკვნები საქართველოს (კავკასიის) პოლიტიკური პრობლემებისა და ქვევის მოტივების შესახებ.

პირველი ნაწები არარეგისტრული ქვეყნების გავლენისა კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე თავს იჩენს XVII საუკუნეში. ამ დროს ოსმალეთსა და სპარსეთში ერთმანეთს ეჭახება რუსეთისა და ევროპული სახელმწიფოების ინტერესები. მაღვე დღის წესრიგში დგება ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც გულისხმობს ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობის პრობლემას. მემკვიდრეობაში ერთმანეთს ექმჩებიან ერთის მხრივ რუსეთი, მეორეს მხრივ - ევროპული სახელმწიფოები.

ეს პროცესი როგორიცაც და წინააღმდეგობებით აღსავს ევროპის სახელმწიფოები და რუსეთი ცდილობენ ერთის მხრივ ოსმალეთის დეცენტრალიზაციას, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის შესუსტებას, მეორეს მხრივ - რადიკალურად იცვლიან პოლიტიკურ კურსს და ხელს უწყობენ ცენტრალური ხელისუფლების აღდგენასა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. მაგალითად:

საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ევროპელებისა და რუსების ფლოტი 1827 წელს ამარცებს ოსმალეთის ფლოტს. რამდენიმე წლის შემდეგ ეგვიპტე იბრძვის დამოუკიდებლობისათვის - ამარცებს თურქებს და აღებით ემუქრება ოსმალეთის დედაქალაქს სტამბოლს. სულთანი მაშმდ III დახმარებას სთხოვს რუსეთს, რუსეთი ბოსფორის ნახევარკუნძულზე გადასხავს დესანტს. ამით შემფოთებული ევროპელები (საწრაფოდ აგვარებენ ურთიერთობას ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის, ხოლო რუსეთს აიძულებენ გაიყვანოს ჯარები თურქეთიდან. 1840 წელს, ლონდონის კონვენციით, რუსეთის მფარველობას ცვლიან საერთო ევროპული შეთანხმებით.

მსგავსი წინააღმდეგობები წარმოიშვა I მსოფლიო ომის შემდეგაც. ერთის მხრივ ომში გამარჩვებული დასავლეთის წამყანი სახელმწიფოები ფიქრობლნენ თურქეთის დანაწილებას ბერძნულ, ქურთულ და სომხურ სახელმწიფოებად. მეორეს მხრივ - მას შემდეგ, რაც ანკარის მთავრობამ დახმარება სთხოვა რუსებს, დასავლეთმაც სცნო თურქეთის რესპუბლიკა, რათა არ დაესუსტებინა თავისი პოზიციები. ამის შემდეგ იწყება კონკურენცია რუსეთსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ანკარის მთავრობაზე გავლენის მოსაპოვებლად.

გარკვეულად ამ წინააღმდეგობას ასახავს რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის კავკასიის თეატრი გასული საუჯუნის გამშავლობაში. აქ მნელია გაიგო, თუ ვისია კავკასია. ერთის მხრივ ფრონტი გადის კავკასიის სამხრეთით, საქართველოს, სომხეთისა და შეერბაიჯანის დაახლოებით დღევანდელ სამხრეთის საზღვრებზე, მეორეს მხრივ - კავკასიის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანზე და თერგზე.

1853-56 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები შამილის შეთაურობით, თურქეთთან და თურქეთის მოკავშირე ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად აყალიბებენ ერთიან ფრონტს. რუსეთი უკვე ფიქრობს კავკასიის საბოლოოდ დატოვებას.

მეორეს მხრივ - არც ამიერკავკასიაა ირანის ან ოსმალეთის კონტროლიდან შემთხვევით გამოსული ტერიტორიები. როგორც ჩანს, აქ რუსულ პოლიტიკას საქმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა. კერძოდ - თუ გავითვალისწინებთ რუსეთის მდგომარეობას XIX საუჯუნის ათიან წლებში: 1812 წელს სამამულო ომს ნაბოლეონთან და მის მიერ მოსკოვის დაკავებას, 1806-12 წლების რუსეთ-თურქეთის ომს, დაუმორჩილებელ ჩრდილოეთ კავკასიას - უცნაურია, თუ რანაირად წაართვა ამავე პერიოდში რუსეთმა ირანს ჩრდილოეთ პროვინციები, რაც გაფორმდა გულისტანის 1813 წლის ზავით.

ამ წინააღმდეგობის ახსნას შევეცადოთ კავკასიის, კერძოდ საქართველოს მაგალითზე.

1856 წლის ყირიმის ომში დამარცხებისა და ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ჯარების განადგურების შემდეგ რუსეთი აპირებს კავკასიის დატოვებას. გენერალების გრიგოლ ორბელიანისა და ბარათოვის აქტიურობა დიდ როლს თამაშობს რუსეთის გადაწყვეტილების შეცვლაში. სხვათა შორის იროვე ქართველია და ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ წარმოშობით ქართველი. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ნათლად ჩანს მისი პატრიოტიზმი საქართველოსადმი, ხოლო მისი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიელების წინააღმდეგ აღიქმება, როგორც საქართველოს ინტერესების სამსახური. იგივე ითქმის ალექსანდრე ჭავჭავაძეზე და სხვა მრავალზე. საქართველოს აღდგენისა და გაერთიანების

ლოზუნგით ხდებოდა აგრეთვე გენერალ ციციანოვის (ციციშვილის) მიერ ამიერკავკასიის გაერთიანება რუსეთის იმპერიაში.

ჩა თქმა უნდა, რუსეთისადმი დამოკიდებულება საქართველოში არ იყო ცალსახა. ამის მანიშნებელია სოლომონის მეფობის ტრაგედია და სამეფოს გაუქმება იმერეთში, მრავალი აჯანყება გამოწვეული რუსული მმართველობის შემოღებით, 1810 წლის ოსეთის აჯანყება, გამოწვეული უფლისწულ ლევანის აგიტაციით, თუ 1832 წლის შეთქმულება. რუსეთთან კაშვირის სისწორეზე კამათი დღემდე გრძელდება; იყო თუ არა საქართველოს რუსეთთან დაკავშირება აუცილებელი, როდესაც ქართველები იჩანსაც და ოსმალეთსაც თანდათან უფრო და უფრო ეფექტურად უმკლავდებოდნენ (მაგ. ერეკლესა და სოლომონის ბრძოლები ხევსილთან და ასპინძასთან), ხოლო იჩანისა და ოსმალეთის იმპერიის მზე ძირს მიექანებოდა.

მაგრამ ეტყობა, რუსეთისადმი სწრაფვა მაინც ძირითადი ტენდენცია და აი რატომ: 1856 წლის პარიზის ზავის პირობებით, რომელიც დაიღო რუსეთის დამარცხების შემდეგ ყირიმის მძში, აღიარებულია ოტომანთა იმპერიის „დამოუკიდებლობა“ და მთლიანობა“. ბუნებრივია ამ პირობების მიხედვით საქართველო ან მისი ნაწილი უნდა შევიდეს ოსმალეთის შემადგენლობაში. ასეთი საერთაშორისო კონიუნქტურა კი ქართველებისათვის ქმნის გამოუვალ მდგომარეობას. ქართველებს დიდ პოლიტიკაში საკუთარი ავტონომიური ადგილი არ გააჩნია - ან რუსეთი, ან ოსმალეთი, რის შედეგადაც ხდება ერის დემორალიზაცია.

მეორეს მხრივ რუსული ორიენტაციის მომხრეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი „რუსეთთან შეერთებით ევროპისაკენ გზის გახსნას“ გულისხმობს. მართლაც, თუ დავაკირდებით იმდროინდელი საქართველოს ყოფას, მოუხედავდ გარკვეული უქმაოფილობისა რუსეთის მიმართ, ვითარდება ცხოვრების ევროპული სტილი - ოპერა, თეატრი, ლიტერატურული სალონები. ამ მხრივ ოსმალეთის იმპერიაში „დაბრუნება“ და თურქული წესების შემოღება ნამდივლად არ გამოიყრება რუსეთის ალტერნატივად.

ნათელია, რომ კავკასია არც რუსეთია, არც თურქეთი და ირანი, მაგრამ მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკა არ ითვალისწინებს კავკასიის ბუნებრივ ინტერესებს, მის თავისთავადობას. კავკასია აღიქმება მხოლოდ რუსეთის, ოსმალეთის ან ირანის კონტექტში (სივრცეში). ბუნებრივია ასეთი გლობალური კონიუნქტურა იწვევს თავისუფლებისათვის მებროლი ხალხების დემორალიზაციასა დეზორინგტაციას. კავკასიის ხალხებს უწევთ ცალ-ცალკე საკუთარი თავის გადარჩენა. ვინ რუსეთისაკენ იხედება, ვინ - ოსმალეთისაკენ.

## სინამდვილეში:

კავკასიის ცნობით ოსმალეთის ან ირანის შემადგენლობაში, მაშინ-დელი მსოფლიო პოლიტიკა კიდევ უფრო აძლიერებდა ქართველების სწრაფვას „ერთმორწმუნე“ რუსეთისაკენ.

ოსმალეთის ან ირანის უფლებების ცნობით კავკასიაზე, დასავლე-თი ვერ შეაჩერებდა რუსეთის ექსპანსიას კავკასიურ ფრონტზე, რაღ-გან რუსეთის კავკასიაში ყოფნა-არყოფნის საკითხი უკვე მხოლოდ სა-ერთაშორისო კონიუნტურაზე არ იყო დამკიდებული და აქ ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს სწორედ ქართველები თამაშობდნენ.

კავკასიის ერთიანობისა და კეთილგანწყობილი ევროპული კონიუნტურის (ანუ ევროპის კავკასიისადმი „პირდაპირი“ ინტერესის) შემთ-ხვევაში შეეძლო ეთამაშა ჩამტეკის როლი - კავკასიურ ფრონტზე შე-ეძლო შეეჩერებინა რუსეთის ექსპანსია სამხრეთის მიმართულებით. ამის დასტურია ჩრდილოეთ კავკასიელთა ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ზურგისა და მნიშვნელოვანი გარეშე მხარდაჭერის არქონის პირობებში. როგორც შედეგი, მივიღებ-დით რუსეთის გავლენის შემცირებას აღმოსავლეთში მიმღინარე პრო-ცესებზე.

შეიძლება ითქვას ერთ-ერთ მთავარ საკითხად სწორედ მსგავსი პრობლემა დგას დღევანდელი საქართველოს პოლიტიკის წინაშე. რო-დესაც საქმე ეხება საქართველო-რუსეთის დაპირისპირებას, საზოგადო-ებრივ ცნობიერებაში ისევ იღვიძებს ეჭვები: როგორც ოდესლაც (მაგა-ლითად 1921 წელს) ხომ არ აღმოჩნდება საქართველო გაცვლის სა-განი? ხომ არ შეგვატოვებს დასავლეთი რუსეთს? რამდენად ძლიერი იქნება მსოფლიო სახელმწიფოების მიერ საქართველოს მხარდაჭერა? იქ-ნებ გზა დასავლეთისაკენ თურქეთზე გადის? იქნებ ისევ რუსეთს უნდა დაგმორჩილდეთ, რათა ოდნავ მაინც შევასუსტოდ აგრესოული გარემო და გადავარჩინოთ ერი?

შშ-რუსეთის პარტნიორობის იდეა, რომელსაც ეფუძნება რუსეთის მცდელობა ყოფილი სსრკ-ს სივრცე თავისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ გამოაცხადს და განსაკუთრებული უფლებები მოიპოვოს ყო-ფილ რესუბლიკებში პროცესების რეგულირებაზე, ბევრის წარმოდგენა-ში აღიმება, როგორც მსოფლიოს წარმომადგენებებს შორის გავ-ლენის სფეროების ხელახლი განაწილება, რომლის მიხედვითაც საქარ-თველო რუსეთის გავლენის სფეროშია დაფიქსირებული. საერთაშორისო ორგანიზაციების ინერტულობა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში მოსახლეობის მიერ აღიმება როგორც დასტური ამგვარი მო-საზრებისა.

თუ რუსეთის უშუალო მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტში ბუ-

ნებრივად აღიქმება რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ფონზე (უფრო მეტიც, თვითონ კონფლიქტი აღიქმება, როგორც რუსეთის მიერ მომზადებული და გაჩადებული), კონფლიქტში, ექსტრემისტების მხარეზე, თურქეთის მაქალაქეების მონაწილეობა საქართველოს გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს. ერთის მხრივ ყველა გრძნობს საქართველოში რუსეთის ჯარების მადსტაბილიზირებელ გავლენას, მეორეს მხრივ - ბევრს შეინია რუსეთის ჯარების სრული გაყვანისა საქართველოდან, რათა კიდევ უფრო არ არიოს დამოარეობა.

თუ საქართველო გაურკვევლობაშია, სომხეთ-აზერბაიჯანის შემთხვევაში მდგომარეობა კიდევ უფრო რაულია. აზერბაიჯან-თურქეთის მიზიდულობა იმდენად თურქეთის ან დასავლეთის სახელმწიფოთა გავლენის გაძლიერებას არ უწყობს ხელს კავკასიაში, რამდენადაც - რუსეთისას; რუსეთი სომხეთში მყარად დგას, რადგან სომხეთის დღევანდელი პოლიტიკა რუსეთის ჯარების გარეშე ვერ იარსებებდა. მათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია რუსეთის ჯარების იქ ყოფნას. რაც შეება აზერბაიჯანს, მათი თურქულებოვნება და ყოფილი პრეზიდენტის ელჩიბეის მიერ პოლიტიკაში გამოიცხადებული „თურქიზმი“ არ ქნის მყარ საფუძველს აზერბაიჯანში და, მითუმეტეს კავკასიაში, თურქეთის ცალსახა გავლენისათვის. ამის ნათელი დასტურია ის უმტკივნეულო პროცესი, რომელსაც 1992 წელს პრეზიდენტის ჩამოგდება მოჰყვა აზერბაიჯანში. კავკასიური პრობლემების ფონზე ელჩიბეის „თურქიზმი“ თეორიულ, არარეალისტურ მიდგომად გამოიყურება.

თუ განვიზოგადებთ ნათქვაშს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

გლობალურ დონეზე დაპირისპირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას კავკასიის თავისებურება, მისი თავისთავადი ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ სურათში.

გლობალური ბალანსის შენარჩუნებისათვის, კავკასიაში დემოკრატიული პროცესების ლიდერად, მსოფლიო პროცესებში კავკასიის ინტეგრირების დასაჩქარებლად, მითუმეტეს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არ გამოიდგება რომელიმე დიდი რეგიონული ქეყანა (რუსეთი, თურქეთი ან ირანი). ამის მიზეზი კავკასიაში ისტორიულად ჩადებულ მექანიზმში უნდა ვეძებოთ. მსოფლიო პოლიტიკის მიერ რომელიმე რეგიონული ქვეყნის სანქციონირება კავკასიაში პროცესების „სწორი“ მიმართულებით წარსამართავად (მაგალითად კავკასიაში რუსეთის გავლენის შესუსტების მიზნით დასავლეთის სახელმწიფოების მიერ თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის“ მხარდაჭერა, ან, ვთქვათ მომავალში, რუსეთის პოლიტიკის მხარდაჭერა კავკასიაში, ჩრდილოეთ-სახერეთის შესაძლო დაპირისპირებისას), გამოიწვევს კავკასიაში ისტორი-

ულად ჩადებული რეგიონული ბალანსის დარღვევას და წინააღმდეგობების აქტივიზირებას, საბოლოო ჭამში კავკასიის სახელმწიფოების არაა-დექატურ ქცევას. მაგალითად - ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობისა და ევროპისაკენ სწრაფვის პროცესი საქართველოსათვის დამთავრდა რუსეთთან შეერთებით, დღეს რუსეთისგან დაშორების პროცესი იცვლება მასთან დაახლოების პროცესით და ა. შ. ამიტომ საჭიროა ძალისხმევა, რათა მოხდეს კავკასიის ქვეყნების უშუალო, პირდაპირი ჩართვა მსოფლიო პროცესებში და არა რომელიმე რეგიონული ქვეყნის „გავლით“ ან „საშუალებით“.

ასეთ მოსახრებას გააჩნია გამართლებაც; ტრადიციული ქიშპობისა და დღემდე დაკონსერვებული რუსულ-თურქული წინააღმდეგობების გამო, რუსეთი ბუნებრივია უფრო მტკიცნეულად აღიქვამს თურქეთის ჰოზიციების გაძლიერებას რეგიონში და პირიქით - თურქეთისათვის უფრო მტკიცნეულია რუსეთის კონტროლი კავკასიაზე, ვიდრე კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე საერთაშორისო კონტროლი. კავკასიური წინააღმდეგობების დარეგულირება გლობალური დემოკრატიული პროცესების ჩარჩოებში შეიძლება წარმოადგენდეს საერთო მისაღებ საფუძველს ორივე ქვეყნისათვის, რადგან რუსეთიც და თურქეთიც აღიარებს (ფორმალურად მაინც) დემოკრატიული ღირებულებების პრიორიტეტს.

განსხვავებული ვითარებაა ბალტიისპირეთში, სადაც არჩევანი - აღმოსავლეთი თუ დასავლეთი (სკანდინავია თუ რუსეთი) შეუდარებლად უფრო ადგილად გადაწყეტადია.

### პაპასიის მნიშვნელობა მსოფლიო განვითარების პიროვნეულობისათვის

აღწერილი მექანიზმი ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას, ეხმიანება დღევანდელ ვითარებას და, როგორც ჩანს, აქტუალური იქნება მომავალშიც.

დღეს უკვე გარკვეულად შეიძლება იმ პროცესების პროგნოზირება, რომელიც შეიძლება მომავალში განიცადოს აზიამ, კერძოდ კი ჩვენმა რეგიონმა.

თუ რეგიონს განვიხილავთ გლობალური დაპირისპირების თვალსაზრისით, აქ ერთის მხრივ რუსეთია, რომელიც მიისწრაფვის სამხრეთისაკენ თავისი გავლენის სივრცის გასაფართოებლად, ხოლო მეორეს მხრივ - დასავლეთი, რომელიც ცდილობს ხელი შეუძლოს რუსეთის გასვლას ინდოეთის ოკეანეზე და ხმელთაშუა ზღვაზე. შუაში მოქცეულია წინააღმდეგობებით აღსავსე აზიური სახელმწიფოები (თუ ჩვენს

რეგიონზე ვიღაპარაკებთ - ირანი და თურქეთი).

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც მოხდა ორპოლუსიანი სამყაროს ჩამოყალიბება, შეკარად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: დასავლეთი ცდილობს დაეხმაროს ამ სახელმწიფოებს, რათა შინაგანი წინააღმდეგობებით დასუსტებულები არ გახდნენ რუსეთის აგრესის მსხვერპლი. სტრატეგიული მოსახურებებიდან გამომდინარე მხარდაჭერა გარევულ წილად გულისხმობს თვალის დახუჭვას იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს თურქეთში და ირანში დემოკრატიულ ღირებულებებთან, ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით. რაც უფრო შესუსტდება ორპოლუსიანი დაპირისპირება, მით უფრო კრიტიკული გახდება მსოფლიო პოლიტიკის დამოკიდებულება ამ ქვეყნების შინაგანი პროცესებისადმი. არაა გამორჩეული, რომ ეს ქვეყნები, ისევე როგორც დღევანდელი რუსეთი, წააწყდნენ სეპარატიზმთან დაკავშირებულ მწვავე პრობლემებს.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნენ კავკასია და მისი „პირდაპირი კავშირები“, რათა არ მოხდეს მისი ჩათრევა ამ პროცესში, ან უფრო მეტი - რეგიონულ ქვეყნებში მიმღინარე წინააღმდეგობრივი პროცესების ერთმანეთშე ასახვა. მოცემულ შემთხვევში კავკასიას შეუძლია ითამაშოს როგორც უარყოფითი როლი - ამ პროცესების მაპროვიცირებელისა, ისე დადგებითი - ბუფერის და გამმიჯნავისა - ხელი შეუწყოს პროცესების წარმართვას მშვიდობიანი, კონტროლირებადი ფორმით.

## დასტვები:

საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში შეგვიძლია გამოვყოთ სამი თვისობრივად განსხვავებული გეოპოლიტიკური შრე.

1. ლოკალური (მცირე რეგიონული) - კავკასია - რომელიც წარმოადგენს გეოპოლიტიკური ძალების განაწილების რთულ სისტემას, კანს. იგი ძირითადად ჩამოყალიბებულია რუსეთის, თურქეთისა და ირანის გავლენის შედეგად. მეორეს მხრივ იგი არც რუსეთია, არც თურქეთი და არც ირანი. იგი ასრულებს ბუფერის როლს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის (ირან-თურქეთის) ურთიერთქმედებაში. დაპირისპირება სამ დიდ გეოპოლიტიკურ ძალას შორის იწვევს დაპირისპირებას კავკასიის სხვადასხვა უბნებს შორის. რომელიმე რეგიონული ძალის მხრიდან შიდა კავკასიურ კონფლიქტი ჩარევა იწვევს სხვა რეგიონული ძალების ჩარევასაც, ანუ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას.

2. რეგიონული (ღია რეგიონული) - რუსეთი, თურქეთი, ირანი - ეს ქვეყნები ხასიათდებიან კავკასიისადმი განსაკუთრებული ინტერესითა და ტრადიციული მცდელობით მოიპოვონ გავლენა მასშე. მეორეს მხრივ - ამ ქვეყნების ინტერესებში არაა მხოლოდ კავკასია. ისინი განსაკუთ-რებულ როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

3. გლობალური (მსოფლიო) - არარეგიონული ქვეყნები - ხასიათ-დებიან ტრადიციულად ნაკლები ინტერესით კავკასიისადმი და განსა-კუთრებული ინტერესებით რუსეთის, თურქეთისა და ირანის მიმართ. მათ მიერ კავკასია ტრადიციულად აღიქმება რუსეთის, თურქეთის ან ირანის კონტექტში, ანუ მსოფლიო პოლიტიკური გარემო, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთი, თურქეთი და ირანი, ხოლო კავკასია აღიქმება ამ სამი რეგიონული ძალის კონტექსტში.

თითოეული მათგანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ითხოვს კომპლექსურ მიღვიმას. (მაგალითად ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს საქართველოს სტაბილურობაზე, შედის საქართველოს ლოკალური პოლიტიკის სფეროში, მაგრამ ამავე დროს იგი რუსეთის ფედერაციის ნაწილია, ხოლო თავის მხრივ რუსეთი ახდენს გავლენას ჩვენს რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაზე). მიუხედავად ამისა, აღწერილ მოსაზრებებზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების თითოეული დონისათვის შესაძლებელია შევიმუშავოთ გარკვეული მუდმივი მიღვიმები. კერძოდ:

1. კავკასიიში საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს, რომ კავკასიური პრობლემები არ გასცდეს კავკასიის საზღვრებს, რაღაც კავკასიაში ისტორიულად ჩადებული მექანიზმის გამო დიდია რეგიონული ქვეყნების კონფლიქტში ჩათრევის ალბათობა. ამისათვის მიზანშეწონილია მივაღწიოთ გარკვეულ შიდაკავკასიურ მოლაპარაკებას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება კავკასიური პრობლემების შიდაკავკასიური ძალებით გადაჭრა, გარკვეული ღონის კავკასიური, რეგიონული ერთობის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებლობის მიხედვით, გამოიმუშავებდა შიდაკავკასიური პრობლემების კავკასიური ძალებით მოგვარების მექანიზმებს.

გამომდინარე ბუნებრივი პირობებისა თუ სხვა გარემოებების მსგავსებიდან - გამოიმუშავებდა ერთობლივ პროგრამებს ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ სფეროში, კულტურასა და მეცნიერებაში.

ინფორმაციის შექრება-გადამუშავებაში კავკასია ცალკე ანალიზის თემა უნდა გახდეს.

2. რაც შექნება რუსეთ-თურქეთ-ირანის ღია რეგიონს - აქ ჩვენი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ამ ქვეყნების ინტერესების მაქსიმალუ-

რო რეალიზება კავკასიაში ისე, რომ არ დაირღვეს ბალანსი რომელიმე ქვეყნის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება კოორდინაციის მიშვლა კავკასიის ქვეყნებს შორის, რაც თავის მხრივ შეიძლება კონფლიქტების წყაროდ იქცეს.

არაა გამორიცხული (და სასურველია) მათი მოზიდვა კავკასიური პრობლემების მოგვარებისას, მაგრამ ბალანსირებულად, სამივე გეოპოლიტიკური ძალის წარმოდგნით.

3. არარეგიონულ ქვეყნებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ჩვენი მიზანი უნდა იყოს პირდაპირი კავშირების გაძლიერება კავკასიასა და ამ ქვეყნებს შორის. სტაბილურობის მზნებიდან გამომდინარე. უნდა ვერიდოთ საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართვას რომელიმე რეგიონული ქვეყნის „გავლით“, „დახმარებით“, რადგან ასეთი მიდგომა დაარღვევს ბალანსს რომელიმე რეგიონული ქვეყნის სასარგებლოდ, რაც შეიძლება გახდეს დაძაბულობის ზრდის წყარო კავკასიაში.

ჩამოთვლილი რეკომენდაციები წარმოადგენენ ღონისძიებათა ერთიან კომპლექსს. საქართველოს პოლიტიკა კავკასიურ დონეზე, კერძოდ - შიდაკავკასიური პრობლემების კავკასიური ძალებით მოგვარების მცდელობა, არ გულისხმობს კავკასიური პრობლემების მოგვარებაში სხვა ქვეყნების როლის გამორიცხავს. ჩამოთვლილი რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიმე კავკასიური კონფლიქტის მოგვარების შესაძლო სქემა შეიძლება გამოიყურებოდეს ასე - ჯერ უნდა დაიწყოს გზების ინტენსიური ძიება, კონფლიქტის ლოგალურ დონეზე, კავკასიური ძალებით მოგვარებისათვის. თუ მცდელობა საქმარისი არ აღმოჩნდა, მშინ პარალელურად დაიწევება კონფლიქტის მოგვარების გზების ძიება კავკასიის გარეთ. სამშვიდობო პროცესში მხოლოდ რეგიონული ქვეყნების ჩართვისას, წონასწორობისათვის, საჭირო იქნება სამივე რეგიონული ძალის (რუსეთის, თურქეთისა და ირანის) წარმოდგენა. პრობლემის გადატანისას საერთაშორისო დონეზე, დაპირისპირებული კავკასიური ძალები უნდა გამოვიდნენ როგორც მხარეები და მოილაპარაკონ უშუალოდ, მხოლოდ საერთაშორისო შეთვალყურეთა კონტროლის ქვეშ.

აღწერილ სურათში დასკვნებს შეგვიძლია მივცეთ პრიციპების სახე, რომელსაც შეიძლება დაეფუძნოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა. კერძოდ:

ლოგალურ დონეზე - კავკასიურ პრობლემებში არ უნდა მოხდეს არაკავკასიური ძალების ჩარევა.

რეგიონულ დონეზე - კავკასიაში არ უნდა დაირღვეს ბალანსი რომელიმე რეგიონული ქვეყნის - რუსეთის, თურქეთის ან ირანის სასარ-

გებლოდ.

გლობალურ დონეზე - არარეგიონულ ქვეყნებთან ურთიერთობა არ უნდა მოხდეს რომელიმე რეგიონული ქვეყნის „გავლით“, სშფალებით.

ზემოთ მოყვანილი პრინციპები პოზიტიური პრედიკატებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ლოკალურ დონეზე - საჭიროა შიდაკავკასიური კონფლიქტები მოწერიდეს შიდაკავკასიური ძალებით.

რეგიონულ დონეზე - საჭიროა რეგიონული ქვეყნების ინტერესების ბალანსირებული რეალიზაცია კავკასიაში.

გლობალურ დონეზე - საჭიროა საქართველოს გააჩნდეს პირდაპირი, მაქსიმალურად ძლიერი კავშირები არარეგიონულ ქვეყნებთან.

აღწერილი პრინციპები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მოკლე ფორმულების სახითაც;

ლოკალურ დონეზე - „სინქრონიზაცია“, რეგიონულ დონეზე - „ბალანს“, გლობალურ დონეზე - „პირდაპირი კავშირები“.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს; პირიქით, „პირდაპირი კავშირის“ პრინციპის დარღვევა იწვევს „ბალანსის“ მოშლას რეგიონში, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის „სინქრონიზაციის პრინციპს“ და ა. შ.

\*

\* \* \*

ჩატარებული ანალიზი, რა თქმა უნდა, სრული არ არის და გარკვეული აზრით, ზედაპირულიც კია. მაგალითად, ანალიზის დროს არ არის გათვალისწინებული ჩრდილოეთ კავკასიის არაერთვაროვნება. არ არის გაანლიზებული სომხეთ-აზერბაიჯანის როლი ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირების კონტექსტში. არ არის გამოყოფილი პრიორიტეტული დმიმართულებები რეგიონში და ა. შ. მიუხედავად ამისა, სტატია არის ცდა განისაზღვროს მუდმივი ორიენტირები საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის, მაგრამ საგარეო პოლიტიკა ხომ მხოლოდ შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემისა; შესაძლებელი იქნება თუ არა განვახორციელოთ აღწერილი პრინციპები საგარეო პოლიტიკაში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ მომავალში როგორ იქნება აგებული საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია.

## საქართველოს გეოპოლიტიკური მდგრადი მომართვისათვის

ტერმინი გეოპოლიტიკა, გავრცელებული მნიშვნელობით, გულისხმობს ფიზიკური გეოგრაფიის ზეგავლენას სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფაქტორებზე, სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ტერმინის მნიშვნელობას ხშირად გააფართოებენ ხოლმე იმგვარად, რომ იგი შეიძლება მოიცავდეს დამატებით სხვა სოციალურ და ზოგადყულტურულ ასპექტებსაც, მაგრამ თუ ტერმინ „გეოპოლიტიკის“ საკუთრივი საზრისის შენარჩუნება გვსურს, ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ, რომ გეოპოლიტიკა არის გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების იმგვარი კომბინაცია, რომელიც ზეგავლენას იქნიებს ქვეყანასა თუ რეგიონზე.<sup>1</sup>

ტრადიციულად, საბჭოთა პოლიტიკურ ლიტერატურაში, ეს ტერმინი ნეგატიური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. გარდა იმ ფაქტისა, რომ გეოპოლიტიკური ღოძტრინები ცუდად ეგუებოდნენ კომუნისტების პოლიტიკის ფილოსოფიას, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ გეოპოლიტიკის პირველი თეორეტიკოსები (რატცელი და ჩელენი) ფაშისტურ მოძრაობას უკავშირდებოდნენ. დღეს, როგორც ჩანს, ტერმინის ეს „ფაშისტური წარსული“ აღარ ითვლება ხელისშემშლელ გარემოებად მთელ პოსტსაბჭოთა სიგრცეში და თუნდაც მის ისეთ რეგიონებში, სადაც ფაშიზმის აღმოჩენა და ძლევა უცილებელ საქმიანობად გაუხდიათ; პრესის ემანისაბაციის შემდეგ ამ ტერმინსა სწრაფად მოიპოვა მოქალაქეობა და გამონაჯლისს ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს. ამგვარი „გეოპოლიტიკური ბუმი“ ერთი მხრივ გაუგებარია, რადგან მოვლენათა წმინდა გეოპოლიტიკური ჰერეტია მოძველებულად და სასურველ მეცნიერულ სიმკაცრეს მოკლებულად ითვლებოდა. უკვე ჰაუსკოფერი გახდა იძულებული, არცთუ მდიდარი გეოპოლიტიკური ტერმინოლოგია იმგვარი ფსიქოლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ცნებებით შეევსო, რომლებიც სცილდებოდნენ საკუთრივ გეოპოლიტიკურ ველს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ მიმღინარე პოლიტიკურ მოვლენებს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა კაშვირისა და ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ, ფაქტოურად, მსოფლიოს ხელახლი გადანაწილება მიმღინარეობს, რომელიც ჩვენც გვეხება, გეოპოლიტიკური მოვლენებით დაინტერესება სავსებით ბუნებრივი და სასარგებლოც კი ჩანს. საქართველოს ირგვლივ იკვეთება სხვადასხვა გე-

<sup>1</sup> იხ. "Geopolitic" in Webster's Rendom Hause Dictionary; 1991

ოპოლიტიკური სისტემების კონტურები და ჩვენი ავტორებიც ცდილობენ გაარკვიონ იმ ოპტიმალური სისტემის ბუნება, რომელშიაც კველაზე უძრავი ინიციატივულოდ „ჩაჭდებოდა“ საქართველო. კონკრეტულ სისტემებს შორის გვხდება ეგრობული თანამეგობრობა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, „კავკასიური სახლი“, „ახალი მსოფლიო წესრიგი ვანკუვერიდან ვლადიგასტროკამდე“ და ა. შ. დინჯი ანალიზის საფუძველზე, რომელიც უმჯობესი იქნებოდა გაცილებით უფრო აღრე დაწყებულიყო, თანადათანობით გასაგები ხდება როგორც რეალური განსხვავება ამ სისტემებს შორის, ასევე თითოეული მათგანის სიცოცხლისუნარიანობა. მაგრამ ამჯერად უპრინინი იქნებოდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ არა თავად ამ სისტემებზე, არმედ ერთ სპაციალურ ტენდენციაზე, რომელსაც იწვევს წმინდა გეოპოლიტიკური ფაქტორების აბსოლუტიზაცია ქვეყნის, კონკრეტულად კი საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ამ ინტერესების განცორციელებისათვის აუცილებელი ეროვნული ძალის<sup>1</sup> განსაზღვრისას.

ტენდენცია, რომელიც არავის გამოუთქვამს ჩამოყალიბებული სახით, გულტად ავლენს ხოლმე თავს ცალკეულ განცხადებებსა და შემოთავაზებულ პოლიტიკურ ორიენტირებში. მას პირობითად შეგვიძლია „გეოპოლიტიკური წინასაწარგანსაზღვრულობა“ ვუწოდოთ. ამ წინასაწარგანსაზღვრულობას, მსგავსად სხვა დეტერმინისტული სისტემებისა, უჭირს თავისუფლების ფენომენთან ადაპტაცია (თუკი თავისუფლებად გაგებულია არჩევანის შესაძლებლობა და არა შეცნობილი აუცილებლობა) და ზოგჯერ იგი ფატალიზმის სახესაც კი იღებს: საქართველო და მისი მთსახლეობა ასევე გარემოცული ფატალურად განსაზღვრული გეოპოლიტიკური რეალიებით, რომ პრაქტიკულად მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ამგვარი თვალსაზრისის საზოგადოების დიდ ნაწილში ორგანულად ერწყმის გამუდმებული წარუმატებლობებით გამოწვეულ პათიას. თუმცა, ეს უბედურების მხოლოდ ნახევარია. არანაკლებ მოუღებლად გამოიყურება უპასუხისმგებლობის ფენომენი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყვანება აღნიშული თვალსაზრისიდან. მართლაც, რამდენადაც მხოლოდ თავისუფალი კაცი შეიძლება იყოს საჟუთარ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე პასუხისმგებელი, ხოლო გეოპოლიტიკური წინასწარგანსაზღვრულობა კი ვერ ეგუება თავისუფლებას, იგი საზოგადოებაში ნერ-

<sup>1</sup> სიტყვამ მოიტანა და დროა შევთანხმდეთ იმგვარი ტერმინების სწორ გამოყენებაზე, როგორიცაა ვთქვათ „ეროვნული“ და „ნაციონალური“. სწორედ ასეთი შეუთანხმებლობის შედევგაია „ეროვნული ზოოპარკის“ და „ეროვნული ცირკის“ წარმოშობა. შემდგომში „ნაციონალურის“ ქვეშ ვიგულისხმებთ მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებსა და აზროვნების წესს.

გავს პოლიტიკური უპასუხისმგებლობის გრძნობას შექმნილი ვითარების გამო. ჩვენ, ვინც არ ვიზიარებთ მსგავს ცრურწმუნებს, ალბათ დასაწყისშივე გვმართობს წინ წამოვწიოთ საპირისპირო ღირებულებების, მივუთითოთ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ფენომენზე, როგორც იმ ფუნდამენტზე, რომელსაც საბოლოო ჯამში უნდა დაემყაროს ნაციონალური ძალის ფაქტორი.

რას წარმოადგენენ, უფრო კონკრეტულად, ქართული გეოპოლიტიკური დეტრმინიზმის ძირითადი მოსაზრებები, რა თვალსაზრისის უქვეთ მათ საფუძვლად? ძირითადი პრობლემა საქართველოს გეოპოლიტიკურ სტატუსს შექმნა. ერთი გავრცელებული თვალსაზრისით, საქართველოს უაღრესად წამგებიანი გეოპოლიტიკური მდებარება გააჩნია, რამაც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრა კიდევ ჭვეყნის ისტორიის არასასურველი მიმართულებით სვლა. სხვა გეოპოლიტიკურ არეალში, ბევრს მიაჩნია, საქართველოს ექნებოდა „ბუნებრივი“ განვითარების შესაძლებლობა, რაც საშუალებას მოგვცემდა აგვეშენებზნა სახელმწიფო, რომლის ბედ-იღბალსა და ნაციონალურ ინტერესებს განსაზღვრავდნენ ამ ჭვეყნის მოქალაქეები და არა მეზობელი სახელმწიფოს პოლიტიკოსები. თუ თავს მოვუყრით ამ მიმართულებით სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში გამოიწმულ შეხედულებებს, ისინი შეგვიძლია სამ ძირითად პუნქტად დავაწეროთ.

(1) საქართველოს არასასურველი გეოპოლიტიკური მდგრადირება არ გამომდინარეობს თვით იმ რეგიონის დაბალი პოლიტიკური ღირებულებიდან, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. პირიქით, კავკასია, როგორც ეკრაპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე რეგიონი, იმდენად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონედ ითვლება, რომ იგი ყოველთვის იყრინდა ძლიერი მეზობლების ყურადღებას. რამდენადაც ეს მეზობელი, განსხვავებულ პერიოდებში განსხვავებული სამხედრო-პოლიტიკური ძალისა და ზეგავლენის ქვეყნები, ყოველთვის ცდილობდნენ თავითნთი კონტროლისათვის დაქვემდებარებინათ ევროპა-აზიის კავკასიური დერეფანი, ამდენად საქართველოს, როგორც კავკასიური ჭვეყნის ტერიტორია მუდმივი ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ამ პირობებში საქართველოს მხოლოდ საკუთარი ძალების მაქსიმალური დაძაბვით უწევდა შეენარჩუნებინა პოლიტიკური და ბევრ შემთხვევაში, კულტურული თვითმყოფადობაც კი. სწორედ ეს „ძალების მაქსიმალური დაძაბვა“ და „მშვიდი ცხოვრების“ პირობების არარსებობაა მიჩნეული უშუალო შედეგად აღნიშნული მიზეზებისა, რაც, თავის მხრივ, გვიძიძებს დავიწუნოთ კავკასიის გეოპოლიტიკური რეგიონი მისი უახლოესი მეზობლებითურთ.

(2) შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ძალზე დიდი გავლენა იქნია საქართველოს ცხოვრებაზე, ქრისტიანული რელიგიაა.

ქრისტიანობა მოცემულ კონტექსტში გაიგება როგორც პოლიტიკური ფაქტორი და საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციისათვის გეზის მიმცემი ფენომენი. ამ თვალსაზრისის შესაბამისად ქვეყნა ცხადდება „მუსულმანურ ოკეანეში“ შემორჩენილ ქრისტიანობის უკიდურეს აღმო-სავლურ ფორპოსტად.<sup>1</sup>

უკეთესად გაძიარებული თემისი - ჩვენ ქრისტიანი ერი ვართ - სწორედ ამას გულისხმობს. მაგრამ შევცდებით თუ ვითიქრებთ, თით-ქოს ამგვარ ორიენტაციას ქრისტიანული ღვთისმოშმება უძევდეს სარ-ჩულად. არ უნდა დავივრწყოთ, რომ თვით ქრისტიანობა გაგებულია როგორც დასავლური ცივილიზაციის საფუძველი და ის ძირითადი ფაქ-ტორი, რაც დასავლეთთან გვაკავშირებს. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფოს ქრისტიანობა ამ არგუმენტაციაში ძალზე იოლად ტრანსფორმირდება ევ-როგორც პოლიტიკურ ორიენტაციად. გამოთქმა - ჩვენ ევროპული ორიენტაციის ქვეყანა ვართ - ამის დასტურია. იგივე საზრისისაა საბჭოთა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის თითქმის სტანდარტულად ქვეული კიდევ ერთი გამოთქმა - „ჩვენ ევროპულ კულტურას რუსეთის საშუალებით უვაკავშირდებოდით“. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც პირველი, მიგვანიშნებს ჩვენი პოლიტიკოსების იმ რეგიონისაკენ სწრაფაზე, სადაც როგორც ნელ-ნელა ვრწმუნდებით, არავინ გველოდება ხელებაშლილი. მაგრამ საინტერესოა, რომ ამ მე-ორე ორიენტირში რუსეთი გამოცხადებულია მხოლოდ ტრანზიტულ სა-შუალებად, რასაც არ შეიძლება მოებიძლა საბჭოთა პერიოდში არც რუსეთის პატრიოტული ძალები და არც „კომპეტენტური არგანოების“ ფიზიკური თვალი. თუმცა, მიუხედავად მოსალოდნელი რეაქციისა, ამ დებულებას არავინ ებრძოდა, რაც მისი ორბუნებონებით უნდა აიხ-სნას...

(3) დაბოლოს, არახელსაყრელად ითვლება თავად საქართველოს შიდაგეოგრაფიული გარემოც. მიაჩნიათ, რომ დანაწევრებულ, იმერ-ამე-რად დაყოფილ ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს კუთხურობისა და სეპარატიზმის აყვავებისთვის, ხოლო სუსტმა კომუნიკაციებმა და სამე-ურნეო კავშირებმა კიდევ ურფო განამტკიცა ცალკეული რეგიონების ერთმანეთისაგან მოწყვეტა. „ქართლ-კახეთად, იმერეთად, აჭარად და გურიად...“ ქვეყნის დანაწილება მხოლოდ შემთხვევითი ისტორიული ფაქტორების შედეგი კი არ არის, არამედ ქვეყნის დამაქცევარი, ჭრე-ლი ფიზიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურისა, რომელიც ქმნის განსხვავებულ, ატომიზირებულ რეგიონებს განსხვავებული კლიმატური პირობე-

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ აბსოლუტურად იდენტური რწმენით საზრდოობს ჩვენი მეზობელი სომხეთის გეოპოლიტიკური დოქტრინაც.

ბით, მცენარეული საფარით, მეურნეობრიობის სხვადასხვა წესით და, ბოლოს, როგორც შედეგს ამ სხვა ფაქტორების ზემოქმედებისა, გან-სხვავებულ ფსიქოლოგოურ ხასიათებს და ყოფით კულტურას.

აღნიშნული სამი მიზნის კომბინაციით საქმაოდ იოლად მიიღება ის, რასაც ჩვენ გეოპოლიტიკური წინასწარგანსაზღვრულობა ვუწოდეთ. მართლაც, ჩვენზე არ არის დამოკიდებული არა მხოლოდ სამშობლო-საცხოვრისის არჩევა, არამედ არც ჩვენი მეზობლებისა. ერთიც და მე-ორეც უნდა მივიღოთ როგორც ურყევი, ობიექტური ფაქტი. მას შემ-დეგ რაც ეს გეოპოლიტიკური დოქტრინა პოლიტიკურ ხდომილებებს განიხილავს არა იმდენად ჩვენი თუ ჩვენი მეზობლების სუბიექტური ნებით განსაზღვრულად, რამდენადაც დეტერმინირებულად „სასიცოცხ-ლო სივრცის“ გეოსტრატეგიული ფაქტორებით, წარმოუდგენელი ხდე-ბა, რომ კავკასია და საქართველო მასში, არ განიცდიდნენ მრისანე მეზობლების მუდმივ დაწოლას. კავკასიის რეგიონი გაიგება „ოლიდგან-ვე ორ ზღვას შორის საომარ ლელოდ“. ასესტითი ამ მტკიცებში ის გახლავთ, რომ ჩვენ არასდროს მოვალეობებინ უფრო ძლიერი მეზობ-ლები - ეს, ასე ვთქვათ, უფრო სამწუხარო შედეგია მთავარი ფაქტო-რისა; კერძოდ კი იმისა, რომ ჩვენი მეზობლების აგრძელებული პოლი-ტიკა, თავისთავად რაღაც სუბიექტური, აღნიშნული მტკიცების მიხედ-ვით, ფიზიკურ-გეოგრაფიული, პრინციპში ბუნებრივი მოვლენებით წა-რიმართება. ვითარებას ამწვავებს აგრეთვე საქართველოს ტრადიციუ-ლი ლტოლვა ქრისტიანული სამყაროსაკენ. მას შემდეგ, რაც ბიზანტი-ის ადგილი თურქეთმა დაიკავა, ხოლო ჩრდილოკავკასიურ ტომებში მცვიდრად მოიკიდა ფქი ისლამშა, საქართველო ისლამურ გარემოცვა-ში აღმოჩნდა. ვითარების შემსუბუქება, ისლამურ გეოპოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით, შეუძლებლად ითვლება, რადგან ეს ქრის-ტიანულ კულტურულ ფასეულობებზე, საკუთარ თვითშეოფადობაზე უა-რის თქმას ნიშნავს. ჰოდა, „წელში გაგვწვიტა ქრისტეს ჯვრის ზიდ-ვამ“, ამიტომ ტრადიციული გეოპოლიტიკური ორიენტაცია დამატებით გულისხმობს მძიმე ზენობრივ და რელიგიურ მოვალეობასაც, რაც თი-თოვეულ ჩვენთაგანს დაბალებიდანვე ხვდება წილად („მძიმეა ქართვე-ლობა“-ს ლოცუნგით).

რა შეიძლება ითქვას ამ შეხედულებებსა და მათგან გამომდინარე დასკვნებზე? ვფიქრობთ, ის რაც საბოლოო ჯამში ქვიეტიზმისაკენ წაგ-ვიბიძებს, იმთავითვე მიუღებელია ჩვენთვის. საპირისპიროდ, ა) შეგ-ვიძლია გაჩვენოთ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს; ბ) „გეოპოლიტიკური რეგიონი“ რელატიური ცნებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს a priori კარგი ან ცუდი გეოპოლიტიკური რეგი-

ონი; გ) დაბოლოს, შეგვიძლია ვცალოთ და ეროვნული ინტერესების წმინდა გეოპოლიტიკური რეალიებით განსაზღვრის ნაცვლად, იგი შე-გავსოთ პოლიტიკური მოვლენების განმსაზღვრელი, მოჩვენებაუს უავე კლასიკურად ქცეული ძალთა ბალანსის თეორიით.

დავიწყოთ კავკასიაში ჩვენი მდებარეობის დახასათებით. ეს ჩეგიონი არც ისე დაუცველი და ღიაა განუწყვეტელი თავდასხმებისათვის. ჩვენი წინაპარი ტომები, რომელებიც ამიერკავკასიის ძირში დასახლდნენ, როგორც ჩანს, ჩვენზე ნაკლები მოსურნები არ ყოფილი მშვიდი სამუშანეო ცხოვრებისა. ყოველ შემთხვევში, ვზის კულტურის იმგარი ინტენსური განვითარება, როგორიც საქართველოშია, მიწვე ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა. კავკასიის მთიანი მასივები კი, კომუნიკაციისა და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განვითარებამდე, ქვეყანას სამედიდი იცავდა ჩრდილოელი დაუბატიუებელი სტუმრებისაგან. ისტორიულად იმი-ერკავკასია დასახლებული იყო მომთაბარე ტომებით, რომელთაც არ შეუქმნიათ მყარი სტრუქტურებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მქონე გაერთიანებანი. მართალია, ეს უკანასკნელი სულაც არ ჭირდებოდათ მომთაბარეებს აგრძიული პოლიტიკის საწარმოებლად, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მომთაბარეები არც სხვას აძლევ-დნენ ჩვენს უშუალო ჩრდილოეთ სამეზობლოში ძლიერი სახელმწიფოს აგების საშუალებას. რაც შეეხებათ თავად მომთაბარეებს, ისინი არ აწარმოებდნენ მეთოდურ და მიზანმიმართულ თავდასხმებს საქართველოზე არამხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ კავკასიის ქედი გვიცავდა, რომელიც მათვების იოლი გადმოსალახი არ იყო, არამედ იმიტომაც, რომ მომთაბარეებს ჰქონდათ მუსრუნებრიობის სრულიად სხვა წესი, რომლისათვი-საც საქართველოს მიწა-წყალი სრულიად უვარებისა. მომთაბარეთა მეურნეობა ხომ მესაქონლეობას ემყარება, რის გამოც მათ საცხოვრებლად ჭირდებოდათ ნოვიერი ბალახით სავსე ველები და არა ერთ დროს ტყით დაფარული ხევებითა და მოებით დანაწევრებული საქართველოს ტერი-ტორია. ხაზარების, პაჭანიკების და ყივჩაყების ინტერესები უფრო და-სავლეთი მხარისაკენ იყო მიმართული, სადაც მათ განუწყვეტელი შეხ-ლა-შემოხლა ჰქონდათ სლავებთან. სამხრეთი, საქართველოსაკენ ლაშქ-რობებს ეპიზოდური, შემთხვევითი ხსიათი ჰქონდა და ნაკარნახევი იყო ან რიგი „ტრანზიტული“ მიხნებით, ან უფრო მარტივი, ალაფის მოპოვების სურვილით. ეს რაც შეეხება ჩრდილოეთის მიმართულებას, რომელიც გარკვეულ პერიოდამდე საიმედოდ გამოიყურებოდა.

დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან საქართველოს „სასიცოცხლო სივრცე“ შემოზღუდულია შავი და კასპიის ზღვებით. საზღვაო სივრცე და მიმდებარე სანაპიროები სტრატეგიულად არამყარი შახასიათებელია, რომელებიც განვითარებისდა შესაბამისად შეიძლება წარმოადგენდეს რო-

გორც მტრის თავდასხმებისაგან დამცველ ზოლს, ასევე პირიქით, იმ-  
 გვარ მონაკვეთს, რომელიც საიძელო თავდაცვითი სისტემის არარსე-  
 ბობის პირობებში მუდამ ღია იქნებოდა მტრის ფლოტისა და დესან-  
 ტისათვის. ეს ზოგადად. რაც შეეხება შავ და კასპიის ზღვებს უფრო  
 კონკრეტულად, აქ ვითარება ერთობ სპეციფიურია. კასპიის ზღვა ფაქ-  
 ტიურად დიდი ტბაა, რამაც განაპირობა კიდეც ის ფაქტი, რომ მის  
 შემოგარენში არ წარომექმნილა არც ერთი საზღვაო სახელმწიფო. კას-  
 პიის ზღვაში არასდროს არც ერთი ქვეყნის „დიდი არმადა“ არ ჩაუქ-  
 ვიათ და არც მნიშვნელოვანი საზღვაო ბრძოლა გამართულა ოდესმე.  
 ამ პირით, კასპიის ზღვა სიმშევიდის გარანტი იყო აღმოსავლეთიდან,  
 რომელიც ძირითადად ოვაზჭერისა და (შედარებით ნაკლები ინტენსი-  
 ობის) სავაჭრო ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა. საინტერესოა,  
 რომ თითქმის ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის შავ  
 ზღვასაც. ბოსფორისა და დარღანელის ჩაკეტვის შემთხვევაში, რაც და-  
 მოკიდებული იყო ამ სრუტების მაკონტროლებელი ქვეყნის პოლიტი-  
 კურ ნებასა და შესაძლებლობებზე, შავი ზღვა ისეთივე ჩაკეტილ სივ-  
 რცედ იქცევა, როგორიც კასპიის ზღვაა. მართალია, კასპიისაგან გან-  
 სხვავებით, შავ ზღვაზე ყოველთვის იყვნენ საზღვაო სახელმწიფოები,  
 მას წერ ბიზანტია აკონტროლებდა დიდი ხნის განმავლობაში, შემდეგ  
 თურქეთი და ბოლოს რუსეთმა მოინდომა მასზე მაკონტროლებელი რო-  
 ლის თამაში, მაგრამ საინტერესოა, რომ საქართველოს არასდროს გა-  
 ნუცდია საზღვაო თავდასხმა მათგან. ისტორიამ არ იცის შემთხვევა,  
 არ არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩვენს ნაპირებს მეტ-ნაკლე-  
 ბად სოლიდური ბიზანტიური ან თურქული ფლოტი მოაფიქოდეს. ეს,  
 როგორც ჩანს, გამოწვეული იყო იმით, რომ ორივე ქვეყანა თავის  
 სამხედრო-პოლიტიკურ აქტიობას მიმართავდა საქართველოს სამხრეთით,  
 მათ უშუალო მოსაზღვრე რაიონებზე. სახმელეთო ოპერაციები კი გა-  
 ცილებით უფრო იაფი და ეფექტური იყო, ვიდრე ამავე მიზნებით საზ-  
 ღვაო ფლოტის აღჭურვა. მით უფრო, თუ საქართველოს სამხრეთისა-  
 გან განსხვავებით, საზღვაო რაიონები ისტორიულად ვერ დაიკვეხიდ-  
 ნენ აყვავებული საპირტო ქალაქებით, რომლებიც თავიანთი სიმდიდ-  
 რით და საგაჭრო მნიშვნელობით დააინტერესებდნენ არა მხოლოდ ქველ  
 კომერსანტებს, არამედ მტრულ სამხედრო ესკადრებსაც. ერთი სიტყ-  
 ვით, თუ დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე ზღვებს, კავკასი-  
 ონის მსგავსად, დაცვით ზღვდებად განვიხილავთ, დარჩება ერთადერ-  
 თი მიმართულება - სამხრეთისა - რომელიც სრულიად დაუცავია ამ-  
 გვარი ბუნებრივი საშუალებებით. სწორედ აქეთკენ მიმართავდა საქარ-  
 თველო თავის ძირითად პოლიტიკურ და სამხედრო ძალისხმევას, რათა  
 უზრუნველეყო სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოება. თანაც გასათვა-

ლისწინებელია მდგომარეობის შემამსუბუქებელი ის გარემოება, რომ სამხრეთით უშუალო მეზობლები იყვნენ არცთუ დიდად აღმატებული პოლიტიკური კონდიციების მქონე ჸერბაიგანი და სომხეთი.

ვიდრე ამ პოსტულატის მიმხილვას დავასრულებდეთ, გვინდა ორი-ოდე სიტყვა ვთქვათ ქრისტიანული დასავლეთის, ქრისტიანული ევროპის ცნებებზე, რომლის უკიდურეს აღმოსავლურ ფორმოსტადაც ცხადდება სა-ქართველო. საქმე იმაშია, რომ თვალსაჩრისი, როლმის მიხედვითაც სა-ქართველო „ქრისტიანული ევროპის“<sup>1</sup> ნაწილად მიჩნევა და ამ საფუძ-ველზე მტკიცდება დღევანდელ ევროპულ პოლიტიკურ და კულტურულ სტრუქტურებში საქართველოს ინტერაციის „კანონზომიერება“, ორაზრო-ვანი და შეცდომში შემყვანია. საკითხის ნათელყოფისათვის ჯერ უნდა ვიყითხოთ, რომელ ქრისტიანულ ევროპაზეა ლაპარაკი? თუ საქმე ეხება დასავლეთ ევროპის საქრისტიანოს, მნიშვნელობა არა აქვს მის პაპის-ტურ თუ პროტესტანტულ ნაირსახეობებს, მშინ თვალსაჩრისი აქარად ყალბია, რადგან საქართველო არასდროს ყოფილა მისი ნაწილი არც კულტურული და არც პოლიტიკური თვალსაჩრისით. აქედა სავსებით ბუ-ნებრივია ევროპელების გულწრფელი გაყვითვება და სიფრთხილე დღეს ჩვენი მომძლავრებული ევროპოცენტრისტული განცხადებების მიმართ ისე-ვე, როგორც ბევრი ჩვენი გულუბრყვილო თანამემამულის უკმაყოფილება იმის გამო, რომ „დასავლეთმა საუკუნის დასაწყისში ერთხელ უკვე გაგ-ვწირა და ახლა მეოროედ გვლალატობს...“ ვის დავკარგვივართ ან ვინ გვეძებს? როდის მოუკიათ ევროპელებს თანადგომისა და ერთგულების რაყამი? განა თითებზე ჩამოსათვლელი ქართველი მამულიშვილების ევ-რობული ორიენტაციის მოვაწეობა საქართვის საბუთია იმისათვის, რომ საქართველო დასავლეთ ევროპის „უძღებ შვილად“ გამოვაცხადოთ? გვახ-სოგს კია, როგორი რეპუტაციით სარგებლობდა საქართველო ევროპაში, როდესაც იქ, განმანათლებლობის ეპქაში, ევროპოცენტრისტული მსოფ-ლმხედველობისა და პოლიტიკური ორიენტირების ჩამოყალიბება დაწ-ყო? განა დღეს დიდად დავცილდით ჩვენს მაშინდელ მდგომარეობას, თუ კვლავაც ვაოცებთ მსოფლიოს ჩვენი ყოფით? აი, საქართველოს და-ხასიათება, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით მეორდება განმანათლებ-ლობის არაერთ ავტორთან: .... კიდევ უფრო საცოდავია - წერდა ჰერ-დერი<sup>1</sup> - ქრისტიანული საქართველოს ბედი. აქ ეკლესიებიც არის და მონასტრებიც, პატრიარქებიც ყავთ, ეპისკოპოსებიც და ბერებიც; ქარ-თველი ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები - გულადები; და მანც აქ მშობლები შვილებს ყიდიან, ქმრები - ცოლებს, მთავრები - ქვეშევრ-

<sup>1</sup> И. Г. Гердер Идей к философии истории человечества. Изд. "Наука", М., 1977; с.491

დომებს, ხოლო მორწმუნები - ღვთისმსახურთ. უცნაური ქრისტიანობა მეფობს ამ სულით მხნე და გულით ურწმუნ ქურდბაცაცა ხალხში". უნდა გიქონიოთ თუ არა იმედი, რომ საქართველოს ღლევანდელი იმიჯი მკვეთრად ამაღლებულია ძველთან შედარებით? თუმცა, ეს საუბრის სხვა ოქმაა და ჩვენს ძირითად სათქმელს საქმაოდ დაცილებული...

ერთხელ და სამუდამოდ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეგრძობა, რომელთანაც ჩვენ მჭიდრო უთრიერთობა გვქონდა, ქრისტიანობა, რომლის მოუწყვეტელ ნაწილადაც ვაცნობიერებდით თავს, იყო ის კულტურულ-პოლიტიკური სამყარო, რომელიც „აღმოსავლეთის ქრისტიანობის“ სახელითაა ცნობილი. ეს უკანასკნელი არაფრით ჩამოუგარდებოდა, (ზოლო გარკვეულ პერიოდში სჭობდა კიდევ როგორც კულტურულად, ასევე სამხედრო-პოლიტიკური ძლევამოსილებით) დასავლეთ ევროპას, მაგრამ ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ეს სამყარო ფაქტიურად განადგურდა როგორც პოლიტიკური ერთეული. დასავლეთისა და აღმოსავლეთის საქრისტიანოებს შორის, როგორც ცნობილია, საქმაოდ დაძაბული და შემდგომ აქარად მტრული ურთიერთობა არსებობდა. დასავლეთ ევროპელი ხალხების ინტეგრაციას ერთიან პოლიტიკურ და კულტურულ სიგრცეში რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი, რომელთა შორის ცალკე შეიძლება გამოიყოს ერთიანი საეკლესიო ცენტრი რომის პაპის მეთაურობით, ლათინური ენა და ბოლო, თუმცა არა უკანასკნელი ფაქტორი - რომაული სამართალი რომელიც საფუძვლად დაედო რომაულ-გერმანულსა და ინგლისურ სამართლებრივ სისტემებს. სულიერი ცხოვრების ერთი ცენტრიდან ხელმძღვანელობამ, საერთო ცხოვრების საერთო სამართლებრივ საფუძველზე რეგულირების პრაქტიკამ, ერთმანეთს დაუხლოვა დასავლეთ ევროპელი ხალხები და ევროპას დაახლოებით ისეთი სახე მისცა თანდათნობით, როგორიც მას დღეს აქვს. დასავლეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ევროპას, უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ საქრისტიანოს შეუდარებლად უფრო ატომიზირებული სახე ჰქინდა. აქ არავინ ავალებულებდა სხვადასხვა საპატრიიარქოებს კონსტანტინებოლის პატრიიარქის პრიმატის აღიარებას და არც ბერძნულ ენზე ღვთისმსახურების წარმართვას. ამგვარად ატომიზირებული აღმოსავლეთის საქრისტიანო საოცარი ერთსულოვნებით უარყოფდა რომის პაპის უცოდველობის დოგმატს და მთლიანაობაში, ბიზანტიასთან ერთად უპირისპირდებოდა დასავლეთს. დაუშვებელია მიფუჩებება იმ ფაქტისა, ბზანტია, რომლის გეოპოლიტიკურ არეალშიც ინტეგრირებული იყო საქართველო, გარდა პოლიტიკურ-კულტურულ და სამხედრო-სტრატეგიული პარამეტრებისა, უპირისპირდებოდა დასავლეთ ევროპას გაცილებით უფრო ღრმა, სულიერების განმსაზღვრელ ქრისტიანული თეოლოგიისა და დოგმატიკის საკითხებში. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენი ქრისტიანობის საფუძველზე დღევანდელ დასავლეთ ევროპულ პოლიტიკურ

სტრუქტურებში ინტეგრირების გარანტირების იდეა, სრულ გაუგებრობაზეა აღმოცენებული. იგი საბოლოო ჯამში ილუზიების გარდა არაფრის მიმტანია. ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ იმთავითვე გმირიც-ხელია საქართველოსათვის ევროპულ პოლიკურ სტრუქტურებთან თანამ-შრომლობა ან, თუნდაც მათში თანდათანობითი ინტეგრაცია; ამ მიმარ-თულებით ხომ უკვე გადაიდგა რაღაც ნაბიჯები, მაგრამ საქართველოს „გესტერნზაცია“ იმ დოზით და იმ პერიოდში გახდება შესაძლებელი, რო-დესაც ამას საჭიროდ ჩათვლის დასავლეთი ევროპა და, რაც მთავარია, როდესაც ამისათვის მზად ვიწებით თავად ჩვენ. თუ თავს ფანტაზირების უფლებას მივცემთ, თუ დღევანდელობისად მოუხედავად თაგს ძალას და-ვატანთ წარმოვიდგინოთ ასეთი მზადყოფი საქართველო მომავალში, ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმას, რომ მომავალი თაობის პოლიტიკოსებმა ვე-რაფერი სარგებელი ნახონ ამგვარი ინტეგრაციის იდეაში. ეჭვი არ არის, ეს მომავალი თაობა გაკირვებულიც დარჩება, თუკი შეიტყობს ჩვენი „ევროპოცენტრისტული“ პოლიტიკური ორიენტაციის ფარულ საზრისს - მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ ქრისტიანი ერი ვართ, „მოვითხოვოთ“ ევროპელთაგან ჩვენს მაგივრად გაამაგრონ ნაციონალური ვალუტა საქა-რთველოში, გამოაცოცხლონ მრეწველობა და წაახალისონ კერძო სექტორი, ჩააყინონ ჯარი, იარაღით ხელში დაიცვან საქართვლოს ტერიტორიული მთლიანობა, დაიცვან დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ებრძოლონ ბანდიტიშს, ნაკომანიას, მაფიას, ერთი სიტყვით, ააშენონ სახელმწიფო იმ ხალხის მაგიერ, რომლის ბოგანო უმრავლესობა შიმშილითა და სიცი-ვითაა დაუძლურებული, ხოლო წარჩინებული უმცირესობა - ძვირადირე-ბული სიამების გამოღვევებით დაკავებული. ცხადია, არც ევროპა და არც, უფრო ფართოდ, დასავლეთი, რომელიც კარგადაა გაწვრთნილი უფ-რო რო როული ხრიკების ამოცნობასა და მოგვარებაში, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს არ გააკეთებს. ამ მხრივ ვერაფერს გვიშველის ვერც ახალი რე-ლიგიური ორიენტაცია და ვერც ჭელის ჩხერება-გადასინჯვა. ლაპარაკი იმა-ზე, რომ საქართველო შეცდა, როდესაც საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი მომაკვდავ ბიზანტიას, და არ გადაინაცვლა კათოლიკური დასავლე-თისაკენ, შეიძლება წინას მატებდეს ამ მოსაზრების ავტორს მავანი და-კვირვებლის თვალში, მაგრამ უშუალოდ დღევანდელი პოლიტიკური პრობ-ლემების გადასაწყვეტად, ეს არგუმენტაცია პრაქტიკულად არაფრის მომ-ცემია. გარდა ამისა, საკითხავია ისიც, თუ როგორ წარმოვიდგენია თვით ორიენტაციის შეცვლა? ხომ აშკარაა, რომ რწმენის შეცვლა შესაძლებე-ლია მხოლოდ თანდათანობით, არსებული ღირებულებების გადაფასებით, მოქლედ - თეოლოგიური აზროვნების განვითარებით. მართლაც, რწმენა ღრმად ინდივიდუალური, პიროვნულ არჩევანსა და პასუხისმგებლობის ფე-ნომენზე დამოკიდებული განწყობაა, რომელთან მიმართებაშიაც ხელისუფ-

ლება სრულ ჩაურევლობას და ტოლერანტიზმს უნდა იჩენდეს. თავისთავად, არც მხოლოდ კათოლიკიზმა ლალი ცხოვრებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტია. პოლიტიკური (თუ, როგორც ამ ბოლო დროს ჩვენში გავრცელდა, ეკონომიკური) მოსაზრებებით ჩწენის შეცვლა კი უდავოდ ჩრდილავს როგორც მიტოვებული აღმსარებლობის ღირსებას, ასევე ახლადმიღებულის ღირებულებასაც. ჩწენის მყისიერი, არარელიგიური მოსაზრებებით შეცვლა, როგორც ნიმუში ჩვენი პოლიტიკური პრობლემების სახელდახველო და რადიკალური მოგვარებისა, ვერაფრით დატოვებდა კარგ შეთაბეჭდილებას ცივილისტირებულ სამყაროზე.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპად დაყოფა, რომელიც ძირითადად ქვეყნების საეკლესიო დაყოფას მიუყვება, რა თქმა უნდა, არ არის ავტორის ორიგინალური მოსაზრებების ნაყოფი. „აღმოსავლეთის ქრისტიანობა“, „დასავლეთის ქრისტიანობა“ იქვიათი არ არის ისტორიულ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში. მაგრამ, ალბათ, უფრო საინტერესოა ის, რომ თანამედროვე ნიადაგზეა აღმოცენებული. „ცივი ომის“ პერიოდში ევროპელები თავიანთ გეოპოლიტიკურ სივრცეს სამ ზონად ყოფდნენ (დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპად). საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ, ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული დოქტრინით (ავტორები არიან მიშელ ფუშე და კრიშტოფ პომიანი) დასავლეთ ევროპის საზოგრები მნიშვნელოვნადაა გაფართოებული ცენტრალური ევროპის ხაჩჭე. ახალი დაყოფით, არსებობს მხოლოდ დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპა, რომელთა შორის სპეციალისტები იწყება თეთრი ზღვიდან. დასავლეთი ევროპა მოიცავს ფრნეთის დიდ ნაწილს, ბალტის რესპუბლიკებს, ბელორუსის მცირე ნაწილს, პოლონეთს, ჩეხიას, სლოვაკიას, უნგრეთს, ტრანსილვანიის მხარეს, სლოვენიას, ხორვატიას და საბოლოოდ სრულდება აღრიატიკის ზღვით. ახალი დაყოფის ქვაკუთხედად ეკლესიათა შორის განსხვავებაა აღებული. დასავლეთი ევროპა აერთიანებს კათოლიკურ და პროტესტანტულ კონფესიებს, ხოლო აღმოსავლური ძირითადად მართლადიდებლურს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, აღნიშნავენ დასავლეთელი პოლიტოლოგები, ადგილი არ ჰქონია არც რენესანსსა და რეფორმაციას, არც ინდუსტრიულ რევოლუციას, რაც განმსაზღვრელია დასავლური ცხოვრების წესიათვის.

პოლიტიკურად და კულტურულად ატომიზირებულ აღმოსავლეთ ევროპას, ბიზანტიის დაცემის შემდეგ ხან თურქეთი „კურირებდა“ და ხანაც ავსტრია. ბოლოს იგი დროებით რუსეთმა დაუმორჩილა თავის გავლენას ისევ დასავლეთიდან ნასესხები სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეოლოგიური კლიმებით. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, აღმოსავლეთ

ევროპის მომავალი, რომელიც ზემოთხსენებული დოქტრინით მოიცავს ყოფილ საბჭოთა ტერიტორიების ჩათვლით, მხოლოდ ბალკანეთს და მასთან პოლიტიკურად დაკავშირებულ რეგიონებს, გრძაც გაურკვეველია. რომ სწორედ აღმოსავლური რეგიონების ბედია ბუნდოვანი, ამაზე ნათლად მეტყველებს ბალკანეთის, ყოფილი ოუგოსლავის დასავლური (სლოვენია, ხორვატია) და აღმოსავლური (ბოსნია, სერბია, მაკედონია) რესპუბლიკების განსხვავებული მდგრადობა. თუ სლოვენიასა და ხორვატიასთან დაკავშირებით სწრაფად გაირკვა ვითარება, და სიტუაცია აქ მეტ-ნაკლებად სტაბილურია, აღმოსავლეთში ან ომია, ან ახალი სამხედრო კონფლიქტების სპესტრიება. როგორი მიმართულება ექნება აღმოსავლურ ევროპულ პროცესებს, რა გეოპოლიტიკური რეალიები ჩამოყალიბდება ამ რეგიონში, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ჩვენთვის უფრო არსებითია საგულისხმო დასკვნები გავაკეთოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან.

კონკრეტულად რისი განსაზღვრა შეიძლება ზემოთთქმულიდან გამომდინარე? საქართველოს პრაქტიკული ინტერესებისათვის გამოიკვეთა შემდგენი სურათი: (ა) გეოპოლიტიკური და ისტორიული გამოცდილება გვარუშენებს, რომ საქართველო არც არის და არც ოდესმე ყოფილა ევროპული პოლიტიკური ორგანიზმის და გეოპოლიტიკური რეალიების შემადგენელი ნაწილი, თუკი „ევროპად“ დასავლურ ევროპულ სამყაროს მივიჩნევთ; შემდეგ, (ბ) საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროპის სურათი: დასავლეთ ევროპის შემადგენლობაში შევიდნენ კათოლიკურ-პროტესტანტული კულტურის ყოფილი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნები. პერსპექტივში ნაგარულდევა მათი ინტეგრაცია ევროპული თანამეგობრობის პოლიტიკურ სტრუქტურებში. ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრაციის მოსურნე ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს - დემოკრატიული სახელმწიფო სტრუქტურები, მოქნილი სახელმწიფოებრივი მექანიზმები, განვითარებული ეკონომიკა და ა. შ. ასესიონს დელორის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინტეგრაციის ეტაპობრივ განხორციელებას მსურველი ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური დონის შესაბამისად. ამ გეოპოლიტიკურ რეგიონში ჩვენი გაწევრიანება შორეულ, მხოლოდ პერსპექტიულ მომავალშიაც კი, უაღრესად პრობლემატურად გვეჩვენება; დაბოლოს, (დ) უნდა მივაკიოთ ყურადღება იმას, რომ რაც ყოფილი აღმოსავლეთი ევროპიდან გადარჩა დღეს, ფაქტიურად მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი დასავლეთი რეგიონი და ბალკანეთია. შავი ზღვის თანამეგობრობა, თუკი იგი გონიგრულად იქნა გამოყენებული, ქმნის გარკვეულ პერსპექტივას ევროპის ბალკანურ რეგიონთან საქართველოს ინტეგრაციისა. ჯერჯერობით შავი ზღვის ქვეყნების თანამეგობრობის წევრებთან საქართველოს კავშირულთიერთობა არ არის დამაკმა-

ყოფილებელი. თანამეგობრობამ გააერთიანა ქვეყნები, რომელთა შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აჩსებობს, როთაც კარგად სარგებლობს იგივე თანამეგობრობის წევრი რუსეთი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო, ყოველ შემთხვევაში მისი დღევანდელი ხელმძღვანელობა, გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობს თავს მეორე აღმოსავლეულ გაერთიანებში, ე.წ. СНГ-ში, რომელსაც ჩვენი მკითხველი ძალიან კარგად იცნობს. თუმცა, ამჟამად, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ სხვა ევროპული რეგიონი (აზის მომიწნავე რეგიონებთან ჩვენს კავშირზე ამ წერილში შეგნებულად არაფრეს ვამობთ), რომელთანაც უახლოეს ხუთ-ათ წელიწადში შესაძლებელ იქნება დაახლოება, ბუნებაში არ არსებობს.

მაგრამ დავუბრუნდეთ წინასწარგანსაზღვრულობის ცნებას. ჩვენ ვამბობდით, რომ არ არსებობს იმგარი პოლიტიკური რეგიონი, რომელიც მუდამ კარგი ან ცუდი იქნებოდა. ამ თვალსაზრისის ზოგადმართებულობის დემონსტრაცია ორგაზარად შეიძლება: ჭერ ერთი, იმის ილუსტრაცით, რომ ქვეყანა, რომელიც გარკვეულ პერიოდში სრულიად „უკარგის“ ზონში იმყოფებოდა, მოულოდნელად გადაიქცა მეტად „მომგებიან“ გეოპოლიტიკურ რეგიონად ან პირიქით; მეორე, შეგვიძლია მოვიყვანოთ იმის მაგალითებიც, როდესაც თითქოს იდენტური გეოგრაფიული მდგომარეობის ქვეყნები არამხოლოდ განსხვავებული, არამედ, გარკვეული აზრით, საპირისპირო პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობენ.

პირველი შემთხვევის ტიპიური ნიმუშებიდან, შეგვიძლია ავილოთ ქვეყნები, რომლებიც წარმოშვებიან ან თავისუფლებას მოიპოვებენ ამა თუ იმ იმპერიის ნერევის შემდეგ. ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონების გეოპოლიტიკური სტატუსის ტრანსფორმაცია, ამ მხრივ, კარგი მაგალითია. რეგიონი, რომელიც გარკვეული გავლენის ზონში იყო, სუვერო, რომლის მიმართაც აღარავის შენოდა ცხოველი ინტერესი, უცრად თავისუფლდება ზეგავლენისაგან და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა. ქვეყნის გეოპოლიტიკურ სტატუსზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანებების ნერევა თუ ახლის წარმოშობა: კუვეიტისა და საუდის არაბეთის სტატუსზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქნია არა ამ ქვეყნების მართლაც მნიშვნელოვანმა სამხედრო-სტრატეგიულმა მდგომარეობამ, რამდენადაც ნავთობის უზარმაზარმა მარაგმა. ნავთობის აღმოჩენის შემდეგ, ორივე ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობა შეუდარებლად მაღლდა. ქვეყნის ტერიტორიას, ფაქტიურად უდაბნის უსიცოცხლო მასივებს, ოქროს ფასი დაედო და რეგიონი მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა. ერაყის წარუმატებელმა კაპიტანიამ და საერთაშორისო თანამეგობრობის ერთსულოვანმა პოზიციამ ერაყ-კუვეიტის კონფლიქტის მიმართ, კიდევ ერთ-

ხელ დაადასტურა ამ რეგიონის მაღალი გეოპოლიტიკური ღირებულება. დაბოლოს, ალბათ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ნებისმიერი რეგიონის თუ ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგრადი გეოპოლიტიკური დიდ ზეგავლენას იქონიებს ტექნიკური და ტექნილოგიური პროგრესი, განსაკუთრებით კი პროგრესი სამხედრო შეიარაღების დარგში. უკვე კუვეიტ-საუდის არაბეთის მაგალითის მოქმედი გულისხმობს ტექნიკური პროგრესის ფერომენს. ნავთობს კაცობრიობა დიდი ხანია იცნობს. უფრო ადრეულ შემთხვევებს რომ თავი დავანებოთ, პლუტარქეს ცნობით, ალექსანდრეს აზიური ლაშქრობისას, ეგრძობელებს პირველად მოუტანეს სითხე, რომელიც ცეცხლის მიახლოებისას ააღდებოდა. ამ ცნობის ვერიფიკაციას მაშინ ერთი მონაც კი შეეწირა, მაგრამ ამით ნავთობს არ მისცემია დღევანდელი ენერგეტიკული მნიშვნელობა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო იზრდება აღმანის ტექნიკური აღჭურვილობა, მით უფრო სუსტდება ფიზიკური გეოგრაფიის ფაქტორების როლი გეოპოლიტიკურ რეალიებში. ამის საილუსტრაციოდ, ნება მოგვეცით, ინგლისისა და იაპონიის მაგალითები ავილოთ. განვხილოთ ისინი უპირველეს ყოვლისა სამხედრო-ტექნიკური კუთხით.

როგორც ინგლისის, ასევე იაპონიის მდებარეობა, გარკვეულ პერიოდამდე, ერთობ საიმედოდ გამოიყურებოდა. კუნძულის სახელმწიფოდ ყოფნამ და უახლოესი მეზობლებისაგან ბუნებრივმა იზოლაციამ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ორივე ქვეყანა მუდგომელ ციხე-სიმაგრედ აქცია. თავის დროზე იაპონელები გადაურჩნენ მონლოლებს და ევროპელებს, ხოლო ინგლისელები კი ესპანელთა „დიდ არმადას“, ნაპოლეონსა და ჰიტლერს. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ კუნძულზე დაარსებული სახელმწიფოები, მათი მოსახლეობა იმთავითვე საიმედოდაა დაცული გარეშე, დაუპატიუებელი სტუმრებისაგან, მაგრამ როგორც სხვა მაგალითები გვარწმუნებს, ეს ყოველთვის ასე არ არის (კვიპროსი, მალტა). ზემოთ აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ კუნძულელთა უსაფრთხოება იმდენად გარემონტვდელ ზღვის კი არ არის დამოკიდებული, რამდენადაც ძლიერ სტრატეგიული ფლოტისა და სანაპირო დაცვაზე. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამ ორ პირობას დაემატა მესამეც - საპარო თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობაც. ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ მხრივ გერმანელთა სამზადისის შესახებ გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის, ჰალდერის დღიურები. ინგლისზე თავდასხმის სამზადებიდან და სტრატეგიული დაგეგმვის მასალებიდან (ოპერაცია „ზღვის ლომი“) ცხადი ხდება, რომ ჰალდერში უპირატესობას არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა კუნძულის სახელმწიფოს დასამარცხებლად, თუკი ეს უპირატესობა გამაგრებული არ არის საზღვაო-საფეხსანტო ნაწილების თანადგომით. აუცილებლად ითვლება სოლიდური საზღვაო დესანტის გადას-

ხმა, რომელიც მოამზადებდა სათანადო პლაცდარმს ქვეყნის სიღრმეში უკვე რეგულარული ნაწილების შეჭრისათვის. მას შემდეგ, რაც ოპერაცია „ზღვის ლომი“ გადაიდო, ბრიტანეთის კუნძულებზე უფრო უზიფათოდ იგრძნეს თავი. რეგულარული დაბომბვები ავიაციითა თუ ფაუს ტიპის სარაკეტო დანადგარებით, მართალია, ინგლისელებს დიდ ზარალს აყნებდა, მაგრამ ეს არ ყოფილა იმ ტიპის დარტყმები, რომლებიც ქვეყნის სამხდერო პოტენციალს გაანადგურებდა და მას ომის შემდეგ გაგრძელებაზე უარს ათქმევნებდა. სამხედრო სტრატეგიისათვის უცვლელი დარჩა აზრი, რომ ზღვიდან კარგად დაცული კუნძული, საბოლოო ჭამში, მტრი-საგან უვნებელი ჩეხება. მდგომარეობა მკეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ატომური იარაონ გამოიგონეს. საბჭოთა ისტორიოგრაფიში გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ხიროსიმას და ნაგასაკის ატომური დაბომბვა იაპონიის კაპიტულაციის ძირითადი მიზეზი იყო. მექარა შეიქნა, რომ წარმოშვება ახალი ტიპის შეიარაღებანი, რომლის წინშე ზღვითა და სხვა ბუნებრივი ზღუდეებით აქამდე კარგად დაცული რეგიონი, სრულიად უძლურია. ამრიგად, გეოპოლიტიკური რეგიონის სტატუსი საქამიად მერყევია და დამკიცირებულია მრავალ ფაქტორებზე, რომლებიც სცილდება წმინდა ფიზიკური გეოგრაფიის დეტერმინანტებს; ახალი მძღვრი იარალი, ზოგადი ტექნიკური პროგრესი თუ წმინდა პოლიტიკური მოვლენები, სხვა ხდებოდებთან ერთად, განაპირობებენ გეოპოლიტიკური რეგიონის რელატურ ღირებულებას.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ იგივე დასკვნის საშუალებას იძლევა იმ რეგიონების მაგალითები, სადაც ერთნაირ პირობებში მცხოვრები ორი ქვეყნის ხალხისათვის სრულიად განსხვავებული ყოფაა დამყარებული. ყველაზე რეგიოფურ ნიმუშს ამ მხრივ ცენტრალური ამერიკის რეგიონში მდგბარე ქვეყნები წარმოადგენს. რეგიონში გავრცელებული ცხოვრების სტანდარტებიდან და პოლიტიკური რეჟიმებიდან (არა-და აქ, როგორც წესი, ყველ ქვეყანში ერთ დიქტატორულ რეჟიმს მორე სცვლიდა), მკეთრად გამოიჩინევა კოსტა-რიკა. მეზობელი პანამელების, ნიკარაგუელების და ჰონდურასელებისაგან განსხვავებით, კოსტა-რიკაშ კარგა ხანია მიაღწია სტაბილურობას და დემოკრატიული მმართველობის წესს. ქვეყანაში 1949 წელს მიღებული კონსტიტუციის მიხედვით აკრძალულია რეგულარული არმიის ყოლა. არსებობს მხოლოდ პოლიცია და ნაციონალური გვარდია (12 000 კაცი). კოსტა-რიკა საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომელშიაც პრეზიდენტს 4 წლის ვადით იჩევენ. საკანონმდებლო ფუნქცია ეკუთვნის ერთპალატიან ნაციონალურ ანსამბლეას. ქვეყნის მოსახლეობა (2, 7 მლნ კაცი) თითქმის იმდენივეა, რამდენიც მეზობელ ქვეყნებში. ამ ქვეყნების ბუნებრივი პირობებისაგან განუსხვავებელია კოსტა-რიკას ბუნებრივი პირობები

და აქ არც რაიმე წიაღისეული მოიპოვება, რომელიც კოსტა-რიკას გამორჩეულ ეკონომიკურ სტიმულს მისცემდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მაღალი ცხოვრების დონე და უაღრესად მშენიდი ატმოსფერია იმდენად, რომ იგი იზიდავს არა მხოლოდ მრავალი ქვეყნის ტურისტს, არამედ მსოფლიოს შეძლებული პენსიონერების უსაყვარლეს საბოლოო ნავსაჯუდელსაც წარმადგენს, თუმცა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება იმ-ლი არ არის. ყველაფერ ამას ქვეყნის მოსახლეობამ მიაღწია მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული პრინციპების მიღევნებითა და საერთაშორისო სტრუქტურების თანადგომის გონივრული გამოყენებით, იმით, რომ სათანადო დასკვნები გამოიტანა სისხლისმდგრელი სამოქალაქო ბრძოლიდან, იმით, რომ გონივრულად წარმართა როგორც შემდგომი საშინაო, ასევე განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკა და რეგიონალურ ძალა ბალანსში მომენტიანი აღილის დაკავება მოახერხა.

ვფიქრობთ, ამით დავასრულოთ „გეოპოლიტიკური რეგიონის“ რელატიურობაზე საუბარი. თავის მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ზოგად პრობლემაზე გადავიდეთ. გეოპოლიტიკური რეგიონის ცნება რელატიურია - ეს იმასაც ნიშნავს, რომ გეოგრაფიული დეტერმინანტები, რომლებიც გეოპოლიტიკის ცნებში შედის, არამყარია და საბოლოო ჯამში დამაქმაყოფილებლად ვერ გვიხსნის მიდინარე მოვლენებს. ვცადოთ ტერმინ გეოპოლიტიკის მოქსნელად შევავსოთ იგი მორგვნტაუს ძალა ბალანსის უფრო მოქნილი თვალსაზრისის ელემენტებით.

ძირითადი ფაქტორი სახელმწიფოთაშორის, ერთაშორის ურთიერთობებში საკუთარი ნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლაა. ასეთია რეალობა და როგორც არ უნდა შეგალამზოთ იგი კაცობრითობის საერთო ბეჭა თუ მიხნებზე მსჯელობით, ამ ფაქტს ვერსად გავაქცევთ. ნაციონალური ინტერესებისათვის კი, თავის მხრივ, განმსაზღვრელია (ა) ერის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახით არსებობა; (ბ) სამხედრო ხიფათისა და სუვერენიტეტის დაკარგვის (გ) შემცირების თავიდან აცილება; (გ) ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა; (დ) საერთაშორისო სარბიელზე საკუთარი პოლიტიკური სტატუსის შენარჩუნება; დაბოლოს, (ე) მოკავშირეების შენარჩუნება.

ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ საკუთარი ნაციონალური ინტერესების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ამ ქვეყნის ნაციონალურ ძალაზე. ნაციონალური ძალა შეიძლება განისაზღვროს როგორც ქვეყნის უნარი უკიდურეს შემთხვევაში იარაღით ხელში დაიცვას ნაციონალური ინტერესების ნებისმიერი პარამეტრი მტრის ხელყოფისაგან. ეს არ ნიშნავს, რომ საომარი მოქმედებების წარმოება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გარკვევის ერთადერთი გზაა. პირიქით, მეორე ქვეყნის სამხედრო პოტენციალის წინასწარი გააჩრება, შეიძლება ითქვას, პროფილაქ-

ტიკურ საშუალებასაც კი წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო ურ-თიერთობების ჩატვირთებას უფრო საერთო ინტერესების გამოძებნას და დიპლომატიას მიანდობს, ვიდრე თავზეხელაღებულ გენერლებს. საერთა-შორისო ურთიერთობების სფერო, მართლაც, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ნაციონალურ ძალთა ურთიერთგანლაგების, ურთიერთმიმართების ისეთი ველი, რომელზედაც თოთვეული სახელმწიფოს მიერ დაკავებული ადგილი და ამ ადგილის წონა, განისაზღვრება ქვეყნის ნაციონალური ძალით; ყველა ცდილობს დაიკავოს ის ადგილი, რომელიც შეესაბამება მის ნაციონალურ ძალას. ნაციონალურ ძალთა ურთიერთ განლაგება გულისხმობს გარკვეულ ძალთა ბალანსს და გამორიცხავს სამხედრო კონფლიქტებს, რომელებიც სწორედ ბალანსის დარღვევის შემთხვევაში ჩაღდება. ვიდრე ძალთა ბალანსის, ამა თუ იმ ქვეყნის ან ჩეგიონის გეოპოლიტიკურ მიდგომასთან მიმართებაზე გავაგრძელებდეთ საუბარს, საჭიროა დავაზუსტოთ თავად ნაციონალური ძალის ცნება.

ნაციონალური ძალის დახასიათებისას მორგვენტაუ გამოყოფდა ცხრა ძირითად პარამეტრს. განვიხილოთ ეს პარამეტრები ცალ-ცალკე:

(1) პირველი პარამეტრი ქვეყნის ან ჩეგიონის **გეოგრაფიული ადგილსამყოფელია**. ჩვენი კრიტიკული შენიშვნები ფიზიკური გეოგრაფიის დამახასიათებელი დეტერმინანტების მიმართ, სულაც არ ნიშნავს, რომ მხედველობიდან გაფუჭვათ გეოგრაფიული მახასიათებლები. პირიქით, ეს რელატიური ფენომენი ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ მოცემული მომენტისათვის შექმნილ ვითარებასთან მიმართებაში. მაგალითად, საჟაროველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ისტორიულ ჩეტროსპექტივში აღწერისას, ზემოთ აღნიშნეთ, რომ შავი ზღვა უფრო მტრი-საგან დამცველ ბარიერად უნდა განვიხილოთ, ვიდრე ხიფათის მომტან, დაუცველ ზოლად, მაგრამ დღეისათვის, როგორც ამაში გვარწმუნებს აფხაზეთის ამბები, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. შავი ზღვის რეგიონში, პოლიტიკური ცვლილებების გამო, დღეს არსებობენ ძლიერი სამხედრო-საზღვაო პიტენციალის ძალები, რომლებსაც საქართველოს მიმართ გამორჩეულ კეთილგანწყობას ვერ დავაბრალებთ. აქედან გასაგებია, რომ შავი ზღვის ფაქტორი, რომელიც აქამდე მხედველობაში არ მიიღებოდა, შემდგომში გათვალისწინებული უნდა იქნას.

(2) შემდგომი პარამეტრი ქვეყნის ან ჩეგიონის **ბუნებრივ რესურსებს** ეხება. ლაპარაკია იმაზე, შეუძლია თუ არა ან რამდენად შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნას უზრუნველყოს საკუთარი თავი ექსტრემალურ, ე. ი. ომის პირობებში სურასათთა და ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ნედლეულით. გერმანიას, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი პრობლემები ჰქონდა ნავთობის მხრივ. რუმინეთის დაკავებამდე, რომლის ნავთობის ჩეზერ-

ვუარები მთლიანად გერმანელთა ხელში აღმოჩნდა, გერმანელები აწარ-მოებრნენ სინთეტურ ბენზინს, დიდი მომჭირნეობით ხარჯავდნენ მანამ-დე არსებულ მარაგს და სხვადასხვა გზებით (მოკაფირების თანადგო-მა, ოკუპირებული ქვეყნების რეზერვები და ა. შ.) ცდილობდნენ და-ექმაყოფილებინათ საკუთარი მოთხოვნილებები.

(3) **საწარმოო შესაძლებლობები.** ბუნებრივი რესურსების არსებო-ბა ქვეყნისათვის თავისთავად არაურისმომცემია თუკი ეს რესურსები სათანადო არა ათვისებული, თუ არ ხდება ამ რესურსების ჯეროვა-ნი გამოყენება და გადამუშავება. ამას უნდა დაუმატოთ ტექნოლოგი-ების, „ნოუ-ჰაუს“ სათანადო ღონის საჭიროებაც, რომლიც გარეშე ქვეყ-ნის თანამედროვე ღონებები საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაცია წარმოუდგენელია. თუ მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, დღევანდე-ლი გადასახედიდან შევაფასებთ აფხაზეთის კონფლიქტს, გავითვალისწი-ნებთ თუ საიდან, რა გზებით და რაოდენობით ღებულობდა საქართ-ველო ომის წარმართვისათვის აუცილებელ მასალას, შედეგი, რომლი-თაც დასრულდა კონფლიქტი, წინასწარგანსაზღვრულად გამოიყურება...

(4) კიდევ ერთი პარამეტრი შექება ქვეყნის სამხედრო პოტენცი-ალს, ანუ სამხედრო ხელმძღვანელობის ხარის, ჯარის რაოდენობას და ა. შ. იმას, თუ რამდენად დიდია არსებული სამხედრო კონტიგენტი, რამდენად სწრაფად და მიზანმიმართულადაა შესაძლებელი მობილიზაცია, რამდენად გაიზრდება მობილიზაციის შემთხვევეში მთელი შეიარაღებული ძალების რაოდენობა და რამდენი კვალიფიცირებული რეზერვისტი ყავს სახელმწიფოს. ძლიერი არმიის ყოლა თანამედროვე პირობებში დამკი-დებულია არა მხოლოდ მატალი ღონის ტექნიკურ აღჭურვილობაზე, მა-ლალი ღონის ტექნოლოგიებზე, არამედ სამხედრო პერსონალის შესაბა-მის მომზადებაზედაც. ამ მიმართულებით კი მხედველობაში უნდა მივი-ღოთ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი თავისი საკონსტრუქტორო ბიუ-როებით, ექსპერიმენტული პროექტებით და ა. შ. სხვათა შორის, ავ-ტორიტეტული სტრატოლიმის მშვიდობის პრობლემების კვლევის ინსტი-ტუტის რეესტრში საქართველოს სამხედრო-სამრეწველო შესაძლებლობე-ბის საქმაოდ მაღალ ღონებება შეფასებული. საქართველოს პოტენციალი ამ მხრივ აღემატება არამხოლოდ ჩვენი უშუალო კავკასიელი მეზობლე-ბის შესაძლებლობებს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი პატა-რა რესპუბლიკის მონაცემებსაც (აჭ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ისე-თი, სამხედრო მზნებისათვის გამოსადეგი საწარმოები, როგორიცაა თბი-ლისის საავიაციო ქარხანა, ბათუმისა და ფოთის გემთმშენებელი და გემ-სარემონტო ქარხები, ქუთაისის საავტომბილო ქარხანა და ა. შ.).

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უშუალო დაქვემდებარებაში შედიოდა

40 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 30 00-მდე კაცი. დღევანდელი, პოსტსაჭყოური საქართველოს სამხედრო დანიშნულების მქონე ერთყულებად, იგივე ინსტიტუტის მიერ, მიჩნეულია თბილისის საავიაციო ქარხანა, ბათუმისა და ფოთის გემთმშენებელი ქარხები, ატომური რეაქტორი მცხეთაში და მსგავსი დაწესებულება აფხაზეთში. მათრალია, დღეს ეს ერთეულები არ მუშაობენ საქართველოს სამხედრო ძლიერების ზრდზე, საავიაციო ქარხნის გარდა, რომელიც, თავის მხრივ მთლიანად ჩატარების ვარიაცია თანადგომზე დამოკიდებული (ძრავები და სხვა ტექნიკური დეტალები, ჟურვები და საბრძოლო მასალა, თვით საინჟინრო-ტექნიკური კადრების მხრივაც კი), დანარჩენი სიმძლავრეებიდან, არც ერთი არ არის სამხედრო დანიშნულებისა, მაგრამ აქ ლაპარაკია პოტენციალზე, მხოლოდ იმაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს საწარმოები შესაძლებელია ამუშავდნენ სამხედრო მიზნებისათვის.

(5) **მოსახლეობა.** თანამედროვე ომის საწარმოებლად სახელმწიფოს ჭირდება მოსახლეობის სოლიდური რაოდენობა არა უშეალო სამხედრო ოპერაციების წარმართვისათვის, არამედ ომის წარმოების უზრუნველყოფისათვის. საქმე ეხება ტრანსპორტითა და მრეწველობით უზრუნველყოფას, უცილებელ სასოფლო-სამურნეო სამუშაოებს. ამ პარამეტრებიდან ლაპარაკი საქართველო-აფხაზეთის ან ქართველებისა და აფხაზების კონფლიქტზე, ამ კონფლიქტის ხასიათის, ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აბსურდულია. სრულიად შეუძლებელია ასიათასიან მოსახლეობას, თუნდაც არც ერთ მათგანს არ მიეღო ბრძოლებში მონაწილეობა, ეკონომიკურად, საკუთარი ძალებით უზრუნველყო დაქირავებული ჭარი. ალარაფერს ვამბობთ საომარი მოქმედებისათვის აუცილებელი „აფხაზური ავიაციის“, „აფხაზური საზღვაო ხომალდების“, „აფხაზური სატანკო შენაერთებისა და არტილერიის“ შესაძენად აუცილებელი ფინანსური საშუალებების უზრუნველყოფაზე.

(6) **ეროვნული ხასიათი.** ეროვნულ ხასიათზე საუბრისას აქ იგულისხმება კულტურული ღირებულებების შეაღა, მოსახლეობის სიმპათიები და ანტიპათიები; უნარი, დიდხანს და შეუბოვრად ისწრაფოდეს დასახული მზნისაკენ, დაითმინის გაჭირვება და დროებითი წარმატებლობანი ან პირიქით, პირველივე სერიოზული ბარიერის შეხვედრისთანვე ჩაიწინოს ხელი. ეროვნული ხასიათი აგრეთვე განსაზღვრავს მოსახლეობის უნარს მობილიზაციისათვის ომის პირობებში, ან პირიქით, მის მიღრევილებას შეთქმულებისაკენ.

(7) **„ნაციონალური მორალი“.** ეს უკანასკნელი განისაზღვრება ამათუ იმ ქვეყნის მოსახლეობის მიერ საკუთარი მთავრობის მხარდეჭერით. ამგვარ მხარდაჭერას მთავრობა ყოველთვის საჭიროებს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის და მთავრობის

ურთიერთკოორდინაციას ომის პირობებში. თუ მხედველობაში ისევ სა-ქართველოს უახლოეს წარსულს და ღლევანდელობას მივიღებთ, ამ პუნქტში შეგვიძლია დავაფიქსიროთ აჩუთუ სასიამოვნო ფაქტი: საბჭოთა კავშირში გარდაქმნის გამოცხადებიდან ღლევანდელობის ჩათვლით, სა-ქართველოში არ არსებულა მთავრობა, გნებავთ ხელისუფლება, რო-მელსაც საკუთარი მოსახლეობის ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰქონდა. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია თუ რა მიზეზებით იყო გამოწვეული ამგვარი ვითარება ან ერთიდაგიგვე მზეზები მოქმედებდა თუ არა ყო-ველოვის, მაგრამ ამისდა მიუხედავად, თვით ფაქტი ერთსულოვანი მხარ-დაჭერის არარსებობისა უდავოა და დამაფიქსირებელი.

(8) **დიპლომატიის ხარისხი.** დიპლომატიის ხარისხი განისაზღვრება ამ სფეროში დაკავებული პირების უნარით წინამორბედი შვიდი პარა-მეტრის გათვალისწინებით იმგვარად წარმართონ ქვეყნის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, რომ უზრუნველყონ მისთვის საკუთარი ნაციონალური ძალის შესაბამისი ადგილი მოთვლიო თანამებობრობაში.

(9) **დაბოლოს, უკანასკნელი პარამეტრი ნაციონალური ძალისა ეხე-ბა მართვის ხარისხი.** იგი გულისხმობს მთავრობის, ხელისუფლების მი-ერ საზოგადოებრივი აზრის იმგვარ ხელმძღვანელობას, წარმართავს, რო-გორიც ამ ხელისუფლებას გატარებული პოლიტიკური კურსისადმი ხალ-ხის სრულ მხარდაჭერას მოუტანდა.

აი, ასეთია ის ცხრა პარამეტრი, რომელიც საბოლოოდ განსაზღ-ვრავს სახელმწიფოს ნაციონალური ძალის ფენომენს. ზოგიერთი პარა-მეტრის დახასიათებისას, საქართველოსთან დაკავშირებით მაგალითები მოვყენეთ არა საქართველოს ნაციონალური ძალის შესაფასებლად, არამედ მხოლოდ ზოგიერთ პუნქტში ნაგულისხმევი ვითარების თვალ-საჩინოდ წარმოსადგენად. რაც შეეხება ჩვენი ნაციონალური ძალის შე-ფასებას, თუკი აღწერილი პუნქტები ნათლადა მოცემული, მაშინ მკით-ხველს არ უნდა გაუჭრდეს ამგვარი შეფასება და იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული ადგილი მის ნაციონალურ ძალას.

ნაციონალური ძალის ფენომენის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ძალთა ბალანსის თეორიაზე. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა ვიგულისხმოთ გარევეული მექანიზმები, რომლებიც განაპირობებენ „ძალის ცენტრების“ წარმოშობას, რომლის სათავეშიაც იქნებიან განსაკუთრებული ძლიერების სახელმწიფოები. ძალთა ბალანსი, როგორც წესი, მოქმედს შორის არსებობს. თვით მდი ან მოისათვის ინტენსიური მზადება განისაზღვრება რო-გორც ბალანსის დარღვევა. ძალთა ბალანსის თეორიის ამ შედარებით აბსტრაქტული დახასიათების დასაკონკრეტებლად, შეგვიძლია საილუსტრა-ციონდ მიგმართოთ „ცივი მმის“ პერიოდს, რომელიც ყველაზე ჩელიეფუ-

რად გამოხატავს ძალთა ბალანსის დოქტრინაში ნაგულვებ ვითარებას.

„ცივი ომის“ პერიოდში არსებობდა ორი სუპერსახელმწიფო, ორი მაქსიმალურ ძალთა პოლუსი, რომელთა ირგვლივაც თავს იყრიდნენ პოლარულად საპირისპირო ან, პერიფერულ უნიებზე, განსხვავებული ნაციონალური ინტერესების მქონე ქვეყნები. ამგვარად დალაგდა არამხოლოდ ევროპა, არამედ დანარჩენი მსოფლიოც. საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ძალთა შესაბამისად ევროპაში წარმოიქმნა ვარშავის პაქტი და ნატო-ს გაერთიანებები. იგივე ვითარება ზოგჯერ აღიწერება, როგორც ეგრძელის გაყოფა რუსეთსა და ამერიკის მიერ და თუ გამოთქმა სწორიად არ იქნა გაგებული, იგი დამაბნეველია და (ყოველ შემთხვევაში ასე იყო ჩვენთან) შეიძლება მრავალი იდეოლოგიური სპეციალური ცენტრის წყარო გახდეს. თავისითავად, ორად გაყოფილი გერმანია (ბერლინი), კორეა, ბრძოლა საიგონსა და ჰანოის ვიეტნამში, საქამიან თვალნათლივი მაგალითებია ორი პოლარული ცენტრის არსებობისა. მაგრამ ეს სულაც არ ნშნავს, რომ მთელი მსოფლიო ორი ქვეყნის ხელში იმყოფებოდა. არსებობდნენ „მეორე“ და „მესამე“ სამყრის ქვეყნები შესაბამისი ნაციონალური ინტერესებით, შესაბმისი ნაციონალური ძალით. საერთშორისო პოლიტიკური ცხოვრება, სახელმწიფოთა უაღრესად ფართო სპექტრი დალაგებულია თითეული სახელმწიფოს მიერ სხვათა ინტერესების და ძალის მხედველობაში მიღების, ამ ინტერესებთან საკუთარის გაწონასწორების საფუძველზე. „ცივი ომის“ პერიოდში პრაქტიკულად არ არსებულა სახელმწიფო, რომელსაც არ გაეთვალისწინებინოს პოლიტიკურ ძალთა თამაში, არ მოენახოს საკუთარი ძალის შესაბამისი ადგილი, სულ ერთია ამ ადგილის დაქმნა მან საკუთარი ინიციატივით მოახერხა თუ სხვისი „დახმარებით“. ინტერესთა ბალანსირების წარმოდგენილი დოქტრინა სულაც არ გულისხმობს, რომ მხოლოდ ზესახელმწიფოთა ინტერესებია გათვალისწინებული და, რომ რეალურად არავინ ითვალისწინებს მცირე ქვეყნების წადილს. ჯერ ერთი, რეალურად ასედაც რომ ყოფილიყო საქმის ვითარება, მაშინ მსოფლიო თანამეობრობაშე კი ვერ ვიღაპარაკებდით, არამედ ორ მსოფლიო იმპერიაზე, რაც შეკარად არ შეესაბამხა რეალობას; მეორეც, პოლიტიკური მოვლენები მეოცე საუკუნის მიწურულს იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანია, რომ ამ მოვლენებზე შეა საუკუნეების სენიორ-ვასალური სამთავროების კატეგორიებით აზროვნება დაუშვებელია.

აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ჩვენში მორალური სპეციალურული დებულებები საქართველოს გეოპოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. დისკუსიის არსი დაახლოებით შემდეგში მდგომარეობდა: ერთი, გამოდიოდნენ რა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეიიან, ანგარიშს უწევდნენ სხვათა ინტერესებს, ძირითად სახელმძღვანელო პრინცი-

პატ იხდინენ დამოუკიდებლობისათვის აუცილებელ ღირებულებებს და ამ თვალთახედვიდან ცდილობდნენ შექედათ სხვა ქვეყნების მოქმედებებისათვის. ამ კუთხიდან, როგორც შემდგომ გამოირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ, დიდი სიფრთხილით და ეჭვით განიხილებოდა რუსეთის პოლიტიკური ნაბიჯები საქართველოს და ყოფილი სსრკ რესპუბლიკების მიმართ. ამ პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეთა მანევრირების ველი ერთობ შეიკვეცა მას შემდეგ, რაც დასავლეთმაც ჩვენ უცნაურ ქვევზე მხრები აიჩენა და ისევ „დედა რუსეთისაკვენ“ გვიჩვენა გეზი. ამასობში გამოჩნდნენ მეორენი. ეს უკანასკნელნი სავსებით მართებულად გვირჩევდნენ გაგვთვალისწინებინა სხვისი ინტერესები, მაგრამ ამ მიმართულებით გადაჭარბებული ენთუზიზმი გამოიჩინეს და საკუთარი ქვეყნის ინტერესები გამორჩათ მხედველობიდან. „თქვენ – საყველურობდნენ ისინი ოპონენტებს – თავისუფლება სხვისი ინტერესების გაუთვალისწინებლობა, ყველასაგან იზოლაცია და ქვეყნის კარჩაქეტილობა გგონიათ. რომელია მეორე ქვეყანა, ალბანეთის გარდა, რომელიც მხოლოდ საკუთარი თვალსაწიერიდან იყრება, არავის უწევს ანგარიშს და, როგორც შედეგი ამისა, ცივილიზებული მსოფლიოსაგან სრულ იზოლაციაშიო...“ როგორ დასრულდა ეს დისკუსია, როგორ საერთაშორისო ფერხულშია ჩაბმული საქართველო, ამის შეფასება მკითხველისათვის მიგვინდვია, ოღონდ იმას კი შევნიშავთ, რომ მსგავსმა დისუტებმა სულ აუმღვრია ჩვენს მოქალაქეს მანამდე კომპარტიის ზორუნვით დალაგებული შეხედულებათა „მწყობრი“ სისტემა. იმდენად, რომ კარგა ხნის შემდეგ, დღესაც კი, როდესაც საუბარი შეეხება „ბერს ქართლისას“, გაიგონებოთ წარსული კამათის ექის: „ეჭ – ამბობენ ხელისჩაქვევით – რომელმა საბჭოთა რესპუბლიკამ მიაღწია თავისუფლებას? ერთი ბალტიისპირეთი გააგდებინენ ხელიდან და იქაც უზარმაზარი მოსახლეობა ჩატოვა. ყველა ანგარიშს უწევს, ყველას მაგის ეშინია...“ და ა. შ.

შიშვე რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ მსგავსი ხელის ჩაქნევა წინასწარ საკუთარი საფლავის გათხრის სურვილით არ არის ნაკარნახევი, სხვა მხრივ, კვლავ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ თავისუფლება არ გულისმობს სხვა ქვეყნების ინტერესების გაუთვალისწინებლობას. ამგვარი ახსნისას წამოჭრილ შესაძლო მარტივ კითხვაზე – მაშინ რომელი ქვეყანაა თავისუფალი? – შეგვიძლია გავცეთ ასეთივე მარტივი პასუხი: ქვეყანა თავისუფალია, თუკი მისი ნაციონალური ინტერესების შესაბამისი სამოქმედო პროგრამა განისაზღვრება ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ და არა ტელეფონით მეზობელი ქვეყნიდან ან, მით უმეტეს, იგივე ქვეყნის საელჩოდან მომდინარე დირექტივებით. ვფიქრობთ, ჩვენთან შედარებით ბევრ სხვა რეგიონში მდგომარეობა არც ისე უიმედოა.

შემატა თუ არა ძველ გეოპოლიტიკურ კატეგორიას რაიმე ჩვენს

მიერ განხილულმა ნაციონალური ძალის პარამეტრებმა ან მის საფუძველზე ამონრდილმა ძალთა ბალანსის თეორიამ მოვცა თუ არა რამე ისეთი, რაც გვათქმევნებდა, რომ გეოპოლიტიკური დეტერმინიზმი თავიდანაა აცილებული? ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ გვაქვს გარევული ოპტიმიზმის საფუძველი. მართლაც, მნელი შესამჩნეთი როდია, რომ „ნაციონალური ძალის“ განსაზღვრისას დახასიათებული ცხრა პარამეტრიდან მხოლოდ პირგვლი, გეოგრაფიული არ ითვალისწინებს ადამიანის ფაქტორს. ამისდა მიუხედავად, ჩვენს მანამდელ კრიტიკულ შენიშვნებში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონი გეოპოლიტიკური კუთხით – რელატიური ფენომენია და არა უცვლელი და უძრავი მახასიათებელი. დანარჩენი რვა პარამეტრის ცენტრში არსებითად ადამიანი დგას. ეს პარამეტრები ადამიანის მოქმედების საშუალებით ხორციელდებიან, ადამიანთა მოქმედებას ექვემდებარებიან. უკვე აქვე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ამით ფიზიკალისტური ღონისძიებინა, რომლის ფორმალური პირობა გეოპოლიტიკური რეალობის სახით გამოიხატებოდა, შეიცვალა ან უკეთესი იქნებოდა გვეთქვა, შეივსო მეორე თვალსაზრისით, რომელიც, შეიძლება ითქვას, ანთროპოლოგიურია. სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ჩვენი ნაციონალური ინტერესების დამაქმაყოფილებელი ნაციონალური ძალა ისევ ჩვენზე ყოფილა დამოკიდებული. პირველის გარდა (თუკი, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთის მდინარეების სამხრეთისაკენ შემობრუნების ქველი კომუნისტური პროექტით წახალისებულნი, შავი ზღვის ამოშრობას ან კავკასიონის ქედის ნგრევას არ მიყვოთ ხელს), არ არსებობს არც ერთი პარამეტრი ნაციონალური ძალისა, რომლის გაუმჯობესებასაც არ შეიძლებოდეს. მაშასადამე, პირიცხვში, არაფერი უდგას წინ ნაციონალური ძალის ზრდას, თუკი საამისოდ საქმარისი საერთო ნება გავგაჩნია. ეს უკანასკნელი კი არის, ჩვენი ღრმა რწმენით, ის ძირითადი (მეათე პარამეტრი), რომელიც დანარჩენში აუცილებლობით იგულისხმება როგორც თითოეულის „სამუშაო პირობა“ და რომლის ცალკე გამოყოფა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია.

საერთო ნების დასახასიათებლად, თავს უფლებას მივცემთ არ დავლალოთ ჩვენი მეითხველი ფილოსოფიური მედიტაციებით იმასთან დაკავშირებით თუ როგორ კონსტიტუირდება თითოეულის ნებისაგან (individual will) საერთო ნება. შევვიძლია პირდაპირ მივუთითოთ, რომ საერთო ნება (ანუ როგორც ინგლისელები უწოდებენ – common will) არ დაიყვანება ინდივიდუალურ ნებათა უბრალო ჭამზე ანუ ყველას ნებაზე (will of all) თუმცა, ნებელობის ამ ორ სახეობას შორის ძირითადი განმასხვავდებელი მაინც ის გახლავთ, რომ საერთო ნება ინდივიდუალურ ნებათა იმგვარი მთლიანობაა, რომელსაც მიშნად საერთო ფასეულობა, საერთო სიკეთე (common good) აქვს. მისგან განსხვავებით, ყველას ნება, რო-

გორც ინდივიდუალურ ნებელობათა უბრალო ჭამი, ვერასდროს ასცდება ინდივიდუალურ ფასეულობას. საერთო ნების გამოვლენად შეგვიძლია და-გასახელოთ მიზანმიმართულად, საკუთარი ქვეყნისათვის, მისი კეთილდღე-ობისათვის მეტრძოლი არმია, რომლის წევრებიც წარმატები შემთხვევაში ინდივიდუალურად ვერაფერ ხელშესახებს მოიპოვებენ, ხოლო ყველას ნე-ბის ნიმუშად კი ყაჩაღთა გუნდი, შესაძლოა არანაკლები სიმამაცით მეტ-რძოლი, რომელიც, ასევე წარმატების შემთხვევაში, სწრაფად გათითოკაც-დება მას შემდეგ, რაც თითოეული თავის წილს ჩაითვლის. ამ მაგალი-თით ინდივიდუალურ ნებათა მნიშვნელობის დაკინძება როდი გვსურს, პი-რიქით, ინდივიდუალური ნება პიროვნული თავისუფლების საფუძვლად და უმაღლეს ღირებულებად მიგვაჩნია, თუმცა ისეთად, რომელიც პიროვნუ-ლი მიზნების უზრუნველყოფის გარდა, საერთო ფასეულობის შექმნას რომ წაადგება, როგორც საერთო ნების აუცილებელი კომპონენტი. სწორედ ეს საერთო ნებაა ის წყარო, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალური ძალის ზრდასა და სიცოცხლისუნარიანობას, განსაზღვრავს საბოლოო ჭამში ერისა და სახელმწიფოს სწრაფვას დაიკავოს მისი ღირსი ადგილი. ამ ძალის მიზანმიმართულ მოქმედებას, როგორც წელან ვთქვი, მის ზრდას წინ ვერაფერი დაუდგება... ვერაფერი, შეგვიძლია ახლა დავუმატოთ, გარდა ასეთივე, თუნდაც რაოდენობრივად და ხარისხობრივად აღმატებული ძა-ლისა. მაგრამ ამში არაფერია განსაკუთრებული, ჩვენ არ გვპირისპირ-დება არც ზენარსი და არც სტიქია, არამედ მხოლოდ ადამიანები, რო-მელთაც შესაძლოა ჩვენზე მეტი პრობლემებიც ჰქონდეთ.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ჩვენი გეოპოლიტიკური ორიენტირე-ბის შესახებ. თუ მოვახერხეთ მკითხველის დარწმუნება იმში, რომ გე-ზის აღება დასავლურ გეოპოლიტიკურ სისტემებზე იმ იმედით, რომ ვინმე ჩვენს მაგიერ გამოასწორებს საქართველოს მდგომარეობას, ილუ-ზიაა, თუ, ამასთანავე აშკარაა ისიც, რომ არანაკლები ილუზიის ტყვე-ობაში იყვნენ ისინი, ვინც იგივეს, რუსეთის, სეგ-საგან მოელოდა, იქ-ნებ დაგვერწმუნონ იმშიაც, რომ გაუთავებელი გადასინჯვა და გან-ხილვა „თბილი“ გეოპოლიტიკური რეგიონებისა, უიმედო საქმეა. დღეს ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ სადმე, რაიმე ინტეგრა-ციაშე საუბარი სრულიად არაპრაქტიკულია. უპირველესი ჩვენი საზრუ-ნავი არა ოცნების კოშების აგებაა, არამედ საქართველოს სახელმწი-ფოზე, ფაქტიურად მის ჩამოყალიბებაზე მიმართული მოქმედება უნდა იყოს. რაიმე იზოლაციონიზმში ან პროვიციალიზმში დადანაშაულება აქ უადგილოა. პირიქით, ამგვარი არჩევანი უაღრესად „ვესტრინიზებულად“ გამოიყურება: საქართველოს, ინგლისის მსგავსად, არ ყავს არც მარა-დიული მტრები და არც მარადიული „ძმები“, არამედ მისი პოლიტიკა მხოლოდ მუდმივი ნაციონალური ინტერესებიტ განისაზღვრება.

## მათეც, რა დაემართა სოციალიზმს?

რაღა თქმა უნდა, ახალ ზელანდიაში ამ რამოდენიმე წენის წინ უფრო ეგალიტიარული საზოგადოების აღშენების მცდელობა მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო სურველებით იყო ნაკარნახევი...

ჯერ იმით დაიწყეს, რომ „არამშელ და საერთოდ, წესიერი ცხოვ-რების მიმდევარ მუშა ხალხს“ გარკვეული პენსიები დაუნიშნეს სახელ-მწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ შემდგომ სოცდაზლვევის ეს თავისებური ინსტიტუტი გაიზარდა და უკვე კვლა, საკუთარი შემოსავლის მიუხე-დავად, მთავრობისაგან ასეთსავე წყალობას მოითხოვდა.

სამედიცინო მომსახურება უფასო იყო. უმუშევრებს ფულადი დახმა-რება დროის ლიმიტის გაუთვალისწინებლად ეძლეოდათ, ბიზნესმენებს და ფერმერებს უზარმაშრი სუბსიდიები გამოჰქონდათ ხაზინიდან, სოციალური უზრუნველყოფის ანგარიშზე აღრიცხულნი ბოლოს ლამის იმდენსავე იღებ-დნენ, რამდენსაც სრულდოიან სამუშაოზე მყოფი. შედეგად კი ჩავარდ-ნილი ეკონომიკა და მკაცრად ჩეგლამენტირებული კომერციული საქმი-ანობა მიიღეს. მესეის უნივერსიტეტის ანალიტიკურმა გვთვმა მშინდელ ვითარებას ასეთი დახასიათებაც კი მისცა: „ახალზელანდიელები თანას-წორობისაკენ მიისწრაფიან, ოლონდ კონკურენტუნარიანობის ხაჩქე“.

საბოლოოდ, ქვეყანში თთოქმის იმდენივე პენსიონერი და ამა თუ იმ სახის სახელმწიფო ემაყოფაზე მყოფი პირი აღმოჩნდა (1, 1 მილი-ონი), რამდენიც აქტიური მუშახელი (1, 4 მილიონი). 1990 წ. წარმო-ების ზრდის ტემპების მაჩვენებელი ახალ ზელანდიას უმდაბლესი ჰქონ-და ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით, ერთიანმა ეროვ-ნულმა შემოსავალმაც იყლო, საგარეო ვალმა კი მკვეთრად იმატა.

ახლა, როგორც იქნა, ვითარება იცვლება. ბოლოს და ბოლოს მთავრობამ განგაში ატება და რადიკალური ნაბიჯების გადადგმაც თვით-ვე იკისრა: სოციალური დახმარების ფონდები და სუბსიდიები შეამცი-რეს, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების დიდი უძრავლე-სობა გაიყიდა, ფასებისა და ხელფასის ზედა ზღვარიც მოიხსნა, კერ-ძმ ვაჭრობასა და წვრილ საწარმოებს მწვანე გზა მისცეს, სახელმწი-ფო სექტორში დასაქმებული ხალხის რაოდენობაც დაბალანსდა.

---

„რიდერს დაიწესტი“, ოქტ. 1992

შოკურმა თერაპიამ შედეგი მალევე გამოიღო. ახალი ზელანდია უკვე წელსვე შეიძლება აღმოჩნდეს იმ ქვეყანათა შორის, სადაც ინფ-ლაცია 1%-იან მაჩვენებლებზე ქვევით ჩამოვა.

სახელმწიფო კონტროლზე ხელის აღება უფრო ფართო, შეიძლება ითქვას, საერთო ტენდენციის მაჩვენებელია, რომელიც თვალსაჩინო ხდება არა მარტო დასავლური დემოკრატიების, არამედ თვით ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებისა და „მესამე სამყაროსთვისაც“ კი. საერთო ჯამში, მარტო ამ ბოლო წლის განმავლობაში \$49 მილიარდის სახელმწიფო საწარმოები იქნა პრივატიზებული, ანუ ორჯერ იმაზე მეტი, ვიდრე 1990 წელს. საერთოდ, ეკონომიკური უფლებების გაფართოება ალბათ ერთი იმ უმთავრეს მოვლენათაგანია, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი სამყაროს კოფას **XXI** საუკუნეში.

ასე რომ, მომავალში ისტორიკოსები იმას კი არ იყითხავენ, თუ პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა და ასევე, საზოგადოებრივმა პრიმაც რატომ თქვა უარი ამ ე. წ. სახელმწიფო კეთილდღეობის მოდელზე, არამედ, იმას, თუ ამისთვის ამდენი დრო რაში დასჭირდათო. მართლაც, თუკი ოდესმებ რაიმე თეორია ბოლომდე შემოწმებულა და უკარგისად იქნა მიჩნეული, ეს სწორედ რომ ყოვლისშემძლე, ყოვლის უფლების მქონე სახელმწიფოს აგების პრინციპზე ითქმის. ამ თეორიის პრაქტიკაში დანერგვამ მიგვიყვანა დიდ თუ მცირე მასშტაბის ომებამდე, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რიგ ქვეყნებში როგორც არსებული ეკონომიკის, ასევე სამომავლო რესურსების განადგურებაც გამოიწვია. არასოდეს მანამდე კაცობრიობას ასეთი ყოვლისმთვლეფავი ურჩისული არ შეუძნია - თავის ტოტალიტარულ და თუნდაც, სოცი-ალ-დემოკრატიულ ვარიანტებში მან მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ განუსაზღვრელი რაოდენობით შეუძლია შთანთქას ყველაფერი - ბუნებრივი წიაღისეულიცა და ცოცხალი ადამიანებიც.

საგულისხმოა, რომ ჩვენს წინა თაობებს ეს უკვე გააჩრებული ჰქონდათ: ფუძემდებელმა მამებმა<sup>1</sup> მაგალითად, კონსტიტუცია იმის გათვალისწინებით შეადგინეს, რომ კერძო ეკონომიკურ საქმიანობას მინიმალური შეზღუდვები დაზვეროდა წინ; ეკონომიკის თვისუფლებისაკენ მიზანდასახულ სვლას კი ყოველთვის საოცარი შედეგები მოჰქონდა ხოლმე: 1800 და 1900 წ. წ. შორის შეერთებული შტატების მოსახლეობა 5, 3 მილიონიდან 76 მილიონზე ავიდა, თანაც, ეკონომიკური მაჩვენებლების პირდაპირპროპორციული ზრდის ფონზე; გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ავსტრალიას უკვე თვალსაჩინო ადგილი ეკავა ერთ

<sup>1</sup> Founding Fathers – ამერიკაში ასე იხსენიებიან უოშინგტონი, ჯეფერსონი, მედისონი და სხვ.

სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული შემოსავლის მიხედვით, ხოლო სულ რაღაც საუკუნის ისტორიის შემნების არგენტინამ 1920 წელს მე-8 ადგილს მიაღწია ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული საქონლის ოდენბით.

მაშ, რაღაზე შეაქცია ზურგი მსოფლიოს დიდმა ნაწილმა ეკონომიკური აზროვნების იმ მოდელს, რომელმაც წარმატება მოუტანა მოელჩიგი, შეიძლება ითქვას - როგორც ეთნიკური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით - სრულიად განსხვავებულ ქვეყნებს? აქ, მართალია, გარკვეული როლი აღრეულმა ინდუსტრიულმა რევოლუციამაც ითამაშა, მაგრამ გადამწყვეტი ფატორი მაინც პირველი მსოფლიო იმი იყო: სწორედ მან მოუმშადა ნიადაგი ტოტალიტარულ რეჟიმს რუსეთში, ფაშიზმს იტალიასა და ნაციზმს გერმანიაში; იმშა ასწავლა დემოკრატიულ მმართველობებს, თუ როგორ უნდა „ემართათ“ ეკონომიკა და ასევე, ხალხშიც დამკვიდრა ყოვლად მცდარი მოსახრება, თითქოს სახელმწიფოს თავისთავად ყველაფერზე მზად ჰქონდეს პასუხი. სწორედ I მსოფლიო ომის შემდეგ აღარსად გამოილებულან იმ ჭურის პოლიტიკოსები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან სხვადასხვა წმინდებიანი პროექტებისა თუ დაწესებულება-საწარმოების დაფინანსებას დაუჭირონ მხარი - რაღა თქმაუნდა, უბრალო მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური შოკისაგან დაცვის საბაბით... ფაქტორად, რაც მაშინდელმა მთავრობებმა მოიმოქმედეს, გამოიწვია კიდეც შემდგომი ინფლაციების პირველი დიდი ტალღა: 20-იანი წლებისთვის საბითუმო ფასები შეერთებულ შტატებში 1, 5-ით აჭარბებდა მოისწინა პერიოდის ფასებს; ბრიტანეთში - თითქმის ორჯერ, ხუთჯერ - საფრანგეთში და ექვივერ - იტალიაში.

მხოლოდ სამი რამაა, რასაც ვერანაირი კერძო სექტორი თავს ვერ გაართმევს მთავრობაზე უკეთ: სამხედრო მომარაგება, ქვეყნისში და წესრიგი და სწორი სავალუტო პოლიტიკის გატარება. ამ სამი საკითხის გარდა, ქვეყნის შიგნით მართვის რაც მეტ სადავებს აიღებს ხელში ნებისმიერი მთავრობა, მით უარესი სახელმწიფოსთვის.

თავისუფალი ბაზარი თავისთავად მოელი საინფორმაციო სისტემაა - თუ არავითარი გარეგანი ზეწოლა არა აქვს, იგი ოპერატორულად და საოცარი სისტემით ადგენს ნებისმიერი საქონლისა თუ მომსახურების სახეობის ნამდვილ ღირებულებას - ანუ, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხში რამდენს გადახდის მასში მომხმარებელი. ასანაზნავია, რომ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ ზოგად გადაწყვეტილებებს იშვიათად დასჭირებიათ კორექცია, მაგრამ რაც უფრო მყარდება სახელმწიფო რეჟიმი, რაც უფრო მეტი ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი უჩნდება მას თავისუფალი ბაზრის „მოწესრიგების“ დევიზით, მით უფრო მხინჯდება მოხაცემები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი გადაწყვეტილე-

ბებიც სავსებით შესაძლოა, მცდარი აღმოჩნდეს. 1960 წელს, პოლონე-თის კომუნისტური მთავრობის ერთ-ერთმა მსხვილმა ხელმძღვანელმა (სწორედ დაგეგმარების დარგში) მართალია, არაოფიციალური საუბრის დროს, მაგრამ მაინც აღიარა: „მ ყოვლად უაზრო სისტემის წყალობით ჩვენ არაფრის ჩეალურ ფასზე არა გვაქვს არავითარი წარმოდგენა - არ ვიცით, ფაბრიკა-ქარხნებიდან რომელია ეფექტური და რომელი - ყოვლად უიმედო. ამიტომაც გამოგვდის, რომ განუწყვეტლივ ვებმარებით წყალწალებულებს და ვაჭარიმებთ მომგებიანებს“.

რუსეთისა და საერთოდ, მარქსიზმის პრინციპებზე ორგანიზებულ ქვეყნებს ერთი უცნაური ზე სჭირო: მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების მიხედვით, საშუალო ფენისა და ვაჭარ-მეწარმეთა უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, უბრალოდ, „პარაზიტია“; შედევგად, იმავე საბჭოთა კავ-შირში არასოდეს შექმნილა დისტრიბუციის აღნავ მაინც დამაკამაყოფი-ლებელი სისტემა. შესყიდვის ყოვლად მოუქნელი წესების, ცუდი ტრან-სპორტირების, საბიოუმო და საცალო ვაჭრობის პრიმიტიული ქსელის წყალობით ქვეყნის მოსავლის 40%, სანამ მაღაზიებამდე მიაღწევდეს, ან გზაში იყარება, ან ლაპება, ანდა მღრღნელების ლუამა ხდება. კო-ლექტივზირებული მეურნეობის 70 წელი მართლა პარაზიტების გალა-ლების პერიოდი იყო - ვირთების ოქროს ხანა...

დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი, მთავრობის ჩარევა საბაზრო ურთიერთობებში მარცხით მთავრდება: ერთ დროს დამეირავებელთა უფლებების დასაცავად შემოლებულმა ბინის ქირის შეზღუდვის წესებმა სა-ბოლოოდ ბინათმშენებლობის ტემპებიც მკვეთრად დაგდონ და სამშენებლო ფასების ზრდაც გამოიწვია; ტარიფების დადგებამ დაქირავებული მუშახელის ანაზღაურებაზე - სამუშაო ადგილების გაუქმება და ა. შ.

ბოლოს და ბოლოს, ერთი რამ უნდა კარგად გავიგოთ: რაც არ უნდა მომხიბვლელად გვეჩენებოდეს ერთიანი დაგეგმარების სისტემა, საბოლოოდ მას მხოლოდ დეგრადაციისა და მარცხისაკენ მივყარო. ამის ქრესტომატიულ მაგალითად ბრიტანეთი გამოდგებოდა.

1979 წელს, როცა პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი გახდა, ქვეყანას უზომოდ გაბერილი, მოუქნელი, უგერგილო სახელმწიფო სექ-ტორი და ამავე დროს, მძიმედ დაბეგრილი კერძო სექტორი გააჩნდა. წინა მთავრობებმა ქვანაცხირის, ელექტროენერგიის, სილიკონისა და ფო-ლადის წარმოების, დოკების, რკინიგზის მთელი ქსელის, გაზის, ტელე-კომუნიკაციების, ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის სარეწების, თვეთმფ-რინავების პარკის, გემებისა და მანქანასაშენებლო ქარხების ნაცი-ონაწისაციაც კი მოახდინეს. 1992 წლისთვის ამათგან 60% ისევ გა-იყიდა და შეიძლება ითქვას, გაჩნდა აქციონერთა ახალი თაობა, მათ შორის მილიონობით ის ხალხი, ვისაც, ბუნებრივია, სწორედ იმ სა-წარმოსა თუ ფირმის აქციები ერგო, სადაც თავად მუშაობდა.

შედეგად, სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი „ბრიტანეთის ფოლადის კორპორაცია“, ჩომელიც დანაკარგების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო საერთოდ ქვეყნის ისტორიაში, ახლა მსოფლიო მასშტაბით იქმნებს ლიდერობას. ამავე დროს, ათასობით სახელმწიფო ბინა იქნა პრივატიზებული, გადასახადების სისტემაც გამარტივდა და მისმა საერთო მოცულობამც იკლო. მართალია, ასეთი ჩამები ადგილად არ ხდება: აქ სრულიად სხვადასხვა, მათ შორის ე. წ. „სახელმწიფო ინტერესებიც“ ეგა-ხება ერთმანეთს. იმავე ტეტჩერს სამთავრობო პროგრამების რაოდენობის შესამცირებლად გვარიანი ბრძოლის გადატანა მოუხდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა პროფესიურებთან. არადა, წარმატებამ საკმაოდ შეცვალა ბრიტანელი მოქალაქეების დამოკიდებულება მთავრობის უფლებებზე მათს ცხოვრებაში ჩარევის საკითხის მიმართ. ეს წინა არჩევნებმაც დაადასტურა. მშინ მოწინააღმდეგებებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ კონსერვატორები, ამჯერად ჭირ შეიჯორის მეთაურობით, აუცილებლად და-მარტივებოდნენ: ეკონომიკური მდგომარეობა გამწვავებული იყო, ლეიბორისტები კი ირწმუნებოდნენ, დიდი შემოსავლების უფრო მეტად დაბეგვრის ხარჯზე სოციალურ პროგრამებს დავაფინანსებთ და ცხოვრება შედარებით იოლიც გახდება და შეუდარებლად უკეთესიცო.

კველა, ვისაც ამ მხრივ ბრძენეკაცად მოჰქმნდა თავი, გაოცებული დარჩა კონსერვატორების გამარჯვებით, მაგრამ საარჩევნო პუნქტებიდან გამოსულთა გამოკითხვაშ ცხადი გახდა, რომ ლებორისტების მოწოდება საზოგადო ქონების ხელახალ გადანწილებაზე ნაკლებ მომხიბვლელი აღმოჩნდა დიდი უმრავლესობისათვის, ვიდრე კონსერვატორების დაპირება მეტი ეკონომიკური თავისუფლების თაობაზე.

რა თქმა უნდა, მომავალშიც სრულად ვერ ავიცილებთ თავიდან ამა თუ იმ მასტაბის დეპარტამენტებს, და ხანდახან მთავრობის უშუალო ხელშეწყობაც აუცილებელი გახდება, ოღონდ დაუშვებელია, სახელმწიფოს ჩარევამ ისეთი ფორმები მიიღოს, ხალხს საკუთარი თავის შეელის იმედი გადაუწყდეს და მთავრობის იმედზელა დარჩეს. ასევე, ნურც იმ გაკვეთილს დავივიწყებთ, რომ თუმცა მონოპოლისტურ სამთავრობო ღონისძიებებს მცირე ხნით შეიძლება გარკვეული წარმატებაც მოჰყვეს, მაგრამ ეს მაინც ისეთი დანაკარგის ფასად, რაც შესაძლოა თავიდან არც ჩანდეს, ოღონდ მომავალში კი მუდამ და ყოველთვის მძიმე შედეგებით იჩენს თავს. ეს ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი გაკვეთილია, და არც თუ ისე იოლად ნასწავლი...

„მთელი არმიების შემოსევა შეიძლება შეაჩერო“, წერდა ვიქტორ ჰიუგო, „მაგრამ არა ის იდეები, რომელთა დროც უკვე დადგა“. ჩვენთვის ასეთი იდეა თავისუფალი ეკონომიკაა, მისი დრო კარგა ხანია დადგა და ის მოქმედებს კიდეც დედამიწის უმეტეს ნაწილზე, პოლიტიკური საზღვრების მიუხედავად.

## პოლუმძიური ნარპოზიზნესი

### 1. ძრება, როგორც ტრადიცია

როდესაც ჩესპუბლიკათა დიდი დამაარსებელი, გენერალი სიმონ ბოლივარი, ნაირ-ნაირი ქვეყნების დროშათა პროექტებს იგონებდა და მიყრუებულ კონტინენტზე ახალ სამყაროს ქმნიდა, ეს ულამაზო ბუჩქი სულაც არ გასცენებია. არც იყო გასაკირი - კოკა წმინდა აღგოლობრივი, ინდიელთა კულტურა იყო და ახალი, ევროპისკენ მიღრეკილი ქვეყნების გერბსა თუ დროშაზე სიმბოლოდ არ გამოდგებოდა. არადა, კოკა ლამის ნაციონალური ყოფის მახასიათებელია ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პერუში, სადაც ამ მცენარის გარეშე ცხოვრება, შეიძლება ითვას, ძნელად წარმოსადგენია.

„პერუში ორი მკვეთრად გამიჯნული კულტურაა“, - ამბობს პერუს კულტურის ინსტიტუტის პრეზიდენტი, ეროვნული მუზეუმის დირექტორი, დოქტორი ფერნანდო კაბიესესი - „ევროპული და ადგილობრივი. იმაში, რომ ინდიელთა კულტურა ესპანურ ექსპანსიას გადაურჩა და დღესაც ცოცხლობს, უმთავრესი წვლილი კოკას ფოთლებს მიუძღვის. ინდიელთათვის ის სასიცოცხლო ატრიბუტია“.

მართლაც, ჯერჯერობით ვერცერობთა ანთროპოლოგმა და ექიმმა ვერ და-ამტკიცა, რომ კოკას ფოთლის მოხმარება, მისი ღეჭვა ინდიელთათვის ცნობილი წესით, უარყოფითად მოქმედდებს ადამიანის ჭანმრთელობაზე. პირიქით, პერუელი მეცნიერები თვლიან, რომ კოკას კულტურის კვდომას ხსნებულ რესპუბლიკიში ხალხი ალკომლიზმისა და დეგრადაციისკენ მიჰყავს.

ბევრი მეცნიერი ცდილობდა ამოქსნა კოკას სასწაულმოქმედი ძალის საიდუმლო. როგორც ამბობენ, ეს პირველად იმავე პერუს მოქალაქეებ დოქტორება იპოლიტო უნუანებ შესძლო. ეს იყო ჯერ კიდევ 1794 წელს - უნუანე ამტკიცებდა, რომ კოკა სრულიად უვნებელია ჭანმრთელობისთვის და პირიქით, ის ადამიანებს დაღლილობისა და სტრესებისაგან ათავისუფლებს.

მაგრამ გავიდა დრო და ქიმიკოსმა ალბერტო ნოიმანმა კოკადან კოკაინი მიიღო. ამ წუთიდან კოკა ყველასათვის უინტერესოთ მცენარე გახდა - მსოფლიო კოკაინმა დაიპყრო. კოკას მკვლევარ ქიმიკოსებსაც დაავიწყდათ, რომ ფოთლები კიდევ თოთხმეტ, სრულიად შეუსწავლელ ალკალინის შეიცავს.

მათ ახლა კოკაინი აინტერესებდათ. ექიმები იკვლევდნენ მის მოქმედებას ნერვულ სისტემაზე. მედიკოსთა შორის ზიგმუნდ ფროიდი ერთ-

ერთი პირველი იყო, რომელმაც თავის პაციენტებზე გამოსცადა ეს პრეპარატი და ორთაც ბული ფრთა მის „საოცარ თვისებათა“ გამო.

ფრთიდის ექსპერიმენტები საუკეთესო გზაზე იყო კოკაინისთვის. ეპ-როპისა და ამერიკის დიდმა ფარმაცევტულმა ფირმებმა მისი მასობრივი გამოშვება დაიწყეს. ასეთი რეკლამაც კი არსებობდა: „კოკაინი - აი ნარკოტიკი, რომლის ჭაღლასნური ძალა შეგიცვლით საჭმელს, თუ მშიშარა ხართ, გულს გაგიმაგრებთ, თუ მუნჯი - აგალაპარაკებთ, შეგაძლებთ ალკოჰოლს და ოპიუს!!!“

კოკაინი ყველგან დაკანონებული და გაფეტიშებული იყო, რამაც მხოლოდ ათწლეულების შემდეგ, ჩემნს ღრაში მოგვცა ტრაგიული შედეგი და უსაზღვრო ტკივილები მიაყენა კაცობრიობას. ინდიელთა კეთილი მეგობარი კოკა დაიკარგა, თავისი სამყაროდან ამოგლეჭილი და უცხო ნიადაგზე გადანერგილი, ის მეწარმეთა და გადამყიდველთა ძალაუფლების წყაროდ იქცა. მისი დამანგრეველი ძალა ძალიან გვინდ დაინახეს.

დღეს კოკაინთან ბრძოლაზე მილიარდობით დოლარი იხარჯება. ამერიკელები ბომბავენ კოკას გადამამუშავებელ ლაბორატორიებს, მთელს მსოფლიოში დასდევენ ამ ნარკოტიკით მოვაჭრე ჩასუქებულ ძიაკაცებს, რომელთა ფოტოპორტრეტებიც უდიდესი გაზეთების პირველ გვერდებზე იბეჭდება, მაგრამ კოკაინთან ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, გამარჯვებული ჯერ არც კი ჩანს.

და მაინც, სალდ მოყავთ კოკა?

ბევრისთვის გასოცრად, კოკას პლანტაციები კოლუმბიაში ბევრი არ არის, თუმცა სწორედ კოლუმბია ითვლება მსოფლიო ლიდერად კოკაინის გავრცელების სფეროში. კოკას საშმობლო პერუა და მისი მთავარი ნათესებიც აქ მდებარეობს. კერძოდ, კოკას ბუჩქებით დაფარული სივრცეები მოზრდილ პროვინციაში, ალტო უალიაგას ველებზე გადაჭიმული.

ალტო უალიაგა - მსოფლიოში კოკას უდიდესი პლანტაცია - ამ სიკეთესთან ერთად წარმოადგენს ტერიტორიას, სადაც რესპუბლიკის ხელისუფლების ძალაუფლება და ევტორიტეტი საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთ სფეროზე არ ვრცელდება. ამჟამად აქ ცხოვრობს 300 000 ადამიანი, რომლებიც დედაწულიანად კოკას ბიზნესში არიან ჩართულნი. უალიაგაში ყავის და კაკაოს ბალებსაც შეხვდებით, მაგრამ გლეხობის სრული უმრავლესობა კოკას მოყვანას ამგობინებს. ცხოვრების დონე აქ ერთორად მაღალია, ვიდრე მთელს ქვეყანაში და ეს, რა თქმა უნდა, კოკას დამსახურებაა.

მომცრო, შეუჩვეველი თვალისთვის ლამის შეუმჩნეველი ბუჩქი სიმდიდრის ნამდვილი წყაროა. პირველ მოსავალს ის დათესვიდან 18 თვეში იძლევა და მომდევნო 30 წლის მანძილზე წელიწადში ოთხჯერ ყვა-

ვის, რითაც საუცხოო შემოსავალს იძლევა. საკმარისია ითქვას, რომ 50 წლის წინ აღტო უალიაგა დაუსახლებელ და უპერსპექტივონ ნახევარუდანოდ იყო აღიარებული, ახლა კი აყვავებული მხარეა.

ექსპერტები თვლიან, რომ კოქა პერუს, ამ ულატაკესი ქვეყნის არსებობის, გადარჩენის უმთავრესი საშუალებაა. 1970 წელს კოქას პლანტაციებს აქ 20 000 ჰექტარი ეკავა, ოცი წლის შემდეგ კი 200 000. ეკოლოგებს მიაჩნიათ, რომ თუ უმოკლეს ხანში კოქა სხვა სამუშაოებით არ განეთრალდა, სახიფათო ეკოლოგიური დარღვევები მოხდება და მაშინ არც პერუ იქნება და აღარც მისი მარჩენალი კულტურა.

მაგრამ ამზე ძნელად თუ ფიქრობს ვინმე, რადგან კოქა იოლი მოსავლელია და შესაშური ჩენტაბელობით გამოიჩინება. მაგალითისათვის, ერთ ჰექტარზე მოწეულ ბრინჯში გლეხი 600 დოლარს იღებს, კაუჩუქში - 3 000-ს, ხოლო კოქაში 4 000 დოლარს. კოქას მოსავლის ოფიციალური მყიდველი პერუში სახელმწიფო დაწესებულებაა, „კოკას ეროვნული საწარმო“, ის კილოგრამ კოქაში გლეხს ერთ დოლარს სთავაზობს. ეს მაშინ, როცა ე. წ. „ნარკოს“ - ნარკოტიკებით მოვაჭრენი ულაპარაკოდ იხდიან სამს. საბოლოო ჯამში, წლიური 110 000 ტონიდან კანონიერად და ოფიციალურად მხოლოდ 15% თუ იყიდება.

ჰერუში ამასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რადგან აქაურ სახელმწიფო დაწესებულებებს გლეხების მოტუშება წესადა აქვთ დადგებული. აქ ჩვეულებრივი ამბავია ჩაბარებულ მისავალში საფასურად დაპირებების მიცემაც. ათობით და ასობით ტონა ბრინჯი, სიმინდი და ყავა ლაპება გლეხების საწყობებში, რადგან მათი პატრონები აღარ ენდობიან მოხელეებს, რომლებიც ფულს ვერ უხდიან მათ.

მაგრამ კოქას ეს არ ემუქრება - მუშტარი მას ყოველთვის ჰყავს.

ის ღარიბების მხსნელია და ამიტომ გლეხებიც და უბრალო დღიური მუშებიც მზად არიან მკერდით დაიცვან თავიანთი მხსნელი და მაცოცხლებელი კოქას ყვავილი.

აი, კოქას მწარმოებელთა ერთ-ერთი კონკრეტივის, „აღტო უალიაგა ლტდ“-ს თავმჯდომარის, ხუსტო სილგას ნაამბობ:

„აქ გლეხი კვირაში 200 დოლარს შოულობს. მისთვის სულექთია, კოქას მოიყვანს თუ რაიმე სხვა კულტურას, მისთვის მთავარია ოჯახი მშიერი და შინეველ-ტიტეველი არ დაუდიოდეს. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები შეაფუცხუნებენ ჩვენს მთავრობას და ნარკობიზე-სის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს დასახავენ, არავინ ფიქრობს ჩვენზე, გლეხებზე, არავინ გვთავაზობს ამ წარმოების სანაცვლოდ რაიმეს. ამიტომ გლეხებს ეზიზლებათ ისინი, ვისაც კოქას განადგურება უნდა, რადგან ეს მათ განადგურებასაც ნიშნავს. ამიტომ ერთიანდებიან ისინი „კო-

კას დაცვის ფრონტში<sup>1</sup>. მათ წინააღმდეგაა სახელმწიფო, მათ წინააღმდეგაა ნარკომანია, მათ წინააღმდეგაა „სენდერო ლუმინოსო“!

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, ეგრობისა და ამერიკისოფების საჭულველი ნარკოტიკი კოკა, პერუელთაოვის ინკების წმინდა ყვავილია. და ოუკი განვითარებულ ქვეყნებში ნარკოტიკების მწარმოებლებს დებენ ბრალს, განვითარებად ქვეყნებში მომხმარებელს აღანაშაულებენ.

პერუელები, კოლუმბიელები, ბოლივიელები და საერთოდ სამხრეთ ამერიკელები ბორკოტების სათავედ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონის არ ასვენებს. ამიტომაცა, რომ პერუს მთავრობა ორ ცეცხლს შუა მოქცეული, აქედან თავისი გლეხები უძალიანდებიან, იქედან ვშინგტონი არ ასვენებს. ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან ბრძოლას აქ უფრო ჭიქში დატრიალებულ მორეეს ადარებენ. ოუნდაც ის რად ღირს, რომ მთავრობა ვერ ბედაც პლანტაციების გასანადგურებლად ამერიკელების მიერ შეთავაზებული ჰქონდიცის, „სპაიკის“ გამოყენებას. ცალკე ეკოლოგიური დარღვევებისა ეშინია, ცალკე ასაჭირებლად მზად მყოფი გლეხებისა.

პერუელი ნარკოსები, რომლებიც კოლუმბიელი ბარონების ხელქვეითები არიან, დიდი კონსპირაციის გარეშე ახერხებენ კოკას ფოთლის ყიდვას. მათ მცირე გადასამუშავებელი ქარხნებიც კი აქვთ, სადაც კოკასგან პასტას იღებენ და თვითმფრინავებიც გააჩნიათ, რომ ეს პასტა კოლუმბიაში გადაიტანონ, სადაც ადგილობრივი კოკაინის პროფესორები მას ნარკოტიკის სახეს მისცემენ და თავიანთ გამავრცელებლებს გადაულოცავენ მაიმში, ან სხვა რომელიმე ამერიკულ ქალაქში გადასატკირთად.

პერუს №1 პოლიციელი ხუან სარატე დარწმუნებულია, რომ ამაზონის ჭუნგლებში 150-ზე მეტი საიდუმლო აეროდრომია, საიდანაც დღეში სამი თვითმფრინავი მაინც მიფრინავს კოლუმბიის საზღვრისკენ. „ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია და ისიც ძალზე იშვიათად, პილოტის დაპატიმრება და ტვირთის კონფისკაციაა,“ - ამბობს გენერალი სარატე. - „ქვეყანაში არსებული სიტუაცია მეტის საშუალებას არ იძლევა“.

ყველაფერი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული - სილარიბე, ტერორისტები, ამერიკის სიძულვილი, უძლური პოლიცია და რა თქმა უნდა, თავად კოკა.

მიუხედავად იმისა, რომ პერუ კოკას მთავარი მწარმოებელია, ის მაინც წყნარ პროვინციად ჩჩება კოკაინის სამყაროში.

<sup>1</sup> „სენდერო ლუმინოსო“ - ულტრამემარჯვენე კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის პარტიზანული რაზმებიც გარკვეულ რეგიონებს აკონტროლებენ.

აქ მხოლოდ ნახევარფაბრიკატს, შეიძლება ითქვას, პირველად წევ-ლულს აწარმოებენ და თანაც აქაური „ნარკოსები“ კოლუმბიელი კო-კაინის ბარონების ხელქვეითები არიან, მსოფლიოში კი ძნელად მო-იძებნებიან მათზე მდიდარი და შემძლე ადამიანები.

## II. ზურმუხტის და პოპაზნის ქვეყნები

მქაფრ შეგრძნებათა მოყვარულმა თვითმფრინავის ბილეთი უნდა აიღოს და კოლუმბიაში გაფრინდეს - ეს საყოველთაოდ მიღებული აზ-რია.

აქ ყველას ახსოებს პარლამენტში ამტყდარი სროლები, რაც ყავის ბარონების უთანხმოებებით იყო გამოწვეული. ან კიდევ დაუსრულებე-ლი სამოქალაქო ომები, რომლებსაც გარსია მარკესიც კი აღწერს თა-ვის წიგნებში და რომელთა ნაჩენებიც - ექსტრემისტთა პარტიზანუ-ლი რჩებები - დღეს ქვეყნის მივარდნილ ადგილებში გამეფებულან.

შემი კოლუმბიური ცხოვრების ისეთივე ნაწილია, როგორც ანისის არაყი, ან გლეხური პონჩი. ბევრნი თვლიან, რომ საყოველთაო შიშის გრძნობა უკვე ეროვნული ხასიათის ერთ-ერთ თვისებად ჩამოყალიბდა და ამის მიზეზებს კოლუმბიის წარსულში, უფრო სწორად კი წარსულ-სა და ღლევანდელობას შრის უწყვეტ კავშირში ხედავენ.

მართლაც, კოლუმბიის ისტორიაში ცოტა იყო ისეთი ღლეები, მშვიდი ცხოვრების საშუალებას რომ იძლეოდა. 1810 წლიდან, მას შემ-დეგ რაც სიმონ ბოლივარმა კოლუმბიის რესუბლიკა შექმნა, ქვეყანაში 30 სამოქალაქო ომი და 21 სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.

ძალადობის ღლევნდელ ტალღას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ უკა-ნასკნელ, 1948 წლის სამოქალაქო ომს, რომელმაც 200 000 ადამიანის სიცოცხლე შეიიტრია. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა ამ ომის შემ-დეგ და კოლუმბიამ ვერაფრით მოახერხა ფეხზე დადგომა, სამოქალაქო მშვიდობის დამყარება, ტერორისტების ალაგმა. ტერორისტების და ყა-ჩალების თარებმა ყოველდღიურობაში შეიღწია. ხალხიც თითქმის შეე-გუა ამას და კოლუმბია საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქვეყნად, სადაც ვე-რაგონ იტყოდა, რომ მშვიდობით დაუღამდებოდა.

მართალია, დამნაშავეობა სახელმწიფო რანგში არ ასულა, რადგან სუსტი და უნიათო ხელისუფლების მხარდაჭერა არავის სჭირდებოდა, არც ესმერალდერებს (ზურმუხტით მოვაჭრებს; აქვე უნდა ითქვას, რომ კოლუმბია ზურმუხტის უდიდესი მწარმოებელია და ყავის და კოკაინის ბარინებთან ერთად ზურმუხტის ბარინებიც აჩსებობენ) არც გლეხებს, არც ქალაქის მოსახლეობას.

სენატორობა, დეპუტატობა, ან სულაც პრეზიდენტობა აქ ნაკლებად ნიშნავდა კარიერის პიკს. ისევ სჭობდა ბარონი ყოფილიყავი რაიმე დარგში. თანაც, აღრე ბარონის სახელდებას სულაც არ ჰქონდა დღეს მიღებული კრიმინალური მნიშვნელობა. ლათინური ამერიკის ქვეყნების ბედი ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. ცხოვრების პრინციპები და სირთულეები საქართოა, ადათები მსგავსი, სიტუაცია კი, ხშირ შემთხვევაში, ლამის იდენტური. გასაკვირი არ არის, რომ კოლუმბიელი გლეხების სოციალური მდგომარეობა მსგავსია უკვე ნახსენები პერსულებისა: წითელი ტერორისტები, ხელიდან ხელში გადასული სოფლები, ეგზეკუციები და დაუფარავი ძარცვა-გლეხა აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო მუდამ. 1948 წლის შემდეგ ტრადიციულ საგლეხო რეგიონებში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. თითქმის ოცდახუთ წელიწადს გლეხობა ითმენდა გვარედინ ცეცხლს, მდიდარ მიწისმფლობელთა თვითნებობას და სიღუბირეს, 70-იანი წლებიდან კი მოხდა დაახლოებით ისეთი რამ, რაც ალტო უალიაგში, დაწყო გლეხობის მასობრივი გამოსვლა მშობლიური რაიონებიდან. გლეხებმა საცხოვრებლად აირჩიეს დაუსახლებელი ადგილები კოლუმბიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც ახლაც კი უახლოეს სამანქანო გზამდე რამდენიმე დღის სავალია. გლეხობა არ არის დაინტერესებული მაღალ მოსავლიანობაში, რადგან ვერც სიმინდს და ვერც სხვა რამეს აქედან დროულად ვერ გაიტან. გადასახლების წლებში აქ არ იყო ელექტრონერგია და საერთოდ არაფერი, იყვნენ მხოლოდ დამარცხებული კომუნისტი პარტიზანები, რომლებიც თან მოჰყვნენ გლეხებს და თავიანთი კანონების დამყარება დაიწყეს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ აქ ნარკოვაჭრები, რომლებმაც ღარიბ და დაბეჩავებულ გლეხებს მათ სოფლებში ლაბორატორიების მოწყობა შესთავაზეს პერსულ და ბოლივიდან გაღმოტანილი კოკაინის გადასამუშავებლად. ეს ჯერ არ იყო პასტის დამუშავება, არამედ უფრო ადრეული ტექნოლოგია, გლეხებს რაღაც განსაკუთრებული ხელ-საწყოების გარეშე შეეძლოთ ფოთლების პირველადი დამუშავება. „ნარკოსები“ ბევრს და კარგად იხდიდნენ - 500 პესოს შესრულებული შეკეთის საფასურად. ეს მაშინ, როცა კოლუმბიელ გლეხს ხუთასოიანი ასიგნაციაც კი არ ჰქონდა ნანახი. ადვილი წარმოსადგენია რაც მოხდებოდა. ამ პირველი შეთანხმებების შედეგი დღეს ასეთია: 28-მილიონიანი კოლუმბიის მოსახლეობიდან კოკაინის ბიზნესში ჩართულია 7-8 მილიონი, ე. ი. ეს ადამიანები მთლიანად დამოკიდებული არიან ნარკობიზნებზე და სარჩისაც ამით შოულობენ. ქვეყნიდან გასული კოკაინის სანაცვლოდ კოლუმბიაში ყოველწლიურად შემოდის ორ მილიარდამდე ამერიკული დოლარი და რაც ნიშანდობლივია, ბოლო წლებში მიმდინარე მიმსახურებული და მიუხედავად ეს ციფრი მაინცდამაინც არ იცვლე-

ბა. ისევე, როგორც პერუსა და ბოლივიაში, რომლებიც შესაბამისად ოთხერ და ორჯერ მეტ კოკას იწვევნ, ვიდრე კოლუმბია, ეს ფული ქვეყნის მთავარი მაცოცხლებელი ძალაა. კოლუმბიაში თვალშისაცმია, როგორც კი სახელმწიფო წარმატებულ ოპერაციებს განახორციელებს ნარკომაფიასთან ომში, ქვეყნის ისედაც დანგრეულ ეკონომიკას ეს შე-სამჩნევად ეტყობა. ნარკომაფიასთან ბრძოლის 112 საერთაშორისო პრო-ეჭტი, რომლებიც ხუთი წელია, რაც ღამუშავა კოლუმბიის მთავრობამ, გერჯერობით მხადრაშერების ძებნაშია, რადგან ქვეყანა დიდ სა-ერთაშორისო დახმარებას და ინვესტიციებს ითხოვს.

ნარკომაფია კი, ბოლო წლებში მიყენებული დარტყმების მიხედა-ვად, მაინც არსებობს და სნაბერებისა და თავდაცებული მებრძოლე-ბის ნაკლებად ეშინია. კოლუმბიაში საყოველთაოდ ცხადია, რომ ლია ომი ნარკობარობებთან სრული უაზრობაა, ტყვიების პასუხად მათ დახ-ვეწილი და გასინჯული ტაქტიკა აქვთ: დაიწყებს თუ არა მთავრობა სამხედრო ოპერაციებს მათ წინააღმდეგ, ნარკობარონები სახალხოდ აც-ხადებენ: „რად გვინდა ომი? ჩევნ ყველაფერზე თანახმა ვართ, ჩაგბარ-დებით კიდევაც, ოღონდ არ გადაგვცეთ შეერთებული შტატების სასა-მართლოს“. ეს კი რთული საკითხია. კოლუმბიის მთავრობამ ერთა-დერთხელ გაძედა მსგავსი რაღაცის გაკეთება, როდესაც ცნობილ ბა-რონს, პაბლო ესკობარს დაეთანხმა და საპატიო ტყვეობაში მოაქცია. ესკობარი შარშან მოკლეს და მის ცხედარს მრავალათასიანი ბრძო მიაცილებდა. ნარკომაფიამ იცის როგორ მოიქცეს, საჭირო მომენტში შეერთებული შტატების სენატის ნიმნავს იმას, რომ ქვეყნის მოსახლე-ობის სრული უმრავლესობა ჩაგრულ „ნარკოსთა“ მიმართ თანაგრძო-ბით განიმსჭვალოს.

ვინ არიან ნარკობარონები? როგორია მათი საქმიანობის ლამის უზინჯო სტრუქტურა, ათწლეულების მანძილზე რომ შეუფერხებლად მუ-შაონს?

უკანასკნელი წლების ყველაზე პოპულარული, კოკაინის ბარონი, უკე ნახსენები პაბლო ესკობარი ერთხანს კოლუმბიის პარლამენტის დეპუტატიც კი იყო, მან ქალაქ მედელინის დარიბ მოსახლეობას შევ-ნიერი ნათელი სახლები აუშენა, ათიათასობით დოლარი გასცა ღარიბ-თა სასარგებლოდ, უფასო საავადმყოფოების და უპატრიონოთა თავშე-საფრების მოსაწყობად. ლმერთმა უწყის, პაბლო ესკობარი მართლა კე-თილი მილიონერი იყო თუ ვირეშმაკა სპეციალანტი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კოკაინის ბარონები ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ხალხში სა-ხელი დაიგდონ, რადგან კრიზისის დღეებში ხალხის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს. უბრალოდ, ასეთია მათი ტაქტიკა. კოკაინის ბარონებს არ უყვართ დესტაბილიზაცია, სილატაკე, მზარდი უკმაყოფილება და მსგავსი

რაღაცები. მათ ურჩევნიათ ყველა კოლუმბიელი მაძღარი და კმაყოფილი იყოს, რათა არ იფიქროს იმაზე, რომ რომელიმაც ნარკობარონის მითითებით ერთი აბეჭარი უურნალისტი გამოასალმეს სიცოცხლეს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სამიოდე წლის წინ იმავე ესკობარის ბრძანებით მდიდრული საშობაო კარნავალი გაღაუხადეს და ფულადი დახმარება გაუწიეს უმუშევრად დარჩენილ დაქირავებულ ბჟვლელებს, რომელთა რაოდენობაც ქალქე მედელინში სამ ათასს აღმატება. ესკობარმა ეს გააკეთა არა მაღლიერების ნიშნად, არამედ იმის გამო, რომ თავიდან აეცილებინა ქალაქში მდგომარეობის გართულება უმუშევრად დარჩენილთა მიერ, რომელთა ბიზნეშიც კრიზისი იდგა შეკვეთების არარსებობის გამო. დის, ნარკობარონი ცდილობს ერთგვარ საზოგადო მოღვაწედ წარმოდგეს და ეს ან რა გასაკვირია - ქველმოქმედებას რომ თავი დავანებოთ, მისი ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ სამუშაო ადგილებს ქმნის უვიცი და უკვალიფიკაციონ მუშა-ხელისათვის, ერთგვარად აშიშმინებს საზოგადოების ყველზე საშიშ თუ ფეოქტებადსაშიშ ფენას. მოკლედ, ერთის მხრივ ის შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც პოლიტიკოსი, ბიზნესმენი და სხალხო საქმეში წვლილის შემტანი კაცი, მაგრამ ეს მედლის ერთი და თანაც გაცვეთილი მხარეა.

გარდა იმისა, რომ ქველმოქმედია და სიმშვიდეს უფრთხილდება, კოკაინის ბარონი ხელისუფლების მოყვარე ადამიანია. მას ნაკლებად ძირდავს რომელიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტი. სახელმწიფო ორგანოებში მისი მონაწილეობა მოქრთამული მოხელეების კონტროლით შემოიფარგლება. ხელისუფლება კოკაინის ბარონს იმდენად სჭირდება, რამდენადაც ეს უკანასკნელი მისი ბიზნესის აყვავებას არ უშლის ხელს, ამიტომ ბარონთა არსენალში არის უამრავი ბერკეტი, რომელთა საშუალებითაც ისინი ამა თუ იმ მოვლენას სასურველ კალაპოტში აქცევენ. არასასურველთავის ერთადერთი პრინციპი მოქმედებს - სასიკვდილო განაჩენი. თანაც ნარკოსთავის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ხელისუფლების წარმომადგენელია ადამიანი, რომელიც მათ წინააღმდეგ იბრძვის.

მედელინელი ნარკობოსების დაკვეთით მოკლულია პრეზიდენტობის კანდიდატი ლუის კარლოს გალანი, უმაღლესი სასამართლოს ზეგრი, ადგოკატი ექტორ ხიმენეს როდრიგესი, რადიოურნალისტი დიეგო გარგასი, დარბეულია ადვოკატურები, გაზეთების რედაქციები, ბიბლიოთეკები და სხვა დაწესებულებები. ზემოთ მოტანილი სამი ადამიანის გვარი უბრალოდ ყველაზე ცნობილი და პოპულარული იყო კოლუმბიაში, ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ თავიანთ მოსაზრებებს ნარკომაფიონების საქმიანობის შესახებ. უკანასკნელ ხუთ წელიწადში კი მათთან ერთად

დაჭირავებულ მკვლელთა ხელით დაიღუპნენ სხვებიც, ზოგიერთი მონაცემით 150 მეტი ადამიანი, რომელიც არა იარაღით ხელში, არამედ ჯერ მხოლოდ სიტყვით იბრძოდნენ კოკაინის წინააღმდეგ.

მკვლელობის მზეზები და პრინციპები ნათელია: გალანი უეჭველად გახდებოდა პრეზიდენტი, ის მმართველი პარტიის წარმომადგენელი იყო და თავისი საარჩევნო კამპანია ნარკობიზნესის საწინააღმდეგო გამოსვლებზე ააგო. იგი ამერიკელების როლის გაზრდას აპირებდა და ამიტომაც საარჩევნო კამპანიას მოაშორეს. გალანს მხარს უჭერდა გაზეთი „განგუარდია ლიბერალი“, რომლის რედაქტორისაც შესაბამისადვე მოექცირნენ: აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა შეიდი კაცი.

ამ შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია, როდესაც ადამიანი ხელს გიშლის, იშორებ, მაგრამ კოკაინის ბარონებს სხვანაირი მკვლელობაც ეხერხებათ. როდესაც ისინი ომის დაწყებას გადაწყვეტენ, ან სურთ ხელისუფლება გააფრთხილონ, ისინი უმისამართო მკვლელობების სერიას იწყებენ: მათ შეუძლიათ მოაკვლევინონ სტუდენტი გოგონა ბიბლიოთეკაში, ან ყუშბარა შეაგდონ გადაჭედილ რესტორანში, ან ცეცხლი წა-ჟკიდონ სკოლას...

კოკაინის ბარონთა ორივე ზემოთ ნაჩვენები ხერხი ერთადერთ მიზანს ემსახურება - ხელი არ ეშლებოდეთ მათი მთავარი საქმიანობისათვის, რაც ორი ძირითადი საფეხურისგან შედგება - კოკას პასტის-გან კოკაინის მიღება და მისი გადაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე.

ბარონთა ერთობლიობას კოლუმბიაში კარტელს უწუდებენ. ქვეყნის დიდ ქალაქებში - ბოგოტაში, კალისა და მედელინში ასებიბს ბარონთა უმძლავრესი მრავალწლიანი გაერთიანებები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ქალაქების სახელებს არქმევენ - ვთქვათ, „მედელინის კარტელი“ და ა. შ. კოკაინის კარტელების ზუსტი სტრუქტურა უცნობია. ძირითადად ის უნდა იმეორებდეს ზურმუხტისა და ყავის ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ არსებული კარტელების სქემას. უძრავლეს შემთხვევაში ეს არის საქმიანი გარიგებების შედეგად შეყრილ კოკაინის ბარონთა ერთობლიობა. სამი ან ოთხი ბარონი ერთიანდება საერთო საქმის უეკთ გასაკეთებლად; ისინი აერთიანებენ თავიანთ ხალხს, ოპერაციებისთვის საჭირო ფინანსებს, სარგებლობენ ერთმანეთის კავშირებით და გავლენით. კარტელისთვის უცხო არ არის ოჯახურ-კლანური გაერთიანებაც, რაც დამახასიათებელია ლათინური ქვეყნის დანაშაულებრივი გაერთიანებებისთვის. ასე მაგალითად, მედელინის ერთ დროს უძეველ კარტელს ესკობართან ერთად მშები ოჩოები ედგნენ სათავეში, კალის კარტელს კი, რომელსაც შარშან უფრო გაუვარდა სახელი მსოფ-

ლიოში, ძმები როდრიგესები და სანტაკრუსი ხელმძღვანელობენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კარტელები არ ჰყავნან „კოზა ნოსტრას“ ოჯახებს, ისინი მაინც საქმის გარშემო გაერთიანებული ხალხის კრებულია. რა თქმა უნდა, კარტელებსაც ჰყავთ შეიარაღებული ხალხი, მაგრამ ეს ძირითადად დაქირავებული ძალაა.

ზოგჯერ იქნება შთაბეჭდილება, რომ კარტელებში უთანხმოება მწიფდება, მაგრამ ნარკობიზნების ისტორიამ არ იცის განხეობილების არცერთი შემთხვევა. თვით კარტელებს შორისაც კი არ მომხდარა მეტ-ნაკლებად თვალში საცემი შეჯახება. სისხლისღვრა ხომ საერთოდ არ ყოფილა. კინა ნოსტრასგან განსხვავებით, ნარკოკარტელებში საბაზრო ეკონომიკის წესები ბატონობს. კალის კარტელს არ აღიზიანებდა მედელინის კარტელის სახელი და დიდება არც მედელინებებს აწუხებთ ის ამბავი, რომ კალის კარტელს უფრო დიდი კაპიტალ-რუნვა აქვს. სახუბარი მართლაც არაფერია, იმდენ პასტას შეუკვეთავ, რამდენის ყიდვაც შეგვძლია, იმდენს გადაამუშავებ, რამდენსაც შემკვეთი ითხოვს - ყველაფერი კაპიტალისტურადაა. აქ გავლენის სფეროები არ არსებობს, არ არსებობს თვალში საცემი კონკურენციაც, რადგან მოთხოვნილება კოკაინზე ძალიან დიდია, შემკვეთები ფაქტიურად ამოუწურავ რაოდენობას ითხოვნენ.

ამ მხრივ კოკაინის ბარონს, ანუ „კაპოს“, როგორც კოლუმბიელები უწოდებენ ნარკო მეთაურებს, პრობლემები არა აქვს.

ნარკობიზნები ფიტავს ქვეყნის შინაგან სტრუქტურას, არღვევს სამქალაქეო ცხოვრების რიტმს, მუდმივ შიშუში ამყოფებს მოსახლეობას. სიწყნის ნარკოდოლარები ვერ აყარებენ. ხელისუფლება ებრძვის კარტელებს, მაგრამ ბრძოლის ფორმები ისეთია, რომ მოსახლეობას იმდეს არ უნერგავს. სროლა და სისხლი კოლუმბიელთათვის უცხო არ არის. მთელი კოლუმბიის ისტორია ადასტურებს იმას, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს ომით გამარჩვებული ძალა. როგორც წესი, კოლუმბიაში არ არიან ბოლომდე დამარცხებულები და საუკუნენახევარზე მეტია, სროლა მცირე შესვენებებით გრძელდება.

ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს ნარკოსთა წარმატება ქვეყნისობის, არის ქალაქი მედელინი, უკანასკნელ დრომდე კოკაინის საქმისანთა ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი.

მედელინი ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთში მდებარეობს და ერთერთი ყველაზე შეძლებული პროვინციის მთავარი ქალაქია. აქ მოვლილი, ეგრძობულად ნაგები უბნები და ფართო ქუჩებია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა. უმდლაგრეს კარტელს სწორედ აქ უდევს ბინა. ზოგიერთ აქაურს რომ ჰყითხოთ, მათი ქალაქის განმაურებული სახელი მხოლოდ იმის ბრალია, რომ მედელინის კარტელი ზედმეტად იყო

გატაცებული ძალადობით და სისხლისღრით, თორემ სხვა ქალაქებში ბევრად უფრო მძლავრი გაერთიანებები არსებობს: იქნებ ეს მართლა ასე იყოს, მაგრამ ქალაქის ნარკობიზნესის ცენტრად აღიარებაც მხოლოდ გამო არ მოხდებოდა.

ძალადობა კი ჩვეულებრივი ამბავი იყო მედელინში. აქაური კარტელის მოქმედების სტილი მართლაც, გამორჩეულად სისხლიანია. ეს-კობარი და ოჩები, ჩვეულებრივ, არ ყოფილია მათ წინააღმდეგ განწყობილი ადამიანის ბედის თაობაზე. ამიტომ მედელინში საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა ახალი ფენა, რომელსაც „ნარკობიზნესის მაწანწალებელი“ უწოდებენ. „მაწანწალათა“ ჩიგებში ძირითადად 14-18 წლის უქონელი და უმუშევარი ბიჭები შედიან. ისნი გაერთიანებულნი არიან 8-10 კაციან ბანდებში და უბნობრივი პრინციპით იყოფიან. ჩამოდენიმე ასეთ ბანდას, როგორც წესი, ერთი უფროსი „მაწანწალა“, უფრო სწრაფად კი დაქირავებული მკვლელი მეთაურობს. შეკვეთას სწრაფ მეთაური იღებს, თანხასაც ის ანაწილებს; მშვიდ და უშთოთველ დღეებში „მაწანწალათა“ გუნდები ერთმანეთს არ ერჩიან, როდესაც სამუშაო იშოვება და დამკვეთი ფულს იხდის, მათ სადარღებელი არაფერი აქვთ, მაგრამ როგორც კი უმუშევრობა იწყება, დაქირავებული მკვლელები ჰქუას კარგავენ და ქალაქში გამოდიან. წინააღმდეგობის გამწევი ან სიტყვის შემბრუნებელი მკვდარია და არა აქვს მნიშვნელობა ბავშვია ის, ქალი, თუ მოხუცი. მკვდარია, მორჩა და გათავდა. ეს დაქირავებული მკვლელები არც ქალაქის რესპექტაბელური უბნების ცხოვრების არევდარევას ერიდებიან, აფეთქებენ მანქანებს და წვავენ მაღაზიებს...

თვით მედელინის კარტელისათვის ამგვარი ბანდების არსებობა დიდი პრობლემა იყო, ამიტომაც მოულოდნელი არ არის, რომ ქალაქში მოქმედი ყოველი ასეთი ბანდა კარტელის გარკვეულ დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, თვით კარტელმა შექმნა ვერტიკალური, იზოლირებული სისტემა მათ სამართავად და „მაწანწალები“ საერთო მმართველობას დაუქვემდებარა ისე, რომ თითოეულმა ბანდამ არაფერი იცოდა მეორის კაშირზე კარტელთან. მაგრამ კრიზისმა, რაც თვითონ მედელინის კარტელის მთავრობასთან ურთიერთობებით იყო გამოწვეული, დაქვემდებარებიდან გამოიყანა უქმად დარჩენილი ეს არმია. ქალაქის ყველაზე დიდ რაიონში, სიტუაციის მფლობელი სამი დიდი ბანდა 6-8 კაციან ჯგუფებად დაიშალა და ცალკეული ქუჩები აიყვანა კონტროლზე. ეს ბანდები ისედაც ქალაქში ჩადენილ დანშაულობათა 50 პროცენტის აგრძორობას იჩემებდნენ, დამლის შემდეგ კი მთლად კოშმარული სიტუაცია შექმნეს.

სხვა ადგილებში ეს მომცრო გუნდები ერთმანეთს ესხმიან, ანდა

მარტოდ გამოიჭერენ მოწინააღმდეგე ფორმირების ნარკოტიკების გამყიდველს, სწრაფად გამოასალმებენ სიცოცხლეს და გაძარცვავენ, რაც ადრე მეტად იყო აკრძალული დაქირავებულ მკვლელთა კოდექსით. ამ მოვლენების უშუალო შედეგია ე. წ. მკვლელთა „პარალელური“ რაზმების წარმოშობაც. ეს შეიარაღებული ჯუფები იმავე უბნებში იქმნება, სადაც მედელინის კარტელის მაწანწალები დათარეშობენ, მაგრამ მათი მიზანი სხვაა. რაზმები ცდილობენ თავიანთი ქუჩები გაწმინდონ წესრიგის დამრღვევთაგან. „ლოს კაპუტის“, ასე უწოდებენ ისნი საკუთარ თავს და გამოქნისას ქუჩებში ნაპოვნი გვამები მათი ნამოქმედარის შედეგია.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პაბლო ესკობარი გაღიზიანებულ მკვლელთა სუბსიდირებას ახდენდა. სიწყნარე მედელინში მასაც ძალიან სჭირდებოდა, რაღაც ქალაქში შეიარაღებული ძალების შემოსვლა კარტელს არაფერში სჭირდებოდა. ასეთი იყო მედელინი სამი-ოთხი წლის წინ, მანამდე სანამ დააპატიმრებდნენ ესკობარს და ფაბიო ოჩიას, მანამდე, სანამ იმქვეყანას წავიდოდა „მექსიკელად“ წოდებული გონისალო როლჩიგეს გაჩა.

ასე რომ, არცერთი კარტელი არ არის ზეადამიანური და ყოვლისშემძლე ორგანიზაცია, არსებობისა და სიმდიდრისათვის ბრძოლაში კარტელებს აქვთ სუსტი ადგილები და სერიოზული ჩავარდნები, თუმცა მათ საქმიანობას წარუქმატებელი ვერაფრით დაერქმევა, რაღაც მათი ბიზნესი, თუ რგოლები კარგადაა ასხმული, წაუგებელ ბიზნესად ითვლება და რომელიმე ბარინი, ციხეში მზდომიც კი, მილიონობით დოლარით ისქელებს ჯიბეს, რაღაც მანქანა მუშაობს და წილიც ავტომატურად ერიცხება.

### III შენსპენ საბალი გზები

როგორც წესი, კარტელების საქმიანობის მთავარი და ყველაზე უკეთ დამუშავებული რგოლი უშუალოდ კოკაინის ბიზნესია. ამ საქმეში ჩავარდნა თითქმის არ არსებობს, რაღაც ჩავარდნა დაღუპვის ტოლფასია. თვით მედელინის კარტელის ბედიც ამის დასტურია. ტერორი და კონფრონტაცია სახელმწიფოსთან კარტელს მხოლოდ საზოგადოების და მსოფლიოს თვალში თუ სჭრიდა თავს, თორემ ბიზნესს ეს არაფერში დასტყობია. პირველივე დიდი მარცხი შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ესკობარისა და ოჩიებისათვის დამლუპველი აღმოჩნდა.

კოკაინის ბიზნესი მჟიდროდაა დაკავშირებული კოლუმბიურ სოფელ-

თან. მიმომხილვებს უკირთ კიდეც, რომ კოკაინის ბარონები თავი-ანთი საქმიანობის ხილულ ცენტრებად დიდ ქალაქებს ირჩევნ, მაგრამ კარტელებისათვის ეს უფრო მოსახერხებელია. კოკაინის დამზადება ცენტრებიდან შორს მიმდინარეობს, ხოლო თვით კარტელი მისთვის საინტერესო მოვლენათაგან ახლოს იმყოფება, რაც სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა. სოფლებსა და ტყეებში კი საქმიანობა უშფოთველად მიმდინარეობს. როდესაც პოლიციამ მედელინის კარტელის ერთეულთი დიდი კოკაინის საწყობის კვალი აიღო და იქაურობა დედაბულინად გადაწვა, ფაბიო ოჩიასთვის ეს ტრაგედიად არ ქცეულა, თუმცალა ზარალი კატასტროფულიც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. „ამერიკაში გადასაგზავნი კოკაინის მარაგი ულევია“, - თქვა მაშინ ნარკობარონმა და მართლაც ასე იყო. მისი ბრძანებით ბატონმა ლედერმა, რომელსაც კოკაინის სამყაროში პროფესორის სახელითაც იცნიბდნენ და რომელიც მედელინის კარტელის საიდუმლო ლაბორატორიების და საწყობების ხელმძღვანელი იყო, სასწრაფოდ არია კვალი. ლედერმა უშროკლეს ხანში შეუცვალა ადგილმდებარეობა გადამამუშავებელ ლაბორატორია-საამერიკებს და „ულევი მარაგი“ მიწისევება საწყობებში გადაიტანა, მანვე შექმნა რამდენიმე საიდუმლო ასაფრენი ბილიკი, რომლებიც ზედ საწყობებთან მდებარეობდა და უცხო თვალისთვის სრულიად შეუმნიერებლად უფრისონირებდნენ.

უდიდესი ფინანსური შესაძლებლობებიც შესამჩნევად უადვილებს კრიზისულ დღეებს მედელინელ ბარონებს.

კოკაინის ბიზნესის უკანასკნელი ეტაპი კარტელისათვის არის მზა პროდუქციის გადაგზავნა ამერიკას შეერთებულ შტატებში, და მისი მებითუმებისთვის გადაბარება. დანარჩენი ბარონებს აღარ ეხებათ.

ეს ერთი შეხედვით მარტივი ოპერაცია ხშირად იქცეოდა ხოლმე ცენტრალურ ამერიკაში პოლიტიკური სკანდალებისა და დესტაბილიზაციის მიზეზად. საკვარისია გავიხსენოთ პანამის პრეზიდენტის ნორიეგას დატუსალება და გასამართლება შეერთებული შტატების მიერ, ან ფიდელ კასტროს მიერ საკუთარი გენერლების დახვრეტა ნარკობიზნებში მონაწილეობისავის და მრავალი სხვა.

კოკაინის გადაგზავნას თავისი სპეციფიკა აქვს. ეს არის უმაღლესი ხარისხის კონტრაბანდა და კონტრაბანდისტი, რომელიც ამ საქმეს ეწევა, ზღაპრულ ანაზღაურებას იღებს. მეორე მხრივ ის უნდა იყოს კარტელისათვის უაღრესად სანდო ადამიანი და უმაღლესი კვალიფიკაციის პილოტი. ასეთები კი ძირითადად ამერიკელები არიან. პილოტმა საუცხოოდ უნდა იცოდეს თავისი გზის მონაკვეთი, რადგან იგი უგულებელყოფს უსაფრთხოების ყოველგვარ წესს, რათა ასასზღვრო დაცვისათვის შეუმჩნეველი დარჩეს. რეისები ღამით სრულდება

და თვითმფრინავს გამორთული აქეს წითელი სინათლე. სიმაღლის ხშირი ცვლით პილოტები ცდილობენ შეუმჩნეველნი დარჩნენ რადარებისათვის.

ნახსენები პოლიტიკური სკანდალები კი უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ამ რთულ გზაზე თვითმფრინავის აუცილებელია შუალედური სადგურის არსებობა, სადაც მფრინავი კიდევ ერთხელ გადაამოწებს თავის მარშრუტს, რუკებს და მიიღებს უკანასკნელ ცნობებს, საწვავის მარაგსაც შეივსებს და გზას განაგრძობს. კოკაინის ბარონები სოლიდურ გასამრჩელოს სთავაზობენ ცენტრალური ამერიკის დატაკი ქვეყნების მაღალი თანამდებობის მოხელეებს, ოლონდ კი მათ ასეთი შუალედური სადგურის გაწყობის საშუალება მისცენ. რა დასამალია და უარს ცოტანი ამბობენ, ნორიეგა კიდევ უფრო შორს წავიდა, მან სათადარიგო ლაბორატორიებიც კი მოაწყო პანამის ტერიტორიაზე, იმ შემთხვევებისათვის, თუ მედელინელებს ამ მხრივ რაამ პრობლემა გაუჩნდებოდათ კოლუმბიაში. რაც შეეხება კასტროს მიერ „ნარკობიზნებში ჩართული გენერალების“ გასამართლებას, ძნელი დასაჭერებელია, რომ კუბაშე ვიზე უმისოდ ითბობდა ხელს. უბრალოდ, პანამის მოვლენების შემდეგ კუბის დიქტატორმა თვითონვე მიიღო ზომები, რათა ამგვარი ზომების აუცილებლობა ამერიკელთა მხრიდან მიღებული ინფორმაციის ნიადაგზე არ გაჩენილიყო.

მაგრამ დავუბრუნდეთ კოკაინის მარშრუტს.

მედელინის კარტელისათვის საშუალებო ბაზად ბაჟამის კუნძულები ითვლებოდა, მაგრამ აქედან გადასული პროდუქციის დანაკარგი მეტად დიდი იყო. ეს გახმაურებულ წერტილად იქცა და მაიამიში ჩატანილი კოკაინის ნახევარი პოლიციის ხელში გარდებოდა. კარტელმა ახალი სადგურის ძებნა დაიწყო.

ასეთ პუნქტად ფაბიო ოჩიას მაშინ ჯერ კიდევ სანდინისტურ-მარქსისტული ნიკარაგუა დაესახა...  
წითელები და ნარკობიზნები. კოკაინის გაჩენის დღიდან ეს ორი ძალა დანასისხლად იყო ერთმანეთთან პერუს, კოლუმბიის და ბოლივიის სხვადასხვა რეგიონში. ნარკოსები და კომუნისტები ერთმანეთს ებრძოდნენ და ხოცავდნენ კიდეც. მაგრამ ნარკობიზნების სპეციფიკა იმაშია, რომ მისთვის სულერთია ვინ იქნება პარტნიორი, მთავარია, საქმემ არ იზარალოს და ყველაფერი მოწესრიგდება.

როდრიგეს გაჩამ მედელინის გაჩეთ „სემანას“ კორესპონდენტს სატელეფონო ინტერვიუში განუცხადა, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოუდგენია კავშირი კომუნისტებთან, კოლუმბიელ პარტიზანებთან თუნდაც ასეთი გამყიდველი მთავრობისა და ამერიკელების წინააღმდეგ, რადგან საკუთარი პრინციპები არ აძლევენ ამის საშუალებას. მაგ-

რამ ეს საუბარი ეხებოდა სამხედრო კონფრონტაციას და არა უშუალოდ ვაჭრობას.

„ჩვენ ანტიკომუნისტები ვართ“, - ამბობდა გაჩა.

„დმერთმა დამიფაროს, მაგრამ ჩვენ ისინი გვჭირდება, მათ კი ჩვენ ვჭირდებით“, - ოქვა ცოტახნის შემდეგ ფაბიო ოჩამ, როდესაც თავის პილოტებს შეატყობინა სანდინისტებთან მოლაპარაკებათა შედეგები. ნიკარაგუა თანახმა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და ეროპორტებს საზენიტო არტილერია იცავდა, რომელიც კონტრასების შიშით წამსვე ცეცხლს უსწიდა ყოველივე მოძრავს. მაგრამ პილოტებს არაფერი ჰქონდათ სანერგოულო, რაღაც კარტელმა ეს პრობლემაც მოაგვარა. პილოტმა იცოდა პაროლი და კოდი, რომელიც უნდა ეცნობებინა სანდინისტების საშაერო თავდაცვისათვის, იცოდა ტელეფონის ნომერი, რათა პრობლემების წამოჭრისთანავე დაკავშირებოდა მედელინელებთან შექრულ ამა თუ იმდიდმოხელეს.

ასე რომ, ახალი გზა ხსნილი იყო.

ლედერი თვითმმართნავებს ტვირთავდა და გულდამშვიდებით უშვებდა ნიკარაგუასკენ. ოღონდ სანდინისტების თხოვნა იყო, არცერთ პილოტს ეთერში არ წარმოეთქვა სიტყვები „ნიკარაგუა“ და „მანაგუა“, ნებისმიერ შეკითხვაზე მათ ეპასუხათ, რომ მიფრინავენ (ან აფრინდენ) კოსტა-რიკაზე...

ასე იყო ორგანიზებული მედელინის კარტელის საქმიანობა, რომელიც ფანტასტიურ თანხებს აგროვებდა.

#### IV. ბერი სილი: პროადგრობი და განუვალებელი

1984 წლის 1 აპრილი დაუვიწყარი თარიღია შეერთებული შტატების ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის სამმართველოს ისტორიაში. ამ დღეს ხსენებული სამსახურის აგენტმა, ელის მაკენზიმ გადაბიჯა მედელინის კარტელის ერთ-ერთი მესეურის, ხორხე ოჩამს რანჩოს ზღურბლს და ესაუბრა მის პატრონს. ეს დღე იქცა მედელინის კარტელის აღსასრულის დასაწყისად. ამასობაში კი ისიც უნდა ითქვას, რომ ელის მაკენზი სულაც არ იყო ელის მაკენზი, არამედ უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე ცნობილი და სახელგავარდნილი ნარკოტიკების კონტრაბანდისტი, ანუ „საშაერო ვაჭარი“ ბერი სილი.

ბერი სილი ლუზიანელი ავიატორი იყო, ქალაქ ბათონ-რუსიდან. საშაერო საქმის სპეციალისტები მას მსოფლიოში საუკეთესო მფრინავად თვლიდნენ. ავიოკომპანია „ტრანს უორლდ ეარლაინზი“, სადაც

სილი მსახურობდა, მას უკვე ოცდაექვსი წლისას ანდობდა საჭეს, რაც თავისთავად წაარმოუდგენელი ამბავი იყო. სილი მარტო ასრულებდა ურთისეს რეისებს და ვინ იცის, ახლა შეიძლება ავიოკომპანიის დორექტორატის შემადგენლობაშიც კი ყოფილიყო შესული, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. მას არ შეეძლო მშვიდი ცხოვრება და კონტრაბანდისტობას მიჰყო ხელი. 1972 წელს 32 წლის სილი მებაჟეებმა გამოიჭირეს. მას შვიდი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება გაჰქინდა ფილელ კასტროს ჩამოსაგდებად მებრძოლი კუბელებისათვის. საქმე ჩაიფარცხა, მაგრამ სილი პრესის ფურცლებზე მოხვდა და ავიაკომპანიიდან დაითხოვეს.

ამ დროიდან კონტრაბანდა მისი მთავარი საქმიანობა გახდა. 1976 წლიდან ბერი სილმა მარიხუანას შემოტანას მოჰკიდა ხელი და ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ფრენას მოუხშირა. 1979 წელს რვა თვე გაატარა ჰონდურასის ციხეში იარაღის უკანონოდ ტარებისათვის და სწორედ აქ, ჰონდურასში შეხვდა იგი ვინმე უილიამ როჯერ რივსს, რომელმაც სილს მედელინის კარტელის შესახებ უამბო და საკუთარი თავი მათ პარტნიორად დასახა.

ორ წელიწადს არ გაუვლია, სილი ოჩათა პარტნიორი გახდა. მან კაგშირი გააბა მაიაში მცხოვრებ კოლუმბიელთან, რომელსაც ლიტო ერქვა და რომლის ხელშიც თაგს იყრიდა კოლუმბიიდან წამოსული კუკაინის დიდი პარტიები.

იმ პერიოდში სილი კონტრაბანდის ნამდვილ გენიოსად იქცა. ის მონდომებით სწავლობდა კონტრაბანდის ისტორიას, იკვლევდა გახმაურებულ შემთხვევებს, სასამართლო პროცესებსაც კი ესწრებოდა, რათა კარგად გაეაზრებინა სხვათა შეცდომები. ყოველივე ამან საოცარი შედეგები გამოიღო. სილმა შექმნა საკუთარი საფრენი ტაქტიკა, რომელსაც ხინჯი არ ჰქონდა. როგორც სხვა საპარენ ვაჭრები, სილიც გამაფრთხილებული სინათლეების გარეშე დაფრინავდა. ის და მისი მფრინავები საჩერებლობრივ ბნელში ხედვის სპეციალური აპარატურით, რომელიც 50 ათასჯერ აძლიერებდა მთვარის და ვარსკვლავების შექმნას. შტატების ტერიტორიაზე შესვლისას სილი სიჩქარეს 200 კმ საათამდე აგდებდა, ისე რომ მისი ოვითმფრინავები რადიოსალოკაციო რადარებთან მსხდომთ ლუიზიანის ნაგთობსარეწებიდან მომავალი ვერტმფრენები ეგონათ. სილი და მისი მფრინავები ემორჩილებოდნენ რადიოლოკატორებიდან მოსულ ბრძანებებს და მათ მიერ ნაკარნახევი მარშრუტით მიფრინავდნენ, შუა გზაზე კი კოკაინს ტომრებით ყრიდნენ ჭაობში, საიდანაც რეისის დასრულების შემდეგ მანქანებში ტვირთავდნენ და მაიაშისკენ ისტუმრებდნენ. ამ წლებში სილი ლუიზიანის მთავარი ნარკოკონტრაბანდისტი იყო. ის ლიად უცინოდა პოლიციელებს და დარწმუ-

ნებული იყო, რომ ვერ დაიჭერდნენ. ერთხელ, ავტომატის ჭიშურთან, საიღანაც სილი კოლუმბიას ესაუბრებოდა ერთდროულად ორი ტელფონით და ხელში მთელი პარკი მონეტები უჭირა, გადაცმული აგენტი მორიგეობდა.

- მაინც ვერასოდეს დამიჭერ, ბრიყვო! - გამოსძახა ჭიშურიდან სილმა და საუბარი განაგრძო.

თვით კოლუმბიაში ფრენის პრობლემა კი საერთოდ არ არსებობდა. სილი თვალდახუჭული გადი-გამოდიოდა მისოვის გამოყოფილ „ფან-ჭრებში“. თითო ასეთ გასვლაში მედელინის კარტელი 25 ათას დოლარს უზღილა სამხედრო-საპარო დაცვის არწივებს, რომლებსაც სულ რამდენიმე წუთით სხვაგან უნდა გაეხედათ.

და მაინც, სილი ჩავარდა. ლუმიზიანელმა პოლიციელებმა მართლაც ვერაფერი დააკლეს, მაგრამ ფლორიდში გამოიჭირეს. ამისთვის საქმარისი გახდა რამდენიმე ჩაწერილი სატელეფონო საუბარი და აგენტის ჩვენება. ოხრად დარჩა ოცდახუთი მილიონი დოლარი, რომელიც სილმა 5 ტონა კოკაინის შემოზიდვისათვის მიიღო. სილმა თავდებისთვის მეოთხედი მილიონი შეიტანა და სასამართლომდე განთავისუფლდა. ამასობაში მან ერთი-ორი მომგებიანი რეისის გაკეთება გადაწყვეტა, რათა ლიტოს მიერ შეკვეთილი 3 ტონა კოკაინი ჩამოეტანა, მაგრამ სწორედ იმ დღეებში კოლუმბიაში კოკას გადამუშავებელი რამდენიმე მსვილი ლაბორატორია გადაწვეს სამთავრობო ჯარებმა და რეისი ჩაიშალა.

ბერი სილს, რომელსაც კოლუმბიელები მაკენზის სახელით იცრობდნენ, 10-წლიანი სასჯელი ელოდა, მაგრამ გამომიების დროს რაღაც-რაღაც ცეკვებმა წამოყო თავი და ეს „რაღაც-რაღაც ცეკვები“ კიდევ 47 წელს უდრიდა. მას ბევრი არ უფიქრია და ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის სამართველოს აგენტები მოქებნა. სილი ყოველთვის რისკი-ანი კაცი იყო. ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლებს მან განუცხადა, შემიძლია სამი ტონა კოკაინის გადმოტანაზე ხელშეკრულება დავდო ხორხე ოქონასთან და ტვირთი უმტკივნეულოდ და უხილაოდ ჩაგაბაროთო. მას არ უჯერებდნენ, მაგრამ სილი ხომ გუშინდელი ბიჭი არ იყო. აგენტებმა გარისკეს. 1984 წლის 28 მარტს ბერი სილმა ხელი მოაწერა კონტრაქტს და განთავისუფლდა.

1 აპრილს კი ელის მაკენზი უკვე ლა-ლომბაში იყო, ხორხე ოქონასთან. ამასობაში კარტელის საქმეები ცუდად წავიდა და ოქონები და ესკობარი პანამში გადაბარგდნენ, სილისაც ამერიკაში დაბრუნება და სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწია. მოსამართლე რეტგერმა მას 10 წელი მიარჭო და გადარეული კონტრაბანდისტი ციხეში მიაბრძნეს. სამართველოს აგენტებმა ლამის დაუჩიქეს მოსამართლეს, ორი

დღის მერე დახურული პროცესი გაამართვინეს, რის შედეგადაც სილი პირობით განთავისუფლდა და ოპერაციის მომზადებას მიჰყო ხელი.

სილი ესკობარის სანდო კაცი, მისი ოქროს პილოტი გახდა, მაგრამ რეისის მომზადება ჭიანურდებოდა. პანამაში გადაბუგული ლაბორატორიების აღდგენას სანდინისტურ ნიკარაგუაში აპირებდნენ. მანაგუას ახლოს ლაბორატორიის აშშავებას აღარაფერი უკლდა, პროთესორი ლედერიც იტყობინებოდა, 10-15 ტონა კოკაინი მზადაა სარეალიზაციოდო. ესკობარმა სილს თავისი დავალებებიც მისცა - ნიკარაგუაში „მალბორო“ და ვისკი „ჯინი უოკერი“ ჩამოიტანეთ, საქმეს წაადგებათ. სილმა ვიეტნამის ომის-დროინდელი ბომბდამშენი „ფეირჩაილდ ს-123 კ“ იყიდა და ნიკარაგუაში გაფრენამდე ერთი შიდამერიკული რეისიც შესარულა. ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს ახლა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამოსდგომოდა გვერდით. მისმა აგენტებმა რიკენბაკერის სამხედრო ბაზაზე თვითმფრინავის ფუზელაზში ფოტოაპარატი ჩამონტაჟეს და მეორე ასეთი ხელსაწყო კი სატვირთო სალონში ჩაამაგრეს. ორ დღეში სილი ნიკარაგუაში იყო - ლოს ბრაზილესის ასაფრენ ბილიკები. ფოტოკამერამ აღმეჭდა, როგორ ტვირთავდნენ კოკაინით საგსე ტომრებს სილი, პაბლო ესკობარი და სანდინისტების დიდმოხელე ფერნანდო ვოენი, რომელთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერიც სილს უკვე ადრევე ჰქონდა აგენტებისთვის გადაცემული.

მაკენზი-სილი მშვიდობით დაფრინდა მაიამიში, ჰოუმსტედის ავიაბაზაზე და ლიტოს დაურევა, სამტონიანი კონტრაქტის პირველი ნაწილი, 700 კილოგრამი აღგილზეა. ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს აგენტები უთვალთვალებდნენ კოკაინის თეთრ სატვირთო „შეგროლეში“ ჩატვირთვის პროცესს. შემდეგ კი გზაზე გასულ მანქანას აეღვენენ და სილი რომ არ გაეცათ, მოქნილი ოპერაცია განახორციელდს, ერთ-ერთი აგენტი, რომელიც დაწმოლეულ „ბიუკში“ იჩდა, „შევროლეს“ შეასკდა. ავტონისპექცია წამსვე იქ გაჩნდა - ტვირთი „ჩაგარდა“.

ლიტოს ერთ-ერთი მცველი ცოტა უკან მოდიოდა და ამტკიცებდა, ავარია მოწყობილი იყო. სილი და ლიტო ოქოების მაიამელ წარმომადგენელთან, ხოტასთან გამოიძახეს. ლიტომ, როგორც ოპერაციის ხელმძღვანელმა, დაარწმუნა ხოტა, რომ მცველს ყველაფერი მოეჩვენა. მას სილზე მეტად უნდოდა საქმის ჩაფარცხვა, რაღაც მთავარი პასუხისმგებელი თვითონ იყო.

მალე სილს მორიგი პარტიის გადასატანად მოუხდეს. თანაც ესკობარს დაებარებინა - „მალბორო“ და „ჯინი უოკერი“, ასევე მილიონ-ნახევარი დოლარიც არ დაგავიწყდეთ, სანდინისტები ფულს ითხოვენ.

ლიტომ გაჭირვებით მოუყარა ამ თანხას თავი და სილს გადასცა. სილ-მა სამართველოს აგენტებს დაურეკა, ფოტოგრაფი გამოგზავნეთ, ეს-კობარის ფულთან ერთად სურათი უნდა გადავიღოთ.

მალე მაკენზი უკვე მანაგუში იყო, მაგრამ ჩავარდნით შეშფოთებულ ესკობარს მარშრუტი შეეცვალა. ტვირთს მექსიკში ჩაიტან როდ-რიგეს გაჩასთან, იქედან კი პატარა თვითმფრინავებით გადავიტანთ შტატებშით. სილი სიამოვნებით დათანხმდა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოში უკვე ხელებს იზშვნეტდნენ, მექსიკა ნარკობარონთა დასატყვევებლად საგსებით ვარგისი ტე-რიტორია იყო.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად დატრიალდა.

ნარკოტიკები პოლიტიკას გადაეჩვენა და ბერი სილი, ლეგენდარული, ერთადერი და განუმეორებელი... მოკლედ, სწორედ იმ სალამოს, როდესაც „ბოუიკი“ „შეეროლეს“ შეასკდა, შემდგომში ირანგეიტის სკან-დალით სახელგავარდნილმა, ეროვნული უშიშროების საბჭოს პოდპოლკოვნიკმა ოლივერ ნორტმა, თავის სამაგიდო ბლოკნოტში ჩაწერა: „ფო-ტოს ე აღბეჭდილია ფერნანდო ვოქნი და ნიკარაგუას შინაგანი ჯარის ჯარისკაცები. 700 კგ კოკაინი“. ნორტი ნიკარაგუელ კონტრასექს კუ-რირებდა, მათი დახმარებით იყო დაკავებული.

ერთხელ ოლივერ ნორტი ნარკოტიკებთან მებრძოლი სამმართველოს კოკაინის განყოფილების უფროსმა რომ კაფრიმ მოინახულა და სილის შესახებ ესაუბრა. ნორტს კი უკვე ჰქონდა სილის ფოტოსურა-თი. კაფრის ლამის იყო წნევამ აუწია: საილუმლოება გაყიდული იყო.

ნორტს უნდოდა ჟურნალისტები მიერვა ამ საქმეზე. ეს სანდინისტების კომპრომეტაცია იქნებოდა. ამ დროს კონგრესში ახლოვდებოდა კონტრასთა დახმარების საკითხის განხილვა. სილის ისტორიის გახმაურების შემთხვევაში წარმატება გარანტირებული იქნებოდა. ოლონდ, კაფ-რიმ მტკიცედ მოითხოვა, მსგავსი არაფერი მომზდარიყო. სამმართველო ამით უმნიშვნელოვანეს აგენტს დაკარგავდა და ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა.

მაგრამ როდესაც სილი ნიკარაგუადან დაბრუნდა, სამმართველოში უკვე იცოდნენ, რომ ოლივერ ნორტს ნაშუსი არ შეენახა და მალე გაზეთი „ურშინგტონ ტამსი“ დაბეჭდავდა ნიკარაგუაში მისი უკანასკნელი რეისის ამბავს. სამმართველოში წერტილის დასმა გადაწყვიტეს. 17 ივნისს, სწორედ იმ დღეს, როდესაც წერტილი გამოქვეყნდა, მაია-მიში დაიჭირეს ლიტო და მთელი მისი ხალხი. ასევე ცნობილი საპა-ერო ვაჭარი, სილის მეტილე ბეიტსი. სისხლის სამართლის საქმეში პირველად გაერთიანდა ესკობარის, ლედერის, გაჩას და ოჩოების სახელები. ხორბე ოჩა ესპანეთში გადაიხვდია, მაგრამ იქაც მალე მიაგნეს

და ამერიკის მართლმსაჯულებას გადასცეს, როგორც საერთაშორისო დამწამებელი. რეიგანის აღმინისტრაციამ ოფიციალურად უწოდა ოჩიას სან-დინისტების მოქავშირე და განაცხადა მათი ერთობლივი დანშაულის შესახებ. თავისუფლად გადარჩენილი ბერი სილი კი ლუიზიანაში გაბრუნდა, თავის მშობლიურ ბატონ-რუქში. ის ახლა ერთიორად უფრო ფასობდა, ოჩიას სასამართლო პროცესზე მთავარ მოწმედ უნდა გამოსულიყო.

მაგრამ ლუიზიანის სასამართლო ორგანოებს არაფრად ეპიტნავებიდათ სილი. მაიამიში ის გმირი იყო, აქ კი ნაჩერობის მენინი. ოლქის პროკურორმა პირდაპირ განაცხადა, ციხეში ამოვალბომ. არადა სამართველო უფრთხილდებოდა სილს. მედელინელებმა ჭერ კიდევ არ იცოდნენ, რომ სილი იგივე მაკენზია, ეგონათ, მაკენზი გადაიკარგა და შურისძიება ჟაკეთესი დროისთვის გადაედოთ.

ლუიზიანის ხელისუფლების მიერ კუთხეში მიმწყვდებული სილი ისე მოიქცა, როგორც სჩეკოდა. დაუკავშირდა კერძო ტელეკომპანიის რეპორტიორ ჭონ კემპს და ყველაფერი უამბო.

მალე ხმა გავაჩდა, რომ კემპი ფილმის გადაღებას აპირებდა ბერი სილის ცხოვრებაზე. პროკურორი ბარლუელი სილს და მის ადვოკატებს შეხვდა და საქმის ჩაფარცხვას შეპირდა. სილს კვლავ გაასამართლებდნენ, რადაც წვრილ-წვრილ დანაშაულებათა ჩადენის მცდელობისათვის, მერე კი პირობით გაანთავისუფლებდნენ.

...20 ნოემბერს ჭონ კემპის ფილმი „თქვენ ძია სემი გითხოვთ“ ტელევიზიამ უჩვენა.

ეს სკანდალი იყო.

სილი სამალავიდან გამოვიდა. მან და კემპმა ერთად გათათეს ლუიზიანელი კანონის დამცველები და კამერის წინ გაიმეორეს ის, რასაც ადრე კაფეში ლაპარაკობდნენ.

- ამბობენ, რომ ოჩები 350 ათასს შეპირდნენ იმას, ვინც თქვენ მოგქლავთ...

- ფეხებზე მკიდია. ყოჩაღ მაგათ, თუ გამომიჭერენ. ბოლოსდაბოლოს, რაც შეტბლზე გაწერია, ის ალსრულდება, - იღიმებოდა ეკრანი-დან ბერი სილი.

ფილმის ვიდეოასლი მალე მედელინში მოხვდა და გადარჩენილმა ბარონებმა ინტერესით შეისწავლეს ის. სილის ბედი გადაწყვეტილი იყო.

სილი კი არ ცხრებოდა, მთელი მონდომებით მუშაობდა სამმართველოს დასამარებლად. ცენტრალურ ამერიკში მას სახით არ იცნობდნენ, რადგან ფილმში გაბურმენული და შავი სათვალით შემცული ლაპარაკობდა. მისი მეშვეობით ასობით კილოგრამი კოკაინი ჩავრდა. სილი ფასდაუდებელი იყო, მაგრამ დრო იწურებოდა. 1985 წლის ზაფ-

ხულში სილი ფლორიდის ხელისუფლებას ჩაბარდა. სამმთართველომ აა-მუშავა „მოწმეთა დაცვის პროგრამა“ და სილი სპეციალურ უფანჯრო საკანკო მოათავსა, საღაც საწოლის და ტელევიზორის მეტი არაფერი იყო. მის სანახავად 2 500 კილომეტრის მოშორებული ბატონ-რუჭი-დან ჩამოსული ცოლ-შვილიც კი არ დაუშვეს. ასეთ ყოფაში გაატარა მან 50 დღე.

და ბოლოს, სილი წარსდგა სასამართლოს წინაშე, როგორც მოწმე. განსასჯელთა სკამზე ისხდნენ ლიტო - იგივე კარლოს ბუსტამენტე, ფელიქს ბეიტსი, მედელინის კარტელის უშიშროების სამსახურის შეფი ლიზარდო მარკეს პერესი და პაულ ეტცელი.

- ოქროს ბიჭია! - იძხდა ყველა. სილმა აღტაცებაში მოიყვანა მსაჭულებიც და განსასჯელთა აღვოკატებიც...

შედეგიც, პირადად მისთვის, კარგი იყო - მოსამართლე რიტგერმა სილი გაანთავისუფლა. მაგრამ ვერაფრით დაწყნარეს ბატონ-რუჭელი პროკურორი ბარლუელი და მოსამართლე პოლოზოლა. პოლოზოლა სილი დაემჟერა, ყველაფერს ამოგიქეპავო და კერძო საუბარში განუმართა, თუ გსურს სასამართლომ გაგნთავისუფლოს, ექვსი თვე მაინც უნდა გაატარო ხსნის არმიის საადაპტაციო ცენტრში, სადაც ყოფილ, სასჯელშემცირებულ დამნაშავეებს ათავსებენ. სილი და მისი ადგოკატები დათანხმდნენ. სასამართლომ სილი პირდაპირ დარბაზიდან გაგზავნა საადაპტაციო ცენტრში. სილი კვლავ ვერ დაეშვიდობა ცოლ-შვილს. სამმართველოს აგნტები უხსნიდნენ მოსამართლე პალზოლას, რომ სილის თავზე ხმალია შემართული და ხსნის არმიას არ გააჩნია არანაირი დამცავი საშუალება, მაგრამ არაფერმა გაჭრა. სილი ცენტრში მოათავსეს.

დღისით ის თავისუფალი იყო, მხოლოდ საღამოს ექვს საათზე უნდა აღნიშნულიყო სიაში.

როგორც ამბობენ, ის თავადაც არად დაგიდევდათ უსაფრთხოების წესებს.

„სულუშმბიერები საქმის ხალხია, სულელები კი არ არიან, რომ მომკლინ!“ - ხშირად იმეორებდა ის და აპირებდა წესიერად მჯდარიყო ცენტრში ნახევარ წელიწადს, რათა შემდეგ საბოლოოდ განთავისუფლებულიყო ყველასაგან და ყველაფრისებან.

1986 წლის 10 თებერვალს ბერი სილი ადაპტაციის ცენტრის შესასვლელთან დაცხრილეს, როცა ის მანქანიდან გადმოდიოდა.

მეორე დღეს პროკურორმა სტენოტორდ ბარლუელმა პრესკონფერენცია გამართა.

- ის დამნაშავე იყო... დამნაშავე კი სასჯელს იმსახურებს, - იმეორებდა პროკურორი.

- გინდოდათ ჰქუა გესტავლებინათ, არა? - დაიყვირა ბოლო რიგებიდან ჩეპორტიორმა ჭონ კემპმა.

- ღიას, ჰქუა გესტავლებინა... სულ არ გინდოდა, რომ მომკედარიყო, - წაიბურტყუნა პროექტორმა.

მკვლელები იმავე დღეს დააპატიმრეს. ყველანი კოლუმბიიდან იყვნენ. მედელინის მკვლელთა არმიიდან.

ბერი სილს რომ ასაფლავებდნენ, მეგობრებმა ტელეფონის ნომრებით აჭრელებული უბის წიგნაკი და ტელეფონ-ავტომატის ჟეტონები ჩაუშვეს კუბოში. ის ხომ სულ სადღაც, ცხრა მთას იქეთ რექავდა. არცერთი იმათთაგანი, ვისთან თანამშრომლობასაც სიცოცხლე გადააყოლა ბერი სილმა, უდიდესმა აგენტმა ნარკომაფიასთან ბრძოლის ისტორიაში, გასვენებაში არ მოსულა, ვაშინგტონში ეს ზედმეტ პატივად ჩათვალეს.

#### V. დღეს პოლუებიაზი

1994 წლის ივნისში კოლუმბიაში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. გაიმარჯვა ლიბერალების კანდიდატმა არნესტო სამპერ ვიზანომ, ორმოცს გადაცილებულმა ენერგიულმა ადვოკატმა, რომელ-საც უურნალ „ტაიმის“ მიმმხილვები კლინტონის ტიპის მოღვაწეს უწოდებენ. სამპერი ღიად აცხადებს, რომ მომდევნო თოხი წლის განმავლობაში კოლუმბიის მკურნალობით იქნება დაკავებული და საბოლოოდ ამოძრავას ქვეყნის სხეულიდან ნარკომაფიას. ამასთან სამპერს დაგეგმილი აქვს ფართო სოციალური პროგრამის განხორციელებაც, ურომლისოდ წარმოუდგენლად მიაჩნია კარტელების მოსპობა ქვეყნაში.

გამარჯვებისთანავე სამპერმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა შეერთებულ შტატებთან, შეიძლება ითქვას, რომ ზაფხულის შუაგული სახელმწიფო დეპარტამენტში კოლუმბიური იყო. ახალი პრეზიდენტის მაღლი მოხელეები აქაურ სახელმწიფო მოღვაწეებს ხვდებოდნენ. ვაშინგტონში სხვებთან ერთად ჩაგიდა კოლუმბიის პოლიციის შეფი იქტავიო ვარგას სილვა, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ერთი ბედი გვაქვს. ეს საკმაოდ იოლი ასახსნელია. ნარკოტიკებით ზარალდება შეერთებული შტატებიც.“ მრავალრიცხვან შეხვედრათა კომენტატორები აღნიშნავენ, რომ მათი ძირითადი საკითხი ნარკოვაჭრობასთან ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისის განხილვა იყო. სამპერის ემისრებმა სახელმწიფო დეპარტამენტს წარუდგინეს თავიანთი პროექტი და თუმცა მის შესახებ წერილად არ ულაპარაკიათ, ცხადია, რომ კოლუმბიაში წინააღმდეგობა ახალი ძალით იფეოქებს. თავად ახლადარჩეული პრეზიდენ-

ტი აცხადებს, რომ მოიგებს ამ ომს და ის უკანასკნელი ომი იქნება კოლუმბიის ისტორიაში, რადგან ხალხი დაიღალა და გამოფიტა ბარონების თვითნებობის შემყურება. სამპერი აცხადებს, რომ მისი მთავრობა გააგრძელებს ნარკოსთა შევიწროების და მათზე დაწოლის პოლიტიკას, ოღონდ ამჯერად ტაქტიკა ბევრად უფრო მკაცრი და უცერემონი იქნება, ვიდრე წინა წლებში. თანაც, მალე დაიწყება რეფორმა შესაბამის სამსახურებში და ეს ბრძოლის ეფექტიანობასაც გაზრდის.

„ჩვენ ციხეში გამოვამწყვდევთ კალის კარტელის მეთაურებს და წერილოფებობასაც არ დავინდობთ,“ - აცხადებს სამპერი. მას სჭერა, რომ თუ სოციალური რეფორმა და თავისუფალი ბაზარი სრულყოფილად ამოქმედდებან, ნარკოსთა პარაშის წერტილი დაესმება. კოლუმბიის ყოფილი პრეზიდენტი სესარ გავირია კი თვლის, რომ კოლუმბიაში უკვე ბევრი რამ გააკეთა ნარკოსთა წინააღმდეგ ომში და რომ ნარკობიზნესი მედიის მხელოდ ერთი მხარეა - კოლუმბია თავისთავად საერთო ლათინოამერიკული პროცესის ნაწილია.

თუმცა ყოველივე ეს მაინც არაფრისმთქმელია ციფრებთან შედარებით. საქმარისია სტატისტიკურ მონაცემებს ჩაგხეროთ, რომ დავრწმუნდეთ, ხელისუფლებას მიანც უჭირდა ნარკოსებთან ბრძოლა სწორედ გავირიას დროს.

	ჩამორთმეული კოკაინი	კოკაინის საერთო რაოდენობა
1990	55 ტ.	550 ტ.
1991	81 ტ.	600 ტ.
1992	37 ტ.	650 ტ.
1993	27 ტ.	700 ტ.
1994	7 ტ.	700 ტ.

პროცენტი მართლაც დაბალი იყო. ამას თუ დავუმატებთ, რომ 1991 წლიდან, ნარკობიზნესთან ბრძოლაში დაიღუპა 2,976 კოლუმბიელი პლიტოელი, 4 000 კი დაიჭრა, გავრისა და სამპერის მსჯელობანი მტკად მძიმე დასაჯერებელი გახდება. თუმცა, სამპერი მტკიცედ დგას და მისი ბიოგრაფია ამის დაგენერების საშუალებას მაინც იძლევა.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კოლუმბია მძაფრი შეგრძენებების და სკანდალების ქვეყანაა და უამისოდ ვერც ახალი პრეზიდენტი გადარჩა.

დაბაბულ წინასაარჩევნო კამპანიაში სამპერმა ძლიერ დაამარცხა კონსერვატორთა კანდიდატი ანდრეს პატრიანა არანგო. ლიბერალების კანდიდატმა ხმების 51,7 პროცენტი მოაგროვა.

არჩევნების მეორე დღესვე პასტრანამ განაცხადა, რომ აქვს მაგნიტოფირზე ჩაწერილი საუბარი, რომელიც ცხადყოფს, რომ ახალი პრეზიდენტი კალის კარტელთან წილნაყარი კაცია. კერძოდ, ამ საიდუმლო საუბარში მონაწილეობენ კარტელის მესვეურები, ჟილბერტო და მიგელ როდრიგეს ორენულები, ისინა უურნალისტ ალბერტო გირალდოს უამბობენ, რომ სამპერის საარჩევნო კომპანიაში ჩადეს 3,6 მილიონი ლონარი და ეს ფული სამპერის საარჩევნო კომპანიის წარმმართველს, სანტიაგო მედინას გადასცეს. მაგრამ მალე თავად პასტრანაც გაისვარა, როდრიგესებმა სხვა მაგნიტოფირებიც გაავრცელეს, სადაც ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს დაადეს ხელი და თავად პასტრანასაც.

სამპერის გამოჭერას ეს მაინც არ ეყო - მთელმა კოლუმბიამ იცოდა, რომ 1989 წელს ის ძლიერ გადაურჩა სიკედილს, მას შემდეგ რაც თორმეტი ტყვია დაახალა ერთ-ერთი კარტელის დაქირავებულმა მქვლელმა.

კომისიამ, რომელსაც გენერალი გუსტავო არიესტა ხელმძღვანელობდა, ეს ჩანაწერები სასამართლოსთვის გამოუსადეგრად ცნო, მაგრამ სამპერის მაინც წამოუტივტივდა რამდენიმე ძველი ისტორია. მაგალითად, მას შეასენეს, რომ თხუთმეტი წლის წინ, როგორც ადვოკატი, მარიონეუანას პლანტაციების ლეგალიზების მომხრედ გამოდიოდა და როდესაც ამ პლანტაციების ანადგურებდნენ, აცხადებდა, ეს ლარიბი გლეხების არსებობის ერთადერთი საშუალებაა.

უფრო სერიოზული ამბავი კი ისაა, რომ რამდენიმე წლის წინ მედელინელებმა პაბლო ესკობარმა და კარლოს ლედერმა განაცხადეს, თითქოს მათ ერთი მილიონი ლონარი გადასცეს სამპერს, რომელიც მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატ ალფონს პერეს მიკელსენის საარჩევნო კომპანიას ხელმძღვანელობდა. სამპერმა მტკიცედ უარყო რაიმე თანხის მიღების ფაქტი, მაგრამ არ უარყვია, რომ ესკობარს და პროფესორ ლედერს შეხვდა - ისინი მაშინ პარლამენტის წევრები იყვნენ და შევხვდი, რადგან თვითონ აინტერესებდათ საარჩევნო კომპანიის ბედიო, თავი იმართლა ახალმა პრეზიდენტმა.

თვით ამ ისტორიებიდანც ცხადია, რომ ნარკოტიკებიდან წამოსული მილიონების გარკვეული ნაწილი ხელისუფალ ძალთა კეთილდღეობას ხმარდება. „ბარონები გულშემატკივრობენ პოლიტიკოსებს“, ღრმად არის დარწმუნებული ხუან ლოზანო, ანტიკორუფციული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

და მაინც, პოლიტიკოსთა რა რაოდენობაა დაკავშირებული კარტელებთან?

საერთო პზრი აქცი არ არსებობს.

ლოზანო თვლის, რომ 116 სენატორიდან 12-ია გარეული ბინძურ

საქმეებში; გავირიას აზრით - 15; სამპერი ამბობს, ორას ორმოცდაათ სენატორისა და დეპუტატის შორის კარტელების 20 კაციათ.

გენერალი ვარგასი კი დაუინტენტი იქმორებს, რომ კონგრესის წევრთა (სენატორთა და ეროვნული ასამბლეის დეპუტატთა) 50-დან 75 პროცენტამდე ასე თუ ისე დაკავშირებულია კალის კარტელთან.

თავად სამართალდამცავ ორგანოებშიც კი არ არის ამ მხრივ დიდი სისუფთავე, პირიქით, ჭუჭყი მეტია, პოლიცია და არმია ჯიბში უზით ნარკობარონებს. მხოლოდ კალიში 11 პროცერორია მათს ხელშევით, სხვა უფრო დაბალი რანგის მოხელეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. უკანასკნელი 40 თვის მანძილზე ნარკობოსებთან კავშირში მხილებულია 7106 პოლიციელი.

ალბათ ამიტომაცაა, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიციის ოპერაციები წარუმატებელია. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ პოლიციამ ჩააფლავა დიდი საახალწლო ოპერაცია, გასული წლის 31 დეკემბერს, როდესაც არ შევიდა კოკაინით და კოკაინის ბოსებით გაძეგდილ ჩესტორანში გამართულ ბანკეტზე შუაგულ კალიში. პოლიციამ ასევე მოახერხსა აღყა შემოერტყა მეზობლის სახლისთვის და თავისი სახლიდან გაპარვის საშუალება მისცა კალის კარტელის ერთ-ერთ მეთაურს, ხოსე სანაკრუს ლონდონოს.

ამგვარი კორუმპირების შედეგი იმგვარია, რომ მხოლოდ წელს კალის კარტელმა და სხვა უფრო წვრილმა დაგვუფებელმა მოახერხეს 700 ტონამდე კოკაინის, 5 ტონა ჰეროინის და 5000 ტონა მარისუანას ექსპორტირება. გავირია, სამშერი და სხვები ამბობენ, რომ ამჟამად კოლუმბიიში ტრიალებს მხოლოდ მიმდინარე წელს შემოსული კოკაინის სანაცვლოდ მიღებული ორი მილიარდი დოლარი. სხვა მონაცემებით, ეს თანხა შვიდ მილიარდს აღწევს.

აქედან გამოდინარე მატულობს კარტელების ძალაუფლება. ისინი მტკიცედ სხედან ბანკებში, სამანქანო ბინენსსა და სხვა მომგებინა საქმეებში და ყოველგვარი კანონდარღვევების გარეშე იღებენ მოგებას. კოლუმბიის აგრარული რეფორმის ინსტიტუტის მონაცემებით კოკაინის ბარონები ფლობენ საუკეთესო სანაცვი მიწების 30 პროცენტს.

ამიტომაც ახალი მთარობა ნარკობიზნესთან ბრძოლის მეტ და მეტ უფლებებს ითხოვს კანონდებლებისაგან.

ყველა გრძნობს ახალი ომის მოახლოებას. ექს-პრეზიდენტი გავირია იხსენებს ხუთწლან ბრძოლას მედელინის კარტელთან, რომლის ერთი უმთავრესი შედეგთაგანი ის იყო, რომ პოლიციის კომანდოსებმა მოკლეს პაბლო ესკობარი. ახალი ომი არანაკლებ სისხლიანი იქნება, თვლის იგი. „ამერიკაში რომ ერთ პოლიციელს მოკლავენ, კრიზისი იწყება, ჩევნთან კი უკვე 3 000 კანონის დამცველი დაიღუპა“.

და მაინც, კვლავ ყურადღების ცენტრშია პრეზიდენტი ერნესტო სამპერი. კოლუმბიაში მიიჩნევენ, რომ მასზე ბევრი რამ არის დამკიც-დებული. თუკი გავირიას ბევრი ჩავარდნა ჰქონდა ნარკომაფისთან ბრძოლაში, სამპერი აპირებს ზიგზაგების გარეშე გაიაროს ეს გზა. ის სწორედ ისეთი კაცია, ამერიკელები „სელფ მეიდ მენს“ რომ უწოდებენ, თუმცალა საქმაოდ ცნობილი და შეძლებული ოჯახის შვილია. მან, ისევე როგორც პრეზიდენტმა კლინტონმა, ნულიდან დაიწყო და საადვიკატო პრაქტიკით გაერია დიდ პოლიტიკში. აღრე ის არაერთი ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციის თუ ასოციაციის დამარსებელი იყო, ერთხანს ეკონომიკის მინისტრადაც კი დაიშნეს.

„ჩვენ ახალი თაობა ვართ,“ - აცხადებს სამპერი - „ჩვენ გვაქვს ქვეყნის განახლების საშუალება და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვეთ. კოლუმბია განვითარებულ ქვეყანათა რიგში ჩადგება და მჩერა, რომ ჩვენს მიერ წამოწყებული ომი უკანასკნელი იქნება - ნარკობიზნესი აღარ იარსებებს.“

თუკი სამპერი მოახერხებს თავის დაპირებათა შესრულებას, კარტელებს ძალიან გაუჭირდებათ. მიუხედავად ყველაფრისა, მათ არ უყვართ მომი და არეულობა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ სამპერის პირველი ნაბიჯები, მისი ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან და მედელინგში კარტელის ახალი ლიდერის, ხუან დიეგო არკილა ჰენაოს დაბატიმება და მისი ქონების კონფისკაცია მისი არჩევის პირველსავე დღეებში, იძლევა ამის საბაბს. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ კოლუმბიელი ბარონები იოლად წარმოიწყებენ ახალ ბიზნესს ბრაზილიაში, პერუსა და ვენესუელაში, თუ კოლუმბიაში საქმიანობა გაუსაძლისი შეიქნა.

შესაძლოა მქითხველმა იფიქროს - მერედა რა შავდება ამითო? რა არის ცუდი იმაში, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად მიღებული ფულით საწყალმა გლეხებმაც რაიმე ხეირი ნახონ? ნარკობარონი ხომ „თავისიანებისათვის“ კარგი კაცია, რომელიც უცხოელთა წალლეტით მიღებულ ფულს თანამოქალაქეთ უნაწილებს... მაგრამ როგორც ვთქვით, ნარკობიზნესით არანაირი კეთილდღეობა არ მიიღწევა, ვინაიდან: 1. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უკანონო ბიზნესით მიღწეული კეთილდღეობა არამყარია. ახალი ნარკოტიკის გამოჩენა ან ქიმიური სინთეზირება მთლიანად ცვლის ხოლმე ნარკოტიკების ბაზრის სტრუქტურას; ამას გარდა, ყველა სახელმწიფო, ბუნებრივია, იბრძვის იმისათვის, რათა დაიცვას თავისი ტერიტორია ნარკოტიკების შეღწევისაგან. ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეიძლება მთლიანად ჩაეტოს ქვეყნის საზღვრები, რაც ნარკოტიკის მწარმოებელთა გაკოტრებას გამოიწვევს. 2. ასეთი „კეთილდღეობა“ არაფერს იძლევა სოციალური

ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. ნარკობარონები არ არიან დაინტერესებულნი განათლების და სამედიცინო სფეროში ინვესტირებით, ამიტომ ნარკოტიკების ჩიგითი მწარმოებელნი ისევე უწინებულნი, დაუცველნი და სხვადასხვა ავადობებით შეპყრობილნი არიან, როგორც მათი შორეული წნაპრები. 3. ნარკომაფიას მოსდევს პოლიტიკური სისტემის მოშლა. დანაშაულებრივი ქმედება თავისი არსით ან-ტისახელმწიფოებრივია - ქვეყანაში, რომელსაც კრიმინალური პირები აკონტროლებენ, არ შეიძლება არსებობდეს ერთიანი სახელმწიფო; ხოლო სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სისუსტე როგორ მოქმედებს ჩიგით მოქალაქეთა მღვიმარეობაშე, საქართველოს დღევანდელმა მოსახლეობამაც კარგად უწყის. 4. იმ ჩეგიონებში, სადაც ნარკომაფია ბატონობს, პიროვნების სიცოცხლე არაფრად ფასობს. ნარკოტიკის ჩიგითი მწარმოებელი პაიკია ბარონთა ხელში. მისი სული და სხეული ბარონებს ეკუთვნით.

ვფიქრობთ, ზემოჩამოთვლილი მიზეზებიც კი საკმარისია ნარკობიზნესით მიღწეული კეთილდღეობის ჩეალური ფასის საჩვენებლად, და სამპერის დაპირებული „უკანასკნელი დიდი ომი“ აშენაა, ხანგრძლივი და მძიმე იქნება - იგი არამარტო მის პირად ენერგიისა და ძალის ხმევას, არამედ თავად ჩიგითი კოლუმბიელების თავდადებასაც მოითხოვს.

## დიდი ცვლილებები

უკვე ოთხი წელი გავიდა, რაც კომუნისტური წყობის აფეთქებას პოლონეთში ჩატვარი ჩატვარი და ცენტრალური ეგრობის სხვა კომუნისტურ სახელმწიფოთა ნგრევა მოჰყვა; ორი წელი - რაც თავად საბჭოთა სისტემის რღვევა დაწყო ("პერსტროკის" ხუთწლიან აგონიას თუ არ ჩავთვლით). ასე რომ, არც ისე ნააღრევებად მეზენება სურვილი, რაღაც დასკვნები მაინც გამოვიტანოთ იქიდან, თუ როგორ ხორციელდებოდა კომუნისტური სისტემის ნანგრევებზე მმართველობის ახალი, პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი და ეკონომიკურად გამართული ფორმების შემოღების მცდელობა.

ეს ცვლილებები გარევეულ გააჩრებასაც მოითხოვს: თავიდან არც რაიმე მოდელი არსებობდა, არც ზოგადი კონცეფცია, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ყოველივე. ეკონომიკურ თეორიებში დეკლარაციულ დონეზე მაინც გაერთებოდა ხოლმე დებულება სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არავის განუხილავს ჩაქირული სისტემის თავისუფალი ბაზრის საფუძვლებელ დამყარებულ, პლურალისტურ დემოკრატიად გარდაქმნის შესაძლებლობები. საკითხი, ინტელექტუალურ დონეზე გაუაჩრებლობის გარდა, პოლიტიკურადაც მძიმე მოსახლოებელი აღმოჩნდა კომუნიზმის სწრაფი დეზინტეგრაციით გაოგნებული დასავლური მერტალიტეტისათვის. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, დასავლეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა ყოფილი საბჭოური ტიპის სისტემათა შეცვლის მიმართ კომპლექსური მიღებობის საკითხში. ლოგიკურია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მხრივ მხოლოდ ნაჩეარევი, გარემობებით ნაკარნახევი იმპროვიზირებული ნაბიჯები თუ იდგებოდა.

სწორედ ამ მიმართულებით მინდა დაგსვა ოთხი კარდინალური შეკითხვა:

1. აქამდეც რა დასკვნები უნდა გამოგვეტანა პოსტ-კომუნისტური წყობის პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესების შემ-

<sup>1</sup> - ზბიგნევ ბზუეინსკი - ა.შ.შ. სახელმწიფო მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში (1977-81 წ.-წ.); მისი წინა ნაშრომის სათაური გახლდათ "დიდი მარცხი: კომუნიზმის დაბადება და სიკვდილი XX საუკუნეში".

## პრესტიტოუნისტური სისტემის გარდაქმნის ზაზები

**I ვაზა (1-დან 5 ტლამდე)**

პოლიტიკური მიზანი: გარდაქმნა  
ეკინომიკური მიზანი: სტაბილიზაცია

პოლიტიკა

ურიდიულ-სამართალ-  
დამტკავი სისტემა

დასავლეთის  
დახმარება

<p>დემოკრატიული წყობი- სათვის საბაზრო პირობე- ბის შექმნა; თავისუფალი პრესა; ერთპარტიული, პო- ლიციური სახელმწიფო სისტემის დამტკავილება; დემოკრატიული გარდაქმნების საინციატივო კოალიციის შექმნა;</p>	<p>უწყებრივ მაკონტ- როლებელ ორგანო- თა დამტკავილება; თქმა; კოლექ- ტივური სისტემის ლიკვიდაცია; პრივა- ტიზაციის პროცესის ნებისმიერი სახით დაწყება</p>	<p>ფასებზე კონტროლი- სა და სუბსიდიებზე უარის თქმა; კოლექ- ტივური სისტემის ლიკვიდაცია; პრივა- ტიზაციის პროცესის ნებისმიერი სახით დაწყება</p>	<p>სავალუტო კუსის სტა- ბილიზაცია; სასწრაფო კრედიტები და სხვადას- ხვა სახის მიზნობრივი ხელშეწყობა.</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## II ვაზა (3-დან 10 ტლამდე)

პოლიტიკური მიზანი: გარდაქმნილან სტაბილიზაციისაკენ

ეკონომიკური მიზანი: სტაბილიზაციილან გარდაქმნისაკენ

პოლიტიკა

ურიდიულ-სამართალ-  
დამტკავი სისტემა

დასავლეთის  
დახმარება

<p>ახალი კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის მიღე- ბა; არჩევნები; დაცენტრა- ლიზებული რეგიონალური თვითმმართველობა; მდგრადი დემოკრატიული კოალიცია – ახალი პოლი- ტიკური ელიტა</p>	<p>ურიდიულ-სამართა- ლებრივი ბაზისის შექმნა უძრავი ქონ- ბისა და ზოგადად კომერციული საქმი- აონბისათვის</p>	<p>საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი საბანკო სისტემის შემოღება; სისტემური მცირე და სშეალო პრივატიზა- ცია; დემონპოლი- ზაცია; მეწარმეთა ახალი სოც. ფენის ფორმირება.</p>	<p>მიზნობრივი სესხები ინ- ფრასტრუქტურის შე- საქმელად; ტენიკური და მენეჯერული დახმა- რება; წარმოების სფე- რიში პრივატული და სანვეს- ტიციო პოლიტიკის მის მიხედვით გატარება; უცხოური ინვესტიციები</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

### III ვაზა (5-დან 15+ ტლამდე)

პოლიტიკური მხარი: კონსოლიდაცია  
ეკონომიკური მხარი: მეთადური აღმასვლა

პოლიტიკა

იურიდიულ-სამართალ-  
დამცავი სისტემა

ეკონომიკა  
დასაცავის  
დახმარება

<p>სტაბილური დემოკრატიული პარტიების შექმნა; დემოკრატიული ურთიერთობების განვითარება.</p>	<p>დამოუკიდებელი სამართლებრივი და ოურიდიული სტრუქტურების განვითარება.</p>	<p>მსხვილი პრივატიზაცია; კაპიტალისტური ლობის შექმნა; კერძომწარმეობლური ურთიერთობების განვითარება და სხადასხვა სფეროში ცენტრალური საჭ. მართვის მაგისტრალ საეკონომიკურ სტრუქტორის მიერთება.</p>	<p>ფართო უცხოური კაპიტალაბანდები; დასაცავის უმნიშვნელოვანების არგანიზაციების გაწევრისანება (მაგ. - ეკონომარკიზმისა, ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკი და სხ.)</p>
-----------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ფაზების ხანგრძლივობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ მოცემულ ქვეყნებში როგორ ვითარდებოდა მოვლენები კომუნისტური სისტემის კოლაფსისტინა პერიოდში. შეგვიძლია გამოვყოთ 4 ტიპის სიტუაცია, როცა წარსული მოვლენები უშუალოდ ზემოქმედებენ გარდაქმნის ტემპებზე: 1) როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ცვლილებები დაღებით ხსიათისა; 2) პოლიტიკური ცვლილებები დაღებითია, ხოლო ეკონომიკური - უარყოფითი; 3) პოლიტიკური - უარყოფითია, მაგრამ ეკონომიკური - დაღებითი, და ბოლოს, 4) როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მდგრამარეობა მკვეთრად უარყოფითია. (მაგ.: უნგრეთი და პოლონეთი I კატეგორიას მიეკუთვნებიან, რუსეთი - მეორეს, ჩინეთი - მესამეს, ჩუმინეთი - მეოთხეს).

ყურეებს?

2. რისი გათვალისწინება გვმართებს დასავლეთის მხრივ ამ პროცესებისადმი პირდაპირი დახმარებისა თუ ზოგადი ხელშეწყობის შემთხვევაში?

3. წინარე ორი საკითხის გათვალისწინებით, მაინც რა კონკრეტულ შედეგებს უნდა მოველოდეთ უახლოესი ათწლეულის მანძილზე?

4. მოცემულ კონტექსტში, კიდევ რისი გაკეთება შეუძლიათ, ვთქვათ, შეერთებულ შტატებს?

## 1. პარლაკმნის პროცესი

პირველი, რაც შეიძლება ითქვას გარდაქმნის მიმღინარე პროცესი-დან გამოსატან დასკვნებზე, ისაა, რომ ორმხრივი იმედები - როგორც ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, ასევე ზოგადად დასავლეთში - მეტის-მეტად ოპტიმისტური და შეიძლება ითქვას, გულუბრყვილოც კი აღმოჩნდა. კომუნიზმის მარწუხებს ახლადთავდაღიწეულ ხალხებს ყოვლად გაზიადებული და რაც მთავარია, გამარტივებული წარმოდგენა ჰქონდათ იმ დახმარებაზე, რასაც ისინი უცილობლად მიიღებდნენ განვითარებული სახელმწიფოებისაგან (ერთგვარი ციური მანანა, “შარშალის გეგმის“ რაღაც ახალი სახესხვაობა) და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ როგორც ისტორიულ, ასევე წმინდა ინტელექტუალურ შეუთავსებლობას ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მდგომარეობასა და მარშალის გეგმის გამოყენებას შორის. თავის მხრივ დასავლეთშიც თავი იჩინა ამ ცვლილებებისათვის სისტემური ხასიათის მისაცემად საჭირო ძალის ხმევის საერთო შეუფასებლობამ, არავინ გაითვალისწინა მყარად ფესვგამდეგარი, ჯერ კიდევ დიდი გავლენის შემნენ ნომენკლატურის, როგორც ფენის აქტიური წინააღმდეგობა და თავად მიმღინარე პროცესების ხანგრძლივობის ფაქტორიც.

ამის კონკრეტული მაგალითია დახმარების ის პროგრამა, რომელიც შემუშავდა 1989-90 წ.წ. პლონენთისათვის, ხოლო შემდგომ ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებისათვის, და რაც ეფუძნებოდა ყოვლად მცდარ წარმოდგენას, რომ გარდამავალი პროცესი სულ რაღაც ხუთიოდე წელს თუ გასტანდა<sup>1</sup>. ახლა უკვე ყველასათვის ცხადია: როგორც მინიმუმი, ცენტრალურ ევროპაში ამისთვის ორჯერ მეტი დრო

<sup>1</sup> მაგ. იხ. ა.შ.შ.-ს მთავარი სტატისტიკური სამმართველოს ანგარიში - “პლონენთი და უნგრეთი - ეკონომიკური ცვლილებები და ა.შ.შ.-ს დახმარება”, მაისი, 1992. გვ.18-26, 30.

მაინც დასჭირდებათ, ხოლო სხვებს - ათიდან ოც წლამდე, ვიდრე საბოლოოდ შეგვეძლება ვთქვათ, რომ გარდაქმნა მოხდა. (აქვე იმასაც მინდა გაფუსვა ხსიი, რომ მთლიანად დასავლეთი ასევე შეტიქმეტად ოპტიმისტურად და გამარტივებულად აღიქვამდა გორბაჩივის მიზნებსა და მის პროგრამას - გარკვეულწილად, ახლაც იგივე ტენდენცია იხა-ტება უკვე ელცინის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაში).

მეორე და ბევრად უფრო ღრმად გასააზრებელი დასკვნა: თავად გარდაქმნის პროცესი არაა უწყვეტი, არამედ გარკვეული ეტაპებივი მიმდევრობა უნდა ახასიათებდეს. მეტიც, პისტკომუნისტური რეჟიმის ქვეყნებიდან ყველა არაა გარდაქმნის ერთსა და იმავე ფაზიში, და არც ერთნაირი სიჩქარით მიიწვევნ წინ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფაზიდან ფაზაში გადასვლის სისწრაფე ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ კონკრეტულად სად რა მზადდებოდა ან კეთდებოდა პოლიტიკისა თუ ეკონომიკის განხრით კომუნისტური სისტემის რღვევის წინარე პე-რიოდში.

ზემოთქმული მაინც დაზუსტებას საჭიროებს. I კრიტიკული ფაზა, რომელიც უშუალოდ მოყენება კომუნისტური სისტემის დაცემას, გულის-ხმობს ორმაგ მცდელობას, მიაღწიოს როგორც პოლიტიკური ძალაუფ-ლების მქონე ზედა ეშელონის ტრანსფორმაციას, ასევე ეკონომიკის თუნდაც საწყის ღონებზე გაწონასწორებას. ტიპოლოგიურად პირველი გუ-ლისხმობს ვერტიკალური წყობის დემოკრატიის შემოტანას, ხოლო მე-ორე - ფულის კურსის სტაბილიზაციის ფასებზე კონტროლის მექანიზ-მის მოხსნის დროს. სწორედ ეს საწყისი ეტაპია განსაკუთრებით ძნე-ლი დასაძლევი, რაღმან იგი არსებული პოლიტიკური და ეკონომიკუ-რი პროცესების მართვის სისტემის ფუნდამენტურ შეცვლას მოითხოვს, უცნობ ვითარებში შებიჯებას კი გაბედულება და გარკვეული რწმენაც სჭირდება. I ფაზა, შეიძლება ითვევას, ყველაზე კრიტიკულია და წარ-მატების შემთხვევაში, ათვლის თავისებურ წერტილადაც შეგვიძლია მი-ვიჩინოთ - ესაა საყრდენი II ფაზისათვის, როცა უფრო ღრმა ეკონო-მიკური ცვლილებების შესაბამისად უფრო ფართო პოლიტიკურ სტაბი-ლიზებასთან შეთავსება გახდება საჭირო: ახალი კონსტიტუციის მიღე-ბა, ახალი საარჩევნო სისტემის შემოღება, საზოგადოების ცხოვრებაში უცილობელი ცვლილებების შეტანა თავად დემოკრატიული პროცესე-ბის ინსტიტუციონალიზაციისათვისაა აუცილებელი. ასევე, სერიოზული ეკონომიკური ცვლილებები შეუძლებელია საბანკო სისტემის სრული გარდაქმნის, დემონოპოლიზაციის, მცირე და საშუალო პრივატიზაციის და საერთოდ, კერძო საკუთრების უფლებაზე ურიდულად გაფორმე-ბული საყოველთაო კანონის გარეშე.

მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ფაზა

წარმატებით დასრულდა, შესაძლებელი ხდება გარდაქმნის შემდეგი, უკვე III ფაზის დაწყება, ანუ როცა დემოკრატიული პროცესები და კონკრეტული სტრუქტურები რეალურად იწყებენ მუშაობას, სტროგალობრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებას და, შესაბამისად, კეთილდღეობის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდაც - კერძო ინიციატივის გამოვლენისათვის სრული შესაძლებლობების მიცემის წყალობით - უკვე სტაბილური ხდება. ამ შემთხვევაში კი პოლიტიკური დემოკრატია და შრომის კონტრაქტული სისტემაც უკვე რეალობად იქცევა. ეს მესამე ფაზა შეიძლება დავახასიათოდ როგორც პოლიტიკური კონსოლიდაციისა და ფართო ეკონომიკური გარდაქმნების პერიოდი. მაგალითად, პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი ამ ფაზაში შესვლის ზღვარზე არიან მისულნი (იხ. ფაზების სქემატური მონახაზი).

პირველი, ყველაზე კრიტიკული და ყველაზე მნიშვნელოვანი (გადაწყვეტილებათა მიღების მხრივ) ფაზის დაწყება და შემდგომ ეტაპობრივად გადასვლა დანარჩენ ფაზებში ძლიერაა დამოკიდებული იმაზე, თუ კონკრეტული კომუნისტური რეჟიმი ბოლო ხანს რამდენად შემწყნარებლურად მოქმედებდა პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის განხრით: აღსანიშნავია, რომ კომუნისტური წყობის აგნია, გარკვეულ შემთხვევებში, დადებითადაც მოქმედებდა პოსტკომუნისტური პერიოდის ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციაზე - ამის ნათელი მაგალითია უნგრეთი (კადარის რეჟიმი 70-იან და 80-იან წ.წ.) და პოლონეთი (გერეკის რეჰიმი 70-იან და იარუშელსკის - 80-იანი წლების მეორე ნახევარში).

მესამე დასკვნა, რომელიც შეგვიძლია გამოვიტანოთ, ისაა რომ პოლიტიკური რეფორმა წინაპირობაა ეფექტური ეკონომიკური რეფორმებისათვის, ხოლო დემოკრატიული პოლიტიკური კონსენსუსი და ეფექტური პოლიტიკური სვლები უცილობელი თანამდევი უნდა იყოს პირველი, კრიტიკული ფაზის დასაძლევად.

ზოგმა, შესაძლოა, ამ პერიოდში მეცარი ავტორიტარული სისტემის საჭიროებაც კი დაასაბუთოს, რადგან, ერთი შეხედვით, აშკარა გახდება ხალხის სოციალური დაუცველობა და აქ ყველას აღბათ ჩინეთის მაგალითი გაასენდება, მაგრამ ცენტრალურ ევროპასა თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში, ავტორიტარული მიდგომა არასასურველია და წამგებიანიც.

პირიქით, დემოკრატიული კონსენსუსი წამყვან ტენდენციად უნდა იქცეს, ოლონდ არა თვითმიშვებული პროცესის, არამედ ორგანიზებული სახით და შემდგომ ინსტიტუციონალიზებულიც იქნეს. ყველაფერი ეს თითქოს თავისთავად მოითხოვს მკვეთრად წინწამოწეულ, ფაქტურად ქარიზმატულ ლიდერს - ვთქვათ, ჰაველს, ვალენსას ან თუნდაც ელ-

ცინს - ვინც შესძლებს სწორად წარმართოს ხალხის მხარდაჭერა; ასე-ვე, აუცილებელი ხდება ისეთი პოლიტიკური მოძრაობის სწრაფი ორგანიზება, რომელიც საყრდენად გამოადგებოდათ მათ იმ სოციალური ძვრებისა და შეჭირვების დროს, რომელიც უცილობლად ახლავს თან ამ ფაზას. მაგრამ მთავარი ისაა, რომ პოსტკომუნიზმის ეიფორიული აღტკინება დროულად უნდა იქნას გამოყენებული იმ ლეგიტიმური დემოკრატიული ღონისძიებების მოსამზადებლად, რომელთა წყალობით შემდგომ შესაძლებელი გახდება გრძელვადიანი, შორსგამიზნული ეკონომიკური რეფორმების გატარება. მნელი გასათვლელი არაა, რომ შეორე ფაზში გადასვლის დროისათვის ხალხის უმეტესი ნაწილის ენთუზიაზმს იმედგაცრუება შეცვლის, ამიტომ ბევრი რამა დამოკიდებული თავად დემოკრატიული პროცესების ელასტიკურობასა და მდგრადობაზე. შეიძლება ითქვას, რუსეთის ახლანდელი პრობლემები სწორედ გრძელვისა და შემდგომ, უკვე ელიტის მიერ სრული მოცულობის პოლიტიკური რეფორმების გატარების გაუხდებობაში განაპირობდა.

წინა სამიღან ახლა ღოგიკურად IV დასკვნა გამოგვაჭებს: სწრაფი და სრული გარდავშნა - ე.წ. „შოური თერაპია“ შესაძლებელია როგორც წმინდა სუბიექტურ, ასევე ობიექტურ წინაპირობათა სრული თანხვედრის შემთხვევაში. ამის კარგი მაგალითი პოლონეთია: იქ არსებობდა ფართო პოლიტიკური ოპონიციის, შეიძლება ითქვას, ელიტა - ძირითადად „სოლიდარობის“ მოძრაობის სახით, რომელმაც შეძლო ფესვები გაედგა საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში, რის გამოც მას ვერაფერი დააკლო სამხედროების ათწლიანმა მმართველობამ, და რომელიც შესაძლებლობის გამონისათანავე ამჟავდა როგორც სრულმაშტაბიანი პოზიციური პოლიტიკური ძალა (მისგან განსხვავებით, ზოგ სხვა შემთხვევაში უბრალოდ ჩამდენიმე დისიდენტი „ჩაჭდა“ ეროვნული მმართველობის იერარქიაში და ამით საქმეც მოთავებულად ჩაითვალა...). ასევე, აქ მეტად დადგებითი როლი იქნია ისეთმა მორალურმა ავტორიტეტმა, როგორიცაა კათოლიკური ეკლესია - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განუზომლად დიდი იყო მისი მხარდაჭერა სოციალური შეჭირვების დროს. ამას დაემატა თავისუბური ქარჩხატული ლიდერი, რომელმაც პიროვნულად იყისრა გაეტარებინა რეფორმები, და რომელსაც სუაზღვრო ავტორიტეტი ჰქონდა სწორედ იმ ხალხში, ვისაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა ამ გარდაჭმის გათავისება, ხოლო მას შემდეგ, რაც მოიხსნა ფასებზე კონტროლი და მოისპო უაზრო სუბსიდიები, თავისუფალი ფერმერების ფენის არსებობამ და ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო ქსელმა აამუშავა მოთხოვნისა და მიწოდების მარტივი კანონი. და ბოლოს, პოლონეთმა სრულად გამოიყენა ის კაგშირები, სამეწარმო-საკონტაქტო ურთიერთობების

ბის შემოღების შედეგად რომ დამყარდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ლა-  
მის 10 მილიონიან დისპორასთან.

ზემოჩამოთვლილ ფაქტორებს თითქოს ავტომატურად მივყვევარო იმ  
დასკვნამდე, რომ პოლონეთში გატარებული “შოკური თერაბიის“ მე-  
თოდი სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს ყველასათვის, ოღონდ ამ  
მედალს თავისი მეორე მხარეც აქვს: ეს მაგალითი შესაძლოა გამო-  
ნაკლისიც აღმოჩნდეს, თუკი, სხვა შემთხვევში, ასევე არ იქნა მიღწე-  
ული როგორც თანხმობა, კონსენსუსი პოლიტიკის მხრივ, ასევე სრუ-  
ლი ურთიერთგაება და პასუხისმგებლობის პრინციპი ეკონომიკის გან-  
ხრით: მშინ შოკოთებაზია გარღვევალად წარმაშობს ეკონომიკურ ქა-  
ოსს, როცა მყარი მონაბოლიური სტრუქტურები ხელს მოითხოვენ ფა-  
სების ლიბერალიზაციაზე, მათი უბრალო ზრდითა და აქეცან გამომდი-  
ნარე, ინფლაციის სტიმულირებით.

მეცნიერება და საბოლოო დასკვნა, რაც შეეგიძლია გამოვიტანოთ,  
თითქოს ისაა, რომ გარდაქმნის სტრატეგია არ შეძლება ეყრდნობო-  
დეს ისეთ გეგმას, რომელიც მოითხოვს საჭირო ფაზების ნელინელ გავ-  
ლას, უსაშველო სამთავრობო მუშავებისას და არა დამოუკიდებელი, დი-  
ნამიკური საბზრო ძალების გამოთავისუფლებას.

ოღონდ აქ ცნობილი იაპონელი ეკონომისტის, განსვენებული სუ-  
ბურო ოკიტას ერთი გაფრთხილებაც უნდა გავითვალისწინოთ: იგი ამ-  
ტკიცებდა, რომ უშუალო სამთავრებო ხელმძღვანელობა ასეთ პროცეს-  
ში მაინც საჭირო ხდება, თუკი ქვეყნას არ გააჩნია თავისუფალი ბაზ-  
რის მექანიზმის გარევული ტრადიცია, გამოცდილება და შესაბამისი  
სოციალური ურთიერთობების კულტურა. ოკიტას პზრით, ასეთი სოცი-  
უმის გარემოცვაში სახელმწიფო დაგეგმარებისა და საბაზრო მექანიზმე-  
ბის ურთიერთშეწყობის უცილებლობა გამოწვეულია წმინდა ისტორიუ-  
ლი მიზნებით, ხოლო ასეთ შემთხვევში მარტოოდენ თავისუფალი ბა-  
ზარი პანაცეად ვერ იქცევა.

იაპონიისა და კორეის განვითარების მაგალითები ოკიტას წისქ-  
ვილზე ასხამს წყალს - 1993 წლის ზაფხულში “უორლდ ბენქმა“ შო-  
რეულ აღმოსავლეთში ბოლო სამი ათწლეულის განმავლობში მიმღინა-  
რე პროცესებს ამომწურავი ანალიზი წარმადგინა და “ფაინენშლ ტა-  
იმსში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვის, კორეასთან დაკავშირებით გამო-  
ტანილი ერთ-ერთი დასკვნა ასეთი იყო: “... 60-იანი წლებიდან მო-  
ყოლებული, მთავრობა სწორად გეგმავდა და წარმართავდა კიდეც ქვეყ-  
ნის განვითარების პროცესს ... (მან) ყველა ფინანსური ბერკეტი გა-  
მოიყენა პრიორიტეტული დარგების გამოსაცოცხლებლად და კერძო  
ფირმებისათვის სრული ხელშეწყობის გზით მათი საჭიანობის ეროვნუ-  
ლი ინტერესების კალაპოტში მოქცევაც უმტკივნეულოდ მოახერხა“. ჩემი

მხრივ დავუმატებდი, რომ იგივე შეიძლება ითქვას სინგაპურის თაობა-ზეც. ერთი რამ კი ცხადია - აზისი ქვეყნების ამგვარი გამოცდილება არ უნდა უგულებელყოთ, როცა რუსეთისა და უკრაინის ახლანდელ ეკონომიკურ და სოციალურ დილემბს ვიხილავთ: ბოლოსდაბოლოს, ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ არც თავისუფალი ბაზრის მყარი ტრადიცია და არც კონტრაქტული სისტემების პრინციპს არ არიან დაჩვეულნი.

## 2. დასავლეთის რეაქცია

ახლა შეგვიძლია განვიხილოთ ნახსენები ოთხი მთავარი შეკითხვი-დან მეორე - რა დასკვნები გამოვიტანეთ დასავლეთის პოლიტიკიდან პოსტ-კომუნისტური გარდაქმნებისათვის დახმარებისა და ხელშეწყობის განხრით.

ჯერ ერთი ის, რომ დასავლეთის დახმარება ლამის გადამწყვეტია I ფაზის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, უპირობოდ აუცილებელი ამ ფაზის დასაძლევად. შემდგომ ფაზებში უკვე დასავლეთის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და უცხოური ინგესტიციები იწევს წინა პლანზე - სწორედ ესაა რეალური ეკონომიკური ცვლილებებისა და ექსპორტ-იმპორტის პროცესისათვის ღინამიზმის მისაცემი საწყისი; ამგვარ სუ-რათს ვხედავთ პოსტკომუნისტური ცენტრალური ევროპისა და ევრო-გაერთიანებას შორის ურთიერთობის მხრივ, როცა “გასვლის შესაძლებლობამ” შეუდარებლად უკეთესი შედეგი მოიტანა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა სახის “ხელის გამართვამ”.

ამის საწინააღმდეგოდ, ყოფილი სსრკ ჯერ ისევ პირველ ფაზაშია ჩარჩენილი, როცა დასავლეთის მხრივ სხვადასხვა სახის დახმარება სტა-ბილიზაციისა თუ პოლიტიკური სახეცვლილების პროცესის მთავარ საყ-რდენად ითვლება.

მეორეც ის, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე კრიტიკული, პირველი ფაზის შემდეგ, გარე კაპიტალის შემოზიდვა სულაც არაა გადამწყვეტი ფაქტორი: დასავლეთის კაპიტალი რომ თავისთვად წარმატების საწინდარი ყოფილიყო, ყოფილი აღმოსავლეთი გერმანია უკვე აყვავებული იქნებოდა, უნგრეთს არავითარი სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აღარ შეაწებდა და ჩეხეთი და პოლონეთიც მის კვალ-ში იქნებოდნენ ჩამდგარნი. მეტიც, რუსეთი ჩინეთშე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ყოფილმა გ.დ.რ.-მა ბოლო სამი წლის განმავლობაში 300 მილი-არდი ღოლარი მიიღო - და ეს სულ რაღაც თექვსმეტმილიონიან მო-სახლეობაზე (ახლა იანგარიშეთ, იგივე შეფარდებით, რა კაპიტალდა-

ბანდებას მოითხოვს მთელი აღმოსავლეთ ევროპა ან თუნდაც ცალკე აღმოსავლი რუსეთი, მაგრამ ყოფილი გ.დ.რ. ჯერ მაინც ვერ გამოსულა სოციო-ეკონომიკური ჩაგრძნილა. ასევე, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკია-ასაც (სანამ ეს უკანასკნელი ორ ქვეყნად გაიყოფოდა) მეტი ჰქონდათ მიღებული, ვიდრე პოლონეთს, ორონდ პოლონეთს დღეს კერძო სექტურის ბევრად ფართო ქსელი აქვს და ყოფილი კომუნისტური ქვეწებიდან ერთადერთმა შესძლო დადებითი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლისათვის მიეღწია.

ჩინეთს, მაგალითად, მეტად მცირე რაოდენობით ჰქონდა მიღებული დახმარება გრანტების, სესხების და, ბოლო დრომდე, ინვესტიციების სახით. ბოლო 12 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც იქ ეკონომიკური ჩეფორმები დაიწყო (1979 წ.) საერთო ჯამში ამ დიდ ქვეყანას, მოსახლეობის უზომო რაოდენობის მიუხედავად, 60 მილიარდი დოლარიც კი არ შესვლია. ეს იმაზე ბევრად ნაკლებია, რაც საბჭოთა კავშირ/რუსეთს ერგო 1986 წლიდან - 86 მილიარდი დოლარი. მაგრამ ჩინეთმა ეკონომიკური განვითარების მხრივ მშვენიერი ტემპი აიღო - გასულ ათწლეულში 6%-ით უმატებდა წლიური ზრდის მაჩვენებელს, შარშან 9%-ით გაზარდა, ხოლო 1993-ში, სავარაუდოა, 13%-ს მიაღწია. რუსეთი კი ჯერაც ეკონომიკურ ქაოსშია და ზრდის მაჩვენებელიც უარყოფითი აქვს.

მოკლედ რომ ვთქვათ, პირველი ფაზის დასასრულს, ეკონომიკური გარდაქმნისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას უკვე არა უცხოური კაპიტალი, არამედ შინა პოლიტიკა, სოციალური მოწესრიგებულობისაკენ მიმართული ღონისძიებები და თავად საზოგადოების მიზანსწრაფვა იძენს.

მესამე დასკვნა: რაც შეხება სწორედ უცხოურ კაპიტალდაბანდებებს, ნათლად ჩამოყალიბებული პირობები და მისი გამოყენების მკაფიო ზედამხედველობა, უბრალოდ, უცილებელია. ფაქტოურად, ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც მინიმალურ, ოღონდ მკაცრად განსაზღვრულ ფინანსურ დახმარებასა და უცხოური კაპიტალის ფართოდ, მაგრამ არა-მიზნობრივად შემოზიდვას შორის არჩევანი უსათუოდ პირველის სასაჩვენებლოდ უნდა გაკეთდეს; განსაკუთრებით ბანაშ, სანამ თავდაპირველ იძულებით დამოკიდებულებას გარეგან დახმარებაზე საკუთარი მეწარმეობა და უცხოური ინვესტიციები შეცვლიდეს. ოღონდ, გარეგანი ზედამხედველობის გარეშე, როგორც ამას სამწუხარო გამოცდილება გვიჩვენებს, უცხოური დახმარების არამიზნობრივი გამოყენება და დატაცებაც კი სრულიად ბუნებრივი ამბავია. დასავლეთს ეს გერეკისძროინდელი პოლონეთის მაგალითზე მაინც უნდა გაეგო: 70-იან წლებში, პოლონეთმა დაახლოებით 30 მილიარდი დოლარის სესხი მიიღო, მაგრამ ახლა მეტად მნელი გასარკვევია, სად გაქრა ეს თანხა. დღეს უკვე

ყოფილ საბჭოთა კავშირში გახარჯული 86 მილიარდის საკითხი დგას.

ზოგიერთი მონაცემით, გამიზნული დახმარების 17 მილიარდი დოლარი, დანიშნულებისამებრ მიხმარების მაგივრად, სხვადასხვა აჩებით პირდაპირ დასავლეთის ბანკების სეიფებში მოხვდა. მოსკოვში ყოფნისას, მე ეს მონაცემები არკადი ვოლსკის ვაჩვენე, რომელმაც მეტის-მეტად შემცირებულად მიიჩნია ციფრი და მინიმუმ 23 მილიარდზე ჩამოაგდო ლაპარაკი. თავის მხრივ, ზუსტად “დიდი შვიდეულის” შეხვედრის წინ იაპონელებმაც იგივე ციფრი დასახელეს. სავარაუდოა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სრულად დაკარგა კონტროლი ეწ. “კაპიტალის გაეროვნის“ უქონმენზე, ანუ ვალუტის, ოქროსა და ძეირფასი მეტების დიდი რაოდენობა უკვე შვეიცარიისა და შონქონგის ბანკებშია გადაგზავნილი. საზღვარგარეთ გასული კაპიტალის ლირებულება კი 40 მილიარდს უნდა აჭარბებდეს<sup>1</sup>.

ასე რომ, ნებისმიერი სახის ფულადი დახმარების ზუსტი მიზნობრივი ხარგვისა და რეგულირების საკითხი თვით მიმწოდებლებსაც ეხებათ, მათი ამა თუ იმ სახით ზედამხედველობა აუცილებელიც კია, როგორც არ უნდა აღიქვას ეს მეორე, მიმღებმა მხარემ და თუნდაც, გარკვეულწილად, ეროვნული ღირსების შელახვადაც კი მიიჩნიოს.

გარკვეული წინაპირობები მაშინაც უნდა დადგინდეს, როცა საქმე ძირებული გარდაქმნისათვის ხელშეწყობას უხება: ფულადი ზონის სტაბილიზაცია, დემონპოლიზაცია, თუნდაც საწყისი, მცირე პრივატიზაცია (მიწათმოქმედების სფეროს ჩათვლით) და ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემის დეცენტრალიზაცია - ყველაფერი ეს ის მინიმუმია, რა პირობების წამოყენების უფლებაც აქვს დასავლეთს დახმარების ოხვინზე დადებითი რეაგირების შემთხვევაში.

და მეოთხე: დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებს, მომავლისათვის შეიმუშაონ ისეთი იდეური კონცეფცია, რომელიც მათ მტკიცნეული სოციალური რეფორმებისათვის გამოადგებათ საყრდენად. რაც არ უნდა ქმედითი იყოს გარე მატერიალური დახმარება, ეს ვერ მოხსნის ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით გამოწვეული სოციალური თუ ფსქოლოგიური სახის უთანემოებებს; ასე რომ, პოზიტიური, იმედისმომცემი მომავლის პერსპექტივის გაცხადება პოლიტიკურადაც აუცილებელია. საზოგადოებამ უნდა გაიაზროს ცვლილებების ის დადებითი მხარე, რაც გარდამავალ პერიოდში მის შეჭირვებას გაამართლებდა.

<sup>1</sup> იხ. Kyodo-ს ანგარიში, 24 მაისი, 1993. აგრეთვე, გრიგორი იავლინსკის ღია წერილი “დასავლეთის დახმარება ვერაფერს გვიშველის” („ნიუ იორკ ტა-იმსი“, 28 ივლისი, 1993).

ცენტრალური ევროპის ხალხებისათვის პერსპექტივის ასეთი გააჩ-რება ფაქტურად უკვე არსებობს - ესაა გაერთიანებული ევროპა და მომავლისათვის ამ სამყაროში მათი ინტეგრაცია. ეს მეტად მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, რეალურად განსახორციელებელი იდეაა ჩეხის, უნგრელის თუ პოლონელისათვის; ეს ისეთი რამაა, რისი იმე-დიც მათ პიროვნულად აქვთ. უფრო აღმოსავლეთით თუ გადავინაცვ-ლებთ, საკითხი უფრო რთული და ბუნდოვანი ხდება. განა რა ისეთი მიზანი შეიძლება დაისახოს, ვთქვათ, უკრაინელმა, რომელმაც თავი-სუფლების ორი წლის განმავლობაში სოციო-ეკონომიკური კრიზისის გარდა სხვა სახეირო ვერაფერი ნახა? ან რუსმა, რომელიც არა თუ იგივე მდგომარეობაშია, დამატებით კიდევ გაწყილებული და განაწყე-ნებულია რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვით? ასეთ სიტუაციაში არც ისე ადვილია მომავლისათვის დადგებითი პერ-საექტივის მოხილვა.

უკრაინელებისათვის ასეთ პერსპექტივად შეიძლება ცენტრალური ევროპის არეალში მოხვედრა განდეს და ისეთ საზოგადოებად ქცევა, რომელიც თანდათანობით დასავლური ტიპისას დაუახლოვდება. ოლონდ ასეთი მისწრაფება ახლო და გასაგებია ალბათ უფრო დასავლეთ უკ-რაინელის, ვიდრე აღმოსავლეთ რეგიონში მცხოვრებისათვის; თუმცა ამ თეზისმა შეიძლება ფართო რეზონანსიც ჰქონოს იმ განხრით, რომ უკ-რანა საბოლოოდ გამოეყოს რუსეთს და ცალკე სახელმწიფოდ ჩამო-ყალიბდეს.

თავის მხრივ, რუსეთისათვის ასეთივე სასურველ პერსპექტივად, შე-საძლოა, შეერთებული შტატების პარტნიორობა იქცეს, თუ გავითვა-ლისწინებთ ჩვენი ქვეყნის მიმართ საერთო ახლანდელ განწყობილებას; მაგრამ, რუსეთი შეერთებული შტატების სრულუფლებიან პარტნიორო-ბას შეეცდება, მას მოუწევს უარი თქვას თავის პოსტიმპერიულ სტატუსზე და ამბიციებზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთი რუსეთი შე-იძლება განდეს რეალურად დემოკრატიული. არადა ფაქტია, რომ მას კიდევ კარგა დიდი მანძილი აქვს გასავლელი სწორედ პოსტ-იმპერიული რეალობის დაძლევის მეტად მტკიცნეულ გზაზე - მას იგივე პროცესების გადატანა მოუწევს, რაც უკვე გამოიარა ბრი-ტანეთმა ინდოეთის, საფრანგეთმა - აღსირის დაკარგვის შემთხვე-ვაში, ან თუნდაც თურქეთმა, როცა ათათურქმა მომავალი, ევ-როპული ყაიდის თურქეთზე ორიენტირების კონცეფციაზე ააგო თა-ვისი პოლიტიკა.

იმპერიისშემდგომი პერიოდის თვითგამორკვევა ყოველთვის ჩოული და მძიმე პროცესია. პირადად ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ აწყდება ასეთ წინააღმდეგობას და რატომაა ასეთი აზრთა შეხლა-შემოხლა ამ

საკითხის ირგვლივ ათასი სხვა საზრუნავით გატანჩულ დღევანდელ რუ-სეთში, მაგრამ პრობლემა არის და ის უნდა გადაიჭრას.

## განსხვავებული მომავალი

იქიდან გამომდინარე, რაც პირველი ორი შეკითხვის პასუხად ვი-ლაპარაკეთ, რას უნდა ველოდეთ პოსტ-კომუნისტური ქვეყნებიდან უახ-ლეს მომავალში? გასაგებია, რომ გარდაქმნის ეს პროცესი განსხვავე-ბულად წარიმართება სხვადასხვა რეგიონში, მაგრამ როგორია მისი ძი-რითადი მახსინათებელი? და საერთოდ, განა შეიძლება ითქვას, რომ ყველა ყოფილი კომუნისტური სახელმწიფო თავისუფალი საბაზრო ეკო-ნომიკისა და დემოკრატიული განვითარების გზაზეა შემდგარი?

ვიდრე ჩემს პირად, იქნებ ზოგ რამები საკამათო მოსაზრებებს მო-გახსენებდეთ, მოდით, გარკვეული სიტხადისათვის, ეს ქვეყნები ოთხ პი-რობით კატეგორიად დავყოთ:

1) რომელთაც მომავალში, თუკი რაიმე სრულიად გაუთვალისწი-ნებელი და, დღესდღეობით, წარმოუდგენელიც კი არ შეემთხვათ, ხე-ლი არ უნდა შეეშალოთ პლურალისტული დემოკრატიის სიცოცლისუ-ნარიანი მმართველობის მისაღწევად.

2) რომელთა შანსებიც, უახლოეს ათწლეულში, 50/50-ზე უკეთე-სად გამოიყურება, მაგრამ სადაც პოლიტიკური უკუპროცესების განვი-თარებას მთლიანად მაინც ვერ გამოვრიცხავთ.

3) რომელთა მომავალიც, ჩემი პირადი მოსაზრებით, სრულიად გაურკვეველია უახლოეს ათწლეულში და სადაც დადგბითი პროცესები მხოლოდ ოცდამეერთო საუკუნეში თუ შეიძლება დაიწყოს.

4) და ბოლოს, მეოთხე ჯგუფის ქვეყნები, რომელთა მომავალიც, ჯერ-ჯერობით, სრულიად არასახარბიეროდ მოჩანს.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი I ჯგუფში მოხვდებინ; ასევე აღბათ, სლოვენია და ესტონეთიც. ამათგან პირველი სამი, შესაძლოა, ამ საუკუნეშივე განვითარებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის წევრები. სულაც არ ვაპირებ უგუ-ლებელვყო მათი პრობლემები (განსაკუთრებით, შინაეთნიკური), მაგ-რამ ეს სამული, შეიძლება ითქვას, უკვე III ფაზაში (იხ. ტაბულა) შედის, მაშინ როდესაც ბოლო ორი - II ფაზაში იქნებიან მოხვედ-რილნი.

თუმცა, ერთი რამ არ უნდა შეგვეშალოს - რა წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს ამ ათწლეულში ზემოხსენებულმა სამეულმა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი დრო საჭირო, სანამ მათი ცხოვრების დონე

დასავლეთისას გაუთანაბრდება. მაგალითად, თუ დავუშვებთ რომ გერმანია და აესტრია პირობითად წელიწადში 2%-ით მოუმატებენ კეთილდღეობის მაჩვენებელს, ხოლო პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი - ოთხით, ანუ ორჯერ მეტად, ჩეხეთს 30 წელი დასჭირდება მათ დასაწევად, უნგრეთს - 46, ხოლო პოლონეთს - 63<sup>1</sup>; და თუნდაც მატების თანაფარდობა 2 და 8 პროცენტი იყოს, მაინც შესაბამისად 12, 17 და 23 წელი გავა, სანამ ეს სხვაობა მოისპობა... რალა უნდა ვთქვათ დანარჩენ ჯგუფებზე!

მეორე ჯგუფში ის ქვეყნები აღმოჩნდებიან, რომელთაც მომავლის კარგი პერსპექტივა აქვთ, მაგრამ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჯერაც არამდგრადი არიან: ხორვატია (თუ სერბიასთან ახალ კონფლიქტში არ აღმოჩნდა ჩართული), ბულგარეთი, ალბათ რუმინეთიც, ლიტვა, ლატვია, ყირგიზსტანი და თურქეთისტანი (ეს ორი უკანასკნელი მათი უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის წყალობით). ზოგიერთი მათგანი - მაგ. ლიტვა ან ბულგარეთი იქნებ უახლოვდებიან კიდევ II ფაზას, მაგრამ დანარჩენი, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ წრიულად მოძრაობენ I ფაზაში.

მესამე ჯგუფის ქვეყნებს, ანუ რომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური მომავალი, როგორც ჩანს, ამ საუკუნეში მაინც ვერ გაირკვევა - ჩემი აზრით, მიეკუთვნებიან უპირველეს ყოვლისა რუსეთი, შემდგომ - უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახსტანი და უზბეკეთისტანი.

ბოლო, მეოთხე ჯგუფს შეადგენს იმ ქვეყნების ნუსხა, რომელთა მომავალიც, სხვადასხვა მიზეზებით, საერთოდ ზნელითაა მოცული: სერბია, ალბანეთი, ბოსნია, მოლდოვა, ტაჯიკისტანი. არც ერთ მათგანს I ფაზაში ჯერ ფეხიც არ შეუდგამს და, ფაზტიურად, ისევ ძველი, ოლონდ სახეშეცვლილი კომუნისტური ელიტის მმართველობის ქვეშაა, რომლის ინტერესებისა და მენტალიტეტის თანხვედრა პლურალისტურ დემოკრატიასა თუ თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებთან მეტისმეტად საეჭვოა რომ ოდესმე მოხდეს.

ყველაზე არამდგრადი, მესამე ჯგუფიდან რუსეთი, რალა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია. გარკვეული დადებითი პროცესები იქ უეჭველად მიღის; ახალი კონსტიტუციური წყობის საფუძვლები ერთი ნაბიჯი მაინცაა დემოკრატიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის გზაზე. ზოგადად, დემოკრატიული ხდება ურთიერთობები მეტროპოლიურ საზოგადოებში: დიდ ქალაქებში მაინც, დემოკრატია ხელშესახები რეალობაა, თუმცა მისი სრული ინსტიტუციონალიზაცია ჯერ მომავლის საქ-

<sup>1</sup> იხ. “უორლდ ფესტ ბუქ”, 1991.

მეა. ეკონომიკის განხრით მოხდა აგრეთვე საწყისი პრივატიზაცია, და ზოგიერთი ნაბიჯიც გადაიდგა სტაბილიზაციისაკენ. მაღალ პოლიტიკურ დონეზე როგორც პრეზიდენტი ბორის ელცინი, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი მომხრენი არიან - სიტყვიერად მაინც - მოიცილონ ტრადიციული იმპერიული ამბიციები და გაემიჯნონ იმ წარსულს, რომელიც ტვირთად აწევთ დემოკრატიის განვითარების პროცესში.

მეორის მხრივ, ეკონომიკური ქაოსი ჩაელობაა, არ არსებობს არა-ვითარი მონეტარული პოლიტიკა, ინფლაციის ტებბი და დონე საოც-რად მაღალია, მატულობს უმუშევართა რიცხვი, მთავრობის გადაწყვეტილებები მეტროპოლიური ცენტრებითა შემოსახლერული და პეტიტი-რიებზე, ზოგან, საერთოდ არ სრულდება; პრივატიზაცია გადაწვდა სა-ვარაუდო 300 000-იდან სულ რაღაც 50 000 მცირე საწარმოსა თუ მაღაზიას და ისიც უმთავრესად მოსკოვში, სტ.-პეტერბურგსა და ნიკინი ნოვგოროდში, დასაგლეთიდან შემოსული დახმარების თანხები მასიუ-რად მიედინება ძველი ნომენკლატურის ახალ სიტუაციასთან კარგად მორგებული კადრებისა და ახალგამოჩეკილი საშუალო კლასის წარმო-მადგენლების ხელში, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელთა უმრავლესობა, უბრალოდ, კაპიტალისტური წყობის ერთადერთ, პარაზიტულ ფორმას ცნობს: მათი ქონება მხოლოდ მოხმარებას ემსახურება და არა მწარ-მოებლურ ინტერესებს. ეკონომიკურ ვითარებას ამათრებს აგრეთვე იმ-პერიული მისწრაფებების განახლება, რაც ზრდის უკრაინასთან და ზო-გიერთ სხვა მომიწნავე ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავების უარყო-ფით ფაქტორს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკურ და სამხედ-რო საკითხებში ზეწოლის ის შემთხვევები, რომელთა საშუალებით რუ-სეთი ცდილობს არაოფიციალურად მაინც შეინარჩუნოს კრემლის ყო-ფილი იმპერიული სტატუსის შემაღებელი ძირითადი ელემენტები. მე-ტად სიმპტომატურია, თუ როგორ გეგმვომიერად იცილებდა თავიდან მოსკოვი კივთან ურთიერთობაში დამოუკიდებლობის საკითხს, და ერ-თი უმაღლესჩინოსანი რუსი პოლიტიკოსის სიტყვები რომ მოვიშველი-ოთ, განიხილავს მას როგორც “იმ პირობით ერთგულს, უკრაინას რომ ეძახან“.

უკაფერი ეს რუსეთის მომავლის მიმართ გარკვეულ ეჭვებს ბა-დებს. მეტი შანსია გაგრძელდეს დემოკრატიზაციის უკვე დაწყებული პროცესი, მაგრამ ბოლომდე არმიყვანილი რეფორმები პერიოდულად მა-ინც ანარქიის ტალღებს წარმოშობს, რაც, თავს მხრივ, ავტორიტა-რულ გადაწყვეტილებათა მიღების სავსებით ბუნებრივ სურვილს აჩენს. აქედან გამომდინარე, რუსეთს ვერც პირველ კატეგორიაში მოვათავ-სებო და ვერც მეორეში სამწუხაროდ, მისი ადგილი სწორედ მესამე ჯგუფშია; იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაზე, რომლის დამოუკიდებ-

ლობა ჯერ კიდევ საკითხავია და რეალური გარდაქმნებიც - სათუო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეკარაა, რომ პოსტ-კო-მუნისტური გარდაქმნების ისტორია ჯერ დაუმთავრებელია, ხოლო პო-ლიტიკურად და ეკონომიკურად მდგრადი ლიბერალური ტიპის დემოკ-რატია არ არის რაღაც წინასწარგანსაზღვრული შედეგი - ყოველ შემ-თხევაში, 27 პოსტკომუნისტური ქვეყნიდან ოცდაორისათვის მაინც.

### პირვე რისი გაპეტება ქალაქებს დასავლეთს?

ახლა დროა ამ ოთხიდან ბოლო შეკითხვაც გავიხსენოთ: მოცე-შულ ვითარებაში, რა როლი შეიძლება დაეკისროს დასავლეთს და კერ-ძოდ, შეერთებულ შტატებს? უპირველესი საზრუნავი მაინც შორს გა-მიზნული, კარგად გააზრებული სტრატეგიის ჩამოყალიბებაა, რომელიც მოიცავდა როგორც გეოპოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებს. სამ-წუხაროდ, ასეთი გაგება, უძრავოდ, ჯერ არ არსებობს. თავისითავად ეს სტრატეგია არ შეიძლება იყოს რუსო-ცენტრული ან რუსო-ფონტუ-რი. პოსტკომუნისტურ არეალს უნდა მივუდეთ როგორც ერთ მთლი-ან რეგიონს, ოლინდ გავითვალისწინოთ მასში შემავალ ქვეყნებში მიმ-დინარე ცვლილებების სულ სხვადასხვა დონე. ასეთი პოლიტიკური დოქ-ტრინის ჩამოსაყალიბებლად და მის სარეალიზაციოდ შტატებმა შეიძ-ლება მოითხოვონ სტრატეგიული დაგეგმარების ისეთი ინსტიტუტის შექ-მნა (დიდი შვიდეულის ეგიდით) რომელიც მოახერხებდა ცვლილებების გარეშეულ რეგულირებას და, თუნდაც გეოგრაფიული დაყოფის პრინ-ციპით, რეგიონებს დააკავშირებდა მათთან სათანამშრომლოდ შესაფე-რის პარტნიორებთან.

დავუშვად, იაპონიის ძალისხმევა - რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, თავს იყავებს რუსეთის მიმართ პირდაპირი დახმარებისაგან - შეიძლება წარიმართოს უკრაინასთან მისი უშუალო თანამშრომლობის მიმართულებით. ასეთი ქმედითი ორგანო თავის საქმიანობაში უკვე უშუ-ალოდ ჩააბამდა ამ საურთიერთობო ქვეყნებიდან მის მიერვე შერჩე-ულ, ამა თუ იმ კონკრეტული საქმიანობისათვის შესაფერის წარმო-მადგენლებსაც.

ასევე, ამ სისტემაშ შეიძლება მოიცას, ვთქვათ, კაპიტალდაბენდე-ბანი ცენტრალური ევროპის ქვეყნებში წარმოებული პროდუქტებისა და სხვა ფართო მოხმარების საქონლის რუსეთში ექსპორტის მოსაგვარებ-ლად, ეს წაადგებოდა როგორც ცენტრალური ევროპის ქვეყნების გარ-დაქმნის პროცესს, აგრეთვე რუსეთიც, გაუმართავი სშუაბევლი სისტე-მის მაგივრად, როცა პირდაპირი დახმარების დიდი ნაწილი გაადამ-

ყიდველების ხელში და შესაბამისად, შავ ბაზარზე ხვდება - ფართო ასორტიმენტის ნაწარმის დეფიციტის აღმოსაფხვრელ საუკეთესო წყაროს მიღებდა. ასე თუ ისე, ცენტრალური ეგრობისა და ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს შორის უშუალო ეკონომიკური კავშირების აღდგენა, შეიძლება ითქვას, ყველას ინტერესებში შედის.

შემდგომი საკითხი ისაა, რომ “დიდმა შვიდეულმა“ უკრაინისათვის უნდა შემოილოს დახმარების ისეთი პაკეტი, როგორც რუსეთისათვის აქვთ განსახლვრელი. ბოლოსდაბოლოს, სისტემური გარდაქმნის მხრივ, დასავლეთი არ უნდა ანსხავებდეს ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებს გეოპოლიტიკური ოვალისაზრისით. ხაჩს ვუსვამ: გეოპოლიტიკური პლურალიზმი ისევე მნიშვენელოვანია, როგორც სისტემური გარდაქმნები. შეერთებული შტატები თითქოს დგამენ კიდეც ამ მხრივ გარევულ ნაბიჯებს, მაგრამ მეტისმეტად გაუტედავად, ნელა და რაც მთავარია, მაიც ვერ იცილებენ ბოლომდე რუსო-ცენტრულ სინდრომს; არადა, ვთქვათ, სპეციალურად უკრაინისათვის გამიზნული, ამ კონკრეტული ქვეყნის სარეფორმო პროგრამასთან შეთანხმებული დახმარების პაკეტი ისევე მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკის, როგორც თუნდაც, ჰუმანიტარული თუ ეკონომიკური ოვალისაზრისით.

1992 წლის დასაწყისში მაიკლ კამდესუსი, საერთაშორისო საგალუტო ფონდის თავკაცი, საჭაროდ აცხადებდა, რომ რუსეთს დაჭირდება დაახლოებით 24 მილიარდი დოლარის დახმარება უცხოეთის ქვეყნებისაგან, ხოლო სხვა ყოფილ რესპუბლიკებს - არანაკლებ 20 მილიარდისა<sup>1</sup> ერთი წლის შემდგომ ზემოხსენებული თანხა დაუმტკიცდა რუსეთს, მაგრამ მეტად მცირე ან სულ არაფერი შეხვდათ უკრანისა თუ სხვა რესპუბლიკებს. არადა, თავად რუსეთში გამეფებული ქაოსი ან მთლად ჩაწეხავს რეფორმებს, ან სულაც მის იმპერიულ ამბიციებს წამოსწევს წინა პლანზე, ან ორივე ერთად მოხდება - მაშინ კი წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება ჩვენი მატერიალური დახმარებაცა და კეთილი სურვილებიც.

მესამე საკითხი: დასავლეთის ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა და მზარდი ინგესტიციები ახლა ბევრადაა დამოკიდებული “დიდი შვიდეულის“ ინიციატივაზე, რაკი ეკროგაერთათანება მეტისმეტად პასიური იყო ამ მხრივ: მართალია, კოპერაციაგრძები გამართულ შეხვედრზე (1993 წლის ივნისი) გარევული გადაწყვეტილებები კი იქნა მიღებული, მაგრამ ეს ქვოტებზე დამყარებულ, არსებული სისტემის მხოლოდ ნაწილობრივ ლიბერალიზაციას ეხებოდა. შეერთებულ შტატებს მეტი ზეწოლა ძალუძო თავიანთ მოკავშირეებზე ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა თავადაც

<sup>1</sup> “ნიუ-იორკ ტაიმსი“, 16 აპრილი, 1992.

მეტი შემწყნარებლობით უნდა მოეკიდონ ცენტრალური ევროპის ქვეყნებისა თუ რუსეთის ექსპორტის პრობლემებს - მათ ეკონომიკას მეტისმეტად სჭირდება მეწარმეობის განვითარების ასეთი სტიმული.

მეოთხე: შეერთებულმა შტატებმა უნდა გადასინჯონ ზოგიერთი დოგმატური დებულება მათ მიერ შემუშავებული ჩეხევებიდან ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მიმართ. არ შეიძლება თავისუფალი ბაზრისა და ეკონომიკის განვითარებაში მთავრობის როლის უარყოფის თავისებურ “უეზამ - გააღე“ ფორმულად გასაღება. თვით დემოკრატიის სიკეთეთა ქადაგებისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, თუ ისტორიულად რამელა დრო და ფაზების გაგლა დასჭირდა დასავლეთს მის მისაღწევად. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ ჩეგიონის სპეციფიკა და კულტურული გარემო უფრო მეტად უნდა იქნას გათვალისწინებული, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

და ბოლოს, დროა დავიწყოთ ზრუნვა ახალი ტიპის უშიშროების სისტემის შექმნაზე, რომელიც თანდათანობით ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებსაც მოიცავს.

გეოპოლიტიკური დაბაზულობა სულ უფრო მატულობს ყოფილ კომუნისტურ სამყაროში და ისეთივე მძაფრ პოლიტიკურ ფორმებს იღებს, როგორც სოციო-ეკონომიკური სიდუხჭირე. ამაზე გარკვეული რეაგირებაა საჭირო, თუნდაც იმ მხრივ, რომ თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მოხდეს ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მომზადება ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირში მათ შესასვლელად. ასეთი პროცესი უფრო მისაღები აღმოჩნდება რუსეთისა და უკრაინისათვის, თუკი ნათლად გამოიკვეთება საბოლოო მზანი - უსაფრთხოების ფართო, ევრო-ატლანტიკური სისტემის შექმნა, რომელიც, მომავალში, თვით კიევისა და მოსკოვისთვისაც არ იქნება კარი დაბჭული.

ყოველ შემთხვევაში, ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოთაგან რამდენიმე მაინც მალე იქნება მისაღები ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკში, რადგან აზრი არა აქვს იმის ცდას, სანამ უმრავლესობა არ იქნება ამისათვის მზად. ასე რომ, 1996 წლისათვის თუნდაც ერთი ქვეყნის (ვოკვათ, პოლონეთის) გაწევრიანება ამ კავშირში დასავლეთის პოლიტიკის მთავარ სამიზნედ უნდა იქცეს.

ეს გეგმა სულაც არაა ვინგეს უსაზრო ფანტაზიების ნაყოფი და არცთუ ისე როული განსახონციელებელია, თუკი დასავლეთს საკმარისი პოლიტიკური ალლო და სტრატეგიული გეგმების აღსასრულებლად აუცილებელი მზანსწრაფვა აღმოაჩნდება. მაგრამ საკითხავია, გამოიდებენ თავს შეერთებული შტატები? ისურვებს ამას მთლიანად დასავლეთი? იქნებ არც ასე მზანდასახულად და არც მთლად ასე გამიზნულად მოქმედება არჩიონ?

საქმე ისაა, რომ ახლა დასავლეთის სამყარო უფრო საკუთარ თავ-ში იხდება, ხოლო მის შეფასებათა შკალაზე კულტურული ჰედონიზმი დომინირებს, ასეთი მიღება კი სულაც არ უწყობს ხელს აქტიური პოლიტიკის გატარებას. არ მინდა შეერთებულ შტატებს იზოლაციონისტურ მიდრეკილებაში დავდო ბრალი - მას ჯერ თავის თავზე აღებულ არც ერთ გლობალურ მოვალეობაზე არ უთქვაშს უარი - მაგრამ ისე ჩანს, რომ ვაშინგტონი ახლა მინიმალისტურ საგარეო პოლიტიკას მისდევს: ამ ეტაპზე იგი საკუთარ მოვალეობებს სხვა სამყაროს მიმართ შეტისმეტად ვიწროდ აღიქვამს, და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ავლენს ლიდერის თვისებებს, ისეთ შემთხვევებში, როცა აქტიური მოქმედება, უბრალოდ, აუცილებელი ხდება.

თუმცა ჰედონიზმის ეს ტალღა საერთო მოვლენაა დასავლეთში და ამერიკული მინიმალიზმიც რაღაც თავისებურ “გამარჯვებისშემდგომ ეიფორიას” გავს; იმედია, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს მაინც არ გასტანს, რადგან თუ ასე გაგრძელდა, პოსტ-კომუნისტური გარდაქმნები კიდევ უფრო მტკიცნეულ ფორმებს მიიღებს და მომავალიც, შესაბამისად, უფრო ბუნდოვანი გამოწინდება.

## რატომ არ გვიღებან ნატოში?

განვითარებული სოციალიზმის ხანაში სახელი „ნატო“ ავტედით ასო-ციაციებს იწვევდა. საბჭოური პროპაგანდისტების მტკიცებით ნატო ავი და ბოროტი იმპერიალისტების დამრტყმელი ძალა იყო, რომლის მთავარი ამოცანა სამხედრო ძალის გამოყენებით საბჭოთა ხალხის გაძარცვაში მდგომარეობდა. ერთი სიტყვით, ნატოთი ხალხს ისე აშინებდნენ, როგორც დღეს შეინძებენ სხვადასხვა ჯურის თოფოსნებით.

რასაკვირველია, საქმეში ჩახელული (ხოლო ზოგჯერ აგრეთვე ჩაუხედავი) ხალხი გაიკვირვებდა ხოლმე - ვის რა ჯანდაცად უნდა გაძარცულ-გალატაკებული და გამათხოვრებული საბჭოთა ხალხის გაძარცვაო, მაგრამ ფაქტი ფაქტად ჩებოდა: საბჭოთა პროპაგანდა დიდის გულმოდგინებით ამტკიცებდა, ნატო კაცობრიობის ისტორიში უბოროტესი ალიანსია, რომელთან შედარებით ბერლინი-რომი-ტოკიოს ლერძი ბავშვური თამშობაა.

ამ სტრიქინგბის ავტორს წერა-კითხვა ახალი ნასწავლი ჰქონდა, როდესაც ხელში ქართული იუმრისტული აზრის სიამავე, შეუდარებელი „ნიანგის“ ერთ-ერთი ნომერი ჩაუვარდა. მისი ყურადღება გარეკანზე ასახულმა კარიკატურამ მიიპყრო (რომელიც, რასაკვირველია, პოლიტიკური სატირის დიდოსტატ გ. ლომიძეს ეკუთვნოდა): კარიკატურაზე გამოხატული იყო წვერცანცარა, უსიამოვნო გარებრივი ბანანი და ცილინდრიანი მამაკაცი, რომელიც ყველა ამ ჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად შუბლებზეც იყო განრთხული. მამაკაცი ესე ლურჯწითელ-თეთრ მკლე კაბაში გამოწყობილ მანდილოსანს მისტიროდა: „ნუ წახალ ნატო, დარჩი, ნუ დაანგრევ ოჯხს!“ იქვე გაურკვეველი გარებრივის ორი არსება ცერისხელა ცრემლებს აფრენებდა (როგორც ჩანს, უკრაინის მკითხველები თავად უნდა მიმხდარიყვნენ, რომ ეს არსებები წვერცანცარა ბიძისა და ნატოს შეიღები იყვნენ). ამ არსებათაგან ერთი ყავისფერ უნიფორმში იყო გამოწყობილი და თავზე ჯვრის გამოსახულებიანი დაფშვნილი ჩიჩქანი ეხურა, ხოლო მეორე არსება იმით გამოიჩინოდა, რომ გარეგნობა ლომისა ჸქონდა და ჭრელ ზოლიან მაისურში იყო გამოწყობილი. ჩემბრანტის ყალმის საკადრის ამ კომპოზიციას აგვირვენებდა გრძელცხვირა, წოწოლა ჯეელი, რომელიც ულვაშებში იღმებოდა. ყველა ნშნით ცხადი იყო, რომ ხსენებული ნატო შეკარად ამ უკანასკნელისაკენ ისწრაფოდა.

რასაკვირველია, ამგვარ სოუკეტს არ შეიძლებოდა არ მიეპყრო ბავშვის ყურადღება. მშობლებმა ჯერ სცადეს ჩემი აბეზარი ცნობისმოყვარეობა აელავმათ „მაინც ვერ გაიგებ“-ის ტიპის არგუმენტებით, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ბოლოს ავტორიტეტულად ამიხსნეს: მუხლებზე

დამხობილ წევრცანცარა ბიძას ძია სემი ჰქვია და ამერიკას განასახიერებული. ორი მოტირალი აჩსება გერმანია და ინგლისია, მოკლეებინი ქალი - საფრანგეთი, ხოლო ულვაშებინი ბიძა (რომელიც დასაწყისში სტალინი მეგონა) გენერალი დე გოლია, ვინც საფრანგეთი გამოსტაცა ნატოსო. მართალია ჩემთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა რატომ ერქვა დასახელებულ ქალბატონს ნატო, მაგრამ ეს არ არის არსებითი. მთავარია, რომ ნატოსთან პირველი გაცნობა შედგა.

გამოხდა ხანი. ისტორიის კანონთა და საჭიროთა საჭირომყპრობელთა ბრძოლი პოლიტიკის წყალობით იმპერიის დასასრულის ხანამაც მოაწია. ეროვნული მოძრაობა აბობოქჩდა და უცებ გამოიჩინა, რომ ნატო ჩვენი მოსისხლე მტერი კი არა, უძინოფასესი მა და მეგობარი ყოფილა. მრავალრიცხვოვან მიტინგებზე რუსი გენერლების გულზე გასახეთქად საქართველოში ნატოს ჯარების შემოყვანას მოითხოვდნენ. ტიპიური გახდა ღია ღია ღია - „ამოვხტეთ რუსეთის გეოსტრატეგიული სივრციდან და გადავხტეთ ევროატლანტიკურ სივრცში!“ მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკისის სამშობლოში დაბრუნებამ კიდევ უფრო გააძლიერა ამგვარი გეოსტრატეგიული სალტო-მორტალეს განხორციელების იმედი.

და უცებ ქართველებმა აღმოვაჩინეთ, რომ ნატოს სულაც არ ვუნდივართ!.. ყოველ შემთხვევაში, თავში არავის მოსვლია ჩვენთვის იქ თბილი და მუყდრო ალაგი გამოექმნა... ჩვენ კი არა, ლამისაა პოლონეთს, ჩეხეთსა და უნგრეთსაც უარი უთხრან. დაბნეულ ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებას მთელი სისახსით წარმოუდგა ერთდროულად დრამატული და რიტორიკული კითხვა: რატომ არ მიგვიღეს ნატოში? ბევრმა ამ ფაქტში კრემლის ყველგანმყოფი ხელი ამოიცნო. სხვებმა ყოველივე სხვადასხვა ჯურის მეტაძრებისა და მასონებს გადააზრალეს.

ეს კიდევ არაფერი. ერთ მშენებელ დღეს ჩვენმა საზოგადოებამ მეორე შემზარვი ფაქტიც გააცნობიერა: თურმე ნატო არ აპირებდა ჩვენს მაგივრად ერმა აფხაზეთში საქართველოს ინტერესების დასაცავად. უფრორე საშინელი ის იყო, რომ ნატო არც იარაღის მოწოდებას გვაპირებდა და ასე გასინჯეთ, ჩვენს ტერიტორიაზე სამშვიდობო აქციებშიც არ აპირებდა მონაწილეობას.

ატყდა ერთი ვაივიში: „დასავლეთმა გაგვყიდა“ (სტატისტიკის მოყვარულებმა სწრაფად დაითვალეს, რომ სენებული მოქმედება დასავლეთის მხრიდან რიგით მესამე იყო). რას შვერება ნატო? „ნუთუ რუსებზე გაგვყიდა?!“. ამ შემახილის ავტორები ისევე კარგად ერკვეოდნენ ნატოს ფუნქციებში, როგორც მე, როდესაც აღწერილი კარიკატურა პირველად ვიზილე. ჩვენს მკითხველს იშვიათად მიეწოდება ინფორმაცია ნატოზე. ქართულად არ არსებობს არც ერთი საგანგებო გამოკვლევა, რომელიც შეეხება ნატოს ფუნქციებს და ამოცანებს. არადა, უამისოდ ვერასოდეს გავიგებთ, რატომ არ გვიშველა ნატომ! წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია ნაწილობრივ მაინც შეასოს ეს ხარვეზი.

## საბარო-პოლიტიკური ფაქტორი

ნატო გლობალური მნიშვნელობის საფრთხის ნეიტრალიზაციისათვის შექმნა. საფრთხის სათავე მდგომარეობდა საბჭოთა კავშირის სწრაფვაში მსოფლიო ჰეგემონისაკენ, რომლის განხორციელების უმნიშვნელოვანეს ეტაპად უნდა ქრულიყო ევროპაზე სამხედრო კონტროლიოს დამყარება. გერმანიის გაერთიანების, ევროპიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ევროპასა და რუსეთს შორის სნგ-ს სახელმწიფოების (უკრაინა, ბელარუსი, ბალტიის რესპუბლიკები, რომელთა ტერიტორიაზე აღარ არის განლაგებული რუსეთის სახმელეთო ძალები) ბუფერის შექმნის შემდეგ ნატოს წინაშე მდგომი პირველადი ამოცანა, ფაქტოურად, შესრულებულია. რუსეთს უბრალოდ აღარ აქვს სამხედრო-სტრატეგიული და ეკონორატიული შესაძლებლობანი ცენტრალური ევროპის მიმართულებით აგრესიისა. რასაკირველია, იმის არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ რუსეთი არ დაუბრუნდება თავის ექსპასიონისტურ კურსს; მაგრამ დასავლეთი ამის საწინააღმდეგოდ გაატარებს არა სამხედრო-სტრატეგიულ, არამედ უპირატესად პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს. საჭიროველისადმი რუსეთის დამოკიდებულება ერთეურო წმინდა იქნება იმისა, უბრუნდება თუ არა რუსეთი იმპერიულ ზრახვებს, მაგრამ საქართველოს ნატოში მიღება თავისთავად ვერც დააჩქარებს და ვერც შეანელებს რუსეთის პოლიტიკური კურსის საბოლოო განსაზღვრას. ექსპანსიონისტური კურსისადმი დაბრუნების შემთხვევეში საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ამ უკანასკნელისათვის გეოსტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ ექნება, ვინაიდნ საქართველოში ნატოსთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას წლები დასტირდება, მაშინ, როდესაც ამგვარი ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს თურქეთში. ხოლო საქართველოს ნატოში გაწევრიანებამ, დასავლეთის ექსპერტების აზრით, შეიძლება რუსეთში ნეომპერიალისტური კურსის მომხრეთა პოზიციების გაძლიერებას შეუწყოს ხელი. ამგვარი საგარეო-პოლიტიკური ვითარება ძალიან ართულებს საქართველოს ნატოს წევრ სახელმწიფოებთან გაერთიანების საყითხს. აღარაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ საქართველოს, მიუხედავად თავისი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობისა, ტერიტორიული სიმცირის გამო არ შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს გლობალური მასშტაბით განხორციელებული ექსპანსიის შეკავებაზე.

საპაროველოს საშინაო-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უჭდიან საპაროველოს გამომდინარების ნატოში.

1. საქართველოში არ ჩამოყალიბებულა დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სისტემა. მართალია, თავის დროზე ნატოს ქვეყნებმა თვალი

დახუჭეს თურქეთსა და პორტუგალიაში დემოკრატიული სისტემების არარ-სებობაზე (თუ სისუსტეზე) და მიიღეს ისინი ალიანსის წევრებად, მაგრამ ეს უპირატესად გეოსტრატეგიული მოსახიებებით იყო ნაკარნახები. თურქეთის გარეშე შეუძლებელი იყო საბჭოთა ექსპანსიის შეკავება ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ხმელთშუაზღვისპირეთის მმართულებით, ხოლო პორტუგალიისა და ატლანტის კვეთის მდგბარე მის მფლობელობაში მყოფი კუნძულების გარეშე შეუძლებელი იყო ეფექტური მოქმედება ატლანტიკის ჩაიონში. საქართველოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ გააჩნია ამგვარი გეოსტრატეგიული მიშვნელობა, ამიტომ არავინ არ დახუჭვს თვალს მაში მიმღინარე სწინააღმოცემული აღარაფერი რომ არ ვთქვათ იმ ვითარებაზე, რომ ამგვარი თვალის დახუჭვა ხდებოდა 50-იან და 60-იან წლებში, რომ დღეს პორტუგალია დემოკრატიული სახელმწიფოა და თურქეთიც ამ გზას ადგას. ნატო ძალიან მტკიცნულად განიცდის ადამიანის უფლებათა დარღვევებს თურქეთში და აუკრძალა კიდევ მას ქვეყნის შეგნით (ჯურთი სეპარატისტების წინააღმდეგ) ნატოს პროგრამების ჩატრიბუტში მიწოდებული იარაღის გამოყენება (ნატოს აზრით ეს იარაღი მხოლოდ საგარეო აგრესის მოგერიების საქმეს უნდა ემსახურებოდეს). ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე ფიქრიც კი ზედმეტია მანამ, სანამ ჩვენში დასავლური ტიპის დემოკრატია არ დამყარდება.

2. ნატოს სახელმწიფოების პოლიტიკური მოწყობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს სამოქალაქო ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. ნატოს აღცერთი სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრი არ არის სამხედრო პირი. შეიარაღებული ძალები განკუთვნილი არიან მხოლოდ სამხედრო ოუნქციების შესასრულებლად და არ არიან დაკავებული არავითარი სხვა საქმიანობით. ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა საქართველოში: ჩვენში ფაქტიურად არ არსებობს სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ დაზღუდებებზე, არ არსებობს ერთიანი შეიარაღებული ძალები; ხოლო „ოფიციალური“ სამხედრო საქმეთა გადაწყვეტაზე კი არ ზრუნავენ, არამედ უკანონო ბიზნესის წარმოებზე, დაკავებული არიან ბენზინის ბიზნესით, რეკეტით და ა. შ. ბუნებრივია, ამგვარი „არმიის“ მქონე სახელმწიფოს ნატოში ცხვირსაც არავინ შეაყოფინებს.

ნატოში წევრობა გულისხმობს გარკვეული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მოახერხებს საქართველო ამგვარი ვალდებულებების შესრულებას? ვერ მოახერხებს! და აი რატომ:

1. საქართველოს უბრალოდ არ ჰყავს ისეთი შეიარაღებული ძალები, რომელიც შეასრულებდა ნატოს წევრობიდან გამომდინარე სამხედრო ვალდებულებებს.

2. საქართველოს არ გააჩნია სამხედრო დოქტრინა. ქვეყანაში თითქმის არ არსებობს სამხედრო-თეორიული აზრი.

3. არ არსებობენ ნატოს შესაბამისი სამხედრო წესდებები. არ გაგვაჩნია ნატოს შესაბამისი სამხედრო კანონმდებლობა.

4. არ გაგვაჩნია ნატოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციის სისტემები. ინფრასტრუქტურის შექმნას წლები სჭირდება. ისეთმა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალმა, როგორიცაა რკინიგზის ზოლების სიგანგში რამდენიმე სანტიმეტრით განსხვავება, შეიძლება წლობით შეაფეროს სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა. ასეთი ინფრასტრუქტურის გარეშე კი ნატოში გაწევრიანებაზე ფიქრიც ზედმეტია.

5. არ გვავს ნატოს ქვეყნებთან სტანდარტიზებული იარაღი და საჭურველი. საქართველოს არმია შეიარაღებულია რუსული წარმოების იარაღით, რომელთა კალიბრები და სხვა ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები მთლიანად განსხვავდება ნატოს ქვეყნებისაგან. ასეთი სტანდარტიზაციის გარეშე შეუძლებელია რომელიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანება. სხვათა შორის, აქამდე ნატოში პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის გაწევრიანებას, გარდა საერთოშორისო ფაქტორებისა (რუსეთის წინააღმდეგობა) ხელი შეუშალა იმანაც, რომ ამ ქვეყნებს არ ჰყავდათ ნატოს წესდებათა თანახმად გაწვრთნილი ძალები, არ გააჩნდათ ნატოს სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა და იარაღი.

## სირთულები, რომლებსაც ნატოს ღმერჩება უქმნის საქართველოს ნატოში გამოვრითებას.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების მე-4 მუხლი მის ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოზე თავდასხმას განიხილავს როგორც თავდასხმას ნატოს წევრ ყველა სახელმწიფოზე. კავკასიაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას შეიძლება კურიოზიტადეც კი მიყყანა. ვთქვათ და ნატოს წევრ სახელმწიფოს თავს დასხმოდა კავკასიის მთიელთა კონფედერაციის რჩები. ნატოს წესდების თანახმად, ეს უნდა განსილულიყო როგორც თავდასხმა პირტუგალიაზეც, ჰოლანდიაზეც, კანადაზეც... ახლა წარმოვიდგინოთ, როგორ უნდა აეხსნა კანადის მთავრობას თავისი მოსახლეობისათვის, რომ მას ცხრა მთას იქით თავს დაესხა არარსებული საერთოშორისო-სამართლებრივი სუბიექტი, ხოლო „უშუალოდ თავდასხმის რეგიონში გადამთიელთა შემოჭრას მავანი აღრეულ შუასაუკუნეებისღრიონდელი რომელიღაც დიდი მეფის მიერ ყივჩაღების ჩამოსახლების კონტექსტში იზრებენ...“<sup>1</sup>. მოკლედ, სანამ კავკასიაში იქნება ისეთი

<sup>1</sup> იხ. ალმანახი „ახალი დროება“, რუბ. მრგვალი მაგიდა, გვ. 209.

მდგომარეობა, რომელიც ნატოს ხელშეკრულების რომელიმე მუხლის აბ-სურდული ინტერაქტუაციის საშუალებას იძლევა, ნატოში ჩვენს გაწევ-რიანებზე ლაპარაკიც კი ზეღმეტია.

სამხედრო და დიპლომატიური კადრების არარსებობის საკითხი. ნატოს ხელმძღვანელი სტრუქტურები მრავალეროვნული ხასიათისაა და დაკომპლექტებულია ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენლობით. იბადება კითხვა, ჰყავს თუ არა სა-ქართველოს ამ საქმისათვის ვარგისი პირები? შეუძლია თუ არა სა-ქართველოს წარმომადგენელს, თავისი მომზადების დონიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღოს ნატოს სამხედრო დაგეგმვის შუღივ კომიტეტი, ბირთვული დაგეგმვის განვითარებული გეგმების შემუშავების მთავარ კომიტეტში, საერთოშორისო სამდივნოში, საერთაშორისო გაერთიანებულ შტაბში და ა. შ.? პასუხი ცხადია: არ შეუძლია, ვინაიდან არ ჰყავს და არც ცდილობს ასეთი კადრების მომზადებას.

ზემოთქმული გარემოებანი სრულიად საქმარისია იმის გასაგებად, თუ რატომ არ დამდგარა საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი. და სანამ ეს გარემოებანი არსებობენ, ვერავინ, რაც არ უნდა დიდი ავტოტეტი გააჩნდეს, ვერ მოახერხებს მოკლე დროში მიაღწიოს ამას.

### რატომ არ დაგვხმარა ნატო აშხაზეთში კონფლიქტისას

ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ-ერთი, თავისი წესდებით ნატო გამიზნულია წევრ სახელმწიფოთა საგარეო აგრესიდან დაცვისათვის და არა მათ შინაგანი კონფლიქტებში მონაწილეობისათვის. საქართველომ კი ვითარებას ურიდიული კვალიფიკაციაც ვერ მისცა: ომი ისე დამთავრდა, ვერც გავარკვით, სამამულო ომი იყო ეს, უცხოეთის სამხედრო აგრესია, ეთნოკონფლიქტი, სამოქალაქო ომი თუ სხვა რამ. ნატოს წევრები სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოები არიან და ვერავინ მოახერხებს მათ ხელმძღვანელებთან იმგარად ჩააწყოს საქმე, რომ ამ უკანასკნელებმა დაარღვიონ ნატოს წესდებით ნაკისრი ვალდებულებანი. გავიხსენოთ: ნატოს სახელმწიფოებმა დაგმეს ნატოს წევრის - თურქეთის - მოქმედება, როდესაც ამ უკანასკნელმა ნატოს ჩარჩოებში მიღებული იარაღი საშინაო კონფლიქტში გამოიყენა. აქედან გამომდინარე, ისინი საქართველოს იარაღს არამც არ მიაწვდიდნენ.

ამას გარდა, ნატოს სახელმწიფოთა უმრავლესობა მაღალგანთვითარებული პოსტინდუსტრიული სახელმწიფოებია და სშინაო კონფლიქტების იარაღის ძალით გადაწყვეტა, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებ-

ლად მიაჩნია. აქედან გამომდინარე, ისინი არამც და არამც არ მიაწვდიდნენ იარაღს იმ ხელისუფლებას, რომელმაც საკუთარ ეროვნულ უმცირესობებთან და პოლიტიკურ მოწინააღმდელებებთან უთანხმოებების შეიარაღებული გზით გადაწყვეტა აირჩია.

შემდეგ, ნატო აფხაზეთის კონფლიქტისას საქართველოს არამც და არამც არ მიაწვდიდა იარაღსა და საჭურველს, იმიტომ, რომ არ ეცოდინებოდა ვის ხელში აღმოჩნდებოდა ეს ყველაფერი. შეს-ს მთავრობამ ანგოლის ანტიკომუნისტურ დაწყუფება „უნიტას“ დიდძალი თანხა გადაუხადა, რათა უკან გამოისყიდა 250 საზენიტო რაკეტა „სტინგრის“ გასშვები დანაღვარი, რომელიც თავის ძროშე ანგოლას გადასცა. მიზეზი: ამერიკა შემობდა, რომ შემდგომ ეს იარაღი ხელში ჩაუვარდებოდათ ამერიკისადმი მტრულად განწყობილ რეჟიმებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შეს-ს კარგად ეცოდინებოდა რა ვითარება სუვერენიტეტის შეიარაღებულ ძალებში აფხაზეთის ომისას, გასაგები გახდება, რატომ არ დაგვეხმარებ ეს სახელმწიფოები იარაღითა და საჭურველით. ის ადგილად შეიძლებოდა ჩავარდნილიყო ანტიამერიკულად განწყობილი რომელიმე რეჟიმის ხელში.

იმ „უწინიშვნელო“ ფაქტორსაც თუ არ შევეხებით, რომ თანამედროვე დასავლური იარაღის გამოყენებელი საქართველოში მაშინაც არავინ იყო (და არც დღესაც), ზემოთქმული მაიცც საქმარისი იქნება იმის გასაგებად, თუ რატომ არ დაგვეხმარა ნატო აფხაზეთის კონფლიქტისას.

### რატომ არ მონატილობს ნატო ავსტაზეთის ტანიტორიაზე სამშვიდობო რამარაცხვა?

ამ კითხვაზე ძირითადი პასუხი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: იმიტომ რომ ნატოს ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ამგვარ სამშვიდობო აქციებში ნატოს კოლექტიურ მონაწილეობას. ნატო შეიქმნა სააგარეო აგრესის შეკავებისათვის და არა იმიტომ, რომ მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო აქციებში დედამიწის ნებისმიერ რაიონში. ეს არა ნატოს, არამედ გაეროს პრეტორატივაა. რასაკირველია, ნატოს ცალკეულ ქვეყნებს გაეროს წესდების ფარგლებში შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ასეთ ოპერაციებში (და იღებენ კიდეც. დამკვირვებლების გაგზავნაც სამშვიდობო აქციებში მონაწილეობაა), მაგრამ ნატო, როგორც ასეთი, ვერ ჩაატარებს ამგვარ ოპერაციას თუ მას გაეროს მანდატი არ ექნება. ხოლო იმ საკითხის გარკვევა, მიიღებდა თუ არა ნატო ასეთ მანდატს უშიშროების საბჭოსაგან, როდესაც იქ რუსეთს ვეტოს უფლება გააჩნია, მკითხველისთვის მიგვინდია.

## რა უნდა გაპეტიღშ საქართველოს ნატოზი გამოშვრისანებისათვის

ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაირკვეს თავად ნატოს როლი საქართველოს ურთიერთობათა ახალ სისტემაში. დღეს საბოლოოდ ყერ კიდევ არ არის გარკვეული რა გზით წავა რუსეთი, ამიტომ გასაკვირი არ არის რომ ნატო სიფრთხილეს იჩენ თავისი ტრადიციული შემაკავებელი როლის გადასინჯვის საქმეში. ნატოს ახალ როლზე მხოლოდ ამგვარი გადასინჯვის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი. საქართველოსთვის ხელსაყრელია, რომ ნატოსთან თანამშრომლობა ამ ორგანიზაციის ახალი ამოცანების კონტექსტში წარიმართოს. ამგვარი თანამშრომლობისათვის კარგ ბაზის ქმნის ამერიკის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“<sup>1</sup>. ახლა მთავარია ჩვენმა სახელმწიფო უწყებებმა ერთხელ მაინც შეიმუშაონ სოლიდური პროგრამა ნატოსთან თანამშრომლობისა. ამგვარი პროგრამის ჩეალიზაცია საშუალება უნდა მოვცეს დაახლოებით ათი წლის შემდეგ მაინც ჩეალიზრი გახდეს საკითხის დაყენება ნატოსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის თაობაზე.

ამგვარი პროგრამა თავისთავად ვერ გადაწყვეტს საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს. ნატოში გაწევრიანებისთვის საჭირო პირობები საქართველოს გარეთ კი არა, მის შიგნით უნდა რეალიზდეს. იმისათვის, რომ ნატოს წევრი გავხდეთ, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნატო რომ დაგვეხმაროს, აუცილებელია ჩვენც ისეთივე სახელმწიფო ვიყოთ, როგორც ნატოში შემავალი ქვეყნები არიან. მხოლოდ მოწოდება, რომ რუსეთი გინაზე გაგავწევრიანეთ ნატოში, ყოველთვის დარჩება „ხმად მღალადებლისა უღაბნოსა შინა“.

ამიტომ კითხვას „რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნატო დაგვეხმაროს?“, ერთადერთი სწორი პასუხი აქვს: უნდა ვიყოთ ისეთივე ქვეყანა (დემოკრატიული, სტაბილური, საბაზო ეკონომიკით და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლით), როგორც ნატოს წევრი ისახელმწიფოები არიან. ესაა სულ...

<sup>1</sup> კლინტონის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ნატოს სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა. პროგრამა გულისხმობს თანამშრომლობის სისტემის შექმნას ნატოს და მასში არმენიალ ევროპულ სახელმწიფოებს შორის. ამასთან, ყველა სახელმწიფომ ინდივიდუალურადაც უნდა განსაზღვროს, რა სფეროებში ითანამშრომლოს ნატოსთან.

## ბატასტროზების თეორია და პრეტპომუნისტური სამყარო

როგორც ცნობილია, მათემატიკის არსი ზოგადი კანონების აღმოჩენა-ში მდგომარეობს; კონკრეტულ საგნებთან მათ საქმე არა აქვს. ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია, სულ ერთია, კვერცხებს დავითვლით თუ გემებს.

თუმცა, გასულ საუკუნეში სუფთა მათემატიკისაგან განასხვავებდნენ მათემატიკის გამოყენებით დარგებს, რომლებიც მხოლოდ გემებს, ან წის-ქვილებს, ან სხვა ასეთებს ემსახურებოდნენ. მაგრამ უკვე ჩვენს დროში, როდესაც მიქრო და მაკროსამყაროს ინტენსიური კვლევა გაიშალა, გა-მოირკვა, რომ სუფთა მათემატიკა, თავისი ეგზოტიკური გამონაგონებით, იქნება ეს ირაციონალური რიცხვები თუ მრავალგანზომილებიანი სივრ-ცევები, გაცილებით უკეთ ართმევს თავს ახალ ამოცანებს, ვიდრე წმინ-და პრაქტიკული მიზნებისათვის შექმნილი გამოყენებითი დარგები.

კატასტროფების თეორიაც წმინდა მათემატიკას განეკუთვნება. პირ-ველად მის შესახებ ფართო საზოგადოებამ 70-იანი წლების დასაწყის-ში შეიტყო<sup>1</sup>. პოპულარული უურნალები „ტაიმი“, „ნიუსუიკი“ და სხვე-ბი წერდნენ მათემატიკში მომხდარ გადატრიალებაზე, კატასტროფების თეორიას აცხადებდნენ უზივერსალურ იარაღად მეცნიერული კვლევი-სათვის. და მართლაც, გაჩნდა ასობით სერიოზული და არცოუ ისე სერიოზული პუბლიკაცია, სადაც კატასტროფების თეორიის აპარატს უსადაგებდნენ ემსახუროვიასა და ფსიქოლოგიასა, კარდიოლოგიასა და ლინგვისტიკას, სოციოლოგიასა და გეოლოგიას. მეტიც, ახალი თეო-რია სულ მთლად მოულოდნელ სფეროებს გადასწვდა. ფსიქიკურ აშ-ლილობებს, პატიმართა ამბოქებებს, ბირჟაზე მოთამაშეთა ქცევას, მძღო-ლებზე ალკოჰოლის გავლენას და ასე განსაჭერ, ეროტიკულ ლიტერა-ტურაზე ცენზურის დაწესების კანონზომიერებებსაც კი...

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ, მიუხედავად ცოტა არ იყოს შესაში-ნებელი სახელწოდებისა, კატასტროფების თეორია არ სწავლობს მხო-ლოდ ჩერნობილის ან „ტიტანიკის“ დაღვების ტიპის მოვლენებს. ტერ-მინი „კატასტროფა“ მეცნიერებაში 60-იანი წლების ბოლოს დანერგა ფრანგმა მათემატიკოსმა რ. ტომმა. ეს ცნება ასე განისაზღვრება: ობი-

<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ „კატასტროფების თეორია“ ადრეც არსებობდა, თუმცა სრულიად სხვა სფეროში. მისი ავტორი იყო ცნობილი ფრანგი ანატომი და პალეონტოლოგი ჟორჟ კოუპი (1769-1832). ამ, დღეისათვის უარყოფილი თე-ორიის მიხედვით, დედებიწაზე პერიოდულად ხდება გლობალური კატასტროფე-ბი, რის შედეგადც პლანეტაზე მთლიანად იცვლება ფლორა და ფაუნა.

ექტის ხარისხობრივი ცვლილება ამ ობიექტზე მოქმედი პარამეტრების თანაბარი, თანამდებობითი ცვლილებებისას.

მარტივი მაგალითი: წარმოიდგინეთ ლითონის ღრეული, ფირფიტა, ვთქვათ, სახაზავი, რომელიც ოდნავ ამონექილ მდგომარეობაშია დაფიქსირებული. თუ მას თითოთ დავაწევბით, ჩვენი სახაზავი ერთხანს წინააღმდეგობას გაგვიწევს, შემდეგ კი ერთბაშად, ნახტომისებურად შეიცვლის მდგომარეობას, რამდენიმე წმის იყანყალებს და ბოლოს მეორე მხარეს ჩანსექილ პოზიციაში „დაწყისარდება“. მოხდა „კატასტროფა“ - სისტემამ ნელი და თანაბარი ზემოქმედების შედეგად მკვეთრად იცვალა მდგომარეობა.

დაკარივებული მეოთხევლი შენინაშა, რომ კატასტროფების თეორია გარკვეულწილად ეხმანება ჰეგელის დიალექტიკის მეორე კანონს, რომელიც რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლას ეხება. მაგრამ თუ ფილოსოფოსის დებულება წმინდა გონიერებაზე კვრეტით სკეულაციას წარმოადგენდა, კატასტროფების თეორია მეცარ მათემატიკურ საფუძველს ეყრდნობა.

ასაკვირველია, კატასტროფების მათემატიკური თეორიის ასებობა თავისთვალისწილების არ გამორიცხავს კატასტროფებს. ყოველგვარი თეორიის გარეშე ცხალია, რომ უსაფრთხოების ტექნიკის უგულვებელყოფა, სპეციალისტების კომისიერენტურობის ღონის დაცვა საბედისწეროდ ზრდის კატასტროფების ალბათობას. როდესაც მართვის სისტემაში უკუკავშირები გაწყვეტილია, როდესაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს დებულობენ პირები, რომლებიც მათ შედეგებზე არავითარ იურიდიულ თუ მატერიალურ პასუხს არ აგებენ, კატასტროფები გარდაუვალი ხდება (ამის კარგი მაგალითია საბჭოთა რევიმი); იმის ან ეროვნული შურლის გამარტინებლებს ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ პირადად ისინი შედეგებზე პასუხს არ აგებენ (სამწუხაოდ, ხშირად ასეც ხდება). კატასტროფების თეორიისათვის ეს ელემენტარული ჟეშმარიტებებია.

მაგრამ თეორია პროგნოსისაც იძლევა. მეცნიერებმა, რომლებიც დაპირისპირებული ბლოკების სამხედრო პოტენციალის ზრდას, ე. წ. „გა-მალებულ შეიარაღებას“ სწავლობდნენ, ჯერ კიდევ 60-იან წლებში იწინასწარმეტყველებს, რომ განყოფადი ქობინების დანერგვა სტრატეგიული წრინასწრობის დარღვევას გამოიწვევდა. მათვე შეიძულებეს პროგნოზი, რომ თუ ეს სახიფათო მდგომარეობა დიპლომატიური გზით მოგვარდება, შეიარაღების შემდგომა გაძირებამ სიტუაციის სტაბილიზაციას შეიძლება შეუწყოს ხელი.

კატასტროფების თეორიის საფუძველზე, „პერესტროიკის“ დაწყებამდე დიდი ხნით აღრე, შემუშავდა თეორიული მოდელი, რომელიც აღწერს რთული, მათ შორის სოციალური სისტემების ტრანსფორმაციის კანონზომიერებებს. საბჭოთა სახელმწიფოს სტუქტურა განეკუთვნებოდა მდგრად, მაგრამ „ცუდ“ მდგომარეობაში მყოფ სისტემებს; „ცუ-

დს“, ვინაიდან „მხედველობის არქში“ არსებობდა და არსებობს უკეთეს მდგომარეობაში არსებული სისტემები.

აი, დასკვნები „ცუდი“ სისტემების ქცევის შესახებ, (ძელია არაა იმის შემჩნევა, რომ ჯერ-ჯერობით მოვლენების მსვლელობა, როგორც მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე საქართველოში, პრაქტიკულად ემთხვევა წინასწარმეტყველებას):

1. უკეთესი მდგომარეობისაკენ თანდათანიბოთ მოძრაობა მაშინვე იწვევს გაუარესებას. გაუარესებას სისტრაფე უკეთესი მდგომარეობისაკენ თანაბარი მოძრაობისას იზრდება.

2. ცუდი მდგომარეობიდან უკეთესისაკენ მოძრაობისას სისტემის წინააღმდეგობა იზრდება.

3. წინააღმდეგობის მაქსიმუმი მიიღწევა უფრო ადრე, ვიდრე ყველაზე უარესი მდგომარეობა, რომლის გავლაცაა საჭირო უკეთესის მისაღწევად. წინააღმდეგობის მაქსიმუმის გავლის შემდეგ მდგომარეობის გაუარესება გრძელდება.

4. ყველაზე უარეს მდგომარეობას მიახლოებასთან ერთად წინააღმდეგობა, გარკვეული მომენტიდან დაწყებული, შესუსტებას იწყებს; მას შემდეგ, რაც ყველაზე ცუდი მდგომარეობა გავლილია, წინააღმდეგობა არათუ მთლიანად ქრება, არამედ სისტემა „მიიზიდება“ უკეთესი მდგომარეობისაკენ.

5. სუსტად განვითარებულ სისტემას შეუძლია უკეთეს მდგომარეობის გადასვლა თითქმის წინასწარი გაუარესების გარეშე, მაშინ როდესაც განვითარებულ სისტემას, თავისი მდგრადობის გამო, ამგვარი თანდათანიბითი, განუწყვეტელი გაუმჯობესების უნარი არა აქვს.

6. თუ ხერხდება სისტემის უცებ, ნახტომისტურად (და არა თანდათანიბით) გადაყვანა ცუდი მდგრადი მდგომარეობიდან უკეთესთან საკმაოდ ახლოს, შემდგომში იგი თავისთავად ვითარდება უკეთესი მდგომარეობისაკენ.

(აქ შეიძლება გავიხსენოთ ომისშემდგომი და 50-იანი წლების, „ნეორეალიზმის ხნის“ იტალია, სადაც სუფეს სიღატაკე, უმუშევრობა, დევრესა და აპათია; მაგრამ შემდეგ, საკმაოდ მოკლე დროში ქვეყანაში აღმავლობა იწყება და მაღლე იგი დასავლეთის აღიარებულ ლიდერებსაც კი ავიზრობს. როგორც ერთმა გონგბამახვილმა იტალიელმა აღნიშნა, „არ ვიცი, რა გვევლებოდა, კარგად ცხოვრება რომ არ დაგვეწყო“).

როგორც ვხედავთ, პროგნოზი პრინციპში ოპტიმისტურია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევოლუციის მიმართულება ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული არაა. სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ ცუდი სისტემა ან ასეთივე ცუდით, ან კიდევ უარესით შეიცვალოს. ეს, ძირითადად, იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სისტემას, ამ შემთხვევაში საზოგადოებას, არ აღმოაჩნდება ან დაკარგული აქვს თვითორგანიზაციის უნარი, პოტენციალი. მხურვალე იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ საქართველო ასეთი სისტემების რიცხვს არ განექუთვნება.

## მუნიციპალიტეტი ქალაპი ეთნიკურ და ნაციონალურ პოლიტიკური

სტატიის მიზანს არ წარმოადგენს მშვიდობისდაცვითი პრობლემა-ტიკის ამომწურავი ანალიზი, ამ ამ სოფეროში იღეალური სქემის შექმნა. გვინდა მხოლოდ გამოვყოთ რამოდენიმე არსებითი პრობლემა, რომელსაც აწყდება საერთაშორისო თანამეგობრობა გახშირებული ეთნო და ნაციონალური კონფლიქტების ფონზე. ამასთან, გავტედავ და ჩამოვაყალიბებ მათი დაძლევის შესაძლო ვარიანტებს.

პარადოქსია, მაგრამ ცივი ომის ეპოქის დასრულება არ აღმოჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების ჰარმონიზაციის მომტანი. ღია კონფლიქტების რაოდენობა მსოლიოში არა თუ მცირდება - მატულობს კი-დეც. საბჭოური კოლოსის დამხმამ გარკვეული პოლიტიკური დისბადანის წარმოშვა. მითოლოგიურ ხატებს თუ დავესესხებით, პროცესი შეიძლება განვითარული გეოლოგიაპის კულის ბოლო მოქნევას შევადაროთ. ადვილი შესაძლებელია, რომ ურჩხულის კონვულსია საბედისწერო აღმოჩნდეს მსოფლიო დრამის მაყურებელთათვის.

ყოფილი სოციალისტური ბანაკი იქცა მიმდინარე თუ პოტენციური სისხლიანი შეჯახებების არენად. თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების ფონზე კი ყოველი ასეთი კონფლიქტი გლობალური კატაკლიზმის მარცვლების მატარებელია. მახვილი გონების მქონე არაერთი ადამიანის აზრით, ბალკანით კვლავ რჩება რეგიონული (და იქნებ მსოფლიო) განხეთქილების ვაშლად<sup>1</sup>. იგივე შეიძლება ითქვას კავკასიაზე და რიგ სხვა რეგიონებზე.

ამერიკად შორს წაგვიყვანდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ფუნდამენტური პარადიგმების ძიება. რაც არ უნდა იყოს პოლიტიკურ პროცესთა ძირითადი დეტერმინანტა - ადამიანის უფლებათა საყვაელ-თაო აღიარება, ნაციონალიზმის ახალი ტალღა, ცივილიზაციათა დაპირისპირისარება თუ ჩრდილოეთ-სამხრეთის სოციალ-ეკონომიკური უთანასწორობა - ფაქტია, რომ უახლოეს პერსპექტივში სწრაფი კლება მოსა-

1. The Former Yugoslavia: Emerging security orientations. F. Stephen Larrabel. p. 195. Central and Eastern Europe - The Challenge of Transition. Edited by Regina Karp. SIPRI. Oxford University Press. 1993;

The Bigger Balkan Conflict. By Mark Marovez. Balkan War Report. Bulletin of The Institute for War and Peace Reporting. March/April 1994.

ლოდნელი არაა. სამხედრო ჩარევა კი კვლავ რჩება პრობლემათა გა-დაჭრის ერთ-ერთ არსებით მექანიზმად.

ასეთ ვითარებში აქტუალობას ინარჩუნებს მშვიდობისდაცვითი ძალებით საერთაშორისო, რეგიონალური თუ სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების სისტემების შემდგომი განვითარების თემა. რეალობა გვიბიძებს, რომ უიარაღო მსოფლიოზე ოცნების პარალელურად ვიზრუნოთ „თოფიანი კაცის“ ოპტიმალური მოდელის ძიებაზეც. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები აჩვენებს, რომ ამ სფეროში არსებობს რიგი გამოუყენებელი რეზერვებისა, რომ მშვიდობისდამცველი თუ მშვიდობისშემქმნელი მექანიზმები შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

\*  
\*      \*

სანამ დედამიწა ნაციონალური საზღვრებითაა დასერილი და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თემაც საერთაშორისო პოლიტიკის დომინანტად რჩება, საერთაშორისო მშვიდობისდაცვითი მექანიზმებიც ამ რეალობის გათვალისწინებით იქმნებიან. ყოფითი ლოგიკაც კმარა იმის გასაცნობიერებლად თუ როგორ ართულებს ყოველივე ეს სამშვიდობო მისიების შესრულებას; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესამუშავებელი ხდება სქემა, რომელიც მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს როგორც საერთაშორისო თანამებობრიბის, ისე ინდივიდუალურ სახელმწიფოთა ინტერესებს, ოპტიმალურად ითავსებდეს ზოგადისა და ცალკეულის რთულ დიალექტიკას.

გაეროს წესდების შესავალ ნაწილშივე ნათევამია, რომ შეიარაღებული ძალა მხოლოდ საერთო ინტერესების თანახმად უნდა გმირიყენებოდეს. ეს, თავისთავად აუცილებელი, ზოგადდემოკრატიული პრინციპი კი ფლობს მშვიდობისდაცვითი ძალების შემაფრხებელ თვისებას. ნათევამი უფრო ნათელია წესდების 43-ე და 47-ე სტატიების შუქჟე; ამ სტატიათა თანახმად მშვიდობისდაცვითი საერთაშორისო ძალების კომპლექტაცია, ამოქმედება თუ ხელმძღვანელობა სპეციალური შეთანხმებების პრეროგატივაა; ასეთი შეთანხმებები კი - იმავე 43-ე სტატიის თანახმად - რატიფიცირებული უნდა იქნას მასში მონაწილე ნაციონალური სახელმწიფოების მიერ, ამ სახელმწიფოებში მიღებული კონსტიტუციური პროცედურების თანახმად<sup>2</sup>. ასევე არსებითად პარიტეტულ და ნაციონალურ სახელმწიფოთა ნებასურვილზე დამოკიდებულ სახეს ატარებს CSCE-ს თუ EC-ს ფარგლებში მოქმედი მშვიდობისდაცვითი მე-

<sup>2</sup> Устав Организации Объединенных Наций. М. 1992

ქანიზმებიც. ამ მექანიზმთა დახასიათება რომ არ გაგვიგრძელდეს საკ-მარისი იქნებოდა Jennone Walker-ის სიტყვების მოყვანა; Decisions about whether to sanction or participate in military action will be taken by each national government, on a case-by-case basis<sup>3</sup>.

როგორც ვთქვით, ამგვარი პრაქტიკა დემოკრატიულობის იდეალებს ეფუძნება, მაგრამ ასევე ცხადია მისი „მოუხერხებლობა“ გახშირებული ეთნოკანონლიქტების, აღამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სახელმწიფოები, რომელთა ხელშიც თავმოყრილია გაეროს თუ სხვა რომელიმე საერთაშორისო იარღიყის მქონე სამშიდობო ძალთა კომპლექტაციისა და გამოყენების ბერკეტები, ვერ უარყოფენ თავი-ანთ ნაციონალურ ინტერესებს. ნაციონალური ინტერესები კი შეიძლება დისონანსში მოვიდეს ამა თუ იმ კონფლიქტის სწრაფად ჩაქრობის საერთაშორისო მიზანთან. სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო თავს იკავებს სამშვიდობო ოპერაციები მონაწილეობისაგან ან იღებს გადაწყვეტილებას კონფლიქტის ზონიდან თავისი სამშვიდობო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ.

მაგალითისათვის კმარა აშშ-სა და რიგი სხვა სახელმწიფოების მე-თაურთა განზრახვა სომალიდან საკუთარი ქვეგანაყოფების გაყვანზე<sup>4</sup>. ასევე ცნობილია აშშ-ს აღმინისტრაციის თავმეკავებული დამოკიდებულება იუგოსლავიის ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნასთან დაკავშირებით. არანაკლებ ძნელი იყო რუსეთის დათანხმება ანალოგიურ ოპერაციებში მონაწილეობაშე<sup>5</sup>. ამა წლის 23 სექტემბერს კი ელინმა განაცხადა, რომ მიუხედავად შეთავაზებისა, რუსი ჯარისკაცები არ გაემგზავრებიან ჰაიტიზე.

კიდევ უფრო სერიოზული პრობლემაა, როდესაც ჩნდება მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი ეჭვი სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე ამა თუ იმ ქვეყნის მიუკერძოებლობაში; ბოსნიელებმა შეკარა უკმაყოფილებით

<sup>3</sup> European Regional Organisations and Ethnic Conflicts. Jennone Walker p. 64 Central an Eastern Europe - The Challenge of Transition. Edited by Regina Cowen Karp. SIPRI. Oxford University Press. 1993.

<sup>4</sup> USIA Wireless File November 16, 1993.

<sup>5</sup> European Regional Organisations and Ethnic Conflicts. Jenonne Walker. p. 65. Central and Eastern Europe... ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია თავშეკავება, რომლითაც აშშ-ში შეხვდენ საქართველოს ვარაუდებს აფხაზეთში ამერიკელი ჯარისკაცების გამოგზავნის თაობაზე.

<sup>6</sup> Why are we in Bosnia? by Pavel Felgenhauer. Balkan War Report...

აღიძეს რუსული სამშვიდობო ბატალიონის განლაგება სერბების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე<sup>7</sup>. საბერძნეთი განსაკუთრებული შეურიგებლობით უყურებს ბოსნიში თურქული კონტიგენტის განლაგების მცირეოდენ შესაძლებლობასაც კი<sup>8</sup>. რუსეთის სამხედრო მისიები აფხაზეთში, ყარაბაღში და ტაჯიკეთში კი თავად რუსული საზოგადოების მიერაც არ მიჩნევა კლასიურ მშვიდობისდაცვით ოპერაციად და რიგ შემთხვევებში კონფლიქტში მონაწილეობადაც აღიძება<sup>9</sup>. (ნიშანდობლივი ფაქტებითაა აღსავს რუსი სამხედროებისა და გაეროს დამკვირვებლების ურთიერთობა აფხაზეთში; გაეროს მისიის სურვილზე - გაკონტროლებულიყო რუსული კონტინგენტის მოქმედებაც - რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა იაკუშევმა განაცხადა, რომ რუსი ჯარისკაცების კონტროლი მხოლოდ მისი ფუნქციაა)<sup>10</sup>. ამავე რიგის მაგალითებს განეკუთვნება რუსნდელთა უკმაყოფილება სამშვიდობო მისამი ფრანგული კონტინგენტის მონაწილეობის გამო.

სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისაგან თავის არიდების, თუ ამგვარ ოპერაციებშე მონაბოლიური უფლების მოთხოვნის მიზნები ყბა-დალებულ ნაციონალურ ინტერესებშია. ეს ინტერესები განსხვავებული ფორმებით ვლინდება და გაიგება. ორივე შესაძლო ვარიანტი ხელს ვერ უწყობს კონფლიქტის ჩაქრობას - ტოვებს მასში მონაწილეობ რეალური „გამშველებლის“ გარეშე, ხოლო ზოგჯერ კონფლიქტის ესკალაციასაც იწვევს.

ამდენად, ცავია, რომ რიგ შემთხვევებში სახეზეა საერთაშორისო ჰუმანიტარული მიზნებისა და ნაციონალური ინტერესების დაპირისპირება მშვიდობისდაცვით პროცესში.

პრობლემის დაძლევის, სამშვიდობო მისიათა პროცესტიულობის ამაღლების გასაღებს შესაძლოა მშვიდობისდაცვითი ძალების რეფორმირებაც წარმოადგენდეს. სასურველად მიმჩნია რეფორმის წარმართვა ამ ძალთა „დენაციონალიზაციის“ მიმართულებით. სიახლეს არ წარმოადგენს კეთილი სურვილი, რომ მომავალში ერთადერთ შეიარაღებულ სტრუქტურად დარჩეს მქაცრ საერთაშორისო კონტროლს დამორჩილებული და ოდენ პოლიციური ფუნქციების მქონე ფორმირება<sup>11</sup>. მართალია ამგვარი სურვილიდან რეალობამდე დიდი მანძილია, მაგრამ ზრუნვა

<sup>7</sup> Novo Sarajevo. By Rahrudin Djapo. Balkan War Report...

<sup>8</sup> The Bigger Balkan Conflict. By Mark Mazover. Balkan War Report...

<sup>9</sup> Why are we in Bosnia...

<sup>10</sup> Красная звезда. 1994 г. (1.09)

<sup>11</sup> Военная сила; Размышления о ее свойствах и месте в современном мире. Институт мировой экономики и международных отношений. Наука М 1992г.

ნაციონალურ მთავრობისაგან დამოუკიდებელი, ჭეშმარიტად ნეიტრალური სამხედრო სტრუქტურის შექმნაზე დღესვე შეიძლება. „გაეროს არ-მიას“ შესაძლოა ყავდეს მუდმივი ხელმძღვანელობა და ბირთვი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება გაეროს უმაღლეს სამოქალაქო სტრუქტურებს. მის რიგებში შემსვლელი გაივლის უმჯაცრეს შერჩევას - უპრინციპო ავანტიურისტთა განთხევის მიზნით. არა გვგონია ასეთმა ფორმირებამ კადრების ნაკლებობა განიცადოს. როგორც ჩარლზ ფერბერნესი ამბობს, There's a lot of military equipment around the world, but they aren't where they're needed<sup>12</sup>.

ასეთი ფორმირება მრავალრიცხოვანი ვერ იქნება. მისი გამოყენება გაროულდება ფართომასტაბიან კონფლიქტში, რომელშიც უშუალოდაა აქტუალიზებული დიდი სახელმწიფოების ინტერესები. მაგრამ ამგვარი კონფლიქტის აცილება ან გადაწყვეტა სხვა მექანიზმებითაც შეიძლება. საამისოდ არსებობს მსოფლიოს წაყვანი ქვეყნების ეფექტური თავდაცვითი სისტემები. ისეთ ლოკალურ ცხელ წერტილში კი, როგორიც ჩუანდა, აფხაზეთი თუ ყარაბახია, მცირერიცხოვანი საერთაშორისო არმიის მოქმედება უფრო რეალურად მოიაზრება. სავარაუდოა, რომ სახელმწიფოებს ნაკლები საბაზი ექნებოდათ იმისათვის, რათა დაედანა-შაულებინათ გაეროს დენაციონალიზებული არმია მიკერძოებაში, ამა თუ იმ მხარისათვის პრიორიტეტის მინიჭებაში. გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები უფრო გაძელულად გასცემდნენ სანქციას ასეთი სტრუქტურის ამოქმედებაზე, რადგან შემცირდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის ამომჩეველთა უკავიოფილების პერსპექტივაც - ასეთი უკავიოფილება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ესა თუ ის ნაციონალური ქვედანაყოფი „ცხელ წერტილში“ იმყოფება.

სავსებით დასაშვებია, რომ გაეროსა თუ CSCE-ს ფარგლებში ამგვარი ნეიტრალური სამხედრო სტრუქტურის ფორმირება პოლიტიკური ხასიათის სირთულეებს წააწყდეს. ეს სირთულეები ისევ დიდი სახელმწიფოების ინტერესებით იქნება განპირობებული. მაგრამ ამ პროცესის დაწყება შეიძლება რეგიონალურ თუ სუბრეგიონალურ ფარგლებშიც. საბედნიეროდ, ამის გამოცდილება თუ არა, მცდელობის პრეცენდენტები მაინც არსებობს; ბალტიისირეთში სცადეს ნაციონალურ თავდაცვის სამინისტროებს დაუქვემდებარებელი ერთიანი სამხედრო ნაწილის შექმნა. ანალოგიური სურვილები გამოითქმის საქართველოს პოლიტიკურ წრე-

12. Current situation in Georgia and implications for US policy. Briefing of the Commission on Security and Cooperation in Europe. Washington DC. October 1993. p. 4.

ეშიც. სამწუხაროდ, ბალტიისპირეთში ეს საქმე უსახსრობამ ჩაშალა, საქართველოში კი ამ იდეით ავანტიურისტული ელექტრები სპეცული-რებები<sup>13</sup>. არადა, ამ იდეის რაციონალური ელექტრების გაღვივებას ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება და დახმარება.

მუდმივი ინტერნაციონალური არმიის არსებობა არ უპირისპირდება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპს; ამის გარანტია, როგორც გაეროს, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წესდებებსა და რიგ საერთაშორისო საერთაშორისო დოკუმენტებშია - ყველა შემთხვევაში საერთაშორისო ჰუმანიტარული ინტერვენცია მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებშია შესაძლებელი.

მშვიდობის დაცვის არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კონკრეტულ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი (ან ორივე) მხარის სამხედრო სისუსტე. ჩარლზ ფერბერნის არაა ორიგინალური მტკიცებისას, რომ The places where there are no armie are extraordinary vulnerable to intervention by these States that have the skeletons of armies<sup>14</sup>. ბუნებრივია, რომ სუსტი, ცუდად შეიარაღდებული და გაუშვინონელი სამხედრო ძალა ვერ იცავს ქვეყნას პოტენციური თუ რეალური აგრძელებისაგან, შიდანაციონალური ეჭსტრე-მიზმისაგან - რაც ზრდის სამოქალაქო მოსახლეობის ძირეული უფლებების შელახვის რისკს.

ამავე დროს, სუსტი არმია თავადაა მრავალი პრობლემის გამჩენი ხელისუფლებისა თუ ხალხისათვის. ამ შემთხვევებში სისუსტეში იგულისხმება არა მცირერიცხვანება, არამედ სტრუქტურული ამორფულობა, ხელისუფლებაზე დაქვემდებარების მექანიზმების თუ სუბორდინაციის არასებობა. აქსიომაა, რომ ამგარი თვისებების მქონე კვაზიარმიები გულადობას უფრო საკუთარ მოსახლეობასთან იჩენენ, ვიდრე გარეშე აგრძელებას ბრძოლის დროს. ისინი მუდიმვად ქმნიან სამხედრო გა-დატრიალების საფრთხეს - წარმოადგენ დაბრკოლებას დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

არადისციპლინირებული ფორმირებები კონფლიქტთა წარმომშობ თუ ხელისშემწყობ ერთ თვისებასაც ფლობენ: არაერთხელ ყოფილა, რომ კონფლიქტის მონაწილე პილიტიკოსთა შორის ძლივს გაღვივებული კეთილი ნება გაუცივებია პარტიზანული რაზმების მეთაურთა თვითნებობას. ასეთი „არმიების“ არსებობის პირობებში განსაკუთრებით ძნელია

<sup>13</sup> სამშვიდობო ძალების ფორმირებების სურვილი განაცხადა საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თ. კიტოვანმა, რომელიც საკუთარი არმიის ყოლის იდეითაა შეპყრობილი.

<sup>14</sup> Current situation in Georgia and implications for US policy... p. 4.

ცეცხლის შეწყვეტაზე მიღწეული შეთანხმებების დაცვა.

სუსტი, არასამხედრო ფორმირებების მიერ გამოწვეული პრობლემებით აღსავსეა კაცობრიობის ისტორია თუ თანამედროვეობა. მაგალითისათვის საქართველოც ქმარა; დღემდე გაუხსნელია ნაირფერი ქართული პარასამხედრო ფორმირებების აფხაზეთში შესვლისა და ამოქმედების მექანიზმი. ასევე გაურჩეველი რჩება, თუ ვინ აგებს პასუხს ამ ფორმირებათა მიერ როგორც არაქართული, ისე ქართული მოსახლეობის დარბევის მრავალრიცხოვან ფაქტებზე.

მეორეს მხრივ, მეტ-ნაკლებად გაწვრთნილი და ხისტი სტრუქტურის შემნერა არმიის არსებობის დროს შიდაპოლიტიკური კრიზისები ჩემირად უფრო რბილ ფორმებში მიმდინარეობს. შეუძლებელია, რომ დღეს რუსეთში მიმდინარე პროცესებს აუღელვებლად უცქირო, მაგრამ არის რაღაც ლოგიკა ვ. სერებრიინიკოვის სიტყვებში, რომ რუსული არმიის დისციპლინირებულობა აფერხებს რევოლუციური პროცესის გადაზრდას შეიარაღებულ ბრძოლაში<sup>15</sup>.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ NATO, CSCE არ არიან დაინტერესებულნი არასტაბილური ქვეყნების სამხედრო სტრუქტურების ჩამოყალიბებით. სულ უფრო აქტუალიზდება დასავლეთ-აღმოსავლეთის სამხედრო ძალების ერთიანი საწროვნელი ვარჯიშების აუცილებლობის იდეაც<sup>16</sup>. და მაინც, ამ სფეროში გასაკეთებელი ბევრად სჭარბობს გაკეთებულ. საერთაშორისო ორგანიზაციებს მეტი გაბედულება მართებთ ახალგაზრდა სახელმწიფოთა უსაფრთხოების სისტემათა ფორმირების საქმეში. ეს თემა შეიძლება კვლავ ჩარლზ ფერბენჯისის სიტყვებით დასრულდეს; The most important thing we could do for security in those areas, is to create real armies, or to help them with that, or to help our friends since we have good reasons not to do it ourselves<sup>17</sup>.

<sup>15</sup> Рецензия на книгу "Военная сила; Размышления о ее свойствах и месте в современном мире." Мировая экономика и международные отношения 1994г. №2 стр. 158.

<sup>16</sup> European Regional Organisations and Ethnic Conflicts. Jennone Walker p. 65. Central and Eastern Europe...

<sup>17</sup> Current situation in Georgia... p. 4.

\*  
\*      \*

საერთაშორისო, რეგიონული თუ ნაციონალური უსაფრთხოების სისტემათა გაუმჯობესების პროცესში ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების დიდი მრავალფეროვნებაა შესაძლებელი. როგორც წერს ჭენონ უალკერი, სამშვიდობო ძალების იარღიყი შეიძლება იცვლებოდეს კონკრეტული ვითარების თანახმად და არც იარღიყთა კომბინირებული ვარიანტია გამორჩიცხული<sup>18</sup>. ამ სფეროში პრაგმატიზმი, მანევრირება აუცილებელია და მთ უფრო შესაძლებლად მიგანია მუშაობა სამშვიდობო ძალების, უსაფრთხოების სისტემების ჩატორმირებაზე იმ მიმართულებებით, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

გამორჩიცხული არაა, რომ კონფლიქტური რეგიონის მეზობლად მდებარე ამა თუ იმ ქვეყნის ნაციონალურმა თუ სტრატეგიულმა ინტერესებმა შეაფერებს დენაციონალიზებული სამხედრო ფორმირების თუ ადგილობრივი არმიების შექმნის პროცესი, გაეროს თუ სხვა სახელმწიფო-თშორის სტრუქტურებსაც ბოჭას მაშინ წარმოდგენილი სახელმწიფოების პირადი ინტერესების წნევი. ფაქტია, რომ CSCE, UN განსაკუთრებულად ფრთხილობენ, რომ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე აქტივობით არ შელახონ რუსული პოლიტიკური ელიტის პატივმოყვარეობა<sup>19</sup>. ჩვენი პრინციპით, სწორედ აქ იმღება არასამთავრობო ორგანიზაციონული აქტივიზმისაცის ასპარეზი. ფაქტია, რომ ასეთი სტრუქტურები არ არიან შეზღუდული ამა თუ იმ ნაციონალური მთავრობის მიერ დეკლარირებული „ინტერესებით“ და მათ მეტი პროპაგანდისტული თუ პრაქტიკული აქტიურობა შეუძლიათ. რა თქმა უნდა, შეუდარებლად მცირეა არასამთავრობო ორგანიზაციათა მატერიალური წონა, მაგრამ მათ გააჩნიათ საკმარისი მორალური გავლენა ახალი იდეების პროპაგანდირებისათვის. მატულობს არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელმწიფოთშორის სტრუქტურებზე ზეგავლენის საშუალებებიც. ისინი სულ

<sup>18</sup> აღსანიშვნავია აშშ-საფრანგეთის მაღალი ჩინების მოლაპარაკება ბოსნიაში WEU-ს სახელეთო ჭარებისა და შეშ-ს ავიაციის შესაძლო თანამშრომლობაზე. European Regional Organisations and Ethnic Conflict. Jennone Walker. p. 65. Central and Eastern Europe...

<sup>19</sup> აღსანიშვნავია, რომ აფხაზეთში მდგომი რუსეთის სამშვიდობო ჭარების სარდლის განცხადებას, რომ იგი არ დაუშვებს საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ რუსული ქვეგანაყოფების კონტროლს, მოყვა გაეროს გენ. მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ბრუნერის განცხადება, რომ დამკვირვებლები აღარ გააკონტროლებენ რუსულ სამშვიდობო ძალა მოქმედებას აფხაზეთში. Georgian chronicle. July 1994.

უფრო დიდი აღიარებით სარგებლობენ გაეროს სტრუქტურებში. ამის მაგალითია Round Table "On preventive Diplomacy and UN-s Agenda for Peace" hosted by international Alert and the National Institute for Research Advancement of Tokyo in cooperation with UN University which was held at the UN in Jenuary of 1993. ამ შეხვედრაზე აღინიშნა გაეროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობის გაღმავების საჭიროება. შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს მაღალი ჩინის წარმომადგენლები<sup>20</sup>.

გარდა მუდმივი აგიტაციური წენების ორგანიზებისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება იტვირთონ პრაქტიკული საქმიანობა უსაფრთხოების სტრუქტურათა ჩეფორმირების დარგშიც. ეს შეიძლება გამოიხატოს მშვიდობისდაცვითი თუ ნაციონალური შეიარაღებული ძალების ინსპექტირებაში (რაც გაეროსაგანაც კი დიდ ტაქტს მოითხოვს), როგორც დემოკრატიულ მოთხოვნათა, ისე ნაციონალური უსაფრთხოების საჭიროებათა დეველოპმენტიური სამსახურო მშენებლობის პროგრამების მუშავებმა (იქნება ეს არმიული წესდებები თუ სხვ.), სათანადო სასწავლო კურსების მოწყობაში და ა. შ.

ყოველივე ზემოდნათქვამის სუმირებისას შეიძლება ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა მეტად უნდა გაუწიონ ანგარიში სამყაროს ძველ, მაგრამ ჯერაც მოქმედ პოლიტიკურ რეალიებს. სახელმწიფოთშორის პოლიტიკურ ურთიერთობებში ჯერაც პრევალირებს შეიარაღების, სახელმწიფო სტრუქტურათა მშენებლობის, ნაციონალური თუ სტრატეგიული ინტერესების თემა. ასეთ ღრის მათი იგორირება, სწრაფვა უიარაღო და უსაზღვრო მსოფლიოს ამ წუთიერი შექმნისაკენ ნაკლებფექტურია. ბევრად პროდუქტიული იქნებოდა ძალისხმევის მიმართვა ტრადიციული სამსახურო და პოლიტიკური კატეგორიების ჰუმანისტურ იდეალებთან ადაპტირებისაკენ.

ჩვენის აზრით, გზა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჰუმანიზაციისაკენ ძველი, „ჟანგმოდებული“ სამსახურო და დიპლომატიური არსენალის არა უარყოფაზე, არამედ გამოყენებასა და თანდათანობით ჩეფორმირებაზე გადის.

<sup>20</sup> International Alert. Working for the Resolution of Conflict. Update. May 1993.

## შეპიონეები პოლიტიკური

საქართველოში არსებული პოლიტიკური პრობლემებისადმი საზოგა-დოების დამოკიდებულება, პირველ რიგში, თავად საზოგადოების პოლი-ტიკურ გათვითცნობიერებულობასა და მისი პოლიტიკური ცნობიერების დონეს აჩვენებს. ამ მიზნით “შევიღობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა“ 1994 წ. ნოემბერ-დეკემბერსა და 1995 წ. მაიში ჩატარა სოციოლოგიური გამოკითხვა. ოღონდ ჩესპონდენტები არა რიგითი მოქალაქეები, არამედ, ასე ვთქვათ, ექსპერტები პოლი-ტიკის დარგში, ე.ო. საზოგადოების პოლიტიკურად ყველაზე გათვითცნობიერებული ნაწილი, პოლიტოლოგიური “ელიტა“ იყო. გამოკითხვის შედეგად შიდებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ საზოგადოებაში არსებული ზოგიერთი პოლიტიკური ტენდენციის სურათი, იქნება ეს საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკურ ლიდერთა თუ სხვადასხვა პოლიტიკურ პრობლემათა მიმართ; აგრეთვე, რა კრიტერიუმები არსებობს ქართულ საზოგადოებაში ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის შესაფასებლად, რაც, საბოლოო ჯამში, ისევ და ისევ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიძნის ზემოხსენებულ ექსპერტთა თუ მთლიანად საზოგადოების პოლიტიკური განათლებისა და სიწიფის დონეზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ რაღაცაც ჩვენ ხელთ გვაქვს ორი, სხვადასხვა დროს ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები, რომელთა შორის შეალედი ეჭვი თვე, მიღებული შედეგები ერთგვარად დინამიური ხასიათისა და გვიჩვენებენ ერთსა და იმავე საკითხის მიმართ იმავე პირთა მხრივ აზრის ცვალებადობას ნახევარი წლის განმავლობში.

დავიწყოთ 1, ნოემბერ-დეკემბერის გამოკითხვის შედეგების ანალიზით. შევითხვა №1: ვინ არაან დღესდღეობით ჩეალურად ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსები საქართველოში?

1. ე. შევარდნაძე
2. ჭ. იოსელიანი
3. ჭანტურია-სარიშვილი
4. ა. ასათიანი
5. ზ. უვანია
6. ი. გიორგაძე
7. ი. შენგელია
8. ა. მარგიანი
9. ბ. გულუა
10. შ. კვირაია
11. ი. მენალარაშვილი

12. ი.ხაინდრავა
13. ვ.რჩეულიშვილი
14. თ.შემიშვილი
15. თ.ბასილაია
16. გ.ჟორჟოლიანი
17. გ.ნანეიშვილი

კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ამ პიროვნებათა გავლენი-ანობა განისაზღვრება, შემდეგნაირია:

შევარდნაძე - გამოკითხულთაგან 13-ის აზრით, როგორც სახელმ-წიფოს მეთაური; 2 - მისი პოლიტიკა მოსკოვიდან მოდის; 2 - თავისი გამოცდილების გამო; 1 - პირადი კონტაქტების გამო; 1 - პიროვნუ-ლად; 1 - საგარეო პოლიტიკის გამო; 1 - საშინაო პოლიტიკის გამო.

როგორც გხედავთ, გამოკითხულთა აზრით, შევარდნაძის გავლენი-ანობას, პირველ რიგში, მის ხელისუფლების სათავეში ყოფნა განაპი-რობებს. პოლიტიკოსის, მითუმეტეს, სახელმწიფოს მეთაურის იმიგისათ-ვის აუცილებელი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რესპონდენტებისათვის ამ პიროვნების შეფასები-სას საკმაოდ უმნიშვნელოა (1-1). სამაგიეროდ ფიგურირებს უარყოფი-თი ნიშნის ფაქტორები (მისი პოლიტიკის მოსკოვურობა - 2; მის მი-ერ შექმნილი პრივილეგირებული კასტა - 2), რომლებიც ხელს უწყო-ბენ შევარდნაძის გავლენისუნარიანობას. შევარდნაძის სუბიექტურ ფაქ-ტორებს (გამოცდილება - 2, ინტელექტი - 2, პირადი კონტაქტები - 1, პიროვნება - 1, წარსული - 1) მისი პიროვნების შეფასებისას პროცენტულად საშუალო აღგილი უჭირავს.

ჯ.იოსელიანი: სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამო - 12; ფულის და იარაღის გამო - 5; პიროვნების გამო - 4; რუსეთის მხარ-დაჭერის გამო - 3; როგორც შევარდნაძის ძირითადი დასაყრდენი ძალა - 2; მაფიის მხარდაჭერა - 1; საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გამო - 1; თავისი შესაძლებლობების კარგად გამოყენების უნარი - 1.

აქედან 1 და 2 ფაქტორებს თუ გავაერთინებოთ (რაც თავისთა-ვად ერთი და იგივე), რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (სულ ერთად - 17) გამოდის, რომ იოსელიანს ხელთ უპყრია სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიკური სადაცები და თავის გავლენას იყი ძა-ლისმიერი ზეწოლით (ფული, იარაღი) ამყარებს. აქვეა მის მიმართ უცხო სახელმწიფოს (3) და მაფიის (1) მხარდაჭერის ფაქტორები. იოსელიანის პიროვნული თვისებები (პიროვნულობა - 4, შესაძლებლო-ბათა კარგად გამოყენება - 1, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება - 1), როგორც მისი გავლენის განმსაზღვრელი მახასიათებლები - პრო-ცენტულად საშუალოა. ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მის და-

მოკიდებულებას ხელისუფლებასთან, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურთან (როგორც მისი დასაყრდენი ძალა -2).

როგორც დავინახეთ, ჩესპონდენტთა ჰქით, ჭ.იოსელიანის გალენას, ძირითადად, მისი არასამართლებრივი, ძალისმიერი ფაქტორები განაპირობებს.

ჭანტურია-სარიშვილი: ჭურიდან პარლამენტში გადანაცვლება შესძლეს - 2; გავლენიანობის გამო - 1; სარიშვილს გმირის შარავანდელი აქვს - 1; როგორც მაფიასთან მებრძოლნი - 1.

როგორც ვხედავთ, მათ შეფასებისას უფრო პოზიტიური ფაქტორებია დასახელებული - “პოლიტიკური ზრდა”, “გავლენიანობა”, “გმირობა”; “მაფიასთან ბრძოლა”.

კ.ასათიანი: გავლენიანობის მთავარ პირობად მისი ლავირების უნარია დასახელებული (4).

ზ.უგანია: როგორც აქტიური და პერსპექტიული (4).

ი.გიორგაძე: უნარიანი ხელმძღვანელი - 3; რუსეთთან კავშირების გამო - 2; ფლობს ინფორმაციას - 2; შევარდნაძე ენდობა - 1.

მის შეფასებისას იკვეთება, პირველ ჩიგში, კომპეტენტური და ორგანიზებული ადამიანის ფაქტორი. შემდგინი როლი ენტება რუსეთთან კონტაქტებს და ყველაზე ნაკლები (1) შევარდნაძესთან მის დამკიდებულებას

ა.მარგარიანი არაფორმალური კავშირების გამო - 2.

ბ.გულუა: დამოუკიდებელია - 1, სამუშანეო საკითხებში ერკვევა - 1, აკონტროლებს რეგიონებს - 1.

შ.კვირაია: როგორც ეფექტურად მოქმედი (1).

დანარჩენ პიროვნებებს ჩესპონდენტებისაგან თითო ხმა აქვთ მიღებული, ხოლო მათი გავლენის ფაქტორები დასახელებული არაა.

შეკითხვა №2: დაასახელეთ რამდენიმე პერსპექტიული პოლიტიკოსი, რომელიც 2-3 წლის შემდეგ ითამაშებს წამყვან როლს.

1. სარიშვილი - 15

2. ასათიანი - 12 (დიდი გავლენა აქვს, ჭიკვიანია, სერიოზულია, კარგი იდეოლოგია და მთარსაც უჭერენ).

3. ი.ხაინდრავა - 6

4. ზ.უგანია - 6 (ყველაფერზე წავა)

5. ბერძენშვილი - 5

6. პაატაშვილი - 5 (კარგი გარეგნობა, სიმშვიდე).

7. ვ.ძაბირაძე - 4

8. ჭ.იოსელიანი - 3 (იგი ყველას ჭირდება).

9. ნ.ფოფხაძე - 3

10. ვ.ხმალაძე - 3

11. თ.ბასილაძა - 3

12. გ.მგელაძე - 2

13. ვ.რჩეულიშვილი - 3
14. ნანეშვილი - 2
15. ა.ბაქრაძე - 1
16. ი.შენგელაია - 1
17. მ.ურიდია - 1
18. გულუა - 1
19. მენაღარშვილი - 1

დასახელებული 19 პიროვნებიდან მხოლოდ ოთხს (ასათიანი, უვანია, იოსელიანი, პაატაშვილი) აქვთ მითითებული ის პირობა, რაც თითქოსდა მათი პერსპექტიულობის გარანტია. ამ ოთხიდან მხოლოდ ა.ასათიანის პერსპექტიულობის ფაქტორია პოლიტიკური ხასიათის, სადაც ხაზი ესმება მისი იდეოლოგიის (ტრადიციონალიზმი, კონსერვატორიზმი) სიკარგეს, აგრეთვე მხარდაჭერისა და გავლენიანობის ფაქტორები. ნახსენებია ხელსაყრელი პიროვნული ნიშნებიც - სიჭრვანე, სერიოზულობა.

დადგითი, მაგრამ მხოლოდ პიროვნული და თანაც გარეგნული ფაქტორებია ნახსენები (კარგი გარეგნობა, სიმშვიდე) თ. პაატაშვილის მიმართ.

იოსელიანისადმი დამოკიდებულება უფრო პრაგმატულია და ხაზი ესმება მის “ყველასათვის საჭიროებას”.

დაბოლოს, უვანიას პერსპექტიულობა მხოლოდ მისი უარყოფითი თვისებითაა გამოხატული - “ყველაფერზე წავა”.

შეკითხვა №3. რა ფორმით მოხდება სახელმწიფოს მეთაურის შეცვლა?

აქ რესპონდენტთა უმრავლესობა აპტიმისტურადაა განწყობილი და მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მეთაური არჩევნებით შეიცვლება (22). ამასთანავე არსებობს შესაძლო სახელმწიფო გადატრიალების ეჭვებიც: რეალური გადატრიალებით - 3 (განხორციელება შეუძლია ი.გიორგაძეს); გადატრიალების ინსცენირებით - 2; მთავრობის გაქცევით - 2; ამავე რიგში შეგვიძლია მოვიხსენიოთ: ტერორისტული აქტი - 2, შიდა მმართველი ელიტის ზეწოლა - 1, ყველაფერი მოსალოდნებლია - 2; რამდენიმე ექსპერტი შევარდნაძის მმართველობას სამუდამოდ მიიჩნევს, რომელიც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემთხვევაში დასრულდება - (3); არასაარჩევნო საშუალებებიდან კიდევ დასახელებულია: საპარლამენტო კენჭისყრა - 2, სამთავრობო კრიზისი - 1; მხოლოდ 1 გამოკითხული უშვებს შემთხვევით მომენტს, როდესაც შევარდნაძის გადადგომა შესაძლოა ემოციურმა ფაქტორმა განაპირობოს.

შეკითხვა № 4: ვინ შეიძლება გახდეს სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძის შემდეგ?

არ ვიცი - 7

სარიშვილი - 4

ასათიანი - 4

მოულოდნელი პიროვნება - 4  
 ჭაბა იოსელიანი - 3  
 იგორ გიორგაძე - 2  
 ქვანია - 2  
 ვიცი, მაგრამ არ ვასახელებ - 2  
 გურამ მგელაძე - 1  
 პაატაშვილი - 1  
 ბაქრაძე - 1  
 გულუა - 1  
 შენალარშვილი - 1  
 იოსელიანის ლობი - 1  
 ჩუქუთის დანიშნული კაცი - 1  
 პოსტი გაუქმდება - 1  
 გუნდი მოვა - 1  
 შევარდნაძის ალტერნატივა არ არსებობს - 1

როგორც ვხედავთ, რვა გამოკითხული (7 - “არ ვიცი” და 1 - “შევარდნაძის ალტერნატივა არ არსებობს”) ვერ ასახელებს ისეთ გამოკვეთილ ფიგურას, რომელსაც გამორჩეულად დიდი შანსები ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის დასაკავებლად. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება კიდევ 4 - “მოულოდნელი პიროვნება”.

ოთხ-ოთხი ხმით კი შესაძლო ალტერნატივა ლიდერობენ მემარჯვენე ცენტრისტული ორიენტაციის პიროვნებები (საჩიშვილი, ასათიანი). მათ შემდეგ თითქოს მეტი შანსი აქვთ ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლების (იოსელიანი - 3, გიორგაძე - 2). შესაძლოდ მიიჩნევენ სელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობის ფიქტურად ქცევას “იოსელიანის ლობის” სახით (1). ხელისუფლების მომხრეთა და მის სტრუქტურაში მყოფთაგან შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ უვანია (2), გულუა (1), მენაღარაშვილი (1). დასაშვებად ეჩვენებათ ამჟამად პოლიტიკურ სტრუქტურებში არმყოფ ა.ბაქრაძისა (1) და გ.მგელაძის (1) კანდიდატურებიც. ისევ აქტუალურია რუსეთის უშაულო ჩარევის საკითხიც (“რუსეთის კაცი” - 1). გამოკითხულთაგან ორი თავს არიდებს პასუხის გაცემას, ხოლო ორი შესაძლოდ მიიჩნევს სახელმწიფო სტრუქტურის შეცვლას (პოსტი გაუქმდება - 1, გუნდი მოვა - 1).

შეკითხვა №5: როგორი იქნება უახლოესი ორი წლის განმავლობაში საქართველოს რუსეთან თუ დასთ-სთან სახელმწიფოებრივი მიმართება?

გამოკითხულთა ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს. ამათგან ცხრის პზრით, დღევანდელი ურთიერთობების წინააღმდეგი იქნება დასავლეთი, და ამის პირობად ნაწილს ა.შ.შ.-ში რესპუბლიკური პარტიის გამარჯვება მიაჩნია. მხოლოდ ერთის

პზრით, ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთში მიმღინარე პროცესებზე.

საქმაო ნაწილი ხედავს საფრთხეს რუსეთის მხრიდან: რუსეთი გა-  
აგრძელებს სამხედრო ჩარეგას - 3, საბჭოთა კავშირის აღდგენის ტენ-  
დენციები არსებობს - 3, დამოუკიდებლობას დავკარგავთ - (გადავიქ-  
ცევით გუბერნიად), საქართველოში იქნება რუსეთის მარიონეტული  
მთავრობა - 1, დაძაბული - 1, რუსეთი გააჩარმაცებს საქართველოს  
- 1, მჭიდროდ გადავგებმებით რუსეთს და დსთ-ს (1), მოსალოდნელია  
რუსეთთან ინტეგრაცია - 2.

ამდენად, გამოკითხულთა უმრავლესობა საქართველოს ურთიერთო-  
ბას რუსეთთან და დსთ-სთან სახიფათოდ და არასახარბიელოდ მიიჩნევს.

აქ, 3 გამოკითხულის პზრით, თავად საქართველოს დამოკიდებულება რუ-  
სეთთან იქნება დამთმობი ხასიათის. მხოლოდ ორი გამოკითხულია აპ-  
ტიმისტურად განწყობილი: “გაუმჯობესდება” - 1, “რუსეთთან ინტეგრა-  
ცია არ არის საშიში” - 1. ორს მიაჩნია, რომ “არაფერი არ შეიცვ-  
ლება” - 1, და “იურიდიულადაც იგივე სტრუსით ვიქნებით” - 1.  
სამი უპერსპექტივოდ მიიჩნევს დსთ-ს არსებობას (დსთ დაიშლება - 3).

მხოლოდ ორი გამოკითხულის პზრით, საქართველო გამოვა დსთ-დან.

შეკითხვა №6: როგორ გადაიჭრება საქართველოს ტერიტორიული  
მთლიანობის პრობლემა უახლოეს 2-3 წლის განმავლობაში?

თხუთმეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ 2-3 წელი არაა საქმარი-  
სი (ანუ ეს პრობლემა 2-3 წელიწადში ვერ გადაიჭრება - 8; მოგვი-  
ანებით გადაიჭრება - 7).

ამ პრობლემის მოგვარებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გა-  
მოხატა 9 გამოკითხულმა: “არ გადაიჭრება საერთოდ” - 4 და “მთლი-  
ანობას შევინარჩუნებთ ფორმალურად - 5. ამავე კატეგორიას მიეკუთ-  
ვნება ერთი - “ვითარება დაკონსერვდება”.

ოთხი გამოკითხულის პზრით, გადაიჭრება ნაწილობრივ და ოთხის  
პზრით - ოსეთის პრობლემა მაღლ გადაიჭრება.

9 რესპონდენტი ექბას გამოსავალს სამხედრო საშუალებებში: შეი-  
არაღებული გზით - 7 და სამხედრო ზეწოლით - 2.

ოთხი ექსპერტის პზრით, ამ პრობლემის მოგვარება საქართველოს  
“დასტაბილურებითაა” შესაძლებელი. თითო-თითო მხარს უჭერს მოლა-  
ბარაკებებს და კომისიებს. მხოლოდ ერთმა - არ იცის.

შეკითხვა №7: როგორი იქნება საქართველოს აღმინისტრაციული  
მოწყობა უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში?

გამოკითხულთაგან ორი მიიჩნევს, რომ 2-3 წელიწადში არაფერი შეიც-  
ვლება, ერთის პზრით - დარჩება აგტონომური ერთულები, ერთის კი -  
რომ უბრალოდ ჩაიონები გამსხვილდება. ერთი რესპონდენტი - “არ ვიცი”.

აბსოლუტური უმრავლესობა ვარაუდობს აღმინისტრაციული მოწ-

ყობის ცვლილებას. აქედან: 12 - სამხარეო მოწყობა, 10 - ფედერალიზმი, 2 - სიმეტრიული და 2 - ასიმეტრიული რეგიონალიზმი.

ახლა გადავიდეთ 1995 წლის მაისის გამოკითხვის შედეგების განხილვაზე და დავაკვირდეთ, როგორ იცვლება ექსპერტთა დამოკიდებულება ზოგიერთ პოლიტიკურ პრობლემასა თუ პიროვნებასთან მიმართებაში. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები უფრო საშინაო ხასიათის იყო (გ.ჭინტურიას მკვლელობა, შევარდნაძე-იოსელიანის ურთიერთობათა შეცვლა და სხვ.), მაგრამ ამასთანავე, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც (შაგ. რუსეთისათვის საქართველოში არსებული სამხედრო ბაზების 25 წლით გადაცემა). რესპონდენტთა აჩრი, ძირითადად, მაინც პოლიტიკურ ლიდერებთან მიმართებაშია შეცვლილი.

### შეკითხვა №1.

დასახელებულ გავლენიან პირთა სია მაისში 12-მდე შემცირდა. რამდენიმე ქველი ლიდერის გვარი საერთოდ გაქრა, ოუმცა გამოჩნდა ორი ახალიც: სახელმწიფო მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი - პეტრე მამრაძე და მთავარი სახელმწიფო მჩჩეველი არჩილ გეგშიძე.

#### მივყაროთ თანმიმდევრულად:

1. შევარდნაძე - 17
2. იოსელიანი - 12
3. გიორგაძე - 8
4. სარიშვილი - 5
5. ასათიანი - 4
6. უვანია - 4
7. კვირაია
8. ურუკოლიანი
9. რჩეულიშვილი
10. მენაღარაშვილი
11. მამრაძე
12. გეგშიძე

განვხილოთ პირველი ექვსი პიროვნების ვარიანტი, რამდენადაც მათი გავლენიანობა ექსპერტთა მხრიდან არგუმენტირებულია.

შევარდნაძე: შევარდნაძის გავლენიანობის პირობად რესპონდენტთა მხრიდან პროცენტულად იზრდება ხზგასმა მის მოსკოვთან კავშირზე (7), წინა გამოკითხვასთან შედარებით კი კლებულობს მისი “თანამდებობის ფაქტორი“ (ანუ, რომ “ყველა ბერკეტი მის ხელშია“ - 5). ხშირდება მის პიროვნულ შესაძლებლობათა ფაქტორზე მითითება: პროფესიონალია - 1, გამოცდილია - 1, ავტორიტეტი აქვს - 1, მოვლენების საკუთარი ხედვა - 1, პრინციპულობა - 1, ტრანსფორმაციის უნარი - 1, საკუ-

თარი ხელშერა - 1, პირადი კონტაქტები - 2, ინტელექტი - 2, ღი-ნებას კარგად მიჰყვება - 1, ყველაზე კარგად შეესაბამება დღევანდელ სიტუაციას და პოლიტიკას - 1, წარსულის გამო - 1. აქვე ჩნდება მისი უალტერნატივობის ფაქტორიც - 2, და მოსახლეობის მხარდაჭერა - 1. მხარდაჭერის ერთ-ერთ ფაქტორად კი დასახელებულია ისიც, რომ “ბევრს გააკეთებინა ფული“ - 1. მხოლოდ ერთი რესპონდენტის აზრით, “მისი პოლიტიკა არ მოდის მოსკოვიდაა“.

როგორც ვხედავთ, პირველ გამოკითხვასთან შედარებით, ახლა წინა პლანზე შევარდნაძის პიროვნული შესაძლებლობები გადმოდის, რაც შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ნდობის ფაქტორი სხვა ლი-დერების მიმართ მკვეთრად კლებულობს; თუმცა, პარალელურად იზრდება მისი მოსკოვთან კავშირის მომენტის ხენცხაც.

გ.იოსელიანი: მიუხედავად იმისა, რომ იოსელიანს მეორე ადგილი უკავია, რესპონდენტთაგან ხაზი ესმება როგორც მის “უარყოფით“ ფაქტორებს (ფული - 3, იარაღი - 2, იარაღს ფაქტიურად არ აბარებს - 3, ეკონომიკურ სტრუქტურებში ჰყავს ხალხი ჩასმული - 1, სადა-ვები უჭირავს - 1), ასევე ჩნდება სკაბტიკური დამოკიდებულება ამ პიროვნების გავლენისუნარიანობის მიმართაც: შემცირდა მისი გავლენა - 3, რამდენიმე თვეში მოიხსება ეს პრობლემა - 1.

ჩჩება ასევე ალიანსების ფაქტორიც: “შეკრულია ოგიორგაძესთან - 2, და რუსეთთან კავშირი - 3. ძალზე უმნიშვნელოა მისი პიროვნული ფაქტორების გათვალისწინება: პიროვნულად - 1, და ძველი დამსახურებები - 1. აქვე ექვევშაა დაყენებული შევარდნაძე-იოსელიანის კონფლიქტი, რომელსაც გამოკითხულთაგან სამი ფარსს უწოდებს.

ი.გიორგაძე: ამ პიროვნების სწრაფი წინსვლა, რესპონდენტთა აზრით, უპირველეს ყოვლისა მისი პიროვნული შესაძლებლობებითაა გამოწვეული (თავის საქმე იცის, მიზანდასახულია, მეტი შეუძლია ვიდრე შევარდნაძეს, ნებისყოფა გაჩნია, ლიდერის თვისებები აქვს, ღინების გრძნობა, ინფორმაციის ფლობა). ჩჩება მისი, როგორც ძალისმიერი სტრუქტურის წარმომადგენლის ფაქტორიც - “ჰყავს შეიარაღებული ძალა“, “მის სიტყვას შევარდნაძისთვის დიდი ფასი აქვს“. აქვე ფიგურიებს მისი “ალიანსი ჯაბასთან“ და “მოსკოვთან კავშირი“. მხოლოდ ერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ იგი “არ იქცევა პოლიტიკურ ფიგურად“.

ი.სარიშვილი: პირველ რიგში, თვალში საცემია მისი ავტორიტეტის გარღნა, რაც გუანტურიას დალუბვის შემდეგ ედპ-სადმი სკეპტიკური დამოკიდებულებით გამოიხტება (“შემცირდა მისი გავლენა“ - 6; “არა ჰყავს პოპულარული თანამდგომები“, “არჩევნებში მის პარტიას შანსი არა აქვს“ - 1-1). თუმცა წინა გამოკითხვიდან აქაც ჩჩება სარიშვილის, როგორც კორუფ-ციასთან მებრძოლისა და საზოგადოებრივ აზრზე მომუშავის ფაქტორები.

ა.ასათიანი: პირველ რიგში, ასახელებენ მის მოქნილობას, ლავი-რების უნარს (“შევარდაძესთანაც არის და ოპოზიციისთანაც”, “დინე-ბას მიყვება და სიტუაციასაც გრძნობს”); იკვეთება მისი შევარდნაძის-კენ გადახრის ტენდენციაც (“აპირებს უმრავლესობაში გადასვლას”) და “მოსკოვთან კავშირი“. მოულოდნელი იყო ერთი რესპონდენტისაგან ასა-თიანის “უიდეოლოგიოდ“ გამოცხადება, როდესაც ადრე ძირითადად მის იდეოლოგიურობას ესმებოდა ხაზი. აქვე ჩანს მისი გავლენის კლებაც.

ზ.უვანია: იზრდება მისი, როგორც სერიოზული და პერსპექტიული ფი-გურის ფაქტორები (“არ არის უბრალი“, „ვერსაპექტიულია“, „იზრდება“), თუმცა ხსნასმულია, რომ “ზოლიანად შევარდნაძეშე დამოკიდებული“. აქე-დან გამომდინარე, კვლავ რჩება „დროებითი ფიგურის“ სტატუსიც.

### შეკითხვა №2.

წინა გამოკითხვასთან შედარებით, თვალში საცემია პერსპექტიულ პიროვნებათა სიმრავლე და მრავალი ახალი სახელი, როგორც ხელი-სუფლების მომხრეთა, ასევე ზომიერი თუ ადიგალური ოპოზიციის მხრი-დან. აგრეთვე ჩნდება მივიწყებულ ფიგურათა რეტროსპექტივა. გავლენის საგრძნობი გარდინის მიუხედავად, მაინც ლიდერთა შორისაა ი.სარიშვილი (9), მის გვერდით - ღ.ბერძნიშვილი (9), რომლებიც მეორე ადგილს იყოფენ. პირველზე კი გადადის ა.ასათიანი (11). ექვს-ექვსი “ზმა“ აქვთ ი.ხაინლრავას, თ.პაატაშვილს და თ.შემიაშვილს, რომელიც წინა გამო-კითხვის დროს “პერსპექტიულთა“ შორის საერთოდ არ ფიგურირებდა.

5-5 ხმა ძირითადად ხელისუფლების მომხრებს აქვთ მიღებული: ი.მენალარშვილი (“არ არის ჭუჭყანი“), ნ.ფოფხაძე. ზ.უვანია და მხო-ლოდ ერთი იპოზიციონერი - ვ.ხმალაძე.

გულუას და ძაბირიძეს ოთხ-ოთხი ხმა აქვთ.

სამი რესპონდენტი ასახელებს “მთლიანად რესპუბლიკელებს“ და სამი - ა.ბაქრაძეს, რომელსაც “დეზორიუნტირებულის“ ეპითეტი ახლავს.

ორ-ორი “ზმა“ მიიღეს: ნ.ნათაძემ, მ.ურიდიამ, მ.ჭკუასელმა, ი.შენ-გელაიძე.

ორმა რესპონდენტმა დაასახელა აგრეთვე მ.მაჭავარიანი. საერთოდ, ორი ექსპერტის აზრით, თუ ზვიადისტები გაერთიანდნენ, მიღებუნ ხმა-თა 10-15%-ს.

თითოეულ დასახელებულთა შორის ბევრი ახალი პიროვნებაც ფი-გურირებს: პ.მამრაძე, გ.მგელაძე, ი.ბათიაშვილი, ს.ხაბეიშვილი, ლ.მამა-ლაძე, შ.ოგბაიძე, თ.ბასილავა, რ.შავიშვილი, ვ.რჩეულშვილი.

ერთი რესპონდენტი ვერავის ხედაც პერსპექტიულს.

აქვე, ორი რესპონდენტის აზრით, თუ კომუნისტები გაერთიანდ-ნენ, მათი გავლენაც გაიზრდება.

### შეკითხვა №3.

სახელმწიფოს მეთაურის შეცვლის პირობად გამოკითხულთა უმრავესობას (13) კვლავ არჩევნები მიაჩნია. თუმცა მკვეთრად ფიგური-რებს არაკანონიერი ცვლის შესაძლებლობაც: “გადატრიალების ინსცუ-ნირებით“ - 1, “თუ რამე მოხდა, ეს შეუძლია მხოლოდ იოსელიან-გიორგაძეს - 3, ”Дворцовый переворот“ - 1, ტერაქტი - 1.

ნაშილი ფიქრობს, როს ეს შეცვლა თავად შევარდნაძეზე დამო-კიდებული: ჯანმრთელობის გამო - 3, პირადი გადაწყვეტილებით პო-ლიტიკური კარიერის შეწყვეტა - 1, ”თავისით წავა, ოლონდ მაღლა წასასვლელად“ - 1, ”დიდ ჩიხში მოხვედრით“ - 1.

ერთის შეჩინოვა, შევარდნაძე ამ არჩევნებს წაგებს, ხოლო ერთი ფიქრობს, რომ შევარდნაძის წასვლა რუსეთში მიმღინარე პროცესებით იქნება გამოწვეული. ასე რომ, არჩევნებით სახელმწიფოს მეთაურის შეცვლა და სხვადასხვაგვარი გადატრიალების შესაძლებლობა კვლავ აქ-ტუალურ საკითხად რჩება.

#### შეკითხვა №4.

ამ კითხვზე პასუხის გაცემა წინანდელზე უფრო მეტად როულდება. ერთი “ექსპერტი“ აცხადებს, რომ იცის, მაგრამ არ იტყვის.

დასახელებულ კანდიდატურებს შორის, წინანდელისაგან განსხვავებით, დიდი სიმკვეთრე აღარა ჩანს. კველაზე მეტი - სამი “ზმა“ მიიღო ი.გიორგაძემ, ორ-ორი - თ.შაშიაშვილმა, ა.ასათიანმა და ბ.გულუამ. თი-თო-თითო: ი.სარიშვილმა, თ.პაატაშვილმა, ვ.რჩეულიშვილმა, ა.ბაქრაძემ.

#### შეკითხვა №6.

მოუხედავად იმისა, რომ წინა გამოკითხვის სურათი აქ ძირითადად შექარჩუნებულია, ჩნდება ახალი ვარიანტებიც. ყველაზე მეტი ხმა მიიღო ვარაუდმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხოლოდ სამხედ-რო გზით გადაჭრის თაობაზე - 12. შემდეგ მოდის ვარაუდი ამ პრობ-ლემის 2-3 წელიწადში მოგვარების შეუძლებლობის შესახებ - 9. რო-გორც ვხედავთ, ორივე ვარიანტთან დაკავშირებით წინა გამოკითხვას-თან შედარებით პროცენტული მატებაა. აქვე პირველად ჩნდება საქარ-თველოს ეკონომიკურად გაძლიერების ფაქტორიც - 4, და მშ-ში რეს-პუბლიკელების გამარჯვების იმედი, რამაც საერთაშორისო კლიმატის ჩვენს სასარგებლოდ შეცვლა უნდა გამოიწვიოს - 3. კვლავ ბევრია ვარაუდი პრობლემის ნაშილობრივ ან ფორმალურად მოგვარების თაობაზე: ისეთ-თან მაღვე გაუმჯობესდება (3), შენარჩუნდება სტატუს-კვო (1); აფხა-ზეთთან ნაწილობრივ (პოლიტიკური გზებით - 1), აფხაზეთი იურიდიუ-ლად საქართველოს შემადგენლობაში დარჩება (1), მოსალოდნელია მდგო-მარეობის დაკონსერვება (2), რუსეთი მოგვცებს გალის რაიონს (3).

უკვე ჩანს ხელისუფლების კურსისადმი კრიტიკული, უნდო დამო-კიდებულებაც (“ამ პოლიტიკით არ გადაიჭრება“ - 1). მხოლოდ რეს-

პონდერტი ასახელებს პოლიტიკური გზით მოგვარების შესაძლებლობას.

ერთი ექსპერტი კონფლიქტის განაცლების საფრთხეს რეალურად მიიჩნევს, ხოლო ერთის აზრით, აფხაზეთში დაბრუნებული მეგრელებიც აფხაზებისნაირ სეპარატისტებად გადაიქცევიან.

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა მხრიდან პრობლემის მოგვარების ხელისუფლებისული კურსის მიმართ ძირითადად უარყოფითი და სკეპტიკური დამოკიდებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთლიანად უარყოფილია მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით მოგვარების პერსპექტივები, ჩნდება აზრიც, რომ მხოლოდ საქარათველოს შიღა პრობლემის მოგვარებასა და ეკონომიკურად მოძლიერებას შეუძლია ქვეყნის გამოთლიანება.

ძირითადი აქცენტი კი მაინც ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყნებსა და სხვა ძალებზეა გადატანილი, ანუ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტთა მოგვარებაში, ექსპერტთა აზრით, გადამწყვეტი როლის თამაში თავად კონფლიქტურ მხარეებს, არამედ რუსეთს, ამერიკასა და სხვა საგარეო ფაქტორებს შეუძლიათ.

დაბოლოს, ამ ორი გამოკითხვის შედეგების შეჯამებისას შემდეგნაირი სურათი იხსტება:

ჩვენი ექსპერტების დამოკიდებულება საქართველოს შიდაპოლიტიკური პრობლემებისადმი უფრო მეტად პიროვნული, სუბიექტური ფაქტორებით განისაზღვრება; სიტუაციას მართავს და საზოგადოებაშეც უფრო დიდი გავლენა აქვს მას, ვის ხელშიცაა წამყვანი პოსტი; იარაღი და ფული (მაგ. შევარდნაძე, იოსელიანი, გიორგაძე, მარგარიანი, კვირაძია). ამდენად, რეალობა ძირითადად კონკრეტულ პიროვნებათა შესაძლებლებებსა და ნება-სურვილს ექვემდებარება, რაც თავისთვად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია არასამართლებრივი და ძალისმიერი ქმედებებით იქმნება. შესაბამისად, საზოგადოებაც ფსიქოლოგიურად სისტემური ძალადობის ზემოქმედების ქვეშაა. მასზე გავლენის მოპოვება რომელიმე პოლიტიკური ლიდერის მხრიდან სწორედ სხვადასხვა ფორმის ძალადობის აქტითაა შესაძლებელი. ასეთ ვითარებაში წინ მიიწევს ის, ვინც “თავის შესაძლებლობებს კარგად იყენებს”, ანუ ვინც მეტად და უკეთ ძალადობს. ამასთან ჩნდება “საზოგადოებრივ აზრზე მუშაობის” საჭიროებაც, რაც, თუ ზემოთ ქმულიდან ამოვალთ, მხოლოდ დემაგოგიას უნდა ნიშნავდეს. პერსპექტივა იმას უფრო მეტი აქვს, ვინც “კარგად ლავირებს” (ა.ასათიანი), ვინც “ყველაფერზე წამსვლელია” (ზ.უვანია), ვინც “ღინებას გრძნობს” და “მეტი შეუძლია” (ი.გიორგაძე); ასევე, თუ “მაზნისაკენ მიდის” (ოუმცა მიზანი სრულიად ბუნდოვანი შეიძლება იყოს). ასეთ შემთხვევაში ლოგიკურია, რომ საზოგადოება ეძებს გმირის ხატს, რომელიც

თავდაუზოგავად ებრძის მაფიას და კორუფციას და რაც, საბოლოო ჯამში, სახალხო გმირის ქებნის სახეს უფრო იღებს. საზოგადოების განწყობას საქართველო სკეპტიკური და ზოგჯერ ნიშილისტური ელფერიც აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაძლებლობასთან დაკავშირებით (ბევრის აზრით, სახელმწიფოს მეთაურის შეცვლა მხოლოდ არასამართლებრივი მეთოდებით, ან შევარდნაძის გარდაცვალებითაა შესაძლებელი - ეს კი, თავის მხრივ, პიროვნული ფაქტორის უზომოდ ზრდაზე მიუთითებს). ის, რომ იოსელიანი პერსპექტიულია, რამდენადაც იგი “უველას სჭირდება”, ანუ რესპონდენტებისავე მიერ “კრიმინალურ” დასასიათებული პირი თუ სამომავლოდაც ყველასთვის საჭირო იქნება, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ძალისმიერი და არასამართლებრივი ზეწოლა მომავალშიც შეიძლება გაგრძელდეს.

ქართული პოლიტიკური სამყაროს ცენტრში უცვლელი ადგილი უკავია ე.შევარდნაძეს და მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების დამოკიდებულება მის მიმართ არცთუ დადგებითია, ყველა პიროვნებისა და მოვლენის ცვალებადობა მისგან განუყოფლად განიხილება. დეკემბრის გამოკითხვით იოსელიანის, გორგაძისა და უვნისა გავლენიანობა, ძირითადად, მათი როგორც შევარდნაძისათვის სანდო პიროვნულობითაა გამოწვეული. მაისში იოსელიანის გავლენის ვარდნას შევარდნაძესთან კონფლიქტიც განაპირობებს. იგივე შეიძლება ითქვას ედპ-ზეც. სამაგიეროდ, ასათიანის ავტორიტეტის ზრდა მისი შევარდნაძისკენ შემობრუნებითაც აიხსნება. ასეთი სურათი, რა თქმა უნდა, ლოგიკურია ნაკლებცივილიშებულ თუ ტრადიციულ საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც ტრადიციონალისტური იდეოლოგიაც ლოგიკურ შესაბამისობაშია. პიროვნებების დახასიათებისას აქტუალური ჩეხება გარევნული და ზოგჯერ ერთვარად ხარიზმატიული თვისებები (სილამაზე, სიმშვიდე, წარსული, უალტერნატივობა, გმირის შარავანდეფი და სხვ.). აქტუალურია “ალიანსების” მითიც, განსაკუთრებით, თუკი საქმე საქართველოს საშინაო პოლიტიკაში უცხო ძალების ჩარევას ეხება. ეს უცხო ძალებიც ორ მითიურ კატეგორიად - დადგებით და უარყოფითად იყოფა. უარყოფითი მოლუსის მატარებელია: “რუსეთი”, “მოსკოვი”, ხოლო დადგებითის - “ამერიკა”, ანუ “რესპუბლიკური პარტია”, “დასავლეთი”. შესაბამისად, არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის შეფასებაშიც უზარმაზარ როლს გარეშე ფაქტორები თამაშობენ. ასე მაგალითად, რამდენიმე ლიდერის გავლენიანობას ისიც უწყობს ხელს, რომ ისინი “რუსეთთან ალიანსში არიან” (შევარდნაძე, იოსელიანი, გორგაძე). შესაბამისად, ვარაუდობენ, რომ საქართველოს ხელისუფალიც ის იქნება, ვინც რუსეთს აწყობს. საქართველო-რუსეთ-დასთა-ურთიერთობებში მთლიანად იგნორირებულია საქართველოს ნება - ის იქნება ისე-

თი, როგორც ამას რუსეთი და დასავლეთი გადაწყვეტინო. რუსეთი, როგორც უარყოფითი მოდუსის მქონე სიმბოლო, თითქმის მთლიანად არასანობ და სახიფათოდ აისახება (“რუსეთი გვაჭრებს გუბერნიად”, “მოსალოდნელია რუსეთთან ინტეგრაცია” და სხვ.) თუმცა არის იმედი, რომ დადებითი ძალების სიმბოლო - დასავლეთი ამის წინააღმდეგი იქნება და ამას არც დაუშვებს.

როგორც დეკემბრის, ასევე მაისი თვეებში ჩატარებულ გამოკითხებში საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად აშშ-ში რესპუბლიკური პარტიის გამარჯვებას, ქართული საზოგადოებისათვის, ერთგარად ესქატოლოგიური მნიშვნელობაც კი აქვს. თუ რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, რუსეთი ვეღარ დაგვჩაგრავს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაც უფრო მაღალ აღდგება. შეიძლება პარადოქსულიც კი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის საქართველოზე “შზრუნველობა” ქვეყნის მიმდინებად უშუალო ე.შევარდნაძეს უკავშირდება, რომელსაც მრავალი რესპონძენტი იმ ქვეყანასთან ალიანში დებს ბრალს, რომელიც აშშ-ს რესპუბლიკურმა პარტიამ უნდა დათორგუნოს...

რუსეთის ნება-სურვილზე დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეშიც ჩანს (“რუსეთი დაგვიზრუნებს გალის რაიონს”) და ვინაიდან რუსეთი უარყოფითი სიმბოლოა, შესაბამისად ამ პრობლემის მოგვარებისადმი დამოკიდებულებაც სკეპტიკურია. თუმცა ყველაზე ძლიერად მაინც მისი სამხედრო გზით გადაწყვეტის პერსპექტივის იმედი ჩანს და შეკარად მცირეა მშვიდობიანი თუ შილდაპოლიტიკური (საქართველოს ეკონომიკურად მომძლავრება, სტაბილიზაცია) გზით მოგვარების იმედი.

საგარეო ფაქტორის ესოდენ დიდი მნიშვნელობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებასა და ჩვენი პოლიტელიტის არასრულფასოვნების კომპლექსზეც მიუთიოთებს.

დაბოლოს, ისიც შეიძლება ითქვას, რომ რესპონძენტთა დამოკიდებულება მთელ რიგ პოლიტიკურ პრობლემათა მიმართ არათანაბარი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და იმპულსურია, ხოლო რაციონალურობისა და პოლიტიკური რეალობის აღქმის დონე - მცირე და უმნიშვნელო.

რედაქციისაგან: მაინც, რატომ ღავარქვით პუბლიკაციების  
ამ სერიას „პოლემიკის გაევეთილი?“ განა ვითომ რა ისე-  
თი ჭურისასწავლებელი, სამაგალითო ამბავია ჩვენი სა-  
ზოგადოებისათვის? მაგრამ თუ ახალგაზრდა, სრულიად  
უცნობი ანალიტიკოსის კრიტიკულ მოხსენებაზე მსგავს რამ  
ძირგომას იპოვით მავანი მეტრის მხრიდან ქართულ წარ-  
სულსა თუ სინამდვილეში, თითო მოგვიყავია...

სტატია „ნაციონალიზმი და დემოკრატია“ (მისი თავდაპირველი, უფრო „მძიმე“ სათაური იყო „ნაციონალიზმისა“ და დემოკრატიის გა-დაზრება პოსტ-კომუნისტური გამოცდილების შუქზე“) დაიწერა 1992 წელს ვაშინგტონში, კენანის რუსეთის კვლევის ინსტიტუტში მუშაობის დროს. ეს ის პერიოდია, როცა სოვეტოლოგების მრავალრიცხვობანი არ-მია დაბნეული იყო მათი კვლევის საგნის - საბჭოთა კავშირის - დაშ-ლით. სოვეტოლოგთა უმრავლესობა არ ელოდა და ბოლომდე ვერ ეგუ-ებოდა ასეთ აღსასრულს: ჯერ ერთი, სოციალისტური იდეოლოგიისაღ-მი სიმპათიის გამო ისინი დიდად თანაუგრძნობლნენ საბჭოეთის თანდა-თანობითი გაადამიანურების გორაბჩოვისეულ პროექტს; მეორეც, საბ-ჭოთა კავშირის ეროვნული პერიფერიები მათი ინტერესის საგანს სო-ველთვის ნაკლებად შეადგენდა, ხოლო ეროვნულ მოძრაობებს არქეუ-ლი გადმონაშოთის სტატუსს აკუთვნებდნენ.

ასეთი, გარდამავალი ეპოქები ყოველთვის მოითხოვს ხოლმე საკ-ვანძო ცნებების ხელახალ გადააზრებას. მე ვთვლიდი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებულ გაბატონებულ ტრადიციას-თან მიმართებით, გადააზრებას მოითხოვდა კერძოდ ერის, ნაციონა-ლიზმის და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებეთან მისი მიმარ-თების პრობლემები. კენნის ინსტიტუტში თავიდანვე სწორედ ამ თე-მაჩე სამუშაოდ ჩავედი. იმავე პერიოდში გამოვიდა ამერიკელი პოლი-ტიკური ფილოსოფოსის ფრანსის ფუკუიამას გახმაურებული წიგნი „ის-ტორიის აღსასრული და უკანასკნელი ადამიანი“ რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ტრადიციის გადააზრებას კომუნიზმის კრახის ფონზე. ჩემი სტატიის ბეგრი ძირითა-დი თემისიც ბუნებრივად ფუკუიამას კონცეფციასთან შებირისპირებში ჩამოყალიბდა: მე ძირითადად ვეთანხმებოდა ფუკუიამას ზოგად კონ-ცეფციას, მაგრამ მთლად არ ვიზიარებდი მის წარმოდგენას ნაციონა-ლიზმები. ამ სიახლოვეში, როგორც ჩანს, ჩემთვის და ფუკუიამასთვის საერთო ჰეგელიანურმა ძირებმა ითამშა გარევეული როლი.

პირველად ჩემი სტატიის ძირითადი თემისები საზოგადოებას კენა-ნის ინსტიტუტში წაკითხული მოხსენების სახით წარგუდგინე იმავე წლის აპრილში. როგორც ჩანს, თემა „ცხელი“ აღმოჩნდა: სტატია გამოსაქ-ვეყნებლად მთხოვა დემოკრატიის ეროვნული ფონდის გამოცემაშ „დე-მოკრატიის ურნალი“; იმავე ფონდმა მოაწყო სტატიის განხილვაც, სა-

დაც ოპონენტად თვით ფუკუიამა გამოდიოდა. ჟურნალის გარდა სტატია შევიდა აგრეთვე კრებულში „ნაციონალიზმი, ეთნიკური კონფლიქტები, დემოკრატია“. გარდა ამისა, ლირებულებათა და ფილოსოფიის კვლევის საბჭომ პოლ პიჩისა და ჯორჯ მაკლინის თაოსნობით იმავე 1992 წლის გაზაფხულზე ვაშინგტონის ახლოს მოაწყო ორობლების განხილვას მიეძღვნა. ამ სემინარის მასალებიც (ამავე სტატიის უფრო ვრცელი ვარიანტით) ახლახან წიგნად გამოვიდა (ამავე წიგნში შევიდა 1990 წელს ვაშინგტონშივე ჩატარებული ამერიკულ-ქართული ფილოსოფიური კოლოკვიუმის მასალები თვემზე „ცოდნა და ზენობა“).

დასავლელი მეტიხველი სტატიას აღიქვამს უპირატესად როგორც ნაციონალიზმის ზომიერ დაცვას: როგორც იმის მტკიცებას, რომ ნაციონალიზმს, აშკარა უარყოფითი მხარეების გარდა, რაღაც დადგებითიც შეიძლება ჰქონდეს. ამავე დროს, სტატიაში გატარებულია აზრი, რომ მხოლოდ კლასიკური ლიბერალური ინდივიდუალიზმი ვერ იქნება საკმარისი პირობა დემოკრატიული საზოგადოების ასშენებლად. ამგვარა მიღებობა სიმპათია დაიმსახურა, ერთის მხრივ, ნეოკონსერვატული მიმართულების წრეებში (მათ უკავშირებენ დემოკრატიის ეროვნულ ფონდსაც და ფ. ფუკუიამასაც), მეორეს მხრივ კი პოლიტიკურად უფრო მემარცხენე რელიგიურ მოაზროვნებში, ვინც უკმარობას განიცდის დასავლერი ცივილიზაციის ინდივიდუალისტურ-რაციონალისტური პარადიგმის გამო.

გია ნოღია

## ნაციონალიზმი და დემოკრატია

კომუნიზმის კოლაფსმა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთდროულად ლიბერალური დემოკრატიის ტენდენციაც ახალ შთამბეჭდავ მიღწევებთან მიიყვანა და ნაციონალიზმი კი – ალ-ზევებასთან. ბევრმა ანალიტიკოსმა, ჩანს, ეს წინააღმდეგობრივ ფენომენად მიიჩნია, რამდენადაც ისინი ნაციონალიზმს ფუნდამენტურად არა-დემოკრატიულ მოვლენად განიხილავნ. მიმართა, რომ ეს ზედაპირული თვალსაზრისია, რომელიც ხელს უშლის ჩვენს მიერ იმის გაგებას, თუ რა ხდება როგორც პოსტკომუნისტურ, ასევე ბევრ სხვა ქვეყნებშიაც. ყოველ შემთხვევაში, ანტიკომუნისტური ცვლილებების გამოცდილება ჩვენგან მოითხოვს არა მხოლოდ ნაციონალიზმა და დემოკრატიას, არა-

მედი იმ სხვა მრავალ ბაზისურ იდეას შორის არსებული მიმართებების გადააჩრებას, რომელთაც თანამედროვე ცივილიზაცია ემყარება.

ამგვარი ხელახლი გააჩრების პირველი მნიშვნელოვანი მცდელობა დიდი ცვლილებების საწყის ეტაპზევე გამოჩნდა – 1989 წლის ზაფხულში გამოქვეყნდა ფრანსის ფუკუამას მოსაზრებები „ისტორიის და-სასრულის“ შესახებ.<sup>1)</sup> მოგვიანებით, უკვე სქელტანიან წიგნში გშლი-ლი, ფუკუამას მთავარი იდეა ის გახლდათ, რომ კომუნიზმის ნერვების დაბრუნებული დემოკრატიის იდეას მარტომდგომად ტოვებდა, რომლის გვერდითაც აღარ ჩანდა სხვა რომელიმე სიცოცხლისუნარიანი იდეოლოგიური კონკრეტიზო.<sup>2)</sup> ამჩინად, თითქოსდა მიღწეულია ადამიანის განვითარების ბოლო, პოსტოისტორიული საფეხური და ლიბერალური დემოკრატიის ბატონობა, იქნებ მომაბეჭრებლად ერთფეროვანიც კი, უბრალოდ, გარდაუვალი ხდება.

პირადად მე, თუმცა ზოგადად ვეთანხმები ფუკუმიამას ანალიზს, არ ვიზიარებ ნაციონალიზმის როლის მის უპირატესად ნეგატიურ შეფასებას ლიბერალური დემოკრატიის წარმოშობის, გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში. მარტივად რომ ვთქვა, ფუკუამა (ზოგიერთი საპირისპირო შენიშვნის მიუხედავად) იზიარებს დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ლიბერალური დემოკრატია და ნაციონალიზმი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი მოვლენებია.<sup>3)</sup> თუ ერთი გაიმარჯვებს, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეორის სრული დამარცხების შემთხვევაში. ტერმინი დემოკრატია უკვე ლამის მექანიკურად უკავშირდება ისეთ ზედსართავებს, როგორიცაა „კარგი“, „ცივილიზებული“, „აროგრესული“, „რაციონალური“ და ა. შ., მშინ როდესაც ნაციონალიზმი „ჩამორჩენილობასთან“, „განუვითარებლობასთან“, „ბარბაროსობასთან“, „ირაციონალიზმთან“ და სხვა მსგავს ცნებებთანაა ასციირებული. ღირებულებათა ასეთი შეალის ფონზე ფუკუამას ვარაუდი, ირომ „ირაციონალური“ ნაციონალიზმი არ იძლევა დემოკრატიის სიცოცხლისუნარიან ალტერნატივას და ამგვარად, ისტორიას თავისი უსაფრთხო სასრული სტადიისთვის მიუღწევია, ფუკუამას მეტისმეტ აპტიმისტულ წარმოაჩენს. ამის საპირისპირო, შლომო ავინერის მსგავსი პესიმისტები ამტკიცებენ, რომ სწორედ ნაციონალიზმი და არა ლიბერალური დემოკრატია კომუნიზმის ჩატარებული მემკვიდრე, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორია თავის კვალს უბრუნდება.<sup>4)</sup>

მაგრამ რა იქნება, თუკი ნაციონალიზმა და დემოკრატიას განცალევებულ მოვლენებად არ განვიხილავთ? იქნებ ნაციონალიზმი, უბრალოდ, შემადგენელი ნაწილია იმ უფრო რთული საგნისა, რომელიც „ლიბერალურ დემოკრატიად“ იწოდება? ამით მე იმის თქმა მსურს, რომ ნაციონალიზმის იდეა მოუაზრებელია დემოკრატიის იდეის გარეშე,

და რომ არც დემოკრატია არსებობს ნაციონალიზმის გარეშე. მათი ურთიერთკავშირი ზოგ როულ ოჯახს ჰყავს: მეუღლეებს არსებობა არ შეუძლიათ უერთმანეთოდ, მაგრამ ორივენი თანაარსებობენ თითქმის გამუდმებულად დაძაბული მდგომარეობის პირობებში. გაყრა, შესაძლოა, ლოგიკურ გადაწყვეტილებად გამოიყურება დასავლელი ლიბერალისათვის, რომელიც შეძრწუნებულია მეოცე საუკუნის ევროპული ნაციონალიზმის გამოცდილებით, მაგრამ ეს არჩევანი, თუკი მხედველობაში მივიღებთ რეალურ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას, მხოლოდ შიშველ სურვილზეა დამყარებული.

ის წესი, რომლითაც კომუნიზმის კოლაფსი და საბჭოთა იმპერიის დაშლა მოხდა, საკითხისადმი ჩემუღლი მიღვომის მართვებულობას ადასტურებს. მის საპირისპიროდ, დასავლური პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი ნაკადის უუნარობა ფეხი აეწყო მოვლენათა განვითარებისათვის პისტკომუნისტურ აღმოსავლეთში, ნაწილობრივ მაინც დასავლური მენტალიტეტის მიერ ნაციონალიზმისა და მისი დემოკრატიასთან მიმართების ცალმხრივი აღქმითაა გამოწვეული.

ეს ცალმხრივობა დიდწილადაა დამოკიდებული დასავლური სოციალური მეცნიერებისათვის ზოგადად დამახასიათებელ ტენდენციებზე: ერთი მხრივ, ეკონომიკურ დეტერმინიზმზე, მეორეს მხრივ კი შეფასებითი მსჯელობებით გატაცებაზე. თუ წინასწარ ვალიარებთ, რომ სოციალური მოვლენების ნამდვილად „მეცნიერული“ გზით ახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ეკონომიკურ პირობებზე დავიყვანთ, მაშინ აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია თანამედროვე ინსტრუმენტალისტურ დოკტრინამდე, რომლის მიხედვითაც ერები და ნაციონალიზმი შედეგია: ა) ინდუსტრიალიზაციისა და ბ) მასების მანიპულაციისა, რომელსაც საკუთარი (უმთავრესად ეკონომიკური) ინტერესების მქონე ელიტა ეწევა. თუმცა, ეს „მეცნიერული“ განწყობა სულაც ვერ ითარებს ბევრ სწავლულს ტერმინების „დემოკრატიის“ და „ნაციონალიზმის“ უფრო შეფასებითი, ვიდრე დესტრიციული გამოყენებისაგან. დემოკრატიას გმირის როლი ხვდა და იგულისხმება, რომ მას არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს ნაციონალისტ არაშზადასთან.

ას თქმა უნდა, სოციალურ მოვლენათა არც ერთ მკვლევარს არ შეუძლა მთლიანად აიცილოს თავიდან გარკვეული ლირებულებებისათვის უპირატესობის მინიჭების ცდუნება. თავად მე, მაგალითად, ვეთანხმები უინსტონ ჩერჩილს, რომ დემოკრატია ძალიან ცუდი პოლიტიკური სისტემაა, რომელსაც ერთადერთი, მაგრამ ფრიად სოლიდური გამართლება აქვს: ყველა დანარჩენი პოლიტიკური სისტემა მასზე უარესია. და მაინც, შეფასებითი მიღვომა შეუთავსებელია თეორიულოთა. როგორც თეორეტიკოსს, მე არ უნდა მაინტერესებდეს, არის თუ არა

ნაციონალიზმი „კარგი“ ან „ცუდი“; ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ის არსებობს. მეორე მხრივ – და აქ მე ვეთანხმები ფუქუიამას – სოციალური რეალობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ობიექტურ მოცემულობებზე; სუბიექტურ-ადამიანურ მიმართებებს, ყოველგვარი რეალურიონიზმის მიუხედავად შეუძლიათ არსებობა და არსებობენ კიდეც. ეს ისეთი ჰემმარიტება გახლავთ, რომელიც მუდა უნდა გვასხვდეს, თუკი შევეცდებით დემოკრატიასა და ნაციონალიზმს შორის არსებული ურთიერთობის გაგებას.

ნაციონალიზმის და დემოკრატიის ანალიზისას ჩემთვის არსებითია, გარკვეული გამიგწებით დავიწყოთ. პირველი მათგანი ეხება დემოკრატიასა და ლიბერალიზმს. თუმცა „დემოკრატია“ ხშირად გამოიყენება „ლიბერალურ დემოკრატიასთან“ ურთიერთშენაცვლებად ცნებად, ეს უკანასკნელი მაინც გულისხმობს ორი განსხვავებული იდეის, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის კომბინაციას, რომელთა შეუთავსებლობა არც მთლად ისე ცხადია, როგორც ეს შეიძლება ეგონოს რიგით ეგრძელ თუ ამერიკელ მოქალაქეს. ამ ორ ფენომენს შორის გარკვეული განსხვავება და დაძლეული მიმართებაც კი არსებობას, და ეს განსხვავება ნაციონალიზმის მიმართ მათ დამოკიდებულებაშიც აისახება.

მეორე, შეუმჩნეველი არ უნდა დაგვრჩეს მნიშვნელოვანი განსხვავება ჩამოყალიბების პროცესში მყოფ დემოკრატიებსა (რომელიც უმთავრესად ახლახანს წარმოშობილ სახელმწიფოებში გვხვდება) და უწყვეტი სუვერენიტეტის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე დასრულებულ დემოკრატიულ რეექიმებს შორის. ამ ორი ტიპის ქვეყნებში ნაციონალიზმის როლიც სხვადასხვაგვარია. პირველ (ლიბერალიზმი-დემოკრატია) და მეორე (ჩამოყალიბებადი-მოწიფებული დემოკრატია) გამიგწებს ურთიერთებისაში თუ განვიხილავთ, შევგიძლიათ ვთქვათ, რომ დემოკრატიის სიმწიფის საზომი მდგომარეობს ლიბერალური და დემოკრატიული პრინციპების მართებულ შეზავდებაში, მაშინ როდესაც ჩამოყალიბებადი დემოკრატების მშობიარობის ტკივილები, ამ პრინციპთა შორის კომპრომისის მიღწევის მცდელობითაცაა დამძიმებული.

მესამე განსხვავება, რომელსაც ჩვენი თემის განსახილველად არა-ნაკლებ მნიშვნელოვნად ვთქვი, „შინნაზარდ“ და „იმპორტირებულ“ ლიბერალურ დემოკრატიებს შორის განსხვავებაა. თანამედროვე დემოკრატია პირველად ჩრდილო-დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გაჩნდა, მოგვიანებით კი დემოკრატიულმა მოდელმა მთელ მსოფლიოში დაიწყო გავრცელება და ახლა, ცივ ომში კომუნიზმის დამარცხების შემდეგ, მას თითქოს ცოტაღა აკლია უნივერსალურ აღიარებამდე. მაგრამ განა ის ისტორიული წინაპირობები და მექანიზმები, რომლითაც დემოკრატიის თავდაპირველი წარმოშობა შეგვიძლია ავხს-

ნათ, სრულად იგივეა, რაც პრინციპები, რომლებიც მისი გავრცელების შექნიკას საზღვრავს? განა ლიბერალური და დემოკრატიული საწყისების ურთიერთმიმართება ერთგვაროვანია „შინნშარდ“ და „მბორტირებულ“ ვარიანტებში? და განა ნაციონალიზმის როლი ერთნაირია ორივე შემთხვევაში? ამ უკანასკნელ კითხვაზე, ვფიქრობ, პასუხი უარყოფითი უნდა იყოს და არც ამის დამასხვერება იქნება ურიგო.

და ბოლოს, უნდა გავიცნობიეროთ, რომ იმას, რისი მოწმენიც დღეს ვართ – კომუნიზმიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლის მცდელობას – არავითარი პრეცედენტი არა აქვს კაცობრიობის ისტორიაში: ყველა სხვა გადასვლა ტრადიციული საზოგადოებიდან ხდებოდა. ანიჭებს თუ არა ეს რაიმე არსებით თავისებურებას ნაციონალიზმის როლს დემოკრატიული გარდაქმნების საჭმეში? ვფიქრობ, რომ კი.

### დემოკრატიის ლოგიკა

დემოკრატიის საფუძველში ხალხის სუვერენიულობის პრინციპი ძეგს, რომლის მიხედვითაც მთავრობის კანონიერებას აღგენს მხოლოდ იმათი ნება, ვისაც ეს მთავრობა მართავს. ეს ზოგადი პრინციპი უნდა გავმიჯნოთ დემოკრატიული პროცედურებისაგან, რომელთა მქონეობითაც ჩვენ ვაღენეთ, თუ მართლა რა სურს ხალხს. ძირითადი პროცედურა, რა თქმა უნდა, არჩევნებია. სხვა ხერხების დანიშნულებაა დაიცვას დემოკრატია არჩეულ მმართველთა შესაძლო თვითნებობისაგან; ასეთებია: ძალაუფლების შტოთა გამიჯვნა, ხელახალი არჩევის შესაძლებლობათა ლიმიტირება, კონსტიტუციიში შესწორების შესატანად განსაკუთრებული მოთხოვნების დაწესება და ა. შ.

იგულისხმება, რომ დემოკრატიული მმართველობა უაღრესად რაციონალური უნდა იყოს. მისი კავშირი რაციონალისტურ ფილოსოფიურ ტრადიციასთან აშკარად ჩანს „სოციალური კონტრაქტის“ ცნება-ში, რომელიც საზოგადოებას გაზიარებს თავისუფალ და არჩევანის საშუალებით მქონე ინდივიდთა ერთობლიობად, რომელთაგან თვითოვეული თავის ქცევას ამყარებს იმის გაანგარიშებაზე, თუ რა უფრო შეესაბამება მის ინტერესებს. დემოკრატია არის წესების სისტემა, რომელიც დაკანონებულია ხალხის ნებით და იგულისხმება, რომ უმთავრეს შემთხვევაში ხალხი ირჩევს იმას, რაც უფრო სასარგებლოა მისი კეთილდღეობისათვის.

აქედან გამომდინარე, ყოველივე რაც არასაკმარისად რაციონალურად გამოიყურება, იქნება ეს ირაციონალური ფილოსოფია თუ ირა-

ციონალური ადამიანური გრძნობები, ჩვეულებრივ გაგებულია როგორც დემოკრატიის იდეის საპირისპირო რამ. ნაციონალიზმი მხოლოდ ერთი ნიმუშია „ირაციონალური“ ფენომენისა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, სპობს დემოკრატიის მარცვალს. ნაციონალიზმსა და დემოკრატიას შორის აუცილებელი და პოზიტიური კავშირის არსებობის მტკიცებით მე, რა თქმა უნდა, სწორედ ამგვარ ზოგად თვალსაზრისს ვუპირის-პირდები.

იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რა სასიცოცხლო როლი შეუძლია შესასრულოს ნაციონალიზმის მსგავსმა არარაციონალურმა ფენომენმა დემოკრატიის პროექტის განხორციელებისათვის, ეს უკანასკელი შეიძლება თამაშს შევადაროთ. დემოკრატია, ნებისმიერი თამაშის მსგავსად, ეყარება წესებს, რომელთა ძალა მოთავანად დამოკიდებულია მოთამაშეთა (მოქალაქეთა) მზაობაზე, დაიცვან ისინი. ეს ანალოგია კარგად ეხამება დემოკრატიის ზემოაღნიშნულ ორივე ასპექტს: ხალხის სუვერენულობის პრინციპს და იმ ფაქტს, რომ ამ სუვერენულობის ერთადერთი აზრიანი გამოხატულებაა მისი სახელით შექმნილი წესების გარკვეული ერთობლიობა (კონსტიტუცია და კანონები). ხალხის სუვერენულობა მდგომარეობს იმის პრეტენზიში, რომ „ჩვენ, ხალხი“ ვაპირებთ ვითამშოთ მხოლოდ იმ წესებით, რომლებიც საკუთარი ნებით ავირჩიეთ. ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ ამგვარ წესებს (თამაშის წესებისა-გან განსხვავებით) დამოუკიდებელი მორალური ღირებულება აქვთ, რაც საბოლოო ჯამში შეიძლება დაფუძნებული იყოს გარკვეულ რელიგიურ ჩრდენაზე, მაგრამ ამ უნივერსალური ღირებულებების (ანდა ღვთის ნების) ინტერპრეტაციის კონკრეტული მანერა დამოკიდებულია ინდივი-დუალურ მორწმუნებზე – „ჩვენზე, ხალხზე“. პრინციპში ამით განსხვავდება დემოკრატია ისეთი პოლიტიკური სისტემებისაგან (სულ ერთია, ტრადიციული არიან ისინი თუ მოდერნულნი), სადაც ღვთიურ ნებას (ან მის რომელიმე ეჭვივალენტს, ვოჭვათ, მარქსის ისტორიული განვითარების „კანონებს“) ჯერ მმართველი ელიტა განმარტავს და უკვე შემდეგ მასებამდე დაყავს შესაბამისი წესები.

დემოკრატიის ეს „თამაშის მსგავსი“ ასპექტი თითქოს გვიჩვენებს მის სრულ რაციონალურობას, მაგრამ თუ ჩვენ ამ ანალოგიას გავაგრძელებთ, დემოკრატიული საქმიანობის არარაციონალურ ასპექტებსაც აღმოვაჩენთ. თამაში, წესების გარდა, მოთამშეთა ჯგუფსა და შემოზღუდულ სათამაშო სიგრცესაც გულისხმობს. ნამდვილ თამაშებში მისი ელემენტები მთლიანად პირობითი და თვითნებურია, დემოკრატიული წამოწყების მიმართ კი იგივეს ვეღარ ვიტყვით, თუმცა დემოკრატიული კანონები („წესები“) შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რაციონალური შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილების პროცესში, მაგ-

რამ პოლიტიკური ერთობის შემადგენლობა და ტერიტორია („მოთამა-შეები“ და „სათამაშო სივრცე“), რომელთა მიმართაც ამ კანონებს ძალა აქვთ, არ შეიძლება ამგვარადვე განისაზღვროს. რა თქმა უნდა, დემოკრატიას აქვს სტანდარტული კატეგორიები (მოქალაქეობა და სახელმწიფო საზღვრები) მოთამაშეებისა და სათამაშო სივრცის განსასაზღვრავად, მაგრამ იმის გარჩევის კრიტერიუმი, თუ სახელდობრ ვინ არის მოქალაქე და საკუთრივ სად გადის საზღვრები, სულაც არ გამომდნარეობს დემოკრატიული წამოწყების შინაგანი ლოგიკიდან.

განვითარებული დემოკრატიული რეჟიმი ამგვარ კითხვათა მოგვარებას თავის წინაპირობად გულისხმობს, მოუხდავად იმისა, თუ რამდენად აქვს რაციონალური დემოკრატიული მოქმედების ლოგიკას შინაგანი რესურსები მათ გადასაწყვეტად. მართალია, თვითდადგენის დემოკრატიულმა პრინციპმა და არჩევნების დემოკრატიულმა პროცედურამ შესაძლოა გააიოლოს ეს გადაწყვეტა, მაგრამ დემოკრატიის ლოგიკა, თავსთავად, არ გვაწვდის რამე სპეციფიკურ კრიტერიუმს, რის მიხედვითაც გაკეთდებოდა არჩევანი, ან გაგვარევევდა, თუ რომელი ხალხი ან ტერიტორიაა ჩასართველი ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაში. მაინც რის მიხედვით უნდა დავადგინოთ, მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა მოცემული ჯგუფი რატომ უნდა შეუერთდეს რომელიმე პოლიტიკურ ერთობას, ან გამოიყოს მას?

რამდენადაც დემოკრატიის იდეა უნივერსალურია, სავსებით ლოგიური იქნებოდა, რომ ხალხის სუვერენულობის პრინციპი ერთიანი მსოფლიო პოლიტიკური ერთობის მასტრაბით განხორციელებულიყო. ეს, უბირველეს ყოვლისა, გულისხმობს რომ დემოკრატიაზე გადასვლა მთელ მსოფლიოში ერთდროულად უნდა მოხდეს, და რომ ერთიანი მსოფლიო დემოკრატიის ასებობა თვით ადამიანების სურვილს შეესაბამება. მაგრამ ისტორია არ გვიდასტურებს არცერთ ამ ვარაუდს. დემოკრატია მუდმივ შემოსაზღვრული ერთობების დონეზე ყალიბდებოდა ხოლმე. არას-დროს და არსად არ აღნუსხულა, რომ თავისუფალ, ერთურთობან შეუკავშირებელ ინდივიდებს რაციონალური გაანგარიშების საფუძველზე, საონტრანურად გადაეწყვიტათ – არაფრიდან დემოკრატიული, სოციალურ კონტრაქტზე აგებული საზოგადოება შევქმნათ.

მოგვწონს თუ არა ეს, მაინც ნაციონალიზმია ის ისტორიული ძალა, რომლის საფუძველზეც ყალიბდება დემოკრატიული ხელისუფლები-სათვის ვარგისი პოლიტიკური ერთეულები. „ერა“, უბრალოდ, სხვა სახელია ცნებისა „ჩვენ, ხალხი“, რითაც ამერიკის კონსტიტუცია იწყება.

## მრავბის პირები

ტრადიციულმა ევროპულმა ნაციონალიზმმა სცადა ჩამოყალიბებინა ეროვნულობის ობიექტური ნიშნები, რომელთა საშუალებითაც ადამიანთა მოცემული ჯგუფი „თვითდაღგნის“ მოთხოვნის რაციონალურ გამართლებას შესძლებდა. ეს ნიშნები მოიცავენ ენას, საერთო წარმომავლობას, სახელმწიფოებრიობის ისტორიულ ტრადიციას და მისთანებს; იმდონებდონენ, რომ ამ ნიშნების მეშვეობით დემოკრატიის შენობა მთლიანად რაციონალურ საფუძვლებზე დამყარებული აღმოჩნდებოდა. უნდა არსებულყო საყოველთაოდ მისაღები ობიექტური კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც ტერიტორიები ხალხებს შორის „სამართლიანად“ განაწილდებოდა; თუ რომელიმე ჯგუფსა თუ ინდივიდს ეეჭვებოდა საკუთარი კუთვნილება ამა თუ იმ ერისადმი, ამ გზით ისნიც მოიპოვებდნენ ზუსტსა და მიუკერძოებელ საზომებს ამგვარი ეჭვების გასაფანტავად. მაგრამ ნაციონალიზმთა ფაქტურულმა ისტორიამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთი სწავლულების მიერ შემოთავაზებულ თეორიულ ნააზრებზე, როგორიც ჰანს კონი და ენსტ გელნერი არინ, ცხადად აჩვენა, რომ ასეთი ობიექტური და უნივერსალური კრიტერიუმის გამომუშავება, უბრალოდ, მიუღწეველია.<sup>5)</sup> მოდერნიზაციამდელი ეთნიკური ერთობების თანამედროვე ერებად განვითარება ყოველთვის გაშუალებული იყო ისტორიული შემთხვევითობებითა თუ ცნობიერი პოლიტიკური ძალისხმევით: დამოუკიდებელი ან ბუნებრივად ჩამოყალიბებული ნაციონალური საზოგრები, უბრალოდ, არ არსებობს.

მართალია, ამ აღმოჩენას დიდად შეუძლია გამოიუთხოოს ძირი ნაციონალიზმის პრეტენზიას ზოგადმართებული რაციონალური კრიტერიუმის შემოთავაზებაზე, მაგრამ ის მაინც ვერ გააქარწყლებს ნაციონალიზმის რეალურ ფუნქციას დემოკრატიული (ე. ი. თვით-დამდგენი) პოლიტიკური ერთობების ჩამოყალიბებაში. კრიტერიუმებმა, რომლითაც ერები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან, შეიძლება ვერ დააკმაყოფილონ ობიექტური ზოგადმართებულობის მოთხოვნები, მაგრამ დემოკრატიისათვის უცულებელი პოლიტიკური ურთიერთშეკავშირება არ შეიძლება მიღწეულ იქნას მანამ, სანამ ხალხი თავის თავს “ერად“ არ დაადგენს. ნაციონალური პრინციპის არასაკმარისად რაციონალისტურმა ხასიათმა შეიძლება შეარყიოს დემოკრატიის საფუძვლები და სისხლისღვრაც კი გამოიწვიოს. რაյო ეროვნულობის ზოგადმართებული კრიტერიუმი არ არსებობს, წარმოშვება კონფლიქტები, რომელთა სამართლიანი და რაციონალური გადაწყვეტა იქნებ პრინციპულად არც იყოს შესაძლებელი. კუნტაქტებ მცხოვრებ ერთა შორისაც კი ძნელია ისეთის პოვნა, რომელსაც ტერიტორიული დავა არ ჰქონდეს მეზობლებთან, და

მრავალ ერს აქს ეთნიკური უმცირესობების პრობლემა, რომელთაც იგი უყრებს როგორც პოტენციურ მოღალატეებს, მაშინ როდესაც ეს უკანასკელნი თვით უმრავლესობას განიხილავენ როგორც პოტენციურ მხაგრელს. ამგვარი პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა გზა არსებობს: რადიკალური, „საბოლოო“ – როგორიცაა გენოციდი ან ეთნიკური წმენდა; თანდათანობითი, გრადუალისტური – ასიმილაცია; ან კომპ-რომისტი, როგორიცაა კიმუნალური თუ რეგიონალური ავტონომიების მინიჭება ფედერალური სახელმწიფოს შიგნით. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიიღწევა პრობლემის გადაწყვეტა უმტკივნეულოდ და ძალა-დობის გარეშე, რაც გვიხსნის იმას, თუ რატომ სურს თანამედროვე დემოკრატიის ამდენ მხარდამჭერს ნაციონალისტური პრინციპის თავიდან აცილება. სამწუხაროდ, მხოლოდ სურვილები არ განსაზღვრავენ ჩემობას.

ნაციონალიზმის ჩემობისა და მნიშვნელობის უარყოფის მცდელობა ხშირად მომდინარეობს იმ დაშვების მიუღებლობიდან, რომ დემოკრატია, პოლიტიკური რაციონალობის ეს თითქოსდა სანიმუშო ხორცშესხმა, არარაციონალურ საუფაველს ემყარება. დემოკრატიულ საზოგადოებათა აგების ადრეულ ეტაპებზევე ნათელი გახდა, რომ პოლიტიკური დეფინიციის არარაციონალური აქტი (იმის დადგენა, თუ ვინ არის ეს „ჩემი, ხალხი“) რაციონალური პოლიტიკური ქცევის უცილებელი წინაპირობაა. ამის აღიარებაშე უარის თქმაშ საშუალება არ მისცა დასავლელ ინტელექტუალებს გაეგოთ, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში (ან, უფრო სწორად, რა დაემართა მას) პერესტროიკის შედეგად. მათი შემფოთება იმის გამო, რომ ნაციონალიზმი ხელს უშლიდა დემოკრატიულ ჩეფორმებს, ანგარიშს არ უწევდა იმ ჰქემარიტებას, რომ ყველა ჩემობართური დემოკრატიული მოძრაობა (რუსეთის გარდა) იმავდროულად ეროვნული მოძრაობაც იყო. დამოუკიდებლობის მოსურნე რესპუბლიკების პოლიტიკურ ლიდერებს ეყითხებოდნენ, თუ რა ეკონომიკური სარგებლიანობის მოპოვებას მოელოდნენ ისინი დამოუკიდებლობისაგან მაშინ, როდესაც ჩამოყალიბებული ერები თავად განიხილავდნენ სუვერენიტეტს, როგორც საბოლოო მშანს და არა როგორც მხოლოდ საშუალებას ეკონომიკური აყვავებისათვის.

ურთიერთდამოკიდებულება დემოკრატიასა და ნაციონალიზმს შორის სრულიად სხვა გზითაც იჩენს თავს. თანამედროვე დემოკრატიული რეჟიმები, არააკლებ ვიდრე თანამედროვე ერები, ხელოვნურ კონსტრუქციებს წარმოადგენენ. ქველი დემოკრატიები მხოლოდ პოლისის, კლასიკური ქალაქ-სახელმწიფოს მასშტაბით იყო შესაძლებელი. ამ ტიპის დემოკრატია არსებითადაც თანამედროვე იყო ცალკეული ადამიანისა: დემოკრატიული ყოფის ველის სიმცირის გამო მოქალაქეები პი-

რისპირ ხვდებოდნენ ერთმანეთს. თანამედროვე დემოკრატია შორს გასცდა ასეთ „შინაურულ“ ურთიერთობებს: ის მოქალაქეებისაგან მოითხოვს სოლიდარობის იმპვარ გრძნობას, რომელიც ნაკლებად იქნება დამკაიდგომლი უშუალო შეგრძნებებზე და უფრო მეტად დაემყარება პზ-როვნებისა და წარმოსახვის მოდელებს.<sup>6)</sup>

იუჯინ ვებერის ღირსშესანიშნავი ნაშრომი „გლეხების გადაჭცევა ფრანგებად“ გვიჩვენებს, თუ საფრანგეთის რევოლუციის დროს (როდესაც დაიწყო კიდევ ფრანგი ერის ჩამოყალიბება თანამედროვე გაგებით) გლეხება, ძველი რევიმის, უმთავრესად სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული სპონგალოების უფართოესი ნაწილი, რაოდენ მცირედ იშრებდა თავს „ფრანგად“ – ბევრი მათგანი, კაცმა რომ თქვას, ფრანგულად არც კი ლაპარაკობდა.<sup>7)</sup> ურთიერთშეკავშირება მიღწეულ იქნა მიზანდასახული, ცენტრალიზებული და მკაცრი პოლიტიკური ძალისხმევის შედეგად; ამ აზრით, დღევანდელი ფრანგი უფრო „ხელოვნური“ კონსტრუქციაა, ვიდრე „ბუნებრივი“. წიგნის სათაური იმავე წარმატებით შეიძლებოდა ყოფილიყო „გლეხების გადაჭცევა მოქალაქეებად“, რაც ყურადღებას გაამახვილებდა იმ პარალელურ კონკრეტური მომელიც შეიცავს გლეხის (ანუ სოფლად მოსახლის) მოქალაქედ (ანუ ქალაქის მაცხოვრებლად) გადაჭცევას მისი ქალაქად მიგრაციის გარეშე. ასეთია პარადოქსი, რომელსაც ემყარება თანამედროვე დემოკრატია – ძირეულად ურბანისტული ფენომენი, მხოლოდ შემდგომ რომ მოუწია მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელება და, მაშასადამე, სოფლის მოსახლეობის მოცვაც. ამგარი არამ შეიძლებოდა მიღწეულიყო მხოლოდ შეგნებული პოლიტიკური ძალისხმევით, სულ ერთია ვინ იკისრებდა ამას – ცენტრალიზებული სახელმწიფო ბიუროკრატია, კულტურული ელიტა თუ სხვა ვინმე. ფაქტიურად, გლეხების ფრანგებად და მოქალაქეებად გადაჭცევა ერთიანი პროცესი იყო: გლეხებს ფრანგებად გადაჭცევა შეეძლოთ მხოლოდ მოქალაქეებად გადაჭცევის შემთხვევაში და პირიქით – ეს ორი მომენტი გამიგზნადია თეორიულად, მაგრამ არა პრაქტიკულად.<sup>8)</sup>

ამრიგად, დემოკრატიის მშენებლობის საჭიროებები ქმნის სტიმულს ერის ჩამოსაყალიბებლად წინასწარ არსებული ეთნიკური მასალისაგან. ერნსტ გელნერის ნათქვამი – „ნაციონალიზმი ჰქმნის ერებს“, იმაზეც მიანიშნებს, რომ ერებს დემოკრატიული გარდაქმნები (და არა მხოლოდ ინდუსტრიალიზმი ან კაპიტალიზმი) ჰქმნის.<sup>9)</sup> აი ამიტომაა, რომ დემოკრატიის წარმოშობის ეტაპზე დემოკრატიული მოძრაობები და ეროვნული მოძრაობები ხშირად ერთი და იგივეა. ორივე ასულ-დგმულებს „თვითდაღვენის“ პრინციპი: „ჩვენ, ხალხი (ე. ი. ერი) თავად გადავწყვეტთ საკუთარ ბედს; ჩვენ მხოლოდ იმ წესებს დავვე-მორჩილებით, რომელთაც თავადვე დავადგენთ, და არავის მივცემთ

საშუალებას – სულ ერთია, იქნება ეს აბსოლუტური მონარქი, უზურ-პატორი თუ რაიმე გარეშე ძალა – ჩვენი თანხმობის გარეშე გვმართოს“.

ამ არგუმენტს განსაკუთრებული ძალა აქვს ჩამოყალიბებული დე-მოკრატიების შემთხვევაში, სადაც ნაციონალიზმი დემოკრატიული ქრების საწყისად გვევლინება. ეროვნული გრძნობის როლი დემოკრატიული წყობის შენარჩუნებიში სხვაგარია – როდესაც დემოკრატიები სტა-ბილურობასა და საკუთარ საზღვრებში უსაფრთხოებას იგრძნობენ, ნა-ციონალური გრძნობის ინტენსივობა და მნიშვნელობა შესაძლოა, თან-დათანიბით შემცირდეს. ცხალია, შეიძლება ვიკამათოთ იმზე, ხდება თუ არა რაიმე ამდაგვარი დღეს აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ ეს უკვე საუბრის სულ სხვა თემაა.

### ლიბერალიზმი ნაციონალიზმის ზინააღმდეგ

დემოკრატიის სახელით ნაციონალიზმის კრიტიკა სინამდვილეში უმე-ტესტილად მისი ლიბერალიზმის სახელით კრიტიკაა. ლიბერალიზმის ქვეშ მე ვგულისხმობ დოქტრინას, რომელიც ადამიანის პირად თავი-სუფლებას უმაღლეს პოლიტიკურ ღირებულებად მიიჩნევს. რაც შეეხება ნაციონალიზმს, იგი უპირატესობას ანიჭებს რასობრივ, კულტურულ ან სხვა მსგავს საფუძველზე აღმოცენებული კოლექტივის მისწრაფებებს. ლიბერალიზმისათვის გადამწყვეტია ორჩვანის პიროვნული უფლება, მა-შინ როდესაც ნაციონალიზმი უმაღლეს ადგილზე აყენებს რაღაც ისეთს, რაც პიროვნულ არჩევანზე არ არის დამოკიდებული.

თუმცა დაპირისპირების ძირი უფრო ღრმაა, ვიდრე ღირებულები-თი პრეფერენციები. ნაციონალიზმის ლიბერალური კრიტიკის ძირითადი თეზისი ისაა, რომ ერთ „არარეალური“ („წარმოსახვითი“, „ხელობურ-რად შექმნილი“, „მოგონილი“ და ა. შ.) რამაც, მშინ როდესაც კონკრეტული ადამიანი, ინდივიდუუმი, პიროვნება სავსებით „რეალურია“. ამ თვალსაზრისს მჴიძროდ უკავშირდება შეხედულება, რომ განუსხვი-სებელ უფლებათა მატარებელი ინდივიდი „რაციონალურია“, მშინ რო-დესაც ერთ – „ირაციონალური“. ერები არარეალურად და ირაციონა-ლურადაა მიჩნეული იმიტომ, რომ როგორც ადრე ვნახეთ, არ არსე-ბობს ეროვნულობის უნივერსალურად ობიექტური კრიტერიუმი. ფუქუ-იამა ამგვარი დიფერენციაციის ერთ-ერთ გამართლებას გვთავაზობს:

„ადამიანსა და არაადამიანს შორის განსხვავება მთლიანად რაცი-ონალურია: მხოლოდ ადამიანები არიან თავისუფალნი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან იომონ საკუთარი აღიარებისათვის

მარტოოდენ პრესტიჟის დაცვის სურვილიდან გამომდინარე. ეს თავისებურება ემყარება რადიკალურ განსხვავებას ბუნების სამეფოსა და თავისუფლების სამეფოს შორის. ჩაც შეეხება აღამიანთა ერთი ჯგუფის მეორისაგან განსხვავებას, იგი, შეიძლება ითქვას, ისტორიის მსვლელობის შემთხვევითი და თვითნებური შედეგია“.<sup>10)</sup>

ეს პასაჟი გვიჩვენებს, თუ როგორი არამყარია ლიბერალიზმის პრეტენზია, რაციონალურ ნიადაგზე იყოს დაფუძნებული. აღამიანურსა და არაადამიანურს შორის განსხვავება „რაციონალურია“ იმ აზრით, რომ ის თვალსაჩინოა და შეიძლება „ბუნებრივი“ ცნებებით აღიწეროს, ოლონდ აქ ერთი გარემოება გვიშლის ხელს – აღამიანის პრეტენზია, უნივერსალურ ღირებულებად იყოს აღიარებული სწორედ როგორც ადამიანი (ხოლო ფუკუიამა და მე საკსებით თანახმანი ვართ, რომ ესაა თვით ღირებულების არსი) არ ემყარება მხოლოდ ადამიანურის და არაადამიანურის სფეროთა გამიგნას. ადამიანური ღირების დოკტრინის ძირისძირი არის არა უბრალოდ ის ფაქტი, რომ აღამიანი განსხვავებული არსებაა, არამედ ის ღამება, რომ რაღაც არის ამ განსხვავებაში ისეთი, რაც **ამოთლეტური დირექტულებისაა**. აი, ეს ღირებულება კი სულაც არ არის ემპირიულად ცხადი ან „ბუნებრივი“. თავად ფუკუიამა, ჰეგელის კვალდაკვალ, აღიარებს, რომ უნივერსალური პიროვნული აღიარების პრეტენზია ემყარება ქრისტიანობას, რომელსაც იგი „მონების იდეოლოგიას“ უწოდებს (განსხვავებით „პატონთა იდეოლოგიისაგან“, რომელიც მხოლოდ მბრძანებელთათვის იმტებს აღიარებას).<sup>11)</sup> სწორედ ქრისტიანობამ მიანიჭა რაღაცგარი ტრანსცენდენტური ღირებულება გამორჩეულად აღამიანის სულს. მაგრამ თუკი ქრისტიანობა მხოლოდ „იდეოლოგია“ (ანუ, დეფინიციის ძალით, ყალბია), მაშინ აღამიანის უნივერსალური აღიარება ყალბ წანამძღვარზე ყოფილა აღმოცენებული და, მას, ცხადია, „ბუნებრივის“ და „რაციონალურს“ ვეღარ ვუწოდებთ. რა თქმა უნდა, სულაც არ არის აუცილებელი, ქრისტიანულ რწმენას მივდიოთ, რომ პიროვნული ღირსების გრძნობით აღჭურვილი აღამიანები ვიყოთ; მაგრამ არც იმის სათქმელად გვაქვა საკმარისი საფუძველი, რომ ჩემი პრეტენზია, პატივი მიაგონ ჩემს პიროვნულ თავისუფლებას როგორც განსაკუთრებულ ღირებულებას, რამე რაციონალურ (ან მეცნიერულად დამტკიცებად) არგუმენტებს ემყარება.

ასე რომ, თუმცა ღირებულები დემოკრატია ბევრ თავის გამარჯვებას მეცნიერული რაციონალობის პროგრესს უმაღლის, არც დემოკრატიული და არც ღირებულები პრინციპები არ ემყარება რაციონალურ საფუძველს. ორივე შეიძლება აღწერილ იქნას როგორც „არარაციონალური“ ან „წინარერაციონალური“ (მაგრამ არა აუცილებლად

, „რაც ჩვეულებრივ, გონებისადმი მტრულს აღნიშნავს); ამა თუ იმ ღირებულებისადმი უპირატესობის მინიჭება ამ (ისევე როგორც, ჩემი პირადი აზრით, ყველა სხვა შემთვევაში) საბოლოო ჯამში უფრო რწმენას ემყარება, ვიდრე რაციონალურ ცოდნას.

თანამედროვე ინსტრუმენტალისტურმა მოძღვრებამ ერების შემთხვევითი განსაზღვრულობის შესახებ მართლაც ლახვარი ჩასცა ნაციონალისტურ მითს ერის, როგორც არაისტორიული ერთობის შესახებ, რომელსც ფესვი უშუალოდ რაღაც ტრანსცენდენტურ თუ ბუნებრივ წესრიგში აქვს გადგმული. მაგრამ ამ მოძღვრების არგუმნეტები ვერ აქცევს ერს „არარეალურად“ ჩიგითი ადამიანისათვის, რომელიც დაიბადა კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ კულტურულ გარემოში კონკრეტულ სახელმწიფოში და როგორც პოლიტიკური და სოციალური, ასევე სულიერი და ექსისტენციალური ხასიათის კონკრეტულ არჩევათა წინაშე დგება. ერს არ ჭირდება იყოს „რაციონალური“ იმისათვის, რომ ის „რეალური“ იყოს.

## მომზადება და პერსონალურობა

აქამდე ჩვენ არაფერი გვითქვამს იმ მიღებული აზრის საპირისპიროდ, რომ ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი ურთიერთგამომრიცხვი პრინციპებია, რომელთა შორისაც უცილებლად ერთ-ერთი უნდა აირჩიო. მაგრამ ახლა ვიკითხოთ, ხომ არ არსებობს რაიმე პოზიტიური კავშირი ლიბერალიზმსა და ნაციონალიზმს შორის, ისევე როგორც ეროვნულობის იდეასა და ადამიანის პიროვნულობის იდეას შორის? შემთხვევითი არ არის, რომ ორივე ესენი ახალი ისტორიის პერიოდს უკავშირდება, მაგრამ მათი მიმართება მხოლოდ მოდერნიზაციის „ობიექტური“ მექანიზმებით არ არის გაშუალებული; მათ შორის რეალური კავშირის დასანახად უნდა ჩავულრმავდეთ აზროვნების მოდერნულ პარადიგმას, საიდანაც ლიბერალური იდეოლოგია იღებს სათავეს.

მოდერნული პარადიგმის ცენტრში დგას ადამიანის ავტონომიური პიროვნების ცნება. ეს პიროვნება, როგორც უნიკალური და ტრანსცენდენტური ლირებულების მატარებელი (კანტის სიტყვებით, იგი ყოველთვის მიზანია, მაგრამ არასდროს – საშუალება), თანახმაა მხოლოდ ის წესები დაიცვას, რომელზედაც თვითონა აქვს მიცემული საქცია (თვით-დადგენა). თუმცა ამ იდეაში უცილობელ ათეისტურ იმპლიკაციებს ხედავენ ხოლმე, ისტორიულად იგი სწორედ ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს. მეტიც, ავტონომიურ ადამიანს არაფერი უშლის ხელს, აღიაროს აბსოლუტური ღვთაებრივი წესრიგის არსებობა

და, ამავე დროს, ამტკიცოს, რომ ამ წესრიგის ინტერპრეტაცია და მისი პრინციპების მიყენება ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, საბოლოო ჯამში ინდივიდუუმის გონებისა და სინდისის პრეროგატივა და არა რომელიმე ერთობისა თუ დაწესებულების.<sup>12)</sup>

ეროვნულობის ცნება თავის მხრივ შინაგანად უკავშირდება პერსონალურობის იდეას და ახალი დროის თვით-ცნობიერი ნაციონალიზმის სწორედ ამით განსხვავდება პირველყოფილი ეთნოურობისაგან. ეთნოურობის არსი მის მიერ თვალის იდეის მაკროსოციალურ დონეზე გარელებაში ძევს. საზოგადოება „წარმოისახება“ როგორც დიდი ოჯახი, რომელსაც ერთი საერთო წინაპარი ჰყავს. ამისგან განსხვავებით, როდესაც ერი „წარმოისახებს“ თავს, ის აღახს კი არ ხედავს, არამედ უნიკალურ, გამორჩეული ხასიათის მქონე პერსონალურობას.

ეროვნული თვით-ცნობიერება ორგაზარი აზრით ბაძავს ადამიანის ინდივიდუალური პერსონალურობის სტრუქტურას: უპირველეს ყოვლისა, ერი არის ადამიანთა ერთობა, რომელიც ორგანიზებულია თვით-დადგნის იდეის ირგვლივ. თანამედროვე ერი, მსგავსად თანამედროვე თვით-ცნობიერი ინდივიდისა (და განსხვავებით არქაული კონსისაგან) იცავს მხოლოდ იმ კონნექსს, რომლებიც მანვე დაუწერა საკუთარ თავს და უარყოფს წესებს, თავსმოხვეულს გარეშე ძალის მიერ. მეორეც, ერი ინდივიდუალურ პიროვნებაზე არანაკლებ საჭიროებს პარტნიორებს, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთალიარებისათვის ერებს სხვა ერები სჭირდებათ. ერს შეუძლია საკუთარი თავი გაიგოს და ერად აღიაროს მხოლოდ კაცობრიობის ისტორიის კონტექსტში. ეს იდეა საგსებით მოუზრუნებელი იყო ყველაზე უფრო დაწინაურებული ეთნიკური (მაგ. ძველი ბერძნების) ცნობიერებისთვისაც კი. ეროვნულობის იდეა კაცობრიობის წევრობის იდეაა, ხოლო კაცობრიობის, როგორც „ერთა ოჯახის“ იდეა თავის მხრივ, დიდი ხანია ლიბერალური ნაციონალიზმის საყრდენადაც მჩნეული.

კონცეპტუალურ შეკავშირებას ეროვნულობასა და პერსონალურობას შორის ერთი არსებითი შედეგი მოსდევს. ერი თვით-დადგნენას მოითხოვს არა როგორც გამორჩეულ პრივილეგიის, არამედ როგორც იმ ზოგადი დებულების რეალიზაციას, რომ ყოველი ერი მის საკუთარ სახელმწიფოს იმსახურებს. მე ვერ გავიგე, თუ რატომ თვლის ფუქუიამა, თითქოს ერი განსაზღვრების ძალით „მეგალოტიმურია“ (აღმატებული აღიარების მომთხოვნი) მაშინ, როდესაც ლიბერალური ინდივიდუალიზმი ასევე განსაზღვრების ძალით „იზოტიმურია“ (თანაბარი აღიარების მომთხოვნი). ნაციონალიზმი, მისი საკუთრივი მნიშვნელობით, სულაც არ „შემზღვდულავს აღიარებას მხოლოდ მოცემული ეროვნული ეთნიკური ჯგუფის წევრებით“,<sup>13)</sup> როგორც ამას ფუკუიამა ამტკიცებს.

ამგვარი დამოკიდებულება უკეთ გამოიხატება ისეთი ტერმინებით, როგორიცაა „რასიზმი“ ან „შოვინიზმი“. ნაციონალიზმი არც მხოლოდ მოცემული ერის ან ეთნიკური ჯგუფის ინდივიდუალური წევრების აღიარებას მოითხოვს. ერთადერთი, რასაც ის მოითხოვს, არის ერის, როგორც მთელის აღიარება, რაც ნიშნავს ეროვნულობის საზოგადო სიმბოლოების მოპოვებას: დამოკიდებელი სახელმწიფოს ლეგალურ სტატუსს (ინდივიდის შემთხვევებში ამას მოქალაქის ლეგალური სტატუსი შეესაბამება) და „ერების ოჯახის“ თანასწორუფლებინ წევრად მიღებას. ნაციონალიზმის ამოსავალი იდეა, სულ მცირე, ისეთივე იზოტიმურია, როგორც ინდივიდუალურისტური პერსონალიზმისა, თუმცა კი ერებსაც, ინდივიდების მსგავსად, შეიძლება მედიდური მეგალოტიმურობის სახადი შეეყაროთ.

ლიბერალიზმისა და ნაციონალიზმის ნათესაობის კიდევ ერთი ნიშანი ისაა, რომ ორივეს ხშირად აკრიტიკებენ ერთიდაიმავე რამისთვის: რომ ისინი ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავენ. ლიბერალიზმთან ასოცირებული ატომზირებული ინდივიდუალიზმი, როგორც ამბობენ, აქუცმაცებს საზოგადოებას, მაშინ როდესაც ნაციონალიზმი კაცობრიობას შლის. ორივე ბრალდება თავისთავად კანონიერია, მაგრამ ორივე უგულებელყოფს იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც გვეუბნება, რომ დღემდე, ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი ისტორიაში ცნობილი ყველაზე ეფექტური გამაჟროთიანებელი ძალებია.

ლიბერალური ინდივიდუალიზმი ემოციურად თიშავს ადამიანებს ერთმანეთისაგან, მაგრამ მხოლოდ ლიბერალურ საზოგადოებაში გახდა შესაძლებელი სტაბილური სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა, მაშინ როდესაც „გულთბილი“ გვაროვნული იდეოლოგიები ხშირად სისხლისღრუს ინპირატორებად გვეკვინებიან. მსოფლიოს გაერთიანების მცდელობებს რომელიმე უნივერსალური ღოვტრინის – ვთქვათ, ქრისტიანობის (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ქრისტიანობას როგორც პოლიტიკურ ძალას) ან კომუნიზმის სახელით – მტრობისა და შუღლის გარდა სხვა არაფერი გამოუწევია; რაც შეეხება „ეროვნულ ინტერესებს“, თუმცა მათთვისაც უამრავი სისხლი დაიღვარა, მაგრამ პირველი ორგანიზაცია, რომელმაც, ავად თუ კარგად, მთელი მსოფლიო მოიცვა, მაგრამ არა „უნივერსალურ ეკლესიად“ ან კომუნისტურ ინტერნაციონალად, არამედ გაერთიანებული ერების თავისი ციიად იწოდება და ემყარება იზოტიმურ ნაციონალიზმს („ნაციონალური სუვერენიტეტის პატივისცემა“, „საზღვრების ურღვევობა“ და ა. შ.). ნაციონალიზმის ზოგადი პრინციპები, ჩანს, ჯერ კიდევ უფრო ფართოდაა მიღებული მთელ დედამიწაზე, ვიდრე ლიბერალიზმის ან სხვა მსგავსი იდეოლოგიისა.<sup>14)</sup> მსოფლიოს იმ ნაწილმა, რომელმაც ნაციონალიზმი გამოიგონა – დასავლეთ ევროპაში

— უკვე გაასწრო ყველა სხვა ჩეგიონს ინტერნაციონალური კავშირების ახალი ფარმების მიგზებაში. ევროპაში ერთა შორის თანაცხოვრების უპ-რეცედენტო დოქტების მიაღწია არა ნაციონალიზმის უარყოფით, როგორც ბევრს ჰქონია, არამედ მისი იზოტიმური ასპექტის წინ წამოშევით. და-მოუკიდებელი ქვეყნები საკუთარი ნებით თმობენ საკუთარი სუვერენი-ტეტის სულ უფრო მეტ ელემენტებს, რადგან ამ სუვერენიტეტის პა-ტივისცემა უზრუნველყოფილი ეგულებათ. მეგალოტიმურიდან იზოტიმურ-ზე გადასვლა შესაძლებელია არა მხოლოდ ინდივიდუალიზმის, არამედ ნაციონალიზმის დონეზეც.

### ლიბერალიზმის დილეგა

მოუხედავად იმისა, რომ მეორე შემდგომ ლიბერალიზმის უმრავლესობა ნაციონალიზმს უარყოფდა, როგორც ბარბარო-სულ ატავიზმს, მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური ლიბერალები საკითხს ცოტა განსხვავებულად უდგებოდნენ. თეორიულ დონეზე, ლიბერალური პრინციპი საერთოდ არ გულისხმობს ეროვნულობის რაიმე სახით აღი-არებას, რადგან ჭეშმარიტი ლიბერალისათვის ავტონომიური პიროვნე-ბაა ანალიზის ამოსავალი ერთეული. მაგრამ ნაციონალიზმისადმი ლი-ბერალური მიდგომა გაშუალებულია მისივე დამოკიდებულებით სახელ-მწიფოთხადით.

ყველა სახელმწიფო გარდაუვლად გულისხმობს ბატონობის ან ჩეპ-რესის გარკვეულ ხარისხს — რაც ლიბერალებს, მათი ბუნებიდან გა-მომდინარე, სრულიად არ მოსწონთ. ისინი სახელმწიფოს განიხილავენ როგორც აუცილებელ ბოროტებას, რომლის ატანაც შეიძლება მხო-ლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს არარსებობის შემთხვევაში ინდივი-დის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. ლიბერალებს სხვა გზა არა აქვთ, თუ არა შეურიგდნენ სახელმწიფოს, როგორც ერთა-დერთ ძალას, რომელსაც შეუძლია თავიდან აგვაცილოს ყველას ომი ყველას წინააღმდეგ და მოგვცეს ინდივიდუალურ უფლებათა დაცვის გარანტიები.

აქ ჩნდება გადამწყვეტი კითხვა — როგორ სახელმწიფოზეა ლაპა-რაკი? დღეს თავისთავად ცხადი გვეჩვენება, რომ ლიბერალებმა დე-მოკრატიულ სახელმწიფოს უნდა მიანიჭონ უბირატესობა ყველა სხვა სახის სახელმწიფოსთან შედარებით; მაგრამ ლიბერალები ამ დასკვნამ-დე ერთბაშად არ მისულან. ვთქვათ, რატომ არ შეიძლებოდა მათ კე-თილშობილი, განათლებული აბსულიტიზმისათვის დაეჭირათ მხარი? ბო-ლოს და ბოლოს, ლიბერალიზმის სოციალური ბაზა ხომ ყოველთვის

ელიტარულ-არისტოკრატიული იყო (ამ უკანასკნელი სიტყვის ტრადი-ციულ-გემპკიდრეობითი, მორალურ-ინტელექტუალური გაგებით მაინც). ლიბერალები მუდამ უფროთხოვნენ ხალხს, *demos*-ს, როგორც თავი-სუფლების პოტენციურ მტერს.<sup>15)</sup> უმრავლესობის – და შედეგად, უსახ-ურობის ტირანია – დემოკრატიის თანდაყოლილი საფრთხეა. ამისდა მიუხედავად, საბოლოო ლიბერალები მივიღნენ იმ აზრამდე, რომ სის-ხლის ტირანია სულზე და, შესაბამისად, დნანასტიურ მმართველთა თავ-ნებობა კიდევ უფრო მიუღებელია, და ამგვარად შეურიგდნენ დემოკ-რატიას. რაკი ეს ნაბიჯი გადადგეს, მათ პატივი უნდა ეცათ საერთო წებისათვის და გარკვეულ საზღვრებში მიჰყოლოდნენ კიდევ მას; ამ ნებას კი, თავის მხრივ, როგორც უკვე ვნახეთ, არ შეეძლო რაღაც ზომით მაინც ნაციონალისტური არ ყოფილიყო.

ზემოთ დახასიათებული დილემა მკაფიოდაა გამოხატული მეცხრა-მეტე საუკუნის ისეთი გამოჩენილი ლიბერალების შრომებში, როგორე-ბიც არიან ჭონ სტიუარტ მილი და ლორდი ექტონი. მილი არ ყოფილა ემოციური ნაციონალისტი, მაგრამ იგი დემოკრატიული ლიბე-რალიზმის აპოლოგეტი იყო და ფერიობდა, რომ „თავისუფალი ინსტი-ტუტები თითქმის შეუძლებელია ისეთ ქვეყანაში, რომელიც განსხვავე-ბული ეროვნებებისაგან შედგება... საზოგადოდ, თავისუფალი ინსტიტუ-ტების აუცილებელი პირობაა ის, რომ სახელმწიფო საზღვრები ძირი-თაღში უნდა ემთხვეოდეს ეროვნებათა საზღვრებს“.<sup>16)</sup> რაკი დემოკრა-ტიაზე აიღო გეზი, მიღმა დაინახა, რომ ნაციონალიზმის ხელთდასხმის გარდა მას სხვა გზა აღარ ჰქონდა.

რაც შექება ლორდ ექტონს, იგი ეროვნულობის პრინციპის აქეა-რა მოწინააღმდეგე იყო, რადგან ამ პრინციპს პიროვნულ თავისუფლე-ბასთან შეუთავსებლად მიიჩნევდა. მილისაგან განსხვავებით, იგი ფიქ-რობდა, რომ „სხვადასხვა ერის შეკვეთება ერთ სახელმწიფოში ცი-ვილიზებული ცხოვრების ისეთივე აუცილებელი პირობაა, როგორიც მა-მაკაცისა და ქალის თანაცხოვრება“.<sup>17)</sup> მაგრამ აქედან ის ლოგიურად მიდიოდა რასიზმისა და იმპერიული მმართველობის საჭიროების აღია-რებამდე.<sup>18)</sup> ამასთან, ფაქტიურად, მან დემოკრატიის პრინციპებსაც შე-უტია, როცა თანასწორობის რუსოსტული პრინციპი არანაკლებ ყალბ დოქტრინად გამოაცხადა, ვიღრე კომუნიზმი ან ნაციონალიზმი.<sup>19)</sup> მაგ-რამ ლორდი ექტონის მსგავსი არისტოკრატიული ლიბერალიზმის წარ-მომადგენელთა საწინააღმდეგოდ, თვით ხალხები, როცა ეს მათზეა და-მოკიდებული, დემოკრატიის შენებას, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით იწყებენ – თუმცა სრულიად შესაძ-ლებელია, რომ ეს სახელმწიფოები არანაკლებ შეუწყნარებლები აღ-მოჩნდენ პიროვნული თავისუფლებისადმი, ვიღრე *ancien régime*, –

ტრადიციული მონარქიული მმართველობა.

დღესდღეობით „ხალხი“ – რომელსაც ახლა ხშირად „საშუალო კლასის“ სახელითაც იხსენიებდნენ, მანცდამაიც სახიფათოდ აღარ გამოიყენება: არადა, ლიბერალები დღეს უფრო მკვეთრად უარჲყოფენ ნაციონალიზმს, ვიდრე ოდესმე, რატომ?

საამისოდ, რა თქმა უნდა, მრავალი მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი, ძლიერი ზეგავლენა იქონია ჩვენი საუკუნის ორი საშინელი ომის დროს ნაციონალური კუსტრემიზმის მიერ ნათამაშევმა როლმა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დეკონლიზაციაშ „ეროვნული თვით-დადგენა“, უმტესწილად, მესამე სამყაროს პრობლემად აქცია და ამგვარად გააძლიერა ლიბერალური ტენდენცია ნაციონალიზმის „ჩამორჩენილობასთან“ ასოცირებისა.

ლიბერალებს კვლავ შენარჩუნებული აქვთ ზოგადად „ხალხის“ შიში, ოონდნ, რაკიდა განათლებული აბსოლუტიზმის ალტერნატივა აღარ არსებობს, ლიბერალი ვერარ აძლევს თავს უფლებას, ლიად ანტიდემოკრატიული პიზიცია დაიკავოს. ამიტომაც, ხალხის შიში ნაციონალიზმის მიუღებლობის გაცილებით უფრო რესპექტაბელურ ფორმას იღებს. როდესაც გამოჩნდა შანსი, რომ ძველი რეჟიმის ვინძლო შედარებით ადამიანური ვარიანტი წარმოშობილიყო საბჭოთა კომუნიზმის ნანგრევებზე, დასავლელმა ლიბერალებმა ამ რეჟიმის აურჩეველი „განათლებული მონარქი“, მიხეილ გორბაჩივი ამჭობინეს ხალხის მიერ არჩეულ, მაგრამ უხეშად გამოჩირკნილ ბორის ელცინს (ლიდერს, რომელიც ასევე არაპროგნოზირებადია, როგორც ხალხი, რომელმაც ის ხელისუფლებასთან მიიყვანა), რომ აღარაფერი ვთქვათ ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით მისულ ნაციონალისტ ლიდერებზე სხვა რესპუბლიკებში.

## ნაციონალიზმის ორი მხარე

ყველაფერ იმის მიუხედავად, რაც ჩვენ ვთქვით ნაციონალიზმის ოეორიულ ნათესაობაზე დემოკრატიასა და ლიბერალიზმთან, არ შეძლება იმის უარყოფა, რომ ნაციონალიზმი პრაქტიკაში ძალიან ხშირადაა არალიბერალური და ანტიდემოკრატიული კი.

ნაციონალიზმს ორი მხარე აქვს: ერთი პოლიტიკურია, მეორე ეთნიკური. არსებობს მცდელობა ეს ორი მხარე წარმოდგენილი იყოს ნაციონალიზმის ორ სხვადასხვა სახედ, რომელთაგან ერთი „პარგია“ და მეორე „ცუდი“.<sup>20)</sup> მაგრამ ეთნიკური და პოლიტიკური ნაციონალიზმი

მხოლოდ იდეალური ტიპებია; ჩეალური ნაციონალიზმი ყოველთვის ერთიცაა და მეორეც, თუმცა ამათგან ერთი რომელიმე ასპექტი შეიძლება მეტაკლებად გაბატონებული იყოს. ერთის იდეა პოლიტიკურია, და არ არსებობს ნაციონალიზმი პოლიტიკის გარეშე, მაგრამ მასალა, რისგანაც ისაა აგებული, გარდაუვლად ეთნიკურია. ამ ორი ფენომენის მიმართება შეიძლება გამოხატულ იქნას როგორც მიმართება ეთნიკურ სხეულსა და მის მაცოცხლებელ პოლიტიკურ სულს შორის.

ეთნიკურობის არალიბერალურ სხეულს მთლიანად თავიდან ვერ მოვიშორებთ, მაგრამ თუკი საქმეს გონივრულად მივუდგებით, სავსებით შესაძლებელია მისი მოთვინიერება. წინაპრებით თავმოწონება, გმირული ისტორია, დიადი ტრადიციები, საერთო ენა, მაღალი კულტურა და ა. შ. შეიძლება სუბლიმირებული იქნას პატრიოტულ გრძნობად, რომლის საგანი იქნება დემოკრატიული (და არა მხოლოდ ეთნიკური) „ჩენენ“-ის მიერ აგებული ინსტიტუტები და მიღწევები. შეერთებული შტატები სწორედ ამგვარი სუბლიმაციის ნიმუშს გვიჩვენებს: ეროვნული სიამაყის შინაარსად ქცეულია „ცხოვრების ამერიკული წესი“, ქვეწის სტაბილური და თავისუფალი ინსტიტუტები, ამერიკის, როგორც თავისუფალი მსოფლიოს ლიდერის როლი. იქნებ ასეთი რაღაცების განვითარებამაც გააღიზიანოს ინდივიდუალისტ ლიბერალთა გრძნობები, მაგრამ ეთნიკურ უმცირესობებს ამის გამო საფრთხე ნამდვილად არ ექნებათ. პირიქით, უმცირესობების მიმართ ტოლერანტულობა თავად შეიძლება იქცეს ეროვნული სიამაყის საგნად და ამის მაგალითია იგივე ამერიკელები ან სხვა ჩამოყალიბებული დემოკრატული ტრადიციის ქქონე ქვეყნების მოქალაქეები.

ნაციონალიზმის ეთნიკური სხეულის მოურჩულებლობამ შესაძლოა შოვინიზმის, რასიზმის ან ფაშიზმის გზასაც კი გაგვიყენოს, მაგრამ ნაციონალიზმის ამგვარი მახინჯი გამოვლინებების ძირია არა მოჭარბებული ეთნიკური გრძნობები, არამედ პოლიტიკური გამოხატვის საშუალებათა ნაკლებობა. როდესაც საკუთარი პოლიტიკური ან ინსტიტუციონალური მიღწევებით ვერ ამაყობენ, ადამიანებს შეიძლება სხვა გზა არ დარჩეთ, თუ არა თანდაყოლილი რასობრივი, ლინგვისტური ან კულტურული თავისებურებების განვითარება.

ეს მოსაზრებები გვიბიძგებენ განვიხილოთ ის განსხვავებული როლი, რასაც ნაციონალიზმი „შინნზარდ“ და „იმპორტირებულ“ დემოკრატიებში ასრულებს. დემოკრატიის წამოწყება, როგორც ვნახეთ, პოლიტიკური სხეულის ფორმირებისა და მისთვის სახის მიცემის გარკვეულ პრინციპს მოითხოვს; ნაციონალიზმი სწორედ ამ პრინციპის მოწოდებელია, ოლონდ ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ევროპისა

და ჩრდილოეთ ამერიკის „შინნაზარდ“ დემოკრატიებში თავისუფალი და სახალხო მმართველობის ინსტიტუტები თანდათანობით გამომუშავდა მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო მზროვნებისა თუ კულტურული ეპოლუციის შედეგად.

ლიბერალური იდეები და მათი სოციოეკონომიკური თუ კულტურული კორელატები წინ უსწრებდნენ პოლიტიკურ დემოკრატიას, რომელიც განიხილებოდა უფრო მეტად როგორც ძალაუფლების შეზღუდვის საშუალება, ვიდრე თავისთავადი მიზანი. საერთო ეთნიკური წარმოშობა, უბრალოდ, ყოველგვარი კატაკლიზმების გარეშე ხელს უწყობდა ბაზისური მორალური და კულტურული კონსენსუსის გამყარებას, რომელსაც, თავის მხრივ, ახალი დემოკრატიული წესრიგი უნდა და-ფუძნებოდა.

საჭიროა თუ არა, იგივე გზა გაიაროს ყველა ერმა, რათა სტაბილურ დემოკრატიას ეზიაროს? არსებობს დემოკრატიული გარდაქმნის რაღაც საერთო სქემა, რომელსაც სხვადასხვა ერები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაუყვებიან? ფრანსის ფუკუიამა ფიქრობს, რომ ასეთი სქემა მართლაც არსებობს, და მას მოკლედ ასე აღწერს: ინდუსტრიულ პროცესს, დამყარებულს მეცნიერულ რაციონალობასა და კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, .... ლიბერალური დემოკრატიის აღთქმული მიწის კარიბჭეთან კი მივყევართ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საქმარისი, რომ შიგ შევაღწიოთ“. რაც კაცობრიობას ამ უკანასკნელ ნაბიჯს გადაადგმევინებს, „ეკონომიკურისგან სრულიად განსხვავებული ლტოლვაა: ეს არის პრიმარი აღიარებისათვის“ – ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის აღამანური ღირსების საზრისი.<sup>21)</sup> თავის-თავად, ეკონომიკური აყვავება აღამიანური ღირსების სათანადო ღონებების გარეშეც მიიღწევა, მაგრამ რაღაც ეტაპზე შეძლებულ-დთა ფენას უკვე აღარ აქმაყოფილებს ასეთი ვითარება და საკუთარ რესურსებს (ქონება, განათლება და ა. შ.) დემოკრატიული რეფორმების წამოსაწყებად მიმართავს. ამგვარად, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობები (მათ შორის ეროვნული ერთიანობის გრძნობა) ქვეყანას დემოკრატიისათვის „მომწიფებულად“ აქცევს, მაგრამ დემოკრატიის რეალურად განხორციელებისათვის აუცილებელია პიროვნული ღირსების თანასწორი აღიარებისაკენ სწრაფვაც“.<sup>22)</sup>

ზოგადად, ფუკუიამას ეს სქემა საკმაოდ ზუსტია. ინდუსტრიული განვითარება და თავისუფალი მეწარმეობა აუცილებელია სტაბილური და ბალანსირებული დემოკრატიისათვის; მაგრამ ასევე უმჭველი როდია, რომ ყველა ქვეყანა ჯერ უნდა „განვითარდეს“, ვიდრე დემოკრატიისათვის „მომწიფდება“, და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგას საბოლოო ნაბიჯი. აღმოსავლეთ აზიისა ან ჩილეს მსგავსი მაგალითები, როცა დემოკრატი-

ისათვის საჭირო სოციოეკონომიკური წანამძღვრები ავტორიტარული რე-ჟიმების პირობებში იქნა შემზადებული, მერე კი, უსარგებლო ხარჩო-ების მსგავსად, თავიდან მოშორეს, საქმაოდ შევიათია. უფრო ხშირად, დემოკრატიის გავრცელება გაცილებით უფრო ნაკლებ რაციონალური გზით ხდებოდა – ის ინფექციასავით ან პარიზიდან წამოსული მოდასა-ვით მოედებოდა ქვეყნებსა თუ რეგიონებს. მას შემდეგ, რაც მსოფლი-ოს ერთ გარკვეულ ნაწილში დამკიდრდებოდა; მერე და მერე დემოკრა-ტია სხვა ხალხებისთვისაც მმზიდველი გახდა (თუ რაშია მისი მიმზიდ-ველობის საიდუმლო, ეს ჯერ კიდევ სხვა საკითხია).

ნაციონალიზმა ორი პერიოდით ითამშა არსებითი როლი დემოკრა-ტიის გავრცელების პროცესი, და ეს ორმაგობა შეეთანადება მის ში-ნაგანად გაორებულ, პოლიტიკურ და ამავე ღროს ეთნიკურ ბუნებას. იმან, რასაც ფუყუამა „ტიმოტურ სიამაყეს“, კერძოდ, მის იზოტიმურ ასპექტს უწოდებს, საბოლოო ბიძგი მისცა ლიბერალური დემოკრატიის დამყარებას; მაგრამ ამ სიამაყეს ფესვები არა მარტო ინდივიდუალურ, არამედ ეროვნულ ღირსებაშიც აქვს გადგმული. საქმე ისაა, რომ გარ-კველი პერიოდიდან მოკიდებული, ლიბერალურ-დემოკრატიული მმარ-თველობის ჩამოყალიბება ერის პოლიტიკური სიმწიფის საზომი ხდება, ამის უზნარობა კი აღიქმება, როგორც „ეროვნული სირცხვილის“ და-ლი. მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს, სტაბილური ლიბერალურ-დემოკრატიული მთავრობებით, წილად ხვდებათ პატივი მიღებულ იქ-ნან „მოწინავე“ თუ „თანამედროვე“ ერების საერთაშორისო კლუბის წევრებად. თუ ეს პირობა არ შესრულდა, შეიძლება ქვეყნისა ემინო-დეთ კიდეც (როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირს უფრთხოდნენ) მაგ-რამ მას არასოდეს მოგეპყრობიან სათანადო პატივით.

არადა, ამ „ეროვნული სირცხვილის“ გრძნობას მთელი საზოგადო-ება ერთგვაროვნად როდი აღიქვამს. ლიბერალურ იდეებს იმის თაობა-ზე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს „ნორმალური“ თუ „ცივილი-ზებული“ საზოგადოება, პირველ რიგში მაინც თავისი ბუნებით კოს-მოპოლიტური იღიოტა შეითვისებს. თუმცა, საერთაშორისო მედიის გან-ვითარების წყალობით, ფართო მასებიც სულ უფრო გრძნობენ საკუ-თარ „პოლიტიკურ ჩამორჩენილობას“. საბოლოო ჯამში, ეროვნული – და არა მხოლოდ ინდივიდუალური – ღირსების გრძნობამ მიიყვანა ბევ-რი რესი ბარიკადებზე 1991 წლის აგვისტოში, პუტინისათვის წინააღ-მდეგობის გასაწევად.

იმ რეგიონებში, სადაც დემოკრატია მხოლოდ „იმპორტული“ სა-ქონელია და სადაც მას არ დახვდა შესაფერი სოციალური, ეკონომი-კური, სულიერი ან კულტურული წანამძღვრები, გაჩნდა ღრმა უსსკ-რული ლიბერალურ ელიტასა და ხალხის ფართო მასებს შორის. ლი-

ბერალური ელიტა მცირე და სუსტი აღმოჩნდა გარდაქმნების გასაძლოლად, იგი ვერ გაიჩნედა მოკაგშირეს ძლიერი საშუალო კლასის სახით. პრიბლებას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ, აღიარებული მოდელის თანახმად, მოდერნულ პოლიტიკურ სისტემაზე (ანუ დემოკრატიაზე) გადასვლა ხალხის სახელით უნდა მომხდარიყო: ესე იგი, საჭირო გახდა ხალხის ჩათრევა პოლიტიკურ ცხოვრებში. მაგრამ კლასიკური ლიბერალიზმის უცხოური დოქტრინა მასების მობილიზაციისათვის ვერ გამოდგებოდა. პოლიტიზაციის დაჩქარება მოითხოვს უფრო გასაგებ იდეოლოგიებს, რომელთაც მასებზე უშუალო ზემოქმედება შეუძლიათ.

სიცარიელე დასავლური ლიბერალიზმის ორ ნშეირს უნდა ამოვე-სო: სოციალიზმსა და ნაციონალიზმს. თითოეული ცდილობდა მოდერნულობის საკუთარი ვერსა მიეყიდა ერთი და იმავე მომხმარებლისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ორი რელიგიიდან, რომლებიც ერთსა და იმავე ლგოთაებას – ხალხს – ერთ შემთხვევაში „კლასს“ უწოდებდა, მეორე შემთხვევაში კი „ერს“, ერთი სინკრეტული კულტის გამოდნობაც უცდიათ.

საზოგადოებრივი შეიძლება ითქვას, რომ „ჩამორჩენილ“ ქვეყნებში პოპულისტური და ანტიინდივიდუალისტური ტენდენციები, რომელთაც საერთო ძალით ამკვიდრებდნენ როგორც სოციალიზმი, ისე ეთნიკური ნაციონალიზმი, გაბატონებული გახდა სწორედ იმის გამო, რომ მათ ვერ აწონასწორებდა ის ფაქტორები, რაც დასავლეთის პოლიტიკურ კულტურაში არსებობს: ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, მასობრივი მწიგნობრობა, შემწყნარებლობის ტრადიციები, კანონიერების დაცვის სტაბილური სისტემები. ამ ფაქტორთა არარსებობის პირობებში საბართლიანობის სოციალისტური იდეალი იოლად გადაგვარდება უბრალო შურად „სხვის სიკეთესა ზედა“, ხოლო ეროვნული იდეალი კნიდება „სისხლისა და მიწის“ დოქტრინანდება.

ნაციონალისტური პოლიტიკის ჩემს მიერ უკვე აღნიშნულ შინაგან სიძნელეებთნ ერთად, პოლიტიკური კულტურის ამგვარმა დეფიციტმა და მისით გაპირობებულმა წარუმატებლობამ შეიძლება ფრუსტრაციის ისეთი ძლიერი ტალღა აგორას, რომელიც მთლიანად მოწყვეტს ეროვნულ იდეას მის დემოკრატიულ და იზოტიტურ საწყისს და მას რასიზმისა და ფაშიზმის ნაპირებზე მიაგდებს. ამისდა მოუხედავად, იმის თქმა, რომ ყოველგვარი ნაციონალიზმი ფაშიზმად გადასაგვარებლადაა განწირული, ისევე უმართებულოა, როგორც ყოველგვარი ჩელიგის უკუგდება იმის გამო, თითქოსდა ლგოთის ჩწმენას უცილობლად ფანატიზმისაკენ მიგყავდეთ. ნაციონალიზმისაგან მომდინარე პრობლემები სულაც არა რომელიმე ავადსახსენებელი ინტელექტუალური შეცდომის ან წინასწარგანზრახული მოტყუების შედეგი – ისინი დემოკრატიული გარ-

დაქმნის საერთო პრობლემის შემადგენელი ნაწილია. როგორც უკიდურესი ნაციონალიზმი, ასევე იძულებითი სოციალიზმი, ჩვეულებრივ სხვა არაფერია, თუ არა დაქმარებული (ხანდახან კი დამახინებული) მოდერნიზაციის იარაღი.

### ნაციონალიზმი პოზიტივული გენერაცია

წარსულში, დემოკრატიაზე გადასვლა ტრადიციულ საზოგადოებასთან დაკილებას (თუმცა არა მასთან კავშირის სრულ გაწყვეტას) ნიშნავდა. ტრანსფორმაციის პროცესში, ზოგ ფასეულობას უარყოფნენ, ზოგს კი ინარჩუნებდნენ და მოდერნული ცხოვრების საფუძვლად იყენებდნენ.<sup>23)</sup> ამით შენარჩუნებული იყო ისტორიის უწყვეტობის განცდა, და მოშენდარი ცვლილებები განიხილებოდა როგორც წინმავალი მოძრაობა, მიმართული იქითკენ, რასაც ახლა „ისტორიის დასასრული“ დაერქვა. მაგრამ რაც შეეხება დემოკრატიაზე გადასვლას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მას სხვა კანონზომიერებები აქვს, რადგან ამოსავალი ბუნეტი აქ კომუნიზმია, მას კი ცოტა რამ აქვს საერთო ტრადიციულ საზოგადოებასთან. კომუნიზმი, რომელიც ერთ დროს ისტორიის გვირგვინად ასაღებდა თავს, ისტორიის ყრუ ჩიხი აღმოჩნდა. კომუნიზმის ნგრევა არის არა ისტორიის დასასრულისაკენ წინმავალი სვლა, არა-მედ უკან, ისტორიაში დაბრუნება იმ გზიდან, რომელიც ჩიხი აღმოჩნდა. შემოვლითი გზით უკან რომ ბრუნდებიან, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს სწამო, რომ კომუნიზმია სრულიად არაფერი შექმნა ისეთი, „ცივილიზებულ“ ცხოვრებაში რომ გამოგვადგებოდა. კომუნისტურ რეჟიმს იმდენად განემსჭვალა ცხოვრების ყველა სფერო, რომ თავდაპირველად გაბატონებული განწყობის თანახმად, მისი გადაგდების შემდეგ ყველაფერი ნულიდან უნდა დაწყებულიყო. ეს კი დემოკრატიაციის ფუფუიამასეულ სცენარს საკმაოდ შეუსაბამოს ხდის პოსტკომუნისტური რეალობის მიმართ. რა თქმა უნდა, თვალსაზრისი, თითქოს კომუნიზმის დროს შექმნილი არაფერია ლიბერალური დემოკრატიის ხანაში გამოსადევი, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. კომუნიზმა ნამდვილად შეასრულა მოდერნიზაციისათვის აუცილებელი გარკვეული ამოცანები: მოხდა საზოგადოების ურბანიზაცია და წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, გაიყვანეს სარკინიგზო და ავტომაგისტრალები და ა. შ. ყოველივე ამზე უარის თქმა ან დანგრევა უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. მეტიც, კომუნისტების დროს წიგნიერებისა და ურბანიზაციის ზრდამ გარკვეული როლი შეასრულა დემოკრატიული გარდაქმნებისათვის აუცილებელი წინაპირობების შექმნა-

ში, მაგრამ თავისუფალი საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონო-მიკური წანამძღვარი არის მანქც არა განათლება და ურბანიზაცია, არამედ კერძო საკუთრებება. კერძო საკუთრებებშე დამყარებული ეკონო-მიკური სისტემა აუცილებელია, რათა ინდივიდმა მოახერხოს ბალანსი-რება თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პოლუსებს შორის – ჩა-ზედაც დამოკიდებულია დემოკრატია საერთოდ, და რისი პოვნაც მხო-ლოდ და მხოლოდ აზრისეული იპერაციებით ვერასოდეს გახდებოდა შესაძლებელი. ურბანიზებული და განათლებული ელიტა შეიძლება დე-მოკრატიული გარდაქმნების მამოძრავებელი ძალა იყოს, მაგრამ საყრ-დენის გარეშე ის ვერაფერს გახდება.

პოსტკომუნისტური ერები ცდილობებ თავიანთი ისტორია იმ მო-მენტიდან განაახლონ, როდესაც ის კომუნიზმი შეწყვიტა; ამიტომაც კომუნიზმის უარყოფა ოღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კაგ-შირში, სხვადასხვა მოდიფიკაციების მიუხედავად, აუცილებლობით იღებს რესტავრაციისა თუ თვით-გახსნების ფორმას. მეორე მხრივ, ეს ერები უკვე აღარ არიან რკინის ფარდის მიღმა გამოკეტილები, ამიტომ კო-მუნიზმის უარყოფა აუცილებლობით იქცევა მსოფლიოსთან ხელახლ შეყრის მცდელობად. ეს მსოფლიო კი ერთობ შეიცვალა 1918 და 1945 წლების შემდგომ. ბუნებრივია, რომ ლტოლვა საკუთარი იდენ-ტურობის აღდგენისაკენ და სწრაფვა გარე სამყაროსთან კავშირის აღ-სადგენად, წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან; ხელახლა მისაკვლე-ვი – ჰემმარიტი „თვითობა“ წარსულში მყოფობს, მშინ როდესაც „სამ-ყაროს“, რომელსაც უნდათ რომ შეუერთდნენ – აწყოში. ეს იწვევს კოლექტიური იდენტურობის კრიზისებსა და დაბნეულობას პოსტკომუნის-ტურ ერებში, და არცთუ მცირე გაუგებრობასა და გაოგნებასაც კი – დანარჩენ მსოფლიოში. კომუნიზმისაგან განთავისუფლებული ერები მთელ ძალისხმევას იქითკენ მიმართავენ, რომ აღიდგინონ თავიანთი ადგილი ისტორიაში – მაგრამ ბოლოს იმას აღმოაჩენენ, რომ ისტორია უკვე „დასრულებულა“.

ტოტალიტარიზმის ათწლეულების მანძილზე გაგრძელებულმა ბრძო-ლამ სამძალაქი საზოგადოების სტრუქტურების წნაღმდეგ შედეგად დაგვიტოვა ატომიზირებულ ინდივიდთა გაუფორმებელი გროვა; ეს ინ-დივიდები გამალებული ექცენტრი საერთო პრინციპს, რომელზედაც ისინი საერთო ახალ ცხოვრებას ააგდენენ. ამ სიტუაციაში ნაციონალიზმი გვევლინება მთავარ – თუ არა ერთადერთ – პრინციპად, რომელსაც უნარი აქვს გააქრთიანოს საზოგადოება. მაგრამ რამდენადაც ნაციონა-ლიზმის, როგორც პოლიტიკური ფაქტორის ტრადიცია შეწყვეტილია, განსაკუთრებით ძლიერდება მისი ეთნიკური ელემენტი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოს არ არსებობდეს რაიმე სხვა სოციალური ძალა

ან იდეოლოგია: არსებობს ჩელიგია, არსებობს პრო-დასავლური ლი-ბერალური ელიტაცია: მაგრამ ყოველივე ეს როგორღაც შერეულია ნა-ციონალიზმთან ან საქუთარ თაგს მხოლოდ მასთან მიმართებში გან-საზღვრავს. ის, რაც „კულტურულ აღორძინებად“ იწოდება, საქუთრივი პრიორ, აშკარა, უფრო ნაციონალურია, ვიდრე კულტურული. „ჩელი-გიური აღორძინება“ უფრო ეროვნულ-ჩელიგიურია, მას უფრო მეტად „ერის გაერთიანება“ და უცხო ძალების მიერ თავსმოხვეული ათეის-ტურ-კომუნისტური მექივიდრეობის დაძლევა აქვს მხედველობაში, ვიდ-რე ინდივიდუალური სულების ხსნა. ლიბერალურ-დემოკრატიული ლი-რებულებებისაღმი აპელირებას მხოლოდ იმდენად აქვს ძალა, რამდენა-დაც ეს ლირებულებები შერწყმულია „ჩვენს პოლიტიკურ ტრადიციას-თან“, ან უკავშირდება იმ გარემოებას, რომ ჩვენ „დასავლური“, „ევ-რობული“ თუ „ჭრისტიანული“ კულტურის ნაწილი ვართ. თავისთავად ლიბერალური იდეები ვერ ახდენენ ანგარიშგასაწევ გავლენას პოლიტი-კურ აზროვნებაზე.

ამდენად, ნაციონალიზმი ერთდროულად დესტრუქციულია (კომუნიზ-მისათვის) და კონსტრუქციულიც (უზრუნველყოფს კავშირს დაშლილ სა-ზოგადოებში). ის სერიოზული საფრთხეა ლიბერალური დემოკრატიი-სათვის და, იმავდროულად, იმედის საფუძველიც. „ნაციონალისტად“ ყოფნა პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთში თითქმის ყველაფერს შეიძლე-ბა ნიშანვდეს – ლიბერალობიდან ფშისტობამდე. ამავე დროს ის, ვინც აცხადებს, რომ უარყოფს „ნაციონალიზმს“, შესაძლოა ამით მხოლოდ ეთნიკური შოგინიზმის მიუღებლობას გულისხმობდეს. ბევრი ასეთი „ან-ტინაციონალისტი“ ამავე დროს თავისი ქვეყნის სუვერენიტეტის თავ-დადებული დამცველის როლშიც გამოდის. ერთხელ ლიბერალური ინ-ტერნაციონალის ბრიტანელმა აქტივისტმა შემომჩივლა, რომ აღმოსავ-ლელ ევროპელი ლიბერალური პარტიები მეტისმეტად „მემარჯვენედ“ და ნაციონალისტურად გამოიყურებიანო. მაინც არა მგონია, თითქოს აღმოსავლეთ ევროპელი ლიბერალები უცილობლად ნაკლებ ლიბერა-ლურნი იყვნენ, ვიდრე მათი დასავლელი თანამოაზრენი. განსხვავებუ-ლია მხოლოდ წარმოდგენა ნაციონალიზმის არსებით როლზე პოსტკო-მუნისტურ პოლიტიკურ დისკუსიებში, რაც არ უნდა ყავლგასულად მო-ჩანდეს ეს საკითხი თანამდროვე დასავლური მენტალიტეტისათვის.

## რუსები და სხვები

არის ერთი რამ, რაც საჭიროა ცალკე აღინიშნოს: განსხვავება რუსებსა და „სოციალისტური ბანაკის“ ყოფილ სხვა წევრებს შორის.

რუსეთმა პირველმა დამკვიდრა კომუნისტური სისტემა; ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და შემდგომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებზე ამ წყობის გავრცელება საბჭოთა რუსეთის მიერ მათი დაპყრობის შედეგი გახლდათ. არარუსულ რეგიონებში კომუნიზმს მტრულ ძალად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ აგრეთვე (და შესაძლოა უფრო მეტად) ეროვნული თვალსაზრისითაც – როგორც გადამთიელი დამკყრობლების მიერ თავსმოხვეულ უცხო სისტემას. შესაბამისად, მისი დაძლევა ოკუპაციის დაძლევას ნიშნავდა. ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ეს ილუზია იყო: კომუნიზმი იქნებ რუსული ხიმტით კი შემოღილა, მაგრამ მან იძღვნად ღრმად შეაღწია საზოგადოების ყველა დონეზე, რომ მისი მემკვიდრეობის ამოთესვა თაობების გასაკეთებელ ამოცანად იქცა, და მისთვის აღარ არის საკმარისი ერთჯერადი, რევოლუციური აქტი – სულ ერთია, ხავერდოვანი იქნება ის თუ სისხლისმღვრელი. უჟველია, რომ ნაციონალიზმი ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო კომუნიზმის გადაგდების პროცესში; მაგრამ ბოროტების წყაროდ მხოლოდ გარევანი ფაქტორის მიჩნევამ შეიძლება ბუნდოვანი გახადოს კომუნიზმის ბატონობის შედეგად საზოგადოებში დაგროვილი სიღრმისეული პრობლემები. ამასთანავე, ამგვარი ხედვა ხელს უწყობს ტოტალიტარიზმის მთელი ცოდვების საზოგადოების ერთ კონკრეტულ ფენაზე მიწერას, რომლის წარმომადგენლებსაც „მოლალატის“ იარლიყს მიაკერებებს. შედეგად ვიღებთ კუდიანებზე ნადირობის კამანიებს, პარანოიდულ გატაცებას კონსპირაციული ორორიებით და სხვა ამგვარს.

რაც შექება რუსეთს, აქ პოსტკომუნიზმის ეროვნული ასპექტი კიდევ უფრო გართულებულია. რუსული საზოგადოებრიობის ტრადიცია იმპერიული ტრადიციაა; საბჭოთა პერიოდში ეს ტრადიცია შეერწყა რუსეთის, როგორც კომუნისტური სამყაროს ლიდერის როლს. კომუნიზმის გავრცელება და რუსული მაართველობის ექსპანსია თუ აღდგენა თითქმის სინონიმური იყო (მხოლოდ უფრო გვიან დააღწია თავი ზოგიერთმა კომუნისტურმა სახელმწიფომ რუსულ ბატონობას). სწორედ კომუნიზმის წყალობით მიაღწია რუსეთის სახელმწიფომ თავისი შესაძლებლობებისა და გავლენის პიქს. რუსეთის იმპერიულ-ნაციონალისტური ტრადიციის შერწყმამ კომუნისტურ პრინციპებთან განსაკუთრებით მტკიცნეული გახადა რუსეთის პოსტკომუნისტური იდენტობის კრიზისი. რუსული ეთნოკულტურული ნაციონალიზმი აშკარად ანტიდასავლური და, ამიტომაც, ანტილიბერალურია, დ თუმცა ულტრა-ნაციონალისტები კომუნიზმს განიხილავენ როგორც ებრაულ ვირუსს, რომელიც რუსი ხალხის მოსასპობად იყო გამიზრული, ეს სულაც არ უშლით მათ ხელს, უკიდურეს სტალინიტებთან გააფორმონ ტაქტიკური ალიანსი. რაც შე-

ეხება ვესტერნიზეულ დემოკრატიებს, მათ ჯერჯერობით ვერანაირ წარ-მატებას ვერ მიაღწიეს რუსული სახელმწიფოებრიობის სიცოცხლისუნა-რიანი და მყარი ცნების შემუშავებაში. მათი პოლიტიკური დისკურსი მერყობს ერთი მხრივ, რუსეთის „მონების ქვეყნად“ გამოცხადებასა და, მეორეს მხრივ, ნაციონალისტურ ტრაბას შორის, რომელიც ავ-ტომატურად იძენს ხოლმე იმპერიალისტურ და ავტორიტარულ უღერა-დობას. არსებობს მცირე ჯგუფი, რომელიც რუსეთის ფედერაციასაც იმპერიად მიიჩნევს და ავტონომიური რესპუბლიკების გამოყოფასაც კი უჭერს მხარს. ჩაც შეეხება მთავრობას, ის სულ უფრო მეტად ავ-ლენს რუსეთის ფედერაციის საზოგრებში „ერთიანი და განუყოფელი“ სახელმწიფოს პრაგმატული ხედვის ტენდენციას, მაგრამ უძინ-უძამ თავს ვერ იკავებს უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებისაგან. რუსეთის სახელმწიფოებრიობის არა-იმპერიული კონცეფცია ჯერ კიდევ შესაჭმელია.

პოსტკომუნისტურ რეალობაში ნაციონალური პრობლემების აკვია-ტებული ხედვა სავსებით რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ პრობლემა თავად ნაციონალიზმი კი არ არის, როგორც რაღაც იზო-ლირებული ძალა, ბოროტი სული, რომელიც უნდა ქვესკნელს მივაჭაჭ-ვოთ, არამედ უფრო დემოკრატიის საერთო სისუსტე პოსტკომუნის-ტურ ქვეყნებში. გარდაქმნის მოთხოვნა ქმნის ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლები საჭიროებას, რომელიც, თავის მხრივ, ავტორიტარიზმის შიშს აჩენს (პოსტკომუნისტურ ლიდერთაგან ცოტასთვის თუ არ დაუბ-რალებიათ „დიქტატორობა“). თუმცა, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მარ-თვის საჭესთან მტკიცე ხელის არარსებობამ შეიძლება ანარქია და გა-ნუკითხაობა გამოიწვიოს, ჩაც საბოლოო ჭამში მხოლოდ სისხლიან რეპ-რესიებს მოიტანდა. რამდენადაც ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი, „მუ-შა“ იდეოლოგია ჯერჯერობით მაინც ისევ ნაციონალიზმია, ბუნებრი-ვია, რომ ავტორიტარულმა ტენდენციებმა ნაციონალისტური შეფერი-ლობა მიიღონ. თითქმის ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნა, სადაც ეთ-ნიური უმცირესობები მოსახლეობის ანგარიშგასაწევ ნაწილს შეადგენს (ასეთი კი უმრვლესობაა) გარდუვლად შეეხება მტკიცნეულ პრობლე-მებს კიდევ უფრო დაუცველი უმცირესობების წინააღმდეგ. ყველა ასეთ ქვეყანას ჰყავს მთავრობა, რომლის პოლიტიკა საკუთარ ეთნიკურ უმ-ცირესობათა მმართ, დასავლური სტანდარტებით მაინც, არასაკმარი-სად ლიბერალურია. მე საერთოდ ვერ ვხედავ ამ ქვეყნებში არსებული მრავალი ეთნიური პრობლემის სწრაფი და უმტკიცნეულო გადაჭრის რამე იმედს.

ყოველივე ეს კი წარმოშობს სავსებით გასაგებ შიშს, რომ პოსტ-კომუნისტური სამყარო განწირულია ჩაებას ომების მთელ ჯაჭვში, რომ-

ლებიც შეგვახსენებენ ევროპის ისტორიას 1914-1945 წლებში (ეს კი სწორედ ის პერიოდია, რომელშიც ყველა პოსტკომუნისტური ქვეყანა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება. ძირითადი ფაქტორი, რომელიც ამგვარ პერსპექტივას ჩამდენადმე მაინც აწონასწორებს, არის დასავლური სამყაროს, როგორც სხვა და უფრო სტაბილური ისტორიული ეპოქის წარმომადგენლის არსებობა. მე ხაზს ვუსვამ სიტყვას „არსებობა“ იმიტომ, რომ დიდი იმედი არა მაქვს პოსტკომუნისტური სამყაროს საქმეებში პირდაპირი საერთო ჩარევისა (შუამავლის ფუნქცია იქნება ეს თუ ეკონომიკური სანქციები). ყოველ შემთხვევაში, საკმარისად გამოჩნდა, რომ ამგვარ ზომებს ერთობ შეზღუდული შედეგი შეიძლება ჰქონდეთ, თუმცა ზოგჯერ ეს მცირე შედეგიც ამართლებს მათხე გაწეულ ძალისხმევას. წარსულის წყენებსა და ამბიციებზე აგებული ნაციონალიზმის ყველაზე რეალური გამარტინასწორებელი საშუალება არის ისევ ნაციონალური გრძნობების ალტერნატიული ვერსია, რომელიც ეროვნული ღირსების საქმედ აქცევდა ცივილიზებულ სამყაროსთან თანასწორ წევრად შეერთებას. ერგბის თანამეგობრობიდან იზოლაციის გრძნობა გაცილებით უფრო მტკიცნულია, ვიდრე ნებისმიერი კონკრეტული სანქცია. ცივილიზებული სამყარო გვიწვდის არა მხოლოდ შესაბამის (თუნდაც არასრულყოფილ) მოდელებს აყვავებული საბაზრო ეკონომიკისა, არამედ სახელმწიფოებრივი მართვის ისეთ ნიმუშებსაც, რომლებშიც დემოკრატიულ ძალებს, ლიბერალიზმსა და ნაციონალიზმს შორის რეალური და მუშა ბალანსის ჩამოყალიბება ხდება. ამ მაგალითების ძალა პოსტკომუნისტური სამყაროს გრძ კიდევ სუსტი დემოკრატიუბისათვის სათანადოდ უნდა შეფასდეს.

#### შენიშვნები:

- 1) Francis Fukuyama, "The End of History?" The National Interest 16 (Summer 1989). 3-18
- 2) Idem, "The End of History and the Last Man (New York: Free Press, 1992).
- 3) Ibid., XIX, 201-2.
- 4) Shlomo Avineri, "The Return to History: The Breakup of the Soviet Union", Brookings Review 10 (Spring 1992): 30-33.
- 5) Ernest Gellner, Nations and Nationalism (Ithaca: Cornell University Press, 1983). Hans Kohn, "The Idea of Nationalism: A Study in its Origin and Background (New York: Macmillan,

1944).

6) Benedict Anderson, *Imagined Communities: Reflections on the Origins and Spread of Nationalism* (London: Verso Press, 1983).

7) Eugen J. Weber, "Peasants into Frenchmen: The Modernization of Rural France, 1870-1914" (Stanford, Calif: Stanford University Press, 1976).

8) ერიქ ჰობსბაუმი, რომელიც სულაც არ ცდილობს უშუალო კავშირის პოვნას დემოკრატიასა და ნაციონალიზმს შორის, ასევე აღნიშნავს, რომ „თავად დემოკრატიაციის აქტი, ანუ მოსახლეთა მოქალაქებად გადაქცევის პროცესი უბიძგებს ხალხს პოპულისტური ცნობიერებისაკენ, რაც, გარკვეული აზრით, მნელად გასარჩევია ეროვნული, ხშირად კი შოვინისტური პატრიოტიზმისაგან...“

Nations and Nationalism Since 1780: Programme, Myth, Reality (Cambridge University Press, 1990), 88.

9) Gellner, op. cit., 201.

10) Fukuyama, op. cit., 201.

11) Ibid., 196-98.

12) ამ მიმართების ზოგიერთი ასპექტი წარმოდგენილი მაქვს ჩემს სტატიაში „ჰუმანიზმი და თავისუფლება“ (P. Peachey, J. kromkowski. G. F. Mclean, eds., The Place of the Person in Social Life [Washington, D. C.: Council for Research in values and Philosophy, 1991], 33-43).

13) Fukuyama, op. cit., 266.

14) „ნაციონალიზმი არა მხოლოდ აერთიანებს მე-19 და მე-20 საუკუნეებს, წარმოაჩნის რა მათ როგორც განგრძობადი კრიზისის პერიოდს, არამედ უშუალოდ აკავშირებს მზის, აფრიკისა და წყნარი ოკეანის უზის რეგიონებს ევროპის ისტორიის პროცესთან, ანუ, საერთო, უნივერსალური ისტორიის მონაწილედ ხდის მათ.“ E. Kamenka, "Political nationalism: The Evolution of the Idea", in E. Kamenka and J. Plamenatz, eds., "Nationalism: The Nature and Evolution of the Idea" (London: Edward Arnold, 1973), 3.

15) მაგალითად, „ამერიკული დემოკრატიის“ ე. წ. „ფუძემდებელი მამები“ თავად ეჭვობნენ, რომ მათს მთავარ საზრუნავს – თავისუფლებას – სწორედ დემოკრატიისაგან არ დამუქრებოდა საფრთხე. (Richard Hofstadter, "The American Political Tradition" (New York: Vintage Books, 1954), 10.

16) John Stuart Mill, "Considerations on Freedom and Power (Boston, Beacon Press, 1948), 186.

17) Lord Acton, Essays on Freedom and Power (Boston: Beacon Press, 1948), 186.

18) „აქტონ გასკენით, რომ სწორედ ის სახელმწიფოებია უკეთე-სად მოწყობილი, რომელიც, ბრიტანეთისა და ავსტრიის იმპერიების მსგავსად, სხვადასხვა ეროვნებებს აერთიანებენ ყოველგვარი ძალდატა-ნების გარეშე“. Ibid., 193 და „მცირე ერები ინტელექტუალურად მათ-ზე მეტად განვითარებულ ერებთან პოლიტიკურ ერთობაში თააწევოვ-რებით ვითარდებინ“, Ibid., 186.

19) Ibid., 168.

20) ლორდი ექტონი ერთურთისაგან განასხვავებდა ნაციონალობის ცუდ (ფრანგულ) და კარგ (ბრიტანულ) დოქტრინებს: პირველ შემთ-ხვევაში სახელმწიფოს ცნება ეფუძნება ეროვნებას; მეორეში კი ნაცი-ონალიზმის ცნება გამოიყვანება სახელმწიფოდან. Ibid., 183-84, 187.

ენტონი დ. სმიტი განასხვავებს „ტერიტორიალურ“ და „ეთნიკურ“ ერებს, რაც დამკაიდებულია პოლიტიკური და ეთნიკური ნაციონალიზ-მის გაგებაზე. The Ethnic Origins of Nations (Oxford: Basil Blackwell, 1986), 134-38.

21) Fukuyama, op. cit., 134-35.

22) Ibid., 216.

23) „ლიბერალური დემოკრატიები... არ წარმოადგენს თვითქმარ კონსტრუქციებს: საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებანი, რომლებსაც ისინი ემყარებიან, სწორედ რომ ლიბერალიზმისაგან განსხვავებული წყაროდან უნდა მოღიოდეს“. Ibid., 326. „მყარი დემოკრატია უამი-უამ არარა-ციონალურ დემოკრატიულ კულტურასა და წინარელიბერალური ტრა-დიციებიდან ამოზრდილ სამოქალაქო საზოგადოებას მოითხოვს“. Ibid., 334-35.

24) Avineri, op. cit., 30.

(ჩვენი უმცირესები პ-ნ გ. ნოდიას მოხსენების თაობაზე)

გია ნოდას ესსე მრავალმხრივ გააზრებული და სხვადასხვა ნიუანსის შემცველი ნაშრომია, არაორდინარული მიგნებებით სავსე. მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავად თვლის, იგი არ ეთანხმება ბევრ ჩემს დებულებას, სინამდვილეში ჩვენი აზრი მაინც მრავალ შემთხვევაში თანხვდება.

მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ არაფერი გვაქვს სადაცო – პირველ რიგში, ცხადია, რომ ნაციონალიზმი და დემოკრატია (გაგებული როგორც ლიბერალიზმისაგან განსხვავებული რამ) მართლაც, ურთიერთგამომრიცხავი ცნებები კი არაა, არამედ ერთი მედილი ორი მხარე. ეს თვალსაჩინო განხდება, როგორც კი ორივე ამ ფენომენს ისტორიული თუ სოციოლოგიური პერსპექტივებიდან შევხედავთ. XVIII და XIX საუკუნეების ნაციონალიზმა არსებითად შეუწყო ხელი დასავლეთ ეკრანის სხვადასხვა ქვეყნების განთავისუფლებას მონარქიული აბსოლუტიზმისაგან. 1848 წლის ფრანგურტის პარლამენტი ერთდროულად გერმანულ-ნაციონალისტური იყო და დემოკრატიულიც, ისევე როგორც დემოკრატიული და ფრანგულ-ნაციონალისტური იდეები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს საფრანგეთის რევოლუციის დროს. დღეს ნაციონალიზმი ასევე წარმოგვიდგება როგორც კომუნისტური დიქტატურისაგან განმათავისუფლებელი ძალა.

სოციოლოგიური თვალსაზრისით, ნაციონალიზმი და დემოკრატია შეიძლება განვიხილოთ როგორც ინდუსტრიალიზაციის ერთსა და იმავე პროცესის წიაღში წარმოშობილი მოვლენა. ამ მიმართებით, ნოდამი იქნება არასწორად გაიგო ერნესტ გელნერის შეხედულებები ნაციონალიზმა და ინდუსტრიალიზაციას შორის მიმართების თაობაზე. გელნერს სულაც არ სურდა ეთქვა, თითქოს ნაციონალიზმს უპირველესად ეკონომიკური ფუნქცია გააჩნია, ან რომ იგი გარკვეული ეკონომიკური წრეების ინტერესებს გამოხატავს; ის იმას ამტკიცებდა, რომ ინდუსტრიალიზაციის ეკონომიკური პროცესები გარკვეულ ხელშემწყობ პირობებს წარმოშობენ ნაციონალისტური იდეების გავრცელებისათვის. ინდუსტრიალიზაცია შლის ძველ კლასობრივ სტრუქტურებს, ტიპიურს ტრადიციული აგროკულტურული საზოგადოებისათვის და აუცილებელს ხდის საერთო ლინგვისტური და კულტურული ფუნდამენტის შექმნას, რომელზედაც შეიძლება შენდეს კიდევ ეროვნული ეკონომიკა. ამიტომაც შემთხვევით არ არის, რომ ნაციონალიზმს, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, არ უარსებია ინდუსტრიულ რევოლუციამდე. არ-

სებობდა ეთნიკურობა, რასიული გრძნობები და სხვა მსგავსი მოვლენები, მაგრამ არა რწმენა იმისა, რომ ჰომოგენური კულტურულ-ლინგვისტური გუფები სუვერენულ სახელმწიფოებიდან იქნებოლნენ ორგანიზებული. დემოკრატიაც, ასევე, იმ ისტორიული პროცესებიდან წარმოშვება, რომელთა წყალობითაც უწიგნური და ინერტული გლეხები ნასწავლ და ურბანიზებულ მუშებად იქცნენ.

ნოდია ასევე მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ მთავარი წინააღმდეგობა ნაციონალიზმსა და ლიბერალიზმს შორის ძევს, და არა ნაციონალიზმსა და დემოკრატიას შორის. უფრო ზუსტად, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ნაშავი გულისხმობს უნივერსალური აღიარების პრიციპს, ანუ უნივერსალურ ინდივიდუალურ უფლებებს. ხოლო თუ, როგორც მე ადრევე ვამტკიცებდი, ლიბერალიზმი გულისხმობს ყოველი მოქალაქის, როგორც ავტონომიური ადამიანის ღირსების უნივერსალურ და ეჭვივალენტურ აღიარებას, ნაციონალიზმის პრიციპის შემოტანა უკვე აუცილებლობით იძლევა ადამიანთა შორის განსხვავებას: იმ პიროვნებათა ღირსებას, რომლებიც დომინანტურ ეროვნებას არ მიეკუთვნებიან, მხოლოდ ამის გამო უფრო დაბალი რანგი ენიჭება, ეს კი პირდაპირ წინააღმდეგობში მოდის უნივერსალური და ეჭვივალენტური აღიარების პრიციპის მიმართ.

ჩვენ კიდევ ერთ საკითხში ვეთანხმებით ერთმანეთს: ლიბერალური დემოკრატიის ბევრი დამცველი ვერ ხედავს, თუ როგორ შეუძლია ზომიერ ნაციონალიზმს ხელი შეუწყოს დემოკრატიის წარმატებას პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით. აბსტრაქტულად თუ ვიმსჯელებთ, უნივერსალური აღიარების პრიციპიდან ლოგიურად გამომდინარეობს უნივერსალური ჰომოგენური სახელმწიფოს არსებობა, რომელშიც გამჭრალია ნაციონალური საზღვრები (არავითარი საფუძველი არა აქვს იმას, რომ, ვთქვათ, კანადა და შეერთებული შტატები ცალკე სახელმწიფოებია). მაგრამ ჩემი მსოფლიოში ეროვნული განსხვავებანი მეტად მდგრადია და მნიშვნელია წარმოვიდგინოთ სტაბილური დემოკრატიები ამგვარი ეროვნული კონტექსტების მიღმა. დასავლეთ ევროპში ლიბერალური დემოკრატიები უმეტესწილად ისეთ შედარებით ჰომოგენურ ლინგვისტურ და კულტურულ საზოგადოებებში ჩამოყალიბდა, როგორიც საფრანგეთი, ინგლისი და მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში, გერმანია იყო. განვითარებულ, სტაბილურ დემოკრატიებშიც ლიბერალური დემოკრატია ეროვნულ იდენტობასთან თანაარსებობს და, მიუხედავად ევროპული თანამეგობრობის მზარდი ინტეგრაციისა, ეროვნული გრძნობა საეჭვოა მთლად გაქრეს ამ არეალიდან. მხოლოდ ისეთ ახლადდარსებულ მიწებზე, როგორიც შეერთებული შტატები და ავსტრალია, შეიძლება მოხდეს რომ ეროვნული იდენტიფიკაცია გასცდეს მის ეთნო-

რასობრივ ასპექტს და ფესვი თავად ლიბერალურ-დემოკრატიულ რე-  
ჟიმში გაიღავა. მაგრამ ბევრ სხვა, იაპონიისა თუ საფრანგეთის მსგავს  
დემოკრატიულში ამგარი არა არ ხდება და აქ დემოკრატიისა და ძლი-  
ერ ნაციონალურ იდენტობას შორის ღრმა, მდგრადი კავშირია.

საბოლოოდ, მე სრულიად ვუერთდები ნოდიას მიერ დოგმატური  
ლიბერალური თვალსაზრისის უარყოფას, რომლის მიხედვითაც ნაციო-  
ნალიზმს ყოველგვარი მანიფესტაცია უარყოფით მოვლენად ცხადდება.  
როგორც ნოდია აღნიშვნას, მიხეილ გორბაჩივი ბოლო ხანს სწორედ  
ამ იდეის მატარებელი გახლდათ. გასაგებია, რომ მისი ამგვარი პოზი-  
ცია მისსავე ინტერესებს ესახურებოდა: ამ ქვეყნად არ არსებობს ისე-  
თი რამ, როგორიცაა კარგი ნაციონალიზმი, და თუ ჩემი ხელმძღვანე-  
ლობით არსებულ ძველ, მრავალეთნიკურ სსრკ-ს არ შევინარჩუნებთ,  
ყოველივე ქაოსში აღმოჩდებათ; სინამდვილეში კი, საბჭოთა კონტექს-  
ტში ნაციონალიზმი აუცილებელი წინაპირობა იყო მის მემკვიდრე რეს-  
პუბლიკებში დემოკრატიის აღმოცენებისათვის. ჯერ ძველი საბჭოთა  
კავშირი უნდა დაშლილიყო ეროვნული საზღვრების მიხედვით, და მხო-  
ლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი დემოკრატიული რევოლუ-  
ციის დაწყება.

ახლა კი იმის შესახებ, რაშიც არ ვეთანხმები ნოდიას. უფრო  
ზოგადთეორიულ დონეზე მსჯელობისას ის ამტკიცებს, რომ ერთგვარ  
საყველოთაო თანასწორუფლებიანბის პრინციპზე დაფუძნებულ უნივერ-  
სალური აღიარების ლიბერალურ პრინციპს არ გააჩნია უფრო მეტი  
შინაგანი რაციონალურობა, ვიდრე ნაციონალურ პრინციპს. იგი მარ-  
თებულად მომაწერს თვალსაზრისის, რომ უნივერსალური აღიარება რა-  
ციონალურია, რადგანაც ეყყარება ფუნდამენტურ განსხვავებას იმას შო-  
რის რაც აღამიანურია და რაც აღამიანური არ არის. ეს ნიშნავს,  
აღამიანები იმთავითვე ფლობენ გარეკვეულ თვისებას, რომელიც განას-  
ხვავებს მათ არა-აღამიანური ბუნებისაგან – იქნება ეს ცხოველურზე  
ამაღლებული გრძნობა, როგორც ეს მიჩნეული იყო ანტიკურ ხანში,  
პირადი არჩევანის უნარი, როგორც ეს იყო ქრისტიანულ და, მოგვი-  
ანებით, გერმანული იდეალიზმის ტრადიციაში, ან, შესაძლოა, ამ ორის  
კომბინაცია, ზოგიერთი სხვა შეხედულების თანახმად. მაგრამ სწორედ  
ეს ძირითადი განსხვავებაა, რაც გამოყოფს აღამიანურ არსებას დანარ-  
ჩენ არსებათაგან და კანონიერად აბატონებს მას ბუნებაზე. ეს აგრეთ-  
ვე ნიშნავს, რომ ყველა აღამიანი ფუნდამენტურად იგივეობრივია ამ  
განსხვავებასთან მიმართებით და, ამგვარად, თანასწორია ამ ყველაზე  
მნიშვნელოვანი თვალსაზრისით.

ნოდია სავსებით სწორად შენიშვნას, რომ ფილოსოფიური საფუძ-  
ველი რწმენისა, თითქოს არსებობს ფუნდამენტური განსხვავება აღამი-

ანურსა და არაადამიანურს შორის, დღეს საქმაოდ ბუნდოვანია, და რომ ამ ბოლო ხანს დასაცლეთში წარმოდგენა ამ განსხვავების შესახებ ძლიერი კრიტიკის ქვეშ მოექცა. უახლეს ნიჭეშად დაგასახლებდი ვაც-ლავ ჰაველის ესეს, რომელიც 1992 წლის 3 ივნისის „ნიუ იორკ ტაიმსი“ გამოქვეყნდა გლობალური გარემოსადმი მიძღვნილ რო-დე-უა-ნერის სამიტან დაკავშირებით. ჰაველმა საერთოდ ეჭვეშ დაყენა ადამიანის ბუნებაზე გაბატონების იდეა, და კითხვა დასვა, გააჩნია კი ადამიანს რაიმე უპირატესი ღირსება ამგვარი ბატონობისათვის. დღეს გარემოს დამცველი მოძრაობა იმ მოსაჩრების მთავარი გამტარებელი გახდა, რომ არ არსებობს რაციონალური საფუძველი ადამიანური და არაადამიანური ბუნების განსასხვავებლად.

ჩა თქმა უნდა, როგორც ნოდია ალნიშნავს, ადამიანები ნაციონა-ლურ საზოგადოებებში ცხოვრობენ და მათი უმრავლესობისათვის გან-სხვავება ფრანგსა და გერმანელს, ან სერბსა და ხორვატს შორის გა-ცილებით უფრო თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება ზოგადადამიანურსა და რაიმე ისეთს შორის, რაც ასეთი არ არის. ამისდა მიუსედავად, ვფრჩიობ, რომ საკითხავია, ზოგადადამიანურსა და არაადამიანურს შორის განსხვავების უარყოფის თანამედროვე ტენდენ-ცია რაღაც ისეთია, რასაც უნდა მივესალმოთ, თუ პირიქით, წინააღ-მდეგობა უნდა გავუწიოთ მას. რადგან, თუკი ჩვენ უკუვაგდებთ ადა-მიანის უმაღლესი ღირსების კრიტერიუმს ნაციონალური ღირსების სა-საჩვენებლოდ, მაშინ ჩვენ ალბათ საფუძველს დავუდებთ ორ წინააღმდე-გობრივ დასკვნას: ერთის მხრივ, ადგილი ექნება უფლებათა პარტიკუ-ლობაციას, რაც კითხვის ქვეშ დააყენებს ადამიანთა შორის თანასწო-რობის ლიბერალურ დემოკრატიულ პრინციპს; მეორეს მხრივ, ჩვენ კარს გაუსულებთ უფლებათა სუპერუნივერსალიზაციას, რომელიც უკვე არაა-დამიანურ ბუნებასაც მიანიჭებდა იმავე უფლებებს. ამის შედეგად კა-ნონგარეშე დარჩებოდა ბუნების დამორჩილების მთელი პროცესი, ინ-დუსტრიალიზაციის პროცესისა და მისგან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების ჩათვლით.

არსებობს კიდევ ერთი მიზანი, რის გამოც უნივერსალური აღია-რების პრინციპს პრეტენზია აქვს თავისი რაციონალიზმით აღმატებო-დეს ეროვნულ პრინციპს. კანტის ტერმინებში რომ ვთქვათ, თუ ყველა ადამიანს სურს მისი შინაგანი პიროვნული ღირსების აღიარება, მაშინ უნივერსალური ექვივალენტური აღიარება პრატიკული გონების ერთა-დერთი შესაძლო მიღდომაა, რომელმაც შეიძლება იმგვარად გაამართ-ლოს ადამიანური ღირსების აღიარების ყოველი ინდივიდუალური პრე-ტენზა, რომ ერთი კერძო ადამიანის ღირსება არ დაკმაყოფილდეს სხვების ხარჯზე. გონების ასეთი წესი, როგორც კანტი ფიქრობდა, მარ-

თებული უნდა იყოს ყოველი მოაზროვნე არსების მიმართ, იმისდა მიუხედავად, ეს არსება ადამიანია თუ არა. ჩვენ არ გვჰქირდება ემპირიული ცოდნა იმ არსებათა შესახებ, რათა თავად ეს წესი რაციონალურად მივიჩნიოთ. უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, უმეტესი ნაციონალისტური რეჟიმების პრობლემატური ხასიათი აშკარა გახდება, როგორც კი მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ როგორ შეიძლება მოხდეს გაბატონებული ეროვნული ჯგუფის გარეთ მყოფ ადამიანთა ღირსების ადექვატური აღიარება, ან საერთოდ შესაძლებელია თუ არა ეს, როცა რეჟიმი პრინციპში ერთი ეთნოსის მეორისაგან განსხვავებას ეყრდნობა.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ლიბერალური დემოკრატია და ნაციონალიზმი მეტ-ნაკლებად მშეიძლობიან თანაარსებობასაც ახერხებენ. 30-წლებისა და II მსოფლიო ომის საზარელმა გამოცდილებამ, ჩანს, ჩვენში წარმოშვა გარკვეული რწმენა, რომ ნაციონალიზმი გარდევა-ლად უნდა გადაგვარდეს ფშიშმაღ, მაგრამ ეს, უბრალოდ, სინამდვი-ლეს არ შეესაბამება. ლიბერალიზმს თავისუფლად შეუძლია ნაციონა-ლიზმთან თანაარსებობა, როცა კი ეს უკანასკნელი ტოლერანტული ხდება. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალური თვითშეგნება კერძო ცხოვრებასა და კულტურის სფეროში უნდა განიდევნოს და არ უნდა მოხდეს მისი ბოლოტიზაცია, ანუ ის არ უნდა გახდეს იურიდიულად გაფორმებულ კანონთა საფუძველი. სხვა, ალტერნატიულ შემთხვევებში ნაციონალური სიამაყე შეიძლება სუბლიმირებულ იქნას ეკონომიკურ შეჭიბრში, როგორც ეს იაპონურ სუპერეკომპუტერებთან დაკავშირებით მოხდა. ნაციონალიზმი კი მხოლოდ მაშინ გახდება ტოლერანტული, თუკი ეროვნული რაობა ან ეროვნული კულტურა ფუნდამენტურად ღია იქნება სხვა ერებისათვის ისე, რომ აფრიკელს შეეძლოს გახდეს ფრანგი, თუ ის ილაპარაკებს ფრანგულად და აითვისებს იმ ჩვეულებებსა და ქცევის წესებს, რაც ტრადიციული ფრანგული კულტურის იერს განსაზღვრავს.

თუმცა აქაც სითრთხილე გვმართებს, რადგან ნაციონალური და ლიბერალური პრინციპების თანაარსებობა მაიც რამდენადმე დააბული დარჩება. ერთი კი უნდა ითქვას: ეს თანაარსებობა უფრო იოლია რა-სიულად და კულტურულად ჰომოგენურ ქვეყნებში, სადაც დომინანტური კულტურა შედარებით დაცულია, ან ახლადასახლებულ ქვეყნებში, სადაც კულტურა თავისი ბუნებით პოლიტიკური უფროა, ვიდრე ეთნიკური. ახლანდელი შიში დასავლეთ ევროპაში იმიგრაციის მიმართ სწორედ ამგვარი შეთავსებაღობის საზღვრებს გვიჩვენებს. ბევრი ეგრძანელი, მაგალითად, ძლიერ ეჭვობს რომ აფრიკელს შეეძლოს გერმანელი გახდეს მხოლოდ გერმანული ენის, ჩვევებისა და კულტურის სხვადასხვა გამოვლინებათა უბრალო გადაღებით.

პისტკომუნისტურ აღმოსავლეთში ეროვნული და ლიბერალური პრინციპების თანაარსებობა კიდევ უფრო პრობლემატურია, რადგან აქ ძალები ცოტაა ისეთი ჰომოგენური ნაციონალური სახელმწიფო, როგორიცაა საფრანგეთი ან ინგლისი. ფაქტოურად, ამ რეგიონის სახელმწიფოების უმრავლესობა სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტის ნარევია, სადაც ერთი, მცველობად დომინანტური კულტურა არ აჩებობს. თუკი პოლიტიკური ლიდერები არ განმარტავენ ტერმინ „ერს“ უალესად აბსტრაქტული და ფორმალური წესით, აქ ყოველთვის დარჩება ეთნოლინგვისტური უმცირესობების პრობლემა. კონტრეტული მაგალითი ავიღოთ: თუ უკრაინელები გააგრძელებენ მოქალაქეობის უფლებისა და განათლების პოლიტიკის განსაზღვრას იმავე ტოლერანტულ ტერმინებში, რომლებიც მათ დასაწყისიდანვე აირჩიეს, როდესაც ნაციონალობას ტერიტორიალური ცნებით განსაღვრავდნენ და სრულ მოქალაქეობას ანიჭებდნენ უკრაინის საზღვრებში ყველა მცხოვრებს, მაშინ მათი ქვეყანა შეიძლება გადარჩეს, ხოლო თუ უკრაინელთა წარმოშობა, ენა ან ეთნოკულტურული თვითმყფადობის რომელიმე სხვა ასპექტი გახდა მოქალაქეობის ან ნებისმიერ სხვა უფლებათა წინაპირობა, მაშინ ქვეყანა აფეთქდება, რადგან რუსები და სხვა ეროვნული უმცირესობანი აგანყდებიან ეთნიკური უკრაინელების ბატონობის წინააღმდეგ.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთი ვარიანტია ისეთი ჯგუფური უფლებების შემოღება, როგორც ეს ლიბანშია, მაგრამ იმავე ლიბანის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს ვერაფრით იქნება საბოლოო და დამაკავშირებელი გადაწყვეტა. ჯგუფის უფლებების პრინციპის მიღება წამოჭრის მძიმე კითხვებს იმის თაობზე, თუ რა შეადგენს კანონიერ ჯგუფს, ვინ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება, როდის უნდა ჩატარდეს აღწერა იმის დასაღვენად, თუ რომელ ჯგუფს ჩამდენი ხალხი წარმოადგნეს, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს ამგვარ საკითხებზე და ა. შ. ამგვარად, საბოლოოდ მაინც იძულებული ვხდებით დავუბრენდეთ კანტიანურ თვალსაზრისის, რომ ალიარების ერთადერთი რაციონალური ფორმა ადამიანების, როგორც ინდივიდუალური არსებების და არა მათი როგორც ამა თუ იმ ჯგუფის წევრების აღიარებაა.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი: ხანდახან ისე ჩანს, რომ ნოდია ნაციონალიზმს განიხილავს უმთავრესად როგორც გარდამავალ სტრატეგიას. მოდით, ნუ გავლანდოვთ ნაციონალიზმს, ამბობს იგი, რადგან ეს არის საშუალება ლიბერალური დემოკრატიის მისაღწევად, კერძოდ კი ყოფილი საბჭოთა კავშირის მსგავს პოსტორტალიტარულ რეგიონებში. მაგრამ ნოდიას ანალიზი წამოჭრის უფრო ფართო ფილოსოფიურ კითხვას და იმთავითვე ცხადი როდია, თუ როგორი იქნება პასუხი. აჩებობს თუ არა ეროვნულ პრინციპში რაიმე ისეთი,

რაც საბოლოო ჯამში აღემატება ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლად დადგებულ უნივერსალური აღიარების პრინციპს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთ ჰეყუნებში, როგორიც უკრაინა ან რუსეთია, ნაციონალიზმა სავსებით შესაძლებელია გაგვიწიოს სასარგებლო, თუმც კი მაინც სახიფათო დახმარება მძიმე პოსტკომუნისტური პერიოდის გასავლელად, მაგრამ შეგვიძლია კი ვირწმუნოთ, რომ შედეგად, როდესაც მიღწეული იქნება დემოკრატიული სტაბილურობა და ცხოვრების მაღალი დონე, ადამიანები უფრო დამაკაყოფილებლად მიიჩნევენ ცხოვრებას ნაციონალურად განმსაზღვრად პოლიტიკურ ერთეულებში, ვიდრე ლიბერალურში, სადაც მხოლოდ ფორმალური, აბსტრაქტული აღამიანურობაა აღიარებული?

ამის შემოწმების საუკეთესო შემთხვევას, გაცილებით უკეთესს, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მაგალითია, კვებეკი წარმოადგენს. იგი აყვავებული და სტაბილური ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნის ნაწილია და მაინც, რიგი ფრანგულენოვან კვებეკელთათვის უნივერსალური ლიბერალური იდენტურობა, რომელსაც მათ კანადის მოქალაქეობა და une province comme les autres-ში<sup>1</sup> ცხოვრება აძლევთ, როგოროც მანც არ არის საკმარისი. კანადის სახელმწიფოს ეროვნული საზღვრების მიხედვით დანაწევრება მეტად საინტერესო მაგალითი იქნებოდა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის აღეჭვატურობის განსასხვლად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ჩემთვის ცოტა არ იყოს ბუნდოვანია, ნოდია ნაციონალიზმს მხოლოდ დემოკრატიის ბებიაქალად და განვითარების ხელშემწყობად მიიჩნევს თუ ლიბერალური დემოკრატიის უცილობელ ელემენტად, მის განვითარებულ სტადიუმშეც კი.

<sup>1</sup> ერთ-ერთი პროვინცია სხვებს შორის (ფრ.).

გია ნოდიას სტატია ნაციონალიზმსა და დემოკრატიზე განსაკუთ-  
რებით ცხადად წარმოგვიდგენს იმ ამბივალენტურ როლს, რომელსაც  
ნაციონალიზმი თამაშობს თანამედროვე საზოგადოების აგების პროექტ-  
ში. ის სულაც არ არის პირველყოფილი ან ირაციონალური გადმონა-  
შთი; ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური ძალა (განსხვავებით უბ-  
რალო ეთნიკური ცნობიერებისაგან) არსებითად თანამედროვე ფენომე-  
ნია. როგორც ნოდია გვიჩვენებს, იგი მოუწყვეტლადაა გადაბმული ხალ-  
ხის სუვერენიტეტის ფრანგულ რეგოლუციურ ტრადიციასთან ისევე, რო-  
გორც აღამიანის პირველობისა და ავტონომიურობის კანტიანურ  
დოქტრინასთან. ლიბერალები, რომლებიც ნაციონალიზმს ატავიზმად გა-  
ნიხილავენ, ისევე ცდებიან, როგორც ორთოდოქსი მარქსისტები, რომ-  
ლებიც, მოწყვებულნი მათი მოძრვის მითითებით, რომ „პროლეტარს  
არა აქვს სამშობლო“, ცდილობენ ნაციონალიზმი ისტორის სანაგვეზე  
გადაუშვან. როგორც ახლანდელ მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს,  
ნაციონალისტური პრობლემები დომინანტური გახდა არა მარტო პოს-  
ტკომუნისტური აღმოსავლეთის პოლიტიკურ დისკურსში.

ამის მოწმობაა ბოსნიაში, ხორვატიაში, მოლდოვაში, საქართველო-  
სა თუ ყარაბაღში ძალადობის ამოქთევება, ჩეხეთისა და სლოვაკეთის  
ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა, აგრეთვე ის, თუ როგორ ექცევი-  
ან დამოუკიდებელი ბალტიის ქვეყნები მათ რუს და პოლონელ უმცი-  
რესობებს, მიმდინარე ან პოტენციურ ეთნიკურ შეხლა-შემოხლის მრა-  
ვალ გაელვებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს სია შეგვიძლია გავტარ-  
დოთ რუსეთის გარეთ მცხოვრები 25 მილიონი რუსით, რომელთაც  
მომავალი საქმაო საფრთხეს უმზადებს; სლოვაკიის, რუმინეთის და ყო-  
ფილი იუგოსლავიის უნგრული უმცირესობის პრობლემებით; ისეთი რე-  
გიონის ბედით, როგორიცაა კალინინგრადის ოლქი (ყოფილი კიონინგ-  
სბერგი აღმოსავლეთ პრუსიაში) რომელიც ამჟამად რუსეთის ნაწილია,  
მაგრამ რესპუბლიკისაგან მოწყვეტილია ლიტვითა და ბელარუსით.

ვისაც კი სჯეროდა, რომ პოსტკომუნისტური დისკურსი ძირითა-  
დად დემოკრატიზაციასა და საბაზრო კუონიმიკის განვითარებაზე იქნე-  
ბოდა კონცენტრირებული, ახლა მიხედა თავის გულუბრყვილობას. ნო-  
დია მართებულად განასხვავებს ერთმანეთისაგან დასავლეთის ლიბერა-  
ლური დემოკრატიების ლიბერალურ და დემოკრატიულ შემადგენელ  
ელემენტებს და გვიხსნის, თუ რატომ მისცა კომუნისტურმა მემკვიდ-  
რეობამ აღზევების საუკეთესო შანსი ნაციონალიზმის ანტილიბერალურ  
ვერსიას. ლენინისტურმა პოლიტიკამ, რომელსაც ტიტოც მისდევდა, ტე-  
რიტორიული გამოხატულება მისცეს ნაციონალურ-ლინგვისტურ ერთეუ-

ლებს და ამით ის ფორმებიც განსაზღვრეს, რომლებშიც საბჭოთა კაგ-შირის თუ იუგოსლავის დაშლის შედეგად წარმოქმნილი დისკრეტული სახელმწიფოები მოექცეოდნენ. თითოეულ ამ ახალ სახელმწიფოს მძიმე ტვირთად დააწვა ეროვნულ უმცირესობებთან და პოტენციურად საკა-მათო საზღვრებთან დაკავშირებული მრავალი კითხვა.

მე ბევრ აამეში ვეთანხმები ნოდიას მიერ ნაციონალიზმის გამარ-თლებას თანამედროვეობის კონტექსტში, მაგრამ არის რამდენიმე ნიუ-ანსი, რომელთაც მსურს ხაზი გავუსვა. მთავარი მიზეზი, რატომაც ნა-ციონალიზმი ლიბერალური პოლიტიკური თეორიის უნივერსალური ნორ-მების საპირისპირო მიმართულებად გამოიყერება, ისტორიული ბედის ირონიით, იმითავ გამოწვეული, რომ უნივერსალისტურ ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და გავრცელების სამუშაო მირითადად განხორციელდა ორი სპეციფიკური კულტურის, ინგლისური და ფრანგული კულტურე-ბის პოლიტიკური და ინტელექტუალური ჰეგემონის ქვეშ. ერთი მხრივ, საფრანგეთის რევოლუციის წყალბით პოპულარიზებული აღამიანის უფ-ლებათა იდეების შექმენები, მეორეს მხრივ კი, ინგლისის და უფრო გვი-ან შეერთებული შტატების ბატონობის შედეგად გავრცელებულ პო-ლიტიკურ ლიბერალიზმსა და საბაზრო ეკონომიკასთან შეპირისპირებით, ნაციონალიზმი გამოვლინდა როგორც პარტიკულარისტული, წვრილმანი, რეტროგრადული და უნივერსალურობისაგან გადახრილი მოვლენა. რაა ბრეტონული ფრანგული კულტურის სიმდიდრესთან და ბრწყინვალე mission civilisatrice-სთან შედარებით? რას წარმოადგე-ნენ ბრიტანული კულტურების გველურად მოლაპარაკე თემები, თუ არა ანაქრონიზმს მძლავრი ინგლისურენოვანი სამყაროს მსოფლიო გაქანების მქონე კულტურის ფონზე? საფრანგეთსა და ინგლისურენოვან სახელმ-წიფოებში, თითოეულში მათთვის სპეციფიკური წესით, გაიმარჯვა ეკუ-მენურამ კულტურამ, რომელიც რაციონალურობასა და უნივერსალურად გაზიარებულ ღრაბულებებში ჩაფიცვებულობას ჩემულობდა. შემდეგ მათ აამაღლეს ეს ისტორიული კულტურები ჰეშმარიტად უკათოლიკურები ნორმების დონემდე და ვაი ირლანდიელებს, სიონის შვილებსა და სხვა ხალხებს, რომელთა უფრო მცირე მასშტაბის ლოალობამ ისინი შეზ-ღუდულ, თავის თავში ჩაკეტილ, ბნელ, ეთნოცენტრისტულ და (ყვე-ლაჟე უარესი) წინარე-მოდერნულ ხალხებად წარმოაჩინა.

სხვა სიტყვებით, აბსტრაქტულმა უნივერსალიზმა – რომელიც სხვა არაფერი იყო თუ არა მოცემული ისტორიული კულტურების კომპ-ლექტის ჰიპოსტაზი – თავი წარმოგვიდგინა როგორც ისტორიული პროგრესის ერთადერთმა ნორმამ (რომელიც თავს ზოგჯერ „ისტორიის დასასრულადაც“ კი აცხადებდა) და შემდეგ ქედმაღლურად გადამოხედა პატარა ერების კულტურებს, როგორც პროვინციულებსა და თანაც და-

სალუპავად განწირულებს. არსებითად, ეს სხვა არაფერი იყო თუ არა დიდი ერების კულტურული იმპერიალიზმის კიდევ ერთი მაგალითი: ფართო ეთნოლიგიკისტური ჯგუფის მიერ უნივერსალიზმის ქადაგება იმას ნიშნავს, რომ საკუთარ ასიმილაციონიზმსა და ტრაქტალურ პროგრესული ისინი მსოფლიო ისტორიული გონის გარდაუვალ გამოვლენას ჰქონებული იყო. ისინი უფრო ძელყოფენ მცირე ერების *cri de coeur*<sup>1</sup>, როგორც რეტროგრაფულს, და მასიურ დაწოლას ახდენენ მათზე თავიანთი ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური ძალით. ყოფილ საბჭოთა კავშირს ამგვარი ველიკოდედრეფაული თვითდაგერებულობა მემკვიდრეობით ერგო ცარისტული ტრალიცისაგან: რუსულენაცია, მათი შერით, კულტურისა და ცივილიზაციის გავრცელებას ნიშნავდა.

როგორც ნოდია აღნიშნავს, გარკეული ერთობის (და არა უბრალო ადამიანთა რაღაც აგრეგატის) წევრობის მოთხოვნილება პიროვნულობის უცილობელ ელემენტს შეადგენს. ფართო ლინგვისტური და კულტურული ჯგუფების წევრები ამას აღიქვამენ როგორც ისეთი ხარისხით მოცემულს, რომ მათვის მათი საკუთარი კულტურა კულტურასთან როგორც ასეთთან გაიგივდება. ამიტომაც ზოგჯერ უჭირო გაიგონ, თუ რას ნიშნავს, როცა კულტურას გართმევენ. ადამ მიცკვეთი ასე მიმართავს თავის ქვეყანას „პან ტადეუშის“ პირველ სტროფებში: „შენ ჩანის სიმრთელეს ჰეგხარ, რაღან მხოლოდ მან უწყის თუ რა არის იგი, ვინც ის დაპარაგა“. ან, როგორც სხვა პოლონელმა მოაზროვნებ, ლეშეკ კოლაკოვსკიმ აღნიშნა, ერი თუ ტომი გამოცდილებაა, კაცობრიობა კი – მისწრაფება. სწორედ დიდი ერების სიბრძმავემ ნაციონალიზმის ჰალისაღმი ბევრი დამკვირვებელს მხედველობიდან დააკარგვინა ნაციონალიზმის პოტენცია პოსტკომუნისტურ სამყაროში.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პოსტკომუნისტური საზოგადოება ახლა გამოდის 75 ან 45-წლიანი დროითი გამრუდებიდან: ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ აქ „არაფერი მომხდარა“, ან რომ კომუნიზმის გადავარდნასთან ერთად ეს საზოგადოებები დაუბრუნდებიან 1917 ან 1945 წლების წინანდელ მდგომარეობას: ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ პოსტკომუნისტური საზოგადოებები ერთგვარი დროითი დისონანსის პირობებში ცხოვრობენ. მაგალითად, ეკონომიკურად ბევრი მათგანი მაღალინდუსტრიული საზოგადოებაა – მაგრამ ბაზრის გარეშე. პოლიტიკურად ისინი უაღრესად პოლიტიკორებულნი და მობილიზებულნი არიან, მაგრამ არ გააჩნიათ დემოკრატიულ მობილიზაციაზე აგებული პოლიტიკის რამე გამოცდილება. ნოდია მართებულად აღნიშნავს, რომ გარდაქმნები პოსტკომუნის-

<sup>1</sup> გულის ძახილი (ფრ.).

ტურ საზოგადოებებში განსხვავდება გარდაქმნებისაგან მესამე სამყაროს ქვეყნებში, რომელთაც მოდერნიზაციის პროცესი არ გაუვლიათ: ეს არ არის გარდაქმნები მოდერნიზაციის მიმართულებით, არამედ გადასვლები „დამახინჯებულ“ მოდერნულობიდან იმაზე, რაც დასავლური მნიშვნელობით მოდერნიზაციის „ნორმალურ“ მოდელად არის მიჩნეული.

რაც შექება ნაციონალიზმს ამ ქვეყნებში, ეს ვითარება შემდეგნაირად შემოტრიალდება: პრობლემები, რომლებიც დასავლური ქვეყნების უძრავლესობამ ცდითა და შეცდომებით, შეგუებითა თუ მძაფრი ძალისმიერი მეთოდებით მოაგვარა, აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს ჭერ კიდევ გადასაჭრელი აქვთ — და ეს ხდება მაშინ, როცა დასავლეთი უკეთ გადავიდა სხვა, „პოსტმოდერნულ“ დისკურსზე (გარემოსთან თუ სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.). თუმცა კულტურული ავტონომიების მოთხოვნა დასავლეთში მაინც გადაუჭრელი ჩეხება, ამ მოთხოვნებიდან მომდინარე კონფლიქტები, როგორც წესი, არ ემუქრება მთელ პოლიტიკურ სხეულს. მაგალითად, ის რომ ბრიტანეთი ვერ ახერხებს შეწყვიტოს კონფლიქტი ჩრდილოეთ ირლანდიში, სულაც არ უქადის ბრიტანულ პოლიტიკურ სხეულსა და მის დემოკრატიულ სტრუქტურებს მომაკვიდინებელ საფრთხეს. ამისგან განსხვავებით, აღმოსავლეთი ევროპა ჭერ კიდევ 1939 ან იქნებ 1914 წლებში ცხოვრობს: მისი პოლიტიკური დისკურსი როგორდაც „შენელებული“ და „ამოვარდნილია“ იმ აზრით, რომ დასავლეთის ეროვნული სახელმწიფოების მიერ შემთავაზებული ინსტიტუციონალიზებული გადაწყვეტები აღმოსავლეთში ჭერაც შეუძლებელია. ისტორია აქ რაღაც აზრით „შეჩერებული“ იყო და პოლიტიკური დისკურსიც თითქოს დასავლეთში დიდი ხნის წარსულ დროს ეხმანება.

ნოდია კვლავ მართალია, როდესაც მიუთითებს ნაციონალიზმის იანუსის მსგავს ბუნებაზე ლიბერალურ ლირებულებებთან მიმართებით: მას გააჩნია უნივერსალისტური, ჰარმონისტული ვერსია (თუ გნებავთ, ვუწოდოთ მას „მაზინის ვარიანტი“), და გამომრიცხავი, აგრესიული ვერსია („ტრაიჩექს ვარიანტი“). საფრთხილოა, რომ მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, პლუს დემოკრატიული რეფორმების წარუმატებლობამ ზოგიერთ პოსტკომუნისტურ საზოგადოებას ამ უკანასკნელი, უფრო სახიფათო ვარიანტისკენ არ უბიძგოს.

პრაქტიკულად ყველა პოსტკომუნისტურ საზოგადოებას ჰყავს ეთნიკური უმცირესობანი, და მრავალ შემთხვევაში, როგორც ეს თუნდაც ყოფილ საბჭოთა კავშირშია, საზღვრები ქველი მმართველების კაპრიზებსა და დეკრეტებს ეყრდნობა და მცირედი რამ აქვთ საერთო ისტორიასთან თუ ენობრივ მიზნებთან. იმის წარმოდგენა, რომ ყველა შემთხვევაში ეს პრობლემები მშვიდობიანად და არსებული საზღვრების

შეუცვლელად შეიძლება გადაიჭრას, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა. სწორედ ამ მმართვებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოცემული საზოგადოებების წინაკომშნისტური ისტორიული ტრადიცია. არ არსებობს უნივერსალური კოდი, რომელიც ყველას თანაბრად მიეკენება, ასე რომ თუ ვინმეს აინტერესებს, მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში გადაწვეტს ესა თუ ის ქვეყანა თავის პრობლემებს თუ ომის გზით, მან უფრო ისტორიულ და ნაციონალურ ტრადიციებს უნდა დააკვირდეს, ვიდრე ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივ მახასიათებლებს, ერთობლივ ეროვნულ პროდუქტსა და მისთანებს. სწორედ ამ პრინციპ ითქმის, რომ ისტორია მეორება; ქედმალური დასავლურ-ლიბერალური ლაპარაკი „ბალკანზაციაზე“ კი სხვა არაფერია, თუ არა ზემოხსენებული კულტურული ჰეგემონიზმის კიდევ ერთი გამოვლინება.

პარადოქსულია, მაგრამ საბჭოთა ჰეგემონის ერთ-ერთი მცირე პოზიტიურ ასპექტთაგანი იყო – თუნდაც სშინელი და სრულიად გაუმართლებელ ფასად მიღწეული Pax Sovietica, რომელიც საბჭოთა კავშირმა თავს მოახვია აღმოსავლეთ ევროპასა და ტველ ცარისტულ იმპერიას. რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდის დასრულების შემდეგ, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში – 1945 წლიდან, სსრკ-მ დაუშვა ეთნიკური ომების ატყოდმა სამყაროს იმ ნაწილში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ურთიერთდაპირისპირებულ ნაციონალიზმთა ხლართად იყო ქცეული. კომუნიზმი ცდილობდა, ნაციონალიზმი მოდერნული ეპოქის საკუთარი ვერსიისათვის დაექვემდებარებინა, ანუ მიესადაგებინა ის განმანათლებლობის პროექტის საკუთარი (როგორც ჩანს, ნაკლული) ინტერპრეტაციისათვის. თანამედროვეობის მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაციის წარუმატებლობა მიგანიშნებს, რომ მომწიფდა ღრმა გზა მივცეთ ლიბერალურ დემოკრატიას, მაგრამ ნაციონალიზმის მოჩვენებითი გადალახვა – განსაკუთრებით თუ ეს იმ კულტურებიდან მოდის, რომლებიც საკუთარ მყარ ეროვნულ რაობას თავისთავად ცხადად მიიჩნევთ – სულაც არაა საქმარისი, რათა განიდევნონ სიძულვილისა და მრისხანების ის დემონები, ეთნიკურ ბრძოლებს რომ აღვივებენ პოსტკომუნისტურ სამყაროში.

„ჩვენი ოგახი კარგა ხნის წინათ გადასახლდა შტატებში. სათანადო ვაღის გასცლის მეჩე დედაჩემბა და ძმებმა საიმიგრაციო სამსახურს მიმართეს მოქალაქეობის მიღების თაობაზე, თუმცა კიდევ ორი წლის ლოდინი დასჭირდათ, ვიღრე მათ თხოვნას ღააქმაყოფილებდენ.

ბოლოს, ღადგა ნანატრი ღღე. საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენერალთა გულდასმით შეამოწმა ღოუკუმენტაცია, ჩემიანების ღიაბლომები და ატესტატები, გულითადად მიუღლოცა მათ, შემდეგ კი კოლუგას გადაულაპარაკა: „ექიმი, იურისტი და ბანკირი... ღმერთმანი, გვარიანი შენაძენია ამერიკისათვის“.

თელა პეტოლისი  
(ნიუ-ჯერსი)  
„რიღერს დაიჯესტი“, 1994, ოქტ.

*M. Bitchashvili*

#### ONE RUSSIA, TWO RUSSIANS...

If the militant ambitions of the Japanese Samurai has eventually been transformed into the desire to achieve an entrepreneurial success, or if liberal humanist values has substituted for the old good "Deutschland Deutschland über alles..." in German mentality, why may not a politological imagination trace the pompous Russian authoritarianism and collectivism being transformed into an Open Society.

Those political analysts, still positive about the effectiveness of the ideas of liberalism and democracy, hope that radical changes in Russia are quite possible, but the author of the essay is inclined to doubt such a possibility. At the background of the global events, time and again, Russia has been keen on shape-shifting, a kind of a serial superficial "innovative - renovations". But, as it is argued in the essay, behind such shape-shifting, within every historical formation in Russia something remains sustained as a dominant pattern.

"What is Russia?" - that is the decisive question. Answering it one could figure out the future possible transformations of Russia. The answer is implied in the words of Count Vitte, the prime-minister of the Tzar's Russia: "There is no Russia, but - the Russian Empire". This is "the punch line" of the essay. As soon as we realize that Russia began and still exists as an Empire it will become clear that any substantial change in this anachronistic edifice, this *Jurussian Park* is an illusion. Unless the Empire is disintegrated, and Russia restored to Russia, no foundation can be laid for the substantial changes.

*K. Katzitadze*

#### THE ESSENCE OF THE HISTORICAL CHALLENGE

Lost in various historical epochs, incorporated by different empires and their cultural backgrounds, Georgia, from time to

time, would remind the rest of the World and itself of its existence, thus facing the historical challenge. In this essay "the historical challenge" is interpreted as a complex of spatio-temporal and geopolitical parameters, the conditions when a country is challenged by History calling in question the ability of a nation to overcome the obstacles and problems on its own. A colonial mentality is less prepared for such a Challenge, since it is burdened by the archetypal Quest for the Promised Land. It is marked by geopolitical fetishism: the sacralisation of a territory leads to the demand for a Chieftain, because "The Blessed Land" could be ruled only by "The Blessed Leader".

The point is that such an "ideology" should be deconstructed, because the reiteration of ancient political patterns while establishing a contemporary state system is totally unrealistic. Such mythologised traces of "Soviet Georgia" in our mentality are obvious if compared to the Western Democracies, which are regarded in the essay as the most acceptable pattern.

*A. Djokhadze*

#### THE GEOPOLITICAL PARALLELS

By the end of Cold War the issue of the possible future confrontation of the high-tech post-modern North and the hungry pre-modern South was foregrounded, substituting for the traditional East-West confrontation. But the interpretation of the global confrontation from the point of view of commponace dialectics in this article is more akin to Kiplingian stance, that is - even though the former eastern Despoties are being westernised, East is East, and West is West. Despite the global geopolitical changes these two shall never meet and always be separated by "a meridian axis", the watershed of two worlds. Cleaving to such global vision the author comes up with a recommendation for Georgia, located on this "meridian axis". The countries like this should attribute themselves either to the East or to the West as unilaterally as possible, if they want

to maintain their sovereignty and national integrity. This point is supported and illustrated by a comprehensive review of the history of Byzantium, Turkey, and particularly the history of Georgia.

*I. Mtchedlishvili*

#### ON DISTRIBUTION OF GEOPOLITICAL FORCES IN CAUCASUS

Caucasus has always been geopolitically rather complicated region. The political interests of the small Transcaucasian states of Armenia, Azerbaijan and Georgia on one hand, and ethnic diversities of North Caucasus on the other, squeezed between the regional whales of Russia, Iran and Turkey, make up a complex picture of geopolitical bearings. The essay covers major moments in the history of Geopolitical relations in Caucasus with the regard to current problems. A thorough analysis is combined here with a prognosis of political perspectives for Georgia. The foreign policy of this country should adhere to "the principle of direct contacts on the global level and balancing of interests on the regional one".

*M. Bitchashvili*

#### CONCERNING THE GEOPOLITICAL LOCATION OF GEORGIA

The article proposes an analysis of Geopolitical Predetermination. The problem at issue here alludes to the article by K. Katzitadze ("The Essence of the Historical Challenge"). However, the geopolitical concept of West, as of a political priority, is considered here via the perspective of religious confessions and cultural belongings.

Geopolitical Predetermination is rendered here as a vision of events, typical for the Georgian mentality, when the country and its population is considered being confined to the geopolitical realities to such an extent, that it can practically change nothing. The validity of such "doctrine" is undermined by the phenomenon of Individual Liberty, being prior to anything else.

The point is that the "geopolitical reality" should be defined as a relative entity, its functioning predetermined by the political activity of an individual.

*Paul Johnson*

"... AND YET, WHAT HAPPENED TO SOCIALISM?"

At the background of permanent economical crisis in Georgia, as well as all over the former Soviet Union, an acute nostalgic yearning for the *satiated* Socialist Past has revealed itself. Accompanied by concrete difficulties in building up the Democratic State, like corruption, drugabuse, organized crime, it has caused misinterpretation and wrong conception of the basics of Open Society and Market Economy. The essay by Paul Johnson, marked by the apparent influence of Hayek's socio-economical ideas, covers and assesses the events, and offers the factual description of the effects of transition from the centrally regulated to the open market economy.

*G.Akhvlediani*

COLUMBIAN DRUGBUSINESS

A liberal-democratic State is governed by laws and legislation, not by somebody's personal will or biases. The citizens are enabled to earn their living within the legal limits. In the countries where this is ignored there spontaneously emerge illegal structures. The Columbian example is used in the essay to demonstrate the formation of such structures and to point out similar features in the social system of Georgia. Special emphasis is laid on the dangerous tendency of turning the illegal business into the only source of income for the majority of citizens, since it will have pernicious influence on the making of the Nation State.

*Z. Brzhezinski*

#### THE GREAT TRANSFORMATIONS

Z. B. is one of the most popular Western political analysts in Georgia, whose vision of current political affairs and forecasts are considered here with vital interest. In his essay, which was published a couple of years ago, and in which the expectation, by now diminished, of The Great Transformation is still traceable, Brzhezhinski introduces his own model for modernization of the FSU and the Eastern Europe. Reviewing the time past since the first publication of the essay, and the subsequent events, we can completely assess "the analytical force" of an American Think Tank, as well as estimate the opportunities that were lost and those that are still favourable for the future.

*Kakha Katsitadze*

#### "WHY AREN'T WE ADMITTED TO NATO?"

Several years ago, still in the time of SU, at the crowded rallies in Tbilisi the words referring to the possible admittance of Georgia to NATO were uttered. This discourse, by then regarded as "the extreme political insolence", resonated not only within the widest layers of Georgian Society but was caught by the far - reaching ear of Kremlin and therewith accepted as one of the warrants for the punitive expedition of April 9, 1989.

In his essay the author proposes pretty comprehending and compact answers to the naive questions like: "Why aren't we admitted to NATO?" or "Why did NATO neglected us in the Abkhasian War?"

*Gaga Nizharadze*

#### THEORY OF CATASTROPHES & POST-COMMUNIST WORLD

Although the Theory of Catastrophes belongs to the purely mathematical field, its flexible apparatus is easily applicable to various social phenomena. The application of the Theory is very effective in case of Georgia due to the fact that the country belongs to the specific region of the post-communist world. Though its qualifications being too abstract and theoretical, the catastrophe development phases are easily discernable in the socio-political processes in Georgia.

*David Darchiashvili*

#### PEACE-KEEPING IN ETHNIC AND NATIONAL CONFLICTS

The current changes in the world politics clearly show that military interference still remains actual in conflict resolution processes. Moreover, the actualization of military aspects in peace-keeping is evident. But national states can't deny their own interests, and it may be an obstacle for their peace-keeping mission. Thus, it is necessary to "denationalize" the military peace-keeping forces, avoiding national state institutions in formation and ruling the UN units. It might be very difficult in a large-scale conflict, where the interests of big states are involved, but it's quite possible in local ethnic conflicts.

In their peace-keeping activities, international organizations have to pay attention to the development of local regular armies. Otherwise, the gap will be filled by paramilitary forces.

Dealing with these problems, the governmental structures are limited by diplomatic paradigms, national state interests, while the impartial NGO-es could act with more efficiency.

*G. Goshadze, I. Maisuradze*

#### PSICOLOGY IN PRACTICE?

One and the same kind of questions were put to the representatives of our political elite (first in December 1994 and, repeatedly, in May 1995), in order to reveal their attitude towards the main stream of processes going on in Georgia, to make some prognoses for the future and to expose their own present-day political mentality.

The difference in answers given just after such a short gap of time is rather amazing, though some curious characteristics preserved are notable.

*Ghia Nodia*

#### NATIONALISM AND DEMOCRACY

The essay by G. Nodia, already known to the American readers, is published in Georgia for the first time. It is supplied by an introductory note and the replies from the major opponents, the prominent American scholars – F. Fukuyama and Sh. Avineri. Besides the fact that the problem at issue is extremely interesting, with its main point being the question of the relation between a nation and Democracy, the Georgian reader is provided with an opportunity of acquainting with a fairly unusual discussion in which an influential *maitre penseurs*, though pretty sparsly critisized, not only remains unbiased in considering the critical remarks (what is most tangible in Fukuyama's replies) but also encourages the publication of such criticism.

... And last but not the least - an article rendered from the Reader's Digest, showing how positive Americans are about receiving the American citizenship by the immigrants with promising abilities.